

მოგონებები გარდასულ დღეთა

# მზიანი გულის მწერალი

წერილები, გამოსათხოვარი სიტყვები, მოგონებები, ლექსები ნოდარ დუმბაძეზე

თბილისი „მერანი“. 1980

83, 3 Гр 7
მ 639

ლენინური, შოთა რუსთაველის და კომკავშირის სახელობის პრემიების ლაურეატის, სახელგანთქმული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ დუმბაძის გარდაცვალებამ მილიონობით ადამიანს ჩასწყვიტა გული. წინამდებარე წიგნი, რომელშიც შესულია წერილები, გამოსათხოვარი სიტყვები, მოგონებები და ლექსები ნოდარ დუმბაძეზე, ტკივილთან ერთად სიამაყის გრძნობასაც ბადებს, რაკი ამ გამოჩენილი მწერლის საერთო-სახალხო აღიარების გამოხატულებაა.

წიგნი შეადგინა ნანული დუმბაძემ

რედაქტორები: გურამ გვერდწითელი,
სარგის ცაიშვილი

70303—126
მ ——————— 13—86
М 604 (08) — 86

© გამომცემლობა „მერანი"

## ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე

თითქოს შეგუებული ვიყავით, ველოდით ამ მძიმე დღეს, მაინც მოულოდნელი და თავზარდამცემი გამოდგა მისი სიკვდილი.

ამ ორიოდე წლის წინ საგურამოში ვინახულე. ვერ იყო კარგად. მაშინ ვუთხარი, თაობის მედროშე ხარ-მეთქი, ასეც იყო. ამიტომაცაა ტკივილი მძიმე.

როცა ექიმებმა ქალაქგარეთ ცხოვრება ურჩიეს, ერთი პატარა ქოხი საგურამოში მომიხერხეთო, გვთხოვა. მოგვიანებით გამომიტყდა: აქ დიდი ილიას აჩრდილს ვემუსაიფებიო, მას ჰქონდა უფლება ილიასთან ელაპარაკა.

კარგი კაცი რომ წავა ამ ქვეყნიდან, იტყვიან ხოლმე — ვალმოხდილიაო. მან კი ვალი ბოლომდე ვერ მოიხადა. წარმოიდგინეთ: გათეთრებული, ღრმად მოხუცი ნოდარ დუმბაძე. რამდენს შექმნიდა კიდევ კაცობრიობისათვის ეს უნიჭიერესი მწერალი და ბრძენი მოღვაწე!

საქართველოში კარგად იციან: არ არსებობს უბედურება, მას რომ არ დაატყდა თავს, ბავშვობიდან მოყოლებული. იყო უსამართლობაც, უკანონობაც, უახლოესთა დაკარგვაც, მოშურნე კაცის მიერ დაკოდილი გულის ტკივილიც და გაჭიანურებული უკურნებელი ავადმყოფობაც. თითქმის ოცდაათი წელია ვიცნობდი, ვმეგობრობდი. ერთი სიტყვა სამდურავი არ გამიგია არავის და არაფრის მიმართ. ზეადამიანური, ზეციური სულგრძელობისა იყო.

ნოდარ დუმბაძის უკვდავება მისი გმირებია. მის საფლავს არ სჭირდება ადგილის ავტორიტეტის მოშველიება. საზოგადოებამ გადაწყვიტა და, მე მგონი, სწორადაც: ქალაქთა შორის უკეთილშობილეს, — ბავშვთა ქალაქში მიუჩინოს სამუდამო ბინა. ამ ზღაპრულ ქალაქში დასახლდებიან საქვეყნოდ ცნობილი მისი გმირები: ზურიკელა, ბებია, ილიკო, ილარიონი, ხატია და სხვები და სხვები. ნოდარ დუმბაძე, ამ საოცნებო ქალაქის დამაარსებელი, თავის პერსონაჟებთან

ერთად, გარდაცვალების შემდეგაც იცხოვრებს, იბრძოლებს, იშრომებს მომავალ თაობათა საბედნიეროდ.

ძნელად თუ წარმოიდგენ ადამიანს, ნოდარს რომ გულწრფელად არ დაიტირებს. ყველაზე მეტად, მჯერა, ახალგაზრდობას ეტკინა გული. ყოველი სიტყვა მისი დიდი შემოქმედებიდან, მისი მღელვარე ცხოვრების ყოველი წუთი ახალგაზრდებისადმი იყო მიძღვნილი. ჩვენი საუბრებიც ამ თემით იწყებოდა და ამითვე მთავრდებოდა. ნოდარ დუმბაძე უბრწყინვალესი მაგალითია: როგორ უნდა გიყვარდეს თავდავიწყებით მშობელი ხალხი, როგორ უნდა განიმსჭვალო ღრმა პატივისცემით სხვა ხალხების მიმართ, როგორ უნდა იღვწოდე ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

ნოდარი მთაში ნაპოვნი კრისტალივით სუფთა პიროვნება იყო. მას ჰქონდა მორალური უფლება, მთელი თავისი მწერლური, პუბლიცისტური, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით კომუნისტური ზნეობის უმაღლესი პრინციპები ექადაგა, დაემკვიდრებინა; გამორჩეული, გამოჩენილი კომუნისტი გახლდათ და ჩვენ ვამაყობთ, რომ იგი ჩვენი თანამედროვე, თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო საკაცობრიო კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლაში.

ამიტომაც მივმართავთ დღეს ჩვენს ახალგაზრდობას: ნოდარ დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება ხელთუქმნელი ძეგლია ნიჭიერებისა, შრომისა, შეუპოვარი ბრძოლისა, ჭეშმარიტი გმირობისა, ერთგულებისა და პატიოსნებისა. იხელმძღვანელეთ ცხოვრების იმ კანონებით, რომლებითაც ნოდარ დუმბაძე, ერთი უბრალო ობოლი ბიჭი, თავისი ქვეყნის გამოჩენილ მოღვაწედ იქცა.

1984 წ.

# წერილები

## ᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲜᲘᲭᲘ

ვინც ნოდარ დუმბაძეს მხოლოდ მისი წიგნებიდან იცნობს, ან მხოლოდ „ხალხში" შეხვედრია, მის თვალში ეს ადამიანი ალბათ სიხარულის, სილაღის, მხიარულების განსახიერებაა.

უმრავლესობამ არ იცის, ბევრ აუტანელ ტკივილსაც რომ ატარებს მისი გული.

ჩემი პირველი, ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება მასთან შეხვედრისა სწორედ ერთ ასეთ ტკივილთან არის დაკავშირებული, მას შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა, დიდ მწუხარებაში ვნახე, — გამხდარი, მხრებში მოხრილი, მეგობრებს გამოყავდათ ქუჩაში. მახსოვს, როგორ უმტყუნა ნაბიჯმა სადარბაზოდან გამოსვლისას.

ასეთი მწუხარება ჩვეულებრივ თრგუნავს ადამიანის ბუნებას. ზოგი ხატებს ამტვრევს, ზოგს სამუდამოდ სძულდება „ბედნიერი კაცობრიობა" და შურისძიების ფარული ოცნებით განაგრძობს არსებობას.

ნოდარ დუმბაძე ადამიანთა იმ იშვიათ მოდგმას ეკუთვნის, რომელთა სულშიც პირადი ტკივილი სხვებისათვის შვების მოტანის ცხოველმყოფელ წყურვილს აღვიძებს.

რამდენ ადამიანს მოეფერა ის თავისი სიტყვით, რამდენთა გულის გათბობა მოასწრო, რამდენი ხელჩაქნეული შემოაბრუნა, მოაქცია, დაარწმუნა, რომ ცხოვრება ღირს, რომ სიცოცხლე, მიუხედავად უამრავი უკეთურობისა, მაინც მადლია, მაინც სიკეთეა, მაინც მშვენიერებაა. და სანამ ცოცხალი ხარ, შენც ამ სიკეთეს უნდა მოუარო, მოესიყვარულო, ამრავლო და აღორძინო.

მე მინახავს ნოდარ დუმბაძეზე შეყვარებული ადამიანები, რომლებიც მას პირადად არ იცნობენ. წამიკითხავს შორეული ქვეყნებიდან მოსული წერილები, რომელთა ავტორები მას წრფელი აღსარებით მიმართავდნენ. ყველა ამ წერილში იყო დიდი ნდობა და იმედი, რომ ასეთი მწერალი მათაც გაუგებდა, მათ ჭირსაც უშველიდა....

ნოდარ დუმბაძის იუმორი მრავალფეროვანია, მაგრამ მას აქვს ერთი არსებითი თვისება — ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი.

ამ თვისების ერთი სიტყვით დახასიათება შეუძლებელი უნდა იყოს (ყოველ შემთხვევაში, პირადად მე შესაფერისი ტერმინი არ მაგონდება), ამიტომ ასე ავხსნი:

ბევრჯერ ვყოფილვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ „დასცინის“ ნოდარი თავის ახლობლებს ან როგორ იგერიებს სხვათა „დაცინვას“ (თვითონაც არაერთგზის აღმოვჩენილვარ მისი ენამახვილობის შუაცეცხლში). ყოველთვის მაკვირვებდა და მხიბლავდა ამ სიცილის უცნაური ტექნიკა. განსხვავებით მრავალთაგან, ის ისე „განადგურებს“, რომ შენ არ გწყინს, დამცირებულად არ გრძნობ თავს და ზოგჯერ სხვებსავით ან სხვებზე უფრო გულიანადაც იცინი შენი განქიქების გამო.

რაღაც მალამოა ამ დაცინვაში, რომლის საიდუმლოება მხოლოდ მან იცის.

სიცილი ნოდარ დუმბაძისათვის თვითდამკვიდრების ისეთივე ბუნებრივი ფორმაა, როგორც მხედართმთავრისათვის ომი ან ჩიტისათვის ფრენა.

ერთხელ, პირადი საუბრის დროს მითხრა: „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი იმისათვის ავირჩიეო“. ამ სიტყვებში დიდი და ამაღელვებელი აზრი დევს, სიცილით მან მართლაც დიდი გასაქანი მოუპოვა თავის ნააზრევს და გულისნადებს, და რაც მთავარია, ეს თავისუფლება ბოროტად არ გამოუყენებია. მისი სიცილის მთავარი დანიშნულება სიკეთისათვის კარის გაღებაა. სწორედ სიცილით შეგვაყვარა მან თავისი უსაყვარლესი გმირები, სიცილითვე გვანიშნა ადამიანთა შეცდომების მრავალი სათავე, ოღონდ ისე, რომ ყველა თავის მსხვერპლს გამოსავალი დაუტოვა. ნუგეშის წყალი არ გადაუწურა, ნდობით და თანაგრძნობით მოალბო მათი გახევებული შეგნება.

ამ თვისებას ის იშვიათად ღალატობს და თუ როდისმე მაინც ღალატობს, მე ვიტყოდი, რომ თვითონვე ღალატდება ამით, ვინაიდან მწარე, დაუზოგავი ირონია უცხოა მისი ნამდვილი ბუნებისათვის, ბუნებამ ის სხვა მოწოდების, სხვა მისიის აღსასრულებლად ჩაიფიქრა.

მას უნდა ემცნო ჩვენთვის (ჯერ ქართველებისათვის, მერე ჩვენ მკითხველთა გაცილებით უფრო ფართო წრისათვის), თუ რამხელა განძს, სულგრძელობის რა უზღვავ მარაგს, სიცოცხლისადმი დაუღლელი სიყვარულის რა განსაცვიფრებელ უნარს ფლობენ საუკუნეთა მანძილზე ჯვარცმული, ნაგვემი და ნაოხარი ძველთაძველი ქვეყნის დღევანდელი შვილები, როგორ გადარჩა და შეინახა თავი ჩვენს ბუნებაში ღიმილის ნიჭმა, სიმხნევის ნიჭმა, როგორ იხარა ნამეხარ ძელქვაზე ჩვილმა რტომ, როგორ შესცინა მზეს, როგორ იმედიანად გასწორდა წელში მარადი ყოფნის ახლიდან (კიდევ ერთხელ!) დასაწყებად...

სიცილი ადამიანის სიცოცხლის უნარიანობის უმთავრესი ნიშანთაგანია. ვიდრე ადამიანს მტერზე, მოყვარეზე, თავის თავზე, საერთოდ, რაიმეზე გაცინება შეუძლია, ეს ნიშნავს, რომ მისი საქმე ჯერ კიდევ არ წამხდარა. ხალხი, რომელმაც ასეთი საღი, გადამდები სიცილის უნარი შეინარჩუნა, არ არის განწირული.

ეს უნდა თქმულიყო, ეს უსათუოდ უნდა ეთქვა ვინმეს ჩვენს დროში — დიდი ზარისა და განსაცდელის, საუკუნის დიდ წარღვნათა შემდეგ. და ეს თქვა ნოდარ დუმბაძემ, ეს იყო მისი უპირველესი სათქმელი. ამის ასე თქმა სხვას არავის შეეძლო.

ნოდარ დუმბაძის ფენომენი განუყოფელი ნაწილია ჩვენი დღევანდელი საბჭოთა მწერლობისა, ის თავისებურ ელფერს აძლევს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას და მისი განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმმართველია.

უფრო მეტიც: ამ ფენომენის გარეშე დღეს შეუძლებელია თვით ჩვენი ეროვნული ცხოვრების, მისი ამჟამინდელი რეალობის წარმოდგენა. მან შეძლო ლიტერატურიდან ცხოვრებაში, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში გადასულიყო და თანამედროვე ქართველობის დიდი ნაწილის განწყობილებებს დაუფლებოდა.

ნოდარ დუმბაძეს ახლა ბევრი (აშკარა თუ შენიღბული) მიმბაძველი ჰყავს. მის ინტონაციას ზოგჯერ სრულიად სხვა, არამონათესავე წარმომავლობის ნაწარმოებშიც შეხვდებით.

ეს გავლენა უკვე თავისებურ ინერციად იქცა და ეპიგონობის მთელ ნაკადს დაუდო სათავე.

ამავე დროს ნოდარ დუმბაძეს დღევანდელ ქართულ მწერლობაში ჰყავს არაერთი სერიოზული (ასევე აშკარა თუ ქარაგმითმეტყველი) ოპონენტი (მე მხოლოდ ცალკეულ კრიტიკულ გამოსვლათა ავტორებს არ ვგულისხმობ). ისეთი მხატვრული ნაწარმოებებიც დაიწერა, რომელთა შინაგან პათოსს ნოდარ დუმბაძესთან პრინციპული პოლემიკა უდევს საფუძვლად.

ნოდარ დუმბაძეს ეკამათებიან ზოგიერთი მეორეხარისხოვანი წვრილმანის გამო, ზოგჯერ მსოფლმხედველობის, მხატვრული თუ ზნეობრივი პოზიციის გამო.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყველა ამ მრჩევლისა და მსჯავრმდებლის ზრუნვას ნოდარ დუმბაძე „გამოესწორებინოს". მაშინ ხომ ჩვენ სრულიად სხვა პიროვნებას, სხვა შემოქმედს, სხვა მხატვარს მივიღებდით! მრავლის მსგავსს, მრავალი იდეალური თვისებისაგან შედგენილს, შესაძლოა, სანიმუშოსაც... მაგრამ აღარ გვეყოლებოდა ერთადერთი, თავისთავადი, უბადლო ნოდარ დუმბაძე.

დღევანდელ ქართულ მწერლობას, მთელ ჩვენს სულიერ ცხოვრებას დააკლდებოდა ერთი აუცილებელი სხივი. ერთი აუცილებელი, მკაფიო ფერთაგანი მისი ცოცხალი სპექტრისა.

ნოდარ დუმბაძის გარეშე ჩვენი ლიტერატურული ყოფა საგრძნობლად დაკარგავდა სითბოსა და ეშხს.

არავის, არც ერთ ჩვენთაგანს არ ხელეწიფება ამჟამად მკითხველთან, ქართველი ადამიანის გულთან ასეთი მიმნდობი, ასეთი გულითადი საუბარი, არავის არ უპყრია ხელთ ასე ოსტატურად მისი გულის გასაღები.

სიჭარმაგის ასაკი ასეთი აუდიტორიის მფლობელ ოსტატს მეტს ავალებს, უფრო დიდი აღმართებისაკენ მოუხმობს, უფრო მეტ ფასს ადებს ყოველ მის სიტყვას.

მე მინდა ჩემს საყვარელ მწერალს, ჩემთვის უაღრესად ძვირფას ადამიანს ვუსურვო ის, რაც მის ასაკში ცხოვრების ნახევარ გზაგავლილმა აკაკიმ უბრძანა თავის კურთხეულ კალამს:

„რას მიქვია პირადი მწუხარება!"

ისეთი პიროვნებები, როგორიც ნოდარ დუმბაძეა, სულიანხორციანად ხალხს ეკუთვნიან, მშობელ ხალხს ეკუთვნის მათი გული და შთაგონება. მხოლოდ მშობელი ხალხია მათი ბედისა და გულისთქმის გამგებელი, მათი ფიქრისა და წადილის ნამდვილი მოკარნახე. ხალხი კიდევ ბევრს მოელის და მოითხოვს თავისი რჩეული შვილებისაგან.

1978 წ.

## ხუტა ბერულავა

### „აბა დელია–დელია".

ნოდარ დუმბაძე მადლიერი უნდა იყოს საბავშვო პოეზიისა, რადგანაც პირველი ლიტერატურული წარმატება, რა რა თქმა უნდა, თავის ხალას და ნაპერწკლიან იუმორთან ერთად, სწორედ მან მოუტანა, პირველ შემოქმედებით წარმატებას, პირველ სიხარულს კი, ვგონებ, ვერაფერი შეედრება.

საბავშვო პოეზიაც მადლიერი უნდა იყოს ნოდარ დუმბაძისა, რადგანაც მან თავისი მხიარული ლექსებით გაამდიდრა ქართული საბავშვო მწერლობა.

ასეთი მოსაზრება დიდი ხნის წინათაც გამომითქვამს — მხოლოდ პირველ შთაბეჭდილებას როდი ეყრდნობა.

ახლახან გამოვიდა ნოდარ დუმბაძის საბავშვო წიგნი „აბა დელია — დელია" (გამომცემლობა „ნაკადული", რედაქტორი — არჩილ სულაკაური). წიგნში მოთავსებულია ოცდაჩვიდმეტი ლექსი და ერთი პოემა — „მანანას წერილი". მათთვის დამახასიათებელია ყველაფერი, რაც სრულყოფილ საბავშვო ნაწარმოებებს უნდა ჰქონდეს: საინტერესო, მიგნებული თემა, იუმორი, პედაგოგიური ალღო (ეს ალღო და გრძნობა ზომიერებისა ისე არსად არის საჭირო, როგორც მოზარდთათვის შექმნილ ნაწარმოებში!). ნორჩ მკითხველთან საუბრის დუმბაძისეულ მანერას დაკვირვებული თვალი უმალ გაარჩევს სხვათა მანერისაგან. პოეტი შესანიშნავად იცნობს ბავშვის ბუნებას. იგი, თითქოს, დღედაღამ უსმენს თავის პატარა გმირებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ საბავშვო პოეზიას არაერთი ცდუნება ახლავს. გაუბრალოება საყმაწვილო ლექსისა ხომ სახიფათოა და სახიფათო, გართულება და დამძიმება კი პოეტური ფრაზისა, რაც ზოგჯერ მუშაითობას უფრო ჰგავს, ვიდრე ოსტატობას, ბავშვის გულს ვერ მიიზიდავს.

ეს ჭეშმარიტება არ ავიწყდება წიგნის ავტორს და, რაც მთავარია, არასოდეს ღალატობს ქართული კლასიკური პოეზიის გზას, ნათელსა და შეუმცდარ გზას, სიახლისა და ტრადიციების ბუნებრივ შერწყმას რომ ითვალისწინებს.

გამოთქმული მოსაზრების დასამტკიცებლად ბევრი ნიმუშის მოტანა შეიძლებოდა ნოდარ დუმბაძის წიგნიდან. ვფიქრობ, კრიტიკოსები და სპეციალისტები, ქართული ლიტერატურის ამ დარგს რომ იკვლევენ, უკეთ შეაფასებენ წიგნსაც და მისი ავტორის წვლილსაც ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

სამართლიანი იქნებოდა თუ ვიტყოდით: „აბა დელია—დელიას“ ორი ავტორი ჰყავს — პოეტი და მხატვარი, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან... ურთიერთ სიყვარულსა და პატივისცემაში.

პოეტი თავისი სიუჟეტური, აზრიანი, მეტყველი ლექსებით მხატვარს საშუალებას აძლევს მთელი სისრულით გამოავლინოს თავისი დიდი მხატვრული შესაძლებლობანი.

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე თავის მხრივ ძალასა და ფანტაზიას არ იშურებს იმისათვის, რათა ნორჩ მკითხველს ნათლად დაანახოს პოეტის აზრთა და ფიქრთა სიუხვე.

შესანიშნავი საქმე გააკეთა „ნაკადულმა“, როცა ერთმანეთს შეახვედრა ორი ნიჭიერი ოსტატი.

რომ არ ვიცოდე, როგორი ინტერესით ეწაფებიან მკითხველები ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას, ამ პატარა სახელდახელო წერილს ტრადიციული მოწოდებით დავამთავრებდი: — წაიკითხეთ ეს წიგნი!

მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსები ისევე საყვარელია ჩვენი ხალხისათვის, როგორც მისივე საქვეყნოდ ცნობილი ლირიული, მომხიბვლელი მოთხრობები და რომანები.

## ნოდარ დუმბაძის ფენომენი

თუ რატომ აირჩია ნოდარ დუმბაძემ თვითგამოხატვის ფორმად მაინცდამაინც მწერლობა, პასუხს ამ კითხვაზე მისივე შემოქმედება იძლევა, ეს არჩევანი კი, ეტყობა, მისი თვითშეგრძნების სამ სვეტს დამყარებულმა იმპულსმა განსაზღვრა:

— ადამიანებთან კომუნიკალობის საოცარი უნარი — გრძნობის გაზიარების პათოსით...

— გეზი არტისტიზმის საკუთარი ბეჭდით დასმული სიკეთისაკენ...

— მსოფლგაგების განუყოფელ თვისებად ქცეული ჰუმორი...

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისა და პიროვნების კონტექსტში თვითეული ეს ფაქტორი აყვანილია საგანგებო თემის ან მოტივის ხარისხში. ისინი აქ ცხოვრების ჩამუქებულ სამყაროდან ამოვარდნილ ხანძრის კერებად განიცდებიან... მან საკუთარ კანონზომიერებას დამორჩილებული სამყარო შექმნა.

ამ სამყაროში სრულიად მოულოდნელი კუთხეებიდან ნათდება ადამიანთა ვნებათაღელვის ხან წამახული, ხანაც თანალმობით მომნუსხველი ფორმები.

რაც შეეხება მათ, ვინც ნოდარ დუმბაძეს პირადად იცნობდა, მათთვის სავსებით მიუღებელია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ მწერლის ყოველა რომანი და მოთხრობა ამგვარ სამყაროსთან ზიარების აღმოქმელია.

საქმე ისაა, რომ კლასიკური მოდელი ბზარის შესახებ მწერლის ინდივიდუალობასა და მის ორეულს, გნებავთ ნიღაბს შორის მეტისმეტი ძალდატანებით თუ მოერგებოდა ნოდარ დუმბაძის მთლიან პიროვნულ და შემოქმედებით სახეს... რა სამყაროს მოზიარენიც არიან მისი რომანებისა და მოთხრობების მკითხველები, იმ სამყაროს მოზიარე იყო ყოველი, ვინც პირადად იცნობდა მას. პიროვნულად ნოდარ დუმბაძე მფლანგველი მილიონერიეით ჰფენდა თავის გარშემო შინაგანი იმპულსებიდან მომდინარე ჯადოსნურ ატმოსფეროს.

ეს იყო მისი შინაგანი წყობიდან მომდინარე თავისებურება. ეს იყო ხასიათი მისი კონსტიტუციის არსისა.

თუ ამგვარი მოვლენების შეფასების ჟამს ლიტერატორები პარაფსიქოლოგიის ერთ-ერთ შეგონებასაც გავიხსენებთ, იმის მტკიცებაც შეიძლება, რომ ნოდარ დუმბაძის ამგვარობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უფრო შინაგან წყობას ენიჭებოდა, ვიდრე ნებელობას.

ის, უბრალოდ, ასეთი იყო და სხვაგვარად არც შეეძლო ყოფნა.

მის თანამედროვეებს კი თითქმის ორი ათეული წელი დასჭირდათ იმის გასაცნობიერებლად, რაც ოდნავი დაგვიანებით მთელი ლიტერატურული ცხოვრების ფონზე გაფორმდა გრანდიოზული მეტაფორის სახით. საქმე ეხება გულწრფელობის დეფიციტით გამოწვეულ მოთხოვნებს ლიტერატურულ პროცესში. ამ მოთხოვნებს, დროთა ვითარებაში, სიმბოლური მნიშვნელობაც აღმოაჩნდა და გრაფიკული გამოსახულებაც.

ნოდარ დუმბაძის მიმართ ყველაფერი უმარტივესმა ფიზიონომისტურმა ასოციაციამ განაპირობა. ადვილი შესამჩნევი აღმოჩნდა, რომ ნოდარ დუმბაძის სახე, თავისი კონტურული მოხატულობით საოცრად ჰგავდა გულის ანატომიურ ფორმას...

„მარადისობის კანონის“ ყდისთვის შესრულებულ მის პორტრეტს მხატვარმა ნოდარ მალაზონიამ საფუძვლად დაუდვა მისი სახისა და გულის გრაფიკული თანაფარდობის ეს პრინციპი.

იყო ეს ლიტერატურული კერპის შესახებ მითის დასაბამი ან ნოდარ დუმბაძის შესახებ უკვე მომწიფებული საზოგადოებრივი აზრის მეტაფორა, თუ სხვა რამ, (ფაქტია) ამიერიდან მკითხველთა უფართოესი აუდიტორიისათვის ნოდარ დუმბაძის გულთან დაკავშირებული ასოციაციები იქცა ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთზემოქმედების დრამატიულ სიმბოლოდ.

რომ ეს სიმბოლო ლიტერატორთა წრის მიკროსამყაროდან მკითხველთა აუდიტორიის მაკროსამყაროსკენ დაძრულიყო, რამდენიმე მიზეზი არსებობდა. მთავარი კი ის იყო, რომ ნოდარ დუმბაძემ თავიდანვე მხოლოდ იმის შესახებ დაიწყო წერა, რაც საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი, გულით განცდილი, ბიოგრაფიულად — გადატანილი.

სამწერლო ასპარეზზე 60-იანი წლების ე. წ. „მშვიდობიან ატმოსფეროში“ გამოსულს ნანახი, განცდილი და გადატანილი იმდენი დაუგროვდა, რომ მისი მშფოთვარე თავგადასავალი ბაროკოს ეპოქის ფათერაკიან ბიოგრაფებს დაამშვენებდა.

თითქოს მისი ადამიანური გამძლეობის ვამოცდა ეწადაო, ცხოვრების ბევრმა უსამართლობამ მოიცალა მისთვის.

ვიდრე სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს კანონიერ დეპუტატად მოგვეველინებოდა, უკანონოდ, პატიმარიც იყო; საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობამდე — ბედის მაძიებელი ახალბედაც.

ნანახის, განცდილის და გადატანილის გამო ნოდარ დუმბაძემ გულიანად აცინა და კიდევაც ატირა ხალხი... გულიანად მოჰფინა თავის გარშემო სიკეთის სხივი, ჰუმორი და არც ტკივილების გრიმასები შეუნიღბია. ასეთ კონტექსტში მან შეძლო ცხოვრებისა და კაცობრიული საზრისის „მზიანი ღამის“ საიდუმლოება გაესდო თავისი მკითხველებისათვის.

ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული დებიუტი და ტრიუმფი ერთდროულად შედგა...

60-იანი წლების ქართულ მწერლობაში მისმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონმა“ ლიტერატურული მანიფესტის მისია შეასრულა.

მანიფესტებს, ჩვეულებრივ, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ეპიცენტრში ბიმდინარე დულილის, წინააღმდეგობების საბრძოლო ბობოქრობისა და ლოზუნგების ბეჭედი აზით, ამგვარი ტრადიციისაგან განსხვავებით, ნოდარ დუმბაძის ამ რომანმა თავისი მისია საოცარი სიმსუბუქით, თითქოს შეუმჩნეველად, ლაღად, თითქოს აშკარა კონფლიქტებისა და აჟიოტაჟის გარეშე შეასრულა.

თუ რატომ მოხდა ასე, ამის მიზეზები მხოლოდ ნოდარ დუმბაძის სულიერი წყობისა და მსოფლგაგების ორ განმაიარაღებელ თავისებურებაშია საძებარი.

პირველი ისაა, რომ ამ რომანით ჩვენს საზოგადოებას ნოდარ დუმბაძემ კიდევაც შეახსენა და აგრძნობინა, რომ ის „სიცილით ემშვიდობებოდა წარსულს.“

მეორე კი ის გახლდათ, ეს გამოთხოვება წარსულთან ცხოვრების და ისტორიის აუცილებლობად უნდა აღქმულიყო.

ამ აუცილებლობას კი ლიტერატურაში მოჰყავდა საკუთარი განმასახიერებლები. ადამიანის მიღმა არსებული ფასეულობებისა და მათი განმასახიერებელი ფუნქციონერების ბატონობის შემდეგ, თითქოს გაჭიანურებული ანტრაქტი დასრულდაო, ლიტერატურული ცხოვრების სცენაზე ისევ დაიკავეს ადგილი ცხოვრების საზრისად ადამიანურობის მატარებელმა ადამიანებმა, სოციალური როლისა და მისიის სიმძიმით დატვირთული ფუნქციონერების სახეები (სულისა და ხასიათის შესაბამისი ნიშნებით) შეცვალა თუნდაც ამ ფუნქციისადმი ადამიანური დამოკიდებულების მატარებელმა ადამიანმა. აღმნიშვნელი და აღნიშნული იმდენად გაეთიშნენ ერთმანეთს, რომ საფრთხე ადამიანთა კომუნიკალობასაც კი დაემუქრა. „რავა გაზეთივით მელაპარაკებიო“ — შეახსენეს არა მხოლოდ იმ პერსონაჟს, რომელიც გაზეთივით მეტყველებდა ნოდარ დუმბაძის რომანში... ეს შეხსენება მთელი საზოგადოებრივი სისტემის ყურთასმენისაკენ იყო მიმართული.

სიცილი სინამდვილესთან მიახლოვების მეგზურად იქცა.

და მართლაც, ნოდარ დუმბაძის გმირები ბევრს იცინიან. მათი გულიანი სიცილი გადამდებია.

მსოფლიოს აუდიტორიაში რომ ნოდარ დუმბაძის ერთდროული კითხვის ფანტასტიკური სეანსი წარმოვიდგინოთ და ამ სიცილის ერთად შეკრებილი ხმა და ენერგია გავიანგარიშოთ, თავისი აფეთქების ძალით, ეს სიცილი, ალბათ, თერმიულ აფეთქებებს დაემსგავსებოდა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ვინმეს ეფიქრა, თითქოს ნოდარ დუმბაძის გმირები მხოლოდ ენერგიის სიჭარბისაგანაც ცხოვრებისეული კეთილდღეობის ტკბობის გამო იცინოდნენ. არა, მათი სიცილი, ძალიან ხშირად, სიმწარესთანაა გაზავებული.

ამდენად სიცილს ნოდარ დუმბაძემ მსოფლმხედველობრივი ფუნქცია დააკისრა. სიცილი მისი სტილის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ზოგჯერ სიცილს აკისრებდა პერსონაჟთა ინდივიდუალური მახასიათებლების გამოაშკარავების ფუნქციას. ასეთ დროს მისი სიცილი ადამიანის სულისა და ხასიათის მაპროვოცირებელ მნიშვნელობას იძენს.

არსებობს სხვადასხვა დონის, ხასიათის და დანიშნულების სიცილი: სარკასტული და კეთილგანწყობილი, ექიდნური და მიმტევებელი, ირონიული და სტიქიური... ნოდარ დუმბაძე სიცილის ყველა რეგისტრების ვირტუოზი იყო. ის იყო სიცილის ჭეშმარიტი მაესტრო...

მაგრამ ჰუმორის ჭეშმარიტ დღესასწაულს მკითხველს ნოდარ დუმბაძე მაშინ უმართავდა, როდესაც მის სიცილს ეკისრებოდა რეალობაში გარკვევის ფუნქცია.

როდესაც ადამიანური გონებამახვილობა უფრო ფართოა, ვიდრე მოქმედების მოსალოდნელი სტერეოტიპი, როდესაც გონებამახვილობა ანტისტანდარტული გადაწყვეტილების მიზნით ენთება, ჰუმორი სინამდვილის შეცნობის მოკავშირე და მოზიარე ხდება. ასეთ დროს ნოდარ დუმბაძის სიცილი ადამიანთა იდეალური მოთხოვნილებების მიზნებით სპეტაკდება.

ნოდარ დუმბაძის ბოლო რომანია „მარადისობის კანონი". ეს არის რომანი „ადამის ძის სულისა და გონების განახლების" გამო. ამ სიტყვებს რომანში მღვდელი ამბობს მთავარი გმირის, ბაჩანა რამიშვილის შესახებ.

თუ რა გზაა გასავლელი „ადამის ძის სულისა და გონების განახლებისა", როგორც მისი აღორძინების, ხელახლა შობისა და კათარზისისათვის, მკითხველს კარგად მოეხსენება. ეს არის ჯოჯოხეთური განსაცდელის, სიკვდილთან ზიარების და მკვდრეთით აღდგომის გზა.

ამ კონტექსტში ნოდარ დუმბაძის რომანები და მოთხრობები განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანების ხვედრთან გვაზიარებენ. მაგრამ თითოეული მათგანის მაგისტრალურ სიუჟეტს განსაზღვრავს ცხოვრების ერთი პრინციპით მოდელირებული კონცეფცია.

ასეთია ნოდარ დუმბაძის უცოდველი ადამიანის მიერ სამყაროს ცოდვა-მადლის შეცნობის დრამატული გზა.

ქართულ ენაში რომ „ადამიანის" ცნება ბიბლიური ადამის ძირიდან მომდინარეობს, ნოდარ დუმბაძემ პირველმა აქცია თავისი რომანების მეტაფორულ და სტრუქტურულ საწყისად.

არსებობს მეორე ადამიანის მიერ სამოთხის დაკარგვის შესახებ. ჩვენს ათეისტურ ეპოქაში „დაკარგული სამოთხის" მოტივმა, ერთხანს, პაროდიული ელფერიც კი მიიღო.

მაგრამ ისევე, როგორც ამერიკულ ლიტერატურაში მარკ ტვენმა და ჰემინგუეიმ შექმნეს მითი დაკარგული სამოთხის შესახებ და ჰეკლბერი ფინის, ტომ სოიერის და ნიკ ადამსის თავგადასავლით გვიჩვენეს, თუ როგორ იქცევა ცხოვრების ჯოჯოხეთურ გამოცდილებასთან ზიარება ბავშვობის უზრუნველ სამოთხესთან განშორების დრამად, ნოდარ დუმბაძემ შექმნა ქართული ყოფის დრამატულ გამოვლინებებთან ნაზიარებ ყმაწვილთა სახეების გალერეა...

ერთადერთი თანამედროვე მწერალი, ვისთანაც ამ მხრივ ნოდარ დუმბაძე სულიერ და მხატვრული სისტემის ნათესაობას გრძნობდა, იყო რეი ბრედბერი. მისი „ბაბუაწვერის ღვინოს" ნოდარ დუმბაძე მაშინ გაეცნო (70-იანი წლები), როდესაც უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი გმირების საყმაწვილო თავგადასავლების ისტორია. ამ სიახლოვეში ნოდარ დუმბაძე ხედავდა მისი შემოქმედების არა საყოველთაო გამორჩეულობის, არამედ ზოგადლიტერატურულ კონტექსტთან შეხმიანებისა და თანაზიარობის ფაქტს.

და მართლაც, ნოდარ დუმბაძის გმირები, მეტწილად, ყმაწვილები არიან. საგულისხმოა, რომ ყოველი მათგანი იზრდება, ცხოვრობს და განსაცდელს ეგებება უმამოდ, იშვიათად დედის, ან ბებია-ბაბუის გარემოცვაში. მამის ავტორიტარისტულ ზეგავლენას ისინი მოკლებულნი არიან. ექსტრემალურ სიტუაციაში ისინი მარტონი დგანან, როგორც ჯვარცმის მომლოდინე მაცხოვარი...

ეს გმირები ცხოვრების მეცნიერების გაკვეთილთან არიან ნაზიარებნი.

ამიტომ, რამდენადმე უსაფუძვლო ჩანს კრიტიკაში გამოთქმული თვალსაზრისი, თითქოს ნოდარ დუმბაძის გმირები ცოდნისაკენ მიდრეკილებით არ ხასიათდებოდნენ.

ცხადია, აქ მხედველობაშია არა ცოდნის მაძიებელი ყმაწვილებისა და სტუდენტების გალერეა, ნოდარ დუმბაძის რომანებში რომ ფიგურირებენ. არა. საქმე აქ ეხება მეცნიერული ცოდნის ზეგავლენის ხარისხს ადამიანის სულსა და ხასიათზე, რომელსაც დიდი ხარკი გადაუხადა თანამედროვე მწერლობამ.

ნოდარ დუმბაძის რომანებში კი ამგვარი რამ მართლაც არ შეიმჩნევა. როდესაც ჩვენი ლიტერატურული პროცესის ფონ-

ზე სციენტისტურმა გრიგალმა გადაიარა, როდესაც რომანებს, კინოსა და თეატრალურ სცენას ტექნოკრატები, „საქმიანი კაცები“ და ფიზიკოსი გმირები დაეპატრონენ — ნოდარ დუმბაძემ გულგრილად შეხედა ამ ფაქტს.

ზურიკელადან ბაჩანა რამიშვილამდე მას, არსებითად, ერთი გმირი, ერთი პროტაგონისტი ჰყავდა.

გზა, რომელსაც ეს გმირი ადგას, ცხოვრების განსაცდელებთან ზიარებისა და, ამდენად, მისი შეცნობის გზაა. ამ განსაცდელებიდან მიღებული გამოცდილება ნოდარ დუმბაძის პროტაგონისტის ცნობიერებაში ყალიბდება, როგორც ცოდნა, მეცნიერება, სკოლა.

რაც შეეხება მეცნიერების რომელიმე დარგის აქტუალობას და მოდას (50—70-იან წლებში, ფიზიკა, ახლა — ბიოლოგია), — ეტყობა, ნოდარ დუმბაძეს ადამიანისა და ჭეშმარიტების წვდომის საქმეში ეს არ მიაჩნდა ცხოვრების პრაქტიკაზე უფრო საიმედო გარანტიად.

ხშირად ამბობდა: ცხოვრების მეცნიერების დონეზე ვერც ერთი დისციპლინარული მეცნიერება ვერ ამაღლდება.

ნოდარ დუმბაძე სკეპტიკურად უყურებდა ამ მოდით გატაცებულ ბელეტრისტიკას.

მისი ბოლო ნამუშევრებიდან საგანგებო აღნიშვნის ღირსია ორი მოთხრობა: „ასტვაც!. ინჩუ ჰამარ!“ და „თალიკო“.

ამ მოთხრობებში დაჭერილია დროისა და სივრცის გულის მსგავსი შეკუმშვა-გაფართოვების ფარული რიტმი.

მოქმედება აქ ერთი ციცქნა ტერიტორიაზე მიმდინარეობს. დროის განზომილება კი უცნაურად ფართოა..

ეს სივრცე — პატარა ეზო, თუ სამზარეულო ამ მოთხრობებში კრივის რინგის ფართობივითაა შემოსაზღვრული. მის ტერიტორიაზე კი დროისა და ისტორიულ-სოციალურ განედებიდან შემოჭრილი სული ქრის. ამ მოთხრობების „მცირე დრო“ და „სივრცე“ კონკრეტულობითა და კოლორიტით მოსავენ მის გმირებს. ისინი აქ ბუნებრივნი, ცხოვრებისეულნი, შეუნიღბავნი არიან.

მაგრამ მათი ცნობიერების სფეროდან ამოტივტივებულ გამოცდილებას, ხსოვნას, წარსულს ეს გმირები გადაჰყავთ „დიდ დროში“.

აქ ისინი სიმბოლოსა და პოეტური მეტაფორის რანგამდე მაღლდებიან, თავისი ტრაგიზმით, სიხარულით, სიცილით, სიმღერით, გზით.

ნოდარ დუმბაძის მწერლობა, ისევე როგორც ყოფაში ქართველი კაცი, საოცრად ცერემონიალურია და მოზეიმე.

ცხოვრებას ის აღიქვამდა როგორც თავისებურ ფიესტას, დღესასწაულს, მისტერიას, რომლის ფონზეც აწყვეტილი სიხარულიდან, ბაგეებს მომსკდარი სიცილიდან, თავდავიწყებიდან ადამიანი მხოლოდ სიკვდილის ელდას გამოჰყავს.

და როგორც წესი, ნოდარ დუმბაძის ყველა მზიური და საღღესასწაულო განწყობილების მოთხრობასა თუ რომანში ან წყნარად, ან სცენაზე ელდის მომგვრელად შემოჭრილი პერსონაჟივით ჩნდება სიკვდილი — "უპირველესი და უზენაესი შემმოწმებელი კაცობრიული და ინდივიდუალური ცნობიერების რაობისა".

არსებობს ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ერთი პარადოქსული ასპექტი. მკითხველთა შორის მისით აღტაცება თანაარსებობს იმ შეუნიღბავ პოლემიკასთან, რომელიც კრიტიკოსთა გარკვეულ ბანაკში მის გარშემო გაჩაღდა.

მე აქ არ ვეხები ნებისმიერ ნაწარმოებში, მით უმეტეს კონცეპტუალურში, მეორად შეუსაბამოებებზე თვალებდაცეცებულ კრიტიკას.

უფრო მნიშვნელოვანია ამ პოლემიკის სწორედ კონცეპტუალური მხარე.

საქმე ეხება სულიერი გამოცდილების ისტორიას, რომელიც ნოდარ დუმბაძის ლაღ და სიკეთის შარავანდედით გარემოსილ ყმაწვილებს გადახდათ მისი პირველი რომანიდან სიჭარმაგეში შესვლის „მარადისობის კანონამდე".

ამ ყმაწვილის გზა დიდი დიპლოგისათვის განმწყობ საამროვნო სიტუაციად იქცა. მასში ექსპერიმენტატორის უფლებით მონაწილეობდა თავად ნოდარ დუმბაძე.

მისთვის ეს იყო თავისებური „იდეის დრამა".

საიუჟეტი, რომელიც ამ „იდეის განვითარების" შედეგად კრიტიკაში გამოიკვეთა, მას საზღვაო ფათერაკების ისტორიად ესახებოდა.

აქ იგი იმ ხომალდის კაპიტანს გვაგონებდა, რომლის იალ-

ქნებშიც ზურგის ქარიგით ქროდა დევიზი: „ადამიანი ყველაფრის საზომია“. თავად ამ დევიზის ისტორია, განსაკუთრებით, კულტურის რენესანსულ სისტემაში, მას ნაკლებად აღელვებდა.

საქმე ისაა, რომ ნოდარ დუმბაძეს საკუთარი ხელწერა ჰქონდა, როგორც თავის გარშემო სიკეთის გაღებაში, ისე სიკეთის ლიტერატურულ რეალიზაციაში.

პრაგმატიკოსებს, როგორც ეს ცხოვრებაში ხდება ხოლმე, ხშირად მისი სიკეთე იდეალისტობად მიაჩნდათ, ხოლო სიკეთის ლიტერატურული კონცეფცია — უტოპიზმად.

თავისი პოზიციის არგუმენტად ნოდარ დუმბაძე ხან ქრისტიანულ ზნეობას, ხანაც რუსთველს და ნეოპლატონიკოსებს („ბოროტის უარსობის“ შესახებ) იშველიებდა.

მაგრამ მისი არგუმენტაციები ზოგს დამაჯერებლად არ მიაჩნდა. რეალიზმს ღალატობსო — ამბობდნენ.

ნოდარ დუმბაძე ცხოვრების უზარმაზარი გამოცდილების მფლობელი იყო და, „კაბინეტურ კრიტიკოსებს“ მიაგვანდნენ მისთვის ცხოვრების კანონების შემხსენებელი თეორეტიკოსები.

ნოდარ დუმბაძე ამტკიცებდა, რომ ბოროტების გავრცელებაში ისეთივე „ჯაჭვური რეაქციის“ კანონი არსებობს, როგორც სიკეთის გავრცელებაში; ცხადია, თუ ადამიანი სულიერად ვზად არის ამ სიკეთის მისალებად და მისი ესთეტიკის განსაცდელად.

მისი აზრით, რეალისტური ძწერლობა აფთიაქარის ხელობას ჰგავდა. „როგორ მოხდასა“ და „როგორ იქნებოდას“, ანუ რეალობასა და სასურველს შორის თანაჟარდობის ცოდნით.

თავისებური „ჰეპი ენდიც“ კი, რომლითაც განსაცდელების საშინელებათა გვირაბში გავლის შემდეგ ნოდარ დუმბაძის რომანები მთავრდება — მისთვის კონცეფციური მომენტი იყო...

ვის არ ახსოვს გულისშემძვრელი, სიკეთისა და სათნოების არტისტიზმით გაბრწყინვებული ერთი ეპიზოდი მისი რომანიდან „მე ვხედავ მზეს“, როდესაც აბიბო ვაშაყმაძე სოსოიას და ხატიას ღამეს გააეთევინებს და უსასყიდლოდ გაატანს სიმინდს.

ნოდარ დუმბაძე არ მალავდა, რომ „როგორც ცხოვრებაში ჩოხდას“ პრინციპით, ეს იყო მისი ბიოგრაფიული ეპიზოდის მხატვრული უკუშექცევითობა. რეალურად კი ის მომხდარა, რომ გზად შემოღამებულ ბავშვებს თურმე ვიღაც გაქსუებულმა გლეხმა არც ღამე გაათევინა და ტანსაცმელზე გადაცვლილი სიმინდიც გაცილებით ნაკლები მისცა, ვიდრე ერგებოდათ.

„მე კიდევ ისე დავწერე, როგორც „სასურველი“ იქნებოდაო“, ამბობდა ნოდარ დუმბაძე.

მისი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ მიუხედავად ერთი გლეხის სიხარბისა და გულნამცეცობის მტკივნეულად მიღებისა, მას უკვე ნაგრძნობი და განცდილი ჰქონდა „სიკეთის ესთეტიკა.“

ამიტომაა სინამდვილის მისეული ასახვის იდეალში მნიშვნელოვანი და არსებითი სინამდვილისადმი დამოკიდებულების პრინციპი.

ცნობილია დოსტოევსკის ფორმულა: „Беда заела человека.“

ამ დეკალის მიმდევარმა მწერალმა ძირითადი ყურადღება ადამიანის გამომხრავი გარემოს ანალიზისაკენ გადატანა.

ნოდარ დუმბაძე კი ფიქრობდა, რომ გარემოსა და ადამიანის დაპირისპირებაში, რაც არ უნდა ულმობელი იყოს ეს გარემო, აღამიანმა არ უნდა შეაჭმევინოს მას თავი. ცხოვრებასა და ლიტერატურაში განცდილი სიკეთე კი ის ძალა უნდა იყოს, რომელიც ადამიანს ამ ტიტანურ ბრძოლაში ეხმარება.

რეალობა მას უფრო ფართოდ, გლობალურად ესმოდა, ვიდრე ამას თვალშისაცემი სინამდვილე ითვალისწინებს. და ეს იმიტომ, რომ რეალობა ზოგჯერ იმასაც შეიცავს, რაც არა ჩანს.

„პირველად იყო სიტყვა“ მას აზრის, იდეის, ლოგოსის, ადამიანის გონითი საწყისის ხელშესახებ რეალობად ქცევის უფრო რეალისტურ პერსპექტივად მიაჩნდა, ვიდრე პრაგმატისტულად დაეიწროებული ფაუსტური „პირველად იყო საქმე“...

იქნებ ამიტომაც განიცდება ნოდარ დუმბაძის რომანებისა

და მოთხრობების ცალკეული ასპექტები, როგორც ცხოვრების ჩამუქებული სამყაროდან ამოვარდნილი ხანძრის ჩაუმქრალი კერები...

და არა აქვს მას დასასრული...

1985 წ.

## აკაკი გაწერელია

### დაუვიწყარი

მწერლობის სარბიელზე გამოსვლისთანავე ნოდარ დუმბაძეს თან დაჰყვა იშვიათი ადამიანური მომხიბვლელობა, რომელიც მკითხველს უშუალოდ იზიდავდა მისი პიროვნებისა და ნაწერებისადმი. უწინარესად, თეალში საცემი იყო მწერლის ჰუმორი და განსაკუთრებული სიყვარული ბავშვებისადმი, რაც მის შესანიშნავ საყმაწვილო ლირიკასა და პირველსავე გახმაურებულ რომანში მკაფიოდ გამოიხატა. ყოველივე ამას მალე მოჰყვა გაბმული ჯაჭვი მწერლის მოთხრობებისა, რომანებისა და საჯარო გამოსვლებისა.

ჩვენ არ ვაპირებთ ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ვრცელ განხილვას ან ზოგად თუ კონკრეტულ ანალიზს მისი რომელიმე დიდი ქმნილებისა. ყოველივე ეს პროფესიონალი კრიტიკოსების საქმეა, რის პრეტენზია არასოდეს გვქონია თანამედროვეთა მიმართ.

* *

ნ. დუმბაძე თვითონ არ ყოფილა მონუმენტური — არც გარეგნობით, არც ნაძიები პოზით, რაც მას ფიქრადაც არ გაუელია. იგი იყო შუა ტანის კაცი, ლამაზი პირისკანითა და შესანიშნავი ღიმილით. ჭეშმარიტ ტალანტს მასში სავსებით განედევნა ლიტერატურული პლებსისათვის დამახასიათებელი თვისებები — შური და ღვარძლი, გლოვა და სიმძიმილი სხვისი მიღწევების გამო და ა. შ. სამაგიეროდ ბუნებას დაეჯილდოვებინა შინაგანი კეთილშობილებით, ადამიანებისადმი სიყვარუ-

ლით და სიცილის უნარით, — დარდის საპირისპიროდ და მის განსაქარვებლად!

ჩვენ იშვიათად ან თითქმის არც გვინახავს ახალგაზრდა კაცი, უბრალო ხალხიდან გამოსული, რომელიც ეგზომ წინაგანუზრახველი და უანგარიშო, ინტელიგენტური ხელგაშლილობით ყოფილიყო აღჭურვილი. მე ვგულისხმობ არა მატერიალურ, არამედ სულიერი ხვავის დაუზოგველობას!

და ეს მაშინ, როცა ცხოვრებამ და ადამიანებმა ეგზომ საგრძნობი ტკივილები მოჰგვარეს მას! და სწორედ მისი უეჭველი ნიჭიერების გამო სრულიად არავის აინტერესებდა — ღარიბი იყო იგი თუ მდიდარი!

და ცხოვრობდა ჩვენს შორის ეს ლამაზი და კარგი კაცი, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მშობლიურ მიწაში, გულგასესილი, მაგრამ ცხოვრების მოყვარული. და როცა ფიზიკურად ჯანშერყეულმა ცხოვრების მიერ მისთვის განკუთვნილი სიამის ჭურჭელი გამოცალა. უკანასკნელად გაახილა და მერმე უდრტვინველად დახუჭა თვალები.

და მე ვიგონებ მის ერთ ნოველას, რომლის წაკითხვის უმალ ჩემი აღტაცება არ დამიმალავს ავტორისა და მახლობლებისათვის. ამ მოკლე წერილში სწორედ ამ ნოველის გამო მინდა რამდენიმე სიტყვა ვუთხრა მკითხველს.

* * *

პირველად 14 წლის ბიჭი დაელაპარაკა თავის ეზოში მდგარ 55 თუ 60 წლის ვაშლის ხეს, რომელსაც ხაზარულას ეძახდნენ. ამ ყმაწვილს კარგად ახსოვდა, ბებიამისს ზამთრობით თბილისში რომ ჩამოჰქონდა ხაზარულას ნაყოფი, ჩაეხვეოდა შვილიშვილს და ლოგინში შეუგორებდა ტკბილ ვაშლს.

პირადად ხაზარულა ომის დროს, 1942 წელს, გაუცვნია ნოველის ავტორს, როცა იგი სოფლის ხიზანი გამხდარა. ხე პირდაპირ მარანზე იდგა თურმე, „ალაგ-ალაგ ფუღუროიანი, სიხმელე შეპარული, მაგრამ მაინც ამაყი, მკვლავგაშლილი და უზარმაზარ ჩრდილიანი“.

და. აი, როცა ხემ ნაყოფის გამოსხმა შეწყვიტა, ერთ ზამთრიან დღეს ბებიამ „სამართებელივით პირალესილი და ალაპლაპებული“ ნაჯახი მისცა შვილიშვილს, რომელიც ვერ

ემეზვდარიყო, რისკენ მოუწოდებდა იგი — ჰიტლერის თუ სოფლის ბრიგადირის შესაშინებლად. ბებიას თურმე მხედველობაში ჰქონია ნაყოფის გამოუსხმელობით გაჯიუტებული ხაზარულა და ბიჭს უნდა შეეშინებინა ხე: თუ ვაშლს არ მოისხამ, ზაფხულის დამდეგს მოგჭრიო.

„— შენ გგონია, გამიგონებს? — გამეცინა მე.

„— თუ ჭკუა აქვს, გაგიგონებს! — თქვა ბებიამ.“

სცადეს ხაზარულას შეშინება, ხე კი „ყურსაც არ იბერტყავდა“. ბიჭმა ერთხელ მაინც დაარწმუნა ბებია, — ხედავ, შიშისაგან როგორ კანკალებს ხაზარულაო (სოფელში ზენა ქარს დაუქროლია და ხე შეუნჯღრევია!).

„როცა გაზაფხულმა ტანი დაისრულა“, გუბაზოულის ჭალიდან იგი ხაზარულასაც ეწვია და იმანაც უსაზომოდ ბევრი ვაშლი მოისხა, მაგრამ... უკანასკნელად. ბევრი ემუდარეს ხეს, მაგრამ გათავდა „ხაზარულას ხაზარულობა“.

ხის მოჭრა გადაწყდა, მაგრამ შვილიშვილი უარზე იდგა, კარგად დაუხსომებია ბებიას ნათქვამი, — ჩვენი ლაპარაკი ხემ არ უნდა გაიგოსო, ახლა კი ისინი ხაზარულას მოჭრაზე ხმამაღლა საუბრობდნენ. შვილიშვილი არწმუნებდა ბებიას, „ხეს კი არა, ადამიანებს არ ეყურება ერთმანეთისო“ (როგორ უიმედოდ ისმის მხიარული ტონით დაწერილ მოთხრობაში ეს ლრმა და სკეპტიკური ფრაზა!).

ნაჯახიანი ბიჭი ამჩნევს, თუ როგორ არიდებს თვალს მას თვითონ ხაზარულა და ეზოში შემობორიალებულ მეზობელს, სმას მოყვარულ ანანია სალუქვაძესაც არწმუნებს, რომ ბებიას წამს, ამ „ხეს ყველაფერი ეყურებაო“. სწორედ ამ ეზოეზო მოსიარულე ანანიამ ბოლოს დაიმედა ბებია და შვილიშვილი, ხვალ ხაზარულა „უთენია გაგორებული დაგხვდება, ჩვენი ხელათ მოვასორომგომორებ აქაურობასაო“ და დანაპირებიც აღასრულა.

და ვინ გამოდგა მართალი? ბებია თუ ბიჭი?

„მართალი გამოდგა ბიჭი. ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა გაყუჩებულ და ფოთოლგაცვენილ ხეს“. ირკვევა, რომ ის კარგად გრძნობდა თურმე თავისი ფესვების ბადეში გახვეულ ჭურს, რომელსაც ბზარი გასჩენია და წითელ სითხეს ზარტად გამოუყოფია. „ხაზარულამ შეისრუტა ეს წი-

თელი სითხე, მას უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში... ერთი შეკრთა ხაზარულა, მაგრამ თანდათან ის ჟრუანტელი გაურკვეველ სიამოვნებად გადაექცა და ახლა უფრო გატაცებით ჩაიკრა ჭური გულში; ქვევრი რამდენიმე ადგილას გასკდა და წითელი სითხე თქრიალით გამოსკდა".

მთელი წელიწადი უქსოვია ფესვების ბადე ხაზარულას ქვევრის ირგვლივ და არ სცოდნია, თუ მის გულში რა განძი ყოფილა მოთავსებული!

„ხე იყო ხაზარულა და არა ადამიანი, ამიტომ ის გააკეთა, რაც შეეძლო!"

ტორტმანებდა და გუგუნებდა შეზარხოშებული ხაზარულა და როცა დილით გვერდში დარტყმა იგრძნო და ბოლოს წაიქცა კიდეც, „არც მაშინ უგრძვნია რაიმე ტკივილი, თვალები დახუჭა მხოლოდ და ტკბილად, ძალიან ტკბილად და ღრმად დაიძინა".

მაგრამ ხაზარულას ცხოვრების მატიანე აქ არ თავდება. ბიჭი ჰყვება:

„მის გადანაჭერზე ჩამოვჯექი და გავშტერდი, ხის დედოშარღვიდან წითელი, სისხლისფერი სითხე მოჟონავდა", ხოლო როცა ჭურში ჩაიხედეს, იგი ცარიელი აღმოჩნდა. ბებიამ მარიამ ღვთისმშობელს აღუვლინა ლოცვა, ნუ გადამრევო, ხოლო როცა მძინარე ხაზარულას სიცივისაგან შეაჟრჟოლა, თვალი ისევ გაახილა, მაგრამ „მობუზული ბიჭი" და „ცაში ხელაპყრობილი შავოსანი დედაბერი რომ დაინახა, მიხვდა, ცოცხალი აღარ იყო და ისევ დახუჭა თვალები, დახუჭა სამუდამოთ".

აქ თავდება ნოველა, რომელსაც გინდა აკოცო!

* * *

ხაზარულა არაა რეალისტური ნოველა, უკეთ, იგი რეალისტური და პოეტურია, ერთსადაიმავე დროს, რამდენადაც „პოეტურობაშია" ჩვენ ვგულისხმობთ დაუჯერებელს, რომელიც გხიბლავთ!

ხეს სიცივე შეაჟრჟოლებს, თვალებს ახელს და როცა დარწმუნდება, რომ ცოცხალი აღარაა — სამუდამოდ ხუჭავს თვალებს! ბუნებაში ასეთი რამ არ ხდება, მაგრამ ნოდარ დუმ-

ბაძის მხატვრული პირობითობა ხელშეუვალია. ეს მაღალი ხელოვნებაა.

ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია: მხოლოდ ჭეშმარიტ ნიჭიერებას აჰყავს დაუჯერებელი ხელშეუხები აბსოლუტის რანგში ხელოვნებასა და ლიტერატურეში.

ე. წ. „ყოფითი რეალიზმის“ თვალსაზრისით ძნელი დასაჯერებელია ოდესღაც არსებობა ისეთი იმერეთისა, სტუმრისათვის ერთი პატარა ქათმის დაკვლას მთელი ოჯახის აწიოკება რომ გამოუწვევია. მაგრამ დავით კლდიაშვილი ამგვარი სცენების ასახვისას მხატვრულად გვარწმუნებს!

ისააკ ბაბელს იზიდავდა მარტოდენ ისეთი რამ, რაც არასოდეს მომხდარაო, — აცხადებენ მისი შემოქმედების მკვლევარნი.

ივანე ბუნინს სძულდა ყველაფერი, რაც თვალში საცემი სიცხადით იყო აღბეჭდილი მწერლობაში.

ხელოვნება სარკმელია, საიდანაც ავტორის მიერ ხელახლა დანახული სინამდვილე იშლება.

ჩეხოვს იმდენად უყვარდა პატარა, სიზმარეული სიუჟეტის მქონე „ტამანი“ ლერმონტოვისა, რომ მზად იყო: თუ მის მსგავს რასმე დაწერდა, მთელ თავის შემოქმედებაზე უარი ეთქვა!

ასე, ერთ კარგ ნოველას ან მოთხრობას შეუძლია დაგიპყროს, მაგრამ ბობორიკინის ან მორდოვცევის რომანებმა გულგრილი დაგტოვოს (რაოდენობა არ გადადის ხარისხში!), ამიტომაც შეიძლება არცერთი მათგანი ხელშიაც არ აიღოთ!

„ხაზარულა“ კი მუდამ დაუვიწყარი იქნება, — ვითომ მსიარულად, მაგრამ როგორი შემპარავი და სევდანარევი მუსიკალურობითაა მოთხრობილი მისი სიუჟეტი!

* * *

„ხაზარულა“ მხოლოდ კარგი სულის პატრონს შეეძლო დაეწერა. ეს კი მთავარია.

მე ვიცნობდი მას. იგი ღიმილის ხელოვნებას ფლობდა ზედმიწევნით, ირონიული ჭკუაც ჰქონდა, კიდევ მეტი: სარკაზმის ოსტატიც იყო.

ჩვენს ლიტერატურაში მარტო ნაწარმოები, თუნდაც შედე-

ვრი, არ წყვეტს მოქმედების ბედს. ნაწარმოებს უნდა მოსდევ-დეს ავტორის ბიოგრაფიული სიმდიდრეც. მეტიც: იგი თავის შემოქმედებაზე მაღლა უნდა იდგეს.

ეს გარემოება ერთადერთი გარანტიაა ერის, ნაციის კულ-ტურაში მწერლის საბოლოო დარჩენისა. საბას, ილიას, აკა-კისა და ვაჟას ქვეყანაში ამ შეხედულებას მტკიცება არ სჭირ-დება.

შეიძლება ნაწარმოები მოგეწონოს, მაგრამ ავტორს პა-ტივს არ სცემდე და არ გიყვარდეს იგი.

ნოდარ დუმბაძემ, როგორც რჩეულმა, თავისი სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

და ორივე — დამსახურებულად!

1985 წ.

## გურამ გვერდწითელი

### მზიანი გული

„დიახ... თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხე-ლოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...“ — ეტყვის პრო-ფესორი ბაჩანა რამიშვილს, ნოდარ დუმბაძის რომანის „მა-რადისობის კანონის“ გმირს, პროფესიით მწერალს.

თავად ნოდარ დუმბაძემ, სამჯერ ინფარქტგადატანილმა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე კატეგორიული უარი გა-ნუცხადა მკურნალ პროფესორებს ხელოვნური სტიმულატო-რების ჩადგმაზე, ამ გზითა და საშუალებით არავითარ შემ-თხვევაში არ ისურვა არსებობის გახანგრძლივება. ალეწილ-აფორიაქებული, თითქოს შეურაცხყოფილიც კი ჩანდა ამ თე-მაზე ექიმებთან საუბრის შემდეგ, რადგან ხელოვნური გულით ცხოვრება მისთვის წარმოუდგენელი იყო. ამის შემდეგ სულ მალე, რამდენიმე დღეში კიდეც დაემშვიდობა ამ ქვეყანას.

„...ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...“ — ეს სი-ტყვები გამოხატავენ ყველაზე უბრალო და ყველაზე დიდ აღი-

არებას, რაც კი მწერალმა შეიძლება დაიმსახუროს. და განა მარტო მწერალმა? ყოველი ადამიანისათვის, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს იგი, ამდაგვარი სიტყვები მისი არსებობის გამართლება იქნება. ასე გავლილი ხანმოკლე ცხოვრებაც კი ბევრად უფრო ლამაზია და სიკეთის კვალის დამმჩნევი, ვიდრე ხანგრძლივი, თუნდაც დაუსრულებელი სიცოცხლე, უფრო ზუსტად, ფიზიკური არსებობა ზოგიერთებისა, ვთქვათ, ისეთი პირებისა, როგორიც არის რედაქტორის მოადგილე იმავე რომანში, ვისაც ადამიანი არც ეთქმის.

ნოდარ დუმბაძის რომანში პროფესორს არც უფიქრია მედიცინის სასწაულებრივი პროგრესის თუნდაც ოდნავი დამცირება, მით უფრო გაბიაბრუება. ვერც იფიქრებდა, რადგან თავად არის ერთ-ერთი სასწაულმოქმედთაგანი. ეს სიტყვები — „ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ," — მისი აზრის მხატვრული, მეტაფორული გამოხატულებაა. ხელოვნური გული აქ ცივი, უსიყვარულო გულის სინონიმად არის ნახმარი და ჩვენც, შეუძლებელია, არ ვირწმუნოთ ის მარტივი და მარადიული კანონი, რაც გენიალური პოეტის სიტყვებით ასე გამოითქმის:

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ ერთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.

გალაკტიონ ტაბიძე

დიახ, ყველა და ყველაფერი, კეთილი და ადამიანური სიყვარულის დაღით არის დასმული, სიყვარულის ცეცხლით არის შთაგონებული, სიყვარულის ნათელით არის გასხივოსნებული. და ამას სიყვარულით აღგზნებული გულის ფეთქვა სჭირდება, ცივი და ხელოვნური გული ამის შემოქმედად არ გამოდგება.

ჰუმანიზმის ქადაგება უნაყოფოა, თუ მწერლის სათქმელი მისი ცხელი გულის გავლით არ მიდის მკითხველამდე, თუ

მისი სიხარული სულის ყიჟინი არ არის, თუ მისი მწუხარება ტკივილით დაფლეთილი ნერვებიდან არ გადმოგვეცემა. აუთრთოლებელი, მშვიდი, რიტმული, აი, ისეთი გულით ნათქვამი სიტყვა, რასაც მკურნალი სანიმუშოდ მიიჩნევს, თუნდაც უკეთილშობილეს გრძნობებსა და აზრებზე იყოს დახარჯული, მკითხველისათვის იგივეა, რაც კედელს შეყრილი ცერცვი.

ნოდარ დუმბაძეს უბრალოდ თბილი, კეთილი, თანამგრძნობი, მოსიყვარულე გული კი არ ჰქონდა, არამედ მისი გული სავსე იყო მზის სიმხურვალით და სინათლით.

იგი მზიანი გულით დაიბადა.

ნოდარ დუმბაძე. ეს სახელი და გვარი დღეს კარგად არის ცნობილი საქართველოშიც, საქართველოდან შორსაც და ძალიან შორსაც. ნოდარ დუმბაძის წიგნები ყოველ ქართულ ოჯახში იცრიცება გაუთავებელი კითხვით, ბევრი მოძმის კერის გულითადი, გაშინაურებული სტუმარია, უცხო ხალხებთან ქართული მწერლობის ღირსეული მოციქულია. მისი წიგნები გამოცემულია ყველა მოძმე რესპუბლიკაში და ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, მათი გავრცელების გეოგრაფია მსოფლიოს ყველა კონტინენტს მოიცავს, თითქმის ყველა ქვეყანას სწვდება.

მწერლის შემოქმედებას მკითხველის გარდა მაყურებელიც უამრავი ჰყავს. ნოდარ დუმბაძის ყოველი რომანი და, შეიძლება ითქვას, მოთხრობაც კი, უმალ იდგმებოდა სცენაზე, გადადიოდა ეკრანზე და მრავალი მილიონი მაყურებლის კუთვნილება ხდებოდა. დღესაც მრავალგან იდგმება მისი პროზაული ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები, უჩვენებენ მათ საფუძველზე გადაღებულ ფილმებს და ასე ყველგან და ყველას სწვდება ქართველი მწერლის სითბო და სულის ნათელი.

ათასობით წერილს იღებდა მწერალი. მისი გარდაცვალების შემდეგაც არ შემწყდარა წერილების ნაკადი. ერთი უკრაინელი გლეხი მწერლისადმი გამოგზავნილ მადლიერების ბარათში იწერებოდა, თქვენი წიგნის წყალობით ჩემს „ხატაში" სითბომ და სიმხიარულემ დაისადგურაო. ამ სიტყვებში უბრალოდ და უშუალოდ არის გამჟღავნებული ქართველი მწერლის შემოქმედებასთან ზიარებით განცდილი გრძნობა. დიდი მისნო-

ბა არ სჭირდება იმის თქმას, რომ ყველგან, რუსეთი იქნება თუ უკრაინა, სომხეთი თუ ნებისმიერი მოძმე რესპუბლიკა, იაპონია თუ ამერიკა, თურქეთი თუ სხვა ქვეყანა, სადაც კი მისი წიგნები გამოცემულა, შეუძლებელია, მკითხველებს, გულღიებსაც და გულჩათხრობილებსაც, მსგავსი განცდები არ ჰქონოდათ. არ ეგრძნოთ მწერლის სიკეთით, სიყვარულით სავსე სულის სითბო, ადამიანის ღირსების ღრმა რწმენით გასხივოსნებული სევდიანი იუმორის ნუგეში, ხალასი ნიჭის ბრწყინვალება...

დიახ, ნოდარ დუმბაძის გულში და შემოქმედებაში მზე ენთო და ანთია.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გავლენის ძალას ათას რამეს მიაწერენ: ღრმაადამიანურობასა და კაცთმოყვარეობას, სათნოებასა და სიკეთეს, იუმორსა და ხალხურობას, ნათელ რწმენასა და კიდევ ბევრ სხვას. მწერლის ამ „საიდუმლოებათა“ ჩამოთვლა ამით არ წყდება და არც შეიძლება შეწყდეს, რადგან ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ყველა მასაზრდოებელი სასიცოცხლო ძარღვის დაძებნა და გამომზეურება ძნელი და გრძელი საქმეა. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ხშირად მისი ნათელის სიკაშკაშით თვალმოჭრილნი, დამუხტული გრძნობებით აფორიაქებულნი, იუმორით სახეგაბადრულნიცა და თვალზეცრემლმორეულნიც ნაკლებად ვუფიქრდებით იმას, რომ ეს ყველაფერი მწერლის მარტო ღვთით მომადლებულ დიდ გულსა და ხალას ნიჭს კი არ მიეწერება, არამედ პროფესიონალურ ოსტატობაში დახელოვნების შედეგიცაა.

ქართველ მწერალთაგან იშვიათად თუ რგებია ვინმეს ისეთი პოპულარობა, როგორიც ნოდარ დუმბაძეს ხვდა წილად. ცხადია, აქ ჭეშმარიტ პოპულარობას ვგულისხმობ, მწერლის ნამდვილ ღირსებათა საყოველთაო აღიარებას რომ ნიშნავს. მწერლის პოპულარობის ერთ-ერთი საიმედო პირობაა უშუალობა და უბრალოება, ანუ ის მაცდუნებელი გრძნობა, როცა ამისი შემხედვარენი იმ ილუზიას ვერწმუნებით, რომ ამგვარი ცხოვრებას მიმსგავსებული მხატვრული სამყაროს შექმნა არცთუ ძნელი თუ შეუძლებელი უნდა იყოს. ამ მაცდური უბრალოებით მოხიბლულებს გვავიწყდება, რომ მხოლოდ დიდი ნიჭისა და ოსტატობის წყალობით, მათი შერწყმით თუ მიიღწე-

ვა, როცა ნაწარმოები იმ ღრმა და ანკარა ჭას ემსგავსება, რომ-ლის ფსკერზედაც აშკარად ვხედავთ კენჭების მოხაზულობასაც და ფერსაც.

ეს სიღრმე და მისი ამგვარი ნათელი ხილვა მწერალს, განსაკუთრებით პროზაიკოსს, მხოლოდ ნიჭის წყალობით არ დაჰ-ყვება, იგი ნიჭთან ერთად დიდი მეცადინეობით, ცხოვრების დაწაფებით, სხვათა გამოცდილების ზიარებით თუ შეიძინება. ეს იგრძნობა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში, თუმცა დღემდე არ დაგვიძებნია საფუძვლიანად მისი ინტერესების გამჟღავნე-ბელი ლიტერატურული წყაროები, მისი მწერლური ოსტატო-ბის ქრესტომათიული თუ მალული სახელმძღვანელოები.

ერთი თვალის გადავლებით ჯერ მხოლოდ ორიოდ სიტყვით შეიძლება იმის თქმა, რომ სრულიად აშკარაა ნოდარ დუმბაძის შემოქმედების სულის, განწყობილების, მანერის მეტ-ნაკლები ნათესაობა და გადაძახილი ქართულ ფოლკლორთან, დავით კლდიაშვილთან, ფიროსმანთან, დიკენსთან, როგორც მისი ერთ-ერთი გმირი იტყოდა, ქვეყნიერების მამასთან — სერვან-ტესთან. უფრო ღრმად თუ ჩავუკვირდებით, იქნებ სხვაც ბევრი შევამჩნიოთ, თუმცა ისიც ნამდვილია, რომ ხშირად ვერც და-კვირვებული თვალი სწვდება მწერლის შემოქმედების ქვეშეც-ნეულად მასაზრდოებელ ყველა წყაროს. ის უეჭველიც, რაც ერთბაშად ხილულია და რაზეც ზემოთ მივანიშნე, საკმარისია იმის სარწმუნოდ, რომ ისეთი ლოკალური სამყაროს ასასახავად და მხატვრული განზოგადების მისაღწევად, როგორიც დუმბა-ძის შემოქმედებაშია, მარტო გურიის ან თუნდაც მთელი სა-ქართველოს მასშტაბები არ არის საკმარისი და მას გაცილე-ბით ფართო თვალსაწიერი სჭირდება.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება უაღრესად ქართულია არა მარტო იქ გამოხატული გარემოთი და ხასიათებით, ცხოვრების წესითა და ჩვევებით, ყველა მთავარი თუ არამთავარი მხატვრუ-ლი კომპონენტით, არამედ, რაც მთავარია, ქართულია იმ ფე-სვებით, რომლითაც წარსულის ეროვნულ კულტურას უკავშირ-დება და იმ მაღლა განტოტვილი გვირგვინითაც, მომავლის მწერლობას რომ სწვდება წინაპართაგან შთამომავლობით მი-ღებული ეროვნული სულისა და მრწამსის გადასაცემად.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაცა და მთელი ცხოვრებაც

თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარულშია დახარჯული. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ერთისაც და მეორისაც საძსახური მწერლის უპირველესი და უწმინდესი მცნება ვასლდათ.

ამ სულით ხორცამდე ქართველი მწერლის შემოქმედების წარმატების მიზეზი მშობლიურ ქვეყანაში იოლი გასაგებია მისი აშკარად და მშვენიერად გამოხატულია ეროვნული ხასიათის გამო. სხვათა არანაკლებ ცხოველი ინტერესი, შესაძლოა, ვინმემ უცხო სამყაროს ყოფისა და ხასიათის მიმზიდველობის ძალით ახსნას. ალბათ, არც უამისობაა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ უცხო გარემოში და უცხო გმირებით დასახლებულ მხატვრულ სამყაროში ყოველი ეროვნების მკითხველი ნაცნობი, ახლობელი განცდებისა და ფიქრების თანამზიარი ხდება, რადგან ეს სამყარო უაღრესად ადამიანური და ნათელია. სწორედ ამ განზოგადების, ეროვნულიდან ზოგადადამიანურამდე ამაღლების ძალაში, ღრმა ოპტიმიზმისა და ჰუმანისტური სულისკვეთების უპირატესად ემოციურ, ლირიკულ გამჟღავნებაშია მწერლის გამარჯვების გასაღები.

ეს მშვენიერი თვისება ნოდარ დუმბაძის პროზას თავიდანვე დაჰყვა. როდესაც 1959 წელს ახლადდაარსებულ ახალგაზრდულ ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე მწერლის პირველი რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დაიბეჭდა, თითქოს ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ჰუმანიზმი მთელი თავისი უძლეველი ძალით ასეთ ყოფით და ლირიკული ტონალობის ნაწარმოებში შეიძლებოდა გამჟღავნებულიყო, რომ მისი გამომხატველები ისეთი უბრალო გმირები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, როგორიც ეს უცნაური და მშვენიერი ოთხეულია.

ამ რომანით არა მარტო ახალ მხატვრულ სამყაროს დაედო სათავე, არამედ ახალ ტენდენციას და ეტაპსაც კი ქართულ საბჭოთა მწერლობაში. პირველ რომანს ზედიზედ მოჰყვა მომდევნოები — „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დედა!“, „თეთრი ბაირაღები“, — მერე მოთხრობების კრებულები გამოქვეყნდა, შემდეგ კვლავ რომანი „მარადისობის კანონი“, ბოლოს ისევ მოთხრობები და ასე შეიქმნა ის განუმეორებელი, მომხიბლავი, ღრმად დამაფიქრებელი და დიდად ემოციური სამყარო, რასაც ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ჰქვია და ურომლისოდაც, უბრალოდ, წარმოუდგენელია მეოცე საუკუნის მეორე

ნახევრის ქართული მწერლობა. და არა მარტო ქართული, მწერლის მიელ შემოქმედებას პირველიდან ბოლო სტრიქონამდე ერთი მთავარი მკვეთავი არტერია აქვს, რომელიც ერთდროულად ეროვნულ და ინტერნაციონალურ სულს შთაბერავს მას.

ასეა შექმნილი ის მზიანი სამყარო, რომელიც ნოდარ დუმბაძემ თავის რომანებში და მოთხრობებში საკუთარი მზიანი გულის წყალობით დაგვიხატა და დაგვიტოვა.

დროის სწრაფ სრბოლას ყოველთვის უჩიოდა ადამიანი. ქართველმა ხალხმაც ამიტომ შექმნა არა უბრალო სიტყვა, არამედ მხატვრული სახე — წუთისოფელი. ბედნიერია, ვისაც ამ ჩქარ დინებაში, ცხოვრების ორომტრიალში არ დაუკარგავს, არ გაუფლანგავს ღვთით მომადლებული ნიჭი, ვისაც კმაყოფილებით შეუძლია გახედოს თუმც სწრაფად ჩავლილ, მაგრამ მადლიანია და ნაყოფით სავსე წლებს.

ნოდარ დუმბაძეს არამცთუ კმაყოფილებით, დიდი სიამაყითაც შეეძლო გაეხედნა გამოვლილი გზისათვის, ის კი არა, ჩვენ გვეამაყება მისი ცხოვრების აზრი და ნაყოფი, მაგრამ იგი თავად, სხვა სიკეთესთან ერთად, უაღრესად თავმდაბალი და სიმორცხვემდე მოკრძალებულიც კი იყო საკუთარი ღვაწლისა თუ ნიჭის შეფასებაში. გულით უხაროდა წარმატება, მაგრამ თითქოს უკვირდა კიდეც. ასეთი იყო თავიდან და ასეთი დარჩა ბოლომდე.

ჯერ კიდევ თითქოს გუშინ, მხოლოდ გუშინ იყო, საქმეო დარბაზი რომ იქცეოდა, როცა სცენაზე სადად, უფრო სწორად, ღარიბულად (ტილოს ფეხსაცმელებში!) ჩაცმული აწურული ახალგაზრდა მორცხვი და სევდიანი ღიმილით ადიოდა და საკუთარ ლექსებს ჩუმი ხმით კითხულობდა. მაშინ, ანუ ომისშემდგომ წლებში ნოდარ დუმბაძე უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი და ახალგაზრდობის კერპი იყო.

მერე თანდათან იზრდებოდა მწერლის შემოქმედება და პარალელურად ფანტასტიკურად იზრდებოდა მისი პოპულარობა, ბოლოს კი იმით დამთავრდა, რომ ნოდარ დუმბაძის სახელი მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი, მისი წიგნები თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში გამოიცა და, რაც მთავარია, ყველგან აღტაცება გამოიწვია.

მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისიდან დასასრულამდე სულ 35-იოდე წელია. ნოდარ დუმბაძე ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ არც ეს ხანია მწერლისთვის ცოტა და მას არამცთუ არ გაპარვია ეს წლები, რისი საშიშროებაც მრავალ ჩვენთაგანს თან გვდევს, არამედ მან საოცრად დიდი და მშვენიერი ნაყოფიც მოიწია და საყოველთაო აღიარებასა და სიყვარულსაც შეესწრო.

მან ლირიკით დაიწყო და მომხიბლავი ლექსებიც ჰქონდა, ბევრი მათგანი სიმღერებად იქცა, მერე მახვილგონიერებით სავსე იუმორისტულ მოთხრობებსაც წერდა და აქვეყნებდა ჟურნალ „ნიანგში", მაგრამ ის, რასაც ნოდარ დუმბაძის სამყარო ჰქვია და რისი საზღვრებიც ასე აშკარად არის გამოკვეთილი ქართული მწერლობის რუკაზე, რამაც მიიპყრო მისი თანამემამულეთა თუ მსოფლიო მკითხველის ყურადღება, მაინც მხატვრულ პროზაშია გამოხატული, ექვს რომანსა და ერთ მოთხრობების კრებულს მოიცავს. ამ მთავარი ნაყოფის მოწევა მწერალმა მეოთხედი საუკუნის (1959—84 წლები) მანძილზე შესძლო.

ეს მთავარი ნაყოფი მწერლისა მზიური სითბოთი და შუქით არის სავსე.

მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ნოდარ დუმბაძემ დაუშურვებლად მიუძღვნა სათაყვანებელ მშობელ ერსა და სამშობლოს, საბჭოთა ხალხსა და ქვეყანას. იგი იყო მგზნებარე მქადაგებელი ადამიანური სიკეთისა და სიქველისა, სამართლიანობისა და სიყვარულისა, კომუნისტური იდეებისა და მორალისა. მისი ნაწარმოებები თანამედროვე ქართული ცხოვრების უტყუარი და ამაღელვებელი, ამასთანავე, ამაღლებული მხატვრული მატიანეა. მისმა შემოქმედებამ სწორედ ამ დიდი მხატვრული სიმართლით, მაღალი იდეურობით, მომხიბლავი მშვენიერების ძალით დაიპყრო მკითხველთა გულები.

მწერლის რომანები და მოთხრობები, რომლებშიც ღრმა ცოდნითა და გულმხურვალეობით აისახა ხალხის ცხოვრება, მისი თაედადებული ბრძოლა, მაღალი იდეალების ხორცშესასხმელად, საუკეთესო სულიერი საზრდოა თანამედროვეთათვის და შთამომავალთათვისაც, მათი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი მრწამსის ფორმირების მძლავრი საშუალებაა.

ნოდარ დუმბაძე წარმოადგენდა ჭეშმარიტ ნიმუშს მწერლისას და მოქალაქისას, ამიტომაც მოხდა, რომ მან თავისი მწერლური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ხალხის სიყვარულიც უხვად მოიმკა და დიდი აღიარება და დაფასებაც ჰპოვა: იყო სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის, შოთა რუსთაველის და ლენინური კომკავშირის პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი... ყველა პატივი მან თავისი ელვარე ნიჭით და დიდი მოქალაქეობრივობით აღბეჭდილი მხატვრული სიტყვით დაიმსახურა, დაიმსახურა იმ შემოქმედებით, რომელშიც თვალნათლივ და მომხიბვლელად წარმოგვიდგება დიდი ჰუმანისტი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და ინტერნაციონალისტი.

ამ სიმაღლემდე და აღიარებამდე ვიდრე მიაღწევდა, მწერალმა რთული და დაძაბული ცხოვრების გზა განვლო. ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე დაიბადა თბილისში 1928 წლის 14 ივლისს ქართულ ინტელიგენტურ ოჯახში. ბავშვობა უშფოთველი და უზრუნველიც კი ჰქონდა — ოჯახური სითბო, წიგნები, სკოლა და ამხანაგ-მეგობრები. მაგრამ უღრუბლო წლები დიდხანს არ გაგრძელებია. ცხრა-ათი წლისამ დაჰკარგა მშობლები, მამა სამუდამოდ, დედასთან შეხვედრა ათეული წლების შემდეგ თურმე კიდეე ეწერა, ოღონდ მაშინ ამას ვერავინ იფიქრებდა. ამ მძიმე განსაცდელს ომის ავბედითი ხანაც მოჰყვა და ობლად დარჩენილი ნოდარი იძულებული გახდა მშობლიურ სოფელ ხიდისთავში გაეტარებინა დაჭაბუკების წლები. სწორედ აქ, გურიის ლამაზ და მადლიან მხარეში, მშრომელი ხალხის სიყვარულით გარემოსილმა იგრძნო, გაიაზრა და იწამა სიკეთის ის ადამიანურობა, მშვენიერება და უძლეველობა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და რამაც განსაზღვრა შემდგომ მთლიანად მისი შემოქმედების თემატიკა და პათოსი.

სტუდენტობის ასაკში, უკვე მოწიფული ყმაწვილი, კვლავ დაუბრუნდა კარგა ხნით მიტოვებულ მშობლიურ თბილისს. ცხადია, აქ მას ადაპტირება არ დასჭირვებია, რადგან „ქალაქელი“ ბიჭი იყო, თანაც, როგორი ქალაქელი, ვერელი, ანუ

ახალგაზრდობისათვის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულუბრე-ლი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს იქვე მუშაობდა ლაბორანტად, შემდეგ ახალდაარსებულ ახალგაზრდულ ჟურნალ „ცისკარში" .თანამშრომლობდა, იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო კოლეგიის წევრი, სატირული ჟურნალის „ნიანგის" რედაქტორის მოადგილე, მერე მისი მთავარი რედაქტორი, აქედან გადავიდა მწერალთა კავშირში ჯერ მდივნად, მერე კი თავმჯდომარედ.

მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ დუმბაძის ცხოვრება თანდათან და სულ უფრო, თითქოს, ბედნიერად აწყობ, ყოველ შეხვედრაში, მისი შემოქმედებითი წარმატებების შემყურე უცხო თვალისათვის ასე ჩანდა, ტრაგიკული განსაცდელი მას და მის ოჯახს მუდმივად სდევდა თან. ბევრი მსხვერპლის გადება მოუხდა, მაგრამ იშვიათად წამოსცდენია აქეს გაცი ბედის სამდურავი სიტყვა. მხოლოდ ერთხელ, მახსოვს, სულ ახალგაზრდა სიძეც რომ დაეღუპა (ნიჭიერი, აშკარად იმედიანი მომავლის მქონე, პროზაიკოსი ჯემალ თოფურიძე), თავისთავს ხმამაღლა ჰკითხა, ნეტა რით ვერ გამოსცადა განგებამ ჩემი ჭირთათმენა, რომ განსაცდელს განსაცდელზე მატებსო თავს.

ნოდარ დუმბაძე მზიანი გულით დაიბადა და ვერავითარმა სიდუხჭირემ თუ განსაცდელმა, არამცთუ ვერ ჩაუქრო, ვერც კი გაუნელა მას სითბო და სიყვარული ვერც როგორც პიროვნებას და ვერც როგორც შემოქმედს. ვინ იცის, ეგებ სწორედ ამ სიდუხჭირემ და განსაცდელმა გაუმძაფრა ეს გრძნობები, უფრო გასაგები გახადა მისთვის სიკეთის ფასი?

ერთი ცხადია, რომ მისთვის ყველა და ყველაფერი ერთი უმთავრესი საზომით — სიკეთის ძალით იზომებოდა. ერთხელ, როდესაც სატელევიზიო გადაცემის დროს ინტერვიუერმა ჰკითხა, როგორ გგონიათ, რა თვისებები უნდა გააჩნდეს ინტელიგენტს, ნოდარმა დაახლოებით ასე უცნაურად უპასუხა: ინტელიგენტი კაცის ნიმუშად ბაბუაჩემი, სოფელში მცხოვრები გლეხკაცი წარმომიდგენიაო. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ასეთ განსაზღვრებაში წარმატებით შეგვიძლია ვეედავოთ ავტორს, არამედ მთავარი ის გახლავთ, რომ ნოდარ დუმბა-

ძისათვის ნებისმიერი პიროვნების, ადამიანთა ჯგუფის, სოციალური ფენის თუ მთელი საზოგადოების რაობის გასარკვევად უპირველესად სწორედაც გულისხმიერების და სიყვარულის უნარი მიიღება მხედველობაში. თავად კი მარილაც იყო განსახიერება ჭეშმარიტი ინტელიგენტისა. მას მუდამ სადად და უბრალოდ ეცვა, საგარეო კოსტიუმის ტარებას სამუშაო ტანსაცმელს არჩევდა. იგი გარეგნული ნიშნებით კი არა (მაგალითად ჰალსტუხით), თავისი ცხოვრების წესით იყო სულით ხორცამდე ინტელიგენტი — ზრდილი, თავშეკავებული, განათლებული, კეთილგანწყობილი, პროფესიონალი, ფართო თვალსაწიერით და ინტერესებით. ზედმიწევნით კარგად იცოდა არა მარტო ქართული, არამედ რუსული და მსოფლიო კლასიკა, თანამედროვე მწერლობა, ბევრის, განსაკუთრებით კი მარკ ტვენის და ჩეხოვის არამცთუ ყოველი ნაწარმოები, ყოველი ფრაზაც კი ღრმად ჰქონდა მეხსიერებაში ნაბეჭდილი, იცნობდა მხატვრობას, მუსიკას (თავად მშვენივრად მღეროდა და ხატავდა კიდეც), ისტორიას, ფილოსოფიას... თუმცა თავისი ცოდნის დემონსტრირებით არასოდეს დაუმძიმებია საკუთარი რომანები და მოთხრობები, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ნიჭიერ მხატვრებსაც კი ემარცებათ ხოლმე.

მან ცხოვრებიდანაც და წიგნებიდანაც მხოლოდ სიყვარული მიიღო და იწამა. მიუხედავად იმისა, რომ ბოროტებასაც და უკეთურებასაც მრავალს გადაეყარა, მაინც სიკეთის გაკეთილი იყო მისთვის მთავარი.

ამიტომაც ირჩია საკუთარ შემოქმედებაში მზე მთავარ მეტაფორად, სიმბოლოდ, პერსონაჟადაც კი.

ერთხელ დიდმა ილიამ როგორღაც თქვა, კაცმა ისე უნდა იცხოვროს, ისე უნდა მოიხადოს თავისი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ ტირილით ნაშობი სიმღერით და სიცილით გამოესალმოსო წუთისოფელს. 1984 წლის 14 სექტემბერს ასე სიცილით და სიმღერით წავიდა ეს მზიანი გულის კაცი იმქვეყნად. მის ბოლო ფრაზებსაც არ დაჰკლებიათ დუმბაძისეული იუმორი, ხოლო სიკვდილის წინ მეგობრებს უშაკური ღიმილით მიუხმო, სიცოცხლის ნიშატღაცლილი

ხელი გადახეია და მათთან ერთად უკანასკნელად იმღერა. სიმღერა მაგნიტოფონის ფირზე რომ არ იყოს ნაწერილი, არამცა და სხვებს, იქნებ ამის შემსწრეთაც კი არ გვერწმუნა ეს საოცრება, დავეჭვებულიყავით და საკუთარი ფანტაზიის ნაყოფად მიგვეჩნია.

მზიანი გულის კაცი იყო და მზე მიაცილებდა მას ცხოვრების უკანასკნელ გზაზე. სექტემბრის თბილისში მზე თითქოს მაინცდამაინც დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ ჯერ ერთი, არც ისეა საქმე, რომ ლონდონში მუდამ ნისლი იდგეს, თბილისში კი — დარი, მეორეც კიდევ, მზეც არის და მზეც. იმ დღეს ნოდართან გამოსასალმებლად მოსულ ზღვა ხალხს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ცენტრალურ ქუჩებში, სოლოლაკიდან ვაკემდე, სამგლოვიარო გზაზე ნემსი არ ჩავარდებოდა) თავზე ღაჰნათოდა არაჩვეულებრივად კაშკაშა, თანაც არა მხურვალე და შემაწუხებელი, არამედ თბილი და მოალერსე მზე.

ეს მზიანი გულის კაცი მზემ მიაცილა „მზიურამდე". ასე ჰქვია მდინარე ვერეს ხეობის იმ მშვენიერ საბავშვო, პიონერულ ქალაქს, რომელიც ნოდარის ინიციატივით გაშენდა და სახელიც მის მიერვე აქვს შერქმეული.

რაღაც ღრმად სიმბოლური რამ არის ამაში, რომ სწორედ აქ და ამ სახელწოდების ადგილას, „მზიურში" დაედო საძუდამო ბინა ნოდარ დუმბაძეს.

ყოველი ადამიანის ცხოვრება განუმეორებელია. ცხადია, განუმეორებელია ყოველი მწერლის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზაც. გამორჩეული იყო ნოდარ დუმბაძის მოსვლაც ქართულ მწერლობაში და შემდეგ კი მთელი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიაც.

სიცოცხლეში უღიარებელ, ან ნაკლებდაფასებულ ჭეშმარიტ მწერალთა ხვედრი, რისი ტრაგიკული თუ დრამატული მაგალითები წარსულში არცთუ იშვიათი იყო, ახლა, ღვთის მადლით, აღარ შეიძლება გაიზიარონ თანამედროვეებმა. სხვა დროა და სხვანაირად ეწყობა შემოქმედის ბედი. მაგრამ მაინც ზოგის სახელის აღიარება უფრო დინჯად, ძნელად, იქნებ დაგვიანებითაც შეიძლება მოხდეს, ნოდარ დუმბაძემ კი

ერიბაშად, პირველივე რომანით დაიპყრო მკითხველთა გულები.

მე უკვე საყოველთაოდ აღიარებული მწერალი ვიყავი, როცა მწერალთა კავშირში მიმიღესო, — იტყოდა ხოლმე იგი. ამას ბაქიობით არ ამბობდა. ასეთი იყო მისი მეტყველების მანერა, ისევე, როგორც წერისა. ყოველი მისი ფრაზა იუმორით იყო შეფერილი. ამას ადვილად ირწმუნებს ყველა, ვინც ნოდარ დუმბაძის რომანებსა და მოთხრობებს, თუნდაც პუბლიცისტურ და ლიტერატურულ წერილებს იცნობს ან გაეცნობა. ამასთან ერთად, ყოველი მისი ფრაზა მართალიც იყო. იგი მართლაც საოცრად პოპულარული გახდა პირველივე რომანით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", რომელიც ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე დაიბეჭდა 1959 წელს.

მართლაც ბედნიერი ლიტერატურული დებიუტი შედგა მაშინ, მაგრამ არც ისე უშფოთველი და იოლი, როგორც ეს შორიდანა ჩანს. დღეს შეიძლება ბევრს აღარ ახსოვდეს, ან კიდევ უფრო ბევრმა სულაც არ იცოდეს, რომ ნოდარ დუმბაძის დიდი შემოქმედებითი გზის დასაწყისი საკმაოდ ხაჭოჭმანო და ძნელი იყო. „ცისკრის" ფურცლებზე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", ეს დიდი დრამატიზმით სავსე რომანი, პეტიტით აწყობილი ბოლოში, იუმორის განყოფილებაში დაიბეჭდა, ვითომ ბევრს ნურაფერს მოსთხოვთ, სერიოზულად ნუ მიიღებთ, გასართობი რამააო.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი ძვრები ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც 50-იანმა წლებმა მოიტანა თან. ამან ძირეული განახლება გამოიწვია ყველა სფეროში, მათ შორის ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ამ სიახლის ნაყოფი თვალსაჩინოა და ძალზე მნიშვნელოვანი მთელ საბჭოთა მწერლობაში. ქართულში კი მას სათავე დაუდეს „ცისკრელებმა" (ასე ეწოდა 1957 წელს დაარსებულ ახალგაზრდულ ჟურნალთან შემოკრებილ თაობას), რომლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იმთავითვე იყო ნოდარ დუმბაძე.

მაგრამ ძველის ინერცია ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ამიტომაც შეხვდა ცისკრელთა თაობას დიდი წინააღმდეგობა. ნოდარ დუმბაძის პირველი რომანი კი, მიუხედავად მკითხველთა

ერთსულოვანი აღიარებისა, ზოგი იმ მწერლისა და კრიტიკოსის მიერ, ვისაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი პომპეზურობა და მაღალფარდოვნება (ხშირად სიყალბეში რომ იზრდებოდა), ქართული რომანის დეგრადირების სიმპტომადაც კი იქნა გამოცხადებული თავისი ვითომცდა არასერიოზულობის გამო. მკითხველმა, ჯანსაღმა აზრმა, მერე კი დრომ ყველაფერი გაარკვია და დააფასა. ღღეს ნოდარ დუმბაძის მხატვრული სამყარო ღრმად არის დამკვიდრებული ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიულ პროცესშიც და მის საერთო საგანძურშიც, უფრო დიდი მასშტაბითაც, საბჭოთა მრავალეროვნული მწერლობის მასშტაბითაც.

ნოდარ დუმბაძე თავის რომანებში ძირითადად ახალგაზრდა კაცის ზნეობრივი ფორმირების პრობლემებს დასტრიალებს თავს, არც თხრობის მანერას ცვლის — ისევ ცრემლიანი იუმორით მოაქვს მკითხველამდე თავისი დიდი და მართალი სათქმელი. ზოგთათვის ამან ერთფეროვნების იერი შეიძინა და ყოველ ახალ რომანთან დაკავშირებით ამგვარი „სიშიშროების“ გამო აქა-იქ გაისმოდა კიდეც კანტიკუნტი საყვედურები. იმასაც გაიგონებდით, მეტისმეტად ავტობიოგრაფიულიაო მისი რომანები. ეს მხოლოდ ფაქტობრივად თუა მართალი, არსებითად კი არა.

მწერალთა დიდი ნაწილი თავისი თაობისა და დროის ცხოვრებას აღწერს. არა ერთი დიდი ნაწარმოები დაწერილა ავტობიოგრაფიულ მასალაზე, ხახგასმით ავტოგრაფიულზეც. ამისი ნიმუშები იმდენად ბევრია და ადვილად გასახსენებელი, რომ აღარც მოვიტან. მთავარია, რა მხატვრულ განზოგადებას იძენს ეს მასალა. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისადმი საყოველთაო ინტერესმა ძალდაუტანებლად გასცა ამ კითხვას პასუხი.

ისიც მართალია, რომ ნოდარ დუმბაძის რომანები ერთი ციკლის ნაწარმოებებია და სტილიც ერთიანია მათი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ერთფეროვნებას. ეს უფრო სტილის ერთგულებაა, ვიდრე ერთფეროვნება. ასეთი ერთგულების გარანტია ნიმუში შემოვვინახა ლიტერატურის ისტორიამ? ან, განა თანამედროვე მსოფლიო მწერლობაში ბევრმა თქვა

უარი ამ ერთგულებით განპირობებულ „ერთფეროვნებაზე“? მაშ, ნოდარ დუმბაძისა რად უნდა გაჰკვირვებოდა ვინმეს? ეს ხომ მისი სამყაროა, ეს ხომ მისი სტილია. ერთიცა და მეორეც უაღრესად ორიგინალურია, ნოდარ დუმბაძისეულია და ბევრი ვერ დაიკვეხნის ასეთი გამორჩეული, ამაღელვებელი მანერის მიგნებას, ასეთი მნიშვნელოვანი, მრავლისმთქმელი მხატვრული სამყაროს შექმნას.

ნოდარ დუმბაძის რომანებიცა და მოთხრობებიც დიდი სინათლით არის სავსე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მწერალი იდილიურ სამყაროს შეჰყურებს, უბრალოდ ეს მისი სულის ნათელის წყალობაა, მისი რწმენისა და იმედის გამოა, თორემ დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ნოდარ დუმბაძეს, უპირატესად, ჩვენი ცხოვრების დრამატიზმით დამძიმებული გარემოებები აინტერესებს. ეს ინტერესი ცხოვრების მართლად და ღრმად, განვითარების მთავარი ტენდენციებით წარმოსახვის წადილითაა ნაკარნახევი, აგრეთვე იმის რწმენითაც, რომ ამგვარი გარემოებები უკეთ წარმოაჩენენ მაღალი ზნეობის ადამიანებში მოქალაქეობრივი გრძნობებისა და სულიერი სიმტკიცის წრთობას.

წუთისოფელი ტკბობისა და ნებივრობისათვის არ არის მოგონილი. იგი სიკეთის დასამკვიდრებლად გარჯითა და ბრძოლით გასავლელი გზაა. მხოლოდ ამ გზაზე მოუღლელი სვლა ალამაზებს ადამიანს, ამ გზაზე დაძლეული წინააღმდეგობები ამაღლებს მას. ამ განსაწმენდელ გზაზე მიაბიჯებენ ნოდარ დუმბაძის გმირებიც და იუმორი, რომლითაც სავსეა და ასე მომხიბლავია ეს სამყარო, უმიზნო მხიარულებისათვის კი არ არის მოხმობილი, არამედ განცდათა შესამსუბუქებლად.

ამ მიზნით მოიხმეს იგი ადრე სხვებმაც. დიახ, მართალია, რომ დავით კლდიაშვილის ცრემლიანი ღიმილით ჩვენ ტრაგიკულ სამყაროს ვჭვრეტთ. ეს უებარი საშუალება დიკენსთანაც უმძიმესი სურათების ხილვით გაოგნებული მკითხველის სულის მოსათქმელად არის მოშველიებული, ფიროსმანის ტილოებზეც თითქოს კომიკურ პერსონაჟებს და ცხოველებსაც საოცრად სევდიანი, გულისამაჩუყებელი გამომეტყველება აქვთ, სერვანტესსაც ხომ მხოლოდ ამ ღვთაებრივი ნიჭის გამო აქვს შერქმეული დუმბაძის გმირის მიერ „ქვეყნიერების მამა“.

ნოდარ დუმბაძის იუმორს კიდევ სხვა დანიშნულებაც აკეთილშობილებს. იგი ცრემლიანი ღიმილით მარტო თანაგრძნობას კი არ იწვევს, არამედ სიკეთის გამარჯვების ღრმა რწმენასაც გამოხატავს. აქ წარმოსახულ სამყაროში ტრაგიზმის გარდუვალი სოციალური საფუძველი ნაკლებ არსებობს და გმირებს უფრო ზნეობრივი სიმახინჯის გამო დატრიალებულ დრამატულ სიტუაციებში უხდებათ საკუთარი სულის წრთობაც და სხვათა ვაჟკაცური თანადგომაც.

ნოდარ დუმბაძის რომანების ახალგაზრდა გმირმა ბევრი გასაჭირი და განსაცდელი გამოიარა: ომისდროინდელი უმამაკაცო სოფლის სიმძიმეც დააწვა ძვალგაუმაგრებელ მხრებზე ტვირთად („მე, ბებია ,ილიკო და ილარიონი“, „მე ეზედაე მზეს“), ბოროტების ხანმოკლე ზეიმის გამო ობლობის სიმწარეც არ ასცდა („მზიანი ღამე“), არც ჭაბუკობის ხანაში დაკლდა მძიმე სულიერი ტრავმების გადატანა („ნუ გეშინია, ღედა!“), უდანაშაულო დამნაშავის ხვედრიც ერგო წილად („თეთრი ბაირაღები“), მერე სარეცელს მიჯაჭვული ებრძოდა სიკვდილს („მარადისობის კანონი“).

რომანებში მხოლოდ დრო და ადგილი კი არ იცვლება, არამედ, რაც მთავარია, კონფლიქტები და კომპლექსები, რომლებსაც სულ განსხვავებული მწარე განცდები მოაქვთ ადამიანებისათვის და გმირების გაშიშვლებული სულის ახალ-ახალ ჭრილობებზე მიგვაქცევინებენ ყურადღებას.

ამ განსხვავებულ, დამოუკიდებელ რომანებს ზოგი რამ, და ძალიან მნიშვნელოვანი რამ, საერთოც აქვთ. ვთქვათ, იმ გარემოებამ, რომ ყველა რომანი ახალგაზრდებზეა დაწერილი და მათი ბიოგრაფიები პრინციპულად არ გამორიცხავენ ერთმანეთს, შეიძლება გვაფიქრებინოს, თითქოს, ეს ერთი გმირის შესახებ შექმნილი ვრცელი ეპოპეის ნაწილებია. ამ შთაბეჭდილებას ისიც ამაგრებს, რომ გმირები თუმცა განსხვავდებიან, თავისი ხასიათით,ერთმანეთისაგან, მაინც ბევრი რამით ჰგვანან კიდევაც ურთიერთს, რაც მთავარია, სიკეთისადმი გაგაზრებული და ქვეცნობიერი ლტოლვით ერთნაირად ნათელდადგმულები არიან. რომანიდან რომანში გადადის დედის სახეც და ასე მომხიბლავია იგი. აქაც მსგავსება თვალსაჩინოა, მაგრამ უმთავრესად ერთი გარემოების წყალობით: დედა ნოდარ-

დუმბაძის შემოქმედებაში ყველგან მზიანი ღამის ხატია, ღმერთად ყავთ შერაცხული გმირებს და სიმბოლიკამდე ამაღლებული მონუმენტურობა თითქოს აფერმკრთალებს ამ სიმბოლოს მატარებელ სახეებზე ღრმად დამსნეულ ცოცხალ შტრიხებს.

ამას გარდა, ლირიზმის ძლიერი, გამჭოლი ნაკადი ნოდარ დუმბაძის რომანებში კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ავტორის განწყობილებას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი შეუმჩნეველად მონაწილეობს კიდეც მოქმედების განვითარებაში და ერთგვარად ლირიკული გმირის მაგვარ ფუნქციებსაც კისრულობს. ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მისი ყველა რომანი ავტობიოგრაფიულ ნიშნებსაც ატარებს, ნათელი გახდება მათი ერთმანეთთან ორგანული კავშირი.

მწერლის მთელი შემოქმედება ადამიანისა და მზის დიდებული საგალობელია. მისი გმირები სიკეთითა და კეთილშობილებით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, ხალისითა და ცხოვრების წყურვილით, სიამაყითა და თავმდაბლობით, სიძლიერითა და გულისხმიერებით არიან სავსენი და ამ მშვენიერი ადამიანების მფარველად და ნუგეშად კაშკაშებს მზე დღისითაც და ღამითაც, როგორც სიმბოლო ამქვეყნიური სანათლისა და სითბოსი.

მწერლის ყოველ რომანსა თუ მოთხრობას, რაოდენ მძიმე განცდებსაც უნდა გვაზიარებდეს იგი, მუდამ იმედიანი ფინალი აქვს, რადგან ავტორის ღრმა რწმენით, ადამიანი, მზე, სიცოცხლე მარადიულია.

ცხოვრების ეს იმედიანი ხილვაა ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ძალა და მშვენიერება. მისი სიყვარულით სავსე გულის ფეთქვა ძლიერად ისმის ყოველი მოთხრობიდან თუ რომანიდან, საოცარი გადამდები თრთოლვით ავსებს მათ და ადამიანებს ტკივილთა დაძლევისაკენ, თანაგრძნობისა და თანადგომობისაკენ მოუწოდებს. მწერლისათვის სიცოცხლე მთელი მისი ავ-კარგით დიდებულია, აღტაცების ღირსია და ამ ბედნიერი განცდის თანაზიარს გვხდის ჩვენც, მის მკითხველებს.

ეს ყველაფერი მართალია და მაინც, მიუხედავად ამ სა-

ერთი ნიშნებისა თუ თვისებებისა, შესაბამისი მსგავსებისა, ნოდარ დუმბაძის ყოველი რომანი სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული ორგანიზმია, რომელსაც თავისი განუმეორებელი სიცოცხლით ცხოვრება უწერია, რომელსაც მხოლოდ მისი საკუთარი ტკივილები და სიხარული გააჩნია.

ძნელია იმის თქმა, ნოდარ დუმბაძის რომელი რომანი უფროა დამძიმებული დრამატიზმით. თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ძალით შეეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, თუ მათში წარმოსახული ბოროტისა და კეთილის ბრძოლის მასშტაბებით გავზომავთ, ცხადია, სამამულო ომის დროინდელ ცხოვრებაზე დაწერილი რომანები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“ გადასწონიან სხვებს, თუმცა მძიმე განცდები არც სხვა, მომდევნო რომანების გმირებს დააკლო აეტორმა, დააკლო კი არა, ეგონეს, მათ უფრო მეტადაც კი დაატეხა თავს ტრაგიკული თუ დრამატული განსაცდელი, რაკიდა უფრო გვიანდელი რომანების მოწიფულ და დავაჟკაცებულ ვმირებს მეტად აქვთ გაცნობიერებული ამ განსაცდელის წარმომშობი მიზეზები.

მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ათეული მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ყველაზე დიდ და ტრაგიკულ მოვლენად რჩება კაცობრიობის ისტორიაში. მართალია, კეთილმა სძლია ბოროტს, ნათელმა გაიმარჯვა ბნელზე, საბჭოთა პატრიოტიზმის უძლეველობაც ყველასათვის აშკარა გახდა, მაგრამ ათეული მილიონობით უდანაშაულო ადამიანის წმინდა მსხვერპლი და გადაბუგულ-დანგრეული სამყარო დღესაც მაინც ტრაგიკულად განგვაცდევინებს იმ წლებს.

სწორედ დიდი სამამულო ომის წლებში იზრდებიან და ვაჟკაცდებიან ნოდარ დუმბაძის პირველი რომანების — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ და „მე ვხედავ მზეს“ გმირები ზურიკელა ვაშალომიძე და სოსოია მამალაძე, სწორედ ამ ომით არის დაღდასმული მათი ბავშვობის ხანა და მათ სულში ღრმად დამჩნეული ეს ტკივილიანი დაღი ცხოვრების მთელ მანძილზე ვაჰყვებათ. თუმცა ტკივილიან დაღთან ერთად გაჰყვებათ ის საოცარი ადამიანური სიყვარულის, თანაგრძნობის ვაკეთილებიც, რომელთა ასეთი ძალით და მშვენე-

ბით გამოყენება ალბათ მხოლოდ საერთო-სახალხო განსაცდელის ჟამს თუ შეიძლება.

ერთი პატარა ქართული სოფლის ომისდროინდელი ცხოვრებაა ამ ორ რომანში წარმოსახული, სოფლისა, რომელსაც არ მასწავლომია ქვემეხების გრიალი და საკუთარი თვალით არ უნახავს არც საბჭოთა მეომრების დაღვრილი წმინდა სისხლი ღა არც მომხდურთა გვამები, მაგრამ მწერალმა ომის მთელი საშინელებაცა და საბჭოთა ხალხის უმაგალითო პატრიოტიზმიც დიდი შთამბეჭდაობით გაგვიხსნა, გვაგრძნობინა, განგვაცდევინა. ერთი შეხედვით, არაფერს განსაკუთრებულს არ აკეთებენ ამ რომანების გმირები თუ პერსონაჟები, მაგრამ მათი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, თავდადებისათვის შინაგანი მზადყოფნა ნათელია მკითხველისათვის.

ამის სარწმუნოდ თუნდაც ის ერთი ეპიზოდიც იკმარებს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან", როცა სოფელი ფრონტელთათვის საჩუქრების გასაგზავნად აფუსფუსდება. არადა, არა ერთი და ორი ეპიზოდია ამ რომანში ასეთი უშუალობითა და დამაჯერებლობით საკვე, სადაც სოფლის ერთსულოვნება, ჭირთათმენა, უდრეკი ნებისყოფა მთელი ძალითა ჩანს. მართლაც განუმეორებლები არიან ამ რომანის გმირები. მათი ლაპარაკის, აზროვნების, ქცევის მანერა იმდენად ინდივიდუალურია, ათას სხვაში შეუმცდარად გამოირჩევიან, მაგრამ, ამასთან ერთად, ისინი საბჭოთა ადამიანის უაღრესად ტიპიურ სახეებს განეკუთვნებიან და ამაშია მათი მომხიბლაობაც და მხატვრულ-შემეცნებითი მნიშვნელობაც. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მეორე იმგვარი ბებია, როგორიც ზურიკელას ჰყავს, თუმცა ერთდროულად იგი, საერთოდ, ბებიის კლასიკური სახეა. ეს რომანიდანაც შეუმცდარად იკითხება და სესილია თაყაიშვილის მიერ ეკრანზე ამავე სახელწოდების ფილმში განსახიერებული კიდევ უფრო დამარწმუნებელი ხდება. იგივე ითქმის ზურიკელას მოხუც მეგობრებზე — ილიკოსა და ილარიონზე, ამ თითქოს დაჩაჩანაკებულ ბერიკაცებზე, რომელთა სულიერი სიმხნეევ და ადამიანებისადმი სიყვარული, სიკეთის თესვის ბუნებრივი წადილი სწორედაც ძლიერ პიროვნებებად წარმოგვიდგენს მათ.

რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მთავარი სა-
თქმელი სწორედ ის გახლავთ, რომ ალამიანებს ერთმანეთი-
სათვის ზრუნვა, სხვათა თანადგომა, მოყვასის ჭირისა და
ლხინის გაზიარება, ირგვლივ სიკეთისა და სიყვარულის თე-
სვა ალამაზებს, და არა მარტო ალამაზებს, აყალიბებს კიდეც
ჭეშმარიტ მოქალაქეებად. და ეს თითქოს უბრალო, მაგრამ
დიდი და სერიოზული სათქმელი რომანში საოცარი იუმო-
რითაა გახსნილი, იმ დუმბაძისეული იუმორით, რომლის სხვა-
თა სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია, მსოლოდ ავტორის
თხრობით უნდა შეიგრძნოს მკითხველმა.

მძაფრი დრამატიზმით არის დამუხტული ნოდარ დუმბაძის
მეორე რომანიც „მე ვხედავ მზეს“, სადაც დიდი სამამულო
ომის ხანის განსაცდელი და გასაჭირი კიდევ უფრო ხელშე-
სახებად, მეტი სიმძიმით შემოდის ნაწარმოებში. ის საყო-
ველთაო სახალხო უბედურება, რაც თანა სდევდა ჩვენი ქვეყ-
ნის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გერმანულ ფაშიზმთან
და ის ერთსულოვანი გმირული შემართება, საბჭოთა პატრი-
ოტიზმის ყოვლისმძლეობა, რაც ყველაზე ნათლად სწორედ
იმ წლებში გამჟღავნდა, მთელი მხატვრული ძალით და და-
მარწმუნებლობით არის გახსნილი ამ რომანში. და აქაც თხრო-
ბა ლირიული იუმორით არის გამთბარი, იუმორით, რო-
მელიც გვაგრძნობინებს, რომ ხალხს იმ საბედისწერო ჟამსაც,
თვით უმძიმეს ვითარებაშიც კი არ დაუკარგავს სიცოცხლის
წყურვილი და იმედი, ბრძოლის ჟინი და რწმენა საკუთარ
სიმართლეშიც და მის გამარჯვებაშიც;

რომანში „მე ვხედავ მზეს“ მარტო ხატია, ეს უსინათლო
გოგონა კი არ ხედავს მზეს, რაც მისი განკურნების იმედს
გვინერგავს, არამედ ყველაა, მთელი მოსახლეობა სოფლისა,
მათი სახით კი მთელი საბჭოთა ხალხი ხედავს მზეს, რო-
გორც გადარჩენის, გამარჯვების, სიცოცხლის და სიკეთის
ზეიმის რწმენის სიმბოლოს.

ნოდარ დუმბაძის რომანებში საერთოდაც და კერძოდ,
„მზიან ღამეშიც“ დროცა და გარემოც ლოკალიზებულია, მაგ-
რამ ეს ავტორს ხელს არ უშლის ფართოდ და მძაფრად და-
აყენოს მკითხველის წინაშე თანამედროვე ცხოვრების პრობ-
ლემები. ეს რომანები, რაგინდ განსხვავებულნიც არ უნდა

ოყვნენ, შეიძლება ითქვას, ერთი დიდი პრობლემის, თანამედროვე ახალგაზრდობის ზნეობრივ-მოქალაქეობრივი სახის გარკვევას ისახავენ მიზნად. აქ ყურადღების ცენტრში ჩვენი დროის ახალგაზრდები არიან და მათი საზოგადოებრივი ყოფის, შინაგანი განცდების, ეჭვების, იმედების, ცხოვრებასთან დამოკიდებულების, კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების გრძნობის და ამ გრძნობების ახსნის შესახებ ეკვესაუბრება მწერალი. ავტორი არ ერიდება ცხოვრების მძაფრ ხედვას, გულწრფელად და უშუალოდ გვიმხელს საკუთარ დაკვირვებებს, რომლებიც ხან ხალისიანია და მხიარული, ხანაც მძიმე და ტკივილიანი. მაგრამ ყველა შემთხვევაში ჩანს მწერლის უკომპრომისო დამოკიდებულება ცხოვრებასთან და ის მაღალი პოზიცია, საიდანაც აკვირდება და აფასებს ახალგაზრდობას, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოდის და მკვიდრდება.

„მზიანი ღამე" მწერალს მისთვის ორგანული ხერხით აქვს აგებული. ამ რომანშიც ავტორი ცრემლიანი სიცილით მოგვითხრობს ახალგაზრდა გმირის თეიმურაზ ბარამიძის ღრმა დრამატული განცდებით სავსე ცხოვრებაზე და ეს ლაღი, თბილი იუმორი აქაც მკითხველის მძიმე ემოციების შესამსუბუქებლად არის მოხმობილი. თეიმურაზ ბარამიძეს, ისევე, როგორც დუმბაძის სხვა ახალგაზრდა გმირებს, ცხოვრების დასაწყისშივე ერთი ადამიანისათვის სამყოფზე ბევრად მეტი განსაცდელი გადახდენია თავს და თუ მაინც გაუძლია, ეს იმატომ, რომ მასაც სწამს ამ ქვეყანაზე სიკეთისა და სინათლის უძლეველობა.

თეიმურაზი უდედმამოდ, მარტოდმარტო იზრდება რვა წლიდან და მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულისაკენ სწრაფვამ ააცდინა ყველა იმ განსაცდელს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ელოდა. ამ სულიერი სიმტკიცის, რწმენის გამოცაა, რომ ცხოვრების მძიმე გზაზე არასოდეს დაუკარგავს ხალისი და იუმორის გრძნობა. ამის ნათელსამყოფად ფრიად საგულისხმოა თეიმურაზისა და დურსუნის დიალოგი. თუმცა იგი დურსუნზე გაცილებით ახალგაზრდაა, მაინც მასზე ბევრად მეტი განსაცდელი აქვს გადატანილი. მან, მოზარდმა, გაუძლო ამ განსაცდელს, დურსუნი კი, ზღვაში გაზრდილი და დავიუ-

კაცებული, ფიზიკურად ძლიერი კაცი მხოლოდ ერთმანეთს გასტეხა, დააჩაჩანაკა. ეს იმიტომ, რომ მას არა სწამს არაფერი ამქვეყნად, არც მეგობრობა, არც სიყვარული, არც სიკეთე, არც სიმართლე. ეს იმიტომ, რომ მარტოა და ადამიანის რწმენა დაკარგვია.

თეიმურაზთან ერთად ჩვენც შეიძრწუნებული ვართ ამ ცხოვრებისაგან გათელილი კაცის, დურსუნის ბედით. ამას მოსდევს თეიმურაზისა და მისი მეგობრის გურამის დიალოგი ზღვის პირას, სადაც ახალგაზრდები თითქოს აგდებულად, იუმორით საუბრობენ ადამიანთათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგრამ იგრძნობა, რომ ეს გარეგნულად ზერელე ფორმა საუბრისა მხოლოდ ნიღაბია ვაჟკაცური და მოქალაქეობრივი გრძნობების შეფარულად გამხელისა. ასეთი ლაღი საუბარი მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან საკითხებზე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ ახალგაზრდებისათვის არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს უმზეო ღამე, რომელიც დურსუნისათვის დამდგარა.

და ასეა სულ „მზიან ღამეში", სხვა რომანებშიც, ყოველ მსუბუქ, იუმორით სავსე ეპიზოდს, როდესაც მკითხველს ყველა დარდი ავიწყდება და ამ მხიარული გმირების შემყურე თვითონაც გულით იცინის, ერთბაშად მოსდევს მძაფრი დრამატიზმით დამძიმებული, ზოგჯერ ტრაგიკულამდე ასული თხრობა. როგორც კი დაატყობს, რომ მკითხველს თვალები ახლა მწარე ცრემლით ევსება, მწერალი ცვლის ვითარებას და კვლავ იუმორით აზავებს მოზღვავებულ განცდებს. მერე ისევ დატრიალდება მხიარული, მახვილგონივრული სიტუაციებისა თუ დიალოგების ფეიერვერკი და გამოცდილი მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ ავტორი კვლავ რაღაც მძიმე განცდისთვის გვამზადებს.

„მზიანი ღამე" უნივერსიტეტის ზამთრის სესიებით იწყება და ვისაც სტუდენტობა გამოუცდია, შეუძლებელია, ამ ცოცხლად დაწერილმა ეპიზოდებმა ცოტა ხნით მაინც არ დააავიწყოს ყველაფერი და კვლავ არ დააბრუნოს იმ გარემოში, იმ აუდიტორიებში, სადაც ამდენი ღელვა, სიხარული, სიმწარე თუ მხიარულება განუცდია. და აი, მკითხველი, რომელსაც ჯერ კიდევ უბრწყინავს თვალზე გულამომჯდარი სიცილის ცრემლი და

ისე მაყვანა თეიმურაზ ბარამიძეს გამოცდებიდან სახლში, უეცრად ძიულლოლელ სცენას გადაეყრება: თემოს შორეთიდან დაბრუნებული ოორმეტი წლის უნახავი დედა დახვდება შინ. აქ უკვე დრამატული ეპიზოდების ისეთ საოცარ ოსტატად წარმოგვიდგება ნოდარ დუმბაძე, ვერც კი იფიქრებთ, რომ ორივე ეს ეპიზოდი ერთი და იმავე მწერლის კალამს ეკუთვნის. ასე მისდევს ეპიზოდი ეპიზოდს, ასე ენაცვლება ერთმანეთს ლოდივით მძიმე განცდები და მსუბუქი, უდარდელი, ახალგაზრდული სიხალისე და იუმორი.

ამ რომანში ყველაზე ნათელი და თბილი, ამასთან, დრამატულად დაძაბული და ამაღელვებელი მაინც ის სიუჟეტური ხაზია, რომელშიც თემოს რთული ურთიერთობა იხსნება დედასთან. მწერალმა არა მარტო მოწმე გაგვხადა ამ დიდი დედა-შვილური სიყვარულისა, ღრმადაც განგვაცდევინა და ღვთაებრივად გამოაცხადა იგი, უფრო მეტიც, გმირის ლირიულ აღსარებებში ამ „ახალი რელიგიის" საგალობლები შექმნა.

მიუხედავად ყველაფრისა, თავს დამტყდარი და გაღატანალი აიასგვარი განსაცდელისა, თემოს გული მაინც მსოლოდ სიყვარულითა და სიკეთით არის სავსე. ამიტომაც ეპატიჟება რომანის ფინალში თავისი დაბადების დღეს ყველას და ყველაფერს, თბილისს მისი ქუჩებით, მეგობრებს, უცნობს და ნაცნობს. თემოს სხვა არაფერი უნდა, ოღონდაც მისმა გულმა სიყვარული იცოდეს. მაგრამ საკმარისია კი ეს? სიძულვილი?

„— ან დაიეიწყე, დედა, ყველაფერი, ან მითხარი, რა ვქნა...

— მაგის დავიწყება არ შეიძლება".

აი ორი კონცეფცია, ორი დამოკიდებულება ბოროტისადმი ამ რომანშიც და თავად ცხოვრებაშიც. რომელია მართალი?

დედა და შვილი ამ საკითხში ვერ თანხმდებიან და თუმცა უფრო ჰუმანური ჩანს შვილის პოზიცია, ეს მაინც მორჩენებითი ჰუმანურობაა იმ შემთხვევაშიც კი, როცა თემოსთანა გულწრფელი კაცის მიერ არის გაცხადებული. დედა მართალია, კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტებაც. მით უმეტეს, იმის დავიწყება, რაც თემოსა და მის ოჯახს გადახდა, მართლაც არ შეიძლება. მაგრამ თემო მაინც ივიწყებს და მკაცრადაც ისჯება. ის მაინც ენდობა იმ კაცს, ვინც ერთხელ უკვე დაღუპა მისი ოჯახი და ახლაც იწვნევს გამყიდველის ვერა-

გობას, რადგან ბოროტი ბოლომდე ერთგულია თავისი ბუნების და პოზიციის. მართლი იყო დედა, არ შეიძლებოდა დაეიწყება და მაინც დაივიწყა, იმავე ბოროტისაგან მეორედ იწვნია ღალატი და ესეც დაივიწყა, ესეც მიუტევა. სწორედ თემომ უპატრონა მარტოსულ ბოროტ მეზობელს, როცა კიბეზე წაქცეულს წააწყდა. და როდესაც ღამეს უთევდა მას, ჯერ სიძულვილისაგან დაიცალა, მერე შეეცოდა, ბოლოს ტირილიც კი მოუნდა და აივსო ყელამდე სიბრალულით ამ კაცის მიმართ. და მაინც დედაა მართალი, რადგან ღმერთს მეხსიერება იმიტომ მოუცია ადამიანისათვის, რომ მას ყველაფერი ახსოვდეს, კეთილიცა და ბოროტიც. მაშინ მეტი სიკეთე იქნება ქვეყანაზე. მაშასადამე, მეტად ჰუმანურიც იქნება ეს ქვეყანა.

ბევრი რამ ანათესავებს „მზიან ღამეს“ ნოლარ დუმბაძის წინა და მომდევნო რომანებთან, უპირველესად კი მზის სიმბოლო. მზე სინათლის, სიკეთის, სიყვარულის, საერთოდ, ყოველივე სიწმინდისა და ამაღლებულის ის უმთავრესი და ულამაზესი სიმბოლოა, რომელიც ნაწარმოებიდან ნაწარმოებში გადადის. და რაკიღა მწერალს მზე ასეთი ღიდი და კეთილშობილი გრძნობების სიმბოლოდ გაუხდია, ამიტომაც არის, რომ იგი მისთვის და მისი გმირებისათვის ღამითაც კი ანათებს.

და როცა მზისადმი თეიმურაზისა და მისი კეთილი მეგობრების ეს ღიდი სიყვარული, თაყვანისცემა ჩვენთვის ნათელია, აღარ გვეჩვენება ხელოვნურ პოზად და მათი გრძნობების უშუალო გამოხატულებად ვიღებთ იმ სცენას, როდესაც ზღვაში ჩამავალი მზის მოციმციმე ბილიკზე ჰორტენზიას დადებენ.

„— მზეს ყვავილი მივართვი!“

„ნუ გეშინია, დედა!“ ერთგვარად აგრძელებს „მზიან ღამეში“ დაწყებულ თხრობას დუმბაძის ახალგაზრდა გმირის თავგადასავალზე. ისევ ის თბილისური სტუდენტური გარემო, ახალგაზრდობის ცხოვრება, გარჯა, დროსტარება, კამათი მნიშვნელოვან თუ სულაც უმნიშვნელო საკითხებზე, ფუქსავატობა, ყველაფერი, რაც კი ამ ასაკს ახასიათებს, ამ რომანში კიდევ ერთხელ გადაიშლება მკითხველის თვალწინ. ოღონდ ამას აქ ემატება ახალგაზრდობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა — სამხედრო სამსახური. რომანის გმირი

ავთო ჯაყელი ამ საყოველთაო ვალდებულებას მესაზღვრეებთან იხდის, იხდის იმავ პასუხისმგებლობითა და ხალისით, რაც სხვა დროს და სხვა ვითარებაში არაერთხელ გაუმჟღავნებიათ ზურიკელა ვაშალომიძეს, სოსოია მამალაძეს და თემო ბარამიძეს მწერლის აქამდე უკვე ნაცნობ სხვა რომანებში.

ნოდარ დუმბაძე, მიუხედავად იმისა, რომ დაუშრეტელია მისი ფანტაზია, მხოლოდ იმაზე წერს, რაც საკუთარი თვალით უნახავს, რაც თავად განუცდია. აკი ვთქვით კიდეც, მისი შემოქმედება ბევრწილად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. როცა მის ახალგაზრდა გმირს სამსედრო სამსახური მოუწია და ამისი თხრობის დრო დადგა, მწერალმა ითხოვა და საგანგებო ნებართვით იმსახურა მესაზღვრეთა ნაწილში, რომ ზედმიწევნით სცოდნოდა ჯარისკაცთა საქმიანობა და ყოფა, ჩასწვდომოდა მათ ფსიქიკას და სულს. კიდეც ამიტომ გამოუვიდა ასეთი მართალი, ცოცხალი, საინტერესო ნაწარმოები.

ახალგაზრდა გმირი მწერლის ნებისმიერი ნაწარმოებისა თავისი უშუალობით, სიწრფელით, ზნეობრივი სისპეტაკით, კაცთმოყვარეობით, გულუბრყვილობითა და ხალისიანობით ერთბაშად ხიბლავს მკითხველს, მისი კეთილშობილური ბუნება მრავალმხრივ იხსნება ჩვენს თვალწინ. ერთ-ერთი მთავარი ღირსება, რაც მას გააჩნია, ის გახლავთ, რომ მისი გული თანაბრად ღიაა ყველა კეთილი კაცისათვის, ვინც არ უნდა იყოს იგი, რა პროფესიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისაც, რა ასაკისაც და ეროვნებისაც. ამიტომაც მეგობრობენ ნოდარ დუმბაძის ახალგაზრდა გმირები ხანდაზმულ ღამის დარაჯებთან, მწყემსებთან, ხელოსნებთან, ნებისმიერი ეროვნების ხალხთან, ყველასთან, ვინც თავისი სულით არის დიდი და მდიდარი. ასეთია ავთო ჯაყელიც რომანში „ნუ გეშინია, დედა!". მას ოდნავადაც არ აქვს მოდუნებული ეროვნული გრძნობა, არამცთუ თავისი ქვეყნის თანამემამულეები უყვარს თავდავიწყებით, საზღვარს გადაღმა მცხოვრებ ქართველებსაც გულანუყებული შეჰყურებს და თანაუგრძნობს. მაგრამ ეს გრძნობა ეროვნულ შეზღუდულობაში და ამპარტავნობაში კი არ იზრდება, პირიქით, ხელს უწყობს, უფრო ულვივებს ინტერნაციონალურ სულს. ავთო ჯაყელის მეგობრობა მესაზღვრე შრერბინასთან ამისი საუკეთესო ნიმუშია. მათი ურთიერთობა საბჭოთა ახალგაზრდო-

ბის მდიდარი ბუნების და ინტელიგენტურ სულის ბრწყინვალე მხატვრული გამოსახულებაა არა მარტო ნიდარ დუმბაძის შემოქმედების მასშტაბით, საერთოდაც, ბრავალეროვან საბჭოთა მწერლობაშიც.

რომანი „თეთრი ბაირაღები“ გამორჩეულია ნიდარ დუმბაძის შემოქმედებაში. თუმცა მწერლის არც ერთ რომანს თუ მოთხრობას არ აკლია დრამატიზმი, მაინც, „თეთრი ბაიარაღები“ განსაკუთრებით მწყობილ ნაწარმოების შოიბეკდილებას ანდენს, ჭოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით მაინც. პიროვნების ბედ, უდანაშაულო დამნაშავის ბედი, რაც ამ რომანის მთავარ პრობლემას წარმოადგენს, საოცრად შეხტავს მას. ზაზა ნაკაშიძის არამცოუ მკვლელობაში უცოდველობა, საერთოდ, მისი სიპეტაკე თავიდანვე ნათელია მკითხველისათვის, მაგრამ შეძლებს თუ არა იგი სიმართლის პოვნას, ასცდება თუ არა მას მსხვერპლად გამეტებული ბუნების ხელდრი, ამ საკითხის გაურკვევლობა დაძაბულად გვაკითხვებს რომანს.

ზაზა ნაკაშიძე საპატიმროშა ხის და განაჩენს ელოდება. საკანში ათნი არიან და თითოეული მათგანი მძიმე დანაშაულის ჩამდენია: კაცისმკვლელია, მექრთამეა, გამფლანგველია, მრუშია, ქურდია. ისინიც ელიან განაჩენს, მაგრამ ზაზას მოლოდინი სხვაა. სხვებისთვის განაჩენი დამსახურებულ საზღაურს გულისხმობს, ზაზასათვის — სიმართლის ან უსამართლობას ზეიმს.

მწერლისათვის ლიმონაც, ტიგრანაც, შოშიაც, ისიდორეც და სხვებიც, ყველა, ვინც ზაზასთან ერთად ზის ციხეში, პირველ რიგში დამნაშავენი არიან და იგი კიდეც ხდის მათ ნიღაბს, ბოლომდე გვიხსნის მათი დანაშაულის მეტ-ნაკლებ სიმძიმესაც, ხასიათსაც და მოტივსაც. მაგრამ ამას გარდა, და რაც მთავარია, ისინი მწერლის თვალში ადამიანებიც არიან, თავიანთი ბედით და უბედობით, ხასიათით და განცდებით, ტკივილებითა და სიხარულით, სურვილებითა და ოცნებით, მას უპირატესად ამ დამნაშავეთა სულის სიღრმეში ჩახედვა სურს, რომ უფრო მეტი დაინახოს, ვიდრე ამას მათი დანაშაული გვეუბნება. და ამ დროს ისეთი ბოროტმოქმედების სულის კუნჭულშიც კი, როგორც ლიმონა და ტიგრანაა, იგი საოცარ ადამიანურ გულჩვილობას ამჩნევს. ლიმონას ადრეც ჰქონდა შემთხვევები,

როცა ამის გამო ქურდობასა და ძარცვაზე ხელს იღებდა, ტიგრანა კი აქ, ციხეში მიხვდა ამ ადამიანური გრძნობის არსებობას, როცა სხვისი უბედურების გარკვევისას მისთვის სრულიად ახალ, თანამგრძნობის როლში აღმოჩნდა. სხვათა საქციელის განსჯამ მას ადამიანური თვალით დაანახა ბევრი რამ.

ნოდარ დუმბაძე ამ არცთუ დიდი მოცულობის რომანში თანამედროვე ცხოვრების უამრავ საჭირბოროტო საკითხს სვამს და მისი მოქალაქეობრივი სითამამე, მართალი და მწარე სიტყვა მწერლის მოვალეობის ღრმა შეგნებით აიხსნება. მაგრამ ეს მაინც არ არის ნოდარ დუმბაძის შემოქმედების, კერძოდ, ამ რომანის მთავარი პათოსი. მწერალი ყველგან და ყველაში მხოლოდ სიკეთეს ეძებს, აქაც, საზოგადოების ყველაზე საშიში წევრების სულშიც კი იგი ადამიანურ გრძნობებს ქექავს და ამჩნევს. ეს არის მისი მწერლური მრწამსი. ეს არის მისი სიკეთის თესვის მეთოდი. ამ გზით უნდა მიაღწიოს თავის საოცნებო საწადელს — სიკეთის საბოლოო ზეიმს.

რომანის ფინალში ზაზა საპატიმროდან გათავისუფლების პირველსავე ღამეს სიზმრად ასეთნაირად ხედავს ამ ზეიმს: ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი, ვეებერთელა და უსპეტაკესი ბაირაღი ფრიალებს, როგორც სიკეთის, სათნოების და სიყვარულის სიმბოლო.

ამ რწმენით სავსე ფინალს ახსნა არა სჭირდება, მისი სიმბოლიკა აშკარა და გამჭვირვალეა. მე მხოლოდ ერთ გარემოებაზე გავამახვილებ ყურადღებას. მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამ რომანში მწერალმა უღალატა სიკეთის, სათნოების და სიყვარულის მისეულ სიმბოლოს და ახლა ასეთად თეთრი ბაირაღი ირჩია. ამგვარი დასკვნა სწორი არ იქნება, არავითარ ღალატს ადგილი არა აქვს.

ამ ოცნების სამეფოში, ჯომოლუნგმაზე, საიდანაც მოეფინება ქვეყნიერებას თეთრი ბაირაღი, რომანის გმირი მზეს მიჰყავს.

დიახ, ზაზა ნაკაშიძეს საყოველთაო სიკეთისა და სიყვარულის გზაზე სწორედ მზე მიუძღვება.

თითქოს აღარაფერი უნდა გაგვკვირვებოდა ნოდარ დუმბაძისაგან, მაგრამ მისმა, სამწუხაროდ, ბოლო რომანმა „მარადი-

ხობის კანონმა“ მაინც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს რომანი, ერთი მხრივ, ორგანულად უკავშირდება მწერლის შემოქმედების საერთო სულსა და მიზანდასახულებას, აქაც აშკარად ჩანს ავტორის სტილის საერთო და განმსაზღვრელი ნიშნები, მაგრამ „მარადისობის კანონი“ მაინც ერთგვარად განსხვავებულია თავისი მხატვრული ქსოვილითაც და, რაც მთავარია, კონცეპტუალურადაც წინა რომანებისაგან. ეს შეიძლება იმიტომაც მოხდა, რომ აქ გმირს ცხოვრების არა მარტო საინტერესო, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი სკოლაც ექვს გამოვლილი და იგი ჭაბუკობას უკვე კარგა ხნით არის დაცილებული.

და მაინც, თავისი მთლიანი სულისკვეთებითაც და მხატვრული სისტემითაც რომანი „მარადისობის კანონი“ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებითი ჯაჭვის ერთერთი ორგანული რგოლია, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია, აქაც მწერლის ანთებული გულის ხანძარი ყოველ ხასიათში, ყოველ ფრაზაშიც კი გიზგიზებს. ამიტომაც არის ასე გადამღები.

„დიახ... თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...“ — ეტყვის პროფესორი ბაჩანა რამიშვილს.

სიკეთის ერთგულება ბოროტებისადმი შეურიგებლობას გულისხმობს. დიახ, ბოროტების მოთმენა, მშვიდად ცქერა (მის ჩადენაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მხოლოდ ხელოვნური გულის პატრონთ თუ შეუძლიათ, სიყვარულით სავსე ადამიანური გულისათვის ამის ატანა შეუძლებელია, მომაკვდინებელია. ამის სარწმუნო ეპიზოდები მრავლადაა რომანში. აი ერთი მაგალითი:

რედაქციის ერთ-ერთ მუშაკს ქრთამის აღების დროს წაასწრებენ. თანამშრომელთა დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი განსხვავებულია. რედაქტორის მოადგილემ, თავად ფრიად საეჭვო პიროვნებამ, ყველაზე მეტად გამოიდო თავი. არა, მას გული არ სტკენია. იფიქრა, პასუხისმგებლობას ხომ ავიცილებ და იქნებ დავწინაურდე კიდეცო. ამიტომ რედაქტორს შეუტია. ბაჩანა რამიშვილს კი თავის რედაქტორობა არც ახსოვდა ამ დროს, თანამშრომლისა და მეგობრის საცოდაობით, მისი სირცხვილით იწვოდა. მისი ცხოველი სიყვარულით სავსე გული

ვერ შეურიგდა ვერც ამ პროვოცირებულ დანაშაულს და ვერც მოადგილის უტიფარ გულბოროტებას.

„...ტკივილი მარჯვენა მხრიდან დაეწყო, უცებ გულის ფიცრისაკენ დაიძრა და მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა. მერე თითქოს ვიღაცამ მკერდი გადაუხსნაო, შიგ დაკოჟრილი ხელი ჩაუყო და გული ყურძნის მტევანივით დაუწურა. წურავდა ნელა, დიდი მონდომებით: ერთი და ორი, ორი და სამი, სამი და ოთხი... ბოლოს ისე მოუჭირა ხელი, ისე დაწურა, სისხლის ნატამალიც აღარ დაუტოვა შიგ და ასე გამოძშრალი და დაჭყლეტილი მიაგდო სადღაც კუთხეში, — გული გაჩერდა. არა, კი არ გაჩერდა, ჯერ ფანჯრის მინაზე შეესკვდარ ბელურასავით ჩავარდა ქვევით, აფრთხიალდა, გაიბრძოლა და შემდეგ გაჩერდა...“

საავადმყოფოში ხანგრძლივი წოლის დროს, ჯერ იქაც, მამა იორამთან, ბულიკასთან და სხვებთან ურთიერთობით, მერე კი, რაც მთავარია, საკუთარი ცხოვრების გამოცდილების გახსენებითა და გაანალიზებით, ბაჩანა რამიშვილმა მარადისობის კანონს მიაგნო, რაც ასე ჩამოუყალიბა მკურნალს:

„— ამ კანონის აზრი იმაში მდგომარეობს, პატივცემულო პროფესორო, რომ... ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...“

ბაჩანა რამიშვილმა ახლა მხოლოდ გაიცნობიერა ეს კანონი, თორემ ისიც და ნოდარ დუმბაძის სხვა რომანების გმირებიც ადრეც სწორედ ამ უშესანიშნავესი მცნების ერთგული მიმდევრები იყვნენ. მოყვასის სიყვარული, თანადგომა, სხვათა სიხარულის და ტკივილის გათავისება საერთოდ ნოდარ დუმბაძის გმირებისათვის და კერძოდ ბაჩანასათვისაც ჩვეულებრივი რამ არის, ნორმაა, მათი სულის მოთხოვნილებაა. ამიტომაც არიან ისინი ერთდროულად ასე ხელშესახებად ცოცხლებიც და ნათელდადგმულნიც.

„მარადისობის კანონი“ მისი გმირის ამ ზნეობრივი მრწამ-

სის გამო, ნაწარმოების ლიდა და ცხოველი ჰუმანისტური პა-
თოსის წყალობით ერთბაშად იქცა მრავალეროვანი საბჭოთა
მწერლობის კუთვნილებად, ეშალ გახმაურდა და ცნობილი გახ-
და ჩვენშიც და ჩვენი ქვეყნის გარეთაც, გამოქვეყნებისთანავე
აიტაცა საბჭოთა მკითხველმა, ნურეკის უდიდესი ჰიდროელე-
ქტროსადგურის მშენებელთა მრავალათასიანმა ინტერნაციონა-
ლურმა არმიამ ერთხმად მიიჩნია საბჭოთა მწერლობის ერთ-
ერთ საუკეთესო ნაწარმოებად და მუშათა პრემია მიაკუთვნა,
მერე კი ბას უმაღლესი ჯილდოც, ლენინური პრემიაც მიენიჭა.

ამ რომანს მრავალი ღირსება აქვს, მკითხველის ყურადღება,
უპირველეს ყოვლისა, ერთ უმთავრესს მინდა მივაქციო.

მარადისობის ეს მაღალზნეობრივი კანონი ყოვლისმიმტე-
ველობის ქადაგებას როდი ნიშნავს. ბაჩანა ახლადწამოჩიტუ-
ლი ჭაბუკი იყო, როცა გლახუნა ქერქაძის სახელით კაცი მოკ-
ლა, თუ კაცი ეთქმის ყაჩაღს, ქვეყნის დამაწიოკებელს, საშშობ-
ლოს გამყიდველს, ადამიანის დაუნდობელ მკვლელს. ორი ღმერ-
თი ჰყავდა ამ ქვეყნად ბაჩანას, ერთი — მწყემსი გლახუნა ქერ-
ქაძე ყაჩაღმა მანუჩარა კიკვიძემ მოუკლა და მანაც მარტომ
იძია შური, თუმცა მთელ სოფელს სწყეროდა მკვლელის სისხ-
ლი, განსასჯელად თავის მეორე ღმერთთან, ბაბუასთან მი-
ვიდა.

პატიოსნების, სიმართლის, სიყვარულის სახელით სხვა
დროსაც აინიეა შურისძიებით ბაჩანა. მაშინაც კი, როცა სას-
წაულით გადარჩენილი, საავადმყოფოში წევს გაუნძრევლად,
არაფრად ჩააგდებს ხიფათს და ღამის ქოთანს დაამსხვრევს თავ-
ზე იმას, ვინც მხოლოდ ამგვარ პასუხს იმსახურებს მართალი
და სუფთა კაცისაგან, იმდენად აშკარად იმსახურებს, რომ მამა
იორამიც კი უწონებს ამ საქციელს ბაჩანას.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში მისმა გმირმა, რომელიც,
შეიძლება ითქვას, რომანიდან რომანში გადადის და ჩვენს
თვალწინ იზრდება და ყალიბდება, აშკარა ცვლილება განიცა-
და. თუ ადრე, ჭაბუკობის ხანაში „მზიან ღამეში“ მისი გული
შემწყნარებლობით იყო სავსე, იმდენად, რომ იუდა აბიბოსაც
კი მიუტევა დანაშაული, ახლა „მარადისობის კანონში“ უფრო
ჭკუადამჯდარი და გამოცდილი სხვაგვარად ფიქრობს. მან ირწ-
მუნა, რომ ბოროტებას ამოძირკვა უნდა და არა მიტევება. ამ

თვალსაზრისით გმირის შეგნებისა და ხასიათის ცვლილება მებრძოლი ჰუმანიზმისაკენ იხრება.

ბაჩანას ბოროტებისადმი შეურიგებელ სულს სხვა ეპიზოდებშიც არაერთხელ ვგრძნობთ და ვხედავთ. ამ დროს მწერალი ძალზე ოსტატურად, ყოველგვარი ხმამაღალი სიტყვის გარეშე მიგვაქცევინებს ყურადღებას ადამიანის მანკიერ მხარეებზე და მათ დღევანდელ გამოხატულებაზე, რითაც თანამედროვეობის მწვავე პრობლემებსაც წამოჭრის და თავისი გმირის სულიერ ღირსებებსაც წარმოაჩენს.

ბოროტება კი, დიდი თუ პატარა, მუდმივად თან სდევს ადამიანს. ასე იყო დღემდე, ასე იქნება კიდევ დიდხანს, თუ დაუსრულებლად არა, რადგან ორთავ საწყისი, ბოროტიცა და კეთილიც, ადამიანისეულია. კაცს ცხოვრების მანძილზე ათასგვარი შენიღბული თუ შეუნიღბავი ბოროტება ჩასაფრებია და მისი სიძლიერე თუ უძლურება სწორედ სიავესთან ბრძოლაში იკვეთება. ამ ხვედრს ვერც ბაჩანა რამიშვილი გადაურჩა. გადაურჩა კი არა, იქნებ სწორედ ყველაზე მეტად და ძლიერადაც იწვნია მისი ბასრი, დაუნდობელი, მუხანათური მახვილის მიერ მიყენებული ჭრილობების მთელი სიმწვავე.

ბაჩანას მუდამ თვალწინ უდგას სუსხიან რიჟრაჟზე რკინიგზის პროვინციული სადგურის ცარიელი ბაქანი და იქ მდგომი ორი ხელჩაკიდებული ადამიანი: ერთი თმაგაშლილი, უპალტოო, შეშლილი სახის ქალი და მეორე ფეხშიშველი, კოჭებამდე თეთრ პერანგში ჩაფართხუნებული, გაკვირვებული ბიჭი (ბრწყინვალე კინოკადრია!). ეს პატარა ბიჭი თავად ბაჩანაა, ქალი კი — დეიდამისი, სატანისაგან დევნილი ორი მიუსაფარი წმინდანი. ასე დაიწყო ბაჩანას ცხოვრების გზა და ახლაც, სიკვდილთან მებრძოლს ეს ზმანება უდგას თვალწინ.

ქვეყნად რომ მარტო ბოროტება არ იყო, ეს ბაჩანამ მალე დაგრძნო და გაიგო. ბევრი შემოხვდა მას ამგვარი კეთილი კაცი, თუნდაც სოფლის ექიმი და აფთიაქარი, მაგრამ ყველაზე ძლიერ გლახუნა ქერქაძემ აგრძნობინა და გააგებინა ეს. სიკეთის ძალა და სილამაზე ამ მწყემსმა კაცმა უჩვენა ბაჩანას. მანვე მისცა იმის გაკვეთილი, თუ როგორ ვაჟკაცურად უნდა აღუდგე წინ ბოროტებას, როგორ უყოყმანოდ უნდა ემსხვერპლო კიდეც სიკეთეს.

მამა იორამსა და ბაჩანას საავადმყოფოში დავა გაუჩაღებიათ. ორივე თავგამოდებით იცავს თავის რწმენას. ორთავეს რწმენა სიკეთეზეა დაფუძნებული და კეთილის თესვას ისახავს მიზნად. ამიტომაც პოულობენ ისინი ბევრ საერთოს ერთმანეთის ნათქვამში. მაგრამ მათი პოზიციები მაინც დიამეტრალურად განსხვავდება. მამა იორამი სიკეთის მხოლოდ მქადაგებელია, მისი აღსრულება მთლიანად ღმერთისათვის მიუნდია, ბაჩანა კი თავად არის სიკეთისათვის მებრძოლი და ღრმადა სწამს, რომ სწორედ ეს არის ადამიანის უპირველესი მოვალეობა და აქ სხვისი, თუნდაც უზენაესის იმედით ყოფნა საყოფს არ მოიტანს.

ბაჩანას სულის ნათელი ყველაზე მომხიბლავად იქა ჩანს, სადაც იმას ელტვის, რაც ყოვლისმომცველ სიყვარულთან არის დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, მთელი რომანი სწორედ ამის გამოხატულებაა, მაგრამ არის რამდენიმე სიუჟეტური ხაზი და ეპიზოდი, როცა განსაკუთრებული სიცხადით და სიძლიერით იჩენს იგი თავს.

ეპიზოდები, სადაც თამარსა და გიჟ-მარგოს შესახებ არის მოთხრობილი, დიდი დრამატიზმით, ტრაგიზმითაც არის დამძიმებული. ვიდრე ამ სულისშემხუთველ განცდამდე მივიდოდეთ, მწერალი მისთვის დამახასიათებელი ლაღი იუმორით იწყებს თხრობას და როცა ღიმილი თავშეუკავებელ სიცილში გადავა, სწორედ მაშინ ისე უეცრად შემოატრიალებს ამბავს, ისეთ დაძაბულ სიტუაციას შექმნის, იმგვარ ადამიანურ ტკივილს გაგვიშიშვლებს, რომ ისედაც მძაფრ სათქმელს ამ კონტრასტულობით, მოულოდნელობის ეფექტით, კიდევ უფრო უმძაფრესად შევიგრძნობთ.

იშვიათად ღალატობს ნოდარ დუმბაძე ეპიზოდის აგების მისეულ ხერხს, როცა იუმორით იწყებს მას და ცრემლით ამთავრებს. ამ რომანში კი მთელი სიუჟეტური ხაზია თავისი რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი ეპიზოდით, სადაც ეს ხერხი მთლიანად დავიწყებულია. ეს არის ბაჩანასა და მარიამის ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები. სწორედ აქ ჩანს მთელი სიცხადით ღვთაებრივი ძალა და მშვენიერება მარადისობის კანონისა. იშვიათად წავიკითხავთ სხვაგან სადმე შეყვარებული ქალ-ვაჟის უფრო ლამაზსა და ამაღლებულ ისტორიას.

ამ ისტორიას მწერალი რომანტიკულად აგვიწერს, უფრო სწორად, თავად სიყვარული ბაჩანასი და მარიამისა არის რომანტიკული, ზეაწეული, ამაღლებული, არამიწიერი. ეს არის სულთა ლტოლვა, ერთბაში და მარადიული, დაუოკებელი და მშვენიერი.

თითქოს ყველაფერი უცნაურია ამ ისტორიაში — ბაჩანასა და მარიამის პირველი შეხვედრაც, მარიამის მოულოდნელად კელავ გამოცხადებაც, შავნაბადას მიტოვებულ ეკლესიაში ჯვარისწერაც, სამადლოს თოვლიან ბორცვებზე უხმოდ შეფიცული სიყვარულიც, მარიამის ლოცვაცა და მისი აღსარებაც. ყველაფერი უცნაურია მათ ურთიერთობაში, მაგრამ ამასთანავე ღრმად ადამიანურია, კეთილშობილია, სპეტაკია.

„მარადისობის კანონი" მრავალ პრობლემას წამოჭრის მკითხველის წინაშე, რომლებზედაც მწერლის გულწრფელი პასუხიც გვესმის. ამას გარდა საინტერესოა რომანის მხატვრული სტრუქტურა, ერთი შეხედვით თითქოს ამორფული, მაგრამ სინამდვილეში კი უაღრესად შეკრული და ერთ მთავარ სათქმელს დამორჩილებული, მთლიანად მისთვის გამიზნული.

ფოლკლორიდან, მითოსიდან, ბიბლიიდან მოხმობილი სახები თუ სიუჟეტები აქ ისე ორგანულად ერწყმის ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს, რომ ძალდაუტანებლად იკითხება და იშიფრება. ნოდარ დუმბაძისეული რეალიზმი ფართოდ მოიხმობს და იტევს, ორგანულად იხამებს ფოლკლორულ სიუჟეტებს, მითოსურ სახეებს, რომანტიკულ განწყობილებებს, ფანტასტიკურ ხილვებს თუ ნატურალისტურ ეპიზოდებს და ამით მეტ მნიშვნელობას იძენს, უფრო შთამბეჭდავად, ემოციურად, სახეობრივად გვიხსნის მწერლის ღრმა და საინტერესო სათქმელს.

„მზე დედაა ჩემი..." — საუკუნეების მანძილზე ამბობდა და ახლაც იმეორებს ქართველი კაცი ხალხის მიერ შექმნილ ამ უკვდავ ლექსსა და სახეს. ფეხად დედამიწაზე ჩამოსული, ბაჩანასა და მარიამის სასთუმალთან დაწოლილი მზეც, საერთოდ, მზის სიმბოლიკა, რომლითაც ესოდენ მდიდარი და დამშვენებულია ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედება, ფოლკლორული პირველწყაროდან იღებს სათავეს. ქართული ფოლკლორისა არ იყოს, დედა და მზე სინონიმებია ნოდარ დუმბაძისათვის და

ორთავ ერთად თუ ცალკ-ცალკე სიკეთის, სინათლის, სიცოცხლის, უკვდავების სიმბოლოა.

მითოსური ანალოგიით არის აგებული მარიამის აღსარებაც. სწორედ ამ ხერხით გვაგებინებს და გვაგრძნობინებს მწერალი ბოროტებისაგან მრავალტანჯული ქალის ბიოგრაფიას. ამ მოკლე სიტყვაში ადამიანის ტრაგედია და იმედი, დაცემა და აღზევება ძლიერად და ამაღელვებლად არის გამოთქმული. ეს ეფექტი სწორედ მითოსისეული ხერხით მიიღწევა:

„— ახლა ყური მიგდე, გიუნე... — თქვა მარიამმა და ისე დაიწყო, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა: — ...მე ხუთჯერ გარდავიცვალე უკვე და ხუთჯერ მოვბრუნდი ამ ქვეყანაზე... პირველად მე გარდავიცვალე შიშით და აღვსდექი სიმარტოვეში... მეორედ მე გარდავიცვალე სიმარტოვით და აღვსდექი თვალთმაქცობაში... მესამედ მე გარდავიცვალე თვალთმაქცობით და აღვსდექი უდარდელობაში... მეოთხედ მე გარდავიცვალე უდარდელობით და აღვსდექი სიძულვილში.. მეხუთედ მე გარდავიცვალე სიძულვილით და აღვსდექი სიყვარულში... მე ახლა ვცხოვრობ უზომო, განუსაზღვრელი სიყვარულით და ვიცი, რომ სიყვარულით გარდავიცვლები... და ეს იქნება ჩემი უკანასკნელი გარდაცვალება, მე აღარაფერში აღარ აღვსდგები, მე დავრჩები მარადიულ სიყვარულში“.

ამის გვერდით რომანში ვხედავთ და ეუსმენთ ბაბაიანცს, ვერელ ბიჭებს თუ სხვებს და მათთან დაკავშირებულმა ეპიზოდებმა თითქოს ნატურალიზმის დაღი უნდა დაასვას რომანს, მაგრამ ნოდარ დუმბაძის ოსტატობის მთელი საიდუმლოება, მისი ნიჭის მადლი სწორედ იმაშია, რომ არც მითოსური ნაკადი აღიქმება არარეალურად და უშუალოდ ცხოვრებიდან გადმოხატული — ნატურალისტურად. ყველაფერი ეს ერთად ეკლექტიკურ ნაერთს კი არ ქმნის, არამედ დიდი მხატვრული სიმართლის მატარებელ ორგანულ მთლიანობას.

ცხადია, „მარადისობის კანონი“, ეს ძლიერი და შთამბეჭდავი გამოსხივება მწერლის გულის სითბოსი და სულის ნათელისა, ვერ შეიმქნებოდა დუმბაძისეული მთავარი სიმპოლოს გარეშე. ავტორი ამ რომანშიც, როცა საქმე სიყვარულს ეხება, რამდენჯერმე მოუხმობს მის უბერებელ კერპს, სინათლისა და სიწმინდის სიმბოლოს მზეს. და რა თქმა უნდა, მოუხმობს მა-

შინაც, როცა მარიამისა და ბაჩანას დიდ სიყვარულზე მოგვითხრობს. მოგვითხრობს კი ასე: „...მერე მზე ჩამოვიდა ფეხად დედამიწაზე, სამადლოს დიდ, თოვლიან მინდორზე გამოიარა, ადამის ორ ნაშიერს თეთრი, თბილი ზეწარი გადააფარა, სასთუმლად დაუწვა და მათთან იყო...“

ასე იქმნება თანამედროვე მითი მზეზე.

ჩვეულებრივ პროზაიკოსები მოთხრობებით იწყებენ და მერე გადადიან რომანებზე. ნოდარ დუმბაძე პირიქით მოიქცა, მხოლოდ მაშინ დაწერა და გამოაქვეყნა თავისი მოთხრობები, როცა რომანისტის მყარი რეპუტაცია უკვე მოპოვებული ჰქონდა. მისმა მოთხრობებმაც, ისევე, როგორც თავის დროზე რომანებმა, ცალ-ცალკეც და ერთადაც, წიგნად შეკრულებმა, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველზე.

თავდაპირველად ბევრს მოეჩვენა, რომ მოთხრობებით ახალი სამყაროს კარი შეაღო მწერალმა. ზოგმა ამიტომ ეს მისი შემოქმედების გამრავალფეროვნებად გამოაცხადა. იქნებ რაღაც მარცვალი ჭეშმარიტებისა მართლაც იყოს ამ მოსაზრებაში, მაგრამ ის კი ცხადია, რომ არც აქამდე, მოთხრობებამდე მოედინებოდა ნოდარ დუმბაძის პროზა ერთფეროვან, მკაცრად გაჭრილ კალაპოტში. ამას გარდა, მისი მოთხრობები — „მზე“, „დიდრო“, „ძაღლი“, „კორიდა“, „კუკარაჩა“, „ბოშები“, „ხაზარულა“ და სხვა, მიუხედავად მათი პრობლემატურ-სტილური მრავალფეროვნებისა, ორგანულად უკავშირდება მწერლის შემოქმედების საერთო სულსა და მიზანდასახულობას, ამათშიც აშკარად ჩანს დუმბაძის პროზის საერთო და განმსაზღვრელი ნიშნები.

ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედება, თუ პათეტიკაში არ ჩამომერთმევა ეს სიტყვა, ადამიანისა და მზის საგალობელია, თითქოს ამის უფრო კონდენსირებულად გამოსახატავად დაწერა მან მოთხრობა — ჰიმნი „მზე“. დიდებულია მზე — „შემოქმედი“, „შეჩვეული სასწაული“. გულისფანცქალით მისჩერებიან მას ერცახუს მთაცა და ჯარგვალში მოფუსფუსე დედა-შვილიც, ზღვაცა და ზღვისპირად მყოფი უჩვეულო წყვილიც — მღვდელი და მილიციონერი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალიც და სიკვდილის შემყურე ადამიანებიც. დიდებულია მზე თავისი სიამაყითაც, როცა აცხადებს, მე ვარო ყველაფერი და ყოვლის-

შემძლე, დიდებულია თავისი გულჩვილობითაც, როცა მაღლი-
დან დაჰყურებს დედამიწაზე დატრიალებულ ცოდვას და ზღვას
გამოუტყდება, „ყოველ ცისმარე დღე ამის ცქერა შეუძლებე-
ლიაო". დიდებულია მზე, მაგრამ კიდევ უფრო დიდებულია ად-
მიანი და ეს უეცარი შემოტრიალება მხატერული აზრისა მოთხ-
რობის ბოლოში დიდი შთაბეჭდილებით აქვს მწერალს გადმო-
ცემული.

ადამიანის ღირსებისა და სიამაყის კიდევ ერთი დიდებუ-
ლი მხატერული გამოხატულებაა მოთხრობა „უმადური". უბ-
რალო სოფლელი კაცის, ასი წლის მოხუცის გუდულის სიკვ-
დილი ვალმოხდილი ადამიანის მტკივნეული, მაგრამ მაინც
მშვიდი გამოთხოვებაა სიცოცხლესთან. აქ შვილების მიერ მი-
ტოვებული გლეხის მარტოობის განცდაც შეიძლება ამოიკი-
თხოს მკითხველმა, სიცოცხლესთან გამოთხოვების სიმწარეც,
მაგრამ გუდულის სიკვდილი ტრაგიზმის მტანჯველ გრძნობას
არ ბადებს. მხოლოდ გაოცებას იწვევს მკითხველში, გაოცებას
იმის გამო, რომ ასეთი ძლიერი, დიდი გულის ადამიანები არ-
სებობენ ამ ქვეყანაზე, რომელთაც შეუძლიათ ღირსეულად და-
ასრულონ ამაყი სულით გავლილი გრძელი გზა ცხოვრებისა
და სიკვდილის წინა წუთები ამ ქვეყანაზე სიცოცხლის უკვდა-
ვებაზე ლოცვა-კურთხევაში დახარჯონ.

მოთხრობაში „დიდრო" დიდ ადამიანურ ტრაგიზმსაც გვა-
ზიარებს მწერალი და მისი განცდა დიდხანს მიჰყვება მკითხ-
ველს. ესაა ბედისწერით ტანჯული კაცის სულისშემძვრელი
მოთხრობა. ნოდარ დუმბაძის საყოველთაოდ ცნობილი იუმორი
აქ ოდნავ სატირულ ელფერსაც იძენს მოთხრობის პირველ ნა-
ხევარში, რის შემდეგ „ტვინგაწყალებული", ყველასაგან აბუ-
ჩად აგდებული დიდროს მიერ სიკვდილის წინ წამიერად დაწ-
მენდილი გონებით დანახული მთელი უბედურება საკუთარი
არსებობისა მკითხველისათვის იმავ ძალით გახდება თანაგრძნო-
ბის ღირსი, რა ძალითაც გაუწია თანაგრძნობა თავად მწერალმა.

ასეთი ტრაგიკული ჟღერადობით იშვიათად ამთავრებს თა-
ვის სათქმელს ნოდარ დუმბაძე. არც მოთხრობაში „ძაღლი"
აკლებს იგი მკითხველს მძიმე განცდებს, აქაც ისევე, როგორც
უმეტეს მის ნაწარმოებებში, სიცოცხლის მუდმივ თანამგზავ-
რად ჩანს სიკვდილი. აქაც, მოთხრობის დასასრულს, ობოლი

ეროგიტა სულ მარტო რჩება, ბაბუაც უკვდება, მაგრამ ფინალი მაინც იმედით არის სავსე, რადგან სიცოცხლე მარადიულია. და ამას მწერალი მისთვის ჩვეული საოცარი ძალითა და ტაქტით, ყოველგვარი ხმამაღალი სიტყვის გარეშე ახერხებს:

„სოფელს გავხედე, ოღებიდან კვამლი ამოდიოდა თეთრ ბოლქვებად. მამლები ყიოდნენ, ძროხები ბღაოდნენ, თხები ჰეტელობდნენ, თიკნები კიკინებდნენ ქათმები კრიახობდნენ, კონცხოულაზე უშველებელი მზე შემომდგარიყო... უცებ სხეული სითბოთი ამევსო და ყურებში სასიამოვნო ზარმა დარეკა“.

ასე ერთიმეორეზე უკეთესია ნოდარ დუმბაძის პატარ-პატარა თუ მოზრდილი მოთხრობები, რომლებიც დიდი ვნებებით, ხასიათებით, განცდებით იქცევენ მკითხველის შეუნელებელ ყურადღებას, მე ვიტყოდი, მის აღტაცებასაც იწვევენ (ეს პრესის ფურცლებზეც ბევრჯერ გამოთქმულა და კიდეე უფრო ბევრჯერ მწერლის სახელზე გამოგზავნილ ათასობით ბარათშ. არის აღნიშნული). მოთხრობებსაც გამოყვა ნოდარ დუმბაძის რომანებისათვის დამახასიათებელი ავტობიოგრაფიულობაც, იუმორიც, ლირიზმიც, დრამატიზმიც, გმირებისადმი შეუფარავად გამოხატული თანაგრძნობაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც განსაზღვრავს ნოდარ დუმბაძის სტილს და, რაც მთავარია, გამოყვა მწერლის მთავარი სიმბოლო მზე, რომლის კულტი ისევე, როგორც ყველა რომანში, აქაც, ყოველ მოთხრობაში აშკარაა.

მოხუცი გუდული მოთხრობა „უმადურიდან“ წამდაუწუმ მზეს გასცქერის სიმშვიდით, სინათლით ასავსებად. გლეხი კაცის ყოველი ჩვეულებრივი, ყოფითი საქმის მოთავების შემდეგ მზეს გახედავს ხოლმე იგი და გაესაუბრება. და რა გასაკვირია, როცა სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს გუდული და ამ ქვეყანას ემშვიდობება, უპირველესად, მზეს მიმართავს, მდაბლად დაუკრავს თავს, მუხლს მოიყრის მის წინაშე და ეტყვის: „მშვიდობით, მზეო ბატონო, დიდი, უზენაესი და უმაღლესი მადლობა შენ!“

ასე იცხოვრა ამქვეყნად მზის, მისი სახით კი სიკეთის, სათნოების, სიყვარულის სადიდებლად ნოდარ დუმბაძემ, ასე შექმნა და დაგვიტოვა მზით სასვე შემოქმედება. იგი გუდულივით, ოღონდ ამ მოხუცთან შედარებით ბევრად ახალგაზრდა, დაემ-

შვიდობა მზეს და ალბათ მანაც ასე უთხრა: „მშვიდობით, მზეო ბატონო, დიდი, უზენაესი და უმაღლესი მადლობა შენ“.

აი, რაც მინდოდა მეთქვა მკითხველისათვის მზიანი გულის ადამიანზე და მწერალზე ნოდარ დუმბაძეზე.

1985 წ.

## ჟრანტ თამრაზიანი

## ნატკენი გულისა და ეზენათელი სიზმრების წიგნი

საწოლი ჯერ ისევ თბილია, ადამიანი კი აღარ არის. ღამისპერანგიანი ფეხშიშველა ბავშვი დედას დაეძებს. უსამართლობის იდუმალ ხელს მამის შემდეგ ღედაც წაუყვანია, ყმაწვილის თვალებში შიში ჩამდგარა... ბედისწერის ულმობელობა თავზარს სცემს, ამიერიდან მისი ხვედრი ობლობაა... ამ უმძიმესი წუთების სურათი სამუდამოდ ცოცხლობს ყმაწვილის მოგონებებში, სიზმრებშიღა გრძნობს დედის ხელების მოფერებას, მისი სხეულის სითბოს. მერე და მერე დახეწილა სტრიქონებით არაერთხელ განზავდება მისი ნაწარმოებების ფურცლებზე დაკარგული სიხარულისა და დედური სიყვარულის მელოდია. უფრო გვიან კი, წლების შემდეგ, ტელევიზორის ეკრანიდან გიყურებთ შუხთალი ბედისწერით გატანჯული ყმაწვილი... ის უკვე გამოჩენილი მწერალია, თავის საავტორო საღამოზეა და მშვიდად, საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, გულწრფელად გიხიარებთ გულის ნადებს, რომ ადამიანობის უმაღლესი მოწოდებაა სიყვარულის ნიჭი, ღრმა, ორიგინალური სიმბოლოებით გისერგავთ საზიარო სიყვარულის ყოველისშემძლეობას, ერთმანეთის ახლობლობის იდეალს, რომ გარდაცვლილი ადამიანების სიყვარულისაგან ენერგია ეძატება მზეს, ხოლო გაუცხოება და მოძულეობა უდიდეს ტრაგედიებს იწვევს ადამიანთა ცხოვრებაში... ამ ასპექტებში გესაუბრებათ და ეს სულაც არ არის ჩვეულებრივი ლიტერატურული კომპანია, არც მწერ-

ლობაში გავარჯიშებული კალმოსანის განსჯა, არამედ ხალხის ცხოვრების ქურაში წლების მანძილზე გამოტარებული უტყუარი სიმართლე და პირადი ბედისწერით მწერლის არსებაში ჩაკირულ-ჩადულაბებული ფიქრების გაცნობიერებაა... მგონი რაღაც წინააღმდეგობაა ამ სტატიის დასაწყისისას და საავტორო საღამოზე გაცნობიერებულ სულიერი სინათლით აღსავსე ღრმა, ცხოვრებისეულ ფილოსოფიას შორის. ერთი შეხედვით, მართლაც, ასე ჩანს. მაგრამ იგივე ბედისწერა ხომ სტოვებს იდუმალ კარს? ხომ იძლევა ერთგვარ კომპენსაციას, ეგრე რიგად საჭიროს მწერლისათვის?!

ეს მწერალია ნოდარ დუმბაძე, თანამედროვე ქართველი პროზაიკოსი, რომლის ნაწარმოებები უკვე კარგა ხანია ცნობილია ჩვენს ქვეყანაში და უცხოეთში, გულითადად რომ უყვართ და აფასებენ სომხეთში. ამიტომ მინდა მის შესახებ საუბარი სათავიდან — ცხოვრებიდან დავიწყო.

ცხრა წლის ობოლი ბავშვი ცხოვრობს გურიაში, ბებიასთან. იქ, ლამაზ გურიაში, გულკეთილი, მშრომელი ადამიანების მამაპაპური მზრუნველობითა და ალერსით ყმაწვილი ძლიერ და საყვარელ ადამიანად ყალიბდება. მისთვის ღმერთს მოუმადლებია მგრძნობიარე გული, ცხოვრებისეული სინამდვილის აღქმა და მხურვალე სიყვარულის ძალა. თავიანთ ყოველდღიურ საქმეს გადაგებული ადამიანები ყმაწვილს თბილ ატმოსფეროს უქმნიან, ალალი ოფლით მონაგარ ლუკმას უზიარებენ, ტრადიციულად თხის რძით მკურნალობენ, მწყემსური საყოველდღეო ადათ-წესებით ფიზიკურად აკაჟებენ და, რაც მთავარია, დედის რძესავით მოცემული სულიერი საზრდოთი შორს ინახავენ ღვარძლისაგან, სიმწარისაგან, სიძულვილისაგან.

როგორც მისი ნაწარმოებებიდან ცხადლივ ჩანს, ნოდარ დუმბაძეს ბავშვობიდანვე დაკვებებია გასაოცარი სიყვარული ქვეყნისადმი, ადამიანებისადმი, ბუნებისადმი, ფრინველებისადმი, ცხოველებისადმი, ერთი სიტყვით, მთელი სამყაროსადმი. განსაკუთრებით მგრძნობიარე ყოფილა ყველა ერის შვილთა მიმართ. დაუძალებლად, წინასწარ შეუგონებლად, ნათელმხილველის გრძნობით ჰყვარებია ყველა კეთილსინდისიერი ადამიანი, განურჩევლად გვარტომობისა და სოციალური მდგომარეობისა. ამ გაგებით იგი არსებითად ძალიან ახლოს დგას და

სულიერად ენათესავება მშობლიური საქართველოს გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც ზნეობრიობის სიწმინდის ბურჯებს მეტწილად ხალხსა და ბუნებაში ეძებდნენ. ხდება ხოლმე, წყენა, სევდა ზოგჯერ ადამიანს მოწყვეტს თავის გარემოს და აუცხოებს. მაგრამ ხშირად პირიქითაც ხდება: უვითარებს მგრძნობელობას, უფაქიზესი თბილი გრძნობებით ავსებს, უფრო აახლოვებს სინამდვილესთან, ღრმად უცნობიერებს ადამიანის სილამაზის ფასს. ნოდარ დუმბაძე, რომლის გულზე გადაუვლია დაუვიწყარი სულიერი ძრწოლის დამანგრეველ ტკივილებს, საერთო-სახალხო დიდი განსაცდელების სტიქიონიდან გამარჯვებული გამოდის, საკუთარ თავში აღმოაჩენს ჭირთაძლევის ენერგიას... და აი, მხნედ მიაბიჯებს იგი ცხოვრების დიდ გზაზე და თან მოაქვს მორალური სიფაქიზის სიმდიდრე, დაგვირისტებული მხიარული და სევდიანი სტრიქონებით, ნიჭიერი ყმაწვილი დღითი დღე იზრდება, ხდება ხალხის ზნეობრივი ტრადიციების მემკვიდრე, მის გულში ღრმად იდგამს ფესვებს ბუნებისა და ყოფიერების სილამაზის მსახურის კულტი.

დუმბაძეს ლიტერატურაში პროფესიული დაოსტატების სკოლა არ გაუვლია, მაგრამ მას დაუმთავრებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. სწორედ აქ, სტუდენტობის წლებში დაუწყია სერიოზული ცდები მწერლობაში. რაც დრო მიდის, მით უფრო იფურჩქნება ნოდარ დუმბაძის ნიჭი და სულ მალე გვევლინება ფსიქოლოგიური ძიებებით დამუხტულ, ნათელმხილველ შემოქმედად, რომელსაც წარმატებით ხელეწიფება აგრეთვე ადამიანების შინაგანი დრამის წარმოსახვის ასპარეზიც. გახმაურებული — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ (1959) შემდეგ, რომელიც გასაოცარი გურული ცხოვრებისეული თბილი კოლორიტით გამოირჩევა, წერს ახალ რომანს — „მე ვხედავ მზეს“, ახალგაზრდა კაცის შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბების შესახებ. ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვანი ეტაპია მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის მაგისტრალურ გზაზე.

ზედიზედ გამოქვეყნებული ზემოდასახელებული ნაწარმოებებით ნოდარ დუმბაძეს მშობლიურ ლიტერატურაში მოჰქონდა მდიდარი ცხოვრებისეული სიმართლე, სძლევდა ახლო წარსუ-

ლის ლიტერატურულ სქემებს და დაბნეულობას, ადამიანი ისევ აჰყავდა მისთვის კუთვნილი ღირსებების სიმაღლეზე, ხოლო სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ამდიდრებდა ხალხის ცხოვრების ღრმა შრეების ამსახველი ნაწარმოებებით. რა თქმა უნდა, იოლი არ იქნებოდა მისი სამწერლო გზა, — ყველგან და ყოველთვის გამოჩნდებიან ისეთი ადამიანები, უწმინდურობის მხილებაში, მეტადრე იუმორისტულ ჟანრში, ეროვნულ ფასეულობაზე უცხოთა თვალში რაღაც ჩრდილის მიყენებას რომ ხედავენ ხოლმე და ზნეობრივი ბიწიერების სამზეოზე გამოტანასა და მხილებას ან დუმილს, ანდა მიჩქმალვას ამჯობინებენ. ჩვენი ნალბანდიანი — გამოჩენილი პოეტი და მხურვალე პუბლიცისტი ასეთ დუმილს ბრმა და მავნებლურ სიყვარულად თვლიდა, რადგან მხოლოდ ჯანსაღ და ცხოველმყოფელ ხალხს შეუძლია ჰქონდეს მართალი ლიტერატურა, რომელიც თვითკრიტიკითა და მანკიერებათა მხილებით ეხმარება თავის ხალხს ცხოვრების გალამაზებასა და უწმინდესი ზნეობრივი ტრადიციების დაცვაში, ისევე, როგორც მხოლოდ მაგარ კაცს შესწევს გამბედაობა დასცინოს სხვებისა და თავის საკუთარ ნაკლს... ნოდარ დუმბაძის ფხიზელი და გაბედული ნიჭი აინუნში არ აგდებს მეშჩანთა ობივატელურ წუწუნ-ჩივილს და ხალხის ჯანსაღ სულზე ნაზიარები იუმორით დაუნდობლად ამათრახებს ნაკლსა და ბოროტებას.

ამიტომ იყო, რომ ჩვენთანაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო ნაწარმოებმა — „თეთრმა ბაირაღებმა“, რომელიც, შესანიშნავად დადგმული სპექტაკლით, ხომ-ხურმა ტელევიზიამაც გააცნო თავის ფართო აუდიტორიას. რამ მიიპყრო მკითხველისა და მაყურებლის ყურადღება? უპირველესად — უშრეტმა სარკაზმნარევმა იუმორმა, მანკიერებათა დანახვისა და რელიეფურად წარმოსახვის ნიჭმა, უსამართლობის, სიხარბის, ეგოიზმის, საქმისა და მოვალეობისადმი უსულგულო დამოკიდებულების უაღრესმა სიძულვილმა, ციხის ერთი საკნის ატმოსფეროში ოსტატის გაწაფული ხელით გამოქანდაკებულ ცოცხალ ხასიათებთან — დამნაშავე და უდანაშაულო ადამიანებთან ერთად, საკნის მიღმა მიმდინარე ცხოვრების ზნეობრივმა პროცესებმა, იმ უკულმართობამ, რომელიც თან სდევს ხოლმე მორალური საყრდენების რყევას, აგრეთვე — მწერლის

ლირიზმით გაჟღენთილმა იუმორმა და სატირამ, რომელიც მსუბუქი სევდიანობით ავსებს საკნის ატმოსფეროს. ღღეს უკვე სადავო არ არის, რომ დუმბაძისეული გამანადგურებელი დაცინვის ადრესატი მეტწილად ობივატელია, ამიტომ სრულიად ბუნებრივია პირუთვნელი სამსჯავროს ტონალობა, მის კალამს რომ თან ახლავს ნეგატიური მოვლენების მხილების დროს, მაგრამ როდესაც უბრუნდება ხალხის ცხოვრებას, მწერლის პირქუშ სახეს ნათელი ეფინება, სატირა რადაც სითბოთი ივსება, სიტყვები ლმობიერებას იძენენ, ეპიზოდი ცხოვრებისეული მოტივებით იმუხტება. მწერლის იუმორის ეს თავისებურება განსაკუთრებით საცნაურია რომანში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". მის გმირებს ცხოვრების მძიმე ტვირთი ამძიმებთ, მაგრამ მოზრდილი ბავშვებივით ეზიდებიან ამ ტვირთს, გულითადად იცინიან, თავსაც ამათრახებენ და ერთმანეთსაც კეთილმოსურნეობით დასცინიან იმ ზომამდე, რომ მსუბუქი და უდარდელი გეჩვენებათ მათი ყოფა და გაეიწყლებათ, რომ სწორედ სიცილითა და ერთმანეთის ქილიკობით იტანენ ცხოვრების სიმწარეს, სიდუხჭირეს, შინაგანი სერიოზულობით ინახავენ იმ ტრადიციულ ღირსებებს, რაც ამაღლებს ადამიანს, რადგან მათში ცოცხლობს დიდი სინდისი, მშობლიური ხალხის დამახასიათებელი რაინდული სული.

სიტყვიერ და წერილობით გამოსვლებში ნოდარ დუმბაძე ყოველთვის წინა პლანზე აყენებს ლიტერატურის მაღალ დანიშნულებას. მისი აზრით, მწერლის უპირველესი ამოცანაა თავისი ხალხის ზნეობრივ სისუფთავეზე ზრუნვა. ამას დასტურია არა მარტო მისი იუმორისტული ნაწარმოებები, არამედ ყოველდღიური ყოფაცხოვრებიდან აღებული სურათები. ნ. დუმბაძე დღითი დღე უღრმავდება სულის საიდუმლოებათა ამოხსნის თემას. ასე ნდება მწერლის შემოქმედებაში შემაძრწუნებელი ნაწარმოებები, რომლებშიც სულის ღრამაა გასხნილი („დედა", „უმადური", „ნუ გამაღვიძებთ", „ძალლი", „ქალაქში მიმინოს რა უნდა", „სისხლი"). მათში მძაფრად ამოიცნობა ქართული ეროვნული კოლორიტი, სტილი და ცხოვრებისეული ფსიქოლოგიის შტრიხები. სანიმუშოდ გავიხსენოთ მოთხრობა „ნუ გამაღვიძებთ". ამ ნაწარმოებში სახიერად ამოიკითხება, როგორ გრძნობს მწერალი თავისი ხალხის სულიერ აღნაგობას, გლეხ-

კაცის ყოფას, სულს, სინდისს. აი, ერთი მეტად დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელიც ღრმად გვახედებს ქართული სულის მოძრაობის საიდუმლოებაში: თავისი ნახევრად შიშველი დაიკო — ნათელა რომ შემოსოს, ძმას ბაზარში გასაყიდად მიჰყავს ერთადერთი ძროხა. მიჰყავს და თან მძიმე ფიქრები არ შორდება. ბაზარში მყიდველი მალე გამოჩნდება, მორიგდებიან, მაგრამ კუკური ფულს უცბად დაუბრუნებს, ვერ გაიმეტებს ძროხას, რომელიც მყიდველმა იმიტომ შეიძინა, რომ სტუმრებს დაუკლას. ყმაწვილის სუფთა სინდისი პროტესტს აცხადებს — ძროხა მისთვის ახლობელი ადამიანივით იყო, ოჯახის წევრი იყო, მასთან გაუტარებიათ ცხოვრების მძიმე წლები, და ბავშვები ძროხასთან ერთად ბრუნდებიან სოფელში... დამშვიდებული სინდისით. მის მოთხრობებსა და რომანებში არა ერთი და ორია მკითხველის ამაფორიაქებელი, დამაღონებელი და დამაფიქრებელი ასეთი ეპიზოდი.

მის ახალ ნაწარმოებებში მეტნაკლებად ერთად საქმიანობენ პოეტი და მოაზროვნე, იუმორისტი და ფსიქოლოგი, დამკვირვებელი და ანალიტიკოსი, ანუ სრულ მთლიანობაშია ლირიკა და ეპოსი, სიცილი და დაცინვა, დამკვირვებელი თვალი და ფსიქოლოგიური განსჯა, დრამა და ფიქრები. მწერალი ისწრაფვის შექმნას სიცოცხლის შინაგანი და გარეგანი მოძრაობის, ზნეობრივისა და მატერიალურის სულიერი კავშირის, თანამედროვე დრამატიული მოვლენებისა და ცხოვრებისეული კონფლიქტების მხატვრული ისტორია, ესე იგი, ნიჭი გაფურჩქვნის ზენიტშია. ამ სიტყვების დაწერის უფლებას გვაძლევს რომანი „მარადისობის კანონი", რომელიც შესანიშნავი თარგმანით წარუდგინა სომეხ მკითხველს ახალგაზრდა ქართველოლოგმა ჰრაჩიკ ბაირამიანმა.

ამ რომანის გამოსვლა დიდი მოვლენა იყო მთელ საბჭოთა მწერლობაში. ჟანრის განვითარების კუთხიდან თუ შევხედავთ რომანს, ზოგიერთ ნიშნით იგი შეიძლება შევადაროთ ჩინგიზ აითმატოვის — „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე". ორივე საყურადღებო მოვლენაა, ორივე ეროვნული ავტორის ნახელავია და, რაც უმთავრესია, ორივეს თვითმყოფადმა ნიჭმა რაღაც ძირითადი სიახლე მოიტანა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის აღმავლობაში, გააფართოვა თანამედროვე რომანის აღქმის შესაძლებლობები და შინაგანი შრეები,

ამ ორ რომანში სახიერად ამოიცნობა ეპიკურის სივრცობრივი გაფართოვება და მისი შემადგენელი ნაწილების განახლება. ძალუმად იგრძნობა ლირიზმიც, ღრმა დრამატიზმიც, პუბლიცისტური სუნთქვაც და ფილოსოფიურობაც, ბასრი რეალიზმი. ორგანულად უთავსდება ფანტასტიკურს, ცხოვრებისეულ ნეგატიურ მოვლენებზე ამოზრდილ სურათებს კი ასევე ორგანულად ერწყმის სიმბოლოები, თავზარდამცემ დრამატულ ეპიზოდებში კი თამამად გაისმის ზნეობრიობის სიწმინდის მქადაგებელი მოქალაქის ხმა.

თუმცა ამ რომანებში არის სტილისტური და თემისმიერი განსხვავება, ავტორებს მხედველობაში აქვთ სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენები — დუმბაძესთან მაინც ავტორისეული ჩარევა უფრო დიდია, თითქმის ძირითადია, აითმატოვი კი თავისთავის გაცნობიერებას შორეული მეგზურივით ცდილობს. მიუხედავად ამისა, ორივე რომანში, მჩქეფარე წყალქვეშა მდინარეების საშუალებით, იქმნება თავისებური შენადედი, რომელშიც საუკუნის არსებითი მოვლენები ფსიქოლოგიურ ასპექტებშია გახსნილი. თუ აითმატოვი ერთ დღეში ითავსებს მთელი საუკუნის ტკივილებსა და სიბრძნისეულ მოვლენებს, ესე იგი, ერთი დღის მონაკვეთში გამოაქვს სამზეოზე ზნეობრივი და პოლიტიკური ბზარების სურათები და ამ გზით ჰქმნის თავისებურ ფილოსოფიას, ნ. დუმბაძე თავს უყრის და ყურადღების ცენტრში აქცევს უამრავ ზნეობრივ და ცხოვრებისეულ მოვლენას, დრამატულ სიტუაციებს, ნათელ სიზმრებს, გადატანილი წამებისა და ტკივილების მოგონებებს, მორალურ კატასტროფებს და ყოველივე ამას სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი ინდივიდის გაბზარულ გულზე გამოტარებულს გვთავაზობს. რომანის სიუჟეტური ქსოვილი იძერწება სწორედ გულის გარშემო. რა ბადებს გულის ინფარქტს? რა ზნეობრივი და ფიზიკური მძიმე ტკივილები იწვევენ მას?.. აქაც ძირი და ფესვი ბიოგრაფიულია, ისევე, როგორც დუმბაძის სხვა ნაწარმოებებში. მწერალს ორჯერ გადაუტანია ინფარქტი, ორჯერ გაუზომავს სიგრძე-სიგანით შავეთი, ორჯერ გამოუცდია ამ ავადმყოფობის თანამგზავრი კოშმარი.

ტალანტს აქვს შინაგანი გამძაფრების ენერგია, საკუთარი მრწამსის გამონათების წუთები, მაგნიტური მიმზიდველობის

ძალა, რითაც აღწევს ცხოვრებისეული და სულიერი მოელენების კონცენტრაციასა და საზიარო შეთავსებას. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს გადამწყვეტი როლი მხოლოდ გულის ინფარქტს შეუსრულებია. ქვეყნიერებაზე ბევრ ადამიანს გამოუვლია მისი სიმწარე, მაგრამ არც ღრმა სულიერი ტკივილები გადაუტანია და არც დიდი შემოქმედებითი აღმავლობის თემად უქცევია იგი. დიდად ნიჭიერი და ღრმა სულიერი აღქმით ეამორჩეული ადამიანის ხვედრია თავისებური მდგომარეობა, როდესაც კიდევ უფრო უმძაფრდება წარმოსახვის ფსიქოლოგიური ტონუსი და მისი სინათლის შუქზე ჩავლილ ცხოვრებაზე თვალის გადავლების სურვილი.

მთელი რომანი ერთი დიდი ტკივილის ისტორიაა — ერთი დიდსულოვანი ადამიანის თავგადასავლით გამოხატული, იგი ბუნებრივად იერთებს რა ჩავლილი ამბების მრავალ შენაკადს, რომელთაგან თითოეული, ცალკე აღებული, მიმზიდველ დრამას წარმოადგენს, მოდის და თან მოაქვს დიდი ამაფეთქებელი ძალა, სიზმრებითა და უაღრესად დამუხტული განცდებით გაცოცხლებული ერთი ადამიანის ცხოვრების ეპიზოდები, უფრო სწორად, მთელი თაობის განვლილი გზის ისტორია.

ჩაელილი განცდები და მოგონებები თან სდევენ ავტორს ხიზმარ-ცხადში, მაგრამ მძაფრი ტკივილების საგანგაშო წუთებშიც რომ ესტუმრებიან, ახალი ჭრილობის შეგრძნებით წარმოადგენენ საბედისწერო განშორებას დედასთან... ეს წუთები წარუშლელ კვალს სტოვებს ყმაწვილის ნორჩ გულზე. ათი წლის მოზარდის სულში ჩნდება პირველი ჭრილობა, პირველი ნაიარევი... მერე მოდის სტუდენტობის წლები, ძძიმე, წყენით აღსავსე, მაგრამ ასაკისათვის დამახასიათებელი ნათელი ღღეებით გასხივოსნებული. ასეთ ატმოსფეროში კელავ ისაზება ერთი ახალი შემზარავი დრამა, რომელსაც ფსიქოლოგიური რომანისათვის ნიშანდობლიეი სიმძაფრე აქვს. იგი გვევლინება რომანის განცალკეებულ ეპიზოდად, ანუ ნაწარმოების სიუჟეტის რთულ ჯაჭვში ჩართულ თვითმყოფად მხატვრულ ერთეულად — ვერელი მარგო... ბედისწერის, ცრუმორწმუნეობისა და ეგოიზმის მსხვერპლი, გუშინდელი კეკლუცი გოგონა, რომელსაც გაცრუებული იმედებით უცხოვრია, ასევე დარჩენილა ლამაზი, უბედური, უმანკო. და იცით, რა არის გასა-

ოცარი? დაღუპული სილამაზის მიუხედავად, მას ბოლომდე შეუნარჩუნებია ქეთევანისა და ღვიძლი ძმებისეული სანუკვარი ვერელი ბიჭების სიყვარული. ამიტომაც არის, რომ მძიმე პირობებში მყოფი ვერელი მშიერი ბიჭები მარგოს დაკრძალვას თავისებურ სახალხო-სამგლოვიარო პროცესიად აქცევენ—ისინი ხომ მიწას აბარებდნენ არაჩვეულებრივ ქალს, უფრო სწორად, ბედისწერისაგან გათელილ სილამაზეს, რომლის ტრაგედიაში ცხოვრების უმაღლესი ტკივილების ერთი ისეთი ნიშანთაგანი იყო, ადამიანებში იდუმალ მისტიკურ ძრწოლას რომ აღვიძებს სილამაზის სიკვდილი.

აქ საჭიროდ მიმაჩნია ვისაუბროთ დუმბაძის ტალანტისა და ტემპერამენტის ერთი მეტად გამორჩეული თავისებურების შესახებ. მთელ მის რთულ შემოქმედებას და, კერძოდ, ამ რომანს წითელი ზოლივით გასდევს სილამაზისეული დანაკარგების თემა. უფრო სწორად, რომანში ყველგან ბუნებრივად ჩნდება და ვითარდება სულიერი და ფიზიკური სილამაზის ნარეკლიანი გზებისა და დანაკარგების პრობლემა, რომელიც საკაცობრიო ეღერადობას სძენს ნაწარმოებს. ადამიანების ცხოვრება დაახლოებისა და გაუცხოების მარადიული დინებაა. ამ დროს ნიადაგ ფათერაკი ემუქრება სილამაზეს, მორალურ ღირსებებს და, ბუნებრივია, ადგილი აქვს გაუთაებელ ბრძოლას სილამაზის დასაცავად. ამ გაგებით რაღაც ნათესაურს ვხედავ ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძისა და უღროოდ ტრაგიკულად დაღუპული ჩვენი აკსელ ბაკუნცის შემაძრწუნებელ ნაზ ვრძნობებსა და უნებურად, ქვეცნობიერად დაბადებულ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას შორის. იქნებ ამის მიზეზი საძიებელია იმ სიღრმისეულ ფესვებში, რომლითაც ეს ორი დიდბუნებოვანი მწერალი დაკავშირებულია ბრძნულ ხალხურ ძირებთან, ან ერთგვაროვანია ორივეს განწყობილება, ხასიათი, რეალობის აღქმის ტონუსი, ანდა ორივესთან მუდმივად ანთია არცთუ ყველა უანრისათვის ეგრე რიგად აუცილებელი პოეტური კოცონი?! ვინ იცის!

ნოდარ დუმბაძის რომანის სიუჟეტური საყრდენია საავადმყოფოს სამსაწოლიანი პალატა და სამი ავადმყოფის ბედისწერა. მათი განცდები არსებითად თავთავისი თავგადასაველის პერიპეტიებს მოიცავენ, მაგრამ ძალდაუტანებლად ითავსებენ

აგრეთვე გარე სამყაროდან გამოყოლილ ამბებს აწმყოს, წარსულისა და, წარმოიდგინეთ, მომავლის შესახებ, რითაც დრამატიული ეპიზოდებით დამუხტულ სიტუაციებს ქმნიან. რომანში ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია მარიამის ისტორია. აი, კიდევ ერთი ციდან მოწყვეტილი და ძირს დანარცხებული ვარსკვლავი, კიდევ ერთი გათელილი სილამაზე, ტლანქი გარემოს კიდევ ერთი მსხვერპლი, რომლის ყმაწვილქალობა ცივგომბორის ტყეში გადარუჯულ ხეზე ჩამოუხრჩვიათ. ნოდარს სწამს ადამიანის მორალური ძალა და სილამაზე, ეჭვიც არ ეპარება, რომ ადამიანში ცხოვრობს რაღაც მარადიული მზიური სილამაზე, ამამაღლებელი, განმაწმენდელი, მზის მცხუნვარე ენერგიით სავსე ძალა. სილამაზისა და სინათლის ამ მარადიული ძალის სიმბოლური ხატია რომანის გმირის შეხვედრა მარიამთან მზით გაბრწყინებულ თოვლიან მინდორზე... მარიამის ისტორიას რომ ვეცნობით, ასე გვგონია, ამ გატანჯულ და ამორალური ეკლებით დასერილ გზებგამოვლილ ქალში კვლავ გაუღვიძია ადრინდელ ქალწულებრივ სუნთქვას. ასეთივე ნაზი, დახვეწილი სახეა თამარიც, რომელიც ლამის ჩაყლაპოს გარემოს სიბინძურემ... და ყმაწვილის გულში უფრო ღრმად იდგამს ფესვს შიში ლამაზი, უმანკო გოგონას ბედის გამო.

პოლ ლაფარგი შენიშნავს, პოეტი თუ ფილოსოფოსი არ არის, მაშ, ხელოსანი ყოფილაო. ეს სიტყვები ვრცელდება მთელ ლიტერატურაზე, განსაკუთრებით კი პროზაზე. მაგრამ, ფილოსოფიასთან ერთად, არ შეიძლება პოეტურობის დავიწყება. აჯობებს ,ასე ვთქვათ: დიდ პროზას, თავის შინაგან ნიშან-თვისებებთან ერთად — აღწერა, თხრობა, დაკვირვება — უნდა ჰქონდეს, აგრეთვე, ორი კომპონენტი: მხატვრის ცოცხალი ნერვი — პოეტურობა და ფილოსოფიური მსჯავრის გამოტანის ძალა. ნოდარ დუმბაძესთან ეს ორი კომპონენტიც თვალსაჩინოა.

შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, ტალანტი აგზნებულია და, შინაგანი მსნეობით ძალმოსილი, განადიდებს ადამიანური სილამაზის არსს. გავიხსენოთ ერთი უცნაური ფანტასტიკური სიზმარი, რომელიც წინ უძღვის ბულიკას სიკვდილს. მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე ასვენია, მძიმედ სუნთქავს, ემშვიდობება სიცოცხლეს, სასთუმალთან მარადთოვლიანი

მყინვარწვერი უდევს, შვიდფეროვანი ცისარტყელით შუბლ-შეკრული. თავთან სამი ჭირისუფალი უდგას — ბაჩანა, მაძა იორამი, ბულიკა, ხელაპყრობილი ეკედრებიან მნათობს — არ მიატოვოს ადამიანები, არ უღალატოს მათ.

მზე იტანჯება ქვეყნიერების ტკივილებისაგან, რადგან ქვეყნიერებაა მისი გული. მზე სიყვარულისაგან გარდაცვლილ ადამიანთა ანთებული გულია, მზე მათი სულით საზრდოობს. მაგრამ „...უკვე რამდენი ხანია დედამიწაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით, დედამიწაზე დაიშრიტა წყარო ჩემი მაცოცხლებელი სიყვარულისა, დადგა ჟამი ჩემი გარდაცვალებისა. გააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე როგორმე თუ შეგიძლიათ და მე აღვსდგები კვლავ მკვდრეთით...“ უეცრად ბულიკა — ნათელი და სხივფენილი სული — მკერდზე დაემხობა ჯერ კიდევ ისევ თბილ მზეს, გალღვება მომაკვდავი მზის მკერდზე და მზესთან ერთად შეცურდება ცისარტყელას შვიდფეროვან შარავანდედში. მზის დიდი შავი დისკო თანდათან ნათდება, პატარა დისკო კი, ბულიკას ბედის ვარსკვლავი, ცას მოწყდება და დედამიწაზე ეცემა.

და ხმაურით, ნება-ნება
ძირს დაეცა ანთებული ვარსკვლავი...

დარდიანად მოსთქვამს ავეტიკ ისააკიანის სტრიქონი. მოსიყვარულე გულთა დიდი მეხოტბე სევდიანად დასტირის სამყაროს უბრწყინვალესი ქმნილების, ადამიანების — მზეების სიკვდილს.

სად მოვნახო მეგობარი,
გულის დარდს რომ გავანდობ!..
რახანია აღარ ჩანან,
— რად ჩამქრალან მზეები?..

დედამიწაზე არ ყოფილა დიდი მწერალი, რომელსაც თავისებურად არ ეგრძნო ადამიანის მარტოობის, დაუსრულებელი გაუცხოების თავზარდამცემი ტკივილების ტრაგიზმი. უგრძვნიათ და გაუმარჯვნიათ. იმედით აღსავსე მათი სიტყვები ადამიანებს მუდამ მატებდა ენერგიას, რადგან მარადიული სიყვარულით ერთმანეთის მხარში დგომისაკენ, ერთმანეთის ახლობლობისაკენ მოუწოდებდნენ ისინი. ღრმად მოაზროვნე ქართველი მწერალიც ამ ცხოვრებისეული ფილოსოფიის მქა-

დაგებელია და თავის წიგნში ახლებურად ავითარებს რა ამ თემას, ზნეობრივი საყრდენის განმტკიცებით ცდილობს სიყვარულის შარავანდედში გაახვიოს ჩამქრალი და ჩაუმქრალი ძზეების ქვეყანა.

მეტიც, ამავე ცხოვრებისეული ფილოსოფიის იმპულსებით ჰქმნის სინამდვილიდან აღებული პორტრეტების მეორე რიგს. აქ მისი მზერა პირქუშია, მკაცრი, დაუნდობელი, მრისხანე, რადგან ასპარეზზე გამოყავს მარადიული ბიწიერების დაღდასმული ტიპები, რომელთაც თანამედროვეთა იერი დაჰკრავთ.

მიუხედავად ამისა, მწერალი მაინც უიმედოდ არ უყურებს ცხოვრების მდინარებას და რთული მოვლენების წიაღში მაღლდება, თანდათან ენერგიას იკრებს ქარიშხალგამოვლილი ძლიერი კაცი, მოქალაქე და კომუნისტი, ბრძოლა, ჭიდილი კი გზადაგზა განადიდებენ სინდისს, რწმენას, ხალხის ზნეობრივ საყრდენებს.

არის ეროი დიდი ხალხური საიდუმლო, არაპირდაპირ რომ ცხოვრობს მწერალში, მის შემოქმედებაში, პიროვნებაში. ხალხის ცხოვრებაში ძნელია მოიძებნოს უფრო გაურცელებული ემოციური და იდუმალი სიტყვები, ვიდრე მზე, გული და სიყვარულია. ხალხურ ლექსს საუკუნეების მანძილზე დაუსრულებლად ულაპარაკია გულის ენით, გულის შესახებ, უმღერია პატარა და დიდი ტკივილების გამო, მაგრამ ამ სიმღერას მუდამ თან ხლებია ცახავით უძირო, მარადიული ჭრილობებით დასერილი და მარადიული განახლების შემძლე გულის დიდება... პროზაიკოსი თავის სულში დაატარებს ამ მრავალსაუკუნოვან სიმდიდრეს — უწმინდეს ზნეობრივ და პოეტურ მემკვიდრეობას, რომელიც იდუმალ სტიმულსა და საზრდოს აძლევს ახალი ყაიდის კაცის სულიერ ცხოვრებას.

ღრმად მოაზროვნე მწერალი ანზოგადებს მხატვრული ეპიზოდებიდან გამომდინარე ასპექტებსა და ჰქმნის უთუოდ ახალ სურათს იმ კანონის გასაცნობიერებლად, რომელიც მის გმირს აღმოუჩენია. ეს კანონი ფინალში ახალი მორალური მოტივის ძალას იხვეჭს და მოწოდებულია შეუმსუბუქოს ტვირთი ისედაც დამძიმებულ სულს. „ამ კანონის აზრი იმაში მდგომარეობს, პატივცემულო პროფესორო, რომ... ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ

ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისა და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე".

ამ უაღრესად ღრძაზროვანი ტირადის შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ლევ ტოლსტოის ზნეობრივი ანდერძი, რომელსაც დიდი მწერალი პიერ ბეზუხოვს ათქმევინებს: „მთელი ჩემი ფიქრის არსი ის არის, რომ თუკი ყველა უზნეო ადამიანები ერთმანეთთან კავშირში არიან და ძალას ქმნიან, ყველა პატიოსანი ადამიანებიც ასევე უნდა მოიქცნენ". ამ ანდერძის აზრი მზესავით ნათელია: უზნეო ადამიანების თავშეყრამ და ერთობლივად კაცობრიობის ჰარმონიული ცხოვრების დარღვევის ცდამ ბუნებრივად უნდა დაბადოს უკუქმედება — უწმინდურობის წინააღმდეგ პატიოსანი ადამიანების კოლექტიური ბრძოლის ცხოვრებისეული აუცილებლობა.

ნ. დუმბაძის გულის კარნახით დაწერილი ღრმად დამაფიქრებელი სტრიქონების კითხვისას უნებურად მაგონდება ვაჰან ტერიანის სიტყვები, რომლებიც ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე უთქვამს. ნაზი ლირიკოსი საუკუნის შემზარავ მოვლენებს და ზნეობრივ ბედუკულმართობას მარტოობით ხსნიდა — „ყველა ადამიანი ცალკეა, სიყვარული დათრგუნვილია" — და თავისი დიდი ტალანტით უმღეროდა განმარტოებული სულების ტკივილს, ოცნებობდა მათ გულითად ახლობლობაზე...

სავსებით ბუნებრივია, რომ დღევანდელი ნამდვილი ტალანტიც ასევე ღრმად განიცდის ამ მუდმივ ნაკლს და ახლებურად განაგრძობს ბრძოლას იმ ნეგატიურ მოვლენებთან, ხელს რომ უშლიან ადამიანების საზიარო თანდგომას, ერთმანეთთან გულითადი დაახლოების მდინარებას და განადიდებს კაცთა სულიერი შეკავშირების იდეას, რომელიც ნამდვილად მოიცავს ადამიანის ბედნიერებისა და კაცური არსებობის აზრს, რომელიც უხსოვარი დროიდან კაცობრიობის ნაუქრობელი ოცნება და წინსვლის გარანტიაა.

ამ შემაჯამებელი ბრძნული ტირადით იკვრება რომანის

სიუჟეტური ქსოვილი და ნაწარმოები მთავრდება წარმტაცი სურათით: ორ თვეს საავადმყოფოში ყოფნის შემდეგ, სიკვდილის მარწუხებისაგან განთავისუფლებული ბაჩანა მიაბიჯებს პლეხანოვის პროსპექტზე. სიცოცხლე მისთვის ჩვეული მომხიბვლელობით გრძელდება, ადამიანი ახლად იწყებს სიარულს, საერთო რიტმიდან ამოვარდნილი გული თანდათან ვარდება საგულეში, ბოლოს და ბოლოს, ეჩვევა ცხოვრებისეულ რიტმს, ბაჩანა ჯდება ტაქსში და თავისით პოულობს გზას მარიამისაკენ, ახლადდაბადებული სილამაზისაკენ... ამ დეტალითა და სხვა შენაკადებით მდიდარი რომანი ჟღერს როგორც სილამაზის, სიყვარულისა და გულის მელოდია...

სილამაზეს ის მაგნიტური თვისება აქვს, რომ მას ძალა შესწევს შეარხიოს გულის სიმები, ააჩქროლოს სისხლი... კარგი წიგნები ყველა ხალხს, ყველა ადამიანს მატებს ენერგიას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაშიც ჩადულებებულია მაგნიტური მიმზიდველობის ძალა, ამიტომ ისიც ყოველთვის იქნება ახალ-ახალი თაობების სულიერი ჩამოყალიბების დაუშრეტელი საზრდო.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების შესახებ შემაჯამებელი სიტყვისთვის მინდა მოვიშველიო დიდი ოვანეს თუმანიანი. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, როდესაც ქვეყანა საგანგაშო მოვლენებით იყო შებოჭილი, იგი საგანგებოდ შეეხო ლიტერატურის დანიშნულებას: არა და არა! ლიტერატურა თავისი არსით სარკე არ არის მხოლოდ, და თუ მაინც სარკეა, უთუოდ — ჯადოსნური სარკე, რომლის მოწოდებაა ვამოხატოს არა მარტო ცხოვრება, როგორც იგი ნამდვილად არის, არამედ ამასთან ერთად, გაასხივოსნოს და გაათბოს ადამიანის ცხოვრება, გარდაქმნას ადამიანი, აღუდგინოს „ის დიადი და უმშვენიერესი გამოსახულება, რომელიც ღმერთს უბოძებია მისთვის, ბუნების ყველაზე წმინდა და უსპეტაკესი ელემენტებით შექმნის დროს“. ყველა ხალხის ეროვნული ხელოვნება ამ გზით მიდის და ისწრაფვის უმაღლესი მიზნისაკენ — ადამიანისა და გულის სრულყოფისაკენ. ქართული ლიტერატურაც ამ გზით მიდიოდა მარადიულად თავისი ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლებით. ამ დიადი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა ნო-

დარ დუმბაძე, რომელსაც მომადლებული აქვს ხილვის, განსჯის და სიყვარულის დიდი ნიჭი.

ამიტომ გულწრფელად მსურს, რომ მოძმე ქართულ ლიტერატურაში მუდამ ენთოს მისი მზე, მუდამ ძგერდეს ნოდარ დუმბაძის ბრძნული, მოუსვენარი, ჭრილობებით დასერილი გული, რომლის მწველი სინათლე და მხურვალება ჩვენამდეც აღწევს, მშობლიური სიყვარულით მისდამი დაკავშირებულ სომეხ მკითხველამდე.

1982 წ.

## გიორგი მარგველაშვილი

## ბილიკი, გზა და მზე

ნოდარ დუმბაძე უკვე საკმაოდ აღიარებული პოეტი იყო თავისი თაობის დამწყებ პოეტთა შორის, როდესაც 1957 წელს, ახლადდაარსებულ ჟურნალ „ცისკრის“ პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა მისი ფელეტონი, რომელიც, ერთდროულად, წკეპლავდა ცუდ პროზასაც და უვარგის კრიტიკასაც. საქმე ეხებოდა სტანდარტულ, გაცვეთილ ლიტპროდუქციას და მისი ანალიზისა თუ შეფასების ასეთსავე მექანიკურ მეთოდს თუ ხერხებს. ფელეტონში გამოყვანილი იყო თავისებური „კიბერნეტიზირებული“ კრიტიკოსი (გროტესკულად განზოგადებული პერსონაჟი), რომელიც ნებისმიერ — კარგ თუ უნიათო — ნაწარმოებიდან ამოიკითხავდა ხოლმე მხოლოდ ძალზედ შეზღუდულ, უბადრუკ ინფორმაციას და შემდეგ გამოსთქვამდა თავის მოსაზრებას ან დასკვნას კიდევ უფრო ულიმლამოდ და უბადრუკად.

აი, როგორ იხილავდა, მაგალითად, ასეთი „კრიტიკოსი“ მის მიერ მოწონებული რომანის (მის სავსებით ტიპიურ ღირსებათა ჩამოთვლის შემდეგ) ნაკლოვანებებს თუ ხარვეზებს:

„გვერდს ვერ ავუვლით რომანის ნაკლსაც... რომლის მოქმედება იშლება გურიის სოციალისტური საკოლმეურნეო სოფ-

ლის ფონზე... მაგალითად, ავტორი წერს: „მივიწყებული სოფლის ეკლესია თითქოს წამოწვა და სთელემს უკაცრიელ სასაფლაოზე". ეს სახე თავისთავად ნიჭიერი მხატვრის თვალით არის დანახული, მაგრამ თანამედროვეობის ასპექტში იგი იწვევს არასასიამოვნო ასოციაციებს, რომლებიც ცრურწმენებსა და დრომოჭმულ აზრებს ჰბადებენ. არ აჯობებდა იგივე აზრი გადმოეცა ავტორს, მაგალითად, ასე: „მივიწყებული სოფლის კლუბი თითქოს და ფხიზელ დარაჯად ჩასაფრებულა საშობიარო სახლთან შორიახლოს". ეს უკვე სულ სხვა, სავსებით ჯანსაღი განწყობილებაა, რომელიც რომანის საერთო ტონალობასა და სტილს ეთანხმება. ან თუნდაც სხვა ადგილას ავტორი მოიხსენიებს რომელიღაც „ავთვისებიან სიმსივნეს". დარწმუნებული ვარ, რომ აქ საჭირო იყო „კეთილთვისებიან სიმსივნეზე" ლაპარაკი"...

და აი, ნოდარ დუმბაძე დიდი წარმატებით მუშაობს როგორც ფელეტონისტი და იუმორისტული ნოველების ავტორი. ამიტომ, როდესაც 1959 წელს იმავე „ცისკარში" დაიწყო მისი ახალი ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" პუბლიკაცია, მკითხველს თავდაპირველად შეიძლება ეფიქრა კიდეც, რომ ეს მისთვის ჟანრობრივად ნაცნობი იუმორისტული მოთხრობების სერია ან თავისებური მონტაჟია. მაგრამ მკითხველმა მალე იგრძნო სიხარულითა და სიამოვნებით, რომ ამჯერად ბედმა არგუნა მას ახალი ქართული პროზის იშვიათ შენაძენთან შეხვედრა. იშვა ნაწარმოები, რომელიც ერთი-ორი სხვა ასეთივე მნიშვნელობის მოვლენასთან ერთად, ქართული ლიტერატურის ახალ ეტაპს მოასწავებდა და განასახიერებდა, ხოლო ცოტა გვიან, ჟანრული მეტამორფოზების შედეგად, ჯურ ქართული და მერე საკავშირო სცენაცა და ეკრანიც დაიპყრო, რათა საბოლოო ჯამში ლენინური კომკავშირის პირველი საკავშირო პრემიითაც შემკულიყო.

ნოდარ დუმბაძემ თითქოს და მიზნად დაისახა, მოეცა ჭეშმარიტი და მართალი ვარიანტი იმ ცხოვრების ხლართისა, რომელიც „იშლება გურიის სოციალისტურ საკოლმეურნეო სოფლის ფონზე". ამ ამოცანის განხორციელება მან განაგრძო მეორე თავის რომანშიც „მე ვხედავ მზეს" და იგივე მხატვრული ამოცანა მიუსადაგა უკვე ქალაქურ გარემოსა და პირობებს „ეზიან ღამეში".

ერთხელ კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა ერთ საუბარში ჰკითხა ნოდარ დუმბაძეს, თუ ვინ მიაჩნია მას ქართულ ლიტერატურაში თავის მასწავლებლებად. პასუხი ასეთი იყო: „მე სულხან-საბა ორბელიანის, დავით კლდიაშვილისა და დემნ› შენგელაიას თაყვანისმცემელი ვარ. ყოველივე ამან ითამაშა გარკვეული როლი და მაინც ჩემი ყველაზე დიდი მასწავლებლები გურია და გურულებია, რომლებიც ყველაფერს იუმორით აღიქვამენ“.

შეეჩერდეთ მწერლის ამ უკანასკნელ აღიარებაზე. გურია, როგორც ვიცით, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კოლორიტული და თავისებური კუთხეა. მაგრამ ეს კოლორიტი და თავისებურება მარტო პეიზაჟსა და ეთნოგრაფიულ ნიშნებში როდი მჟღავნდება. თვით ბუნებამ და ეთნოგრაფიამაც ისტორიის გავლენით მოგვცეს მარილაც რომ საგანგებო ეფექტი. საუკუნეთა მანძილზე ქართული ეროვნული ხასიათის ზოგიერთმა თვისებამ სწორედ ამ კუთხეში მიიღო თავისებური ელფერი: ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი სიცოცხლის ხალისი და სილაღე წარმოსდგენენ აქ მეტად გონებამახვილ და მძაფრ სიცოცხლის შეგრძნებად, ირონიული, ხან კი სკეპტიკური ყაიდის აზროვნებად. მახვილგონიერება და ენამახვილობა გურულისათვის იქცა მაღალ, თუმცა სადღეისადაგო ხელოვნებად და პირად, ყოფით, სოციალურ, თუნდაც პოლიტიკურ ურთიერთობათა მოგვარების მძლავრ იარაღად. შეიძლება ითქვას, რომ გურული კაცის ზნეობრივი და სოციალური კოდექსი გამოთქმულ იქნა იუმორისა და სარკაზმის ლაზათიან ენაზე, თუმცა არსად, არცერთ თავის თუნდაც უკიდურეს გამოვლენაში არ გასცდენია კეთილსინდისიერებისა და გულკეთილობის საზღვრებს.

ამავე დროს, ბუნებრივი და კანონზომიერია ისიც, რომ მსოფლშეგრძნებისა და აქტიური მოღვაწეობის ეგზომ მაღალ რანგში აყვანილი მახვილგონიერება შეუთანხმდა გურული კაცის შეგნებაში ასეთსავე მახვილ პოლიტიკურ აზროვნებას, რომელიც მუდამ ეძებდა განაღდებას ამა თუ იმ კონკრეტულ მოქმედებაში. თავის დროზე გურია ხომ განთქმული იყო თავისი ფირალებით — თავისებური ქართველი რობინ-ჰუდებით, მთაში ან ტყეში გახიზნული გლეხკაცებით, რომლებიც მდიდ-

რებს ძარცვავდნენ და ღარიბ-ღატაკებს შეეწეოდნენ. შემთხვევითი როდი იყო, რომ გურიაშიეე დამკვიდრდა იშვიათი ძალით ხალხის ერთობის, სახალხო სოლიდარობის გრძნობა, რის გამოც საზოგადოებრივ-რევოლუციური აღმავლობის ჟამს ეს მხარე მუდამ პოლიტიკური დარაზმულობის ნიმუში და სახალხო მმართველობის ჯერუნახავ ფორმათა შემოქმედი იყო. სწორედ ამიტომეე ცხრაასხუთის ზღურბლთან, უდიდესი საზოგადოებრივი აღმავლობის ჟამს, გურიამ შვა პირველი ქართველი პროლეტარული რევოლუციონერი მწერალი ეგნატე ნინოშვილი.

არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, საერთოდ, ქართულ საზოგადოებაში იმთავითვე დამკვიდრდა ცნება „ნინოშვილის გურიისა", რაც მოიცავდა მის შემოქმედებაში ასახულ ყოფითსოციალურ და სახასიათო-ფსიქოლოგიურ რეალიათა მთელს კომპლექსს. ამჟამად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, ჩვენ შეგვიძლია „ნოდარ დუმბაძის გურიის" შესახებ ვილაპარაკოთ — იმდენად ცოცხლად აღმოჩნდა მის პირველ ორ რომანში ასახული და გადმოცემული საქართველოს ამ დალოცვილი კუთხის დღევანდელი დღე და სულისკვეთება, შობილი თავის მხრივ იმ დიდი საზოგადოებრივი აღმავლობით, რომელიც ორმოცდაათიანთა შუაჟამს დაიწყო და მძლავრი ბიძგი მისცა მთელს ჩვენს ქვეყანას ნახევარი საუკუნის წინ დასახული მიზნებისაკენ ახალი, უფრო ზუსტი და დახვეწილი, წმინდა და კეთილშობილი გზების თუ ფორმების მოსაძიებლად.

აი, დაახლოებით, როგორ შეგვიძლია „გავშიფროთ" ჩვენ ნოდარ დუმბაძის აღიარება, რომ მისი „ყველაზე დიდი მასწავლებლები — მაინც გურია და გურულებია".

...სამი რომანი დაახლოებით რვა თუ ცხრა წლის მანძილზე (სამივე რომანის ინსცენირებისა და ორი მათგანის ეკრანიზაციის ჩათვლით) — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს" და „მზიანი ღამე". რას მოგვითხრობენ ეს რომანები, რას წარმოადგენენ ისინი და რით აიხსნება მათი განსაკუთრებული და მართლაც რომ საყოველთაო პოპულარობა? არა მარტო მათი უეჭველი და უდავო ნიჭიერებით, არამედ თვით ხალხის, მკითხველთა მასის დიდი ხნის მანძილზე დაუოკებელი წყურვილით — მოესმინა ხალასი და მართალი, ნაღდი და

ძალდაუტანებელი სიტყვა თავის დღევანდელ თუ გუშინდელ დღეზე, საკუთარ ბედ-იღბალზე.

ნოდარ დუმბაძის რომანების აშკარად ავტობიოგრაფიული ხასიათი, თვით პირველ პირში თხრობის ხერხი, რაც ნაწარმოებში პოეტურ და რომანტიკულ ატმოსფეროს ქმნის, თუმცა სიტუაციები ხშირად კომიკურნი არიან და იუმორით გამსჭვალულნი, სწორედ ამ პოეტური იუმორისა და ლირიკული ირონიის სისტემაში ისეთ პიროვნებათა და გარემოებათა ჩართვაც, რომლებიც უკავშირდებიან ცხოვრების მეტად ფართო ფენებს — ყოველდღიური ყოფაცხოვრებით დაწყებული ხალხისა თუ ერის ყოფიერების ტრაგიკულ სიღრმეებამდე, ამ ურთულეს პრობლემებისადმი ბუნებრივი, სადა, ადამიანური მიდგომა, ცხოვრებისადმი ნდობა და მისი წვდომა — გააზრებისას ორგანული ოპტიმიზმი — ყოველივე ამას არ შეეძლო არ მიეზიდა მკითხველთა თუ მაყურებელთა გულისყური.

ნოდარ დუმბაძემ მიაღწია თავის პროზაში ყოფაცხოვრების ნათელი და მკაფიო, მკვიდრი და ძარღვიანი, თუმცა მეტად ლაკონური აღწერის ელვარე და უხე იუმორთან, კეთილშობილ კომიზმთან და ხალისიან სატირასთან შეხამებას. სწორედ ამ საიმდროოდ უჩვეულო შეხამებაში „მაღალისა“ „ყოფითთან“, „სასაცილოსი“ „სევდიანთან“, თუნდაც ტრაგიკულისა კომიკურთან (აი სად იჩინა თავი დავით კლდიაშვილის ტრადიციათა კეთილმა ნერგმა!) — თხრობითი პალიტრის თვით ამ სიფართოვეში გამოვლინდა ახალგაზრდა ბელეტრისტის ნიჭის თავისებურება და მომნუსხავი ძალაც. და თუ დაახლოებით იმავე ხანაში შექმნილ ნაწარმოებთა უმრავლესობას საფუძვლად ედო ესა თუ ის საზოგადოებრივი ან ზნეობრივი კონფლიქტი და მათში ნაჩვენები იყო ამა თუ იმ საპირისპირო საწყისთა შეტაკება. ნოდარ დუმბაძის პათოსი (განსაკუთრებით პირველ ორ რომანში) უმთავრესად თანამემამულეთა და თანამედროვეთა სულიერი სისპეტაკისა და კეთილშობილების „თვითგამოხატვისაკენ“ იყო მიმართული, მიზნად ისახავდა ჭირში თუ ლხინში ადამიანთა ბუნებრივი ერთიანობის, მათი ერთობის განსახიერებას. ამით აიხსნება თუნდაც ის საგანგებო ყურადღება და ინტერესიც, რომელსაც ავტორი სამამულო ომის წლებისადმი იჩენს,

როცა საერთო ძნელბედობამ კიდევ უფრო შეამტკიცა ჩვენი ხალხი.

ისტორიული გამოცდილება ანუ გაკვეთილი, რომელიც წილად ხვდა მის თანამედროვეთ, მის ტოლებსა და „ორეულებს“ — საფუძვლად დაედო „მზიან ღამეს“. აქ იგრძნობოდა ნოდარ დუმბაძის ორი პირველი რომანისთვისაც დამახასიათებელი ხილვა, ხატვისა და წერის მანერა, მაგრამ გაღრმავებული იყო „საკონფლიქტო საწყისი“ და გაძლიერდა გმირის ზნეობრივ ძიებათა დაძაბულობა. ეს გმირი, რა თქმა უნდა, ახლო იყო იმ რომანების გმირებთანაც; მაგრამ მან თითქოს კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ — ასაკობრივადაც და თვით საფიქრალის სირთულის მხრივაც.

„ბებიას...“ გმირი ზურიკელა, ახლად მიღებული უნივერსიტეტის დიპლომით მშობლიურ სოფელში დაბრუნებისას, გატაცებული იყო დიდებული და მშვენიერი, მაგრამ მაინც მომხიბლავად მიამიტური ფორმით გამოხატული ოცნებით: „მე მივდივარ ახლა ჩემს სოფელში, სადაც ამომავალ მზესავით მელოდებიან: ბებია, ილიკო, ილარიონი და მურია. მე ვიცხოვრებ სოფელში, მექნება დიდი ოდა, ეზოში მებმება მურადა, მეყოლება მერი და თორმეტი შვილი, თერთმეტი ბიჭი და ერთი გოგო, რომელიც ლამაზი იქნება და ცირა ერქმევა...“

აგერ კი „ლირიკული გადახვევა“ — სოსოიას შინაგანი მონოლოგი რომანში „მე ვხედავ მზეს“. აქ უკვე იგრძნობა მეტი დრამატიზმი ცხოვრების განცდისა, თუმცა შენახულია მის გადმოცემაში სიყრმისეული უშუალობაც: „სად მიდიხარ შენ, ჩემი სოფლის შარაგზაო, და საით მიგყავს ჩემი სოფელი. გახსოვს? ერთ დღეს შენ წამართვი ყველაფერი, რაც გამაჩნდა ამ ქვეყანაზე. მე გთხოვე მაშინ, შარაგზაო, და შენ დამიბრუნე, რაც შეგეძლო, და მე მადლიერი ვარ შენი. ახლა დადგა დრო ჩვენც წაგვიყვანო — მე და ხატია, წაგვიყვანო და გვაჩვენო, სად თავდები, და თუ სადმე თავდები, ჩვენ არ გაგათავებთ შენ. ვიელით ასე უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებული. შენ აღარ მოიტანთ ჩვენს ამბებს სოფელში სამკუთხა წერილებითა და ნაბეჭდი მისამართებით, ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ფეხით. პირს ვიზამთ აღმოსავლეთით, დავესწრებით ბაჯაღლო მზის ამოსელას და მაშინ ხატია (ის ხომ უსინათლო იყო — გ. მ.) იტყვის ხმამაღლა: ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე გხედავთ თქვენ...“

ბილიკი, გზა, მზე... ყველა ეს ჩვეულებრივი და თითქოს ერთმნიშვნელობიანი სიტყვები თუ ცნებები შეიცავენ არა მარტო ფართო და განშტოებულ მეტაფორულ ხატოვან კონას (დაწყებული თვით სათაურთა — „მე ვხედავ მზეს“ და „მზიანი ღამეს“ — სახეობრივ შესძახებითა და გაოცებული ერთ დროს გავრცელებული „ჰელიომორფიზმით“), არამედ მრავალისმეტყველნი და მრავალსახოვანნი არიან თავიანთი რეალური, საკუთრებით კონკრეტული მნიშვნელობითაც. მოვისმინოთ ლეონიდა შვილის თუნდაც ასეთი დიალოგი: „...მზე ისეთი სასწაულია, რომლის ცქერა არასოდეს მოგწყინდება... ხომ, დედა? — არა, შვილო, თქვა დედამ, თვალები დახუჭა და თავი გაიქნია. იგი დიდხანს დუმდა, ალბათ რაღაცას იგონებდა... — მზე სასწაულია, — დაიწყო მან დუმილის შემდეგ, — მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს ნამდვილი მზე... მზით დამწვარი უსახლკარო ტრამალი... მზით დამწვარი ქვა, მიწა, ქვიშა, გამხმარი ტვინი. არის წუთები ცხოვრებაში, როდესაც მზე გეზიზღება და უცქერ მზის ჩასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩადის, რათა ხელმეორედ აღარ ამოვიდეს ისეთი ულმობელი, როგორც გუშინ. გაიგე, შვილო?.. ისეთი მზე, აი, შენ რომ გიყვარს, მართლაც სასწაულია, მისი ცქერა სიკვდილამდე არ მოგწყინდება კაცს. — დაამთავრა მან და ცხელი ხელი სველ შუბლზე გადამისვა...“

ორი მზე. სიკეთის სასწაული და ულმობელი სისასტიკის სასწაული. სასწაული სიცოცხლისა და სასწაული სიკვდილის, სინათლე და უკუნეთი, მაგრამ ასეთი დაპირისპირებაც კი შეიძლება სქემად გადაიქცეს. რეალურ ცხოვრებაში, ისტორიას რომ უწოდებენ, ყოველივე ბევრად უფრო რთულად და მრავალისმთქმელად წარმოგვიდგება და მაშინ ლოგიკაზე ძლიერი შეიძლება ალოგიკური მეტაფორა აღმოჩნდეს, როგორიც უნდა იყოს ჭეშმარიტი მეტაფორა, — მ ზ ი ა ნ ი ღ ა მ ე. სინათლე, რომელიც ვერ სძლია უკუნმა. თავისი გმირის სულის სწორედ ასეთი მდგომარეობა, ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზ-გარემოებანი აგვიწერა სწორედ ნოდარ დუმბაძემ თავის უკანასკნელ რომანში და მისი გმირიც განაგრძობს თავის თაეის გამოცდას.

„თეიმურაზ ბარამიძე, მზე ამოდის და მზე ჩადის შენიანის უკვე ოცდაორი წელიწადია. იგი ისევ ამოდის და ჩადის შკ-

თვის, როგორც სხვისთვის. „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან, მზე სწორად მოეფინების“. თეიმურაზ ბარამიძე, შენ იყავი უდარდელი ბიჭი, კეთილი ბიჭი, გიყვარდა მზე, ზღვა და გულიკო... ჰოდა, რა მოხდა, ბიჭო, ასეთი შენს ცხოვრებაში, წლები რომ გემატება და სადარდებელიც გემატება. რატომ გწვავს ახლა მზე ასე მწვავედ, რატომ გეშინია ზღვის, რატომ აღარ გენატრება გულიკო, რატომ გაურბი მასთან შეხვედრას, ისეთი რა მოხდა... საიდან, ბიჭო, ამდენი ეჭვი და დარდი, საიდან... კვალი? რა კვალი, კაცს გინდა წინ გივლია, გინდა უკან, კვალი კვალია. თეიმურაზ ბარამიძე, რაზე ფიქრობ, არ გინდა უკულმა ნავალი კაცის კვალი დატოვო? მაშ წინ იარე, ბიჭო, გეშინია? რისი გეშინია?..“

ეს ხომ კვლავ ნაცნობი, ლეონიდ მარტინოვის მიერ თავისდროზე ბრწყინვალედ გამოხატული დილემაა — თუ რა კვალს დატოვებ — „კვალს, პარკეტი რომ მოასუფთავონ და შემოგხედონ შენც ალმაცერად, ან თუ სხვაში რომ სტოვებ უდავოდ უხილავ კვალს და მძაფრ გულისძგერას?“

ამ დილემის გადაწყვეტა უწევთ ნოდარ დუმბაძის გმირებსაც. ისინი მას წყვეტენ კიდეც — უშიშრად და თამამად, მუდამ სამართლიანად, თუმცა მამააბრამის ბატკნებად როდი გამოიყურებიან. მათ გარშემო და მათ გამო ცხოვრებაშიც და რომანშიც, როგორც იტყვიან, დანა-ხანჯლად ხვდებიან ერთმანეთს სხვადასხვა საპირისპირო ძალები. აი სად ინასკვება „მზიან ღამეში“ უკვე აშკარა და დაძაბული კონფლიქტი. და აქ, ლეონიდ მარტინოვის ლექსთან მინიშნებული პარალელის გასაგრძელებლად მე მინდა კიდევ ერთი საგულისხმო პარალელი გავატარო. თეიმურაზ ბარამიძისა და მისი მეგობრების მესვეური და ხელმძღვანელი ასე მიმართავს თავის ანტაგონისტს: „ვინ დაგაყენა შენ კომუნიზმის კარიბჭესთან!.. ეს კიდევ საკითხავია, შენ თუ შეგიშვეს შიგ. ვინ მოგცათ უფლება თქვენ... გამოდიხართ აქ და თავზე ლაფს ასხამთ ჩვენს სასიქადულო ახალგაზრდობას!.. ახალგაზრდობა ჩვენი იმედია, იაროს ახალგაზრდობამ ვიწრო და მოკლე კაბებში, ოღონდ იკითხოს წიგნი, უყვარდეს ერი, ქვეყანა, სამშობლო და სწამდეთ სიკეთე და პატიოსნება. იჩხუბოს ბარამიძემ, ოღონდ იჩხუბოს საქმისთვის!..“ ახლა კი ცნობილი დრამატურგის არბუზოვის გმირის, ზემოთმოყვა-

ნილი ფილიპიკის წარმომთქმელის კეთილშობილი ორეულის მონოლოგიც: „მყავს მე ქვეყნად მტერი... ის რაც კაპიტალისტია, არც არამზადა-იმპერიალისტი და არც კი მამაძაღლი სოციალგამყიდველი. ეს ხომ აშკარა და შეუნიღბავი მტრებია, ეს კი სულ სხვა ყაიდისაა, რაშია მისი უდიდესი დანაშაული? ის ჩემს საკუთარ, ჩემს კუთვნილს სიტყვებს წარმოთქვამს! დიახ — სწორედ იმ სიტყვებს სამშობლოზე, პარტიაზე, რომლებიც მისთვის კი არა, ჩემთვისაა ქვეყნად ყველაზე უფრო ძვირფასი. ზოგს საკუთარ დედისადმი სიყვარულზე ლაპარაკი ერიდება სხვასთან, ეს კი საქვეყნოდ, ხმის ჩახრენწამდე გაჰყვირის — მიყვარს, მიყვარს, თავდადებით მიყვარსო!.. ეგეც არ კმარა... იგი თავისი უბადრუკი პირადი ინტერესების დასაფარავად სახელმწიფოს სახელით მელაპარაკება. ვინ კი მისცა მას ამის უფლება? არავინ. აი, ამ თვითმარქვიობისათვის არ დავინდობ მე მას. არასოდეს და არსად!..“

ასე „იჭიმება“ ბრძოლის ხაზი საბჭოთა ლიტერატურაში. ნოდარ დუმბაძის რომანებსაც მტკიცე ადგილი აქვთ მოპოვებული ყველა ამ ხილულ თუ უხილავ ფრონტზე. კაპიტალიზმთან და იმპერიალიზმთან ბრძოლის ფრონტზეც და „თვითმარქვიებთან“ ბრძოლის ფრონტზეც. ასე ხდება იძულებული გადავიდეს შეტევაზე თვით სიკეთე, რომლის ერთგული ქადაგი და მაუწყებელი გახლავთ „მე; ბებია, ილიკო და ილარიონის“, „მე ვხედავ მზესა“ და „მზიანი ღამის“ ავტორი.

მოკლედ რომ მოვინდომო ჩემი მეგობრისა და თანამოაზრის ნოდარ დუმბაძის თხზულებათა საერთო სულისკვეთების გადმოცემა, საამისოდ უფრო ზუსტ სიტყვებს ვერ მოვნახავდი, ვიდრე ეს თავის დროზე მაიაკოვსკის მიერ გამოთქმული სტრიქონებია:

„ბიძია, გვითხარი,
მაინც, რას აკეთებთ
აქ, ამდენი კაცი,
ერთად რომ შეყრილხართ?“
— რას და სოციალიზმს:
ერთადერთ სიკეთეს,
შრომის სუფევას და
ხომ გახსოვს — „მხარი მხარს!“

## ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ

არიან მწერლები, რომელთაც რეკლამა არ სჭირდებათ, მაგრამ სჭირდება შესწაელა და ეაზრება იმ ფასეულობას, რაც მათ მიერ წლების მანძილზე შეიქმნა და მრავალმილიონიანი მკითხველის კუთვნილებად იქცა. ეს ფასეულობა ნაციონალური ცნობიერების ნაწილია, არა მხოლოდ სინამდვილის სარკე ან სურათი. ამიტომ, დროა ნოდარ დუმბაძის პროზის იმპრესიონისტული აღქმა შეცვალოს ანალიტიკურმა განსჯამ.

ღღეს, შეიძლება ითქვას, რომანის ბუმი სუფევს. მკითხველს სწყურია რომანი, ეით მლელვარე ცხოვრების ანალოგი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ჩრდილში მოექცა ნოველა ან მოთხრობა და ლიტერატურამ ისინი მიივიწყა. სწორედ მოთხრობის უძველესი ტრადიცია ჰკვებავს, მისი ნათელი ადგას ქართულ პროზას და დღევანდელი მწერლობის საუკეთესო ნიმუშებმა ეს ჟანრიც დაამშვენა. მაგრამ მკითხველის ინტერესი მათდამი შენელდა, თითქოს მკითხველისა და მწერლის თვალსაზრისი ერთმანეთს დასცილდა. ალბათ ამიტომაც მოსდა პარადოქსი: სშირად ნოდარ დუმბაძეს აღიქვამენ როგორც რომანისტს და ლამის მივიწყებულ იქნას მისი ბრწყინვალე, ჭეშმარიტი შთაგონებით, დიდი ოსტატობით აღბეჭდილი მოთხრობების მთელი ციკლი. ხარისხს მოცულობასთან არაფერი აქვს საერთო და ნოდარ დუმბაძის ოცნების ქვეყანა, რომელსაც გამუღმებით სდევს სიცილი და ცრემლი, სიხარული და სევდა, ახლებურად ნათდება, როგორც მაღალი მთა ამომავალი მზის ოქროსფერი სხივებით. მოთხრობა მისთვის სულაც არაა ნაოცნებარი პანორამის ესკიზი ან დეტალი. იგი ახალი ნიუანსის შემომტანია, უცნობი სამყაროს დაწყების სიგნალი, რომელიც თანდათან შეივსო და მწერლის მეორე ჰიპოსტასად იქცა. დაუვიწყარია ნოდარ დუმბაძის ადრეული მოთხრობები, მათი უჩვეულო კომიზმი („გაუმარჯოს გიგილოს", „საუბარი ღმერთთან", „ემილი"...). მაგრამ ბოლო ათწლეულში სულ სხვა სივრცისაკენ მიგვახედა მწერალმა. მას ბაეშვობის მონატრების ფე-

რადი ნისლეულიც ჰქვია. იუმორს შეეწაცელა ლირიზმი და ტრაგიზმი, შეოსნულსა და გამონაგოსს – რეალური, ოცნებას – სინამდვილე.

მწერალი, როგორც არქეოლოგი, შეიჭრა მეხსიერებისა და ფსიქიკის ჟამთა მტვრით დაფარულ ფენებში, აღადგინა პირველშაბეჭდილებათა სინედლე, შორეული ცეცხლის მსურვალება. ნოდარ დუმბაძე არ ამოდის კონცეფციიდან, იგი მძაფრი ცხოვრებისეული მასალის თხზვით მიდის კონცეფციამდეს, რომელსაც მკითხველთან ერთად პოულობს. ამიტომ შეგნებულად ცდილობს თხრობას შესძინოს ავტობიოგრაფიული ელფერი, თუმცა, ალბათ, ბევრი რამ არც ექნება უშუალოდ ნანახი და განცდილი. მაგრამ ასეთი ხერხი არის მარაჟი, ილუზია, რათა წარმოსახვას მიწის სურნელი, ბალახის სიმწვანე, მზის სინათლე გადაედოს, რათა მკითხველი მაქსიმალურად მიენდოს. ამიტომ მკითხველი მისი პროზის პოტენციური პერსონაჟიც არის, თანამონაწილეც და არა მხოლოდ სიტუაციის პასიური მხილველი. მზედ, ყვავილად, ცად და მიწად დაძრული უნაპირო გრძნობის ტალღა სტოვებს მწერალის სულს და გადაექსოვება რეალური ქვეყნის კონტურებს.

ის 17 მოთხრობა, რომლებიც 1973–1981 წლებში დაიწერა, თითქოს ცალკეული თავებია ერთი დიდი ქმნილებისა, რომელიც ავტორს ჯერ არ მოუნათლავს და რომელიც ჩვენს ფიქრებში იჭრება, ვით სიცოცხლის ძლიერი მელოდია.

მწერლის სული მისი ფსიქიკის მიკრომოდელია, რომელიც იშლება ურიცხვ პერსონაჟად, უთვალავ სახედ, ფერთა ფეიერვერკულ ნათებად. ნოდარ დუმბაძის პროზა ნაირფერი მრწამსის, ეროვნებისა და ღირსების ადამიანთა გალერეას წარმოადგენს. ყურადღების ცენტრშია გურია, რომელსაც ყველაზე მეტად იცნობს მწერალი. ამ კუთხის შვილთა ხასიათი არის პრიზმა, რომლიდანაც ჩანს საერთოდ ადამიანი, ადამიანის მარად ცვალებადი ბუნება. მწერლის მოთხრობების არსი გრძნობაა, გრძნობების გამოხატვა. ამ უმთავრესი მიზნისათვის მოხმობილია ყოველი დეტალი და თხრობის კომპონენტი. იდეა და აზრი ლიტერატურად იქცევა მას შემდეგ, რაც იგი გრძნობით, ემოციით, ადამიანურის სამოსელით იმოსება. სიყვარულზე უამრავი შედევრი დაწერილა, მაგრამ პოეტებს ახალი იდეებით

როდი განუცვიფრებიათ მკითხველები, არამედ გრძნობათა სიუხვით, მდიდარი ფაქიზი სულით. ნოდარ დუმბაძის ორიენტირიც ასეთია. მისი მოთხრობები „სისხლის ლაპარაკია“, გრძნობათა ღაღადისია, რომელიც აკავშირებს სიცოცხლის მდინარეებს.

მზე, სინათლე, სითბო, სიხარული, სიყვარული — აი, სიტყვათა მთავარი წრე, რომელიც ამოძრავებს მწერლის ფანტაზიას. მაგრამ ეს სიტყვები მეტია, ვიდრე უბრალო სიტყვა, საგნის აღმნიშვნელად შობილი. მათი წიაღიდან ამოდის სიბნელეს თავდაღწეული გაუხუნარი სილამაზე, რომელიც პერსონაჟის სახედ ნათდება. მაგრამ მეტწილ მოთხრობებში გმირი თავად ავტორიცაა. მის თვალწინ კვდება წელმოწყვეტილი დიდრო ეშაპიძე („დიდრო“), ბაბუა სპირიდონი („ძაღლი“); მას ეუბნება გარდაცვლილი მამის სამდურავს დიმიტრი ბერეჟიანი („უმადური“), უყვება ბაბუა მანაველი ჭინკების საოცარ ამბავს („ჭინკები“), სისხლის ძახილს მარტოდშთენილ ბაბუასთან, ქიშვარდი ლომჯარიასთან მოჰყავს პატარა ბიჭი („სისხლი“), მას დასდევს აჩრდილივით უბნის რწმუნებული კუკარაჩა („კუკარაჩა“) და იგი აშინებს გაბერწებულ ვაშლის ხეს („ხაზარულა“).

ამ ლირიკულ „მეს“ ხან „ნოდარი“ ჰქვია, ხანაც „გოგიტა“ და „ჯემალ“, ზოგჯერ კი „თამაზი“. სახელთა სხვადასხვაობით არსი არ იცვლება. ბავშვობა ის ტრამპლინია, რომელიც გვაბრუნებს ოცნებისა და ზმანების საუფლოსთან. ამიტომ ჭარბობს გარდასული ამბები, მათ დიდხანს ეძინათ მეხსიერების ფსკერზე. შემდეგ დუმილს ვერ გაუძლეს, ზღაპრული ჯინივით გაარღვიეს ღამის უკუნი და ჩვენს თვალწინ უჩვეულო მასკარადი გამართეს. ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მთავარი პერსონაჟები ან ყმაწვილები არიან ან კიდევ — მოხუცები, უფრო სწორად — ისინი ერთად შემოდიან მკითხველის შემეცნებაში ვით სიცოცხლის დასაბამი და დასასრული. ერთი ცხოვრების სიბრძნითაა დატვირთული, მეორე — ოცნებითა და ენერგიით. მაგრამ ორივეს აერთებს სიცოცხლის დაუმცხრალი ჟინი. ამიტომ სიკვდილს განვიცდით არა როგორც კოშმარსა და სასოწარმკვეთ ძალას, არამედ ვით სინანულით, ნაღვლით სავსე დაშვიდობებას, გამოთხოვებას მშობლიურ საგნებთან, რომელთაც ჩვენი მზერა შეეზარდა.

ასი წლის გუდული ბერეჟიანი არ წუწუნებს, არავის ედავება, პირიქით — მადლობას უხდის გულსა და ბუნებას, ჭურსა და მამალს, მზესა და ძროხას, რადგან „გუთანი ნახა — გაცვეთილა გუთანი. ნაჯახი ნახა — ყუაზე დასულა ნაჯახი, ნამგალი ნახა — განახევრებულა ნამგალი. ბარი ნახა — საპონივით გალეულა ბარი. დანა უდევს გუდულის სუფრაზე, ჩალვადრის დანა, ქაღალდივით თხელი და სიფრიფანა. ვაი შენ, გუდულის თავო, რკინა გაცვეთილა, რკინა და კაცს რაღა მოუვიდოდა?“ („უმადური“).

დიდროს ეჩვენება, რომ ყველაფერი განათდა და ღმერთი გამოჩნდა. მის სახეს მოსცილდა ხაბაკას, ქაფურას, ბურძგლას სასაცილო ნიღბები და დავინახეთ კეთილშობილი შიშველი სული, კაცური ღირსებით განათებული, რისი მოპოვებაც სიცოცხლის საფასური გაუხდა („დიდრო“); ბაბუა სპირიდონი სიკვდილის კვირაძალში ყველას ხედავს, ვინც ამ ქვეყნიდან წასულა. იგი ბიჭს ამშვიდებს, რომ არ შეშინდეს. შუაღამისას კი ფეხზე მდგარი ეგებება სიკვდილს („ძაღლი“); ზღვაში იღრჩობს თავს წაგებული სიყვარულით გულმოკლული იანგული („Hellados“); არც კუკარაჩას შეშინებია სასიკვდილო ტყვიისა: „არ მომკლა, მურტალო!“ — უთხრა კუკარაჩამ შიშით კი არა, სინანულით“ („კუკარაჩა“).

მაგრამ ახლა სიხარული ვნახოთ, როგორ უყვართ ნოდარ დუმბაძის გმირებს სიცოცხლე და ადამიანი. ვაკის სასაფლაოზე დადის ორი შვილდაკარგული მამა, აქ გაიცნობენ ისინი ერთმანეთს („სასაფლაო“), ერთმანეთს მწუხარებას ანდობენ. ვანო შვილის საფლავზე ბაზალტისაგან კვეთს ქანდაკებას. იგი სკულპტორი არაა, მაგრამ მოძალებული მწუხარება საჭრეთელს აღებინებს და ქვას აქცევს „შემზარავ კერპად“, რომელიც მისი რწმენით შვილის ხატებაა. ასე ებრძვის ვანო მარტოობის წყვდიადს, წყვდიადიდან გამოჰყავს შვილის სახე. სასაფლაოდან გამოსული პერსონაჟი შენიშნავს მშენებლობის მაღლა ქონგურზე მდგარ ბიჭს, რომელიც რაღაცას ანიშნებს ამწეს კორპუსში მჯდარ კაცს და მას უჩვეულო მღელვარება ეუფლება, სთხოვს ბიჭს, როგორმე ძირს ჩამოვიდეს, ხიფათს არ გადაეყაროს. შვილის სიკვდილმა იგი ეგოისტად კი არა — ალტრუისტად აქცია და უნდა სხვა მაინც იყოს ბედნიერი, სხვას მაინც ნულარ გა-

დახდება ასეთი უბედურება. ამწეს კი ცისკენ მიაქვს ბაზალტის ლოდი.

ასე შეხვდა ერთმანეთს სასაფლაო და მშენებლობა, სიკვდილი და სიცოცხლე. ორივეს კი აერთიანებს ბაზალტის სიმბოლიკა. ერთგან იგი სამარეს ხურავს, მეორეგან კი სახლის კედლად აიმართება. გმირთა გულში სიყვარული დიდხანს ცოცხლობს. შეიძლება იგი ფერფლით დაიფაროს, მაგრამ შიგნით ისევ ღვივის ნაღვერდალი. ნოდარ ნანაძე მრავალი წლის შემდეგ ნასავს ბავშვობის პირველ სიყვარულს — ნათელას, რომელიც ვაჟს გადასცემს ოდესღაც მისდამი მიძღვნილ ლექსს. ქალი ტირილით ეთხოვება ვაჟს. ხოლო ნოდარი პატიებას ივედრება. ბავშვური, უმანკო სიყვარულის გახსენებას მოსდევს სინანული და მელანქოლია („ნუ გააღვიძებ"); გუდული თავს ეკლება მამისგან მიტოვებულ მეზობლის ბავშვს — უჩას, სიკვდილის წინ მოხუცმა ქსენიას მიაკითხა, ბავშვი არ დამეზაფროსო. გასვენების დღეს მოვიდა მრავალი ჭირისუფალი, გაიმართა ქელეხი, მაგრამ ერთადერთი, ვინც მწარედ ტიროდა, იყო სახედაჭორფლილი, წითელთმიანი შვიდი წლის ბიჭუნა უჩა მელიმონაძე და ეს ცრემლები ასი წლის გუდული ბერეჟიანის უკვდავებას ნიშნავდა.

ნოდარ დუმბაძეს ნაკლებად აინტერესებს ადამიანის დუალისტური ბუნება, მისი ბოროტ და კეთილ საწყისებად გაპობილი სახე, იგი ყოფიერების ნაკადში ეძებს მხოლოდ ჰუმანურს, ადამიანურს, კეთილს, რადგან ბოროტი თავისთავადაც ძლიერია, ის თვით არის სამყაროს ნება, რომლის დამორჩილებასა და შეცვლას ეწირება პიროვნების ძალა და თვალთა სინათლე. ამიტომ არის მწერალი ესოდენ გატაცებული მაძიებელი და მპოვნელი ადამიანის ჰუმანური საწყისისა, ბოროტი ძალა კი ცალკე პერსონაჟად გამოჰყავს (მაგ. მურტალო).

ბოშებისაგან გაქურდული მთელი სოფელი ერთხმად უარს აცხადებს საქონლის დაბრუნებაზე („ბოშები"); ყველასგან გაბრიყვებული დიდრო სანაძლეოდ ტეხასურ შარვალს მოიგებს, მაგრამ მას თურმე შარვალი კი არა, თავისი კაცური ღირსების გამჟღავნება სწყურია („დიდრო"); გოგიტა მოსაკლავად ვერ იმეტებს ძაღლს, რომელიც ყველას ცოფიანი ჰგონია („ძაღლი"); მათხოვრის სულში, იქნებ მთელს სიცოცხლეში ერთხელ,

მომაკვდავი ჯარისკაცის დედა -ღვიძებს მოვალეობის დიდ გრძნობასა და იგი დედასთან მიემგზავრება („დედა"); თურმე ხულიგანი ბერძნის ბიჭის — იანგულის მკერდში სათნო და ჩვილი გული სცემს („Hellados"); არც ქურდისა და ნარკომანის — მურტალოს საყვარელი ინგა ყოფილა გარეწარი. მასში ჩარჩენილა ადამიანური გრძნობა, რომელსაც თურმე მიხვდება და პოვნა სჭირდება („კუკარაჩა").

ადამიანის არსებობის გამართლება —ეს არის სწორედ ჰუმანურის დაცვა, შენახვა და გადარჩენა. სხვამხრივ ადამის მოდგმაც ცხოველთა სამყაროს ერთი ყველაზე რიცხვმრავალი სახეობა იქნებოდა. მაგრამ ამასთან ერთად, თავის პიროვნების არსში ძევს, მისი არცნობიერი ატარებს ველურ ინსტინქტებს. ამიტომ მოჰგავს ცხოვრება ნაპირმორღვეულ მდინარეს და არა მორაკრაკე, წმინდა ნაკადულს. ნოდარ დუმბაძემ სინათლე და სიკეთე დაანათლა თავის გმირებს. ისინი უბრალო ადამიანები არიან, ჩვეულებრივი განცდებით, ვნებებითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით, მაგრამ ღრმადადამიანური თვისებების მეოხებით ჩვენს თვალწინ იქცევიან სულის მედროშეებად, რომელთაც ევალებათ ჩაიბარონ და შთამომავალს გადასცენ, ვით ესტაფეტა, სულის სიმაღლე და სიდიადე — გაუხუნარი სათნოების ემბლემა. ამას მოითხოვს ადამიანური არსებობის მარადიული მარათონი.

ადამიანის უმაღლესი თვისებაა სიკეთე. ეს სიკეთე მწერლის კონცეფციაში სინათლედ იშლება და ლაიტმოტივურ ხაზებად ნაწილდება. სინათლის ხატი კი მზეა, რომელიც ბადებს სიცოცხლეს. ზღვისპირა პლიაჟზე კამათობენ მღვდელი და მილიციელი. ღვთისმსახური აიძულებს წესრიგის დამცველს მზეს თვალი გაუშტეროს. მილიციელმა ველარ გაუძლო ვარვარა მზეს და იგრძნო როგორ გაშავდა იგი. ასე უცებ დამარცხდა მილიციელი ახალგაზრდა მღვდელთან დავაში, რადგან მან ხილული საგნებით ამოწურა სამყარო, ხოლო მისი იდუმალი ძალისაკენ ღვთის მსახურმა მიახედა („მზე").

ნოდარ დუმბაძის მოთხრობებში გარემო არის არა მხოლოდ საამოქმედო სიერცე, სიტუაციის გასაშლელი ფონი, არამედ — პერსონაჟად დაძრული და ამეტყველებული. ამასთან ერთად, პერსონაჟები მხოლოდ ადამიანები როდი არიან. მწერლის

აქცენტი მიმართულია თვით იმ ბუნებისაკენაც, რომელშიც ვცხოვრობთ. მწერალი მას ნაკლებად ხატავს, არც მეტაფორის თუ შედარებათა სამოსელში ახვევს, უბრალოდ საოცარი სისადავით ამეტყველებს და ადამიანურ თვისებას ანიჭებს. ჩვენ გვეჩვენება, რომ ხე უეჭველად ისე უნდა ფიქრობდეს, ზღვაც ისე ეკედრებოდეს მზეს, ჩიტიც ისე ფრთხიალებდეს. თითქოს იშლება პირობითობის ყოველი სამანი, რადგან სამყაროსათვის ერთია განცდის ენა. ეს ენა ცხადდება ხან ადამიანურ მეტყველებად, ზოგჯერ ხარის ბღავილად, ხანაც ძაღლის წკავწკავად და ცრემლად.

მოთხრობა— „მზეს“ სამი პერსონაჟი ჰყავს — მზე, ზღვა და ადამიანი; ჩვენს თვალწინ კვდება არა ესპანური თეთრი ხარი, არამედ მარჩენალი, სისხლით წითლად შეღებილი შვინდა („კორიდა“); სიკვდილის მოახლოებას იუწყება თავშაველა, მაგრამ ბედია ჩიქვანს არ ესმის ჩიტის იდუმალი ჭიკჭიკი („ჩიტი“). ადამიანურ თვისებათა გადატანა ბუნებაზე კიდევ უფრო ძალუმად აღვიძებს სათუთ განცდებს, თითქოს რაღაც იდუმალი ძალა ეხება სულის უფაქიზეს სიმებს. იგი გვახსენებს არა მხოლოდ გუშინ, არამედ ოდესღაც, ათასწლეულთა მიღმა დაკარგულ ბავშვობასაც, რომელიც იღვიძებს და პოეტურ ზმანებად გვეცხადება.

„კორიდაში“ სხვისთვის ცირკი და სანახაობა — ქართველი კაცისთვის ტრაგედიად არის წარმოსახული, რომელსაც შემაძრწუნებელ რექვიემად გასდევს შოთა ნიშნიანიძის საოცარი სტრიქონები. რამდენიმე გვერდის მანძილზე, თითქოს სალაღობოდ დაწყებული მოთხრობა, იტვირთება ღრმა ადამიანური სევდით. კონტრასტული განწყობილებანი, ფერებისა და კადრების მოულოდნელი ცვლა, როგორც მოვარდნილი ტალღა, წარგვიტაცებს და გვაქცევს დრამის მონაწილედ:

„...და ბოლოს გამოელია ილაჯიც, ხერხიც, ღონეც ხარს, დაიშრიტა, დადგა, თავი ჩაღუნა და მიწას დაუშტერდა. ერთხანს ასე უყურა, მერე სიმწარით ჩაბღავლა გაოგნებულმა.

— რა იქნა ერთი საათის წინ სისხლით, ჯანით, ღონითა და ჰიცოცხლით სავსე სხეული, რა უყავიო?

მაშინ ამოიღო დაშნა დომინგინიმ და ხარის წინ დადგა.

ახლა მის პირდაპირ, თითქოს შეცვალესო, თეთრის ნაცვლად წითელი ხარი იდგა....

მის წინ ჩემი წათელი ხარი იდგა, ჩვენი მარჩენალი, ჩვენი დამპურებელი, ჩვენი დამხახლებელი, ქედ და მუხლდალოცვილი შვინდა. შვინდა იდგა დომინგისის წინ ფერდებჩაცვენილი, მუხლებზე და ქედზე ტყავგადამძერალი, იდგა საბრალო, გამხმარ ჩალას უგემურად ღეჭავდა, კუღის ქნევითა და ყურების პარტყუნით იარებიდან აბეზარ ბუზებს იგერიებდა. დრუნჩზე ლორწო ჩამოსდიოდა, დინჯად აფახულებდა უზარმაზარ ჭკვიან თვალებს და მოთმენით ელოდა ნასამხარზე როგორ შეაბამდა მამაჩემი ისევ უღელში და როგორ ჩააყენებდა ალაზნის ველზე სიცოცხლის გზასავით გაწყვეტილ კვალში.

...და ახლა ეს ჩემი მარჩენალი, მშრომელი, შვილივით გაზრდილი და ერთგული შვინდა უნდა მოეკლა წამებით, ღალატით, მიპარვითა და უნამუსოდ" („კორიდა").

ხაზარულა თითქოს ყველაფერს ხედავს. ხედავს ნაჯახმოღერილ ბიჭს, ესმის მისი ჩურჩული: „ძოვჭრაა, არ მოვჭრა!" ბებერი ვაშლის ხე ადამიანივით ფიქრობს, გრძნობს და ფესვებით ეწაფება წითელ ღვინოს („ხაზარულა"). ადამიანი და ხე თრობის მისტერიამ დააახლოვა:

„დაიცალა ქვეერი, უკანასკნელი წვეთი შეისრუტა ხაზარულამ და იგი უცებ მიხვდა ადამიანისა და საოცარი სითხის საიდუმლოს... ხაზარულას აღარ უკვირდა, რატომ კოცნიან ადამიანები ერთმანეთს, რატომ ტირიოდნენ ჯამებით ხელში, რატომ დასდევდნენ ერთმანეთს. რატომ ჩხუბობდნენ, რატომ იცინოდნენ, რატომ მღეროდნენ ხელიხელგადახვეულები, რატომ როკავდნენ მის გარშემო, რატომ რეცხდნენ ასეთი გულმოდგინებით ჭურებს და რატომ ასხამდნენ ასეთი სასოებით შიგ ამ საოცარ სითხეს".

სამყაროს ერთიანი ვანცდის ენას სიცოცხლე ჰქვია. სიცოცხლე აერთებს და თიშავს კიდეც ადამიანთა, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, მაგრამ მწერლის სიტყვა აღადგენს მაერთებელ, იდუმალ ძაფებს. ნოდარ დუმბაძეს მრავალფერი ბუნების კონტურები ან ფერი კი არ აღელვებს მხოლოდ, არამედ არსი და ძალა. იგი მუდამ უმთავრესისაკენ წარმართავს ჩვენს მზერას. საგნის არსი მისთვის დევს გრძნობის, ემოციის გულში, დასკვნა კი თავად მკითხველმა უნდა გამოიტანოს.

აქეე უნდა გავიხსენოთ ღრმად ფსიქოლოგიური მოთხრობა

„ჩიტი". იგი რამდენიმე დეტალისაგან შედგება. თვითეული მათგანი შეუდარებელი სიზუსტით გადმოგვცემს პიროვნების სულის მოძრაობას, სწრაფი ფერისცვალების სურათებს. ბედია ჩიქვანს უთვნია აღეიძებს ჩიტის ჭიკჭიკი. ჯერ ხალისით ხედება კაცი თავშაველას „კალაუსტა, ჩირიკელას" „ოქროს ნისკარტს" უსურვებს. მაგრამ ჩიტი არ ცხრება და ბედიას გულსაც საგონებელი იპყრობს. რაღაც ავბედითი ამბის მაცნედ მიიჩნია თავშაველას გაბმული, დაჟინებული ყლურტული. შემდეგ ფოსტალიონს დეპეშა მოაქვს. შვილი ხუთასი მანეთის გამოგზავნას თხოვს, მაგრამ ჩიტი მაინც არ ცხრება, იგი თითქოს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ამბის მაცნეა. ფულის სასესხებლად ბედია აგრაფინასთან გადავიდა, ქალმა მთლად მოუწამლა გუნება, იმდენი ელაპარაკა ხელიდან წასულ ახალგაზრდებზე, პლანზე, მორფსა და ბორდელის ქალებზე. თავშაველა კი მაინც არ ცხრება: „კიკიჭი, კიკიჭი, კიკიჭი". ახლა უფრო ძალუმად შეშფოთდება ბედია. იგი ფიქრობს შვილზე. უნდა დეპეშა გაავზავნოს, ხომ არაფერი დაემართა, ხომ არაფერს უმალავენ. თავშაველა კი ისევ დაუცხრომლად დასჭყივის თავზე. ბედიას ორლულიანი თოფი გამოაქვს, ჩიტს დაუმიზნებს და ორივე ჩახმახს ერთდროულად გამოუშლის ფეხს. „ვინჩესტერი" გასკდა და კაცს საფეთქელი გაუგლიჯა. აი თურმე ამ ტრაგედიის მაუწყებელი ყოფილა უწყინარი ბელურა. მაგრამ ადამიანს არ ესმის სამყაროს იდუმალი ენა და მისი ნიშანი თუ სიგნალი მარტოოდენ სულს უწეწავს და უბედურებას უახლოებს. მსგავს მოტივზეა გაშლილი მოთხრობა „ქალაქში მიმინოს რა უნდა". ბელურა აქ სიცოცხლის სიმბოლოა, რომელსაც იტაცებს სიკვდილის ლანდი — მიმინო.

მახსენდება შოთა ნიშნიანიძის მიერ თქმული, როცა პოეტს „კორიდას" წაკითხვით გამოწვეული სიხარული ვავუზიარე: „ნოდარ დუმბაძის ყოველი რომანი, ყოველი მოთხრობა ისე მსუბუქად და ბუნებრივად არის დაწერილი, რომ ყველა რანგის მწერალმა, დიდმაც და პატარამაც, შეიძლება იფიქროს — ასე ხომ მეც დავწერო. მაგრამ ეს სისადავე სწორედ დიდი ოსტატობის, დიდი ხელოვნების შედეგია და თვისებაა".

ნოდარ დუმბაძის პროზის სტილი ნათელია და საღა. ეს არის მწერლის ღირსება, არსებითი ნიშანი, წარმატების საწყისი.

ყველამ კარგად იცის, რომ მე-20 საუკუნეში შექმნილ „რთულ“, „ძნელი“ ლიტერატურაც, რომელსაც თავისი ტექნიკა, თავისი პოეტიკა აქვს. იგი მწერლობის ერთი ნაკადია და არა ერთადერთი. ლიტერატურის შედეგრების უმეტესი ნაწილი კი, მათ შორის მოდერნისტულ-ავანგარდისტულიც, ისწრაფვის სისადავისა და სინათლისაკენ, მაგრამ ისიც საკითხავია, თუ რას ვეძახით „რთულს“ და „სადას“. ამიტომ უნდა განვასხვავოთ „გარეგნული სირთულე“, რომელიც გულისხმობს ფორმისეულ და სინტაქსურ ბუნდოვანებას, „შინაგანი სირთულისაგან“, რომელიც მაქსიმალურად სადა სტრუქტურისაა, მაგრამ აისბერგის პრინციპზეა გაშლილი, ემყარება აზრობრივ პოლიფონიას. ასეთია რეალისტური ხელოვნების კლასიკა, რომელიც გულუბრყვილო მკითხველს მართლაც აფიქრებინებს, თურმე რა იოლი ყოფილა შედეგრის შექმნაო. სადად და ბუნებრივად თქმა უმაღლესი ხელოვნებაა, რადგან შემოქმედის მიზანია სამყაროს მისტიკა და პიროვნების ფსიქიკის იდუმალება ყველასათვის მისაწვდომად, გასაგებად აქციოს, უცნობი — გააცნობიეროს, ბნელი — გაანათოს, დაკარგული — აღადგინოს, ჩაგვინერგოს რწმენა და იმედი.

ნოდარ ღუმბაძე მეტწილ პერსონაჟთა შინაგან პორტრეტს გვთავაზობს, გმირის გარეგნობა მკითხველმა სუბიექტურად უნდა აღიქვას, თვითონ უნდა წარმოიდგინოს, როგორი შეიძლება იყოს ასეთი ქცევის, ასეთი ფიქრის კაცი. ძუნწი გარეგნული შტრიხები, გამომეტყველება ან ენობრივი აქცენტი მიუვანიშნებს რაღაც არსებითსა და მთავარს. ბაბუა მანაველა ბიჭს უყვება ჭინკების ამბავს, რომლებმაც „შემზარავი დაღი“ დაასვეს მოხუცს. მაგრამ ამ მიამიტურ პლანს, რომელიც ზღაპრადაა დასახული, ენაცვლება რეალური პლანი. შვილიშვილს თავისი ჭინკა, თავისი გუმანი მოაგონებს სინამდვილეს, როგორ მიაბეს მუხაზე შალიკაშვილებმა მანაველი, როგორ დაასხიპეს მარჯვენა თითები, როგორ დაუმსხვრიეს მარჯვენა წვივი და როგორ დაუვსეს მარჯვენა თვალი.

გადარჩა ცოცხალ-მკვდარი კაცი და ხალხმა მას „უკვდავი მანაველა“ უწოდა. შემდეგ მან შური იძია, მოკლა მისი დამტანჯველი სამივე ძმა. სისხლი დაიღვარა სიყვარულის სახელით და ამ ამბავს ზღაპრად და ლეგენდად უამბობს მრავალჭირვამოელი-

ლი მოხუცი შვილიშვილს. ასე შეუმჩნეველად ჩვენს მეხსიერებაში მკვიდრდება მანაველას გაუტეხელი და ვაჟკაცური ხასიათი, ხოლო თვალწინ იხატება მოხუცის პორტრეტი. მკითხველი თავად აქტიურად ერევა თხრობაში, რათა რეალური გამიჯნოს ზღაპრისაგან, მინიშნებით და ირიბად თქმული მთლიანად გაიაზროს. ზოგჯერ ერთი მცირე დეტალი უფრო მეტყველია ვიდრე, ვრცელი და უნაპირო თხრობა. გავიხსენოთ ბერძნის ბიჭი იანგულა, რომელსაც მარცხენა ძუძუს ზემოთ ლურჯად აქვს ამოსვირინგებული „Hellados". ეს სიტყვა იწვევს შორეულ ასოციაციას, რომელსაც ახლავს გადამქრალი ჟამის რომანტიკული სევდა. იგი ბერძნის ბიჭმა დაიწერა მკერდზე იმ სამშობლოს ხსოვნის ნიშნად, რომელსაც ეკუთვნოდა და რომელიც მას ათასეული წლებითა და კილომეტრებით დაცილდა. მაგრამ ამ წარწერას ირონიული ქვეტექსტიც გააჩნია. იგი გულში ამოკვეთილი მცნება კი არ არის, არამედ — გულის გარეთ დაჩნეული ნიშანი. ამიტომაა, რომ იანგულს სოხუმის ქუჩები უფრო უყვარს, ვიდრე სიზმარეული ელადა, რომელიც მას არასოდეს უნახავს.

მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იგი მშობელმა კი არა, ქუჩამ გაზარდა და ამ ქუჩის სიყვარულით აევსო გული: „მე ჩემი დედა არ მახსოვს, მამა კი მთელი დღე ბოსტანშია, ან საშოვარზე. მე ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში". ქუჩამ მას სხვაგვარი სული შთაბერა, მიანიჭა „უბნის ყოჩს" გარეგნულად უხეში, შინაგანად კი ნაზი ხასიათი. ამიტომ თავიდანვე თუ მტრულად განვეწყობით ამ „თოთხმეტი წლის დიქტატორისადმი", თანდათან გვეცვლება მიმართება და სიმპატიით ვიმსჭვალებით გზადაბნეული, კეთილი ბიჭის მიმართ, ვინც მშობლიურ ელადაში დაბრუნება არ ისურვა, რადგან სოხუმში დარჩა „აფხაზზე გათხოვილი ბერძნის" ქალიშვილი — მიდა. იგი გემიდან ზღვაში გადახტა, მაგრამ ნაპირს ველარ მოაღწია. ასე უნებურად იქცა იანგული სიყვარულის მსხვერპლად. გულისშემძვრელია მისი ცხოვრების დასასრული, რომლისგანაც დარჩა მხოლოდ „მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული „Hellados". ამ მაგიური სიტყვით ცოცხლობს მისი სახე და პორტრეტი მკითხველის მეხსიერებაში. მაგრამ მოთხრობას მეორე სიუჟეტური პლანიც გააჩნია — ეს არის პატარა მევიოლინეს ფა-

თერაკები. ქუჩამ ჯემალი და იანგული ჯერ დააპირისპირა და წააჩხუბა, შემდეგ კი დაამეგობრა. ამ ორი პერსონაჟის განსხვავებულ ხაზთა შერწყმა ბადებს მოთხრობას, რომლის დასრულება და ოცნებით გავრცობა მკითხველს ევალება. ამიტომ მკითხველი ნოდარ დუმბაძის პროზის, ისე ვით ყოველი ჭეშმარიტი ქმნილების, თანაავტორიცაა, რომელიც თავად თხზავს ტექსტის მიღმა სამყაროს და ქვეტექსტს შიფრავს თავისი გემოვნებისა და ცოდნის თვალთახედვით.

მაგრამ ზოგი მოთხრობა უნდა აღვიქვათ ისე, როგორი ემოციური ინფორმაციაც მასში მწერალმა მოაქცია. მას არც დასრულება სჭირდება, არც წარმოსახვით შევსება. გავიხსენოთ მოთხრობა „ძაღლი", რომელიც შემძვრელი სიმართლით მოგვითხრობს ბავშვისა და ძაღლის მეგობრობას. განსაკუთრებით ღრმად ეფექტურია ცალკეული დეტალები (ასეთი დეტალებით რჩება მეხსიერებაში ყოველი კარგი ქმნილება): მთელი სოფლისაგან, ბაბუა სპირიდონისგანაც განწირული ძაღლი მოსაკლავად მიჰყავს გოგიტას, ყველას ასე სწამს, რომ იგი ცოფიანია. მაგრამ ბიჭს სძლევს სიბრალული. როცა თოფი მხრიდან გადმოიღო და ძაღლს დაუმიზნა, ძაღლმა თავი ასწია და პირდაპირ შეხედა. ბიჭმა თვალი ვერ გაუსწორა, თოფი დაუშვა და ორივე გილზი წყალში გადაყარა. გახარებული ძაღლი წყალში შევარდა, შემდეგ სილაზე გაგორდა და გოგიტას მოეჩვენა, რომ ძაღლი ტიროდა. არ მოკლა ბიჭმა ძაღლი და იგი მდინარის პირას მიატოვა. შემდეგ ვიგებთ, რომ ძაღლი თურმე ცოფიანი არ ყოფილა. ბაბუა ხომ ეუბნება, რომ მოვკვდები, მაშინაც არ მიგატოვებ, ხელ, ჩიტად, ბალახად ან ძაღლად მოვალ შენთანო. ეინ იცის, იქნებ ეს უპატრონო ძაღლიც თავისი წინაპრის სული ეგონა ყმაწვილს.

ახლა მოთხრობის ფინალი ვნახოთ, ბაბუა სპირიდონის გასვენების დღე მოვიგონოთ, როცა პატარა ბიჭი ძაღლის ამარა რჩება, პატარა ბიჭი, რომელიც მეზობლის ქალს — მარგალიტას სთხოვს — ბაბუა შეუცხადოს:

„ზალაში ბადრია მეთუთუნე შემოვიდა. ჩემს ფეხებთან გაწოლილი ძაღლი რომ დაინახა, შეკრთა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და სამძიმრის მოსახდელად ჩემსკენ დაიძრა. მაშინ წამოდგა ძაღლი. მთელ ტანზე ბალანი აეძაგრა, კუდი ბოროტად

წაუგრძელდა, ეშვები გააელვა და გაბმულად, შემზარავად დაიღრინა. ბადრიამ უკან დაიხია, ძაღლმა ერთი ნაბიჯი გადადგა მისკენ.

— გაჩერდი, ძაღლო! — თქვა ბადრიამ და ფერი წაუვიდა. ძაღლი მშვილდივით მოზიდული იდგა.

— მატირე, ძაღლო, ეს პატიოსანი მოხუცი, — უნაიროდ გაიღიმა ბადრიამ, ძაღლმა ღრენას უმატა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

— უთხარი, ბიჭო, ამ უჯიშოს რამე! — მომიბრუნდა საქციელწამხდარი ბადრია.

„ამან კი იცის, ვინ ესროლა თოფი, მაგრამ არ გინდა ათქმევინო?!" — გამიელვა თავში ბაბუას ნათქვამმა. — გადადი, ბადრია, ეზოდან! — ვთქვი მე, — მერე გამახსენდა, ბაბუამ ცარიელი თოფი რომ დამიბრუნა და მითხრა — ასე თუ ქენი, ბაბუა, შენ, ცხოვრება გაგიჭირდებაო, მაგრამ აღარ გადავთქვი. — გადადი, ბადრია, ეზოდან! — გავიმეორე და ბადრია გადაეიდა ეზოდან".

„ხაზარულაში" ისევ ძველებური ძალით ბრწყინავს ნოდარ დუმბაძის უნიკალური იუმორისტული ნიჭი. იგი, პირველ ყოვლისა, ვლინდება დიალოგის მეშვეობით. მწერლის იუმორი არაა ნელი, შემპარავი, ფარულად არსებული. იგი პირდაპირია, თამამი და უეცრივ დამთრგუნველი, თითქოს იმპროვიზაციაზე აგებული. მახვილი სიტყვა ააშკარავებს არაცნობიერი ფსიქიკის აქტივობას. იგი, როგორც რითმა, მეხსიერების ფენებიდან ამოზიდავს უცნაურ და მოულოდნელ ასოციაციებს, ცხოვრებისეულ დეტალებს, ნედლ მასალას, მიწის ძალასა და ენერგიას. ამიტომ ახლავს ძლიერი ინტიმი და იოლად იმორჩილებს სხვათა ფიქრთა მდინარებას. იგი გვავსებს უაღრესი ადამიანური სითბოთი და სიხარულით, გვაახლოვებს ერთმანეთთან:

„ბებიამ ისევ გაუვსო ჭიქა. ანანიამ შესვა.

— ქალბატონო დარეჯან, დასაყოლებელი ხომ არა გაქვს რამე? — იკითხა სხვათა შორის ანანიამ.

— სარი მაქვს დასაყოლებელი, ბატონო ანანია, — უთხრა ბებიამ. ანანია უხმოდ გავიდა ეზოდან და გზას ზევით აუყვა.

— ამ ზევით სად მიდიხარ, ბატონო ანანია, ქვევით არ მიდიოდი? — შეახსენა ბებიამ.

— ქეევით საქმე მქონდა, ქალბატონო დარეჯან, და მე რომ აწი საქმეს გავაკეთებ, ახე გეგონა ხელი თავმჯდომარის ვენახმა! — ხელი ჩაიქნია ანანიამ.

— მაშინ მეც პატიჟი, ანანია ბატონო, და შაქროიეს ღობეს გაყევი, ჩემსას ისევაც ძლიეს უდგას სული, — სთხოვა ბებიამ. ანანიამ სასწრაფოდ გადაინაცვლა ორდობის მეორე მხარეს და შაქროია მიქაბერიძის ღობეს ჩამოეკიდა".

იუმორი უერთდება პოეტურ მეტყველებას. ბაგრამ ლირიზმი მეტნაწილად თავს ინენს მონოლოგური აღწერისას. ისინი ერთმანეთში ვადადიან, ავსებენ შუქჩრდილებით დასერილ სინამდვილეს. ამიტომ ნოდარ დუმბაძე ერიდება დინჯ, წყნარ ეპიკურ თხრობას. მისი ფრაზა თრთის და ცახცახებს. იგი თითქოს პოეზიისთვის წართმეული სტრიქონია, პროზის ნიშანს დამორჩილებული. მონოლოგი და მოგონება — პოეტური სევდის თანაზიარი:

„თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო! გთხოვეთ, გაიღოთ მოწყალება და შეუგროვოთ ფული ლოთს, ზნედაცვეულ ნაძირალასა და სალახანას, კაცს, რომელმაც ერთ ჭიქა არაყში გაცვალა კაცობა და ახლა თქვენს წინაშე ღგას ხელგაწვდილი. ეს კაცი მე ვარ, მე მენატრება ჩემი დედა, დედა, რომელსაც თავსლაფი დავასხი, მე მენატრება იგი, მენატრება, როგორც სიკვდილი და მე მჭირდება ფული, ბილეთის ფული, რომ წავიდე და ვნახო ჩემი საყვარელი დედა" (ღედა").

„მერე სიბნელე ვარდისფერ ნისლად იქცა და ვიგრძენი, როგორ მიბრუნდებოდა კვლავ ძალიან შორიდან საღღაც დაკარგული ჩემი ბავშვობის ტკბილი ზმანება ჩემი ესპანეთი, თავისი ბასკებით, ანდალუზიის ღამეებით, თავისი კარმენსიტებითა და დონსხოსეებით, კასტანეტებითა და ალეგროებით, მცხუნვარე მზით, დონკიხოტითა და სანჩო-პანსათი, რესპუბლიკანელებით, „ბანდერა როსათი", გარსია ლორკათი და ქვეყნიერების მაშით, სერვანტესით" („კორიდა").

ნოდარ დუმბაძის პროზის პოეტურობას იწვევს არა ცალკეული მეტაფორა ან შედარება, არამედ მთლიანი ემოციური სიტუაცია, რომელიც ჯადოსნურ სერპანტინად იშლება. მისი ფრაზა ნაქსოვია, ამიტომ — რბილი და მუსიკალური ფერებით სავსე. მოთხრობების დინამიზმი, ელასტიური სიუჟეტი, პერ-

სონაჟთა ბუნება მკითხველს სწორედ მუსიკად დაძრული ემოციის ტალღებით ატყვევებს, თითქოს პროზისათვის ზედმეტია გამოკვეთილი რიტმი და მუსიკალობა, მაგრამ ზედმეტია მაშინ, როცა იგი ხელოვნურია, ემყარება სკანდირებას, სალექსო იმიტაციას, მაგრამ როცა შთაგონების ცეცხლი სტრიქონებად ნაწილდება და ანრდილივით გასდევს თხრობას, მაშინ იგი ფარულად იმორჩილებს მკითხველის სულს, იჭრება მის არაცნობიერში და პიროვნებას ქარიგით უჩინარი ხელებით აქანავებს. მუსიკალობა ემოციის თანამდევი ძალაა. იგი როდია თვითმიზანი, მაგრამ უნდა ახლდეს განწყობილებას პოეტური სიტყვის დინამიკა.

პროზის რიტმი — ეს არის სუნთქვისა და სისხლის მოძრაობის შესატყვისი. ავტორი ჯერ თავის პულსაციაზე აგებს ნაწერს, რათა შემდეგ მკითხველს გადასცეს იგი, დაიჭიროს სიტყვათა მაცდურ რკალში სიცოცხლის მდინარების მარადი რიტმი, უხილავი ნერვი. ეს იოლი პროცესია, როცა მწერალი ფლობს ენის სტიქიას და საოცრად დამტანჯველი, როცა იგი ლამობს სულიერი სიცარიელის ნაჩქარევი ინფორმაციით შევსებას. იუმორი, ლირიზმი, რომელსაც მივყავართ დრამატიზმამდე და მეტყველების მუსიკა, რომლებიც ერთ მთელად, განუყოფელ ძალად იკრიბება, ნოდარ დუმბაძის გმირთა გალერეას, კონცეფციას, სიუჟეტსა და პერსონაჟთა ბუნებას ანიჭებს განუმეორებელ ინტიმს, სიცოცხლის უჩვეულო უნარს.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობები, რომანთა დარად, ასოციაციებითაა ნაგები. ასოციაცია არა საგნების, არამედ შთაბეჭდილებათა მსგავსებას გვაცნობს. იგი ემოციურია იმიტომ, რომ აზრის მოძრაობაა, მოულოდნელი განცდის გამჟღავნებაა.

გავიხსენოთ ყველაზე ვრცელი მოთხრობა „კუკარაჩა". მას ოთხი მთავარი პერსონაჟი ჰყავს — თამაზი, კუკარაჩა, მურტალო და ინგა. ორი სიუჟეტური ხაზი ერწყმის ერთმანეთს — პირველი გვაცნობს თამაზ გურიელის ბავშვობას, მეორე — მილიციის უბნის რწმუნებულს კუკარაჩას. მოთხრობა პირველი პირითაა დაწერილი. მურტალო იდუმალი სამყაროდან მოსული კაცია, მასზე ცოტა რამ იცის კუკარაჩამ და თითქმის არაფერი — თამაზმა, მაგრამ სიუჟეტური დრამა, კონფლიქტი მას უკავშირდება. კონფლიქტის რეალური მიზეზია არა დანაშაული, ან სიკე-

თისათვის ბრძოლის იდეა, არამედ — ქალი. ეს კონკრეტულად, რათა კონცეფცია ცხოვრებისეული მასალიდან ვამოვიდეს. მაგრმა ყოფითი სურათების მიღმა და თვით ყოფით დეტალებში იშლება მწერლის მთავარი სათქმელი. თხრობა არაა სწორხაზოვანი. იგი იწყება ბავშვების მხიარული თამაშის სცენით, რომელსაც არღვევს ზევერას კიეილი: „კუკარაჩა მოკლეს". ე. ი. კვანძის გახსნის შემდეგ იწყება მოქმედება, ძიება იმისა თუ ვინ, რატომ და როგორ მოკლა კუკარაჩა. ასეთი დეტალური საწყისი მწერალს სჭირდება არა დეტექტივის შესაქმნელად, არამედ ფსიქოლოგიური დრამის წარმოსაქმნელად, არა იმის გასარკვევად — რა მოჰყვება მკვლელობას, არამედ ვინ იყო მოკლული, რატომ დასწყდა ყველას ასე ძლიერ გული. შემდეგ ერთმანეთს ცვლის ნაირგვარი სურათები, რომელთაც აერთიანებს მურტალოს იდუმალი პიროვნება, რომელიც შეგნებულად არის თითქმის იზოლირებული სამოქმედო ზონიდან. ქალის ვედრების გამო კუკარაჩამ გაუშვა მურტალო. ეს კიდევ უფრო ძაბავს თხრობის მდინარებას. მილიციელის მოკვლას გვაცნობს ინგა. იგი სასამართლოს უყვება ამ ამბავს. მოძებნილია სიუჟეტის განვითარების საინტერესო ფორმა, კომპოზიციას მინიჭებული აქვს რიტმული სიმსუბუქე. ნოდარ დუმბაძის მოთხრობების სიუჟეტი თითქოს მუსიკალურ კონსტრუქციაზეა აგებული, რომელსაც აქვს თავისთავადი, წმინდა ფორმალური ღირსებაც, თუმცა ეს ყოველივე ფარულად, ინტუიტიურად ხდება და ნაწარმოების მხოლოდ ერთი სპეციფიკური ნიშანია.

მწერალი არ მისდევს კანონიკურ, ოდითგანვე ცნობილ წესებს პერსონაჟის შემოყვანისა, სიუჟეტის გაშლისა, დიალოგისა და ფიქრთა ხატვისა. იგი თხზვის პროცესში თავად ქმნის მოთხრობის მოდელს. ამასთან ერთად, არც საკუთარ სქემას აქცევს იდეალად. მას არღვევს, ე. ი. ახალ მოდელს გვთავაზობს მეორე მოთხრობა. ამიტომ მწერლის მცირე ფორმის ყოველი ახალი ნაწარმოები სიახლითაა აღბეჭდილი და არავინ იცის, რა სახით გამოვლინდება ხვალ მისი სათქმელი. გულის კარნახით დაწერილი სტრიქონები მდინარების ჟამს ჰპოვებენ კალაპოტს. ნოდარ დუმბაძე მიმართავს უახლესი პროზის მონაპოვარს, იშველიებს ქართულ ტრადიციებს, ხალხურ მასალას, პირად გამოცდილებას, მაგრამ ეს ყოველივე გალღობილია შთაგონების ცეცხ-

ლით და გვეძლევა როგორც ერთი მთლიანი შენადნობი, რომელიც სავსებით ახალი თვისებისაა.

მწერალი ეყრდნობა არა მხოლოდ ეუშინ გაჩენილ ლექსიკას, არამედ მარადიულ ენას, რომლის მეშვეობითაც ტექსტში ცხადდება ყოფიერება. ლიტერატურაში მთავარია არა იმდენად აზრის, რამდენადაც განწყობილების სიცხადე. ეს კი შეუძლებელია ენობრივი სტრუქტურის ორგანიზების გარეშე, მაგრამ, როგორც ითქვა, ენა კიდევაც ფლობს ხელოვანს და ზოგჯერ მბრძანებლობს მასზე. ნოდარ დუმბაძისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენის ფენომენს. ლირიზმი, იუმორი და ზუსტ დეტალებზე აგებული, რომანტიკულად განცდილი ყოფითი პროზა მოითხოვს ელასტიურ, მდიდარ, მაქსიმალურად გამომსახველ ენას. დუმბაძისათვის ამიტომაც ენა არის არა მხოლოდ ექსპრესიის საშუალება, არამედ — თავისთავადი მასალაც („მზე, „კორიდა", „დედა", ხაზარულა.").

დრო ცვლის გარემოს, ლიტერატურას, ადამიანს. მწერალი ამ მეტამორფოზის მემატიანეა. მაგრამ ფერს იცვლის მწერლის სიტყვაც. იგი ეპოქის თანამდევია და ეპოქისმიერი ნიშნებით აღბეჭდილიც. ნოდარ დუმბაძე როგორც უაღრესად თანამედროვე სტილის მწერალი, ემორჩილება ამ ტრანსფორმაციას. ჩვენ ვხედავთ მის შემოქმედებაში აშკარად გამოკვეთილ ეტაპებს, სტილურ შენაკადებს, განსხვავებულ მოდელებს. მოთხრობები, რომელთა ხასიათი გვინდოდა გვეჩვენებინა, მისი განუმეორებელი სამყაროს ერთი ნაწილია, მაგრამ დიდად საგულისხმო და მრავალგვარი ფიქრის აღმძვრელი. ალბათ, თანაბრად ძნელია როგორც რომანის, ისე მოთხრობების დაწერა, როგორც პოემის თუ სონეტის თხზვა, ძნელია, რადგან სხვადასხვაა ასპარეზი და არც მასალაა ერთნაირი. მაგრამ ერთი აშკარაა, რომ ნოდარ დუმბაძის მოთხრობები მისივე რომანების ტოლფარდი ქმნილებანია.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობები მომცველია უხვი ცხოვრებისეული მასალისა. ჩვენ გვხიბლავს არა მხოლოდ ოსტატობა, იუმორი და ლირიზმი, არამედ — თვით ყოფიერების ნაკადი, ამბავი — თხრობის საფუძველი. დღეს, როცა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ლიტერატურას მასალის შიშველი დაეტაცა, გაერცელდა თვითანალიზი, მონოლოგი, განსჯა,

მსგავსი სიუჟეტები და სიტუაციები, ეს ფაქტიც უნდა მიეინიშნოთ. ბოლოსდაბოლოს მომხმარებელს იუველირი კი არ აინტერესებს, არამედ — მის მიერ გაკეთებული ნივთი და სამკაული. მკითხველსაც წიგნი უნდა, მღელვარე სულისკვეთებით დამუხტული ქმნილება და არა ვერსიფიკატორი ან სტილის ვირტუოზი. მაგრამ როცა გაერთდება შემოქმედი და ოსტატი, შთაგონება და მასალა, მაშინ იბადება წარუვალი ღირებულების ნიმუში. ამიტომ ჰყავს ნოდარ დუმბაძის პროზას თაყვანისმცემელთა ესოდენ დიდი არმია, როგორც მასობრივ, ისე ელიტარულ წრეებში.

„მარადისობის კანონის“ ავტორი შორს დგას „ლიტერატორთა ლიტერატურისაგან“, რომლის ნიმუში შეიძლება ტექნიკურად უნაკლო იყოს, მაგრამ წიგნის თაროზე გაყვითლება და დაჭკნობა ეწეროს ბედად, რადგან არ გააჩნია, ერთი ოღონდ უმთავრესი რამ — სიცოცხლის ნიშანი. ვარემოს დარად ადამიანის ფსიქიკაც ჭუჭყიანდება, კოროზიას განიცდიან შეუცვლელი იდეებიც. მაგრამ მოდის მწერალი და ანედლებს გაუხეშებულ, დაქანცულ სულს, შაბლონურ სიტყვებში ჩაკარგულ აზრებს. ცხოვრება თავად ბადებს ყველაზე საინტერესო კოლიზიებს, წარმოშობს ყველაზე დიდ ტრაგედიას, დგამს ყველაზე დიდ კომიკურ სპექტაკლს .და გვაწვდის ყველაზე ჭკვიანურ აზრებსაც. ამიტომ არის ნოდარ დუმბაძის შთაგონების წყარო სინამდვილე, გულით განცდილი, თვალით ნანახი და ფიქრით აწონილი.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობების ნათელი ლირიზმი განრიდებულია პათეტიკისა და ხელოვნური ესთეტიზმისაგან. ესთეტიზმი კარგია მაშინ, როცა იგი ბუნებრივად ჩნდება, საკანგებო გალამაზების, წინასწარი სქემებისა და ჭარბი დახვეწის გარეშე. როგორც ითქვა, ეს ლირიზმი ყოფითი, ცხოვრებისეული მასალის გამონაშუქია, დაბრუნებაა ბავშვობის მწვანე სახლთან. ეს მასალა კი ქართულია, ქართული სახელებით, სახეებით, ტოპონიმებით დატვირთული, ყველასათვის მახლობელი და მშობლიური, უცხოსათვის კი — საოცარი მხარე. მწერლის პერსონაჟთა სახელები უაღრესად კოლორიტულია, შთამბეჭდავი და დაუვიწყარი. მკითხველის მონუსხვა პირველივე სტრიქონებიდან იწყება, პერსონაჟის სახელისა და გვარის ხსენებითვე:

დიდრო ვეშაპიძე, გუდული ბერეჟიანი, უჩა მელიმონაძე, ბედია ჩიქვანი, მიტუშა მარშანია, ქიშვარდი ლომჯარია, კუკარაჩა, მურტალო, იანგული, მანაველა, ანანია. ეს სახელები თავისთავად ინფორმაციასაც შეიცავენ, ისევე როგორც სუფსა, გუბაზიული, წიფნაგვარა, ხონი, ვარაზის ხევი, კონცხოულა, ერცახუ, ინტაბუეთი, ბონდისხიდი... ეს ინფორმაცია მშობლიურ, ქართულ გარემოდ, ქართული მიწის სურნელად და ზეცის სინათლედ იშიფრება, იმ ძალად, რომელიც ასი წლის გუდულის აიძულებს — არ მიატოვოს სახლ-კარი, ბედია ჩიქვანს — იფიქროს შორსმყოფ უქნარა შვილზე, ნათელა ნიჟარაძეს — გაუფრთხილდეს პირველ სიყვარულს, ხოლო მწერალს — იყოს კაცთა ვნებებისა და ოცნებების მხატვარი, აწმყოდან მყობადში გადამტანი, დროულში ზედროულის მპოვნელი.

1982 წ.

## ედიშერ ყიფიანი

## დაუწერელი რეცენზია

როგორ დამეკარგა ერთი წიგნი, დღემდე ჩემთვის გაუგებარია, წიგნი თვით ავტორმა მაჩუქა წარწერით, დაბეჯითებით ვიცი, რომ შინ მივიტანე, მეორე დილით წიგნი აღარ იყო. ვისზედით ოჯახის წევრები და ვიხსენებდით, ვის შეეძლო აცანცვლა, რომელმა მეზობელმა, ნაცნობ-მეგობრებმა და ნათესავებმა შემოიარეს წუხელ. მაგრამ, გულის დამშვიდების მიზეზი მაინც მქონდა: ჩემი მეგობრის პირველი წიგნი იყო, სულ ახალგამოსული, ავტორი ღელავდა, არ იცოდა, როგორ მიიღებდა მკითხველი, როგორ შეხვდებოდა კრიტიკა, წიგნი კი მოიპარეს, ქურდობა იკადრეს მის ხელში ჩასაგდებად. ეს იყო პირველი მოწონება, პირველი რეცენზია, თუმცა უსიტყვო და დაუწერელი.

დავურეკე:

— ნოდარ, მომილოცავს, შენი ბებია მომტაცეს!

— ვინ ბებია?

— ილიკო და ილარიონი!

— რას ამბობ, როგორ?! — შეეატყვე, რომ ყველაფერს მიხვდა და ესიამოვნა.

— ეგ რომ ვიცოდე...

— რა ვქნა, მეტი აღარ მაქვს, თორემ კიდევ მოგცემდი.

— სხვა გზა არ არის, მეორე წიგნი უნდა დაწერო!

— მართალი ხარ, შენ, კარგი გამახსენე...

როდესაც ნოდარ დუმბაძის მეორე წიგნი „მე ვხედავ მზეს" გამოქვეყნდა, მან კიდევ ერთი დაუწერელი რეცენზია მიიღო. მკითხველს — მხატვარს, თუ ფოტოსაქმის კარგ მცოდნეს — მეტად ოსტატურად გაეკეთებინა ჩარლი ჩაპლინისა და ნოდარ დუმბაძის სურათების ფოტომონტაჟი, ოსტატურად იმიტომ, რომ ერთად გადაღებული სურათის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ფოტონაწარმოების პერსონაჟები ერთმანეთს გადახვეოდნენ, ორივე იცინოდა, თითქოს ეს-ეს არის ერთად მოისმინეს, ან დაინახეს რაღაც მეტად სამხიარულოო.

ეს ხუმრობა იყო, მაგრამ ეს იყო დიდი მოწონების გამოხატულებაც, ხოტბის შესხმა. თავისი ფოტო-მეტაფორით მკითხველი ამბობდა: ისევე ვიცინე და ისეთივე ბედნიერება განვიცადე თქვენი წიგნის კითხვისას, როგორც ამ დიდი რეჟისორისა და გენიალური კომიკის ფილმების ნახვისასო.

ნოდარ დუმბაძის წიგნები სწრაფად შეიყვარა ხალხმა, რადგან იგრძნო, რომ ავტორს უყვარს ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ეს ორმხრივი სიყვარულია, და ამიტომაც საიმედოა მისი ხანგრძლივობა.

ამიტომ მოსდის უამრავი წერილი ნოდარს, ამიტომ „ძალიან-ძალათი" ეცნობიან ქუჩაში მოსწავლეები, სტუდენტები, ურეკავენ ტელეფონით, უწყობენ შეხვედრებს და მუდამ ეკითხებიან, რა იქნება მისი ახალი ნაწარმოების თემა, ვინ იქნება გმირი.

და იწერება ახალი წიგნი, იწერება გონებაში, ქალაქის ქუჩებში თუ ქალაქგარეთ სეირნობისას იხევა უამრავი დაწერილი ფურცელი, რადგან მასალამ ჯერ ვერ იპოვა თავისი ფორმა, რადგან ჯერ კალამი ურჩობს და ავტორიც გრძნობს, წიგნი ჯერ არ მომწიფებულა.

თორმეტი წლის განმავლობაში აწვალა მარკ ტვენი ერთმა

პატარა, უბრალო მოთხრობამ, რომელიც „სულ რაღაც ოთხი საათის საქმე იყო“. უამრავი ვარიანტი მოიფიქრა, უამრავი ფურცელი დახია, ბოლოს, იმედგაცრუებულმა, ლონდონის გაზეთის რედაქტორს უამბო მოთხრობის სიუჟეტი, დაბეჭდე და კონკურსი გამოაცხადე, ვინ უფრო კარგ მოთხრობას დაწერს ამ სიუჟეტზეო, რედაქტორმა უპასუხა: თქვენს უკვე დაგიწერიათ, მხოლოდ ქაღალდზე გადატანაა საჭირო. განცვიფრებული მარკ ტვენი მიხვდა, რომ რედაქტორი სიმართლეს ეუბნებოდა, რომ ახლახან ნაამბობი ვარიანტი მოთხრობის ის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა იყო, რომელსაც თორმეტი წლის განმავლობაში ეძებდა.

დიდი ამერიკელი მწერლის ეს პრინციპულობა, ეს აუჩქარებლობა ნოდარ დუმბაძეს კანონად აქვს მიჩნეული თავის შემოქმედებაში.

ყველაზე გონებამახვილური იუმორიც კი, თუ იგი ადამიანის მყარსა და უცვლელ თვისებებზე არ არის დაფუძნებული, თუ ხალხის ეროვნული თავისებურებების ფესვებით არ საზრდოობს, ცვდება და მალე ძველდება. იუმორი მოკვდავია, სოციალური გარემოს ასახვის გარეშე. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ და „მე ვხედავ მზეს“ გმირებისათვის გონებამახვილობა ერთ-ერთი ძლიერი იარაღია გაჭირვებისა და ომის მძიმე დღეების გადასატანად გონებამახვილობა ქართველი ხალხის თავდაცვის ინსტინქტია, არა თანდაყოლილი, არამედ ისტორიის საუკუნოვან ქარტეხილებში შეძენილი. ხალხის ეს თვისება დღეს ყველაზე უფრო ფაქიზად აღიქვა ნოდარ დუმბაძემ, რომლის შემოქმედება აღმოცენებულია ჩვენი დიდი კლასიკოსების სულხან-საბა ორბელიანის, ილიას, აკაკის და დავით კლდიაშვილის მაღალ სატირულ ქმნილებებზე.

ამ ათიოდე წლის წინათ ასეთი ამბავი მოხდა: ერთი ახალი კინოკომედიის გასინჯვას დარბაზი სამარისებური სიჩუმით შეხვდა. მთელი ფილმის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი კაცი იცინოდა და ხარხარებდა გულიანად. როცა იკითხეს, ვინ არის ეს კაცი, რა აცინებსო, ასეთი პასუხი მოისმა: ამ ფილმის რედაქტორია, თავისივე ამოჭრილი ადგილები ახსენდება და იმიტომ იცინისო.

საბედნიეროდ, უკან გვრჩება ის დრო, როცა საბჭოთა ხე-

ლოენებისა და ლიტერატურის წარმომაღგენელთა ქმნილებებს ზღუდავდა და ამახინჯებდა ცალკეული პირების სუბიექტური ვეტო. თავისუფალი, სუბიექტურ შეხედულებათაგან შეუზღუდავი შემოქმედება თავის დიდ სიტყვას იტყვის, საბჭოთა ლიტერატურა ჯერ არნახულ სიმაღლეებს დაიპყრობს. ამ გზაზე კი, სხვა ჟანრებს შორის, ყველაზე დიდი მანძილი საბჭოთა სატირასა აქვს გასავლელი.

ეს ვალი ნოდარ დუმბაძესაც მართებს, მისი ლაღი, ხალასი იუმორით მოკირწყლული ბილიკები, ფერად-ფერადი ლირიული ყვავილებით კიდეებდამშვენებული, დიდი სატირის ფართო, მაგრამ ძნელადსავალ შარაგზაზე უნდა გავიდეს.

თუ ერთი წუთით დავივიწყებთ საგაზეთო წერილისათვის აუცილებელ ოფიციალურ კილოს და შესაძლებლად ჩაეთვლით, რომ პირადად კი არა, აქვე გავანღო სათქმელი, მაშინ გავამჟღავნებდი ჩემს გულისნადებს და ვიტყოდი, რომ ნოდარ დუმბაძე არ უნდა დაკმაყოფილდეს დიდი წარმატებით, თავისი მალალი ლიტერატურული მიღწევებით, რადგან მას აქვს იუმორის უნიკალური ნიჭი, უხეშად რომ ვთქვათ, სატირიკოსის დეფიციტური ტალანტი. და იგი ვალდებულია ხალხის წინაშე, მთელი თავისი შესაძლებლობა გადმოაპირქვავოს.

ეს კიდევ ერთი დაუწერელი რეცენზიაა, მისი საინტერესო შემოქმედების კიდევ ერთი აღიარებაა.

**გიორგი ციციშვილი**

## მაღლი ხალასი ნიჭისა

„ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“ — უკვდავი შოთა რუსთაველის ეს ბრძნული სიტყვები მარტო საბრძოლო საქმეებს ან შრომით პრაქტიკას როდი შეესატყვისება. ამ სხარტ თქმაში გენიალურმა პოეტმა ღრმად ფილოსოფიური აზრი ჩადო: ეს სიტყვები ადამიანის ყოველი ქმნადობის გაადვილების გზას მიგვანიშნებს, ადამიანთა საქმიანობის ყველა

სფეროს მიესადაგება და შემოქმედებითი შრომის უძირითადეს თავისებურებას გამოხატავს.

სულიერი წარმოება იმითაც განსხვავდება მატერიალურისაგან, რომ სულიერი წარმოების სფეროში რიცხობრივი მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებ როლს თამაშობს. ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას არც მარტო რაოდენობა განაპირობებს და არც ეს რაოდენობა გადადის ისე პირდაპირ თვისობრიობაში, როგორც სხვაგან. აქ სიმრავლე არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი. აქ მთავარია შემოქმედებითი სიმაღლე, ნიჭის ძალა და გაქანება, მისი სიღრმე და სიუხვე, რადგან მაღალი მხატვრული შემოქმედება მაღალი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გარეშე ვერ შეიქმნება. ერთს დიდ მწერალს ე. ი. ისეთს, ვინც „გამორჩევით მქმნელია", ვერასოდეს ვერ შეცვლის ათასი მცირე მწერალი.

ძლიერი შემოქმედებითი ინდივიდუალურობის მნიშვნელობა ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის განუზომლად დიდია. თუ ეროვნული ლიტერატურა (რა გინდაც პერიოდისა და საზოგადოებისა არ იყოს იგი) ვერ აღმოაცენებს, ვერ აღზრდის ნამდვილად მასშტაბურ შემოქმედს, თუ იგი ვერ გაახარებს და ვერ გაამრავლებს ფესვმაგარსა და ძარღვმაგარ ნიჭიერებას, თუ ვერ მისცემს თავის ხალხს თვითმყოფი მხატვრული პიროვნულობის მწერალს, ასეთი ლიტერატურა ვერასოდეს ამაღლდება ეპოქის მოთხოვნებამდე. ამ სამწუსარო მოვლენას „ლიტერატურულ უდროობას" უწოდებენ.

ქართულ მწერლობას, ერთ-ერთ უმდიდრესსა და უძველესს ცივილიზებულ სამყაროში, მრავალი ძნელბედობის მიუხედავად, თითქმის არ გააჩნდა „ასეთი უდროობის" პერიოდები და თუ ჰქონდა, ფრიად ცოტა და ფრიად ხანმოკლეც. ქართული შემოქმედების ვეება ზღვა განუწყვეტლივ გამორიყავდა ხოლმე უძვირფასეს მარგალიტებად მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატებს.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამაც მრავლად მოგვცა მაღალი შემოქმედებითი უნარისა და მხატვრული თავისთავადობის მწერლები, რომელთა მემკვიდრეობას აზრისა და ფორმის დიდი მრავალფეროვნება მოსდგამს და შემოქმედებითი სიუხვით, წამ-

ლეკი ვნებიანობით, დამმუხტველი ძალით, პატრიოტული გზნებით და ფილოსოფიური სიღრმით გამოირჩევა.

ორმოცდაათიანი წლების დამლევს ქართული საბჭოთა მწერლობის დიდოსტატთა სახელებს კიდევ ერთი მაღალი ჟღერადობის სახელი შეემატა — მადლმოსილი ნიჭის ბელეტრისტის, ნოდარ დუმბაძის სახელი.

თუ მისი ერთობ მძიმე, ეკლიანი, ფათერაკებიანი ცხოვრების მიხედვით ვერ ვიტყვით, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო, სამაგიეროდ, როგორც მწერალი, როგორც შემოქმედი იგი მართლაც სვეებედნიერია: მან თავისი ნათელი ნიჭიერების წყალობით, როგორც იტყვიან, ერთი დაკვრით შესძლო მოეპოვებინა ის, რასაც სხვები მთელ ცხოერებას ანდომებენ და ხშირზე ხშირად, მაინც ვერ მოიპოვებენ ხოლმე. ეს არის საერთო სახალხო აღიარება, საერთო სახალხო სიყვარული, და არა მარტო მშობლიურ საქართველოში (რაც თავისთავად უკვე მრავლის მთქმელი და საამაყო იქნებოდა), არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც, სოციალისტურსა თუ კაპიტალისტურში მრავალ ერთა და ხალხთა შორის. მწერლისადმი საყოველთაო სიყვარულს კი მის ღირსებათა მოკლე ჯაჭვი ჰქმნის, რომელსაც სულ ოთხად-ოთხი რგოლი გააჩნია: ბუნებით მომადლებული სამწერლო უნარი, მაღალი ოსტატობა, ფართო ცოდნა და კაცთმოყვრული გული. ნოდარ დუმბაძე ოთხივე ამ სიმდიდრის მფლობელია, ამიტომაც მოაქვს ესოდენ ბევრი სითბო და სინათლე მის ყოველ თხზულებას.

ნოდარ დუმბაძის შორს გახმაურებულმა საწარმოებებმა — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ეხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია დედა“, „თეთრი ბაირაღები“, — არა მარტო დაიმსახურეს მაღალი შეფასება მრავალფეროვანი საბჭოთა მკითხველისა, საკავშირო პრესისა, სალიტერატურო კრიტიკისა, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მკითხველთა ერთსულოვანი აღიარებაც მოიპოვეს.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისადმი ასეთ ინტერესს თავისი საფუძვლიანი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, ყოველი მისი თხზულება გარკვეული შემეცნებითი ღირებულებისაა. ეს არის ცხოვრების ახალი პლასტის, ახალი „მიკროსამყაროს“ მართალი, გაბედული, მაღალმხატერული ჩვენება. ამასთან, მის მიკროსამ-

ყარიში ყოველთვის მოჩანს და იგულისხმება გაცილებით უფრო დიდი რამ. ავტორს ისე კარგად აქვს მომარჯვებული სიმბოლური ჩვენების ხერხი, — მცირეს მეოხებით დიდის ნათელყოფა, — რომ მისეულ ასახვას საოცრად დიდი ფარგლები და მასშტაბები გააჩნია. იმდენად დიდი, რომ სხვადასხვა ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, განათლების თუ პოლიტიკური მრწამსის ადამიანებს ერთნაირად აღელვებთ მისი სიტყვა, ერთნაირად ესმით მისი ჰუმანისტური სული, დემოკრატიული ბუნება, პროგრესული მიზნები, ხალხურობა, ეროვნულობა და ის მაღალი იდეალები, რასაც საბჭოთა ლიტერატურა ემსახურება.

ამიტომ არის, რომ ნოდარ დუმბაძე დღეს არა მარტო თანამედროვე ქართული ლიტერატურის წარმომჩენია, მისი მაღალი განვითარებულობის მეტყველი მაგალითი, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ღირსეული ელჩიც — მისი იდეურ-მხატვრული დონისა და შემოქმედებითი პრინციპების ნათელმყოფი საერთაშორისო მასშტაბით.

რაც შეეხება მის ბოლოდროინდელ ნაწარმოებს, რომანს „მარადისობის კანონი", იგი მჭევრმეტყველური საბუთია მწერლის შემოქმედებითი აღმავლობისა, ძალთა სრული გაფურჩქნისა, ფილოსოფიური და მხატვრული სიბრძნის დაუფლებაში ახალ საფეხურზე შედგომისა.

ეს უაღრესად პრობლემატური რომანი პოზიტიური იდეალების ქადაგებასთან ერთად გამსჭვალულია იმ შინაგანი პოლემიკური პათოსით, რომელიც მწერალს მხოლოდ მაშინ ეუფლება, როცა იგი თავის ღონეს ირწმუნებს და ასპარეზზე მამაცი ფალავანივით გამოდის, როცა თავისი იდეებისა და კრიტერიუმების თამამ გამომზეურებას მიმართავს და ამ გზაზე მზადაა მთელს მსოფლიოს შეერკინოს.

„მარადისობის კანონიც" თავისებური გამოწვევაა, პარადოქსალური ხერხის ორიგინალური მომარჯვებაა. საკუთარი იდეალების პირდაპირი ქადაგების მაგიერ ავტორი შემოიარებით გზას მიმართავს და ასეთი ნართაულობით უფრო დიდ იდეურ-მხატვრულ ეფექტსაც აღწევს. მწერალი ეკამათება ყველას, ვისაც მის მიერ დასმული და გადასაწყვეტად გამიზნული პრობლემა სხვაგვარად ესმის. პრობლემა კი ურთულესი და უძნელესია, იგი მსოფლიო მასშტაბისაა. იგი ადამიანის დანიშნულე-

ბის, ბედნიერების, ადამიანთა ცხოვრების ძირითად კანონს — მარადისობის კანონს ეხება.

როგორც ყოველმა თამაშმა, ახალმა პრობლემურმა თხზულებამ, მან შეხაძლოა კამათიც გამოიწვიოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იგი უაღრესად მნიშვნელოვანი, უაღრესად საინტერესო, უაღრესად ღრმა და დროული ნაწარმოებია, — მდიდარი იდეური შინაარსით, ორიგინალური მხატვრული გააზრებით, მკვეთრი ავტორისეული პოზიციით.

სანამ ამ რთულსა და საინტერესო რომანს შევეხებოდეთ, გვინდა გაკვრით აღნიშნოთ ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ორიოდე თვისება.

პირველი, რაც ყველაზე „გარევნულია" და ამდენად აღვილდასანახი, რაც მწერლის თხზულებათა კითხვის დროს პირველი სტრიქონებიდან გეცემათ თვალში, — ეს არის კეთილშობილური სისადავე. თითქოსდა, რა უნდა იყოს უფრო ადვილად გასარჩევი, მაგრამ კეთილშობილურ სისადავესა და მარტივ უბრალოებას ხშირად ჯეროვნად ვერა მიჯნავენ, უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთმანეთშიც კი ურევენ, თუმცა, მათ შორის არანაკლები ზღვარია, ვიდრე ორ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას შორის. ჭეშმარიტი სისადაეე მაღალი ნიჭიერების ერთგული თანამგზავრია, მარტივი უბრალოება კი — უნიჭობისა და შეზღუდულობის ნაშიერი.

ნოდარ დუმბაძის ყველა ნაწარმოები ჭეშმარიტი სისადავით გამოირჩევა. ავტორი გაურბის თვალისმომჭრელ ეფექტებს, იაფფასიან სილამაზეს, შინნაზარდ ფილოსოფიას, ცრუ სიბრძნეს. სწორედ კეთილშობილური სისადავის წყალობით აღწევს იგი ძალუმ ზემოქმედებას და შთამბეჭდაობას. თანდაყოლილი შინაგანი ტაქტი, ლაკონურობა, ყოველგვარი ზედმეტობისაგან, ჰიპერტროფირებისაგან დროულად განრიდების უნარი, ესოდენ აუცილებელი რეალისტი მწერლისათვის, მწერლის ეროგულ მოკავშირეებად გვევლინებიან და გამარჯვებას უადვილებენ.

სისადავისა. და ბუნებრიობის მოთხოვნა გემოვნების კაპრიზი არ არის, იგი ხალხურობის სწორი გაგებიდან გამომდინარე კრიტერიუმია. ხალხურობის ერთ უმთავრეს მოთხოვნას კი მხატვრული ფორმის დემოკრატიზმი წარმოადგენს. ხოლო ფორმის დემოკრატიულობა წარმოუდგენელია გასაგებითობის

გარეშე, ისევე როგორც გასაგებითობა სისადავის გარეშე. ამიტომ, ნოდარ დუმბაძის სტილის, მისი ნაწარმოებების ფორმის სინათლე და გარკვეულობა ესთეტიკურ პრინციპებამდე მაღლდება და მწერლისათვის უაღრესად ორიგინალური ხალხურობის ერთ-ერთ გამაპირობებელ ფაქტორად გვეელინება.

ნოდარ დუმბაძის სტილის მომხიბვლელი სისადავე მოჩანს თვით ისეთ, ერთი შეხედვით „ნეიტრალურ" კომპონენტშიც, როგორიც არის კომპოზიცია. სწორედ კომპოზიცია წარმოადგენს მხატვრული ფორმის შემადგენელს, რომელმაც ყველაზე არსებითი ცვლილება განიცადა პროზის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ნოდარ დუმბაძის თხზულებების სტრუქტურა, მათი კომპოზიციური აგებულება (ზოგიერთი მოულოდნელობისა და შენების პრინციპების ცვლადობის მიუხედავად) ყოველთვის სიცხადით გამოირჩევა და არასოდეს არ აბნელებს აზრს, არ აყენებს მკითხველის წინაშე „გამოუცნობლობის", „აუხსნელობის" პრობლემას, რაც ესოდენ გავრცელებულია თანამედროვე საზღვარგარეთულ ბელეტრისტიკაში. მაშინაც კი, როცა ნოდარ დუმბაძე მოქმედების განვითარებისას ცალკეულ ეპიზოდებს გადაანაცვლებს ხოლმე მათი ლოგიკური თანამიმდევრობის საწინააღმდეგოდ (დროის თუ მოქმედების ადგილის თვალსაზრისით), იგი მაინც ახერხებს მოქმედების სიცხადე შეინარჩუნოს, გასაგებითობას არ უღალატოს, ბუნებრიობა დაიცვას. ასეა „მარადისობის კანონშიც". აქ დასაწყისიდანვე ვლინდება ის თავისებური ხერხი, რომელიც ეპიზოდთა კომპოზიციურ შენაცვლება-გადაადგილებას გულისხმობს.

ესაა რეალურად მიმდინარე მოქმედების ჩვენებასთან პარალელურად მათი პროექტირება წარმოსახვაში, როცა რეალურ ეოფით ამბებს ენაცვლება მთავარი მოქმედი პირის სიზმრისეული ჩვენებები, ბურანში ყოფნისას გაელვებული აზრები, ზოგჯერ ქვეცნობიერიც. ორივე ეს ელემენტი რეალობაა (ერთი ობიექტური, მეორე სუბიექტური), და რეალისტურადაც არის გადმოცემული. ასეთი მონაცვლეობა ობიექტური და სუბიექტური რეალობისა, ორი ამგვარი პლანი დღეს სრულიად გავრცელებული მხატვრული ხერხია და ოდნავადაც არ წარმოადგენს გადახვევას. რეალიზმისაგან. უფრო მეტიც, ეს ხერხი

ხშირად რეალური ჩვენების ყველაზე მოქნილ ხერხადაც კი გვევლინება და ნაწარმოებს ფსიქოლოგიურ სიღრმეს, დაძაჯერებლობას ჰმატებს.

ასეა „მარადისობის კანონშიც". ინფარქტით დაავადებული, ულონოდ ქმნილი ბაჩანა რამიშვილი დროდადრო გონებას ჰკარგავს, ხან ცნობაზე მოდის, ხანაც დავიწყებაში ვადადის. მწერალი ამ ვითარებას ე. წ. „ორი პლანით" გვიჩვენებს: ავადმყოფის ირგვლივ შექმნილი ობიექტური სინამდვილის აღწერით და მისი სუბიექტური მდგომარეობის ჩვენებით. ორივე ეს „პლანი" ერთმანეთს ავსებს და ზრდის ჩვენს ემოციურ გაწყობასაც და მოვლენის შემეცნების სარისხსაც.

ასე იცის კარგად მომარჯვებულმა, არატრაფარეტულად გამოყენებულმა ხერხმა. თუმცა ეს ხერხი საკმაოდ რთულია და „ორპლანიანი", ფრაგმენტების აღმქმელსაც გარკვეული დონე და ყურადღების კონცენტრაცია სჭირდება, მაგრამ მწერალი ენდობა მკითხველს, არა შიშობს, რომ მას არასწორად გაიგებენ და ეს სითამამე, ეს ნდობა ეხმარება იყოს გასაგები, ადვილად შეცნობადი.

ნოდარ დუმბაძე ხშირად მიმართავს რთულ სიუჟეტურ სვლებს და ნახტომებს თხრობაში. ხშირად ამა თუ იმ საყურადღებო დეტალის, ფრაგმენტის თუ ამბის გააზრებას მთლიანად მკითხველს ანდობს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არასოდეს არ ზარალდება! ეს იმიტომ, რომ მწერლის ძვალ-რბილში გამჯდარი ერთგულება რეალისტური ამსახველობისადმი, ბუნებრიობისა და მოვლენათა ლოგიკურად გააზრებისადმი უადვილებს მის მკითხველს თხრობის ჯაჭვში გამოტოვებული რგოლის აღდგენას.

მაგრამ თხრობის ძაფის ასეთი უწყვეტობა ოდნავადაც არ გამორიცხავს მოულოდნელობას ნოდარ დუმბაძის თხზულებებში. იგი შედეგია არა მოულოდნელი ნახტომებისა თხრობაში, არამედ მოქმედების მოულოდნელი გეზით წარმართვისა, მოულოდნელი ამბისა, ასახვის ახლებური ასპექტისა. ნოდარ დუმბაძესთან მოულოდნელობაც კი „კანონზომიერია", რამდენადაც ყოველი შემთხვევითობა გარკვეული კანონზომიერების გამოვლინებაა. სწორედ ასეთ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე „მარადისობის კანონში". მხატვრული სიმართლე და მხატ-

ვრული ლოგიკა (რაც დამაჯერებლობის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს) არასოდეს ღალატობენ მწერალს.

ნოდარ დუმბაძის პროზაში ზოგიერთ ქვეთავთა თუ ეპიზოდთა სიუჟეტური დაშორიშორება მოწოდებულია გვაგრძნობინოს ცხოვრების მიმდინარეობის არათანაბრობა, კონტრასტულობა, მისი დინების ცვლა და მოულოდნელობა. ცხოვრება არასოდეს გაცლის ერთი საქმის სავსებით დამთავრებას, რათა მეორე სრულიად მოცლილმა დაიწყოს. მხოლოდ ერთ საქმეს ვერც მიეცემი, რადგან რამდენიმეს ერთდროულად კეთება გიწევს. ზოგჯერ იძულებული ხარ მესამე თუ მეოთხე ისე დაიწყო, რომ პირველი და მეორე ჯერ დამთავრებული არა გვაქვს (ეს ცხოვრებისეული სიძნელე ყველაზე მძაფრად გენიალურმა ვაჟამ იგრძნო „გველის-მჭამელში"). ამიტომაა, რომ მწერლები, განსაკუთრებით, უცხოეთში, სულ უფრო ხშირად მიმართავენ თხრობის ისეთ დანაწევრებას, რომ თვით სტრუქტურაშიც იგრძნობოდეს თანამედროვე ცხოვრების აჩქარებული რიტმი, წინააღმდეგობრიობა, არათანაბრობა. ამ მხრივ ნოდარ დუმბაძის თხზულებებიდან განსაკუთრებით საგულისხმოა „მარადისობის კანონი".

ეს რთული იდეურ-შინაარსობრივი მიზანდასახულობის ნაწარმოები, თხრობის ხალისიანობის, მიმზიდველი სურათოვნების და ნაპერწკლიანი იუმორის მიუხედავად, მძაფრად დრამატიზებულია. ნოდარ დუმბაძის პროზაში დრამატიზმმა იმთავითვე იჩინა თავი. ხალისიანი იუმორის უკან, რომლითაც გამოირჩევა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", უკვე მოჩანდა პერსონაჟთა დიდი ვნებებით დამუხტულობა, მათი ხასიათების შინაგანი დრამატიზება. მწერლის ყოველ სიტყვაში იგრძნობა დიდი შინაგანი დაძაბულობა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს, ავტორი ყოველ ფრაზაში საკუთარ გულს დებს. მისი სიცილიც ხშირად ცრემლნარევია, მაგრამ ეს ცრემლი უსაშველო სევდის ან მოურჩენელი ტკივილის გამონაჟური კი არ არის, არამედ განცდის მაღალი ხარისხიდან, მისი არაჩვეულებრივი ექსპრესიიდან მომდინარეობს.

ნოდარ დუმბაძის ევოლუცია დრამატიზმისაკენ „მე ვხედავ მზეთი" დაიწყო. ასეთი სახეცვლილება რამდენადმე საყოველთაოც კი არის: წარსულის გამოჩენილ მწერლებს არაერთხელ

ალუნიშნავთ, რომ ჩვეშმარიტი ნიჭი აუცილებლად განიცდის ევოლუციას ლირიზმიდან — დრამატიზმისაკენ, დრამატიზმიდან — ტრაგიზმისაკენ.

მოსაზრება, ვითომც ნოდარ დუმბაძემ ზურგი აქცია იუმორს და ტრაგიზმისაკენ იბრუნა პირი, მოვლენაში ჩაუხედაობის შედეგია. ჯერ ერთი, იგი არასოდეს ყოფილა „იუმორისტი მწერალი". მის მიერ ხალხური საწყისებით გაპირობებული იუმორის ძომარჯვება არც იუმორისტულ პროზას ნიშნავს და არც სერიოზულისაგან განრიდებას. პირიქით, ნოდარ დუმბაძის იუმორი სერიოზულის, ხშირად ძალიან დრამატულის გადმოცემის ხერხია. იუმორი არასოდეს ყოფილა მისთვის ყანრული კატეგორია. იგი მისი ორიგინალური სტილის ერთ-ერთი თვისებაა; არც ის არის მართებული, ვითომც ნოდარ დუმბაძეს „სიცილი მიივიწყა". უსაგნო სიცილი არასოდეს ყოფილა მისთვის თვითმიზანი. ნოდარ დუმბაძის „სიცილი" თავიდანვე განუყოფელი იყო სერიოზულისაგან, ისევე, როგორც სერიოზული მის ნაწერებში ხშირად თანაარსებობს იუმორთან და კომიზმთან. შეიძლება ითქვას, სწორედ ეს არის მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთი ნიშანთვისება.

ეს ნიშანი „მარადისობის კანონშიც" მკაფიოდ გამომჟღავნდა, რაც არაა შემთხვევითი: იუმორს — ინტელექტის საბუთს, ინტელექტის გვირგვინს უწოდებენ, ქართველთათვის კი იგი ეროვნული ხასიათის მოუცილებელი თვისებაა. ამიტომაა, რომ საქართველოში ყოველ კუთხეს თავისებური იუმორი მოსდგამს. განსაკუთრებით ფასობს იგი ნოდარ დუმბაძის მშობლიურ კუთხეში. ესეც ფრიად საგულისხმოა: სხვა ხალხს რომ იმდენი უბედურება გადაეტანა, რაოდენიც საქართველომ და, კერძოდ, გურიამ, ეკუბის იქ სულაც დავიწყნოდათ იუმორიც და სიცილიც. მაგრამ გაუტეხელმა ქართველმა ხალხმა იმდენი ისტორიული უბედურებაც იწვნია, რომ ვერც დრამატიზმსა და ტრაგიზმს მიიკიწყებს. ამიტომ არის, რომ ჩვენს ხალხურ ზეპირსიტყვიერებას თრიეე ეს ნიშანი მოსდგამს და რა გასაკვირია, ისეთმა მგრძნობიარე და სათუთი სულის შემოქმედმა, როგორიც დუმბაძეა, სრულად შეიგრძნოს მშობლიური ხალხის ეროვნული სტიქიონის ეს თავისებურებანი!

მბატვრულ ლიტერატურას ადამიანთმცოდნეობას უწოდე-

ბენ და ასეც არის. მაგრამ მწერლობის ობიექტად მარტო ადამიანები როდი ხდებიან. ხშირად წინა პლანზე დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივი მოვლენები ინაცვლებენ და ამ გარეგნული ორომტრიალის აღწერისას ადამიანის სული მწერლებს განზე რჩებათ. ნოდარ დუმბაძის ყურადღების ცენტრში კი, რაც არ უნდა მძაფრ საზოგადოებრივ პრობლემას ასახავდეს იგი, ყოველთვის ადამიანი დგას, მისი პიროვნული თავისებურებებით, ფიქრით, განცდით, ქცევით, სხვებთან ურთიერთობით, საზოგადოებრივი როლით, მოქალაქეობრივი რაობით. ნოდარ დუმბაძე უპირველეს ყოვლისა ადამიანის სულის მწერალია, ამაშია მისი თავისებურება, მისი ცინცხალი ნიჭის ძალა.

მწერალი დაჯილდოებულია ფსიქოლოგიური დახასიათების, განცდათა აღწერის, მათი ნიუანსირების ისეთი უსარით, რომ ყოველი მისი ნაწარმოები თავის ჟანრულ კუთვნილებასთან ერთად ფსიქოლოგიური რომანის ნიშანდობლიობასაც იძენს. მაგრამ ნოდარ დუმბაძე არასოდეს იფარგლება ფსიქოანალიზით. მის ნაწარმოებებში მარტო ადამიანის სული კი არ ვლინდება, მთელი ცხოვრება მოჩანს თავისი აეკარგით, თავისი ტენდენციებით. ესეც სანაქებო თვისებათაგანია მწერლისა: პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დახასიათების მოხერხებული შერწყმა ცხოვრებისეულ მოვლენათა პანორამულ ჩვენებებთან და ორივე ამ მომენტის გაუთიშავი რეალისტური ასახვა.

„მარადისობის კანონი" მხატვრული ამსახველობის ამ ორი მომენტის შესანიშნავი შერწყმის, მათი მტკიცე ერთიანობის ნიმუშია. ეს ნაწარმოები უაღრესად ეპოქისეული, უაღრესად თანამედროვე მოვლენაა. მას საფუძვლად დღევანდელი ქართული სინამდვილე უდევს. რომანი უკანასკნელი ათწლეულის ამბებს ეძღვნება და იმ რადიკალურ ძვრებსა და ცვლილებებზე მოგვითხრობს, რომელიც ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში მოხდა. საქართველოს კომპარტიის მეთაურობით წამოწყებული საერთო-სახალხო ლაშქრობა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების საფუძვლად გადაიქცა და უაღრესად თვალსაჩინო ნაყოფი მოგვცა. რომანი ამ მოვლენათა ჩვენებას ისახავს მიზნად.

მაგრამ ამ რომანში ნოდარ დუმბაძე თავისი ჩვეული სახით

ვერ წარმოგვიდგებოდა, მას რომ მხოლოდ საზოგადოებრივი მოვლენების გარეგნული აბრისი გადმოეცა და იმას არ შეხებოდა, რაც მისთვის, როგორც მწერლისათვის, ყოველთვის უპირველესი იყო — ადამიანის სულს. ამიტომ რომანის ძირითადი მიზანდასახულობა იმ ზემოქმედების ჩვენებაში მდგომარეობს, რაც დიდმა, ჭეშმარიტად ისტორიულმა მოვლენებმა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაზე მოახდინა.

ამდენად ეს ნაწარმოები თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სულიერი ფორმირების უაქტუალურეს პრობლემას ეძღვნება და იმ ახალი ნიშანთვისების წარმოქმნის ჩვენებას ისახავს მიზნად, რასაც შეცვლილი გარემო და აქტიური საზოგადოებრივი ზემოქმედება ადამიანის შეგნებაში იწვევს. მაგრამ ეს რთული ამოცანა ავტორმა გადაწყვიტა არა ვიწრო მორალურ-ეთიკურ პლანში, ზნეობრიობის პრობლემით შემოზღუდვის გზით, არამედ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული პრინციპის დახმარებით: ღრმა ფსიქოლოგიზმის შერწყმით საზოგადოებრივი მოვლენების ფართო ჩვენებასთან.

...რომანის მთავარ გმირს, ბაჩანა რამიშვილს, ინფარქტი დაემართა. იგი ღრმა ბურანში იმყოფება და როგორღაც შორიდან აღიქვამს ყოველივეს, რაც მის ირგვლივ ხდება. სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის ეს რეტროსკოპიული „ჩვენება" ერთბაშად ქრება და მას სრულიად მოულოდნელად ენაცვლება ჯერ მოხეტიალე არტისტების მიერ ეზოში სპექტაკლის გამართვის სცენა, შემდეგ კი საშინელ ზმანებასავით ცოცხლდება მძიმე განსაცდელი, რომელიც ქარიშხალივით არა ერთხელ შემოჭრილა ნოდარ დუმბაძის რომანებში.

ამრიგად, „მარადისობის კანონში" თავიდანვე მჟღავნდება მწერლის ჩვეული ხერხი კონტრასტული ხატვისა, შორსგამიზნული მონაცვლეობა დრამატიულისა და იუმორულისა, კომედიურისა და ტრაგედიულისა, ობიექტური რეალობისა და სუბიექტური რეალობისა.

მოქმედების რკალი, რომელიც რომანის სიუჟეტურ ჩარჩოს ქმნის, საავადმყოფოს პალატის ოთხ კედელს არა შორდება, მაგრამ პალატაში მწოლიარეთა და მათ სანახავად მოსულთა ჩვენებით მწერალი მოქმედ პირთა მთელ გალერეას ქმნის. ეს გალერეა კიდევ უფრო იზრდება ბაჩანას მოგონებათა, სიზმრი-

სეულ სილვათა და ჩვენებათა წყალობით. ამგვარი წიაღსვლები ავრცობენ რომანის ფარგლებსაც, მის დროულ ჩარჩოებსაც, მოქმედ პირთა რაოდენობასაც და სამოქმედო ასპარეზსაც.

ნოდარ დუმბაძის ოსტატობა, უპირველეს ყოვლისა, მჟღავნდება პერსონაჟთა ისეთი დამაჯერებლობით, ბუნებრიობით და სიმართლით გამოძერწვაში, რომ მისი მოქმედი პირები ცოცხლებივით დგებიან მკითხველის თვალწინ. სწორედ ასეთია რომანის მთავარი გმირი მწერალი ბაჩანა რამიშვილი. იგი უპირატესად ე. წ. „რიკოშეტული" ხერხითაა დახასიათებული, როცა მისი პიროვნების რაობას ან სხვათა სიტყვით ვიგებთ, ანდა თვით მისი დამოკიდებულებით სხვებისადმი. გმირის წარმოჩენის ასეთი რთული გზა იმგვარ პერსონაჟებსაც მოითხოვს, რომელნიც თავისებური სარკის როლს ითამაშებენ და მთავარი გმირის სახეს გაგვიხსნიან. რომანში ასეთებად წარმოგვიდგებიან ერთ-ერთი თბილისური ეკლესიის მოძღვარი მამა იორამი და ვაკელი ხელოსანი — მეჯღანე ბულიკა. სამივე ეს ადამიანი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იმყოფება, სამივეს ინფარქტი აქვს და არავინ უწყის, რომელი მათგანი გადარჩება, რომელი არა.

მძიმე განსაცდელი ავტორმა განზრახ მოუვლინა თავის მოქმედ პირებს: მან იცის, რომ ამგვარ პირობებში უსათუოდ გამოჩნდება ადამიანების „ნამდვილი" სახე. თავზე დამდგარმა სიკვდილმა არ შეიძლება გულწრფელი არ გაგხადოს, ის ნიღაბი არ ჩამოგახსნევინოს, რომელიც შესაძლოა შენდა უნებურად (შესაძლოა შენთვის შეუმჩნეველადაც) მთელი სიცოცხლე სახეზე გაქვს აფარებული. ჩვენი ბრძენი წინაპრებისა არ იყოს, კაცური კაცი მხოლოდ ისაა, ვისაც სიკვდილისთვის თვალებში ჩაუხედავს, ხოლო ბრძენზე ბრძენი ისაა, ვისაც სიკვდილზე გაუმარჯვნია, ავტორმა ისიც იცის, რომ „მარადისობის კანონის" მთავარი სამეულის ორი წევრი, მღვდელი და მეჯღანე (იღეალისტი და თანამედროვე მეშჩანი) შესაძლოა, ვერ ამაღლდნენ ვერც ჭეშმარიტ გმირობამდე და ვერც ჭეშმარიტ სიბრძნემდე, მაგრამ უსათუოდ გამოდგებიან იმ ლაკმუსის ქაღალდად, რომელიც ბაჩანა რამიშვილის ბუნებას გამოამჟღავნებს და „სიკვდილს გაცნობილი" ადამიანის სიბრძნეში ჩაგასედებს.

რატომ აირჩია მწერალმა ბაჩანას ხასიათის გამოსაელინებ-

ლად ისეთი „კატალიზატორები“, როგორიცაა პატარა ინტელექტის მქონე ხელოსანი-მეჯღანე და ფრიად განათლებული, თანამედროვე სინამდვილეში კარგად გარკვეული იდეალისტი? რახან ავტორი „მარადისობის კანონის“ გამოყვანისაკენ ისწრაფვის, იგი მხოლოდ დღევანდელი რწმენით, მხოლოდ თანამედროვე მსოფლმხედველობით ვერ შემოიფარგლებოდა. „მარადისობის კანონი“ მოითხოვს უკან მიხედვასაც, წარსულის კანონთა გათვალისწინებასაც. ქრისტიანული რელიგია კი სწორედ ისაა, რაც იმ „ძველი კანონების“ გაგების გასაღებს იძლევა. მღვდელი მას სჭირდება იმისათვისაც, რომ ნაიელჰყოს ადამიანური არსობის რელიგიურ-ასკეტური გაგება, რათა ნათელჰყოს დოგმატურ ცნებათა დრომოჭმულობა, მათი ანაქრონიზმი, რეაქციულობა.

მაგრამ ყოველივე მოწინავეს, პროგრესულს აუცილებლად უპირისპირდება მეშჩანური ვულგარობა და ობივატელური ინსტინქტები, როგორც ძველის გადანაშთები, როგორც მომხმარებლური, კერძომესაკუთრული შიგაბუნების გამოვლინება. ამიტომაც შემოჰყავს ავტორს ბაჩანას პალატაში რიგი ადამიანებისა, ვინც ამ მავნე ინსტინქტებისა და ტენდენციების განმასაზიერებელნი არიან. ისე, რომ ბაჩანას პალატაში ორი მტრული ბანაკის წარმომადგენელნი იყრიან თავს: ერთ ბანაკში არიან ისინი, ვინც ჩვენმა თანამედროეობამ მათი ხასიათის განმსაზღვრელი ნიშნის მიხედვით „ანტიჰიდებად“ მონათლა და ისინიც, ვინც თავისი ინერტულობით თუ მავნე ნეიტრალიზმით მათ ჩუმ ხელშეწყობად გვევლინება.

ამ ბანაკში სხვა, უფრო საშიში სიავის ადამიანებიც იმყოფებიან: განუსტერული ბუნების ნუგზარ დარახველიძე, ავტონომიური რესპუბლიკის თამბაქოს დამზადების უფროსი, მილიონობით მანეთს რომ იჯიბავს და ერთადერთ ღმერთად ფული რომ გაუხდია. მწერალი მეტყველი შტრიხებით გვიხატავს ამ ეათამამებულ შარაგზის ყაჩაღს, ღრმად გვახედებს მის ბილწ სულში. ასეთივე დიდი „მასშტაბის“ ბოროტმოქმედი, მაგრამ კიდევ უფრო ვერაგი და გაიძვერაა სანდრო მაღლაფერიძე, ბეწვეულის კომბინატის მმართველი, შემდეგში ერთ-ერთი რესტორნის დირექტორი. იგი ისევე, როგორც დარახველიძე, საშიშია თავისი ულმობლობით, თავზე ხელაღებული სითამამით, საზიანო ენერ-

გიით და უსაზღვრო სულმდაბლობით. ასეთივე ყალიბისაა გაიძვერა ნადიაკვნარი, აბელ არჯევანიძე, პირადი გამორჩენისათვის ქართველი ხალხის ისტორიულ ძვირფასეულობათა ხელყოფასაც რომ არ ერიდება. მათ არც ნინა სანებლიძისთანა მანდილოსნები ჩამორჩებიან. ასეთი მოკეკლუცო ქალების მოხერხებულობა, წაგლეჯ-გაძარცვის თუ „საქმის ჩაწყობის“ უნარი ყოველგვარ დაბრკოლებებს ლახავს. ეს ადამიანები მათ მიერ მოტანილი საზოგადოებრივი ზიანით ოდნავადაც არ ჩამორჩებიან ტყეში გავარდნილ ყაჩაღს, მანუჩარა კიკვიძეს, საოცრად კეთილი ადამიანისა და სპეტაკი პიროვნების — გლახუნა ქერქაძის სიცოცხლეს რომ შეიწირავს.

მწერალი არა მარტო დაუნდობლად აშიშვლებს ბოროტ არსებებს, არამედ ცოცხლად, შთამბეჭდავად გვიჩვენებს იმ დადებით გმირებსაც, რომელნიც ბოროტებას წინ აღუდგებიან და სიავეს ამარცხებენ. ასეთია პირველ რიგში თვით ბაჩანა რამიშვილი და არა მარტო იმიტომ, რომ იგი ფიზიკურად სპობს ყაჩაღ მანუჩარს, ებრძვის დარახველიძეს, სააშკარაოზე გამოჰყავს მაღლაფერიძე, არამედ იმიტომ, რომ ყოველი მისი ზრახვა თუ ოცნება, სწრაფვა თუ საქმე, ზნეობრივი სიწმინდის, ამაღლებული იდეალების და მოქალაქეობრივი აქტივობის ნიმუშია.

დადებითი გმირის ცოცხლად წარმოსახვა გაცილებით უფრო ძნელია უარყოფითზე. „მარადისობის კანონის“ ერთი ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ მასში მეტყველად არიან ნაჩვენები აქტიური, ქმედითი, დადებითი საწყისის განმასახიერებლები. არა სტიქიური, არა განყენებული ზნეობრიობის მქადაგებელნი, არა ნაცნობი სქემით შექმნილი რეზონერები და პლაკატებად ქცეული მანეკენები, არამედ ხორცშესხმული, ცოცხალი ადამიანები თანამედროვე გაგებით, თანამედროვე იდეალებით.

ბაჩანა რამიშვილის სახის შთამბეჭდაობა, მისი სრული აღქმადობა გაპირობებულია იმითაც, რომ მწერალი უაღრესად ეკონომიურად, მაგრამ მეტად სახეობრივად წარმოგვიდგენს მთელ მის ცხოვრებას. არა ლიტონი თხრობით, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ეპიზოდების საოცრად ექსპრესიული ხატვით, მოქმედების ჩვენებით, ადამიანების მეტყველ გარემოში მოქცევით.

რომანში ბაჩანა რამიშვილი მარტო არ არის და არც მარტო

ებრძვის ავი სულის ადამიანებს. მისი კაცური კაცობა ჯერ კიდევ ბაბუა ლოძკაცამ და მამობილმა გლახუნამ შეაყენა მკვიდრ ნიადაგზე. შემდეგ მისი მაღალი კაცობა თანასოფელელმა გლეხებმა ზარდეს, მერე თბილისელი ბიჭების მეგობრული წაბიძგება წაეხმარა, ხოლო შემდეგ ცხოვრების გზაზე შემოყრილმა უამრავმა კეთილმა ადამიანმა განუმტკიცა რწმენა სიკეთის გამარჯვებაში, ადამიანური სიიბოს სარგებლიანობაში, მეგობრობის ძალაში. ბოლოს კი ისევ წმინდა სიყვარულმა დააგვირგვინა მისი კაცურ-კაცად ჩამოყალიბება.

სიავესთან პრინციპულ, შეგნებულ ბრძოლაში ხდება ბაჩანას ხასიათის ფორმირება და სწორედ ეს არის ყველაზე დიდი თამასუქი მისი სულიერი სიმყარისა და მაღალი ზნეობრიობისა. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეიძლება აინტერესებდეს ზნეობრიობის უმაღლესი კანონი, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლიან ეძიოს და გამოიყვანოს ასეთი „კანონი" და ბაჩანა რამიშვილი „აღმოაჩენს" კიდეც მას. მწერლის მიერ მარადისობის კანონად მონათლული კრედო წარმოადგენს მაღალი ჰუმანიზმის, ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობის, ურთიერთხელშეწყობის კეთილშობილურ მოთხოვნას, ადამიანთა ქცევის უმთავრეს წესად მისი დაკანონების ქადაგებას.

„მარადისობის კანონს" უზარმაზარი სიმბოლურობა მოსდგამს: მარტოსული ადამიანი ვერ გაიმარჯვებს, მას ხელის შეშველება, დახმარება სჭირდება. ეს კი მხოლოდ სიყვარულს ძალუძს. ამიტომ სიყვარული კაცთა შორის — ერთადერთი ხსნაა კაცობრიობისა. აი, ამას ქადაგებს ბაჩანა რამიშვილის პირით ნოდარ დუმბაძე და ამით კვლავ აგრძელებს თავისი შემოქმედების ძირითად ხაზს.

ყოველივე ამასთან ერთად „მარადისობის კანონი" არ არის ჩაკეტილი მორალურ-ეთიკურის ვიწრო რკალში. იგი მებრძოლი თხზულებაა, აღსავსე მძაფრი კრიტიციზმით, ცხარე პოლემიკით, უარყოფითის მხილებით, ნაკლოვანებათა გაკიცხვით, ყოველივე დრომოჭმულისა და უვარგისის უარყოფით.

მაგრამ, ამასთან ერთად, იგი აღსავსეა უმტკიცესი რწმენით და ძალუმი სიყვარულით. რწმენით ადამიანების ძალასა და კეთილშობილებაში, სიყვარულით — კეთილი ნების ადამიანებისადმი.

ნოდარ დუმბაძისეული დაუბინდავი ოპტიმიზმი, მისი მჩქეფარე სიყვარული სიცოცხლისა, მისი ვნებიანი ტემპერამენტი და შეუდარებელი მგზნებარე მწერლის ყოველ ნაწარმოებს რომ ახასიათებს და სინათლით, სიხარულით ავსებს, ამ თხზულებაშიც არაჩვეულებრივი ძალით იგრძნობა, მოქმედი პირების ეროვნულობა, თხზულების საოცრად მომხიბლავი ნაციონალური კოლორიტი, იშვიათი სიზუსტითა და პლასტიკურობით გამორჩეული დეტალები, „მარადისობის კანონს“ მხატერულობის ჩინებულ ნიმუშად ხდიან.

მაგრამ ნოდარ დუმბაძემ არა მარტო ააგო ეს დიდი და მწყაზარი შენობა, არამედ მასში დიდი და ნათელი სულის ადამიანებიც ჩაასახლა, რომელთა გარეშეც თხზულება უკაცრიელ სახლს დაემგვანებოდა. ეს ადამიანები ვერ ეგუებიან ვერავითარ უმსგავსოებას და მთელი თავისი რწმენით, უნარით, გულის ცეცხლით იბრძვიან ჩვენი მაღალი იდეალებისათვის და, მაშასადამე, მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის.

ყოველი ეროვნული მწერლობა, თავისი განვითარების ახალ მოსაქცევზე, ახალ ეტაპზე საკუთარი წიაღიდან წარმოშობს ლიტერატურული პროცესის „გამთანადროვებლებს“, რომელთაც მშობლიური ხალხის მხატვრული შემოქმედება თანამედროვეობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოჰყავთ და ეპოქისათვის ნიშანდობლივი მოთხოვნების ყველაზე სრულსა და მეტყველ მხატვრულ ხორცშესხმას ახერხებენ. ლიტერატურის გამთანადროვებელნი მოწოდებული არიან ღრმად ჩასწვდნენ ყოველი ახალი ეტაპის არსსა და რაობას, ღრმად ასახონ ძირითადი საზოგადოებრივი ტენდენციები, სწორად მიგვანიშნონ მათი განვითარების პერსპექტივებზე. ქართულ მწერლობას, მისდა საბედნიეროდ, ბევრი ჰყავდა ასეთი გამთანადროვებელი. ისინი გულთმისნურად გრძნობდნენ ყოველივე ახალს, უნარიანად უბამდნენ მხარს ეპოქის მოთხოვნებს, დროულად ეხმაურებოდნენ დროის ძახილს. მათი წყალობით ქართული ლიტერატურა ისტორიის ყოველ ახალ შემოსაბრუნზე ხალხის დამკვალიანებლად გამოდიოდა. თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი ასეთი დიდად სახელოვანი გამთანამედროვებელი ნოდარ დუმბაძეა და მისი „მარადისობის კანონი“ ამის ჩინებული დადასტურებაა.

1980 წ.

## სინათლე — ტკივილის ფასად[1]

ჩემი აზრით, შეუძლებელია, მკაცრად რეგლამენტირებულმა რაიმე მნიშვნელოვანი თქვა ნოდარ დუმბაძეზე, რადგან ამისთვის, უბრალოდ, აუცილებელია ილაპარაკო მთელ თაობაზე, რომლის ერთი საამაყო წარმომადგენელიც იგი გახლავთ. მე მარტო ერთი მოთხრობა მინდა გავიხსენო — „დიდრო".

ეს მოთხრობა სავსეა უცნაური შუქით.

უნებლიეთ გაგონდება გოეთეს უკანასკნელი ფრაზა: „მეტი სინათლე!"

„დიდროში" გატარებულია აზრი, რომ მეტ სინათლეს იხილავს იგი, ვინც მეტი ტვირთი ასწია.

ქართულ მწერლობაში გიორგი შატბერაშვილის გმირი შეეჭიდა პირველი ამ დიდ ტვირთს, და ამიტომაც იხილა მეტი სინათლე — ჩამავალი მზის შუქი.

ნოდარ დუმბაძის გმირმაც ასწია ეს დიდი ტვირთი, და ამიტომაც იხილა მეტი სინათლე — ჩამავალი მზის შუქი.

არავინ იცის, სადაა ამ „ჩამავალისა" და „ამომავალის" საზღვარი, რადგან მზე, რომელსაც გიორგი შატბერაშვილმა მკვდრისა უწოდა, ცოცხლებსაც სჭირდებათ, ისევე, როგორც შუქი, რომელიც სიცოცხლეშივე იხილა საწყალმა დიდროიამ, არც სიკვდილის მერე დასტოვებს მას.

პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ მოთხრობით ნოდარ დუმბაძემაც ასწია თავისი საჯილდაო ქვა, და მარტო ქარი კი არ გაუტარა მას, არამედ თავს ზემოთ ასწია.

ამ ტვირთმა მეტი სინათლე და სიხარული მოუტანა მწერალს.

სიხარული-მეთქი, ვახსენე.

ათასობით მკითხველს, ვინც ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფია არ იცის, „ილიკოსა და ილარიონის" ავტორი შეიძლება ერთი უზრუნველი და ცხოვრების ნებიერი კაცი ეგონოს! არადა,

---

[1] წერილი წარმოადგენს ნოდარ დუმბაძის დაბადების ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ტელეგადაცემის ტექსტს.

ალბათ, იშვიათია ქართულ მწერლობაში კაცი, ვისაც ამდენი ტანჯვა და ტკივილი გადაეტანოს. მაგრამ ნოდარ დუმბაძეს აქვს ღვთისაგან მომადლებული ბედნიერი ნიჭი — საკუთარი ტკივილი სხვის სიხარულად აქციოს. ალქიმიკოსის სიმარჯვით ახერხებს იგი ცრემლის გარდაქმნას ღიმილად.

ნოდარ დუმბაძე არ ვარგა ბრალმდებლის როლში. მისი სტიქია — თანაგრძნობაა. ამიტომაც მისგან ცოტა უცნაურად ჟღერს „თეთრი ბაირაღების" შემცველელი სათაური — „საბრალდებო დასკვნა". იგი თანამგრძნობელია, ღიმილი კი თანაგრძნობის განუყრელი თანამგზავრია. ნოდარს ეს ღიმილიც გამორჩეული აქვს. მან, რეზო ჭეიშვილთან ერთად, ქართული ლიტერატურული იუმორი აიყვანა ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც იგი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან უნდა დაინახონ. ხედავენ კიდეც. აფასებენ. უყვართ. დღესდღეობით იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია საქართველოში. ამასთან, ამ პოპულარობას, ცხადია, არაფერი აქვს საერთო ისეთ მომენტთან, როცა სახელს არავითარი მატერიალური საფუძველი არ გააჩნია.

ერთხელ რევაზ ინანიშვილს, ქართული მოთხრობის აღიარებულ ოსტატს, რაზე ჩაფიქრებულხარ-მეთქი, ვკითხე. რაზეო და, აი, ნოდარ დუმბაძეზე, ერთადერთია ჩვენ შორის, ვინც სახალხო წიგნი დაწერა; ეს წიგნი ერთნაირად უყვარს და აინტერესებს ყველას: ჯარისკაცსა და გენერალს, მეცნიერსა და მიწის მუშას; ჰოდა, მინდა გავიგო, როგორ მოახერხა ეს, ამ საიდუმლოზე ვფიქრობო. ეს საიდუმლო მით უმეტეს არ ვიცი მე, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, სხვებივით და, იქნებ სხვებზე მეტადაც, მიყვარდეს ნოდარ დუმბაძე და მისი წიგნები.

ნოდარ დუმბაძის ახლობლებმა იციან, რომ იგი ყველაზე ძნელად საკოცნელი ქართველი მწერალია — მეტისმეტად მალე ეზრდება წვერი. ამის მიუხედავად, ვკოცნი ჩვენს ნოდარს იმ ძნელად საკოცნელ ლოყაზე და ვულოცავ ნამდვილ შემოქმედებითს გამარჯვებას — მშვენიერ მოთხრობების წიგნს!

1968 წ.

## კაცთმოყვარეობის ეხატვარი

მწერლის ნიჭიერება და წერის ორიგინალური მანერა ყველაზე თვალსაჩინოდ ადამიანთა ხასიათების ხატვაში ვლინდება. ნოდარ დუმბაძემ სწორედ ხასიათების ხატვით გაითქვა სახელი, მის მიერ დიდი ოსტატობით გამოძერწილმა მხატვრულმა ხასიათებმა — ზურიკელა ვაშალომიძემ, სოსოია მამალაძემ, ავთანდილ ჯაველმა, ზაზა ნაკაშიძემ მუდმივი ბინა ქართველი ხალხის გულში დაიდეს. ეროვნული სიყვარულით შემოსილმა ამ სახეებმა ფეხი აიდგეს და არა მარტო ჩვენი სამშობლო, არამედ მთელი მსოფლიო შემოიარეს. ამ მხატვრული ხასიათების უმთავრესი ნიშან-თვისება კეთილის ქადაგებაა, კეთილი საქციელი და კეთილი მოქმედება განსაზღვრავს მათ არსებას.

ქართულ მწერლობას რუსთაველმა უანდერძა კეთილის გარდუვალი ჭეშმარიტება, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!" — რუსთაველის ამ ანდერძის ერთი ყველაზე ერთგული და თანმიმდევარი დამცველი ქართულ მწერლობაში ნოდარ დუმბაძეა.

ნოდარ დუმბაძე კეთილი ადამიანების მხატვარი, საყოველთაო სიკეთის მქადაგებელი და მღაღადებელია. მწერლის აზრით, ადამიანში ორი არსება ბუდობს, კეთილი და ბოროტი, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში ვლინდება ადამიანის ნამდვილი არსება. და ამ ბრძოლაში ყოველთვის კეთილი საწყისი იმარჯვებს. ნოდარ დუმბაძეც თავისი გმირების ამ სიკეთის ამბავს გვიყვება, გვიამბობს გულწრფელად და გადამდებად.

ადამიანთა შორის უანგარო სიყვარულის ქადაგება, უსაზღვრო სიყვარულის ჩანერგვა ადამიანების გულში არის მისი მხატვრულ-იდეური და ესთეტიკური ამოცანა. ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება აქ ყველაფერი: ნაწარმოებთა სიუჟეტი, პერსონაჟთა ხასიათები, კომპოზიცია თუ სხვა მხატვრული კომპონენტები. ამ მხრივ მწერალმა ერთბაშად მიაგნო თავის თავს, როგორც მხატვარმა. მიაგნო და ჩვენც დაგვარწმუნა, რომ ყველაზე დიდი ამოცანა ამქვეყნად არის კაცთმოყვარეობის ქა-

დაგება. თვითონ მწერალი ყველგან სიკეთეს ეძებს, არაკეთილ ადამიანებშიც სიკეთეს ეძებს, რთულსა და ძნელ გარემოცვაშიც სიკეთეს ეძებს.

მთელი სიცრცელით გამოჩნდა მწერლის მაღალი ჰუმანიზმი და რწმენა, როდესაც ბოროტი სულის ადამიანშიც, ბოლოს და ბოლოს, კეთილმა საწყისმა იპოვა ადგილი: როდესაც ადიდებულ მდინარეს მიჰქონდა სიბრძნისა და სიკეთის აურწყავი განსახიერება, ულამაზესი სულის ხატია, მდინარის ბობოქარ ტალღებს ის დეზერტირმა დათიკომ გამოსტაცა.

ნათელის, კეთილი საწყისის ძებნა ადამიანებში, მათ საქციელსა და მოქმედებაში მწერლის ამოსავალი პრინციპია. ამ პრინციპს ემორჩილება ინტერნაციონალიზმის იდეაც.

ნოდარ დუმბაძის გმირები, ხატვის თვალსაზრისით, რთული ბუნებისანი როდი არიან. ისინი პირველსავე დიალოგში თუ საუბარში ამჟღავნებენ თავიანთ ხასიათს. მარტივია მათი მოქმედება და სიტყვა-პასუხიც: მარტივი, მაგრამ ღრმა. ამ ნიადაგზე ჩვენზე მათი ზემოქმედების ემოციური ძალა საოცრად დიდია. ხასიათის ამ სისადავეში ჩანს კეთილი საწყისი. მკითხველის მიერ იოლად მიჩნეულ სიმარტივეში გამჟღავნებულია ხელოვანის ძალა. სადად დახატულ ხასიათებს დიდი სულიერი განსაცდელის რთული სამყარო აქვს გამოვლილი და ასეა გარდასახული ამბავიც და ხასიათებიც. ამ კეთილ ხასიათებს იუმორის მომხიბლავი ძალა უფრო ახლობელსა და ცხოვრებისეულს ხდის. ხასიათების ძერწვაც ამ ორი ელემენტის — კეთილის ხატვასა და იუმორის ზომიერ გამოყენებას ეფუძნება, ამიტომ ყოველთვის ბუნებრივ მდგომარეობაში ვხედავთ გმირების საქციელს, მათ მოქმედებას. ეროვნულ ტრადიციას ემყარება აქ ყოველი ხასიათი, ყოველი დიალოგი, ყოველი ფრაზა და სიტყვა. ეს პერსონაჟები რეალური, ცხოვრებისეული ადამიანები არიან და ისე კოლორიტულად დახატული, თითქოს, სადღაც შეგეხვედრია, გვისაუბრია კიდეც მათთან.

კაცთმოყვარეობის ნამდვილი აპოლოგიაა „თეთრი ბაირაღები". მწერალმა იცის, რომ ადამიანები ბოროტებად არ იბადებიან, მდგომარეობით გამოწვეულ ბოროტებას უმალ ცვლის ადამიანის კეთილი საწყისი, როგორც კი ადამიანის მდგომარეობა შეიცვლება. მდგომარეობის შეცვლა კი თვით ადამიანებზეა

დამოკიდებული. სიკეთისა და ბოროტების იმ დიდ ლუელში, რომელსაც მწერალი „თეთრ ბირალებში“ გეიხატავს, კეთილს შეუვალი რწმენა განაგებს, ამიტომაც ციხის კედლებში ოპტიმიზმის სული დაქრის. ჯანსაღი, ნათელი იუმორი და ადამიანების კეთილი საწყისი ისეთი ოსტატობით ენაცვლება ერთმანეთს, რომ მართლაც გეწამს და გვჯერა „ბორიოტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ნოდარ დუმბაძეს არ სჯერა ადამიანის სულის უიმედო გასრწნა. თვით ბოროტმოქმედ ადამიანთა სულშიც ტოვებს ადგილს კაცთმოყვარეობისათვის, ზნეობრივი განწმენდისა და კეთილის გამარჯვებისთვის.

ნანა ქვილაძე

## ნოდარ დუმბაძე

კარგად მახსოვს ის დღე, როცა „ცისკრის“ რედაქციაში ნოდარ დუმბაძემ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მოიტანა. ამ ნაწარმოების დაბეჭდვისთანავე მახვილგონიერი ფელეტონების ავტორმა ჯვებე დუმბავამ დაიბრუნა სამდვილი სახელი და გვარი, დაიბადა ახალი მწერალი — ნოდარ დუმბაძე, რომელსაც, თავისი, მართლაცდა, ვასაოცარი წარმატებების გამო იღბლიან ვარსკვლავზე დაბადებულ მწერლად თვლიან, მისი წარმატების საიდუმლო კი, შეიძლება ითქვას, გაცილებით მარტივია — ეს ნიჭიერება ვახლავთ! მაშინ „ცისკრის“ თითქმის ყოველ ნომერში ახალი მწერალი იბადებოდა. მთელი თაობა შეპყრობილი იყო ახლის შექმნის მწვავე სურვილით. ვანუზომელია იმდროინდელი „ცისკრის“ მნიშვნელობა ჩვენი დღევანდელი ლიტერატურისათვის.

ნოდარ დუმბაძის ყოველ პასაჟს, ყოველ ფრაზას მკაფიო ხედვითი წარმოდგენები ახლავს. ეს იდუმალი ხატოვანება ლოგიკურ სიუჟეტთან, მკვრივ ფაბულასა და ხასიათების სიცსადესთან ერთად, იშის მიზეზი გახდა, რომ ყველაფერი, რაც კი დაწერა, სცენაზე გადაიტანეს, სპექტაკლებად თუ ფილმებად აქციეს.

ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე ქართული თეატრი ნოდარ დუმბაძის მოთხრობებითა და რომანებით საზრდოობს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნოდარ დუმბაძის ნამდვილი მწერლური წარმატება ქართული თეატრით დაიწყო.

ნოდარ დუმბაძის მწერლურ ნიჭიერებას ერთი განსაკუთრებული თვისება დაჰყვა თავიდანვე — აღმოჩნდა ამაღელვებლად მახლობელი ყველასათვის და სწორედ ამ თვისების წყალობით მისი ნაწარმოებები ხალხის საკითხავ წიგნებად იქცა. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის მის რომანზე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

მის ნაწარმოებში გახმიანდა სიცილი, ძალდაუტანებელი, ნამდვილი, აუმღვრეველი, გულიანი, როგორც ღმერთმა გააჩინა და გაკრთა ცრემლიც, ისიც ნამდვილი, ისიც გულიანი... მკითხველი მოხიბლა ჩვენი მშრომელი ხალხის ყოველდღიური ყოფის პოეტურობამ, იუმორის ნედლ ფოთლებში შეხვეულმა, ბუნების სინორჩე რომ გვაგრძნობინა.

ნოდარ დუმბაძის თითქმის ყველა გმირი ცხოვრების მდინარის წინ წამით შეჩერებული, მის გადასალახად გამზადებული და ურყევი რწმენით შეპყრობილი მოგვევლინა. ამ რწმენას კი სიკეთის ძლევამოსილების რწმენა ეწოდება და სწორედ ამ უკიდეგანო სიკეთის ძალისხმევა, რომლისკენაც მწერალი ასეთი დაჟინებით მიაპყრობს ჩვენს გულისყურს, აღმოჩნდა ის წყარო, რომელსაც დაეწაფა უამრავი და უამრავი ადამიანი. და, რაც სასიამოვნოა, არა მარტო ჩვენში.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში ძალიან საინტერესოა ბავშვისა და ყრმის სისპეტაკის შეგნებული იდეალიზაცია, მისი ზნეობრივ იარაღად გადაქცევის აქტი. შეიძლება ზოგს გაუკვირდეს, ბავშვი რომ ვახსენე, მართლაც, თითქმის არც ერთი მისი გმირი ბავშვი არ არის, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით — შეურყეველობის, სიჯიუტის, ზოგჯერ ზედმეტი თვითდაჯერებისა და გამაღიზიანებელი მოურიდებლობის იქით იმალება უმწეო და გამუდმებით საფრთხის მომლოდინე ბავშვობა, რომლის დამალვასაც ასე გულმოდგინედ ცდილობენ ამ მოთხრობების გმირები: თითისწვერბზე დგებიან, ხმას იბოხებენ, ღვინოს სვამენ, პაპიროსს აბოლებენ, ჩხუბობენ, უყვართ... მაგრამ ამქვეყნად შეიძლება ყველა და ყველაფერი შეცდეს, გარდა დე-

დის გულისა. გავიხსენოთ ერთი ნამდვილად შესანიშნავი ეპი-ზოდი „საბრალდებო დასკვნიდან“, როცა ტროტუარის კიდეზე ჩამომჯდარი დედა ზაზას თერმოსიდან ყავას ასმევს. რა მყუდ-როდ, რა ნეტარებით მოკალათებულა დედის თავბრუდამხვევ სამყაროს წიაღში ზაზა, რომელიც ახლახან მგლის ბუნაგიდან, მაუგლივით, ადამიანად გამოვიდა და არა მხეცად.

აი, ამ სიკეთედ ქცეული ბავშვობის, საერთოდ, — სიკეთის, ადამიანურობის დიადი შენობის უმტკიცესი საძირკვლის პო-ეტია ნოდარ დუმბაძე, რომელიც ჩვენი პროზაიკოსების შესა-ნიშნავ თანავარსკვლავედში საკუთარი, განუმეორებელი შუქით ბრწყინავს.

1978 წ.

# გამოსათხოვარი სიტყვები

ნაადრევად, ძალიან ნაადრევად დაამთავრე შენი გზა. უღროოდ დაცარიელდა შენი ადგილი უახლეს ქართულ მწერლობაში.

შენი ადგილი ჩვენს მწერლობაში დიდხანს არ გიძებნია, იკი შენ თითქმის მოსვლისთანავე დაიკავე. ეს მხოლოდ დიდი ნიჭით მომადლებულ შემოქმედთა ხვედრია. ჩვენც, შენი უფროსი თაობის ქართველი მწერლები, ისე შემოგხვდით, თითქოს დღე-დღეზე მოგელოდით და გზაც შენთვის ადრევე, შენს მოსვლამდე გვქონდა დალოცვილი; ეს იმიტომ, რომ ჩვენს მწერლობას, ჩვენს მკითხველს, ჩვენს ხალხს სჭირდებოდი შენ; განსაკუთრებით მაშინ, იმ წლებში, როცა მრისხანე სამამულო ომი არც ისე დიდი ხნის დამთავრებული იყო და ჯერ კიდევ თვალებამოწითლებულ ადამიანებს ცხარე ცრემლების შემდეგ ღიმილი ენატრებოდათ. აი, ეს ღიმილი, სწორედ ცრემლნარევი ღიმილი მოიტანეს შენმა გმირებმა ჯერ საქართველოში და შემდეგ შორს წაიღეს კიდეც იგი, ჩვენი დიდი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც, ამიტომ შეგიყვარა შენმა მკითხველმა შენ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ, ცრემლიანი, იმედიანი ღიმილის გამო შეგიყვარა, როგორც ცხოვრების გულმართალი მხატვარი, კაცთმოყვარე, როგორც მწერალი კომუნისტი.

შენ შენი გმირები შორს არსად გიძებნია; მოხვედი და თან მოიყვანე ლიტერატურაში შენი მეზობელ-მეგობრები, უბრალო ადამიანები დასავლეთ საქართველოდან, პირდაპირ სინამდვილიდან, ბუნებიდან, ცხოვრების შუაგულიდან. ისე, როგორც შენ ისინი შენს ბავშვობაში გენახა და გაგეგონა.

ასე უბრალოდ, ასე ალალი ბუნებრიობით უჩვენე შენ მთელ ქვეყანას შენი პატარა მშობლიური კუთხის კეთილი ადამიანები. ასე უბრალოდ ამცნე შენ მთელ ქვეყანას, რომ ჩვენს დიდ პლანეტაზე არის ერთი პატარა უმცირესი მიწა, სადღაც, შავი ზღვის სანაპიროზე, რომლის მკვიდრებსაც ასე თავისებურად, ასე ამაღლებულად ესმით ადამიანის ქვეყნად არსებობისა და მიზანდანიშნულების ურთულესი პრობლემა; ასე თავისებურად უყვართ ერთმანეთი, ასე თავისებურად უდგანან ერთმანეთს

მხარში, თავისებურად ახალისებენ ერთმანეთს, ასე თავისებური ცრემლნარევი ღიმილით, ალერსიანად ჰკილავენ ერთმანეთის ნაკლს. და მოხდა ისე, რომ ეს ადამიანები ქვეყანამ შეიყვარა. ამიტომაც აყღერდა შენი ქმნილებები მრავალ და მრავალ ენაზე.

შენ, შენს მხატვრულ ქმნილებებში ყმაწვილკაცურად თავს ვერ იკავებ და შიგ თავადაც ისევე ტრიალებ, როგორც შენი ლიტერატურული გმირები ტრიალებენ. შენ მათთან ერთად არსებობ, ცხოვრობ მათთან ერთად, ისე, როგორც სპექტაკლის მსელელობის დროს სცენაზე პარტერიდან პიესის ავტორიც რომ აკიდეს და საქმეში უშუალოდ ჩაერიოს. მწერლობა და სინამდვილე შენ ერთმანეთისაგან არასდროს არ გაგიყვია. ასე გწამდა ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მიზანი და დანიშნულება. გწამდა ისე, როგორც ეს ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს უწამებია.

სასახელო გამარჯვებებით იარე შენ არცთუ ისე გრძელ შემოქმედებითს გზაზე და როგორ მტკივა გული, რომ შენი ამ გზის ერთ პირველ დამლოცველთაგანს, ბუნების უსამართლობით, ღღეს წილად მხვდა მძიმე მოვალეობაც — სამუდამოდ გაგაცილო უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვით.

მშვიდობით, საყვარელო ნოდარ!

## ჩინგიზ აიტმატოვი

როგორც წესი, ასეთ დროს გიჭირს აზრის მოკრება, რათა ადამიანს, მეგობარს უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა. მე და ნოდარ დუმბაძე არც ისე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ სამაგიეროდ ყოველი ჩვენი შეხვედრა საუბრის, დიალოგის საბაბი ხდებოდა. ესაუბრობდით ლიტერატურაზე, ჩვენს დიდ საქმეებზე, იმაზე, რაც ყველაზე უფრო გვაღელვებდა და გვაახლოებდა. ჩვენ ხომ ტოლები ვიყავით, ერთ ჭერქვეშ გაზრდილ ძმებად მიგვაჩნდა ერთმანეთი.

და არსებობს ჩვენი ბედის კიდევ ერთი დეტალი, ჩვენ ომის პერიოდის ბავშვები ვიყავით. ჩვენმა ბავშვობამ, სიჭაბუკემ

ხალხისათვის ყველასა ძნიმე პერიოდში ნაიარა, როცა დიდი სამამული ომი მძვინვარებდა და თუ პირადად ჩვენ იარაღით ხელში ფრონტზე არ ვყოფილვართ, ჩვენ განვიცდიდით ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა, განვიცდიდით ჩვენი ახლობლების და ნათესავების ბედს, იმით ბედს, ვინც დაიღუპა და ვინც ბოლომდე იარა გამარჯვებამდე. განუმეორებელია ომგამოვლილი ადამიანების სიახლოვე და რას ნიშნავს ეს გრძნობა — იცის მხოლოდ მათ, ვინც გადაიტანა ყოველივე ის.

ჩემი აზრით ნოდარ დუმბაძე იყო ერთ-ერთი ყველაზე ღრმა შემოქმედი. მისი ნიჭი დიდი სამამულო ომის ბრძოლებით იყო გამთბარი. მეც მასსავით ომის შემდგომ წლებში ვმასწავლებლობდი, თოთხმეტი წლის ბიჭუნა სოფსაბჭოს მდივანი, მერე კი ტრაქტორისტთა ბრიგადის აღმრიცხველი ვიყავი. ნოდართან შეხვედრისას ჩვენ ვიხსენებდით გასულ წლებს, ვიხსენებდით და ორივენი ჩვეულებურად ვყვებოდით ამბებს. ამიტომ მისი სახელგანთქმული ნაწარმოები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" ჩემი საკუთარი, მშობლიური სიმღერა მგონია. მაგრამ, როგორც მწერალი, ის რომ მხოლოდ ამით ამოწურულიყო, ძალიან ცოტა იქნებოდა. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებითი ბედნიერება კი იმაშია, რომ იგი, როგორც შემოქმედი, თანამედროვე პროზაიკოსი, ჭეშმარიტი მოაზროვნე, ძალიან სწრაფად იზრდებოდა. მერე კი მისი შემოქმედებითი გზა საბჭოთა ლიტერატურის უმაღლესი მწვერვალების მაცაღწევ გზად იქცა, ყოველი მისი წიგნი კი — მოვლენად მთელ საბჭოთა ლიტერატურაში.

წარმოუდგენელია, რომ ნოდარ დუმბაძე ვეღარ შეძლებს თავისი არაჩვეულებრივი შემოქმედებითი გზის გაგრძელებას, წარმოუდგენელია, რადგან მას კიდევ ძალიან ბევრის შექმნა შეეძლო. მისი აზრის მასშტაბურობა, დეტალებისა და საერთო სურათების, ფაქტებისა და რეალური სიტუაციების აღწერის ოსტატობა, ირონია და სარკაზმი, ტრაგიზმი და სიცოცხლის მოყვარეობა — ყოველივე ეს არსებობდა და ამდიდრებდა მის შემოქმედებას. იგი ჭეშმარიტად თანამედროვე მოაზროვნე პროზის ოსტატი იყო. მე მესმის, თუ რაოდენ დიდია ქართული ლიტერატურის დანაკლისი, ქართველ მკითხველთა, მთელი ჩვენი ქვეყნის მკითხველთა დანაკლისი, რამეთუ იგი ყველგან უყვარდათ.

ჩაქრა ქართველი მწერლის სიცოცხლე, მაგრამ არ ჩაქრება მისი სიტყვა, რომელიც ჩვენს სულიერ გამოცდილებას, ჩვენს გამარჯვებებსა და უბედობას იტევდა.

მინდა ვუთხრა ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მისი სახელი, რომ ტიან შანის მთებში ისევე დასტირიან მას, როგორც საქართველოში, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში.

## ელგუჯა ამაშუკელი

არიან ადამიანები, რომელთა გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს.

ნოდარ დუმბაძემ სიცოცხლეშივე დაამარცხა სიკვდილი. დაამარცხა არა ერთხელ და ორჯერ და სიცოცხლეშივე ეზიარა უკვდავებას.

იუმორი ნიჭთა შორის უდიდესი ნიჭია ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, ბევრჯერ რომ დაგაფიქრებს კაცის სიცოცხლის რაობაზე და სხეულის სიმძიმეს რომ შეგიმსუბუქებს.

ნოდარის მთელი ცხოვრება და შემოქმედება — ეს იყო ნათელი იუმორით შეფერილი აზრის, ვნების, ფიქრის, სიტყვის, მოქმედების ჰარმონიული მთლიანობა, რომელიც ადამიანის სიხარულისა და ბედნიერებისაკენ იყო მხოლოდ მიმართული. სიკეთე, სიყვარული იყო მისი სიცოცხლის დევიზი და შესაშურად ფლობდა კიდეც ამ ნიჭს.

რამდენ საშვილიშვილო საქმეს აუღია სათავე მის პიროვნებაში ერის საკეთილდღეოდ და განხორციელებულა კიდეც. რამდენი ადამიანისთვის დაუბრუნებია მას რწმენა იმისა, რომ „ბოროტებას არსი არა აქვს, რომ იგი კეთილის შემთხვევითობაა“, და პირადი მაგალითით, სიტყვით თუ საქმით, დაუდასტურებია კიდეც ეს ჭეშმარიტება.

მან იმაზე მეტი გაიღო, ვიდრე ერთ სიცოცხლეში ძალუძს ადამიანს...

იქნებ ამიტომაც იჩქარა მისმა გულმა და..

დაადგეს ნათელი მის სახელს...

## ირაკლი ანდრონიკოვი

ძვირფასო მეგობრებო, თავზარი დამცა ნოდარ დუმბაძის, არაჩვეულებრივი მწერლის, გარდაცვალების ამბავმა, რომლის ნათელი ნიჭი ყოველ მის ნაწარმოებში ახალი ძალით გამოსჭვივის. იგი ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ მისი გმირები — ნოდარ დუმბაძის — საოცარი პიროვნების — ანარეკლი, მარად იარსებებენ ადამიანის სულის სიმაღლის სამაგალითოდ, ეს კი უკვდავებაა.

## ვერიკო ანჯაფარიძე

ცრემლითა და გულისტკივილით ვეთხოვები ჩემთვისაც საოცრად ძვირფასს და საყვარელ ნოდარ დუმბაძეს, რომლის არ ყოფნა ცოცხალთა შორის, ძნელი დასაჯერებელია. საქართველო ჯერ კიდევ დიდხანს ვერ აინაზღაურებს ამ დანაკარგს, ვერ დაივიწყებს თავის ერთ-ერთ უსაყვარლეს შვილს, რომელიც ამშვენებდა ჩვენს მამულს და ჩვენს ცხოვრებას.

ბუნებით დაჯილდოებული გასაოცარი ნიჭიერებითა და ჭკუით, ნოდარ დუმბაძე ყველასათვის საყვარელი და ახლობელი იყო და ასევე დარჩება მეხსიერებაში თავისი ლამაზი სახით, რომლის თვალები სიყვარულით უცქერდნენ ყველას და კეთილი ღიმილი არ შორდებოდა მის ბაგეს.

## რევაზ ასაევი

ძვირფასო, დაუვიწყარო ნოდარ, მე არ შემიძლია წარსულში ვილაპარაკო შენზე, ენა არ მიბრუნდება ვთქვა: „ის იყო“, „ის ცხოვრობდა“, „ჩვენს შორის დადიოდა...“ მე ძველებურად ვისაუბრებ შენთან, როგორც ვლადიმერ მაიაკოვსკი ამბობდა, „დაბადებით ქართველად“ რომ თვლიდა თავს, „მხოლოდ როგორც ცოცხალი, ცოცხლებს ვესაუბრები“.

ასე რომ, ჩემო კალმითა და სისხლით ძმაო, დრო უძლურია, რათა შენ ჩვენი რიგებიდან წასულად ჩაგთვალოს. შენ იმათი ჭლეადისა ხარ, რომელთაც მხოლოდ დაბადების წელი გაამჩნიათ. ისინი იმით არიან უკედავნი, რომ თავიანთი ხალხისათვის ამდენი დაოესეს საყვარელი სამშობლოს მადლიან მიწაზე.

შენ შენი მშვენიერი მოთხრობების, რომანების, საბავშვო ლექსების, თეატრისა და კინოს გმირებში ცოცხლობ. არა, სიკეკდილი გვერდით ვერ დაუდგება შენს მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრებას, თუმცა შენს ცხოვრებაში ბევრი იყო ბედნიერებაც და უბედობაც.

სევდიანი, მომღიმარი თვალებით მიყვებოდი, რომ ბავშვობას არ გაუნებიერებიხარ, ეკლიანი ხელებით გეალერსებოდა.

შენ გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გამსველელ სესიაზე როგორი მზრუნველობით, ყურადღებით და ცხოველი ინტერესით განიხილავდა ოსეთის ლიტერატურის შემდგომი განვითარების, ჩვენი მწერლობის გამოქვეყნების საკითხებს.

მახსოვს მეგობრული ვახშმის შემდეგ, შენთან ერთად ცხინვალის ქუჩებს, ლიახვის სანაპიროს დავუყვეთ: „მე არ ვსვამ, რევაზ, ხომ იცი, სამწუხაროდ, ჯანმრთელობა არ მაძლევს უფლებას, მაგრამ ოსეთის, მისი ნიჭიერი, ნათელი გონების ადამიანების, მათი ვაჟკაცობის სადღეგრძელო მაინც დავლიე და ჩასმისი ბოლომდეც დაეცალე. შეხედე, რა სავსე მთვარეა, რა ცაა. არა, ლიახვს შეხედე, როგორ ლივლივებს მასში მთვარე, რა მშვენიერია, ჩვენი მშობლიური მხარე! და ამ სილამაზის შემხედვარეს, როგორ გინდა, რომ იცოცხლო და იცოცხლო! რა კარგია, ჩვენ ხომ ოდითგანვე ერთი ცის ქვეშ ვცხოვრობთ, აი ეს დათოვლილი მთები, სცენის უზარმაზარ დეკორაციებს რომ გვანან, ისინი ხომ ჩვენი ორი მოძმე ერის, ოსებისა და ქართველების მეგობრობის მარადიული მოწმეები არიან“...

— და რა კარგია, ძვირფასო ნოდარ, — დავუმატე მეც, რომ საუკუნების წინათ, თამარ მეფისა და დავით სოსლანის დროს, ან ვინ იცის, იქნებ უფრო ძველ დროში ჩასახულ ჩვენი წინაპრების მეგობრობას ასე ღირსეულად ვაგრძელებთ და ვადიდებთ ჩვენ.

მე ღღემდე კარგად მახსოვს და მელანდება, რომ იმ მთვარიან ღამეს, ლიახვის სანაპიროზე, შენი მუდამ ნიმდიმარი თვალები, რაღაცნაირი განუმეორებელი შუქით აციესკროვნებდნენ ჩვენს გულითად საუბარს. მხოლოდ მაშინ უბრწყინავთ თვალები ასე, როცა ძვირფას ადამიანს სიყვარულს ეფიცებიან...

ჩემო კეთილო მეგობარო, მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ შენ უაღრესად კეთილი, ყურადღებიანი, გულისხმიერი კაცი იყავი (ისევ „იყავი“), მე ვიტყოდი — ადამიანი — ამ სიტყვის ყველაზე ლამაზი და მშვენიერი გაგებით.

ნოდარ, ძვირფასო, ხალხი დაკვირვებულია. მე ემონაწილეობდი ჩვენი საერთო მეგობრების უკანასკნელ გზაზე გაცილების ცერემონიალებში, ისინი იყვნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები — გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, გოგლა ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ნონეშვილი, მათ ზღვა ხალხი მიაცილებდა. მე ვნახე, როგორ გაცილებდა შენ ურიცხვი ხალხი, ერი, მთელი თბილისი, მე ვიტყოდი, მთელი საქართველო. ამაშია შენი უკვდავება.

მე ხშირად ჩამოვდიეარ თბილისში, ერთ დღეს შენ გიძღვნი ხოლმე და დილის ნამივით წმინდა ცრემლებით დანამული წითელი ყვავილები მომაქვს შენთან...

## ზურაბ ასპლელიანი

კაცის გული თურმე ყველაფერს ურიგღება, — უახლოესი, უტკბილესი, უძვირფასესი ადამიანის დაკარგვასაც კი. ეს მწარე ჭეშმარიტება მე საკუთარ თავზე გამოვცადე და ესეც, ალბათ, ბუნების უმოწყალო, მაგრამ გარდუვალი კანონზომიერებაა.

და მაინც... მაინც ძნელია დაჯერება და, მით უმეტეს, შერიგება იმისა, რომ ბოროტი ძალის განუკითხაობამ ასე უცებ, ასე მზაკვრულად გამოგვაცალა ხელიდან ნოდარ დუმბაძე — ადამიანი, რომლის სასიცოცხლო ძალები მის სითბოსა და კაცთმოყვარეობას, სიკეთესა და სულმაღლობას, ვაი, რომ ვერ გაუტოლდა.

ნოდარ დუმბაძის ნათელ სიცოცხლესთან ერთად ჩვენი შეხ-

მატკბილებული ლიტერატურული თანამეგობრობის ოცდამესამე წელი მიიწურა. 1961-ის იანვარში გაიცნო პირველად რუსმა მკითხველმა მისი საყვარელი ზურიკელა, ბებია, ილიკო და ილარიონი. მას შემდეგ ნოდარის გმირები ტრიუმფით დააბიჯებენ დიდი რუსეთის — და განა მარტო რუსეთის! — მიწაზე, ხალხის სიყვარულით გამთბარნი, ხალხთან დამეგობრებულნი და შესისხლხორცებულნი, ხოლო ჩემთვის, რომელსაც ბედმა მარგუნა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა თარგმნის საამაყო მისია, მისი ყოველი ახალი მოთხრობისა თუ რომანის დაბადება იყო მომნიჭებელი უდიდესი სიხარულისა, რამეთუ ყოველი ნოდარისეული სიტყვა და სტრიქონი — კონცენტრირებული სიხარული და სილამაზეა თავად.

ლიტერატურული ნაწარმოების გზა ავტორის საწერი მაგიდიდან სტამბამდე ყოველთვის როდია ვარდებით ფენილი. არსებობს მოარული საგამომცემლო ფორმულები — „თემატიური გეგმის გადატვირთვა", „ქაღალდის პრობლემა", „პოლიგრაფიული სიმძლავრეების ნაკლებობა"... ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთათვის ეს ფორმულები უცხო იყო. მისი ხელნაწერები ისევე სწრაფად და დაუბრკოლებლად პოულობდნენ გზას წიგნის თარომდე, როგორც მკითხველის გულამდე.

ალბათ, მე უფრო, ვიდრე სხვა, მოწმე ვარ იმისა, როცა ნოდარის მორიგი წიგნის ფურცლებზე ჯერ საღებავიც არ იყო შემშრალი და საბჭოთა კავშირის ცენტრალური გამომცემლობებიდან თუ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან — „სოვეტსკი პისატელიდან", „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურადან", „მოლოდაია გვარდიადან", „ლიტერატურნაია გაზეტადან", „სოვეტსკაია როსიადან" ზეიზეად რეკდა ტელეფონი.

ნოდარის წმინდა სახელთან, მის ნათელ ხსოვნასთან ფარისევლობა ღმერთმა მაშოროს, — ეს ეპიზოდი მისთვის მაქვს ნაამბობი:

ერთხელ, ის-ის იყო ჩვენს „ლიტერატურულ საქართველოში" ნოდარის მოთხრობა დაიბეჭდა, „დრუჟბა ნაროდოვის" რედაქციიდან დამირეკეს: „გავიგეთ, ნოდარ ვლადიმიროვიჩის ახალი მოთხრობა გამოქვეყნებულა, სასწრაფოდ, სასწრაფოდ გვითარგმნეთო!" შევეკითხე: „რა ხანძარია, ავტორები შემოგაკლდათ-მეთქი?" „ავტორები ბევრზე ბევრი გვყავს, მაგრამ დუმბაძე —

განსხვავებულიაო". „რით-მეთქი?" „იცით, ზოგ-ზოგი აღიარებული ავტორის გადამეტებული დიდაქტიკა, პრეტენზიულობა, რაღაც ახლისა და ორიგინალურის გამოჩინების სურვილი ხშირად მოსაბეზრებელი ხდება, დუმბაძე კი მუდამ ხალისიანი, კეთილი, გულწრფელი და კაცთმოყვარეა, ამიტომ მკითხველი მის ნაწარმოებებს მუდამ სიხარულითა და სიამოვნებით ღებულობსო"...

გულწრფელი... კაცთმოყვარე...

წლების მანძილზე, როცა ნოდარის ნაწერების თარგმანებზე ვმუშაობდი, ბუნებრივია, მე მათ არა მხოლოდ ჩვეულებრივი მკითხველივით ვკითხულობდი, არა მხოლოდ სიუჟეტურ ქარგას მივყვებოდი, არამედ ვუკვირდებოდი და ვაანალიზებდი თითოეული ფრაზის, პერსონაჟთა თითოეული დიალოგის, რეპლიკის დედააზრს — როგორც პირდაპირს, „ზედაპირულს", ასევე ფარულს, ნაგულისხმევს, და მე არასდროს არც ერთი წამით არ დავეჭვებულვარ ავტორის აბსოლუტურ გულწრფელობაში, მის მიერ შექმნილ სიტუაციათა უაღრეს ცხოვრებისეულობასა და დამაჯერებლობაში.

ნოდარ დუმბაძე წავიდა ჩვენგან.

ნოდარ დუმბაძე მუდამ იქნება ჩვენთან, ჩვენ შვილებთან, ჩვენ შვილიშვილებთან, ჩვენ ხალხთან და ჩვენ ქვეყანასთან.

არდავიწყება უწერია მის ზურიკელასა და ბებიას, ილიკოსა და ილარიონს, ავთოსა და თეიმურაზს, ანატოლისა და შჩერბინას, ბაჩანასა და ზაზას, კუკარაჩასა და არტავაზას, — ადამიანებს, რომლებიც ნოდარს უყვარდა და რომელთაც ნოდარი მილიონებს შეაყვარეს...

დიდია ზარი!

აუნაზღაურებელი — დანაკლისი!

## ვასტანგ ბერიძე

არ ვიცი, არსებობს თუ არა ასეთი განსაზღვრა, მაგრამ როდესაც ნოდარ დუმბაძის ტალანტზე ვფიქრობ, — ის კი უაღრესი ნიჭიერებით აღსავსე შემოქმედი იყო, — იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, კეთილი ტალანტი გახლ-

ლათ. მომადლებული ჰქონდა იუმორის უიშვიათესი გრძნობა. მისი თხზულებები მახვილგონიერებითაა აღსავსე და ეს მახვილგონიერება ორგანულია ისევე, როგორც ყველაფერი მის მოთხრობებსა და რომანებში. მასში ბევრია შთამბეჭდავი, ცხოვრებიდან აღებული ჟანრული სცენა. განსაკუთრებით ბაშინ, როცა ავტორი იგონებს სიყმაწვილის შორეულ დღეებს, მოგონებების სევდიანი, ნოსტალგიური ნოტები ისმის... მისი ნაწარმოებების კითხვა ყოველთვის საინტერესოა, რადგან ავტორმა კარგად იცის, რაზედაც წერს. მას ეპყრა მილიონობით მკითხველის გული და აშას აღწევდა სიკეთითა და გულითადობით. თავის გმირებში ეძებდა იმას, რაიც, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ადამიანს ადამიანად ხდის.

იგი პლასტიკურად ძერწავდა სახეებს. ახლა ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ ამ ოცდახუთი წლის წინათ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცნობდით ბებიას, ილიკოს, ილარიონსა და ზურიკელაის, მის სხვა გმირებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არსებობდნენ, ხოლო ამიერიდან ეს გმირები — ისეთივე საკუთრებაა ჩვენი ლიტერატურისა, როგორც კლასიკურ თხზულებათა გმირები. ცოცხალი ადამიანებივით შემოიჭრნენ ისინი ჩვენს ცხოვრებაში, მახლობელნი, მშობლიურნი გახდნენ ჩვენთვის.

ჩვენ, ყველანი, უსაზღვროდ მადლიერნი ვართ ძვირფასი ნოდარისა იმის გამო, რაც დაგვიტოვა; მადლიერნი ვართ, ასე შორს რომ გაუთქვა სახელი ქართულ ლიტერატურას და ღრმად მჯერა — მის ქმნილებათა დამსახურებაცაა, საქართველომ რომ ესოდენ ბევრი კეთილი მეგობარი შეიძინა.

## მერაბ ბერძენიშვილი

ჩემო ნოდარო!

შენმა უდროოდ გარდაცვალებამ შეძრა ქართველი კაცის გული. ზღვისპირეთიდან კახეთის მთების კალთებამდე ბარში თუ მთაში, ყოველი მშრომელი ადამიანის ოჯახში დაისადგურა სინანულმა და ტკივილმა.

ჩემო ნოდარო! ელვისამებრ მოედება ეს ამბავი შენ საყვა-

რელ კუთხეს — გურიას, ყოველი მხრიდან გაეშურებიან შაოსანნი სამძიმარზე დუმბაძეებთან, ატირდებიან პატარა ზურიკელები, ბებიები, გაიხსენებენ შენს მშარე ბაეშეობას, გუბაზოულის პირას გატარებულს.

დღეს ღრმა მწუხარებას განიცდიან შენი მეგობარი მხატვრები, მწერლები, მუსიკოსები, მსახიობები, სპორტსმენები... შენი საყვარელი „ვერელი ბიჭები", რომელთა რიცხეს შენ უდროოდ გამოაკლდი. შენმა უბრალოებამ, შენმა რბილმა და თბილმა შემოქმედებამ მათში საოცარი სიყვარული პოეა. ჩვენი ნათელი დღეები, ღაღი, მზიანი, ერთად გატარებული, მორეულ მოგონებად იქცა. მე მაინც კვლავინდებურად შენ მინდა გესაუბრო. ტკივილი ძალზე დიდია შენი დაკარგვის გამო, ერის საყვარელი მწერლის დაკარგვის გამო, რაც ქეეყნისათვის მძიმე დანაკლისია. შენმა ნიჭიერებამ საბჭოთა მკითხველს თავი შეაყვარა, მსოფლიოს ყველა კუთხეს მისწვდა შენი შემოქმედება. შენ გამარჯვების ყველა მწვერვალს მიაღწიე, იქაც კი, როცა სიკვდილი დაგეჭიდა, შენ გაიმარჯვე: იყავი ავად, ვავდი დაკვენთილ სანთელს, მაგრამ ერთხელ არ გამოვითქვამს სინანული. წუხილი, პირიქით — სხვის სიკეთეზე ფიქრობდი და სიკვდილს ავთანდილის სიტყვებით შეხვდი:

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კეტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.

როცა მთლანად შემოიჭრა შენს სხეულში იგი, მაშინ შენს მეგობრებს უხმე, მაგნიტოფონი მოატანინე ჩასაწერად, ვის რომელი ხმა უნდა ეთქვა, გაანაწილე და სიმღერა წამოიწყე. მთავრდებოდა სიმღერა, მთავრდებოდა სიცოცხლე. სიკვდილსაც კეთილი მასპინძლობა გაუწიე შენ, ჩემო ნოდარო, სიკვდილი დაამარცხე, დასცინე კიდეც. მასთან ასეთი შერკინება მხოლოდ ვაჟკაცურ სულს შეეძლო. ჯერ კიდევ მაშინ დაამარცხე იგი, როცა შენი შემოქმედებით, უდიდესი სიყვარულით ქვეყნის, ხალხის სამსახურში ჩადექი და შენი ნიჭიერება ქაღალდზე დაღვარე, მოიპოვე სიყვარული, სახელი და დიდება, რომლებთანაც სიკვდილი უძლურია.

ჩვენ ვამაყობთ შენით, გვეამაყება ისიც, რომ ასეთ მრავალნატანჯ კაცს, დიდი სიყვარული შეგეძლო, სიყვარული კაცთა, სიყვარული სამშობლოსი, სიყვარული შენი უახლოესი ადამი-

ანის — მეუღლისა, რომელიც ასეთივე თაედადებული სიყვარულით გპასუხობდა. იამაყებენ შენი შვილები და შვილიშვილები, იამაყებენ ჩვენი მომავალი თაობები.

ადამიანთა შორის, სანამ შვილიშვილი და ბებია იქნება, შენს სახელს მოკრძალებით და სათუთად შეინახავენ, მოგიგონებენ სიყვარულით, პატივისცემით გამარჯვებულ კაცს, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ მწერალს.

## თედო ბეჟიშვილი

ნოდარ დუმბაძის გარდაცვალება თავზარდამცემია მთელი ქართული მწერლობისათვის, მისი მრავალმილიონიანი მკითხველისათვის, მაგრამ „ცისკრის" რედაქციას და სარედაქციო კოლეგიას, ალბათ, აქვს გამორჩეული გლოვისა და მწუხარების უფლება. „ცისკრის" ფურცლებიდან მოგვეელინა იგი თავის დროზე ქართველ მკითხველს საყვარელ მწერლად... როგორც შემოქმედი, იგი თანატოლი იყო ჩვენი ჟურნალისა, მასთან ერთად იზრდებოდა ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული სახელი და ავტორიტეტი.

ნოდარის დიდი გული ყველას სიყვარულს იტევდა, მაგრამ ასე გვჯერა, რომ „ცისკარი" გამორჩეულად უყვარდა.

რაღაცა სპეტაკი, განუმეორებელი სხივი დააკლდა თვითეული ჩვენთაგანის გულს. ის სხივი მხოლოდ მისი პიროვნებიდან მოდიოდა. მისი ნაზრევიდან, მისი სიყვარულითა და ტკივილით დამუხტული ცინცხალი სიტყვიდან...

ამიტომაა, რომ ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების ამბავმა თალხი ღრუბელივით გადაუარა მთელ საქართველოს; მწერლის სახალხო სიყვარული სიკვდილმა სახალხო გლოვად აქცია!

დასრულდა მისი დროებითი სიცოცხლე და დაიწყო მარადიული!

ბავშვივით სუფთასა და კეთილს აწ თავის საუკუნო საბრძანებელში ბავშვების ჟივილ-ხივილი გაუთბობს სულს... წამიერად მის სამარესთან შეჩერებულ ქართველ ბავშვებს კვლავ შეაგონებს იმ გაუხუნარ ჭეშმარიტებას, რომ ამ ტკბილ-მწარე

წუთისოფელში არაფერია უფრო დიადი და უძვირფასესი, ვიდრე სამშობლოს ალალი სამსახური, არაფერია სხვა ჯილდო, გარდა ხალხის სიყვარულისა...

ნოდარ დუმბაძემ ეს ჯილდო სიცოცხლეშივე უხვად მოიმკო და ამიერიდან სიყვარულის შარავანდედი არასოდეს მოაკლდება მის სახელსა და შემოქმედებას.

## ზაურ ბოლქვაძე

„...გული გაჩერდა. არა, კი არ გაჩერდა, ჯერ ფანჯრის მანაზე შემსკდარ ბელურასავით ჩავარდა ქვევით, აფართხალდა, გაიბრძოლა და შემდეგ გაჩერდა, მაგრამ გულის გაჩერება სიკვდილი არ ყოფილა, ეს ყოფილა უზომო შიშისაგან ფართოდ გახელილი თვალები და დაუსრულებლი მოლოდინი იმისა, ამუშავდება თუ არა ისევ წყეული გული, ამუშავდება თუ არა?!"

ამჯერად აღარ ამუშავდა, სამუდამოდ გაჩერდა, წყეული კი არა, დალოცვილი, უსაზღვრო სიკეთითა და სიყვარულით, სითბოთი და სათნოებით, სიხარულითა და მწუხარებით სავსე.

მთელ ქვეყანას მოედო მისი უღვთო სიკვდილის თავზარდამცემი ამბავი!..

სამგლოვიარო დღეებში ნოდარ დუმბაძის „მაქებელად ათასიმცა ენა ენდა", გულწრფელი ცრემლი იღვრებოდა, ამ ცრემლს „ზედ დასდიოდა დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი" და არა მარტო საქართველოსი!..

„ის იყო კაცი, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა". „ყმა ტკბილი და ტკბილქართული. სიკეთისა ხელის მხდელი", „სიმართლესავით ლაღი და ბუნებაზეარსი", დიდსულოვანი რაინდი, „მაღალი და მაღლადმხედი", მეგობრისათვის თავდადებული მეგობარი, „სავსე ქართული ჰატიოსნებით", „უდარებელი და მშვენიერი"!.. ვაჟას კაი ყმას ჰგავდა: სიცხეში სიოდ ჰბერავდა და ათბობდა, როცა ჰყინავდა!.. სხივსა უბნობდა სახელსა და თავის გარჯას ჰმალავდა!.. სწორ ფიქრს აძლევდა თემ-სოფელს, ცდუნება არა სძირავდა!.. ის აღმერთებდა ადამიანს, ეფერებოდა.. სხვისი ტკივილებით დამწუხრების, სხვისი სიხარულით გახა-

რების, სსვისი ღირსებების დანახვისა და აღიარების იშვიათი უსარი ჰქონდა!..

მსესავით სათლად და ნისლივით მსუბუქად დაწერილი მისი ნაწარმოებები გამთბარია ჯანსაღი, ხალასი, ამაღლებული, ლაღი, მზიური იუმორით, რომელიც სამკაულად კი არ ასლავს ამ ნაწარმოებებს, არამედ მათი ორგანული შემადგენელი ნაწილია. ნათქვამია, „მხოლოდ იმ იუმორს უწერია სიცოცხლე, რომელიც ცხოვრებისეულ სიმართლეზეა აღმოცენებული. მკითხველის გაცინება ფუჭი საქმეა, თუ ნაწარმოები აღამიანის სიყვარულით არ არის განმსჭვალული“.

ამ ნათქვამის ჭეშმარიტი დადასტურებაა დიადი საკაცობრიო იდეალებით, უნაპირო ჰუმანიზმითა და ოპტიმიზმით, იმედითა და რწმენით, საოცარი ლირიზმითა და ცრემლნარევი სიცილით, ელვარე ღიმილითა და თავანკარა, სიცოცხლის დამაკვიდრებელი ხუმრობით განათებული. ნოდარ დუმბაძის შემოქმედება, რომელსაც მარადისობის კანონით მსოფლიო მიზიდულობის ძალა აქვს, „სამყაროს იქით მიდის“ და „ბრწყინავს საქართველოს ქებად!..“

იმ საამაყო ფაქტს, რომ ნოდარ დუმბაძე სიცოცხლეშივე უსაყვარლესი, უპოპულარესი სახალხო მწერალი და საზოგადო მოღვაწე გახდა, ზენიტს მიაღწია და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, მისთვის არასოდეს არ დაუკარგვინებია წონასწორობის გრძნობა. მისი დევიზი იყო სიტყვები: „ნურაფერი ნუ გაგაკვირვებს!“

ნოდარ დუმბაძე ღვთაებრივი იუმორის ზეციური მირონით. იყო შუბლგანათებული. მან „იცოდა ღიმილი ისე, როგორც არავინ“ და „უგავდა სიცილი ბროლისა, ვარდთა ფრქვევასა“; მისი სიცილი ცრემლიდან იშვა, ცრემლით ცოცხლობდა და ზოგჯერ ცრემლზე მწარეც იყო!.. მან ცხრაკლიტულიდან გააათავისუფლა დატყვევებული სიცილი და თეთრი ბაირაღები. ააფრიალებინა.

ნოდარს განსაკუთრებით უყვარდა „ნიანგი“. ჟურნალის დაარსების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში უკანასკნელად გამოქვეყნდა ნოდარ დუმბაძის მოლოცვა, დღეს რომ ანდერძივით აღვიქვამთ:

„შენ, ჩემო ჭირისუფალო, ჩემო გამზრდელი ძიძაო, ჩემსა-

ვით არვის შეყვარსარ, — თუ გინდა, დაგენიძლავო! გილოცავ, თანაც გისურვებ, — არ გაგცეოოდეს კბილიო! იცოცხლე, ვიდრე ამქვეყნად ოაღლითი გამოილიოს!"

ჩვენც გვიყვარდა, ვფიცულობდით, გვეამაყებოდა, გვესასელებოდა, გვეიმედებოდა ჩვენი სათაყვანებელი ნოდარ დუმბაძე, რომლის არც ერთ ხუმრობას, არც ერთ ღიმილიან ფრაზას, არც ერთ მახვილ სიტყვას არ დავკარგავთ, შევკრებთ და შევუნახავ» შთამომაელობას!

მზეკაცი იყო, მზის თაყვანისმცემელი, მზიური შემოქმედი!..

ბავშვთა ქალაქ „მზიურში" ცოცხალი ყვავილებით მოფენილი ერთადერთი საფლავია, სადაც განისვენებს დიდი ნოდარ დუმბაძე, სიყვარულითა — სიძულვილის, სიკეთითა — ბოროტების, უშურველობითა — შურის, სიცოხლითა და სიცილითა — არყოფნისა და სიკვდილისა დამთრგუნველი, მარადისობის მკვიდრი და უკვდავების ბინადარი! არა, „იგი არ მომკვდარა, რაკი გვიყვარს და ვფიქრობთ მასზე!"

## ᲗᲔᲜᲖᲘᲜ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ

ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში, ის — ეკონომიურზე, მე — ფილოლოგიურზე.

ერთად ვიყავით უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში, ის — პოეტი, მე — მთარგმნელი.

ერთნაირი იყო ჩვენი ოჯახების ბედი, ჩვენი მაშინდელი ტანშიშველობა, ყმაწვილური სიხარული და სევდა.

ერთადაც ვმუშაობდით — კულტურის სამინისტროში და მწერალთა კავშირში.

სადაც უნდა ვყოფილიყავით, წლობითაც რომ არ შეეხვედრიდით ერთმანეთს, ყოველი შეხვედრა თითქოს დროებით შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება იყო.

როცა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" გამოქვეყნებით მისი მწერლური სახელის ტრიუმფული ზეაღსვლა დაიწყო, როცა მარჯანიშვილელთა იმ ცნობილმა სპექტაკლმა მაყურებელი აცინა და ატირა, უბრალოდ კი მიხვდა, რომ ქართულ მწერ-

ლობაში ახალი შუქი შემოიჭრა. ადამიანის მანამდე ჩრდილში მდგარმა წახნაგმა გამოანათა და მშობლიური მწერლობის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

„მზიური ტალანტი!" — ასე უწოდეს მოსკოველმა კოლეგებმა ნოდარს, მისი გაცნობით, მისი არაჩვეულებრივი გონებამახვილობით მოხიბლულებმა.

და რამდენი დღე და ღამე გაგვიტარებია აქ და იქ, ჩემო ნოდარ, შენი ხუმრობით, შენი რაინდობით, მეგობრებისადმი შენი თავდადებით გასხივოსნებული!

სიკეთე! ეს იყო შენი ცხოვრების, შემოქმედების, საერთოდ, შენი ამქვეყნად არსებობის აზრი და რა ძალის სიკეთე დაიღვარა შენი წიგნებიდან, შენი სიტყვებიდან...

ბევრს მხოლოდ შენი გამოთქმის გარეგნული მომხიბვლელობა იზიდავდა. ცოტამ თუ იცოდა შენი განცდის ნამდვილი სიღრმე, შენი იუმორის ტრაგიკული ქვეშრე...

საიდუმლოებას ფლობდი, რაც ყველა დონის მკითხველს იპყრობდა, საკუთარ სულში ახედებდა, სიკეთე-ბოროტებაზე დააფიქრებდა და იქ მანამდე მისთვისაც უცნობ სიმდიდრეს მიაგნებინებდა, ასე აღიქვამდა შენს მართლაც მზიურ შემოქმედებას არა მხოლოდ ქართველი, არამედ ყველა, ვისაც კი შენი სიტყვა მიწვდებოდა. მსოფლიოს გადაეფინა შენი ქართული ხასიათები, ნოდარ. — რუსეთი, ევროპა, აზია, ამერიკა — მგონი ხალხი არ დარჩენილა ლიტერატურისა და სალიტერატურო ენის მქონე, შენი რომანები და მოთხრობები რომ არ ეთარგმნოს.

და მაინც დარჩი იგივე, როგორიც იყავი: უბრალო, მომხიბლავი, მეგობარი და რაინდი, ძმაკაცი და ვაჟკაცი.

როცა დღეს შენს დადუმებულ ბაგეებს დავყურებ, ავადმყოფობით გატანჯულ სახეს ვხედავ, ჩამქრალ თვალებში ჩაგყურებ— ვაგლახ! — ამბობს გული, უხმოდ დაგტირის და თავს ევლება იმ ჩემს ნოდარ დუმბაძეს, რომელიც იყო, ამ წუთს აღარ არის, მაგრამ იქნება ყოველთვის, სანამ ქართული სიტყვა და ქართველი კაცის სახელი არ მოიშლება დედამიწის ზურგზე...

დღევანდელ დღეს, 14 ივლისს დაიბადა იგი, მხოლოდ 57 წლის უკან. ეს მისი პირველი დაბადების დღეა, როცა თავ'ღ ჩვენთან აღარ არის. ადამიანი ყველა ტკივილს უძლებს, ამაძია მისი ძალაც და, იქნებ, სისუსტეც. უნოდარობა, ამ სიცოცხლის ჟინით სავსე კაცის უსიცოცხლობა წარმოუდგენელი იყო ყველაზე უიმედო წუთებშიც კი. თურმე, შესაძლებელი ყოფილა. ან იქნებ შეუძლებელივე დარჩა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი კვლავ ჩვენთანაა და, კაცმა რომ თქვას, ერთი დღეც არ გვიცხოვრია უიმისოდ.

მუდამ თვალწინ მიდგას მისი სევდანარევი ღიმილით გაბადებული სახე. სევდით — ადამიანთა ტკივილების გამო, მას ხოლ ყველას მაგიერ სტკიოდა. ღიმილით — ადამიანთათვის ძალის, რწმენის, ხალისის მისანიჭებლად. ბუნება, ადამიანი, სიცოცხლე მისთვის ის უმაღლესი ნეტარება და მშვენიერება იყო, რაზეც გულს ვერავინ და ვერაფერი ააყრევინებდა, თუმცა სხვაზე უკეთ ხედავდა ერთის, მეორის და მესამისაც ნათელსაც და ბნელსაც.

ალბათ, ყველას ასე უდგას თვალწინ იგი, ვინც კი მას პირადად იცნობდა. ბევრნი იცნობდნენ. იცნობდნენ ნათესავები და მეგობრები, კოლეგები და თანამშრომლები, იცნობდნენ შინ და გარეთ. რაც მთავარია, იცნობდა ხალხი. ზოგი მწერალი შორიდან აკვირდება ადამიანებს, ნოდარს კი უყვარდა ხალხში ტრიალი, თუნდაც შემთხვევით შემოხვედრილთან განდობილი საუბარი. იოლად პოულობდა უცნობთა გულის გასაღებს, ჯერ თავისი სანდომიანი, ნათელგადაფენილი იერით, მერე კი — უბადლო სიტყვით და უწრფელესი გრძნობით.

ისინიც კი, ვინც პირადად არ იცნობდნენ მას, შეუმცდარად არიან ჩამწვდარნი ნოდარის ბუნებას და არსს (ამაში უამრავი საზოგადო თუ კერძო წერილიც გვარწმუნებს მკითხველებისა), რადგან მის შემოქმედებაში მწერლის პიროვნება მთლიანად და გულწრფელად არის ააშკარაოზე გამოტანილი. მწერლის ანთებული გულის ხანძარი მის ყოველ სახესა და ხასიათში, ყოველ ფრაზაში გიზგიზებს. ამიტომაა ასე გადამდები. ამიტომაც იგიზგიზებს მუდამ. ასე რომ, ხვალაც, მომავალშიც, როცა მისი თანამედროვენიც წავალთ, მანამ, ვიდრე ქართველი ერი იარსე-

ბებს და მისი უკვდავება კი ღმერთმა ნუ ქნას არა ვევალოდეს, ნოდარ დუმბაძე მუდამ იქნება და ცოცხლად გადავა თაობებიდან თაობებში, როგორც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ცხოვრების მემატიანე და საერთოდ კი ქართული სულის და ხასიათის გამომხატველი განუმეორებელი მწერალი.

ძვირფასო მეგობრებო! დღეს ჩვენ საჯაროდ მივაგებთ პატივს ნოდარ დუმბაძეს: როგორც ეს გამოჩენილი პიროვნების, მწერლის, საზოგადო მოღვაწის ხსოვნას შეეფერის, მემორიალურ დაფას ესხნით მისი ამქვეყნიური ბინის კარზე. ამას აქვს თავისი დიდი და ლამაზი მნიშვნელობა, რისთვისაც პირადად ჩვენი თუ საზოგადოების სახელით ყველასაგან მადლობა ეთქმით იმათ, ვინც საამისოდ გაისარჯა.

მაგრამ აქვე სიამაყით უნდა გავიხსენოთ, რომ ნოდარ დუმბაძის სახელი და გვარი, მისი ნათელი სახე და სიტყვა მილიონობით მადლიერი მკითხველის გულის ფიცარზეა აღბეჭდილი. ამის უტყუარი დასტურია მისი წიგნების გამოცემების გეოგრაფია, ფიგურალურად კი არა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით რომ მოიცავს მთელ მსოფლიოს. ამის უტყუარი დასტურია ის გამოძახილი, რაც მის შემოქმედებას ჰქონდა ყველგან და რაც ერთად შეკრებილი რომ გამოგვეცა, მთელ ტომებს შეადგენდა. ამის უტყუარი დასტურია, და ალბათ ყველაზე შთამბეჭდავი დასტურიც, ის ზღვა წერილებისა, მკითხველებისაგან რომ მოსდიოდა და დღესაც მოსდის ნოდარ დუმბაძეს. ერთი უკრაინელი მკითხველი წერდა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გამო: ნოდარ ვლადიმერის ძეე, თქვენი წიგნის წაკითხვის შემდეგ ჩემს ხატში სინათლემ და სითბომ დაისადგურაო. ამ ერთ თითქის უბრალო და მარტივ ფრაზაში მწერლის უკვდავებაა მინიშნებული, რადგან არ არსებობს იმაზე უფრო დიდი გამარჯვება მწერლობისა, ვიდრე ის, რომ ადამიანთა ეკლესიის სინათლე და სითბო მოეფინოს.

ჩვენ ყველანი დღეს და საუკუნოდაც, ჩვენი საცოცხლის დასასრულამდე მწუხარენი ვ[illegible]თ და ვიქნებით იმის გამო, რომ უნოდაროდ ვართ დარჩენილები, მაგრამ ჩვენვე ჭეშმარიტი ბედნიერება გვსვლია წილად, რომ ვყოფილიყავით მის ახლოს, მის შეგობრად, გვეხილა იგი, გვესაუბრა მასთან, ჩვენი თვალით დაგვესახა, თუ რა დიდი და ნამდვილი ადამიანები არსებობენ ამ ქვეყნად.

ჩვენ გვეამაყება, რომ ვიცხოვრეთ იმ კაცთან ერთად, ვინც ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას, ჩვენს თაობას მოციქულად უნდა გაჰყვეს ქართველი ერის არსებობის დაუსრულებელ გზაზე და ნოდარ დუმბაძეზე უკეთესი მოციქულის ნატვრაც კი შეუძლებელია.

## ევგენი ევტუშენკო

მე ვხედავდი, როგორ ტოვებდა მას სიცოცხლე. მაგრამ სასწაულის იმედი მქონდა. სასწაული არ მოხდა. ეს უზარმაზარი დანაკლისია არა მარტო ქართული, რუსული, საბჭოთა, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურისათვის. ცხოვრებიდან წავიდა ჩვენი დროის მწერალთა შორის უმაღლესი რანგის მწერალი — არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე მყოფს შეეძლო გაეერთიანებინა ხალხი, მათი ინტერესები საერთო მიზნისაკენ მიემართა.

ნოდარ დუმბაძე არაჩვეულებრივად სათნო, გულისხმიერი მეგობარი იყო — საოცარი იუმორით დაჯილდოვებული, მეგონა, თუ მასთან სიკვდილი მოვიდოდა, იგი ხუმრობით შეძლებდა მის შეჩერებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

დიდია მისი სიკვდილით გამოწვეული ტკივილი, აუნაზღაურებელია ჩვენი დანაკლისი, უსაზღვროა ჩვენი სევდა.

## ე. ზორინა

ქარხანა „კომსომოლკას“ მქარგველი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ნოდარ დუმბაძე და სიკვდილი... რა მძიმეა და რა შეუსაბამო ამ ორი სიტყვის ერთად წარმოთქმა.

ჩვენთვის, მისი მკითხველებისათვის, ნოდარ დუმბაძე იმ

საყვარელი გმირების განსახიერებაა, რომლებიც თავად შექმნა.

მე ნოდარ დუმბაძის ტალანტის დიდი ხნის თაყვანისმცემელთა რიცხვს ვეკუთვნი. მახსოვს, სამოციან წლებში ქართულ ლიტერატურაში ახალგაზრდა ძალები შემოვიდნენ. მათ შორის ნოდარ დუმბაძეც — დაუცხრომელი იუმორითა და სერიოზულ საკითხებზე საოცრად მახვილგონივრული თხრობით.

ქართულ ლიტერატურში მოვიდა და დარჩა მწერალი, ბრწყინვალე ოსტატი, რომელიც განუწყვეტლივ ფიქრობდა თანამედროვე ადამიანის სამყაროზე. მოვიდა და სამუდამოდ დარჩა თავისი მკითხველების გულსა და გონებაში.

## ჯუმბერ თითვერია

ძვირფასო ნოდარ!

ამ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პირველად გელაპარაკები და არ მისმენ გარინდებული.

მთელი შენი ცხოვრება ღიმილის ბიჭი იყავი. საქართველოში შენი ჭირი და ლხინი ვინ არ იცოდა, მაგრამ სხვას, გარეშეს, მხოლოდ სიხარულის ზღვაში მონანავე ეგონე.

ჩვენ კი, ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ზეგარდმო ძალას შენთვის სიყვარულის, სიხარულის, კეთილისმყოფლობის ნიჭი არ დაუკლია (ამ მხრივ ნამდვილად უპირველესთაგანი იყავი), მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ ცხოვრებამ ბევრჯერ დაგიკოდა ფაქიზი და მგრძნობიარე გული. ერთ კაცს გულში მიყენებული ამდენი ჭრილობის ატანა, ალბათ, აღარ შეეძლო და ამიტომაც ეთხოვები დღეს შენს ძვირფას სისხლსა და ხორცს, შენს თბილისს, შენს საქართველოს, შენს სამზეოს.

„სამშობლო — დედის სახლი“.

„მამული — მამისეული“ (საბამ ასე ბრძანა).

შენი სამშობლოს, შენი მამულის წინაშე ვალმოხდილი ეცხადები შენს წმინდა დედას და შენს ვაჟკაც მამას, შენს დიდ წინაპრებსა და შენს ძვირფას თანამედროვეებს.

დრო არკვევს, ვინ ვინ არის, ის არკვევს მასშტაბებს, მაგრამ თითქმის ოცდაათი წელიწადია, ქართველი კაცი შენთან

ერთად იცინის და შენთან ერთად იცრემლება. არ მეგულება ყველაზე მკაცრი, მომთხოვნი მკითხველიც კი, — ვისაც გული აქვს, ცხადია, — უცრემლოდ და უღიმილოდ, უტკივილოდ და უსიხარულოდ წაეკითხოს შენი წიგნები.

შენ მთელი საქართველო გკითხულობდა, გკითხულობს და წაგიკითხავს, ნოდარ, — დიდიც და პატარაც, ინტელიგენტიც, მხვნელ-მთესველიც, დაზგასთან მდგარიც, ჯარისკაციც... და ყველა ისწავლის შენგან იმას, რაც უპირველესი, უზენაესი ადამიანური ნიჭია, — მით უფრო, მწერლისთვის — სიყვარულს, სხვისი სიკეთით გახარებას, ცისა და მიწის, მიწისა და ცის სამსახურს.

ერთი სიტყვით, ძვირფასო ნოდარ, ბატონო ნოდარ, შენ ნამდვილად ხალხის, ნამდვილად სახალხო მწერალი და მოქალაქე იყავი და ხარ. შენი საქართველო მხოლოდ პირობითად გეთხოვება — მშობელი, ვიდრე პირში სული უდგას, თავის შვილს არ ივიწყებს, საქართველო კი, ღვთისა და კაცის იმედით, მარად იცოცხლებს.

**მირზა იბრაგიმოვი**

## აუნაზღაურებელი დანაკლისი

აღარ არის ნოდარ დუმბაძე, რა საშინელი ამბავი დაგვატყდა თავს.

ძნელია შეურიგდე აზრს, რომ იგი აღარ არის.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები თარგმნილია აზერბაიჯანულ ენაზე, აზერბაიჯანის აზიზბეკოვის სახელობის დრამატულ თეატრში იდგმებოდა სპექტაკლი მისი რომანის „ნუ გეშინია დედას“ მიხედვით, მისი რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ჩემმა ვაჟმა, აიდინ იბრაგიმოვმა თარგმნა და გამომცემლობა „განჯლიკში“ გამოაქვეყნა, ეს წიგნი აზერბაიჯანელი მკითხველის საყვარელ წიგნად იქცა.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები მაღალი ჰუმანიზმითა და ადამიანისადმი სიყვარულითაა გაჟღენთილი, ისინი საოცარი სითბოთი ათბობენ მკითხველთა გულებს.

ყოველთვის, როცა ნოდარის წიგნებს ვკითხულობდი, აღფრთოვანებაში მოვყავდი მის სულიერ სიმდიდრეს, მისი გმირების სილამაზეს, მისი მხატვრული სიტყვის ლირიულობასა და პოეტურობას. მის გმირებთან შეხვედრა უდიდესი სულიერი სიამოვნების მომნიჭებელია. ნოდარ დუმბაძის ქმნილებები ადამიანისადმი სიყვარულსა და რწმენას აღძრავენ, და რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ დიდი ხელოვანის პროზისათვის — იგი საოცრად ბუნებრიად აღწერს ქართულ ნაციონალურ ხასიათებს და სხვა ერებსაც გადასცემს ამ სიყვარულს. ეს ჰუმანიზმის და ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის უმაღლესი ფორმაა.

მე ხშირად ვხვდებოდი ნოდარ დუმბაძეს და ამ შეხვედრებმა ჩემს გულში სითბოთი და მისი პიროვნების მომხიბვლელობით დაისადგურეს. ის იყო დიდი მწერალი, საოცარი ნიჭის ადამიანი, იგი აფრქვევდა სიხარულს, სიმართლეს, გვაოცებდა ადამიანებთან ურთიერთობის უბრალოებით. მისი ნაწარმოებები საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შეევლენ, მისი ხსოვნა კი მარად დარჩება ჩვენს გულებში.

## ეგორ �ისაევი

ძალიან სამწუხაროა, ძალიან საწყენი, რომ ცოცხალი აღარ არის ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ბრძენი მწერალი. ძალიან გულსატკენია. მე მუდამ ვკითხულობდი მის წიგნებს და მიხაროდა მისი ძლიერი ნიჭი. იგი ჩემთვის საქართველო იყო, თბილისს გარშემორტყმული გორაკები იყო, საქართველოს მთები იყო, თავად სიტყვის ბუნება იყო, ჩემი მეხსიერება იყო, ჰორიზონტი იყო, რომლის მიღმაც საქართველოა, თავისი უძველესი წარსულითა და მომავლით.

ჩვენ არც ისე დიდი ხნის წინ გავიცანით ერთმანეთი და უცებ დავმეგობრდით. ჩვენ ერთად ყოფნა გვიხაროდა. ჩვენ კარგად, მშვიდად, მხიარულად ვგრძნობდით თავს. იგი საქართველოში მეპატიჟებოდა, მე კი მსურდა რუსეთში, ჩემს მშობ-

ლიურ ვორონეჟის მხარეში მენახა ნოდარი. მას ძლიერ უნდოდა ჩემთან ჩამოსვლა, არ დასცალდა...

მაგრამ მისი სიტყვა ქარივით გადაიქროლებს ლელქაშზე, ჩემი მშობლიური ბიტიუგის ტალღებზე, იცოცხლებს მკითხველთა გულებში, გულიდან გულს გადაეცემა, იცოცხლებს ჩვენს მთებში, ჩვენს ველებზე, ტყეებში, იქ, სადაც ცხოვრობენ საბჭოთა ადამიანები.

ძლიერ ეწუხვარ მეგობრის დაკარგვას.

## ლევით კვიცარიძე

დიდი დანაკლისი განიცადა მრავალეროვანმა საბჭოთა ლიტერატურამ, უფრო დიდია და უსაზღვრო ეს დანაკლისი ჩვენთვის, ქართველ მწერალთა ოჯახისათვის.

ვხედავდით, ვგრძნობდით, რომ უკვე აღმართული იყო არაჯალის ცელი, სიკვდილის აჩრდილი მის სასთუმალს აღარ შორდებოდა და მაინც, იმედის სხივი კიაფობდა ყოველი ჩვენგანის გულში, იქნებ მოხდეს სასწაული, გადარჩეს, იცოცხლოს და კვლავ გაამდიდროს მხატვრული ლიტერატურის საგანძური, კვლავ მრავალგზის გაახაროს და დააფიქროს პირველ ყოვლისა ქართველი და მერე სხვა მრავალი ეროვნების მკითხველი.

თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო, რომ თანამედროვე მსოფლიოს ლიტერატურაში იშვიათია მწერალი, ვისაც ასე მოკლე დროის მანძილზე ესოდენ დიდი პოპულარობა და საყვარული მოეხვეჭოს.

თავი და თავი მშობლიური ერის, შენი ხალხის, შენი მიწისა და ქვეყნის ერთგულება და სიყვარულია.

ბევრი, ძალზე ბევრი მაქვს მოსაგონარი ნოდარ დუმბაძის კაი კაცობის, მეგობრობის, თანადგომის, მისი იშვიათი კეთილი ბუნების დასტურად... გავიხსენებ 1980 წელს ჩემი დაბადების სამოც წლისთავზე გამოგზავნილ მის თბილ, ძმურ წერილს, რომელიც მოწიწებით წაიკითხეს საიუბილეო საღამოზე.

„ძმაო დავით, — მწერდა ბატონი ნოდარი, — როგორ მინდა შენს გვერდით ვიდგე, მოგილოცო და მოგეფერო, მოგილოცო სახელოვანი იუბილე, ვაი, რომ ექიმებს ვერასგზით ვერ გამოვეპარე“...

გულში დიდი სამარადჟამო დარდით ვეთხოვები გამოჩენილ მწერალს და მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწეს, ჩვენს ძვირფას ნოდარს...

## ვიტალი კორეტიჩი

არ ვიცი, რა დროიდან ვიცნობდი და ვმეგობრობდი მასთან: მე ვფიქრობ — მთელი სიცოცხლის მანძილზე. უკანასკნელად ნოდარ დუმბაძეს გაზაფხულზე შევხვდი. ეს იყო მის მშობლიურ თბილისში. იქნებ, ქალაქიც იმიტომ იყო ასეთი კარგი, რომ მაშინ იქ ნოდარი ცხოვრობდა. გასაოცარია, სხვებისადმი რაოდენ სიყვარულს იტევდა ეს ადამიანი! მე ყოველთვის მწამდა, რომ ნამდვილი ტალანტი — ესაა კეთილგანწყობილი, გულუხვი და ალერსიანი ადამიანი, თუმცა ნოდარი უფრო მეტი იყო: იგი მთლიანად სიყვარულით იყო ანთებული და მის ირგვლივ ყველას გული უთბებოდა. იმათ, ვინც დიდხანს მეგობრობდა დუმბაძესთან, იცოდნენ მისი ავადმყოფობის სიმძიმე. მე ერთხელ ვუთხარი მას, რომ უცხოელი ქირურგები ასეთ ინფარქტებით დაკოდილ გულს ცვლიან, ახალს გადაუნერგავენ ხოლმე. „გაგიჟდი, — მიპასუხა ნოდარმა. — ერთ წამსაც კი ვერ გავძლებდი, რომ მცოდნოდა — სხვისი გული მაქვს...“

იგი საკუთარი გულით ცხოვრობდა და ცხოვრობდა მთელი შეგნებით, დაძაბულობით, თავის შეუბრალებლად. იცოდა, რომ მისი ერთი გული ყოველივეს ვერ გაუძლებდა, მაინც ვერ მოიცალა, მისთვის შელავათი მიეცა. საქართველოს მწერალთა კავშირში ყოველდღე მიდიოდა და საათობით მუშაობდა, ხალხს იღებდა, ერთგული იყო ნდობისა, რომელიც მას ამხანაგებმა გამოუცხადეს, როცა მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

დედა — ანა ბახტაძე-დუმბაძისა.



მამა—ვლადიმერ დუმბაძე.

ნ. მალაზონია, ნ. დუმბაძე, ნ. ჩხეიძე.

ნ. დუმბაძე მესაზღვრეებთან.

ანზ. სალუქვაძე. ნ. დუმბაძე. გ. კაპანაძე.

ნ. დუმბაძე, მ. ფოცხიშვილი, ზ. ბოლქვაძე შეხვედრაზე.

ნ. დუმბაძე, ნ. მალაზონია.

ნ. დუმბაძე ბავშვებთან.

რ. გამზათოლი, ირ. აბაშიძე, ნ. დუმბაძე.

ნ. დუმბაძე და მისი თანასოფლელი.

ნ. დუმბაძე, კ. ლორთქიფანიძე, მ. ზლოტკინი, გ. გვერდწითელი.

კ. ლორთქიფანიძე, არჩ. სულაკაური, ს. ციშვილი, ნ. დუმბაძე.

ო. გოლჩარი, ნ. დუმბაძე, ჩ. ითმაკოვი.

ჯ. ჩარკვიანი, ნ. დუმბაძე, რ. გამზათოვი.

ნ. ანდრონიკაშვილი, ნ. დუმბაძე.

ნ. დუმბაძე, ყ. ყულიევი.

გ. გვერდწითელი, ნ. დუმბაძე, ს. მიხალკოვი, ჯ. ჩარკვიანი.

ჯ. ჩარკვიანი, ბ. ახმადულინა, ნ. დუმბაძე.

ნ. დუმბაძე, ბ. ახმადულინა, ჭ. ამირეჯიბი.

ნ. დუმბაძე. მ. დუდინი, გ. მდივანი, არჩ. სულაკაური.

ნ. დუმბაძე, ირ. აბაშიძე.

გ. ციციშვილი, ნ. დუმბაძე.

ი. ნონეშვილი, თ. ბუაჩიძე, გრ. აბაშიძე, ვ. ჭელიძე, ნ. დუმბაძე.

მას ძალიან უყვარდა ადამიანები. ჩემიანი ნათქვამს ვიმეორებ, მაგრამ არ შემიძლია არ ვილაპარაკო ამაზე, იმიტომ რომ სახალხო სიყვარულის ოკეანე მის გარშემო მუდამ ღელავდა, აძლევდა ძალას და მე დარწმუნებული ვარ, ამოძრავებდა ნოდარის ცხოვრებას. სიყვარული სიცოცხლისმომნიჭებელია. იგი, როგორც შეეძლო იღვწოდა, მაგრამ ხალხიც აფასებდა მის ყოველდღიურ ცხოვრებას. ის იყო დიდი მწერალი და ამასთანავე დიდბუნებოვანი ადამიანი. გასსენებაც კი მეძნელება, ვის შეეძლო ასეთი გამჭრიახობით შეეგრძნო ბოლომდის ადამიანები, როგორც ეს ნოდარს სჩვეოდა, ვის შეეძლო ასე გაეგო და წინასწარ ეგრძნო სხვათა სულიერი ტკივილები. ნოდარ დუმბაძის ადამიანური ავტორიტეტი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მის ლიტერატურულ მონაპოვარს — საერთოდ, ძნელია ცალ-ცალკე გავოიშოთ მისი სამწერლო და საყოფაცხოვრებო რეპუტაცია. მასში ყველაფერი ერთად იყო: ჭეშმარიტი სიცოცხლე ხომ მარადის ერთიანია.

მას ძნელი ბავშვობა და სიჭაბუკე ერგო და სიმწიფის ხანაშიც ნოდარის მიმართ ბედი ულმობელი აღმოჩნდა — ახლობელთა დაკარგვა, ავადმყოფობა... ერთხელ მან მითხრა, სხვა მხარეებთან ერთად ლესია უკრაინკას სიდიადე, სიცოცხლის პატივისცემაშიც გამოჩნდა, რა მძიმედაც არ უნდა აწყობილიყო მისი პირადი ცხოვრებაო. სიცოცხლისადმი რა დიდი პატივისცემა და სიყვარული ვაჩინდა თვითონ დუმბაძეს! აერთიანებდა და აფართოებდა სამწერლო ორგანიზაციას თავისი ადამიანური და შემოქმედებითი ავტორიტეტით, მოიპოვა მკითხველთა დამსახურებული პატივისცემა, პატიოსნად ასრულებდა დეპუტატის მოვალეობას. ნოდარ დუმბაძე იყო და რჩება ნათელ წიგნად და ნათელ ხსოვნად მრავალი მილიონი ადამიანისათვის. მისი ერთიანი, უცვლელი გულის ცემა შეწყდა, მაგრამ შეუჩერებელია მისი გზა ამქვეყნად. ახლახან გამომცემლობა „დნიპროს“ მიერ გამოქვეყნებული დუმბაძის თხზულებების ორტომეული უკრაინულ ენაზე — ეს მის მიერ მარადისობისათვის მიძღვნილი კიდევ ერთი საჩუქარია.

შეუძლებელია, და საოცრად ძნელი წარმოსადგენი, რომ ჩვენს შორის აღარ არის სიცოცხლისმოყვარე, ხალისიანი ნოდარ დუმბაძე, ძვირფასი მეგობარი, მწერალი, რომელიც თავისი ხალხის შეგნებაში ღირსეულად იქცა მისი თვისებებისა და ოცნებების გამომხატველად, მწერალი, რომლის რომანები და მოთხრობები თანამედროვე ქართული ლიტერატურის საეტაპო ნაწარმოებებად იქცა. მწერალი, რომლის თხზულებებმაც შორს, მშობლიური რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გაუთქვეს სახელი ქართულ მხატვრულ სიტყვას. მისი სახელი ღირსეულად დგას საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის გამოჩენილი სახელების გვერდით.

ნოდარ დუმბაძე თავის თხზულებებში ოცნებობდა საზოგადოება სინათლისა და ჭეშმარიტების იდეალებამდე აემაღლებინა.

ნოდარ დუმბაძე იყო პატრიოტი, თავის ხალხთან სიყვარულითა და ღრმა ფესვებით შეკავშირებული. სწორედ ეს არის მისი შთამაგონებელი შემოქმედების წყარო. ამასთანავე მისი შემოქმედება არასდროს შემოსაზღვრულა წმინდა ნაციონალური ჩარჩოებით, მასში მუდამ ზოგადსაკაცობრიო იდეები ვითარდებოდა, რაც ასე დამახასიათებელია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისათვის.

აფხაზ მწერლებს განსაკუთრებული მიზეზებიც ჰქონდათ მწარედ განეცადათ ნოდარ დუმბაძის დაკარგვა. ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში ბედმა იგი სოხუმის ერთ-ერთ სკოლაში მიიყვანა, მან მხურვალედ და სამუდამოდ შეიყვარა აფხაზეთი, აფხაზი ხალხი. აი, უკვე თხუთმეტ წელზე მეტია მისი ნაწარმოებები ამშვენებენ ჩვენს ნაციონალურ თეატრს. მის ძმებს, აფხაზ მწერლებს ყოველთვის უხაროდათ მასთან შეხვედრა, დიდი სიყვარულით თარგმნიდნენ მის ნაწარმოებებს. აფხაზეთის ამომრჩევლებმა არაერთხელ აირჩიეს ნოდარ დუმბაძე თავიანთ წარგზავნილად ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საბჭოში.

სახლი, რომელშიც იქმნებოდა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები, სადაც იგი სტუმრებსა და მეგობრებს იღებდა, მიტოვე-

ბული დგას შავი ზღვის სანაპიროზე, გელრიაულში. იგი აღარ-ხოდეს აღარ შეაღებს ამ სახლის კარს... მაგრამ მადლიერი მკითხველებისათვის მუდმ ღია იქნება მისი ნაწარმოებების კარი.

აფხაზეთი არასდროს არ დაივიწყებს ნოდარ დუმბაძის მომ-ხიბვლელ სიტყვას, მის კეთილ ღიმილს, საძარადისოდ შეინახავს მისდამი ხიყვარულს.

## გიორგი ჯორჯაძეანიძე

ძმაო ნოდარ! მთელი ჩემი სიცოცხლე შენ გვერდით ვიყავი და შენი ნაწარმოებებით ვსუნთქავდი. ბედმა ისე ინება, ბოლო დღეებშიც შენ გვერდით ვყოფილიყავი. და მე ვავსდი მოწმე იმისა, სულის ხიძლიერით როგორ მოერია შენ სიკვდილს. აღარ გეშინოდა მისი, რადგან გრძნობდი, რომ ერთი კაცის გასაკეთებელი საქმეენო საქმე უკვე გააკეთე. მართალია, კიდევ ბევრს მოველოდით შენგან, გეწამდა შენი ამოუწურავი ნიჭისა, მაგრამ რაც გააკეთე, იმითაც ბედნიერია შენი ხალხი, ქართული ლიტერატურა და ხელოვნება.

საოცრება ხდება ამ დღეებში ყველა ქართულ ოჯახში: შენზე საუბარს ცრემლით იწყებენ და მერე, როცა იხსენებენ შენს ნაწარმოებებს, შენთან შეხვედრებს, ნაღველს ღიმილ-სიცილი ცვლის, რადგან შენი შემოქმედებაც ხომ ასეთივეა: ცრემლითა და ღიმილით სავსე. მხოლოდ შენ შეგეძლო ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზეც კი ცრემლნარევი ღიმილით გელაპარაკა.

ბედმა არ დაგაკლო არც უდიდესი გამარჯვებები და არც უდიდესი ტრავმები, რომლებმაც საბოლოოდ გატეხეს კიდეც შენი ჯანმრთელობა.

მაგონდება ის დღე, როდესაც შენ მანქანაზე გადაბვჭდილი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გადმომეცი. ის ღამე ერთ-ერთი უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ვკითხულობდი შენს ნაწარმოებს, ‘ხან ვტიროდი, ხან ხმამაღლა ვიცინოდი და იმ ღამესვე მივხვდი, თუ რა აუცილებელი იყო, რომ შენი გმირები სცენაზე ენახა მაყურებელს.

სრულიად გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ შენი გამოჩენა ქართულ მწერლობაში და ქართულ თეატრში უდიდესი მოვლენა იყო, რომელმაც შემოაბრუნა ჩვენი ხელოვნება უბრალო ადამიანების ბედისაკენ და მათი ტკივილისა და სიხარულის თანაზიარი გახადა.

რა თქმა უნდა, მე ვიქნებოდი ეს, თუ ვინმე სხვა ქართველი რეჟისორი, შენს გმირებს აუცილებლად გააცოცხლებდა ქართულ სცენაზე და დაიწყებოდა მათი ტრიუმფული ცხოვრება, რომელიც აგერ 25 წელიწადია გრძელდება.

მე არც ერთი ჩემი სპექტაკლი ხელმეორედ არ დამიდგამს, შენი ნაწარმოებები კი თითოეული რამდენჯერმე მაქვს დადგმული. და ეს იმიტომ, რომ მინდოდა კიდევ ერთხელ მეცხოვრა შენს სამყაროში, შენი გმირების ცხოვრებით.

მარტო ის რად ღირს, რომ შენი ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში შეიქმნა უბრწყინვალესი აქტიორული სახეები, რომ სესილია თაყაიშვილის ბებია ქართველი ქალის სახის ეტალონად იქცა და ყველა ისე შეჰხაროდა, როგორც საკუთარ ბებიას.

უდიდესი ბედნიერება იყო ის, რომ შენმა გმირებმა გადაალახეს საქართველოს საზღვრებს. მე არასოდეს დამავიწყდება რეპეტიციები რუს მსახიობებთან, მათი ცრემლები და ხან ჰომერული სიცილი. ყველასათვის მახლობელნი იყვნენ შენი გმირები. ეს იყო შენი შემოქმედების უდიდესი ინტერნაციონალიზმი.

ქართული თეატრი და კინო ვერასოდეს დაივიწყებს შენს უდიდეს ამაგს, რადგან შენ გაამდიდრე და გააკეთილშობილე მათი რეპერტუარი შენი დაუშრეტელი ტალანტით.

რა თავზარდამცემია იმის შეგნება, რომ ვეღარ უნდა გავიგონო შენი ხმა, ვეღარ უნდა წავიკითხო შენი ახალი სტრიქონები. და ისღა დამრჩენია სანუგეშოდ, რომ მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე ხშირად შევხვდე შენს შემოქმედებას თეატრსა თუ კინოში და ამით გავიგრძელო ბედნიერება შენთან შეხვედრისა.

## კოსტა მარღიევი

რა მძიმეა იმის შეგნება, რომ ჩვენს შორის აღარ იქნება ასეთი სათნოებით აღსავსე, გულმხურვალე პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი, კეთილი სულის ადამიანი, მსუბუქი იუმორით დამშვენებული, მგრძნობიარე გულის პატრონი, კრისტალური სიწმინდის კომუნისტი.

თქვენ, ძვირფასო ნოდარ, კარგად გიცნობენ ჩემს მშობლიურ ოსეთში. თქვენს შესანიშნავ ნაწარმოებებს — მოთხრობებსა და რომანებს ჩვენთან კითხულობენ არა მარტო რუსულ და მშობლიურ — ოსურ ენებზე, არამედ ორიგინალშიც — ქართულ ენაზედაც.

თქვენი ტალანტის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები ტკბებიან თქვენი დახვეწილი ოსტატობით, გამომსახველობითი ფორმების მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით, თქვენს მიერ შექმნილი ცოცხალი და შთამბეჭდავი თანამედროვეთა სახეებით.

აი, რატომ გამოიწვია ასეთი მწუხარება ოს მკითხველებსა და მეგობრებში თქვენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ.

თქვენ, ბატონო ნოდარ, არა ერთხელ ბრძანებულხართ ჩვენთან, ოსეთში, გაინტერესებდათ ჩვენი კუთხის ცხოვრება, აქაურ მშრომელთა საქმიანობა. ოსი მოსახლეობა ერთგულ მეგობარსა და ღვიძლ ძმასავით გხვდებოდათ ყველგან.

დღეს კი ისინი ნაღვლიანად იხსენებენ არცთუ შორეულ წარსულში თქვენთან შეხვედრის იმ ბედნიერ წუთებს.

ძვირფასო ნოდარ! ისეთი მწერლები, როგორიც თქვენ ბრძანდებით, არა კვდებიან, ისინი რჩებიან თავიანთ წიგნებში, თავიანთ ნაწარმოებებში. ასეთია თქვენი ხვედრიც — თქვენი ბედნიერი ლიტერატურული იღბალიც!

## ელგუჯა მაღრაძე

ადამიანი იყო და აღესრულა...

დრო-ჟამის მსახვრალი ხელი, როგორც მოკვდავს შეეხო, მაგრამ მის, როგორც მწერლის ხსოვნას პირქუში ჟამთა და-

ნება ვერ მოსხლავს. უკანასკნელი რამდენიმე წელი სისხლ-სავსე, მშფოთვარე საზოგადოებრივი ცხოვრებით იცხოვრა, ფიზიკური ცხოვრება კი აღარ ძალედვა. მაგრამ სიცოცხლეს ნებით ჭკუათმყოფელი ვინ გაშორებია, რომ ის გაჰყროდა. შე-მოქმედებითი ცეცხლით იწვოდა, მოუძლურებული სხეული კი ღალატობდა. მისი სიცოცხლის ბოლო წლები უთუოდ დაუდ-გრომელი შეუცნობლისაკენ ლტოლვა და სწრაფვა იყო, და ვერ გაამტყუნებდი. კაცი, ეტყობა, აკრძალული ნაყოფისაკენ უფრო მიიილტვის და ისიც მშფოთვარე ცხოვრებისაკენ ის-წრაფვოდა. სულ ცხოვრების შუაგულისკენ ეჭირა თვალი და ერჩოდა გული. შმაგსა და მძაფრ განცდებს ეტანებოდა, წყნა-რი, დამშვიდებული ცხოვრება არ ეწადა, სიწყნარეს გაურ-ბოდა.

ნოდარ დუმბაძეს არ სჭირდება სანეკროლოგო ხოტბის შეს-ხმა, დათირამბები და წარდგენა. იგი ისედაც სახელგანთქმული გახლავთ, რადგან მისი ცრემლიანი სიცილის მიღმა არის რა-ღაც იდუმალი, ბოლომდე ამოუხსნელი და შეუცნობელი. თვი-თონ მისი ცხოვრება ისე მოაწყო საწუთრომ, რომ ხშირად სვე-გამწარებულს მხოლოდ სევდიანი ღიმილი ჰქონდა სანუგეშოდ. და თუ ბოლო დროს დუმილი დასჩემდა, ცოტას ლაპარაკობ-და, ეს მისი ჭეშმარიტი ბუნებიდან მომდინარე ცხოვრება აღარ იყო. იგი ბუნებით უკეთილშობილესი სულის პატრონი გახლ-დათ, ხალისიანი, ლაღი, ოხუნჯობის, მასხრობისა და ჯანსაღი სიცილის დადოსტატი. ნოდარ დუმბაძემ ღიმილით, ადამიანი-სადმი სიბრალულით, თანაგანცდით, თანადგომით, მოყვასის სულში ნაღვერდალივით მიმქრალი სულიერი სიკეთის გამო-ჩხრეკით, სულისბერვითა და წარმოჩენით მიაღწია საწადელს. მან ადამიანთა თანადგომით, მათი ზნესრულობის, მათდამი სი-ყვარულისა და მათში არსებული სიკეთის ჩვენებით ახალი სისხლი გადაუსხა სამოც-სამოცდაათიანი წლების ქართულ რომანისტიკას.

ნოდარ დუმბაძე ნათელმხილველივით იჭრებოდა ადამიანის სულის ლაბირინთში. მან სპელეოლოგიივით დალაშქრა ადამი-ანის სულიერი სამყაროს სიღრმეები და მის გმირებს უკან დასაბრუნებელ გზას ვერავინ გადაუჭრის, რადგან მათი სული სიკეთითაა აღსავსე. მისი რომანებისა და მოთხრობების კითხ-

ვისას თითოეულ ინდივიდს, აქ თუ შორეულში, ცხოვრებაში ნანახი, აღქმული, განცდილი, გაგონილი და გადატანილი წარმოუდგება თვალწინ. ამითაა იგი თავისებურთა და უცხოტომეულთათვის ახლობელი და მშობლიური. ნოდარ ღუმბაძემ უზადო სარკეში გვიჩვენა ადამიანური ენებანი. იგი შეიქმნა მეხოტბე ადამიანთა შორის სიყვარულისა, თანაგრძნობისა, შეწყალებისა, თანალმობისა და გაჭირვების ჟამს ერთმანეთისადმი მხარდაჭერისა. ვინც გონების თვალს გაუბნევს მის ნაწერებს, უმალ შეიტყობს, რომ ისინი დაწერილია ადამიანთა გამოსწორების მიზნით, თუმცა საგულარად მწერლის მიზანი არსადაა გაცხადებული და სწორედ ეს არის მათი ღირსება. მისი სურვილი იყო, ნიადაგ მხარში დგომოდა მოყვასს, ერთთავად ჩაფლული ყოფილიყო სიტყვიერი ფრესკების ქმნაში, ეთესა, ეხარებინა, ემრავლებინა რწმენა და სიყვარული კაცთა შორის და ამით ადამიანებისათვის ტვირთმძიმე ცხოვრება გაეადვილებინა. მისი მონაოხრობი ამბები უთვალავი ფერითაა შემკული. ესაა ზღვის კენჭებით მოოჭვილი, საოცარი ხელოვნებით შეხამებული ძვირფასი მოზაიკა. ის ხან ყინწვისის ანგელოზივით მწყაზარი და მშვიდია, ხან თეორი გიორგივით შუბმომარჯვებული და შემართული წმიდა მებრძოლის სახით წარმოგვიდგება თვალწინ და ხანაც — ბერიკაობაში მონაწილე ანცი და ჯანღონით აღსავსე, მხიარული და ვნებადაუმცხრალი ჭაბუკის სახით გვეელინება.

მის ნაწერებს თან დაჰყვათ დიდი აღმაფრენა, განსაწმენდელის გამაცისკროვნებელი შუქი და ცეცხლი, იგი სიყვარულის ქადაგი გახლდათ და ამიტომ შეიყვარა ხალხმა.

სიკვდილს შეჩვეული იყო. უწვეველი სტუმრის მოახლოებებზე არ შფოთავდა, არ შემდრკალა, საიქიოსაკენ მიმავალი ყველა ბილიკი და გზაშარა ჩემთვის ახალი არააო, მითხრა, უკანასკნელად რომ ვნახე.

მის მშობლიურ კუთხეში ახლა ლაჟვარდიც მწუხრად დაბინდდება. სევდიან ქვითინს მოჰყვებიან გურიის უბიწო თოვლით დაფარული მთები. მდუღარე ცრემლებს აფრქვევს მთელი საქართველო. იგი წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა ცრემლითა და კვნესით დადაღული გულები.

სიცოცხლის გარიჟრაჟი ტკბილი ჰქონდა, სიცოცხლის დი-

ლა — გამწარებული, არც შუადღე ჰქონია მაინცდამაინც საშურველი, სიცოცხლის დაისს ყველაფერს მიაღწია, მაგრამ თვითონ სიცოცხლემ უღალატა.

მშვენიერია წლის ამ დროს ჩვენი თბილისი, ჯერ კიდევ გაისმის მგალობელ ჩიტთა ჭიკჭიკი და ჟღურტული, მაგრამ მათი საამო ხმა შენს ყურთა სმენას აღარა სწვდება, ჩემო ნოდარ! ნელად მიღელავს მღვრიე, ბებერი მტკვარი, კვლავ ირეკლავენ სხივთ მტკვრის ტალღები, მაგრამ შენს თვალთათვის წყლიდან უკუქცეულ სხივთა ციმციმი აღარ არსებობს. უკანასკნელად დაგხედავს ზევიდან თბილისის ცა, უკანასკნელად მოგელამუნება და მოგეფერება თბილისური ნიავი, რომელსაც თან მოაქვს დიღმის მწვანე ველთა საამო სურნელი. მაგრამ, ვაგლახ, რომ ეს სურნელი შენს ყნოსვას ველარ გააღიზიანებს. შენ სამჯერ და მეტჯერაც იყავი სიკვდილით დასუნთქული, სამჯერ იზეიმე გამარჯვება სიკვდილთან, ერთხელ სიკვდილმა გძლია. გამარჯვებული მაინც შენა ხარ, ჩემო ნოდარ, რამეთუ სიკვდილი დავიწყებას ნიშნავს და შენ დავიწყება არ გიწერია! ლელო გატანილი გაქვს და გამარჯვებული მიდიხარ. ბედნიერი ხარ იმით, რომ შენ დაიმკვიდრე დიდება მწერლისა. შენს წიგნებს მუდამ ეყოლება მკითხველი, რის გამოც შენ კვლავ იცოცხლებ. შენ შენი მზიანი ღამის თანაზიარი გახდი. შენთვის კი ცხადი და სიზმარი უკვე მოთავდა.

ჩემთვის, იმ კაცისათვის, ვინც შენთან ერთად გაატარა ყრმობისა და სიჭაბუკის წლები, პირველმა დაწერა შენზე კრიტიკული წერილი 1958 წელს, პირველმა გიწინასწარმეტყველა დიდი მომავალი და მანამდე გედგა მხარში, ვიდრე შენ გიჭირდა, ძნელი იყო ამ გამოსათხოვრის დაწერა. შენ, ჩემო ნოდარ, ახლა ყველასთან მოამთავრე ანგარიშები და შენი საკუთარი გზა სიკვდილში გაკვალე. სანუგეშოდ ისღა რჩება, რომ ვერც ერთი დაბადებადი არსი სიკვდილს ვერ ასცდება. იგი ყველას წილხვედრი გახლავს. ბედნიერი ხარ იმით, რომ შენი ფიქრი და აზრი მიუწვდომელს მისწვდა, უკვდავი ხარ იმით, რომ შენი წიგნები ფეხადგმულნი არიან არა მარტო შენს სამშობლოში, და შენს მაგივრად შენი წიგნები გაუთბობენ გულებს ყველას, ვისაც შენ დააკელი სიყვარულის ხიბლი.

მწუხარება და გლოვა შენი საყოველთაოა და ყოველი ჩვენგანი ჭირისუფალია.

ნოდარ დუმბაძესთან ჩემი მეგობრობა სტუდენტობიდან იწყება. ჩვენ იმთავითვე ერთსაირი მწერლები გვიყვარდა, ერთი და იგივე ლიტერატურული კერპები გვყავდა. ჩვენი თაობა უნივერსიტეტის „პირველ სხივში" გადმოდა თავის იდეურ და სულიერ წრთობას. ნოდარ დუმბაძეს ფუტკარივით ესვეოდა მაშინდელი ლიტერატურული ახალგაზრდობა მისი ცინცხალი მახვილსიტყვაობის, ამბის თხრობის საოცარი უნარისა და საერთოდ კაცთმოყვარული ბუნების გამო. ეს თვისებები მერე და მერე მხატვრულ ხილვებად გარდაისახნენ მის წიგნებში. მას ერთსაირი ინტერესით კითხულობდა როგორც ლიტერატურული ელიტა, ისე უბრალო მკითხველიც, რითიც იგი კანონიერად ამაყობდა. ნოდარ დუმბაძე ვისაც შეეობრად იგულისხმებდა, უხომო სიყვარული და დაფასება იცოდა მისი. ნოდარი ყველგან მეგობრულ ატმოსფეროს ქმნიდა, ყველგან თანასწორობის და კოლეგიალობის სულს ამკვიდრებდა. თავისი მარადჭაბუკური სულის გამო ნოდარ დუმბაძე ჩემთვის მუდამ ზურიკელა იყო და ვერც ვერასდროს წარმომედგინა, თუ ზურიკელა ოდესმე მოკვდებოდა. მაგრამ არა! ზურიკელა არ მომკვდარა, ზურიკელას სიკვდილი არ შეიძლება. იგი სიცოცხლის, სიყვარულის, ნიჭიერების ხატია, როგორც ეს აღიბეჭდა ერის მესსიერებაში, რომელიც თაობიდან თაობებს უნდა გადაეცეს, რათა ადამიანებს სიცოცხლის ყინი, გულის სითბო და სამყაროს პირველხილვის მშვენიერება გაუნაწილოს.

ნოდარ დუმბაძის ცხოვრებიდან წასვლით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას მოაკლდება სითბო და სიხალასე, ხილო ჩვენს ლიტერატურას — სილამაზე და სხივიერება. სამაგიეროდ, მოგვემატება მისდამი მადლიერების და პატივისცემის გრძნობა. ნოდარ დუმბაძემ, როგორც მწერალმა და მოქალაქემ, სულ გულის ხარჯვით იცხოვრა. როგორ შეიძლებოდა ნოდარ დუმბაძეს ჯანმრთელი გული ჰქონოდა, ყველაფერი გულში გამოატარა: ცხოვრებისეული თუ შემოქმედისეული სტრესები. უგულოდ არაფერი დაუწერია. იგი თვითონვე არ ზოგავდა საკუთარ გულს. სწორედ ასეთი გულის წყალობით მოიპოვა მან მკითხველთა სიყვარული, მკითხველთა დიდი აღიარება.

ნოდარ დუმბაძე, როგორც ხელოვანი და როგორც მოქალაქე, თავისი სულისკვეთებით, თავისი ცხოვრების წესით ჭეშმარიტი კომუნისტი და ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი გახლდათ.

ნოდარ დუმბაძე ჩვენგან წავიდა თავისი ერისა და მწერლობის წინაშე ვალმოხდილი, წავიდა ნაადრევად და წავიდა სიყვარულით გულდამსხვრეული... და ჩვენც ბევრი, ძალიან ბევრი დაგვეტოვა გულდამძიმებული, გულდაღონებული, გულდაბზარული.

## ვარლამ პეტროსიანი

თბილისში ჩამოსული სომეხი მწერლები, მთელი ჩვენი ლიტერატურის სახელით თავს ხრიან დედა-საქართველოს წინაშე, ქართული ლიტერატურის წინაშე, რომელთაც დაკარგეს ღვაძლი შვილი, უსაზღვრო სიკეთითა და ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული მწერალი. დიახ, ნოდარ დუმბაძე დიდი ქართული ლიტერატურის ღირსეული შვილი იყო. ეს უკვე დიდი პატივია, ხოლო იგი, კარგა ხანია, ამ ლიტერატურის ერთ-ერთი მამაც გახდა, ეს კი რჩეულთა ხვედრია, მრავალი დიდი ტალანტისთვის მიუღწეველი. ერთდროულად შვილიც იყო და მამაც. სულაც არ არის იოლი, რამეთუ შვილი დაუნდობელია, ხოლო მამა ყოვლისგამგები ღა მიმტევებელი. ასეთი რთული, ორმაგი მოვალეობა ეკისრებოდა სიცოცხლის ბოლომდე ნოდარ დუმბაძეს.

მე, ნოდარ დუმბაძე — ადამიანის უმცროს ძმასა და ნოდარ დუმბაძე — მწერლის ძველ თაყვანისმცემელს, უსაზღვროდ მიმძიმს ჩვენი დანაკარგის მტანჯველი რეალობის დაჯერება. და მე არ ძალმიძს დღეს მასზე წარსული დროით ვილაპარაკო.

ძვირფასო ნოდარ, შენი წიგნების კითხვისას და ხელახლა გადაკითხვისას, ყოველთვის მეხამრიდს გადარებდი, შენს სხეულში, შენს გულში, გონებასა და ნერვებში რომ გაატარებდ? ადამიანური ტკივილების მაღალი ძაბვის დენს, ტკივილს თა-

ვად იტოვებდი, ხოლო ადამიანებს სინათლესა და სიხარულს ანიჭებდი, სიკეთესა და ლმობიერებას ასწავლიდი.

და შენ გეგონა, გული ამას გაუძლებდა?

შენ იცოდი და კარგადაც იცოდი — ბოროტი ტალანტი არ არსებობს, ჭეშმარიტი ტალანტი საკუთარი ტანჯვის ფასად მხოლოდ სინათლესა და სიკეთეს შობს, ადამიანებს რწმენას ანიჭებს და ძალებინებს. შენი ხალხის წმიდათაწმიდა მცნებაც ეს იყო, ასე ფიქრობდა შენი მშობელი ხალხიც, ხალხი რაინდი, ხალხი — მედგარი, მტკიცე და მყიფე, ხალხი — ბრძენი და ხალხი — ყრმა, ეს იყო მარადისობის კანონი, რომელიც კიდევ ერთხელ აუწყე ხალხს, ძვირფასო ნოდარ!

ჩემი ბოლო წერილი უპასუხოდ დარჩა. მცირე ხნის წინ შენი „მარადისობის კანონი“ სომხურად გამოვიდა, დაუყოვნებლივ გამოგიგზავნე წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი, ხოლო წერილში იმედი გამოვთქვი, იქნებ ამ შემოდგომაზე მაინც მოახერხო და ერთხელ კიდევ ჩამოხვიდე შენს სომეხ მკითხველებთან-მეთქი. ეს არც ზრდილობისათვის ნათქვამი სიტყვები იყო, არც მხოლოდ ღვიძლ ძმასთან კიდევ ერთხელ შეხვედრის სურვილი — შენ იცოდი, როგორ უყვართ სომხეთში ნოდარ დუმბაძე და თვითონაც გსურდა აქ ჩამოსვლა. „თეთრი ბაირაღები“ რომ გამოვეცით, მაშინ აპირებდი ჩამოსვლას — ვერ მოხერხდა, შენი რომანის სატელევიზიო დადგმა რომ განხორციელდა, უკვე საავადმყოფოში იყავი.

შარშან — თბილისში, წელს კი — მოსკოვში, თვითონ მითხარი: „ისე მინდა კიდევ ვნახო სევანი...“

მაშ, ვეღარ ჩამოხვალ... მაშ, სევანიც ვეღარა ნახავს თავის შვილს.

ეჰ, ნოდარ, ძვირფასო... შენ იცოდი, რომ ჩვენს ძმფოთვარე დროში კაცობრიობას სწორედ სიკეთე აკლია, აკლია ჟანგბადზე მეტად; ამიტომაა ამდენი ხალხი, სიცილი, სისუფთავე, ლმობიერება შენს წიგნებში. არბობს, ყოველი კაცის სულში თავისი ხალხის ფინიატურული პორტრეტი ჩანს.

ეს სამგზის მართალია, თუ კაცს გულის სიკეთე და გონების სიბრძნე ახლავს. შენ შენი ხალხის კეთილშობილი თვისებები შეიწოვე და შენი მიწის ერთ-ერთი ცოცხალი სიმბოლოთაგანი გახდი. შენი წიგნების შემწეობით, შენი ადამიანუ-

რი თვისებების შემწეობით მე უკეთ გავიცანი საქართველო, უკეთ გაცნობა კი უფრო მეტად შეყვარებას ნიშნავს...

შენ — მძლავრი ქართული პროზის ახალი ტალღის ბრწყინვალე წარმომადგენელი — საკავშირო ლიტერატურული ცის კაბადონზე პირველი სიმძლავრის ვარსკვლავად ენთე, შენი წიგნების კაშკაშა ფერების გარეშე შეუძლებელია ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვანი ლიტერატურის ფერადი ცისარტყელის წარმოდგენა.

შენს წიგნებს, შენს გასაოცარ გმირებს — რომანტიკოსებს, ახირებულებს, ბრძენ ბერიკაცებსა და ჭაბუკებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც მოელოდნენ. შენს წიგნებს თარგმნიდნენ, დგამდნენ სხვადასხვა ენაზე, როგორც საკუთარს, მშობლიურს. მჯერა, საწერ მაგიდასთან მუშაობისას ყოველთვის გრძნობდი ამ მრავალსახოვანი, მრავალენოვანი მკითხველის ცოცხალ სუნთქვას. სარაინდო მოებიდან ჩამოსულმა მხიარულ-მწუხარე გურულმა მრავალმილიონიანი აუდიტორია ისე დაიპყარი, მთელი სისრულით ვერც კი გაიაზრებდი მკითხველის სიყვარულის სიღრმეს.

ძვირფასო ნოდარ, გახსოვს შენი გასაოცარი გმირი — მოხუცი გუდული? იგი სიკვდილის წინ მადლობას უხდის მზეს, მამალს, ღვინოს, თავის გულს, მადლობას — ერთგულებისათვის. ნეტავ თუ გაგახსენდა შენი გმირი უკანასკნელ წუთებში! არ ვიცი, მაგრამ მჯერა, იმ წუთებში შენც ჩურჩულებდი მადლობის სიტყვებს, მადლობას უხდიდი ამ საოცარ ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს, შენ ტანჯულ გულსაც. ვიცი, რამეთუ კაცი იყავი, ადამიანი, მიწის შვილი, მხატვარი.

მუდამ მიკვირდა — როგორ გამოაღწიე იმ შენი ძნელი ბავშვობიდან ისე, რომ ამდენი სინაზე და სიცილი, ამდენი სიკეთე და სიცოცხლის სიყვარული შეინარჩუნე?

ძვირფასო ნოდარ, წინაპრებს უთქვამთ — კუბო მხოლოდ ნავია, ოდენ კაცის სხეულს რომ წარიტაცებს არყოფნის ზღვაშიო და ჩვენც ამ მძიმე წუთებში თავს იმითღა ვინუგეშებთ, რომ ჩვენთან რჩება შენი წიგნების გვერდებს მოფენილი შენი ნათელი სული.

ეს კეთილი და ბრძნული წიგნები შენი წასვლის შემდეგაც გააზარებენ ადამიანებს, ძმობისა და ურთიერთგაგებისკენ მო-

უწოდებენ, რამეთუ „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული“.

შენი წიგნები კიდევ დიდხანს დააფიქრებენ ადამიანებს მწარე სინამდვილეზე — რატომ არის ასე, რატომ კვდებიან ადამიანები უფრო ხშირად სიძულვილისაგან, ვიდრე სიყვარულისგან.

და ასწავლიან ადამიანებს სიყვარულისთვის ერთურთს მხოლოდ სიყვარული მიუზღონ. შენი წიგნები მარად იცოცხლებენ, რადგან მარადიულია მძლავრი და მთრთოლვარე ქართული ენა, რომელიც ერთხელ კიდევ ასახელე, რადგან მოძმე ხალხთა თანავარსკვლავედში მარად ჩაუქრობელია შენი მშვენიერი საქართველოს განუმეორებელი ვარსკვლავი, ძვირფასო ნოდარ.

## გუნარ პრეიდი

გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის უდროო გარდაცვალების ამბავმა ლატვიელ ლიტერატორთა დიდი გულისტკივილი და მწუხარება გამოიწვია. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები ლატვიელ მკითხველთა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან ისინი მუდამ ეხმიანებოდნენ დღევანდელ პრობლემებს, თითოეულის საზრუნავსა და სიხარულს. მრავალი წელი ზედიზედ ჩვენი რესპუბლიკის თეატრების სცენებიდან მოგვმართავდნენ მისი გმირები, გვასწავლიდნენ სიკეთესა და სამართლიანობას, მეგობრობასა და ძმობას.

განსაკუთრებით ფართო გამოხმაურება ჰქონდა რომანს „ბარადისობის კანონი“, რომელიც დიდი ტირაჟით გამოუშვა ეროვნულმა გამომცემლობამ „ლიეესმამ“. ამ ნაწარმოებით ჩვენმა ქართველმა მეგობარმა საშუალება მოგვეცა უფრო ღრმად ჩავწვდომოდით მისი ხალხის ცხოვრებასა და ხასიათს, თავად ავტორი კი უფრო ახლობელი გახდა ჩვენთვის.

გვესმოვს ნოდარ დუმბაძე როგორც თანამოაზრე ამხანაგი, რომელთანაც ღამეების გათენება შეიძლებოდა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზებზე საუბარში, როგორც საინტერესო თანამოსაუბრე, გულთბილი და სტუმართმოყვარე მასპინძელი, რომელიც ლატვიელ კოლეგებს იღებდა საქართველოს მადლიან მიწაზე.

მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა საბჭოთა ლიტერატორების ოჯახს გამოაკლო ნიჭიერი, მოწიფული ოსტატი, რომლის ნაწარმოებები მადლიერ გამოხმაურებას პოვებს მუდამ ათასობით ადამიანის გულში.

## ოლეჯსა სინიჩენკო

მეც, ისევე, როგორც თითოეულ უკრაინელ მწერალს, დიდად მატკინა გული ნოდარ დუმბაძის — ჩვენი თანამოკალმის, სიტყვის ნიჭიერი და შესანიშნავი ოსტატის უდროოდ გარდაცვალების ამბავმა.

მაგონდება სამოციანი წლების დამდეგი, როცა პირველად წავიკითხე ნოდარ დუმბაძის რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", მოეხიბლა ამ ნაწარმოებმა და კიდეც ვთარგმნე უკრაინულ ენაზე. გამომცემლობა „მოლოდმა" („ახალგაზრდობამ") მაშინვე გააცნო რესპუბლიკის მკითხველს ქართველი პროზაიკოსის შემოქმედება.

ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა ამ შესანიშნავ სიტყვის ოსტატთან. შემდეგ ჩემივე თარგმანით დაისტამბა რომანები „მე ვხედავ მზეს", „მზიანი ღამე", „ნუ გეშინია, დედა!", „მარადისობის კანონი", მოთხრობა „კუკარაჩა", ბევრი სხვა ნაწარმოები — ნოდარ დუმბაძის თითქმის მთელი პროზა. ახლაც კიევში მზადდება გამოსაცემად მწერლის დიდი დასურათებული ორტომეული, რომელშიც შევა რომანი „თეთრი ბაირაღები".

წილად მხვდა ბედნიერება არაერთგზის შეეხვედროდი და მესაუბრა ნოდართან — მომხიბვლელ, გულისხმიერ და ბრძენ კაცთან. ამა წლის მაისშიც, როცა შევეკითხე, როგორ მუშაობ-

მეთქი შენს დიდ ნაწარმოებზე, მიპასუხა: „ზაფხულში წავიმუშავებო“. ეს ზაფხული კი მისთვის უკანასკნელი გამოდგა...

მწარეა, მეტად მწარეა იმის შეგნება, რომ ნოდარ დუმბაძე უკვე აღარ არის ჩვენს შორის. ბევრი ძალიან მნიშვნელოვანისა და საჭიროს თქმა ვერ მოასწრო მან. მაგრამ ნათქვამიც და დაბეჭდილიც მუდამ ჩვენთან იქნება, შთაგვაგონებს, ადამიანებს უფრო კეთილსა და უკეთეს გახდის.

## ჯანსუღ ლეონიძილია

ჩვენ ზოგჯერ მაშინაც ვიტყვით, ქართულმა მწერლობამ უმძიმესი დანაკლისი განიცადაო, როდესაც სახელოვანი მწერალი ღრმად მოხუცებული გაეყრება სიცოცხლეს. გასაგებია, გული გვწყდება ერის მოამაგე მოღვაწეზე!

ახლა მართლაც უმძიმესი დანაკლისი განვიცადეთ, რადგან საყოველთაოდ ცნობილი, უნიჭიერესი მწერალი ნოდარ დუმბაძე ორმოცდათექვსმეტი წლისა წავიდა ჩვენგან.

ღრმად მოხუცებული მწერლის სიკვდილიც საერთო მწუხარებაა, მაგრამ ის მწუხარება ერთგვარად ზეიმთან არის შეჯერებული. მისი დაკრძალვის დღეს შემოკრებილი მთელი ერი კიდევ ერთხელ რწმუნდება თავის სიდიადეში, იმაშიც, რომ გარდაცვლილმა ბოლომდე თქვა თავისი სათქმელი. ამ განცდით ერწყმის ზეიმი მწუხარებას.

ნოდარ დუმბაძის სიკვდილი მხოლოდ დიდ მწუხარებას ნიშნავს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ქართველი ხალხის მწუხარება, შემდეგ იმ მრავალმილიონიანი მკითხველისა, რომელიც მის საყვარელ წიგნებს ეწაფებოდა. აქ მხოლოდ ტირილია, ყრუ ქვითინი, გაქშრალი სევდა... იგი ორმოცდათექვსმეტი წლისა მიიცვალა; შეეძლო თავისი შესანიშნავი მოთხრობების და რომანებისათვის გვერდით ამოეყენებინა სიბრძნით, ოსტატობით, ელვარებით აღბეჭდილი ახალი ნაწარმოებები. ყველაფერი ეს ჩვენ დაგვაკლდა, ძალიან ბევრი დაგვაკლდა.

ჩვენ გვახსოვს, სულ ახლახანს როგორ ღირსეულად, რაინ-

დულად შეეგებნენ სიკვდილს გურამ ასათიანი და რევაზ მარგიანი. ასეთი ღირსეული შეგებება ეროვნული ხასიათის სიღრმეს და სიმტკიცეს მოწმობს.

ერთი საინტერესო ისტორიაა ნოდარ დუმბაძის მიახლოვება სიკვდილთან. სიცოცხლის ყველა იარაღით ებრძოდა იგი სიკვდილს; სიდინჯით, სიმშვიდით, ამტანობით, ადამიანებთან უნაკლო ურთიერთობის ჯებირს აგებებდა და რაც მთავარია, ებრძოდა მხოლოდ მისთვის ჩვეული იუმორით. სიცოცხლეს ურიცხვი ფორმით შეუძლია სიკვდილთან დაპირისპირება და ალბათ, ნოდარ დუმბაძემ ყველა სიცოცხლისეული ფორმა მოიხმო გარდაუვალთან უთანასწორო ჭიდილში. ამიტომ ასე ხანგრძლივ, ასე შეურიგებლად გრძელდებოდა ბრძოლა, ამიტომ იხევდა დაუნდობელი დასასრული უკან და, რაც კიდევ უფრო მომხიბლავია, სასწორზე შეგდებული სიცოცხლის წყვეტილ-წყვეტილ ანტრაქტებს შორის ის ასწრებდა რომანების, მოთხრობების, წერილების შექმნას; მოღვაწეობდა, უძღოდა, თაოსნობდა... გაკეთებულის შეჯამება ხვალის საქმეა!

სიკვდილთან შეგებებაც დიდი მაგალითია და როცა ახლობლების მოგონებები გამოქვეყნდება მომავალში, მისი ქვეყანა კიდევ მრავალი დეტალით და ნიუანსით დაინახავს მწერლის მფეთქავ გულს, ჭეშმარიტად სახალხო ნაწარმოებები ასე ძალუმად რომ ასხივებდა აქამდე.

**ა. შევჩენკო**

მაიორი,

ბათუმის წითელდროშოვანი სასაზღვრო რაზმის მესაზღვრეები ღრმა პატივისცემით ვეპყრობით ჩვენი საყვარელი მწერლის ნოდარ დუმბაძის მდიდარ, თვითმყოფად ტალანტს, რომელმაც საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში დიდი წვლილი შეიტანა. ჩვენ მისი მადლიერნი ვართ იმისათვის, რომ მან ნამდვილად მნიშვნელოვანი, ნამდვილად გიგანტური შრომა გასწია, საბჭოთა ახალგაზრდების — მესაზღვრეების აღზრდის

საქმეში. და რა ძნელია ამაზე საუბარი ახლა, როცა აღარ არის გვერდით ის ადამიანი, რომელიც გვიყვარდა, პატივს ვცემდით, ვაფასებდით, როგორც ცხოვრების დიდ მასწავლებელს.

იმისათვის, რომ მესაზღვრეთა ცხოვრება შეიცნო, აუცილებელია თვითონ განიცადო ამ სამსახურის ყველა სიმძიმე.

ნოდარ დუმბაძე თავისი ადამიანური ალღოთი და კეთილშობილებით ღრმად შეიჭრა რომანის „ნუ გეშინია დედას" მთავარი გმირის მესაზღვრე ავთო ჯაყელის შინაგან სამყაროში. მესაზღვრის მწვანე ტანსაცმელში ჩაცმული მწერალი სამშობლოს დამცველებთან ერთად იყო, მათი მღელვარე ცხოვრებით ცხოვრობდა. სწორედ აქედან წარმოიშვა ნამდვილად მართალი, მიმზიდველი და მეტად აქტუალური სახე თანამედროვე ახალგაზრდის, ჩვენი სამშობლოს დამცველის მესაზღვრე ავთო ჯაყელისა და როცა სამხედრო სამსახურის მოსახდელად საზღვარზე მოდის ახალი ცვლა — ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქენი, მათი ჩამოსვლის პირველსავე საათებში მოუთხრობენ, თუ როგორ მსახურობდა და რა გავლენას ახდენდა მესაზღვრეთა კოლექტივზე საბჭოთა მწერალი ნოდარ დუმბაძე.

ამას წინათ მესაზღვრეებს წერილი გამოუგზავნა სასაზღვრო არმიის ვეტერანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, გადამდგარმა პოლკოვნიკმა ნ. ფ. კარაცუპამ. წერილში არის ასეთი სტრიქონები: „მე ხშირად ვიგონებ ნ. დუმბაძის რომანის „ნუ გეშინია, დედას" ერთ-ერთი გმირის, მესაზღვრე ავთო ჯაყელის ნათქვამს, რომ სამშობლო მხოლოდ საქმით უნდა გიყვარდეს და არა სიტყვით. კარგად არის ნათქვამი — „გიყვარდეს სამშობლო საქმით". ჭეშმარიტად ეს ფრთიანი ფრაზა მოწოდებაცაა საბჭოთა ახალგაზრდობისათვის.

მუდმივად ვადევნებდით თვალყურს ნოდარ დუმბაძის შემოქმედებით წარმატებებს. მისი მრავალფეროვანი ტალანტი ჩვენს თვალწინ სულ უფრო ნათლად და ნათლად იფურჩქნებოდა. დღეს აღარ არის ჩვენს გვერდით ნოდარ დუმბაძე. არა, ის ჩვენთან არის, ჩვენს სასაზღვრო რაზმშია და სისტემატურად დაგვეხმარება გვჯერდეს მეგობრობის, ვიყოთ ერთგულნი სამხედრო ფიცისა, მხურვალედ გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო.

იგი სანთელივით იწოდა, ყოველდღე და ნელ-ნელა... ასე იყო მწერლობაში, მამულიშვილობაში, ასე იყო ძმობაშიც...

ნოდარ დუმბაძე არავის არ ჰგავდა, სიცოცხლისა და სიკეთის მწერალს იუმორის დროს თან ახლდა სევდა, განუმეორებელი სევდა, რომელიც გამოარჩევდა მისივე თაობის სხვა მწერალთაგან.

მხოლოდ საქართველოს არ მოჰკვდომია ნოდარ დუმბაძე, იგი მოუკვდა ყველა ხალხს, ვისაც კი ქვეყანაზე სიკეთით უცხოვრია, რათა დედამიწაზე მარადის დამკვიდრებულიყო სიმშვიდე და ზნეკეთილობა.

როცა ნოდარ დუმბაძე ოჯახებში შედიოდა, ჟურნალით თუ გაზეთით, წიგნით თუ ტელევიზორით, ოჯახებში ბედნიერება სუფევდა, სიკეთე ზეიმობდა, იმ ოჯახებში ფრთებს შლიდა ღიმილი და სიხარული.

ნოდარ დუმბაძე ჩემი მეგობარი იყო, ძმა იყო ჩემი და ხშირად თავის ფოსტასაც მაკითხებდა...

წერილები მოსდიოდა ქვეყნის ყველა კუთხიდან, წერილს წერდნენ ნაირ-ნაირი რჯულისა და პროფესიის ხალხი. ზოგი გულუბრყვილოდ ეკითხებოდა გმირთა ვინაობას, ისინი ნამდვილად არსებობენ თუ თქვენი გამოგონილი არიანო; ზოგი პირდაპირ შეკვეთას აძლევდა, ჩემზე დაწერეთ, ამქვეყნად ჩემზე კარგი ბიოგრაფიის მქონე არ მეგულებაო; წერილებს სწერდნენ ზემო სვანეთიდან და კახეთიდან, ბაიკალ-ამურის მშენებლობიდან და ენგურჰესიდან, სწერდნენ ოქროსმაძიებლები და ექიმები, მემინდვრეები, მაღაროელები, სწერდნენ შეყვარებულები და გზის დალოცვას სთხოვდნენ; წერილებს სწერდნენ კოლონიებიდან, შველას სთხოვდნენ, როგორც მწერალს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს. ისიც თითქმის ყველას უპასუხებდა, დიახ, თითქმის ყველას. ამოდენა ფოსტის მოპასუხე კაცს ორი პირადი მდივანი მაინც უნდა ჰყოლოდა, ნოდარი კი მარტო უპასუხებდა ყველას. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მიახდინა უკრაინელი მოხუცი ქალის ჰატარა წერილმა: „შვილო ნოდარ, მადლობელი ვარ, ამ შუა ზამ-

თარში შენმა წიგნმა ქნა გამოთბა". განა უფრო მეტად შეიძ-
ლება მწერლის ბახარება?!

ყველგან სითბო შეექონდა, საამედო, ყველას დამხმარე კა-
ცი იყო.

ნოდარ ღუმბაძემ როგორც თავისი მოხელით გააზარა ქვე-
ყანა, ისე წასველით დაამწუხრა.

მისი ღირსეული და ერთგული სამსახური მისაბაძი იყო
ჩვენთვის, ყველასათვის.

წავიდა ჩვენგან საოხო და კეთილშობილი კაცი, გამოკვე-
თილი პიროვნება და, რაც მთავარია, ჭეშმარიტი მწერალი. წა-
ვიდა ისე, როგორც შეშვენის რაინდსა და გამარჯვებულს.

სიკვდილის წინ წამოიჯდა ლოგინზე, ხელი გალაპხვია მე-
გობრებს და იმღერა, სიმღერის დამთავრებისას ასე თქვა: „მო-
ვიდეს ახლა სიკვდილი და რამე დამაკლოსო".

ნოდარ ღუმბაძე წავიდა, ნოდარ ღუმბაძე ჩვენთანაა!

## ნოდარ ჩხეიძე

ამ მძიმე წუთებში ნოდარი ისევ მოღიმარი, სახენათელა,
ხალისიანი მიდგას თვალწინა;

მძიმე წუთებში ნოდარი ისევ ისე მახსენდება, პირველად
რომ წარსდგა პლენუმის წინაშე, მწერალთა პლენუმისა, რო-
გორც თავმჯდომარე მწერალთა კავშირისა, პირველი სიტყვა
რო უნდა წარმოეთქვა, რო დაახასა, რო წაეტანა წინ დაყრილ
ქაღალდებსა, რო შეუძახეს დარბაზიდანა, თითქოს მისალმება-
და, თითქოს გასამხნევებლადა, შესათამამებლადა თითქოსაო,
და რომ გადმოიხედა ჩვეული ღიმილითა, ჩვეული ხალისით
რო გადმოიძახა: — მაცალეთ ახლა მოღვაწეობაო; ის მახსენ-
დება ამ მძიმე წუთებში.

ამ მძიმე წუთებში ისევ ისე მიდგას თვალწინა;

ამ მძიმე წუთებში ის მახსენდება, თუ რა მონდომებით შე-
უდგა მართლაც მოღვაწეობასა, როგორც წინამძღოლი ქარ-
თველი მწერლობისა ამ ჩვენს მღელვარე საზოგადოებრივ

ცხოვრებაში, ამ ჩვენს მღელვარე სალიტერატურო ცხოვრებაში; თუ როგორ არ იმჩნევდა შინაგან ტკივილებსა, როგორა ხალისობდა, როგორ გულმედგრობდა და როგორ ამხნევებდა თავისზე ნაკლებ შეჭირვებულთა, უფრო მეტად რო შეწუხებულიყვნენ; ის მახსენდება, ის გულმედგრობა და დაუმჭკნარი ის იუმორი, სიყვარულით რომ გაჯერებულიყო, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულითა, ადამიანის სიყვარულითა;

ამ მძიმე წუთებში ისევ ისე მიდგას თვალწინა;

ამ მძიმე წუთებში ის მახსენდება, რაც რომ მოასწრო ამ მოკლეხანშია, რაც ვერ მოასწრო, ისიც მახსენდება, რაც ასულდგმულებდა, რასაც რო ესწრაფოდა, და ასე მგონია, იმ მძიმე წუთებში, უმძიმეს წუთებში, გზაგასაყარზე სიკვდილ-ხიცოცხლისა შავი ანგელოზი რო ეახლებოდა, შეეგებებოდა იმავე ღიმილითა, იმავე ხალისით შეეგებებოდა, უსაყვედურებდა იმავე სიცილითა: — რა იყო, შე უღვთო, ცოტა კიდევ გეცლია მოღვაწეობაო; ასე მგონია ამ მძიმე წუთებში;

ამ მძიმე წუთებში ნოდარი ისევ მოღიმარი, სახენათელი, ხალისიანი მიდგას თვალწინა:

ამ მძიმე წუთებში,
დუმილის წუთებში,
დუმილის წუთებში...

## რევაზ ინსარიძე

ისეთი დიდი მწერლის გარდაცვალებამ, როგორიც ნოდარ დუმბაძეა, ერთბაშად სულ სხვაგვარად გააშუქა მისი პიროვნების, მისი შემოქმედების მასშტაბი, განსაზღვრა მისი ადგილი საბჭოთა ლიტერატურასა და ქართულ ხელოვნებაში.

შეიძლება ითქვას, მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოები გადაღებულია კინოში; ყველა გმირს მეორე — ეკრანული სიცოცხლე მიენიჭა და ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში უთვალავი ადამიანის სიყვარული მოიპოვა. ცხოვრების სიმართლის ამსახველი, დემოკრატიული მხატერული შე-

მოქმედება ნოდარ დუმბაძისა გასაგები და მახლობელი გახდა მკითხველთა ფართო მასებისათვის.

მწერლის პროზაულ ქმნილებებს მიმართეს ჩვენმა წამყვანმა რეჟისორებმა. თანამედროვე მწერლის ნაწარმოების ეკრანიზაციის ბედნიერი ცდა გამოდგა 1962 წელს რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", სადაც მთავარ როლს ბრწყინვალე სესილია თაყაიშვილი ასრულებდა. იმ ხანებში ერთ-ერთ ინტერვიუში ნოდარ დუმბაძე აღნიშნავდა, მადლობელი ვარ თენგიზ აბულაძისა, კინოსა და დიდ კინემატოგრაფში ჩემი მიწვევის გამო.

იმ პირველი ფილმის შემდეგ მწერალი რამდენსამე ხანს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მსახურობდა რედაქტორად, იყო სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამხატვრო საბჭოს წევრიც. ენერგიას, ნიჭსა და მონდომებას არ იშურებდა ისეთ რთულ ორგანიზაციაში მუშაობისას, როგორიც კინოსტუდია გახლავთ. ამას ვარდა, და რაც უმთავრესია, დიდია ნოდარ დუმბაძის წვლილი ცნობილ მწერალთა და რეჟისორთა შორის შემოქმედებითი მგობრობის დამკვიდრებაში.

ამას მოჰყვა ფილმები: „მე ვხედავ მზეს" ლანა ღოღობერიძისა, „გზა მშვიდობისა" მერაბ კოკოჩაშვილისა, კინოალმანახში „მშობლიურ ხეთა ჩრდილქვეშ" ჩართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ძაღლი" ლეილა გორდელაძისა, „ძახილი" გუგული მგელაძისა, „მარადისობის კანონი" ვალერიან კვაჭაძისა.

„კუკარაჩა" ბოლო ფილმია, სიკო და ქეთი დოლიძეებმა რომ გადაიღეს მას შემდეგ, რაც რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ, მთავარ როლში გ. ქავთარაძის მონაწილეობით, იგივე მოთხრობა ტელევიზიაში განახორციელა. ის ფაქტი, რომ კინოფილმი სულ სხვაგვარი გამოვიდა, ვიდრე ტელესპექტაკლი, ნიშნავს, რაოდენ მრავალწახნაგოვანი და ღრმაა მწერლის პროზა, რა მდიდარი მასალის შემცველია, რაოდენ დაუშრეტელი წყაროა იგი, რომელსაც ყოველი კინოშემოქმედი თავისებურად აღიქვამს.

დასანანია, რომ ულმობელმა სიკვდილმა არ დააცალა აესრულებინა სანუკვარი ოცნება — თავად გადაეღო საკუთარი ნა-

წარმოები. დარწმუნებული ვარ, იგი ისეთივე მაღალნიჭიერებით იქნებოდა აღბეჭდილი, როგორც ყველაფერი, რაც მწერალმა შექმნა.

## სარგის ცაიშვილი

### მზის მწვანე ნათელი

—

იგი თითქმის თხუთმეტი წელი იმყოფებოდა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. ყველამ, დიდმა თუ პატარამ, იცოდა მისი უკურნებელი სენის ამბავი.

უცნაურია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ მიუხედავად ასეთი ხანგრძლივი დაავადებისა, ჯერ კიდევ არავინ ელოდა უეცარი კატასტროფის მოახლოებას.

არავის ემეტებოდა ნოდარ დუმბაძე ასეთი ხვედრისათვის...

კატასტროფა კი, სამწუხაროდ, გარდუვალი აღმოჩნდა...

მთელი ამ მძიმე წლების მანძილზე, საბედნიეროდ, იგი თვითონაც კარგად გრძნობდა საკუთარი ხალხის თანადგომას, დიდ ნდობას. ეს მას ბევრს ავალებდა. სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის ძალისხმევა, რომელიც მან ამ ბოლო ათეულ წლებში გამოავლინა.

მისმა ახლობლებმა კარგად ვიცოდით ისიც, თუ რა ტანჯვის ფასად მიიწევდა იგი წინ, ახალი შემოქმედებითი სიმაღლეებისაკენ...

ნოდარ დუმბაძის დიდი ნიჭიერება პირველი ნაბიჯებიდანვე ირწმუნა მისმა მშობლიურმა ხალხმა. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასეთ დიდ არჩევანში კი, მადლობა ღმერთს, ხალხი არასოდეს შემცდარა.

ნოდარ დუმბაძემ, შეიძლება ითქვას, ძალიან მოკლე დროში დიდი მწერლური სახელი მოიხვეჭა, ეროვნული სულითა და ადამიანისადმი დიდი სიყვარულით აღბეჭდილმა მისმა ქმნი-

ლებებმა დიდი ხანია გადალახეს ჩვენი ქვეყნის საზღვარი, ხოლო მის ავტორს ჰქონდა ყველა საფუძველი, რომ ეთქვა: მე იმიტომ მოვკვდი ამქვეყნად, რომ თანამოძმეთათვის მოვეტანა სიხარული და ადამიანური თანალმობა.

დიდი საიდუმლოს გარეშე არ არსებობს სამდვილი პოეზია. ნოდარ დუმბაძის პოეტური პროზა ამ ჭეშმარიტების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. ცხოვრებისეული სიბრძნის დაუფლების ამ ძნელადსავალ გზაზე იგი თითქოს მინდიასავით გრძნობდა ადამიანური ყოფის იდუმალ შრეებს და აკი გვაგრძნობინა კიდეც თავის საუკეთესო რომანებსა თუ მოთხრობებში. მისი უცნაური შთაგონება ასეთ დროს ბეწვის ხიდზე ირბენდა სიარულს: მხიარულება და სევდა, სიცილი და ცრემლი აქ ისევე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც დღეს — ღამე და სიკვდილს — სიცოცხლე.

ასეთივე ცხოველმყოფელი სული შთაბერა მან საკუთარ გმირებსაც, რომლებიც აგრერიგად გაითავისა ღღეს ჩვენმა მკითხველმა. მათ იოტის წამისად არ აკლიათ არც სიბრძნე და არც ცხოვრებისეული გამოცდილება. ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებით, რომ ყველა მათგანი ძველი და ჭირგამოვლილი ხალხის ღვიძლი შვილები არიან.

ნოდარ დუმბაძის ქმნილებათა დიდ ნაწილი ერთ მთლიან გულწრფელ აღსარებასავით ჟღერს, რაც ასეთ უჩვეულო მომხიბვლელობას ანიჭებს მის პოეტურ სიტყვას. გულწრფელობა მან არამხოლოდ სტილურ, არამედ რაღაცნაირი რწმენის სიმაღლემდე აზიდა და ბოლომდე ენდობოდა კიდეც საკუთარ თავს. ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ ასეთი თრთოლვით ელოდა ყოველ მის ქმნილებას მისივე მშობლიური ხალხი: „გულითა წრფელითა, სიტყვითა ნათელითა...“

მშობლიურ ხალხთან ასეთმა ურთიერთობამ უშრეტი ძალა შემატა მას, მიანიჭა გულთამხილველის გრძნება, რათა თითქოსდა უხილავი ძაფებით შეემეცნა მათივე გულისთქმა. მან შეძლო არამარტო გამოეხატა მშობლიური ხალხის ფიქრი და ოცნება, არამედ საჭიროების შემთხვევაში ელაპარაკა კიდეც მათივე სახელით. ამ ნიშნითაც იგი თავის დიდ წინამორბედთა ღირსეული მემკვიდრეა, საკუთარი ხალხის „ჭმუნვისა და სიხარულის“ თანაზიარი.

ნოდარ დუმბაძის ერთ მშვენიერ ესკიზში წარმოსახულია საღამო ზღვის პირად. მზის დისკოს ჩასვლასთან ერთად, როგორც ეს მისი ელვარე ნიჭის თვისებაა, პოეტურ თხრობას თან გასდევს სიღრმისეული კონტექსტი, გადმოცემულია დიდი სევდა ადამიანის გარდუვალი აღსასრულის გამო.

მხატვრული სურათი კი გასრულებულია შემდეგი სიტყვებით: „ვინც ჩამავალი მზის მწვანე ნათელს დაინახავს, ბედნიერი იქნება".

ნოდარ დუმბაძე სწორედ ერთი იმ რჩეულთაგანია, ვინც მიწვდა ამ შუქს. „მზის მწვანე ნათელი" გააცილებს მას ალბათ უკვდავთა მარადიულ სამყოფელში.

## ტარიელ ჯანტურია

ვზივარ და ვფიქრობ, ძმაო ნოდარ: მინდა გავიხსენო ყველაფერი, თუკი ოდესმე რამე შეგშლია — უტაქტო ფრაზა დაგცდენია, უადგილო ხუმრობა გამოგსვლია, უნებლიეთ რაიმე შეცდომა ჩაგიდენია! იქნებ ამან ოდნავ მაინც გაანელოს შენი სიკვდილის ელდა... მაგრამ ვაი, რომ ვერაფერს ვიგონებ ისეთს, შენი დიდი ბიჭობა, შენი კეთილშობილი ბუნება, მთელ ქვეყანაზე შეყვარებული შენი დიდი და მტკივანი გული რომ გადასწონოს, შენი ღიმილი და ცრემლი რომ გადასწონოს! შენი ტომები რომ გადასწონოს! შენი ცხოვრება ხომ მზიან ღამეს ჰგავდა — გაჩაღებულს კაშკაშა სინათლით და დამძიმებულს ათასი განუკურნებელი ნაღველით — დედასთან ორი განშორებით, უსაყვარლესი ბიჭის პატარა ბორცვით, ათასი სხვა სატკივარით... ეს ყველაფერი ეწერა შენი გულის ფიცარზე, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ვეღარ დაიტია ამხელა ნაღველი...

ასე მგონია, ჩემი თაობის მწერლებიდან ყველაზე მეტი შენ იცხოვრე, ყველაზე მეტი სიხარულიც შენ გამოსცადე და ყველაზე დიდი უბედურებებიც შენ დაგატყდა თავს...

შენს მკერდს არ აკლდა არანაირი რეგალია და ჯილდო, შენს გულს — არანაირი ტკივილი...

მწერლის სამარადისო სამყოფელი მისი წიგნია! და შენ შეგიძლია იძინო მშვიდად — შენს წიგნს მარად ეყოლება მკითხველი და დამფასებელი! ნამდვილად სახალხო მწერალი ჰყავდი შენს ხალხს და ქვეყანას, და იმ ნამდვილ სახალხო სიყვარულს, რომლითაც შენი წიგნია გარემოსილი, დრო ვერას დააკლებს!

როგორც არ უნდა იყოს, შენ ჯერ შენს მარად ხუთი წლის ბიჭს მიუხვალ, შენს ედიშერ ყიფიანს მიუხვალ, შენს გურამ ასათიანს, შენს გურამ რჩეულიშვილს, შენს ნოდარ ჩხეიძეს, შენს გულდა კალაძეს, შენს ლაშა ჯანაშიას, შენს თამაზ მელიავას, შენს გიგლა ფირცხალავას მიუხვალ, შენს უკვდავ ბებიას — შენს სესილია თაყაიშვილს მიუხვალ...

შენ არ დაგცალდა, თვალი შეგეეღო შენი კიდევ ერთი შვილიშვილისთვის, რომელიც სულ მალე მოეეღინება ქვეყანას!

შენ არ დაგცალდა, ხელში აგეღო შენი კიდევ ერთი წიგნი, სულ მალე რომ გამოვა სტამბიდან...

მაგრამ შენ მუდამ გწამდა, რომ დაუსაბამო გზა აქვს შენს ნაგრამსა და ნაღვაწს...

ივლი შენ იმ შენს უსასრულო გზაზე, მე კი ჩემი კარის მეზობლების — შენი მანანასა და ნოდარიკოს ყოველ დანახვაზე ისევ ჩამწყდება გული იმის გამო, რომ აღარა გვყავს საამაყო ძმაკაცი, ვისი წიგნიც ჩვენი თაობის ერთი უკეთეს წაგნთაგანია.

იძინე, ძმაო ნოდარ! — შენ ახლა უკეთ ხარ...

**ზურაბ ჯუმბურიძე**

ნაადრევად წავიდა ჩვენგან ნოდარ დუმბაძე — თანამედროვე ქართული მწერლობის აღიარებული ლიდერი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი მეუობარი და უმწიკვლო პიროვნება. სამშობლოს სიყვარულშ/ და მშობელი ხალხის სამსახურში დაიფერფლა მისი კეთილი გული.

სულ ახლახან დასრულდა მწერლის რჩეული ნაწერების გამოცემა სამ ტომად, რომელიც არსებითად მის პროზაულ იხზულებათა თითქმის სრული კრებულია. ნოდარ დუმბაძის რომანებისა და მოთხრობების დიდი ნაწილი თანამედროვე ქართული მწერლობის ოქროს ფონდში შედის. თუ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ეპოქალურმა მოვლენებმა ქართულ პროზაში ღირსეული ასახვა პოვა მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას რომანებისა და მოთხრობების სახით, საუკუნის მეორე ნახევარში ასეთივე როლის შესრულება წილად ხვდა მწერალთა თანამედროვე თაობას, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელიც ნოდარ დუმბაძე იყო.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა გმირების თავგადასავალმა, მკაფიოდ რომ აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში, ჩაქსოვილია თვითონ ავტორის ბიოგრაფია, მთელი მისი ცხოვრების გზა. ეს გზა ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. ბედმა მას არაერთი მწარე დარტყმა მიაყენა, მაგრამ მაინც ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულა, რაკი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ხალასი ნიჭით, რთულმა თავგადასავალმა კი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა, ურომლისოდაც მისი რომანები და მოთხრობები ვერ დაიწერებოდა.

ბედის სიავის მიუხედავად ნოდარ დუმბაძეს ურყევად სწამდა სიკეთის გამარჯვება და მთელი თავისი შემოქმედებით ამ რწმენას ულვივებდა მკითხველს. ნოდარს ყველასთვის მხოლოდ სიკეთე სურდა, ყველას დახმარების ხელს უწვდიდა, ყველას ღიმილით ხვდებოდა.

აუნაზღაურებელია დანაკლისი და მძიმეა გულისტკივილი, რასაც ნოდარ დუმბაძის უდროოდ სიკვდილის გამო განიცდის ყველა, ახლობლებითა და მეგობრებით დაწყებული და რიგითი მკითხველებით დამთავრებული, მაგრამ ყველაფერს სძლევს და გვამხნევებს იმის შეგნება, რომ უკვდავნი არიან ზურიკელა, სოსოია, ბაჩანა რამიშვილი და სხვა გმირები, რომლებსაც გაუნაწილა მწერალმა თავისი გულის სითბო და სიკეთე, თავისი აზრები და მთელი ცხოვრება.

ალექსი

## ფრიდონ ხალვაში

დღეს ყველგან ჩვენს ლამაზ მამულში გლოვაა, გულთა გლოვა.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ყველა სიკეთით შემკული პიროვნება, სათნოებითა და კაცთმოყვარეობით აღვსილი დაუვიწყარი ადამიანი, ნოდარ დუმბაძე.

ასე მგონია, რომ დღეს ნოდარს ყველაზე გულმხურვალედ აჭარის მშრომელები დასტირიან, ბათუმში ყოველ ჩამოსვლას იგი ხომ ცხოვრების ზეიმს ეძახდა. მწარედ მოსთქვამენ დამწუხრებული სარფელი დედები, სადაც ნოდარმა თავისი სამხედრო-შემოქმედებითი ცხოვრების მცირე ნაწილი გაატარა და სადაც დაწერა მშვენიერი რომანი — „ნუ გეშინია, დედა!".

რა ქნას დედამ, როგორ არ იტიროს, როცა ასეთი შვილი გამოეცალა ხელიდან. დასტირიან ნოდარს სარფსგადაღმელ თანამემამულეებიც. დასტირის იქაური მამიდაჩემიც, რომელთან შეხვედრის დროს, ამ არც თუ ისე დიდი ხნის წინ, თვითონ ნოდარს გული დაეწურა.

ნოდარ დუმბაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში. იგი მარადისობაში დასახლდა, მარადისობაში, სიცოცხლეში რომ უმღერა მშვენიერი საგალობელი.

ძვირფასო ნოდარ, შენ ხარ ცოცხალი,
სიკვდილი შენთან როგორ მობედავს!
შენ საქართველო კი არ გშორდება,
შენ საქართველო გემშვიდობება!

## ნინო ჯაფასიშვილი

ამ რამდენიმე წლის წინათ შორეულ გვადელუპაში გახლდით. კარიბის ზღვის ეს პატარა კუნძული — საფრანგეთის ყოფილი კოლონია, ამჟამად მისი ერთ-ერთი საზღვაო დეპარტამენტია. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც ჩემმა გვა-

დელუპელმა ნაცნობებმა კითხვები დამაყარეს ნოდარ დუმბაძის შესახებ და მთხოვეს, როგორმე გამეგზავნა მათთვის რომან „მე ვხედავ მზეს“ ფრანგული თარგმანი.

ჩამოსვლისთანავე შევუსრულე მათ დანაპირები.

ვერა და ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ ამიერიდან აღარ გველოდება საყვარელ მწერალთან, მის ახალ თხზულებებთან შეხვედრის სიხარული.

## ჟურმან ჯგუბურია

დაჯდებოდა, ფეხს მოირთხამდა, ხელებს დაიკრეფდა და დაფანჩული, ხშირი წარბების ტევრიდან გიმზერდა. „ცოტა მოშორებით დაჯექი, ძამა, უფრო კარგად დაგინახავ“. გისმენდა, ყოველი შენი ნათქვამი სიტყვა გადიოდა იმის ცნობიერებას, გულსა და ტვინს, ძარღვებში გაუჯდებოდა, ფიქრს შეერწყმოდა, გარკვეულ ფორმასა და სახეს მიიღებდა და თავისას იტყოდა. ნელა, მშვიდად, სვენებ-სვენებით, და სიტყვა მისი სჯობდა დუმილს.

„მიწა ცაშია, ამიტომაც არის მიწა ღმერთი“.

და მცირე ხნის მერე:

„დოქი ფორმაა, ღვინო — შინაარსი. რომელი სჯობია? აგერ ამ დოქში კახური იდგა. ახლა იზაბელა დგას. რუსთაველსა და ვაჟას ერთნაირი ფორმის ლექსი აქვთ...

სახარებას რომ კითხულობ, უნდა შეისვენო. ერთი ლექსი უნდა წაიკითხო და სული მოითქვა. ასევე უნდა წავიკითხოთ რუსთაველიც. ყოველი სამი სტრიქონის მერე რომ მაკავშირებელი მოდის, რატომ მოდის? იმიტომ, რომ შევისვენოთ:

და

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“.

რაზედაც არ უნდა გესაუბრათ, ყველა თემა მასთან იყრიდა თავს და ყველანი შეუმჩნევლად იმის მხარეზე გადადიოდნენ.

— ხომ არ შეგეშინდა? — გააგრძელა უცებ ანზორ სალუქვაძემ ოდესღაც დაწყებული საუბარი.

„არა“.

ალბათ არ არსებობს მეორე მწერალი დედამიწაზე, ვისაც ი.ავისი მკითხველისათვის ამღენგზის ეთქვას:

„ნუ გეშინია“.

ერთ საღამოს, როცა ბატონი ნოდარის გარშემო ვისხედით ჩვეულებრივ, ოთახში მისი შვილიშვილი, პატარა ნოდარიკო შემოვიდა. ხელში ლურჯი ფლომასტერი ეჭირა და ერცელ', სახატავი რვეულის სუფთა ფურცელი.

— დამიწერე, აგერ, ბაბუა, რაიმე.

ბატონმა ნოდარმა, მახსოვს, მოწაფის ხელით, დიდი გადაბმული ასოებით რვეულის თავფურცელზე „საქართველო“ გამოიყვანა.

„ახლა შენ აიღე, ბაბუა, და ქართველი და ქართული მიუწერე ამ სიტყვას და შენი სამებაც ის იქნება“.

# მოგონებები

## ჩემი ნოდარ დუმბაძე

თბილისიდან ხმები მომივიდა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გიგა ლორთქიფანიძემ, ერთობ საინტერესო სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დადგა, ახალგაზრდა პროზაიკოსის ნოდარ დუმბაძის იმავე სახელწოდების რომანის მიხედვითო. ეს ამბავი სრულიად შემთხვევით შევიტყვე. რას წარმოვიდგენდი, რომ ეს სათაური და ავტორი ბევრს, ძალიან ბევრს განსაზღვრავდნენ ჩემს მომავალ პროფესიულ ბედში.

რომანი ჯერ არ იყო რუსულად თარგმნილი. დიდი დრამატული თეატრის ლიტსაწილის გამგემ, ჩემი თხოვნით, მარჯანიშვილის თეატრიდან პიესის რუსული ვარიანტი გამოითხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღეთ ფურცლების საკმაოდ სქელი დასტა პიესის ტექსტით.

ხარბად წავიკითხე, წავიკითხე და... ვერაფერი გავიგე.

ვიღაც უცნაური ბიჭი, მოხუცები, რომლებიც სულ მუდამ დასცინიან და მასხრად იგდებენ ერთმანეთს, „შექანებული“, ბებია, რომელიც უკანასკნელი სიტყვებით წყეველის შვილიშვილს — სრული უსიუჟეტობა.

ყველაფერმა ამან, ერთად აღებულმა — გულახდილად გეტყვით, ჩემზე აბსურდული ანეკდოტის შთაბეჭდილება მოახდინა, რომელიც, თუ სასაცილოა, მხოლოდ იმიტომ, რომ გაუგებარია.

პიესა გიორგი ტოვსტონოგოვმაც წაიკითხა. შთაბეჭდილება თითქმის იგივე იყო.

მე კი რაღაც არ მასვენებდა. სპექტაკლს თბილისში მეტად აღფრთოვანებული გამოხმაურება ჰქონდა.

1963 წლის აპრილში თბილისში გავემგზავრე. ბილეთი უკან გასამგზავრებლად ორშაბათისათვის მქონდა შეკვეთილი. კვირა თავისუფალი აღმოჩნდა... და მე თბილისის ქუჩებში დაეხეტიალობდი.

ყოვლად უმიზნოდ, რომ შემემოწმებინა, ქართული კითხვა

ხომ არ დამავიწყდა-მეთქი, აფიშას მივუახლოვდი და უცებ თვალში მეცა:

დღეს 12 საათზე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში: ნ. დუმბაძე, გ. ლორთქიფანიძე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" — კომედია 2 მოქმედებად.

ეს იყო შემთხვევა — წარმოუდგენელი იღბალი. სპექტაკლის დაწყებამდე 15 წუთი რჩებოდა. დაწყებას მივუსწარი, დარბაზი სავსე იყო... ფარდა აიხადა... თეატრიდან აღფრთოვანებული გამოვედი. ასეთი ჭკვიანი, კეთილი იუმორით გაცისკროვნებული პიესა, დიდი ხანია, არ მენახა. სპექტაკლიც გადასარევი იყო, ლამაზი, ნათელი, გაისმოდა თავისებური გურული დიალექტი და ეს კიდევ უფრო ათბობდა და მომხიბვლელს ხდიდა იმას, რაც სცენაზე ხდებოდა.

მე შემიყვარდა ნოდარ დუმბაძე და შემიყვარდა, როგორც იტყვიან, ყურებამდე. ქედმაღლობისათვის ვწყევლიდი ჩემს თავს — როგორ შემეძლო არ დამენახა ყოველივე ეს იმაში, რაც ლენინგრადში წავიკითხე? რა თქმა უნდა, ყველაფერი სიტყვასიტყვითი, მძიმე, ყოველივევარ იუმორს მოკლებული თარგმანის ბრალი იყო. მაგრამ მე ხომ ვიცოდი ესა, შემეძლო მივმხვდარიყავი, რა „იმალებოდა" თარგმანის ბიღმა. ხომ შეიძლებოდა, ასე ტყუილუბრალოდ, დაუდევრობის გამო ამ სასწაულს ჩემს გვერდზე ჩაეელო.

წიგნის მაღაზიას ვეცი, რომანის ეგზემპლარი შევიძინე.

რომანი ახლა სულ სხვაგვარად მესახებოდა. მასში უკვე სპექტაკლს ვხედავდი და ველარავითარი ძალა ველარ მომაბრუნებდა ამ გზიდან.

მთელი დღე ვკითხულობდი რომანს, ვაკეთებდი ჩანაწერებს. ჯერ აეროპორტში, მერე თვითმფრინავში. ლენინგრადში ჩასვლისთანავე მივვარდი გიორგი ტოვსტონოგოვთან, აღფრთოვანებულმა ვუამბე სპექტაკლის შესახებ, — ვთხოვე თეე-ნახევრის ვადა მოეცა პიესის რედაქტირებისათვის.

სცადეთ, — მითხრა ტოვსტონოგოვმა.

ყოველ საღამოს ვიქექებოდი რომანში, პწკარედში, ვეძებდი იუმორს, რომელმაც ასე მომაჯადოვა... მერე ძმამ რომანის რუსული თარგმანი გამომიგზავნა.

მე ისინი მესიზმრებოდნენ, მოხუცები და ცულლუტი ზუ-

რიკელა. თან ბუნდოვნად ყალიბდებოდა მომავალი სპექტაკლის ჩანაფიქრი.

დაიწყო სეზონი. გიორგი ტოვსტონოგოვსა და ლიტსაწ�lილის გამგეს დ. შვარცს ზაფხულის ნაშრომი წავუკითხე.

გიორგი ტოვსტონოგოვი მაშინვე გაიტაცა პიესამ... რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი გიორგი პიესას თეატრის დასს უკითხავდა. კითხულობდა გადასარევად. აღიქვამდა ნაციონალური იუმორის კოლორიტს. დასმა პიესა მიიღო. რა თქმა უნდა, იყვნენ სკეპტიკურად განწყობილნიც, მაგრამ ეს ყოველთვის ასეა.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ თეატრის ხელმძღვანელობამ პიესა სარეპერტუარო გეგმაში შეიტანა, 1964 წლის მაისში განხორციელებით.

პიესის დადგმა მე დამევალა. მალე როლები განაწილდა და დაიწყო რეპეტიციები. მხატვრული და მუსიკალური გაფორმების საქმეების მოსაგვარებლად თბილისში გავემგზავრე. ნოდარ დუმბაძეც მაშინ გავიცანი. მასთან სახლში ვიყავი და პიესის ეგზემპლარი ვანუქე. ავტორი რაღაცნაირად მოლიანად ემთხვეოდა თავის შემოქმედებას.

ხდება ხოლმე, გაიცნობ კარგ მწერალს და ვერ წარმოგიდგენია, როგორ შეეძლო მას ასეთი რამ დაეწერა?

ნოდარ დუმბაძესთან ამგვარი ეჭვი არ დაგებადებოდა. ასეთ ადამიანს მხოლოდ ასეთი რამის დაწერა შეეძლო — სხვა არაფრის. რბილი, კეთილი, მომღიმარი და არაჩვეულებრივად თავმდაბალი, — სიმორცხვემდე თავმდაბალი.

— აბა, მე რა დრამატურგი ვარ. ნუ იგონებთ... — და როცა მე დაჟინებით მოვითხოვდი პიესის ამა თუ იმ ეპიზოდის ახსნა-განმარტებას, მორცხვად ბურდღუნებდა:

— მე ყველაფერი დავწერე, ქართულად წაიკითხეთ, რუსულად, არ ვიცი, რა გამოვიდა.

1964 წლის 9 მაისს შედგა პრემიერა. სპექტაკლზე ჩამოვიდნენ ავტორი ნ. დუმბაძე, დამდგმელი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, მხატვარი ი. სუმბათაშვილი და კომპოზიტორი რ. ლალიძე.

ეს დღე ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. აღარ მოვყვები, როგორ მიიღო მაყურებელმა სპექტაკლი, ამაზე ბევრს

წერდა პრესა. რეცენზიებზე შეგვიძლია სათაურების კეთილმოსურნე ტონით ვიმსჯელოთ: „ზურიკო, მისი მეგობრები, მათი სევდა და სიხარული“ („ვეჩერნი ლენინგრად“), „გზა მშვიდობისა“ („სმენა“), „ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ზურიკო“ („ლენინგრადსკაია პრავდა“)...

სპექტაკლმა საკავშირო პოპულარობა მოიპოვა. გადასცემდნენ ტელევიზიის პირველი პროგრამით. რამდენჯერმე წაიღეს მოსკოვში, თამაშობდნენ გასტროლებზე — ბერლინში, პრაღაში, ბრჯნისლავაში, ბუდაპეშტსა და ლონდონში. და ყველგან მაყურებელთა შეუნელებელი ყურადღებით სარგებლობდა.

ახლა, პიესის გამოსვლიდან დიდი ხნის შემდეგ, როცა მისი წარმატების მიზეზებზე ვფიქრობ, ვხვდები, საქმე მხოლოდ სპექტაკლში, მისი იუმორის, დინამიკის, მოქმედების თავისებურებაში კი არა, მეტწილად პიესაში იყო, პიესაში „უკვდავ თემაზე“ — იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები, ზრდიან შვილებს, ბოლომდე აძლევენ ყველაფერს და სამაგიეროდ არაფერს თხოულობენ, როგორ გადასცემენ შვილებს თავიანთი მარადიული სიყვარულის, შრომისმოყვარეობის და ჭეშმარიტი ზნეობრიობის ესტაფეტას, რამეთუ ამას ეყრდნობა კაცობრიობა.

სიყვარული მრავალნაირი არსებობს — ერთბაში, ჭკვიანი, ცივი, სულიერი... სპექტაკლები ბავშვებივით არიან — სხვადასხვა სიყვარულით იბადებიან. ეს „ბავშვი“ ერთი ნახვით შეყვარებით დაიბადა და ცოცხლობდა მხიარულად, იყო ჯანსაღი, ჯანმრთელი და ცელქი. მთელი სულითა და გულით უხაროდა და მაყურებელსაც ამიტომ ახარებდა.

სპექტაკლმა სცენაზე თხუთმეტი წელი იარსება. ჩემი საარეჟისორო პრაქტიკის მანძილზე რვაჯერ მივმართე ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას. რა თქმა უნდა, შეიძლება ეს „ფენომენი“ ვინმემ ჩემი წმინდა პირადული, ბიოგრაფიული მოტივებით ახსნას — თბილისში დაიბადა, იცის ენა, ნაციონალურ კოლორიტს გრძნობსო. მართალია, ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ, მე მგონი, საქმე მხოლოდ ამაში როდია, არამედ მეტწილად ნოდარ დუმბაძის სამყაროს მხატვრულობაში, მის შემოქმედებით მსოფლმხედველობაში — აი ეს არის ჩემთვის ახლო-

ბელი, გასაგები და მუდამ ეს იწვევს საპასუხო ემოციურ იმპულსებს.

დავიწყოთ იქიდან, რომ მისი გმირები მუდამ ლირიკული გმირები არიან. ყველა მისი მოთხრობა და რომანი, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“ „მარადისობის კანონამდე“, პირველ პირშია დაწერილი და ასე თუ ისე, ზოგიერთ სიტუაციებში იმეორებენ იმ ცხოვრებისეულ ზიგზაგებს, რომლებიც თავად მწერალს გამოუვლია. ყველა თავის გმირს, ცულლუტი ზურიკელადან გაზეთის რედაქტორ ბაჩანა რამიშვილამდე, ნოდარ დუმბაძე თითქოს ურიგებს საკუთარი ბიოგრაფიის ფაქტებს და ეს ფაქტები ორიგინალურად ერწყმიან მის მიერ შექმნილი პერსონაჟების ცხოვრებას. ყველა მისი გმირი რაღაცაში აუცილებლად თავად ნოდარ დუმბაძეა. ნოდარის სამშობლოც პატარა სოფელია, მისი მშობლებიც დაიღუპნენ, როცა იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ისიც მეგობრებსა და მეზობლებში გაიზარდა, წერა სტუდენტობის პერიოდში დაიწყო, მაშინ გამოაქვეყნა პირველი რომანიც, ბაჩანა რამიშვილივით მანაც გადაიტანა ინფარქტი (განა მარტო ერთი!!) და მასაც ჰქონდა საშუალება საავადმყოფოს საწოლზე მიჯაჭვულს ეფიქრა სიცოცხლისა და სიკვდილის მარადიულ პრობლემებზე.

ნ. დუმბაძის გმირები ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი წუთითაც არ კარგავენ მათში ორგანულად შერწყმულ იუმორს, მე ვიტყოდი, რომ იუმორი ამ მწერლის მხატვრული აზროვნების სისტემაა.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში სწორედ იუმორისტული მსოფლხედვისა და მაღალი ემოციურობის შერწყმა ქმნის მწერლის იმ განუმეორებელ მანერას, რომელიც ასე მხიბლავს ყველა მის ნაწარმოებში.

არ ვიცი, შევძელი თუ არა დალაგებულად ამეხსნა ჩემი გატაცება ყოველივე იმით, რასაც ნოდარ დუმბაძე წერდა, მაგრამ სწორედ ეს განსაზღვრავს ურყევ ინტერესს, რომელიც წლების მანძილზე კი არ სუსტდება, არამედ სულ უფრო და უფრო ძლიერდება.

ნოდარ დუმბაძე დღეს არის პოპულარული, განთქმული, საზელმოხვეჭილი, რომან „მარადისობის კანონისათვის“ ლენინური პრემიით დაჯილდოებული. მსოფლიოს მრავალ ენაზე

თარგმნილი მწერალი. მაგრამ მაშინ, როცა მე „ბებია“ დავდგი, ხომ მსგავსი არაფერი ყოფილა, მე კი იგი სწორედ მაშინ მომეწონა და დღემდე მომწონს.

„ბებიის“ პრემიერის დღეებში მისი ახალი წიგნი „მე ვხედავ მზეს“ წავიკითხე. ცოტა ხანში გამოჩენილი დრამატურგის ლ. ზორინის მიერ თარგმნილი პიესაც გაჩნდა. პიესა მაშინვე დაიდგა მოსკოვში. ჩემთვის გზა გადაიკეტა.

მე კი ისე მიწდოდა დამედგა პიესა! ვიცოდი, ვხედავდი, როგორ უნდა დამედგა იგი, საკითხის წამოყენება ამ პიესის მესამეჯერ განხორციელების შესახებ, როცა მას ორ სერიოზულ თეატრში წარმატება არ ჰქონია, უაზრობა იყო, ამ იდეას არავინ არ დაუჭერდა მხარს. ახლა უკვე ამაზე გულახდილად შეიძლება საუბარი — „მოვლითი მანევრი“ ჩავატარე (ხანდახან ეშმაკობაც გვჭირდება — „რეჟისორულ დიპლომატიას“ ეძახიან), გავაკეთე თარგმანის რედაქცია. რაღაც-რაღაცები შევამოკლე, ვისარგებლე მთავარი რეჟისორის უფლებებით, შევკრიბე დასი და ისე, სხვათა შორის, „ცნობისათვის“, რეპერტუარისაგან დამოუკიდებლად, პიესა წავუკითხე.

სწორედ ამ დროს (1967 წ.) ეძებდნენ პიესას, ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეოდ. გაისმოდა სხვადასხვა სათაურები, მაგრამ საბოლოო არცერთი არ იყო. „მე ვხედავ მზეს“ გახლა გამოსავალი და დასმა ერთხმად მიიღო პიესა, „თითქმის“ ერთხმად, რადგან, როგორც ყოველთვის, ვიღაცას არ მოეწონა, ვიღაცამ პიესას „კეთილი ზღაპარი“ უწოდა. მე არ შევკამათებივარ. და ისინიც, ვისზეც პიესის რეპერტუარში შეტანა იყო დამოკიდებული, იძულებულნი გახდნენ ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო დღეების აღსანიშნავად პიესა თეატრის რეპერტუარში ჩაერთოთ.

სასწრაფოდ დავუკავშირდი ნოდარ დუმბაძეს — მინდოდა გამეხარებინა, რეაქცია საოცრად მოულოდნელი იყო.

— ძალიან გთხოვთ, ბატონო რუბენ, არ გინდათ, არაფერი გამოვა, ქართულად გამოდის, რუსულად კი არა.

— როგორ, „ბებია“ ხომ გამოვიდა? თქვენ ხომ თავად ნახეთ.

— „ბებია“ გამოვიდა, ეს კი არ გამოვა, არ გინდათ, ძალიან გთხოვთ.

მე ჯიუტად მოვითხოვდი. ყოველგვარი სურვილის გარეშე, ბევრი წუწუნის შემდეგ თანხმობა მივიღე.

— კარგით, დადგით! მაგრამ არაფერი გამოვა. მხატში არ გამოუვიდათ, ლენინგრადში არ გამოუვიდათ, მე ვიცი, მეგობრებმა მომწერეს. წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მეშინია, რომ არაფერი გამოვა.

ბატონ ნოდარს ვთხოვე, თანხმობის ოფიციალური წერილი მოეწერა. ამოიოხრა და წერილის მოწერაზე დამთანხმდა.

რამდენიმე დღის შემდეგ წერილი მივიღე. ვათარიღებ წერილს შტამპის მიხედვით — 1967 წლის 30 მაისი:

პატივცემულო რუბენ სერგეის ძე!

თქვენი თხოვნის პასუხად, იმის შესახებ, რომ ჩემი პიესა „მე ვხედავ მზეს" დაიდგას ვ. ფ. კომისარჟევსკაიას სახ. დრამატულ თეატრში, შემიძლია გითხრათ:

1. მე თანახმა ვარ თქვენი წინადადებისა იმ სცენების თავისუფალ ინსცენირებაზე, რომლებიც არ შეეიდნენ ლ. ზორინის რედაქციაში.
2. თანახმა ვარ პიესას შეეცვალოს სათაური, ქვესათაურით „ნ. დუმბაძის რომანის „მე ვხედავ მზის" მიხედვით". სათაური სპექტაკლზე მუშაობის პროცესში ჩამოყალიბდება.

წარმატებებს გისურვებთ.

პატივისცემით ნ. დუმბაძე.

წერილის მშრალი, ოფიციალური ტონი ჩემთვის გასაგები იყო. ნოდარმა ვერ დასძლია მერყეობა „გამოვასა და არ გამოვას" შორის. „თეატრალური ბორბალი" მთელი ძალით დატრიალდა. რეპეტიციები „სრული სვლით" მიმდინარეობდა. სპექტაკლი უკვე იხატებოდა. სათაური კი ჯერ კიდევ არ გვქონდა. შევწერე ნოდარ დუმბაძეს, რომ „დრო აღარ ითმენდა", საჭირო იყო მოგვეძებნა სათაური და პასუხიც მივიღე:

პატივცემულო რუბენ!

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ქართველები მამისსახელით არ მიმართავენ. გთხოვთ, მომავალში მეც მამისსახელის გარეშე მომმართეთ — მე ეს დავიმსახურე.

მწერალთა ყრილობიდან ჩამოვედი, შინ თქვენი წერილი

დამხვდა, ძალიან გამეხარდა. არ გეგონოთ, რომ განზრახ ვდუმ-ვარ, არა, მე დიდი ხანი სოხუმში, აგარაკზე ვიყავი, ახლა კი, მთელი თხუთმეტი დღე, ყრილობაზე. ასე რომ, საპატიო მი-ზეზი მაქვს.

ძვირფასო, რუბენ, ბევრი ვიფიქრე პიესის სათაურზე და ამაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე: „ცა რომ სარკე იყოს", ან „ხატია".

ბედნიერი ვარ, რომ მთელი დასი ასეთი გატაცებით მუ-შაობს. ეს, რა თქმა უნდა, თქვენი დამსახურებაა.

დიდი მადლობა, ბატონო რუბენ. გთხოვთ, გულთბილი სა-ლამი გადასცეთ ჩემგან მთელ კოლექტივს..

ღრმა პატივისცემით, თქვენი ნოდარ დუმბაძე.

სათაური „ცა რომ სარკე იყოს" მომეწონა. მასში რომანის გულუბრყვილო პოეზია და ყოვლისმომცველი ჭაბუკური ოცნება გამოსჭვიოდა.

აი, ასე, ამ სათაურით მიდიოდა სცენაზე სპექტაკლი 1967 წლიდან 1983 წლამდე — თექვსმეტი წელიწადი! მოვხსენით სპექტაკლი სცენიდან დიდი გულისტკივილითა და სინანულით — მთავარი გმირები (უკვე მეორე წყვილი) ნოდარი და ხატია მოზარდებზე „ველარ ქაჩავდნენ". სპექტაკლმა თავისი საქმე გააკეთა, თავისი როლი შეასრულა თეატრის ბიოგრაფიაში, მისი ექსპლოატაცია უკვე შეუძლებელი იყო.

პიესის მიმართ შეიძლება სხვადასხვანაირად განეწყო: შე-იძლება „კეთილ ზღაპრად" ჩათვალო, შეიძლება აღფრთოვანდე მწერლის კეთილშობილებით, ადამიანობითა და სიწრფელით. მაგრამ ერთი რამ ყოვლად უეჭველია: ბრძნული უბრალოება და სიცოცხლის ნათელი სიხარული.

მე მას გატაცებით ვდგამდი. ჩემი ესმოდათ და ჩემს გატა-ცებას იზიარებდნენ მსახიობები.

პრემიერა 1967 წლის 2 ოქტომბერს შედგა. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ნოდარ დუმბაძე სპექტაკლზე ვერ ჩამო-ვიდა.

1968 წელს „პრავდაში" დაიბეჭდა ს. ცუმბალას თეატრა-ლური მიმოხილვა სათაურით „ძიების გაგრძელება", სადაც იგი წერდა:

„ამ ბოლო ხანებში საინტერესოდ მუშაობს ლენინგრადის კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრი... თეატრმა მიმართა ნოდარ დუმბაძის ლირიკულ დრამას „ცა რომ სარკე იყოს". პიესა მაყურებელს იზიდავს ჭეშმარიტი ადამიანური სითბოთი, ხასიათების ბრძნული გულუბრყვილობით და იმ განსაკუთრებული ფსიქოლოგიური კოლორიტით, რომელიც დამახასიათებელია ქართული დრამატურგიული პოეზიისათვის. პიესაში ასახული ომის პერიოდის პატარა სოფლის ცხოვრების სურათებში ერთმანეთს ერწყმის ომის უბედურება და სიმამაცე, მწარე სევდა და უეშმაკო ხუმრობა, კეთილშობილური ადამიანური ნდობა და შეუდრეკელი სიმხნეე. სცენაზე დაძაბული დრამატიზმისა და ნათელი, ამაღელვებელი სიცოცხლისმოყვარეობის ატმოსფეროა შექმნილი".

1969 წელს კუიბიშევში სსრკ ხალხთა დრამატურგიის ფესტივალი გაიმართა, რომელშიც ჩვენი თეატრიც მონაწილეობდა. სპექტაკლისათვის „ცა რომ სარკე იყოს" ჟიურიმ პირველი ადგილი და პირველი პრემია მოგვანიჭა.

შემოქმედებითი ურთიერთობა ნოდარ დუმბაძესთან ნაყოფიერი აღმოჩნდა თეატრის კოლექტივისათვის და ჩემთვისაც. მან ხელი შეუწყო მხატვრული თანამშრომლობის, ერთსულოვნების შექმნას, რაც ასე ძვირფასია ყველა თეატრალური ორგანიზმისათვის. და ამიტომაც 1971 წელს ჩემი ახალი მიბრუნება ნოდარ დუმბაძისადმი დასმა ჩემს კანონზომიერ ნაბიჯად მიიჩნია. ეს იყო სასცენო კომპოზიცია მისი რომანის „ნუ გეშინია დედას" მიხედვით. ამჯერად პიესის მთარგმნელი მე ვიყავი. ახლა მე ახალი საქმე გამიჩნდა, ყოველდღე რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონებში ჩაფლული ორი, სამი საათი მაგიდას ვუჯექი და პიესას რუსულ ენაზე ვთარგმნიდი. როცა ეს მძიმე სამუშაო დავამთავრე, ნოდარს დიდი წერილი გავუგზავნე, რომელშიც საკმაოდ ზუსტად ჩამოვაყალიბე ყველა ის ცვლილება და ზოგიერთი ჩანაფიქრი, რაც მომავალ პიესაში შევიტანე.

ნოდარს ჩემი „ნაცოდვილარი" მოეწონა. პრესამ, კრიტიკამ, მაყურებელმა ერთხმად მიიღო სპექტაკლი, მისი სცენაზე დიდი ხნის სიცოცხლე შემთხვევითი არ ყოფილა. სპექტაკლი თითქმის ათი წელიწადი მიდიოდა ჩვენს სცენაზე და მხოლოდ

იმიტომ მოიხსნა რეპერტუარიდან, რომ მთავარი გმირი ძალიან გაიზარდა.

პრემიერაზე ჩამოვიდა ნოდარ დუმბაძე. ნახა თავისი ორივე სპექტაკლი „დედა“ და „სარკე“, მერე დიდხანს საუბრობდა დასთან, პასუხობდა შეკითხვებზე, მადლობას გვიხდიდა შრომისათვის.

ნოდარ დუმბაძის პროზის სცენაზე განსახიერების ზედიზედ ორმა წარმატებამ ძლიერ შთამაგონა და მისი რომანის „მზიანი ღამის“ ინსცენირებას შევუდექი. რა თქმა უნდა, ავტორს თანხმობა ვთხოვე და მივიღე კიდეც.

გამარჯობა, ძვირფასო რუბენ!

მივიღე შენი წერილი.

მე იმდენად დავალებული ვარ თქვენგან, ჩემი შემოქმედებისადმი ასეთი ყურადღებით და იმდენად მადლობელი ვარ თქვენი, რომ შეგეძლოთ ჩემი თანხმობის გარეშეც გაგეკეთებინათ „მზიანი ღამის“ ინსცენირება. მაგრამ რახან არ იშლით, „ნებას გრთავთ“!..

დიდი პატივისცემით, ნოდარ დუმბაძე.

რამდენიმე თვე ვეცადე „შემექმნა“ ინსცენირება, მაგრამ არაფერი გამომივიდა. სამი სხვადასხვა ვარიანტი გავაკეთე და ვერც ერთი მათგანი ვერ წავუკითხე ვერავის. და ასე დევს ეს ვარიანტები ჩემს არქივში. წაუკითხავი, როგორც სევდიანი მოგონება, რომ კეთილ ზრახვებს ყოველთვის არ უწერიათ ლირსეული ხორცშესხმა.

მაგრამ არა უშავს, უიღბლო ნამუშევარი, მაინც ნამუშევარია. რამდენიმე სცენა „მზიანი ღამიდან“ უფრო გვიან, წლების შემდეგ, „მარადისობის კანონის“ ინსცენირებაში შევიდა. ეს უფრო გვიან მოხდა, 1973 წელს კი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ნ. დუმბაძის ახალი რომანის „თეთრი ბაირაღების“ ინსცენირება ვნახე. გზა გაკეთალული იყო — ნოდარ დუმბაძისაგან თანხმობა მივიღე, შემექმნა „თეთრი ბაირაღების“ თარგმანი და ინსცენირება. 1974 წლის მაისში კი სპექტაკლი გავუშვი.

ერთი შეხედვით „თეთრი ბაირაღები“ მკვეთრად განსხვავ-

დება ყველაფრისაგან, რაც ნოდარ დუმბაძეს ამ რომანამდე დაუწერია. მაგრამ ეს ზედაპირული, წმინდა „სიუჟეტური“ შთაბეჭდილებაა. სინამდვილეში კი შემოქმედებითი სიღრმე იგივე დუმბაძისეულია, უშრეტი იუმორი ყველაზე დრამატულ სიტუაციებში და საოცარი ყურადღება ადამიანის სულიერი სამყაროსადმი.

და თუმცა სიამოვნებით ვმუშაობდით, შევძელით გვეგრძნო საინტერესო ხასიათები, ახლა, წლების შემდეგ, ვხედავ, რომ სპექტაკლი არც ისე კარგი იყო. თითქოს, გარეგნულ მხარეს არა უშავდა, მაგრამ ჩვენ (პირველ რიგში მე) ვერ შევძელით რომანის ძირითადი ზნეობრივი ნერვის გამოვლენა. ჟანრობრივმა სცენებმა, იუმორით სავსე დიალოგებმა, პარადოქსულმა სიტუაციებმა გაგვიტაცა, ძირითადი კი, რასაც სხვადასხვა სცენები ერთ წერტილში უნდა მიეყვანა, ვერ ვიპოვეთ.

ამ „ნახევრადწარმატების“ შემდეგ ექვსი წელი აღარ მიმიმართავს ნოდარ დუმბაძის პროზისათვის. როცა მისი ახალი რომანი „მარადისობის კანონი“ დაიბეჭდა, მე იგი ყურადღებით წავიკითხე და გვერდზე გადავდე. ეს რომანი ინსცენირებისათვის გამოუსადეგარი მეჩვენა, თუმცა იმას კი მაშინვე მივხვდი, რომ ნაწარმოები გადასარევად იყო დაწერილი და მთავარი გმირი აშკარად ნოვატორული იყო. ასეთი ადამიანური ტიპი საბჭოთა ლიტერატურაში აქამდე ჯერ არავის შეექმნა.

ასე გაგრძელდა, სანამ რაღაც უცნაური ზეშთაგონების ძალით ჩემს წარმოდგენაში არ დაიხატა მთელი სპექტაკლი. დავჯექი და თითქოს ვიღაც მკარნახობსო, დავწერე მომავალი პიესის გეგმა და ნოდარ დუმბაძეს გავუგზავნე.

თანხმობას დიდხანს არ დაუყოვნებია. ორ კვირაში პიესის გაკეთება შევძელი, 1980 წელს კი დავდგი.

რომანისათვის „მარადისობის კანონი“ ნოდარ დუმბაძეს ლენინური პრემია მიენიჭა, სპექტაკლი კი ბევრად უფრო ადრე დაიდგა, დღემდე ვთამაშობთ და კიდევ დიდხანს ვითამაშებთ.

ამბობენ, სცენას ისეთი გმირი ესაჭიროება, რომელიც მიბაძვის ღირსია. არ ვიცი, შეიძლება თუ არა მიბაძო ისეთ გმირს, როგორიც ბაჩანა რამიშვილია, როცა იგი ინდივიდუალური და განუმეორებელია.

არ დავმალავ — მინდა რომ ადამიანები, რომელთაც ცხოვ-

რების მანძილზე ვხვდები, ისეთივე უანგარონი, კეთილნი, მკაცრნი, შეურიგებელნი, უკომპრომისონი, კეთილისმსურველნი და მოწყალენი იყვნენ, როგორებიც ნოდარ დუმბაძის გმირები არიან.

ვფიქრობ, ნოდარ დუმბაძისადმი ჩემი სიყვარულის ახსნა არ არის საჭირო — ისედაც ყველაფერი ნათელია. რა ბედნიერებაა, რომ ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე შევხვდი მწერალს, რომელიც ასე ახლობელია ჩემთვის, მთელი მისი შემოქმედებით, რომ მე მას შეუცდომლად ვცნობ ერთი ფრაზითაც კი.

დაბოლოს, კიდევ ერთი დუმბაძისეული „ნოველა". 1972 წელს ჩვენს თეატრს გასტროლები ჰქონდა ამიერკავკასიის დედაქალაქებში — ბაქო, თბილისი, ერევანი.

განსაკუთრებით თბილისის გასტროლები მაღელვებდა — რეპერტუარში ხომ ნოდარ დუმბაძის ორი პიესა იყო — „ცა რომ სარკე იყოს" და „ნუ გეშინია, დედა".

ნოდარ დუმბაძე სპექტაკლზე ვერ მოვიდა, დარბაზში ისხდნენ მისი მეუღლე და ქალიშვილები. და როცა ფინალში ტაშმა იქუხა, მსახიობებმა სცენ.ზე გამომიყვანეს და მე საზოგადოებას ნოდარ დუმბაძის ჩვენი თეატრის კოლექტივისადმი მოწერილი წერილი წავუკითხე, რომელიც სპექტაკლის დაწყებამდე მისმა მეუღლემ გადმომცა.

ძვირფასო რუბენ!

მოგესალმები მთელი, ჯერ კიდევ ვრცელი მიოკარდიანინფარქტიანი გულით. გისურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებებს, დიდ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ძალიან მაღალ წნევას მაყურებლებისაგან. ვწუხვარ, რომ სპექტაკლს ვერ ვეწრები და არ შემიძლია კიდევ ერთხელ დავტკბე თქვენი არაჩვეულებრივი თამაშით, თქვენი უზარმაზარი, ჭეშმარიტი ოსტატობით, რადგან ექიმები, ჩვენ, ინფარქტიანებს, მარტო უარყოფით კი არა, დადებით ემოციებსაც გვიშლიან.

გეხვევით ყველას, რამპის გამნათებლიდან მეგარდერობეს ჩათვლით და მაგრად გკოცნით.

ყოფილი ჯანმრთელი და ავტორი
თქვენი ნოდარ დუმბაძე.

1. XII. 72 წ.

ამ ჩამოსვლაზე ნოდართან შეხვედრა არ მოხერხდა.

არ შემიშვეს. მაგრამ იგი საქმის კურსში იყო, იცოდა, როგორ მიდიოდა გასტროლები, თვალყურს ადევნებდა პრესას, პირველმა მომილოცა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება და როგორც ყოველთვის, თავისებურად იხუმრა:

— ბრძანებულებაში წერია „დიდი ღვაწლისათვის საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში". თქვენ არ დაიჯეროთ, რუბენ, ძვირფასო! ეს პირადად ჩემდამი დიდი ღვაწლისათვის დაგაჯილდოვეს.

მოუთმენლად ველოდი ნოდარის ახალ ნაწარმოებებს, რათა კვლავ შევხებოდი მის ყოვლისშემძლე იუმორს და დაუშრეტელ სიცოცხლისმოყვარეობას.

არა, აღარ მომიწევს...

ნოდარის გარდაცვალების ამბავი ბუდაპეშტში გავიგე. სპექტაკლის შემდეგ კულისებში მსახიობებთან ვსაუბრობდი, კუთხეში უხმოდ ციმციმებდა ტელევიზორი და უცებ: ნაცნობი სახე შავ ჩარჩოში...

არა მარტო საქართველომ — მთელმა ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ნათელი, თვითმყოფადი მხატვარი — ერთ-ერთი ყველაზე თავისებური, განსხვავებული მოვლენა საბჭოთა მრავალეროვან ლიტერატურაში.

მე კი სამუდამოდ დავკარგე ჩემი საყვარელი ავტორი...

**ავთანდილ ადეიშვილი**

## მარადიული სიცილის ბატონ-პატრონი

ოც წელს ვიყავი გადაცილებული და მაინც ვერ ვახერხებდი ჟურნალ „ნიანგში" ერთი მინიატურის დაბეჭდვასაც კი... ვიყავი ჭირვეული და აბეზარი ავტორი, რაც ტეინიდან გამომიქროდა, ყველაფერს რედაქციაში მივარბენინებდი. პასუხი ერთი იყო: თქვენი ნაწარმოები მოკლებულია იუმორს... წყალ-

წაღებული კაცი ყველაფერს იფიქრებს, იქნებ გვარის გამო მიწუნებენ-მეთქი და ფსევდონიმით მიეტანე თემები ანუ ტექსტები ნახატი კარიკატურებისათვის. ბედი არ გინდა?! მოეწონათ და დამიბეჭდეს, თუმცა ჰონორარი არ მომცეს — ამის ავტორი შენ არ იქნებიო! მერე კვლავ ჩემი გვარით მიმქონდა იუმორესკები, კვლავ ვიღებდი პასუხს, — მოკლებულია იუმორს. ამან ისე გამაწბილა, რომ ო' ჰენრის ბევრისთვის უცნობი იუმორისტული მოთხრობა ვთარგმნე და ჩემად მივასაღე რედაქციას იმის გასაგებად, მართლა ჩემი გვარი იყო ჩემი იუმორესკების დაწუნების მიზეზი, თუ... ისე, თუ ო' ჰენრისაც დაიწუნებდნენ, გულს დავიმშვიდებდი, საერთოდ, კარგი არ მოსწონთ-მეთქი.

ყოველდღე ვაკითხავდი რედაქციას და მაინტერესებდა ჩემს მიერ მითვისებული „ნაწარმოების" განაჩენი. ერთხელაც, რედაქტორთან რომ შევედიოდი, კარის ზღურბლთან ულვაშჩამორკალური, ხშირწარბა, პირმოცინარი კაცი შემომხვდა:

— ვინა გნებავთ? — მკითხა მან.

— მე რედაქტორი მნებავს.

— მე ვარ, ძამა, რედაქტორი!

— გუშინ რომ სხვა იყო?!

— „ერთი წავა და სხვა მოვა!.."

მე კაბინეტში შევყევი, ის ულვაშჩამორკალური მთავარი რედაქტორის სკამზე დაჯდა და მკითხა:

— ძამა, რა გვარი ხარ შენ?

— მე, მე იუმორესკა მაქვს მოტანილი!..

— რა გვარია შენი იუმორესკა?

მე გამეღიმა და ისე ვუპასუხე:

— გოჭური ეთიკა.

მთავარმა რედაქტორმა მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებში ძებნა დაიწყო, იპოვა კიდეც და კითხვას შეუდგა, რომ ჩაათავა, თვალებში შემომხედა და ირონიული ღიმილით მითხრა:

— ოჰ, შე ოხერო, განა შეიძლება სხვის ჯიბეში ხელის ფათური?

მე ყოველივე ავუხსენი. მან ჩაიღიმა:

— კარგია, ხუმრობა-ოინბაზობა ჩაგიფიქრია, ასეთი ფანტაზიებით თუ დაწერ, მომავალში შეიძლება შენს იუმორესკაზე ო'ჰენრიმ წაიცდინოს ხელი. ისე, ძამა, მაგი რთული საქმეა!

მახსოვს, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში შევიარე (ახლა უკვე „არამზაკვრული“ მისიით, ჯვეგე დუმბავასთან აღარ სჭირდებოდა კაცს სამართლის ძებნა, იცოდა ფასი ჯანსაღი ხუმრობისა). ბატონი ნოდარის კაბინეტის კარის შესასვლელთან გაკრულ განცხადებას შევაჩერდი. — „მიღება ორშაბათობით, 3-დან 4 საათამდე“. ოთხშაბათი იყო, უკან გაბრუნებას ვაპირებდი, რომ ბატონ ნოდარს თავისი ჩაფსკვნილი ტანით ზურგიდან არ ჩაეკეტა ჩემთვის გზა.

— ძამა, აი წარწერა ავტორებს მიფრთხობს, უნდა ჩამოვსხნა, ახლა შენისთანა კაცს რომ სამშაბათს თავში ხუმრობა მოუვა, ორშაბათამდე როგორ დაიტიოს, ამ ხანში შეიძლება თავიდანაც გაუფრინდეს და ერთი კარგი ხუმრობა მოაკლდეს ჩემს ერს.

სულ რაღაც ორი კვირის წინ მის გარდაცვალებამდე ბატონ ნოდარს საავადმყოფოში ვესტუმრეთ ცნობილი პოეტი ემზარ კვიტაიშვილი და მე.

ბატონი ნოდარი აივანზე საკარძელში ისვენებდა, ვეურდით მეუღლე ეჯდა. ქალბატონმა ნანულიმ მე რომ დამინახა (იცოდა ჩემი და ბატონ ნოდარის ემოციური საუბრის ამბავი), მკითხა:

— შენ აქ რამდენი წუთით შემოგიშვებ?

მე ნოდარს შევაჩერდი, თვალებით შველას გამოვთხოვდი, მან თავი დამიქნია... მე მის მეუღლეს ვუპასუხე:

— არც ერთი წუთით!

ბატონ ნოდარს ჩაეღიმა და მითხრა:

— დაჯექი არც ერთი წუთით! ბიჭებო, თუ ამ ტკივილების გვირაბიდან გავძვერი, მერე მე ვიცი!

დიახ, ბევრ მამულიშვილურ საქმეს გააკეთებდა, რომ დასცლოდა. იგი ყოველთვის იყო ახალგაზრდების ქომაგი და მათი ნიჭის გამცისკროვნებელი. მერე ხშირად მეკითხებოდა: „ძამა, „ნიანგში“ ახალგაზრდა ნიჭიერ ავტორებს ხომ არ ჩაგრავთ? თქვენ იმიტომ კი არ ხართ „ნიანგში“, მარტო თქვენ წეროთ! ფრთხილად! წერამ არ აგიტანოთ! იუმორისტული ჟურნალი მაშინ არის ჯანსაღი და ხალასი, როცა ახალგაზრდულია!

## ფიქრი ნოდარ დუმბაძეზე

მისი გახსენება, ერთდროულად მტკივნეულიცაა და სასიხარულოც. მტკივნეული იმიტომ, რომ ჩემი თანატოლი, ომის პირმშო, ჩვენ შორის აღარ არის. სასიხარულო კი იმიტომ, რომ იგი არსებობდა და ამ ქვეყნად თავისი არსებობით გაგვაბედნიერა.

ერთმა ქართველმა კრიტიკოსმა ჩემი ასრით მშვენიერად თქვა: „ჩვენ გადავეჩვიეთ სიცილს, და აი, მოვიდა ნოდარ დუმბაძე“.

მხიარულება, ხალისი, ფანტასტიკა — ხალხური სასიათის ეს თვისებები მოიტანა ნოდარმა ლიტერატურაში. მოვიდა და თან მოიყვანა ერთი შეხედვით უჩვეულო, უცნაური პერსონაჟები, რომლებიც თითქოსდა სულაც არ გვანან გმირებს. მაგალითად ზურიკელა, ბიჭი, რომელიც მუდამ მზადაა მოულოდნელად, ყველაზე შეუფერებელ დროს გადაიხარხაროს და ამით დაარღვიოს სიტუაციის სერიოზულობა, ანდა უწესობა ჩაიდინოს ევრეთწოდებულ წესიერ საზოგადოებაში, გაიცინოს იმაზე, რაც „წმინდაა“, თაყვანისცემის ღირსია. ასეთი გმირები, — ზურიკელა, ბებია, ილიკო და ილარიონი — ნოდარისაგან იმის თავდებობას მოითხოვდნენ, რომ ცუდს, არაბუნებრივს არაფერს ჩაიდენდნენ.

ღიმილი არ ამცირებს ტრაგედიას, პირიქით, ხელოვნების, ხალხური ეპოსის მწვერვალებამდე აჰყავს იგი. გულახდილად ვიტყვი, შემძრა ბებიის გარდაცვალების ეპიზოდმა, ქალისა, რომელმაც იცის რომ კვდება, უკანასკნელად ჰკოცნის შვილიშვილს, მაგრამ ამას ისე აკეთებს, რომ არ შეაშინოს იგი, არ განაცდევინოს მის სულს არყოფნის საშინელება.

უბრალოება გვანცვიფრებს, მაღალ გრძნობებს აღძრავს. ადვილი როდია ლიტერატურაში ანალოგიის გამონახვა, რათა ურთულესზე ასე უბრალოდ, ბრძნულად და ნათლად ილაპარაკო. მე მგონია, რომ ეს ნოდარის კეთილშობილების, ადამიანურობის მაგალითია.

ადვილი სათქმელია, მაგრამ ეს ხომ საოცრებაა, რომ ომმა ვერ გააბოროტა ნოდარ დუმბაძის გმირი. პირიქით, უფრო ღრმა,

ყოვლისმომცველად აქცია მისი სიყვარული ადამიანებისადმი, ოღონდ იგი ამას თავშეკავებულად გამოხატავდა. ნოდარი ბევრს მიხვდა და რაც მთავარია მიხვდა უბრალო ადამიანის სიდიადეს, რაც ასე მძაფრად გეიჩვენა თავის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი თავის საუკეთესო მოთხრობაში „უმადური“.

ნოდარ დუმბაძე ჩემთვის ასლობელია სიცოცხლის შეგრძნებით, იმის რწმენით, რომ რეალური ცხოვრება მხოლოდ მაშინაა სისხლსავსე და აზრიანი, როცა მასში იღვიძებს მითის ხსოვნა, როცა მისთვის უცხო არ არის ზღაპარი და არც რცხვენია მისი აღიარება. და კიდევ იმით არის ახლობელი, რომ ბავშვობა, თუ ადამიანს ახსოვს იგი და არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს მას, აყალიბებს მის პიროვნებას... ყოველივე ეს განსაზღვრავს მის დიაპაზონს და რაც უფრო ფართოდება მისი თვალსაწიერი მით უფრო თანამედროვეა ადამიანი, რამეთუ მასში დაუოკებელია ჰარმონიულობისაკენ სწრაფვა. ასეთი იყო თავად ნოდარი, დელიკატური, დახვეწილი ადამიანი, მოულოდნელი ღიმილით, სიხარულით რომ გვასაჩუქრებდა ყველას, ღიმილით, რომელიც ასე აუცილებელია ყოველთვის.

ელგუჯა ავაუკელი

## „ბაჯაღლო მზისგან დამწიფებული

ნოდარ დუმბაძე მხოლოდ თავის თავს გავდა. ამიტომ იყო მისთვის უცხო შურის გრძნობა. საკუთარ გულისცემას მიყურადებული, სიხარულისა და ბედნიერების წყაროს თავის თავში ეძიებდა და პოვებდა. ამიტომ მის ყველა ლიტერატურულ გმირს ნოდარის გული უცემს, მისი ჰაერით სუნთქავს იგი და მისი თვალებით უმზერს სამყაროს.

რაც უზენაესმა ნოდარს ერთი სიცოცხლისათვის უწილადა, მან უშურველად გაუყო ადამიანებს, სულიერი და მიწიერი ბედნიერებისათვის. შესაძლოა, ამით ბევრი დააკლო საკუთარ თავს ფიზიკურად, მაგრამ საზღაურად ყველაზე დიდი და შეუცველი

ბედნიერება — მშობლიური ხალხის სიყვარული მოიპოვა. ცოტა მეგულება ადამიანი, ღმერთს ისევე უხვად რომ დაეჯილდოვებინოს სიყვარულისა და სიკეთის გაცემის ნიჭით, როგორც ნოდარი და ამავე დროს „დაესაჯოს". იქნებ ეს სიტყვა — „დაესაჯოს" — არ ესადაგება ნოდარის სიცოცხლის მაგალითს, რომელიც მის მიერვე აღმოჩენილი „მარადისობის კანონით" დამკვიდრდა დროსა და სივრცეში მარადიულად და იქცა ერის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

ის ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან ფიზიკურად, მაგრამ მისი სულის ორეული ძველებურად, ზოგჯერ ჯანსაღი სიცილით, ზოგჯერ თვალცრემლიანი, ისევ დააბიჯებს ჩვენს გვერდით.

თანამედროვე კულტურული ცხოვრების სინამდვილეს ნოდარ დუმბაძის სახით ის პიროვნება დააკლდა, საზოგადოებიდან საკუთარი ნებით განმარტოებულ „სერიოზულ" მოღვაწეებს დროდადრო ვარსკვლავებით მოჭედილი ცისაკენ რომ აახედებდა, ნათელი, თბილი იუმორით საკუთარ ადამიანურ რაობას რომ შეახსენებდა. ნოდარი ჯანსაღი, ღრმა, ზოგჯერ ცრემლშერეული იუმორით სხვებზე მძაფრად გრძნობდა თანამედროვე ადამიანის ტრაგედიას, იმ ადამიანისა, საკუთარ თავში დონ კიხოტს ზურგი რომ შეაქცია და სტიქიურად თვითმკვლელობის ზღურბლთან აღმოჩნდა. გრძნობაატროფირებულმა ჰომოსაპიენსმა ხის იმ ტოტს რომ დაუწყო მოჭრა, რომელზედაც იჯდა.

ნოდარს სჯეროდა და ჩვენც გვჯერა, რომ ადამიანის გონებამ როგორც არ უნდა შეავიწროვოს, გრძნობა მაინც არ დაკარგავს სიცოცხლის გამართლების უპირველეს ნიშანს — იუმორის ნიჭს და თავის ფიზიკურ სამყოფელს — დედამიწას დასაღუპავად არ გაიმეტებს.

ნოდარს ყოველთვის სწამდა, რომ სიყვარულისა და სიცოცხლის ძალის დათრგუნვა რაიმე სხვა საწინააღმდეგო ძალით შეუძლებელია. სიყვარულისა და სიცოცხლის ძალა მათ უსასრულობაშია და ამ უსასრულობისაკენ მარად ივლიან ხატიასა და სოსოიას, მერისა და ზურიკელას მსგავსი წყვილები.

მინდა გავიხსენო ზოგი რამ ნოდარის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

იდგა 1963 წლის თოვლიანი ზამთარი. „ქართლის-დედის"

მონუმენტისათვის ხარაჩოები უნდა ჩამოეხსნათ. ვნერვიულობ-
დი. მთელი ღამე არ მძინებია. დილით ალიონზე ძეგლისაკენ
გავსწიე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მონუ-
მენტთან ნოდარი ვიხილე მხატვარ ნოდარ მალაზონიასთან
ერთად. მათ გაეგოთ, რომ ქანდაკება არაოფიციალურად უნდ
გახსნილიყო და სურვილი გასჩენოდათ „საზეიმო ცერემონია-
ალში" მონაწილეობის მიღებისა, თან ფოტო-აპარატი და შამ-
პანურიც აეტანათ.

ნოდარმა პირველმა შესვა ყველა ქართველი დედის სად-
ღეგრძელო და ზემოთ — ხარაჩოზე ასვლა გადაწყვიტა. გასა-
ოცარი სილამაზით თოვდა. ხარაჩო თოვლით იყო დაფარული.
ჩვენ მაინც მოვახერხეთ ქანდაკების თავამდე აცოცება და სა-
მახსოვრო სურათების გადაღება. ნოდარმა იქაც დალოცა „დე-
და ქართლისა" და მკერდზე ეამბორა. „ქართველის დედა! ძუ-
ძუ ქართველისა"... გადასძახა მან ხმამაღლა თბილისს და დედ-
თბილისის სადღეგრძელოც ღალია. იმ ლამაზი დღის ამსახ-
ველ, ოცდაათი წლის წინ გადაღებულ ფოტოსურათებს დღემ-
დე ვინახავ.

ეს მოგონება, თითქოს ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სუ-
რათია და მისი გახსენება, შესაძლოა, ვისმეს მკრეხელობათაც
მოეჩვენოს, მაგრამ, ჩემთვის იგი დაუვიწყარია, ვინაიდან პირ-
ველი ჩემი მონუმენტი ფაქტიურად ნოდარმა „გახსნა საზე-
იმოდ". არც ის იყო, ალბათ, შემთხვეეიოი, რომ „დედა-ენის"
ძეგლიც ნოდარის ინიციატივით შეიქმნა და ქანდაკების გახ-
სნის საზეიმო ცერემონიალსაც სხვებთან ერთად ის ედგა სა-
თავეში.

ნოდარმა მშვენიერი ნოველა უძღვნა გორში დადგმულ ჩემს
ნამუშევარს „ლიტერატურნაია გაზეტაში", სადაც მან ჩვეული
უშუალობით, სიყვარულით და სიმართლით დახატა ერთი რა-
გითი ქართველი გლეხკაცის კოლორიტული სახე, ლომზე
ამხედრებული ჭაბუკი ომში დაღუპული მეგობრის ორეულად
რომ მიუჩნევია და ყოველი მზის ჩასვლისას მის შესანდობარს
რომ ასმევს ფიალით ძეგლთან მოსულ ადამიანებს.

კიდევ ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო ჩვენი თბილი, მე-
გობრული ურთიერთობიდან, რომელიც უფრო სულიერი სიახ-

ლოვით იყო განპირობებული, ვიდრე მიწიერი შეხვედრების ინერციით.

ნოდარის გული მხოლოდ მისთვის არ სცემდა და მხოლოდ მის სხეულს არ ათბობდა, ამიტომაც დაიღალა იგი ასე მალე. მისი სიცოცხლის ხე „ბაჯაღლო მზით" დამწიფებულ ნაყოფს ისხამდა და მისი ფერებით იყო ავსებული. ამიტომაც ასე „დაუნდობლად" კრეფენ და ეწაფებიან ამ ნაყოფს. ის არ ილევა და არც არასოდეს არ დაილევა, იგი „ბაჯაღლო მზისგანაა" დამწიფებული.

**რეზო ამაშუკელი**

## სიკეთის სამსახურის მაგალითი

თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის ნოდარ დუმბაძე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი იყო. სიტყვას „მსოფლიოში" სხვადასხვა ქვეყნებში ჩემი მოგზაურობის დაკვირვებებიდან გამომდინარე ვამბობ, სადაც არ უნდა წავსულიყავი ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის ქალაქებში, გაიგებდნენ თუ არა, რომ საქართველოდან ვარ, პირველ რიგში ნოდარ დუმბაძეზე მეკითხებოდნენ, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, როგორც ახლობელ ადამიანს, ისე მოიკითხავდნენ ხოლმე.

ერთხელ ბულგარეთში ნოდარ დუმბაძის ჯანმრთელობის ამბავი მკითხეს, მაშინ იგი ავადმყოფობდა და იცით, გავვოცდი — საიდან ჰქონდა ამ ხალხს ნოდარ დუმბაძის ჯანმრთელობის შესახებ ასეთი ზუსტი ინფორმაცია. ისინი გულწრფელად განიცდიდნენ, ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა გოგონამ კი მთხოვა, აუცილებლად გამომეგზავნა მისთვის მწერლის ფოტოსურათი.

ბულგარეთშივე შევესწარი კამათს, რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ ზურიკელა ბულგარელია. ეს შემთხვევა კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ ნოდარ

დუმბაძის წიგნები მთელ კაცობრიობას ეკუთვნის. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომელიც იაპონელი გამომცემლების ჩვენთან სტუმრობის დროს მოხდა: იაპონელთა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ნოდარ დუმბაძეს თავისი მეგობარი წარუდგინა და უთხრა: „გაიცანით, ნამდვილი ილარიონია", მან კი წარმდგენელზე მიუთითა და უთხრა: „ეს კი — ილიკო".

ნოდარ დუმბაძე ყველას შინაგანი ცხოვრების ნაწილი ხდებოდა, ყველასი, ვინც მას პირადად ან წიგნებით იცნობდა. მისთვის, როგორც ყოვლისშემძლე ჯადოქრისათვის, ყველა კარი ღია იყო. მახსოვს, მოსკოვში ვიყავით. გადავწყვიტეთ სასტუმრო „სოვეტსკაიაში" გვევახშმა. ადგილები არ იყო და არ შეგვიშვეს. არავითარმა ხვეწნამ არ გასჭრა, უცებ, ევგენი ევტუშენკომ შვეიცარს უთხრა, შენს წინ ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძეაო. შვეიცარი გაქრა, თითქოს, მიწამ ჩაყლაპაო და სულ ცოტა ხანში თავად ადმინისტრატორი მიგვიძღვებოდა დარბაზში. მაგიდა რომ აღმოგვიჩინა, ნოდარ დუმბაძეს ჰკითხა, რომელ სასტუმროში ცხოვრობთო და ნებართვა თხოვა, მიეტანა მისივე წიგნი და ავტოგრაფი გამოერთმია, რაზეც ნოდარ დუმბაძემ მისთვის ჩვეული იუმორით უპასუხა, „აწი კაეკასიონზე თუ დამეწევი, მაშინაო", მერე კი ხელსახოცი აიღო და რუსულად და ქართულად მოაწერა ხელი.

თუ ნოდარ დუმბაძის წიგნებზე ვილაპარაკებთ, მე მისი ყველა ნაწარმოები მომწონს. ისინი მორალური კოდექსის გაგრძელებაა, რომლის მიხედვითაც უნდა ცხოვრობდეს ყველა ადამიანი დედამიწაზე. მიუხედავად ნათელი ნაციონალური თავისებურებებისა, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები მათში ჩაქსოვილი ჰუმანიზმის მაღალი იდეების გამო გახდნენ გასაგები და ახლობელი პლანეტის ყველა კუთხის მკითხველისათვის. მწერლის ყველა ნაწარმოები სიკეთეს ასხივებს. საკმარისია მის პატარა მოთხრობებს გაეცნო, რათა ქედი მოიხარო ნოდარ დუმბაძის სახელის წინაშე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ იგი მცირე ფორმების ოსტატი იყო. ის, რომ ყოველ მის ნაწარმოებს უზარმაზარი ნიჭის დაღი აზის, ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამ ნიჭის მიღმა იდგა უკეთილშობილესი ადამიანი, რაც ყველა მის ნაწარმოებში გამოსჭვივის.

ნოდარ დუმბაძეს უყვარდა თავისი გმირები. როგორც

ცოცხლებს, ახლობლებს, მეგობრებს, ისე ეპყრობოდა მათ. თანაუგრძნობდა მათ, ეცოდებოდა ისინი, მათთან ერთად ხარობდა და დარდობდა. მაშინ კი, როცა რომელიმე მათგანს კიცხავდა, ამას ბოღმის გარეშე აკეთებდა. სიკეთე, რომლითაც გამთბარია მისი წიგნები, მეგობრებისა და ნაცნობებისადმი. მის დამოკიდებულებასაც ათბობდა. მან თანამოკალმეთა მხარდაჭერა იცოდა და ყველაფერს, რასაც მათთვის აკეთებდა, ზედმეტი ლაპარაკისა და ხმაურის გარეშე აკეთებდა. ნოდარ დუმბაძეს საერთოდ არ უყვარდა თავისი სიკეთის აფიშირება.

იგი საოცარი ინტერესით ეკიდებოდა ყველას და ყველაფერს. ვისთანაც არ უნდა ესაუბრა, მუდამ ყურადღებიანი და გულისხმიერი იყო. სხვათა საქმისა და სადარდებლისადმი ამგვარ დამოკიდებულებას იმით ხსნიდა, რომ კაცობრიობის ერთადერთ კრიტერიუმად სიკეთე მიაჩნდა. თავად მე კი, მეგობრის გარდაცვალების შემდეგ შევიტყვე, რამდენი სიკეთე გაუკეთებია ჩემთვის, როგორ ახარებდა ყოველი ჩემი წარმატება....

ნოდარ დუმბაძეს წყნარად, შეუმჩნევლად მუშაობა უყვარდა. თავის ნაწარმოებებზე ბევრს არ ლაპარაკობდა. მახსოვს, როცა „თეთრი ბაირაღების" წერა დაასრულა, შეხვედრისას მითხრა: „მე ხომ ძველი ყაჩაღი ვარ და ახლა ისეთ რამეს მოგცემ წასაკითხად, რაც ჩემზე უკეთ არავინ იცისო".

შექებაზეც და კრიტიკაზეც ერთნაირად — კეთილი სიცილით პასუხობდა. იუმორი, რომლითაც გაჟღენთილია მისი ნაწარმოებები, მუდამ თან ახლდა მის ურთიერთობას მეგობრებთან. ყველას ზედმეტ სახელებს არქმევდა, თავის თავსაც, მაგრამ არ მახსოვს, ვინმე ნაწყენი ყოფილიყოს მასზე, პირიქით — გვახალისებდა.

მარტო რომ დარჩებოდა, სადღაც შორს მიმართული მისი მზერა საოცრად სევდიანი ხდებოდა. ხშირად მიფიქრია, ნოდარ დუმბაძის იუმორი სევდისგან გაქცევის საშუალებაა-მეთქი, მას ხომ ამდენი ტკივილი და უბედურება არგუნა ბედმა...

ნოდარ დუმბაძეს ყოველთვის მოეძებნებოდა სიტყვა, რომლითაც მძიმე წუთებში გამხნევება შეეძლო, თავად კი სიცოცხლეშიც და ნაწარმოებებშიც სიმართლეს თვალებში უყურებდა.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, როცა ნოდარ დუმბაძე თავს უკვე ძალიან ცუდად გრძნობდა, გადაეწყვიტე, გამემხნევებინა და სახის ფერი მოვუწონე. სევდიანად გაიღიმა: „მწიფე გულაბი მსხალი ხომ გინახავს, ძაბა, ისეთი ფერი მაქვს მეც, ყუნწით ვკიდივარ, ან ხვალ მოვწყდები და ან ზევ“.

ფართო დიაპაზონის ადამიანი, ნოდარ დუმბაძე კარგად ხატავდა, ხარებისა და ლომების ხატვა უყვარდა...

...გაივლის წლები და ბავშვების ყოველი ახალი თაობა შეიტყობს ნოდარ დუმბაძის ამბავს, რომელმაც მათ ზღაპრული ქალაქი „მზიური“ დაუტოვა საჩუქრად. გაივლის წლები და ნოდარ დუმბაძის წიგნები ზუსტად ისევე გვასწავლიან კეთილ ადამიანობას; როგორც მაშინ, პირველი გამოსელის დროს გვასწავლეს.

ნოდარ დუმბაძე იყო ბუმბერაზი ბავშვი. მან სამუდამოდ შეინარჩუნა ბავშვური სულის სისპეტაკე. იგი იყო ბრძენი, რომელსაც თავისი მიწის სატკივარი სტკიოდა. იგი იცნობდა ადამიანებს და ესმოდა მათი, ამიტომაც მოაქვს სიკეთე მის წიგნებს ყველა ადამიანისათვის, განურჩევლად ქვეყნისა და ნაციონალობისა.

## ზურაბ ბათიაშვილი

## სიკეთით სავსე კალთა

გიგლა ფირცხალავას ერთ კარიკატურაში ზუსტად არის დაჭერილი იმდროინდელი ნოდარ დუმბაძის ხატება — გამხდარი სახე, წარბი წარბს მიდგმული, წვერგაუპარსავი. ეს იყო ძალიან უბრალო, სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი — ამით კარიკატურისტიც და მისი ობიექტიც თითქოს ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ადამიანში მისი შინასამყაროა მთავარი და არაფერი გარეგნული, შელამაზებული და შეთხზული მას არ აინტერესებს. იგი იმდენად დიდი იყო, იმდენად სამდვილი, რომ თავის ნებაზე ჩაცმის უფლებაც ჰქონდა და წვერგაუპარსაობი-

საც. ყველაფერი ეს მის სიდიდეს უსვამდა ხაზს — თითქოს უფრო გვიახლოვდებოდა, სრულიად უბრალო იყო და ამ უბრალოებითაც შეეძლო ადამიანების სულში ჩახედვა.

* * *

ჩემს წინ ერთი ფოტოსურათი დევს. იგი საქართველოდან ძალიან შორს, თურქეთში, ქალაქ ბურსაშია გადაღებული. ერთმა იქაურმა ქართველმა კაცმა ქართველი მწერლები ოჯახში მიიწვია, რომ შვილებისათვის ქართული სიტყვა მოესმენინებინა. ის კაცი სიხარულით დასტრიალებდა თავს სტუმრებს. ნოდარი და მისი მეუღლე ნანული გუგუნავა-დუმბაძეც იყვნენ სტუმრებს შორის — ბედნიერნი, ნიჭით, სიყვარულით, ყოველი ამქვეყნიური სიკეთით აღსავსე ადამიანები. მასპინძელმა ფოტოგრაფი მოაყვანინა, ჩემი შვილები ქართველ მწერალთა შორის უნდა გადავაღებინოო. კარგად მახსოვს ის ფოტოგრაფი — ერთი კაფანდარა, ანატოლიის მზით გარუჯული კაცი იყო. აი, სწორედ იმ ღამეს გადაღებული სურათი შემომრჩა. საოცარი ფოტოა. ნოდარი სულ რაღაც 40 წლისაა (1968 წლის ამბავს ვიგონებ). უკვე დაწერილია „ბებია“ და „მე ვხედავ მზეს“, მისი სახელი და პოპულარობა დღითიდღე მატულობს. უფრო და უფრო ძლიერ კაშკაშებს მისი ვარსკვლავი. ერთი სიტყვით, ყველა პირობაა ბედნიერებისა და ისიც თითქოს ბედნიერია, მაგრამ...

აი, ამ ფოტოსურათზე ნოდარის სახეზე ტანჯვაა აღბეჭდილი. მის ხელმარცხნივ არჩილ სულაკაური დგას, უფრო იქით გივი გოგიჩაიშვილი, ხელმარჯვნივ — ალექსი გომიაშვილი, მერე — მე, წინ ფრიდონ ხალვაში ზის, მაგრამ ტანჯვის გრიმასა მხოლოდ ნოდარის სახეზე შეიმჩნევა. საიდან? რატომ? ჯერ ხომ ადრეა, ძალიან ადრე?

* * *

ჩვენ გორში ვართ. დღეს „ცისკრელები“ გორში ჩამოვიდნენ გორელ ახალგაზრდა მწერლებთან ფეხბურთის სათამაშოდ. ნოდარმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი. როგორ გულიანად იცინოდა ამის გახსენებაზე შემდგომ წლებში. თითქოს უხაროდა კიდეც თავისი ასეთი სპორტული შეცდომა. მერე, მოგვიანებით, გორის სადგურში, „ელექტრიჩკის“ მოლოდინში ხრე-

შის გორაზე შემდგარნი და ოთარ ჩხეიძის ატენურით გაბრუ-ებულნი ვსაუბრობდით. უფრო სწორად, ნოდარ ჩხეიძე, ოტია პაჭკორია და ნოდარი კამათობდნენ. კამათის თემას ახლად გა-მოქვეყნებული „ბებია“ წარმოადგენდა. რამდენადაც მახსოვს, აქ კრიტიკოსი არც ოტია იყო და არც ნოდარ ჩხეიძე. მათ ქე-ბას დროდადრო „ბებიას“ ავტორი არ ეთანხმებოდა. მე კი შემ-თვრალი დროდადრო ვეუბნებოდი:

— თქვენ ძალიან გევხართ დიდ თურქ მწერალს აზიზ ნე-სინს.

ამ სიტყვებზეც გულიანად ხარხარებდა. უფრო სწორად, ჩემს ეპითეტს „დიდი“ დასცინოდა. მას არც სწამდა, არც აინ-ტერესებდა და არც მოსწონდა ასეთი ქება და თითქოს დაყვა-ებით მეუბნებოდა:

— კაი, ძამა, კაი!

არადა, მე მაშინ გულწრფელი ვიყავი. „ბებია“ დიდი მწერ-ლობით, დიდი ლიტერატურით სუნთქავდა და ამ პარალელე-ბის ძიება სრულიადაც არ იყო შემთხვევითი.

გამოხდა ხანი. ლიტერატურულმა ცხოვრებამ, განსაკუთრე-ბით კი გამოჩენილი თურქი მწერლის აზიზ ნესინის თბილისში ჩამოსვლამ უფრო დამაახლოვა ნოდარ დუმბაძესთან.

აზიზ ნესინი თბილისში ჩამოსულიყო და ნოდარ დუმბაძეს რომ არ გასცნობოდა, შეუძლებელი იყო. მე აზიზ ნესინს უკვე ვთარგმნიდი, „ნიანგშიც“ კი დავბეჭდე მისი რამდენიმე მოთხ-რობა და ბატონ იოსებ ნონეშვილს, რომელიც მაშინ, როგორც მწერალთა კავშირის მდივანი, უცხოეთის მწერლობასთან ურთი-ერთობის საკითხებს განაგებდა, ეუთხარი, აზიზ ბეი ნოდარ დუმბაძეს უნდა გავაცნოთ-მეთქი. ნონეშვილს თურმე ადრევე მიუღია ზომები. უკვე შეთანხმებია კიდეც ნოდარს და მეორე დღეს, საათის თერთმეტისათვის აზიზ ნესინი მივიყვანე „ნიან-გის“ რედაქციაში“. აზიზ ნესინსაც აინტერესებდა ნოდართან შეხვედრა. მან ჩვენგან გაიგო, რომ იგი მშვენიერი მწერალი იყო. იმ წლებში აზიზ ნესინი სტამბოლში სცემდა „ნიანგის“ ტი-პის ჟურნალს „აქბაბას“ და უნდოდა გასცნობოდა „ნიანგის“ მუ-შაობის პრინციპებს, რათა უფრო იაფი დასჯდომოდა „აქბაბას“ გამოცემა.

ნოდარი ერთობ დაბნეული იყო. მან არ იცოდა რაზე უნდა

ესაუბრა სტუმართან. ჟურნალთან დაკავშირებულ კითხვებზე მოკლედ პასუხობდა, თითქმის სურვილის გარეშე. მისი, როგორც მწერლის აღიარება ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო, არც უცხოელებთან შეხვედრის გამოცდილება ჰქონდა. ამიტომ, არ იცოდა, დიპლომატიური ღიმილი გადაეფინა პირზე, თუ ყოფილიყო ის, რაც იყო — ნოდარ დუმბაძე.

ჯერჯერობით არც აზიზ ბეი იძლეოდა დიდი გულახდილობის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ მისი პროზა მთელ მსოფლიოს ღიმილსა ჰგვრის, საკმაოდ პირქუში კაცია. სწერდა კიდეც ერთგან: იუმორისტ მწერალს იმდენი საფიქრალ-საზრუნავი აქვს, რა გაახარებსო. ძნელად ეწყობოდა საუბარი. მაგრამ სულ მალე, როცა „ნიანგის“ რედაქციიდან გავედით, რათა აზიზ ბეისათვის ჯვარი და სვეტიცხოველი გვეჩვენებინა, ეს ორი მწერალი უკვე იმდენად გულითადად საუბრობდა, რომ ვერ ფეიფნოვა, აზიზ ბეის მთარგმნელი, ვერც აუდიოდა ამდენი მახვილსიტყვაობის სახელდახელოდ თარგმნას.

და აი, სადილობის ჟამს რესტორან „მარანში“ მოხდა ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი.

რესტორანში შევედით თუ არა, უჩვეულოდ სწრაფად დაიწყეს სუფრის გაშლა. ისე დაგვტრიალებდნენ თავს, ისე საგულდაგულოდ და ლამაზად შლიდნენ სუფრას, ნოდარს გაუკვირდა კიდეც და იკითხა, რა ბზიკმა უკბინათ, რომ ასე წესიერად იქცევიანო. „ნიანგის“ ერთმა თანამშრომელმა თავმომწონედ მიუგო:

— აბა, როგორ! მივედი და ვუთხარი, რომ „ნიანგის“ რედაქტორია მოსული და თუ არ გინდათ ჟურნალში გამოგაჭენონ, დროზე მიხედეთ საქმეს-მეთქი.

ნოდარის სქელი, თითქოსდა ტუშით შეშავებული წარბები ლამის ერთმანეთს მიებჯინა, მერე ცივად წამოდგა და მითხრა:

— უთხარი, ძამა, ჩვენს სტუმარს, რომ აქ ჭამა არ იქნება, ყველაფერი ღორის ჰქონიათ და ეგ მუსულმანი კაცი სულს ხომ არ წაიწყმედს. — წამოდგა და გასასვლელისაკენ ისე გაემართა, უმალ დავრწმუნდი, ახლა მას უკან არაფერი დააბრუნებდა. მოშიებული აზიზ ნესინი კი დაბნეული იმზირებოდა და ლამის ღონემიხდილი ემშვიდობებოდა ასეთ ჩინებულ სუფრას. გარეთ რომ გამოვედით, ნოდარი თანამშრომელს მიუბრუნდა და უთხრა:

— ათასჯერ მითქვამს მე, არ არის საჭირო ამ „ნიანგის“ და რედაქტორის ხსენება ყოველ ნაბიჯზე. — ეს მერეც შემომჩნევია: როცა რაიმეთი ნაწყენი იყო, ზედა ტუჩი უტოკავდა. ასე იყო მაშინაც.

ორიოდე დღეში ისე დაუმეგობრდა აზიზ ნესინს, რომ ეუბნებოდა: ბებიაჩემს თუ გავაბრაზებდი, „შე თათარო, შე თათაროო“, მეუბნებოდა. აი, ესა ხართ თურქებიო. აზიზ ბეი ამაზე გულიანად ხარხარებდა და ნიშნად იმისა, მე რაღად მაბრაზებო, მიუგებდა: — შე თათარო, შე თათარო!

აზიზ ბეიმ ძალიან შეიყვარა ნოდარი. საოცრად თბილი ურთიერთობა დამყარდა ამ ორ მწერალს შორის და ეს ერთმა შემთხვევამაც დაადასტურა.

1968 წელს ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი თურქეთს გაემგზავრა. ბატონმა იოსებ ნონეშვილმა, აზიზს უნდა ვაცნობოთ ჩვენი ჩასვლაო და მოსკოვიდან, მართლაც გაგზავნა დეპეშა. სტამბოლის „იეშილქოის“ აეროპორტში რომ ჩავფრინდით, აზიზი არ დაგვხვდა. ნოდარი თითქოს დამცინავად მიყურებდა, ესეც შენი აზიზი, აი ხომ ხედავ, არ დაგვხვდა, ჩვენ კი ყველას უნდა გადავეევეთო.

სასტუმრო „კენედიში“ რომ მივედით, ნოდარის გაცისკროვნებულ სახეს მოვკარი თვალი. თან ნანულის ვიღაცაზე უთითებდა მის მზერას თვალი გავაყოლე და აზიზ ნესინი დავინახე. გულამოვარდნილი მოქოთქოდებდა ეს დაბალ-დაბალი, ჩასუქებული კაცი. ნოდარს ეცა: — შე თათარო, შე თათარო!

როგორ ეხვეოდნენ ერთმანეთს, რა ტკბილი ღიმილი აღბეჭდოდათ სახეზე!

ეს იყო გულითადი მეგობრების შეხვედრა.

— რამდენი ხანია ცისკენ ვზივარ,—სთქვა აზიზმა,—ძალიან ნაყოფიერად ვმუშაობ, რამდენი მოთხრობა დავწერე, ყოველდღე თითო მოთხრობას ვწერ, მაგრამ ამ დილას, თქვენი ჩამოსვლის ამბავი რომ გავიგე, ცახეში რა გამაჩერებდა, აქეთ გამოგიწია გულმა. ვიდრე ჯარიმა გადავიხადე, ვიდრე საბუთები გავაფორმე, ვიდრე გამოვედი, აეროპორტში ველარ მოგისწარით და პირდაპირ აქეთ გამოვქანდი.

ვინც ნოდარს ოდნავ მაინც იცნობდა, ადვილად წარმოიდგენს, რამდენს და როგორ იცინებდა ამ ამბის გაგონებაზე.

რა ბედნიერ კაცად იგრძნო თავი, რომ მეგობარს არ დავიწყნოდა!

მერე აზიზ ბეიმ რესტორან „ოჯაქში“ მიგვიპატიჟა. რესტორანში ერთი გარსონი დაგვტრიალებდა თავს, არ გვშორდებოდა. ნოდარმა შეამჩნია იმ ბიჭის განსაკუთრებული ინტერესი და მითხრა.

— კითხე ერთი მაგ ბიჭს, რა უნდა, რატომ არ გვაცლის ჭამას, რას მოგვჩერებია ხახაში.

იმ ბიჭს მივუბრუნდი, ვკითხე, ხომ არაფერი გნებავთ-მეთქი. ბიჭმა ხმადაბლა, თითქოსდა დამორცხვებულმა სთქვა:

— მე ქართველი ვარ!

უნდა გენახათ ნოდარის ფართო, დიდი თვალები, როცა ეს სიტყვები ვუთარგმნე. ბატონ იოსებს საიდანღაც რაღაც საჩუქარიც კი გაუჩნდა ხელში, ახმაურდნენ ნანული დუმბაძე და მედეა ნონეშვილი. ერთი სიტყვით, იმ ბიჭმა დიდი სიხარული მოგვიტანა.

— რამდენი ქართველი ხართ თურქეთში? — ეკითხება ნოდარი იმ ბიჭს.

— ბევრი, ძალიან ბევრი!

— მაინც?

— ვინ დათვლის!

აზიზ ბეიმ რომ ეს დიალოგი მოისმინა, სიცილი აუტყდა.

— თქვენ იმდენს იზამთ, რომ მთელ თურქეთს ქართველებად გამოიყვანთ.

— შენ გაჩუმდი, შე თათარო.

იმავე საღამოს საქართველოს სავაჭრო პალატის იმდროინდელმა თავმჯდომარემ რაფიელ ელიგულაშვილმა, რომელიც თავისი სამსახურეობრივი საქმეების გამო (ვგონებ, იზმირის ბაზრობაზე საქართველოს პავილიონის მომზადებისათვის ზრუნავდა) კარგა ხნის ჩასული იყო სტამბოლში, ქალაქის დასათვალიერებლად მიგვიწვია.

*

ბურსასთან ერთ მეჩეთში მიგვიყვანეს.

— მოდი ერთი, გურამ, გამაგებინე, რა უნდა ამ კაცს ჩემგან.

ვიღაც ახალგაზრდა კაცი ნოდარს და არჩილ სულაკაურს

ელაპარაკება, მაგრამ ცხადია, ვერაფერს აგებინებს. რა გნებავთ მეთქი. ქართველი ვარო, იმ კაცმა გამოგვიცხადა. ნოდარმა და არჩილმა ძალიან გაიხარეს, რასაკვირველია.

— ქართული თუ იცი? — ეკითხება ნოდარი.

— არა!

— ქართული სახელი თუ გაქვს?

— არა!

— გვარი?

— არა!

— აბა სისხლის ანალიზით ხომ ვერ დავადგენ შენს ეროვნებას? — გაბრაზდა ნოდარი.

* * *

გაივლის სულ ცოტა ხანი და თურქეთში გამოსცემენ „მე ვხედავ მზეს". ჰაიათი ასილიაზიჯი ითავებს ამ ჩინებულ საქმეს. თურქეთის პრესა ძალიან კარგად გამოეხმაურა ამ ფაქტს. ეს განსაკუთრებით სასიხარულოა იმის გამოც, რომ ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას" შემდეგ თურქეთში ქართველი მწერალი არ უთარგმნიათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ აზიზ ნესინი კვლავ ჩამოვიდა თბილისში, ამჯერად უკვე გალაკტიონის 80 წლისთავის საიუბილეო საღამოზე. შევამჩნიე, რომ ნოდართან ერთობ თავდაჭერილად იქცეოდა. მეორე დღეს ვკითხე კიდეც, რა მოხდა-მეთქი .

— ნოდარი ერთი ნიჭიერი კაცი მეგონა, სინამდვილეში კი დიდი მწერალი ყოფილა, თურქეთში „მე ვხედავ მზეს" გამოსვლის შემდეგ დავრწმუნდი ამაში, მერე ინგლისურად წავიკითხე სხვა ნაწარმოებები და... ჭეშმარიტმა მწერლობამ მოწიწების გრძნობა აღმიძრა.

ეს ამბავი რომ ნოდარს ვუთხარი, მივიდა მოეხვია, — ვინ როგორი მწერალია, მომავალმა განსაჯოს, ახლა კი მეგობრები ვართო.

აი, ასე იზრდებოდა ნოდარის სახელი, რეპუტაცია, პოპულარობა.

და მალე ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რისი მსგავსიც იშვიათად რგებიათ წილად პროზაიკოსებს. იგი უყვარდათ ისე, როგორც თავისი სულის გამომხატველი პოეტი უყვარს ხალხს.

* * *

მეგობრები ჰყავდა და უყვარდა კიდეც, ძლიერ უყვარდა და ადამიანის ღირსების ერთ-ერთი საზომიც ხომ ეს არის. მე ამას შორიდან ვხედავდი და იმიტომაც ვცემდი პატივს. განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო ნოდარი ამ მეგობართა წრეში. მე ვყოფილვარ მოწმე ისეთი ლაღობისა, რომლის აღწერა, ქაღალდზე გადატანა შეუძლებლია. იგი სავსე იყო ათასი ფერით, ინტონაციით და რაც მთავარია, ნიჭით, ტალანტის ფეიერვერკით. რა წარმტაცი იყო ეს ყველაფერი!

1981 წელს „ვალის“ გამო მწერალთა კავშირის პრემია მომენიჭა წლის საუკეთესო დრამატურგიული ნაწარმოების შექმნისათვის. ამასთან დაკავშირებით სადილი გავმართე და სტუმრობა ვთხოვე მწერალთა კავშირის სამდივნოს, „ცისკრის“ რედაქციას, სადაც პიესა დაიბეჭდა, მეგობარ მწერლებს, და რასაკვირველია, ბატონ ნოდარსაც. იგი უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ. თან ისიც ვთხოვე, იქნებ, მეულლე — ქალბატონი ნანული წამოიყვანოთ-მეთქი. ვნახოთო, კი შითხრა, მაგრამ არ მჯეროდა — ნანული მძიმე ავადმყოფობიდან იყო გამობრუნებული, თვით ნოდარიც ცუდად გამოიყურებოდა, თან ძალიან ცხელოდა და არაფრით არ მოეელოდი მის მოსვლას. ამიტომ რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული და გაოცება, როცა გურამ და ჟუჟუნა გვერდწითლების მანქანიდან ნოდარი და ნანულიც გადმოვიდნენ. ეს სტუმრობა ყველას გაეხარდა, რამაც სუფრაზე განსაკუთრებული განწყობილება შექმნა — სიხარულის, ურთიერთპატივისცემის, იუმორის, ხალისის.

მე ხშირად მინახავს ნოდარ დუმბაძის და გიგა ლორთქიფანიძის „დუეტი“, როცა ორი ნიჭიერი ადამიანის ხუმრობაც კი უდიდესი სიხარულის მომტანი იყო გარშემომყოფთათვის, მაგრამ იმ საღამოს ნოდარის ავადმყოფობით დაღლილ, თითქოსდა, სიშავემოკიდებულ სახეს რაღაც ნათელი მოფენოდა. ჯანსულ ჩარკვიანისა და ტარიელ ჭანტურიას პარტნიორობა კი წარმტაცი იყო. შეიკრა მეგობართა ისეთი წრე, შეიქმნა ისეთი ატმოსფერო და ისეთი ხუმრობა-სიმღერის განწყობილება, რომ ღვინო არავის ეკიდებოდა. აი, ეს იყო ლაღობის ისეთი ფორმა, რომლის შექმნა მხოლოდ ნიჭიერებას თუ შეუძლია და

სხვას არაფერს. თითქოს 30 წლის წინანდელი ნოდარი იჯდა სუფრასთან. ერთი ხანობა შევშინდი კიდეც, ამდენმა ემოციამ — სიმღერამ, ხუმრობამ, სიცილმაც არ ავნოს-მეთქი. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ გურამ გვერდწითელი არ ამყვანებდა, წავიდეთო.

აი, ასეთი იყო იგი. ალალი, უშუალო, ნაღდი! და ყველაფერი ამის დედა მისი ტალანტი გახლდათ, დიდი, ადამიანის სიყვარულით გაბრწყინებული ტალანტი.

**გრიგორი ბაკლანოვი**

## კი არ იყო! არამედ არის!

ჯერ კიდევ გონებაშიც კი ვერ დამიშვია, რომ ის აღარ არის. ნოდარ დუმბაძე ბრძნული, ჩაფიქრებული გამოხედვით, სულის სიღრმიდან გვიყურებს — ახლა უკვე მხოლოდ ფოტოსურათიდან. ერთხელ უკვე შეწყდა მისი სიცოცხლე, მან ერთხელ უკვე გამოცადა: „...ამუშავდება თუ არა ისევ წყეული გული, ამუშავდება თუ არა?! — გულის წყეული არ შეიძლება ბატონი, გულს მოფერება და სულის ბერვა უნდა, ცეცხლზე შემდგარ რძესავით“.

საოცარი სიცოცხლისმოყვარეობითაა სავსე მისი წიგნები. მერამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო ან ეკრანზე ნახო „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, მაინც გეცინება. იმიტომ, რომ საცილოა? არა, იმიტომ, რომ ნიჭიერებით და გულწრფელობითაა სავსე. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ საქართველოში შეყვარებულ ქართველს შეეძლო დაეწერა, ამიტომაც იკითხება იგი ასე კარგად რუსულად და მრავალ სხვა ენაზე, ამიტომ არის იგი ზოგადსაკაცობრიო. ახლა რა არაჩვეულებრივი მთხრობელი იყო! ერთხელ, ბათუმთან ახლოს, მრავალხმიანი ქართული სიმღერების მოსმენისას ნოდარს გული აუჩუყდა და ამაყად თქვა: „სამი ქართველი — უკვე გუნდიაო“. მანვე თქვა: „რა გენიალურია რუსული სიმღერები! ამის გადმოცემაც კი შეუძლებელია,

რა გენიალურია!". მე მიყვარდა ეს საოცარი, ვაჟკაცი, კეთილი, წმინდა სულის ადამიანი, მიყვარს მისი წიგნები. მოხდა ისე, რომ ჩვენ მოსკოვში ან თბილისში კი არა, თვითმფრინავში გავიცანით ერთმანეთი, თვითმფრინავში, რომელიც ამერიკაში მიფრინავდა: საბჭოთა მწერლების დელეგაცია ამერიკელ მწერლებთან შესახვედრად მიემგზავრებოდა. და მერე ლამის ნახევარი ამერიკა შემოვიარეთ მე და ნოდარმა.

დისკუსიებზე, პირველზეც და მეორეზეც, ხელზე თავდაყრდნობილი ხმაამოუღებლად იჯდა. მის გვერდით მჯდომმა ჯონ აბდაიკმა მოგვიანებით თქვა: „მე მეგონა, ჩემს გვერდით მუნჯი იჯდაო". თქვა და გაეცინა. დარბაზმაც გაიცინა პირველად. მერე კი, როცა ნოდარ დუმბაძე ლაპარაკობდა, დარბაზში მხიარულება და სითბო იდგა. ამ საერთაშორისო შეხვედრაზე ნოდარი, როგორც სახლში, ისე ლაპარაკობდა: უბრალო და ყველაზე მთავარზე. მისი სიტყვა იუმორს აფრქვევდა, სწორედ ისე, როგრც მისი წიგნებია იუმორით გაცისკროვნებული.

მისი უკანასკნელი მოთხრობა, რომელიც მე წავიკითხე რუსულ ენაზე, „თალიკო" იყო. რამდენი სიბრძნე და სისპეტაკეა ამ პატარა შედევრში, ეს არის პროზად დაწერილი პოემა სიყვარულზე, დაწერილი მოწიფული ავტორის მიერ თავისი შეუდარებელი ტალანტის აღმავლობის პერიოდში. ვერ წარმოიდგენია, რომ იგი აღარ არის.

შვილიშვილებმა დაკარგეს ახალგაზრდა ბაბუა, შვილებმა — მოსიყვარულე მამა, ცოლმა — არაჩვეულებრივი მეუღლე, სამშობლომ კი — უერთგულესი შვილი, ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, თვითმყოფადი შემოქმედი.

და მაინც — კი არ იყო, არამედ არის!

არის და კიდევ დიდხანს იარსებებენ მისი წიგნები. მათში ნოდარ დუმბაძის ცოცხალი სულია.

## „ჩვენზეა დამოკიდებული...“

ნოდარ დუმბაძეს ზუსტად ოცი წელი ვიცნობდი. პირველად 1964 წელს შევხვედი, თბილისის უნივერსიტეტში, ლიტერატურულ საღამოზე და იმავე დღეს გვიანობამდე ვუსხედით სუფრას ერთ მშვენიერ ქართულ ოჯახში, სადაც, მართალია, ნოდარი თამადად არავის აურჩევია, მაგრამ ყურადღების ცენტრში იყო. ბევრს მხიარულობდა, ხუმრობდა, გვიყვებოდა ანეკდოტებს, მახვილგონიერ ამბებს და ყოველივე ეს ერთგვარი გაგრძელება იყო მისი მშვენიერი რომანებისა — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“, რომლებმაც ახალგაზრდა, იმედის მომცემ, ნიჭიერ მწერლად კი არა, ჩამოყალიბებულ, მოწიფულ ოსტატად წარმოგვიდგინეს იგი.

თუმცა, უკვე მრავალი წლის შემდეგ, „მარადისობის კანონის“ შემდეგ, როცა ნოდარ დუმბაძის ამ პირველ რომანებს ვკითხულობდი, მივხვდი, რომ ისინი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

მხიარული გურული იუმორი, დინჯი წერა, ფაქიზი ლირიზმი და ადამიანის სულის ფაქიზი წვდომა, მოკლედ რომ ვთქვათ, პერსონაჟების შერჩევისა და წერის მანერის დემოკრატიზმი — ყოველივე ეს დუმბაძის რომანების მხოლოდ ერთი, გარეგნული მხარეა. ავტორის საყვარელი ზურიკელა და სოსოია მიამიტი და გულუბრყვილო ყმაწვილები როდი არიან. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“ თითქოს წინასწარ განსაზღვრავენ ნოდარ დუმბაძის შემოქმედების სირთულეს. თუ დაეუკვირდებით, ზურიკელაც და სოსოიაც ავტორის ავტოპორტრეტები არიან, მაგრამ ასე ვთქვათ მომენტალური ავტოპორტრეტები, რომლებსაც არა აქვთ სიდიადისა და სიღრმის პრეტენზია. და თუ შემდეგ, ნოდარ დუმბაძე აღარ წერდა ისე, როგორც თავის პირველ რომანებში, „მზიანი ღამის“, „ნუ გეშინია დედის“, „თეთრი ბაირაღების“, „დიდროს“, „უმადურის“, მარადისობის კანონისა“ და „კუკარაჩას“ ავტორი კვლავ აღ-

წერდა სიკეთესა და გონიერებას, აღწერდა სინათლესა და მზეს, ბოლოს და ბოლოს აღწერდა საკუთარ თავს.

უკანასკნელად 1984 წელს შეეხვდი, გარდაცვალებამდე ნახევარი წლით ადრე. მითხრა, ახალი რომანი „ბუხართან" მაქვსო ჩაფიქრებული, მეც გავკადნიერდი და ჩემი აზრი გავუზიარე.

„ — საკუთარ თავზე? — მკითხა დუმბაძემ. — იცით, მართალი გითხრათ, არ მიფიქრია. აი, ამის განცდა კი მაქვს, რომ მთელი ცხოვრება ერთ წიგნს ვწერ, თუმცა — სხვადასხვანაირად, ან იქნებ საკუთარ თავზეც ვწერ...".

ადამიანები, რომლებიც ხშირად ხვდებოდნენ ნოდარ დუმბაძეს, ამბობენ, რომ იგი თითქმის ყოველთვის იცინოდაო. გამოგიტყდებით, იშვიათად მინახავს, რომ ნოდარი იცინოდა. ჩაფიქრებული, დაღონებული, ნაწყენიც კი მინახავს, მინახავს სერიოზული. ვფიქრობ, იგი მაშინაც სერიოზული იყო, როცა სასაცილო ამბებს ყვებოდა და კიდევ მგონია, რომ იგი ბევრს და საოცარი ტკივილით ფიქრობდა სიკვდილზე. ამის მიზეზი ალბათ მისი ავადმყოფობა იყო. მეგობრებთან და ახლობლებთან სიკვდილზე ლაპარაკი არ უყვარდა, წერით კი ხშირად წერდა.

მაგრამ მაინც სიკვდილზე ფიქრის უმაღლესი მწვერვალი, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის", „მარადისობის კანონის", „უმადურისა" და „კუკარაჩას" ფინალებშია.

და როცა 1984 წლის სექტემბერში ათი ათასობით ადამიანი და ჩვენ, ნოდარის მეგობრები, ვემშვიდობებოდით მას, რადიოდინამიკები მის მხიარულ, მაგრამ სევდანარევ სიმღერას მღეროდნენ. „სიკვდილით ერთხელ მოვკვდები", ეს იყო მისი უკანასკნელი სიმღერა, რომელიც მან საავადმყოფოში, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა.

ჩვენს კრიტიკას თუ დავუჯერებთ, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში გარდატეხა 1969 წელს „ნუ გეშინია დედადან" დაიწყო, უფრო მოგვიანებით კი „თეთრი ბაირაღებიდან". 1977 წელს ჩემი საყვარელი მწერალიც კი, ლევ ანინსკი წერდა: „ამბავი მესაზღვრეებზე „ნუ გეშინია დედა" და ახლახანს გამოსული „თეთრი ბაირაღები" კამათის სურვილს უფრო აღმიძრავენ, ვიდრე აღფრთოვანებასო".

არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ მე მგონია, რომ დუმბაძის შე-

მოქმედებიდან თურლაც ერთი მისი ნაწარმოებიც რომ ვამორიცხო, მთლიანობა დაირღვევა. ხოლო რაც შეეხება „თეორ ბაირალებს“, მე დღემდე ვსახობ, რომ იგი „დრუჯბა ნარიდოვის“ ფურცლებზე არ დაბეჭდა. ჩვენ გამოვაქვეყნეთ „მარადასობის კანონი“ და „კუკარაჩა“ — შედარებით ვეთანხელი, ერთსულოვნად შეფასებული ნაწარმოებები, „თეორი ბაირალები“ კი იდო ჩვენს რედაქციაში, მაგრამ... ამაში არც მე მიმეძღვის ბრალი, არც ნოდარს, ფაქტი კი ფაქტად რჩება.

კრიტიკის შესახებ იგი დაახლოებით ასე ამბობდა:

„— ჩვენი კრიტიკა, იცით, იმითაა კარგი, რომ მისი ლანძღვა შეიძლება. იქმნება ილუზია, რომ ჩვენ უკეთ ვწერთ, რომ ჩვენ უფრო ძლიერები ვართ...“

და კიდევ:

„— მე მაინტერესებს ნიჭიერი კრიტიკა, მაშინაც კი, როცა მე მას არ ვეთანხმები“.

დუმბაძე არტისტულად მომხიბლავი კაცი იყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ მან ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა და არა თეატრალური.

იგი თითქოს შენი ტოლი და სწორი, ამავე დროს კი შენზე ჭკვიანი და ბრძენი იყო. მე არ შემეძლო მისთვის შენობით მიმემართა, თუმცა ჩვენს შორის განსხვავება სულ ორი წელი და მთელი სამამულო ომი იყო.

ერთხელ, ქართული კულტურის სიდიადეზე, მის აწმყოსა და წარსულზე, კერძოდ ლიტერატურაზე წამოვიწყე საუბარი.

„— იცით რა, სწორედ მასეა, — დამეთანხმა ნოდარ დუმბაძე, — მაგრამ იმიტომ, რომ გვერდით არსებობდნენ დიადი კულტურები და საერთოდ ქვეყანაზე ბევრი რამ იყო და არის დიადი და ჭეშმარიტი“.

თავად ნოდარი „შუშანიკის წამებაზე“ და შოთა რუსთაველზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა ფშაველაზე, გრ. ორბელიანზე გაიზარდა. ამასთანავე იგი სწავლობდა პუშკინსა და ტოლსტოის, ნეკრასოვსა და დოსტოევსკის და, რა თქმა უნდა, გოგოლსა და ჩეხოვს. იგი არაჩვეულებრივად იცნობდა და მრავალჯერ გადაუკითხავს დანტე, სერვანტესი, ბიჩერ

სტოუ, ფოლკნერი, თომას მანი, ბალზაკი, მერიმე, აბდაიკი, ჰემინგუეი, კოლდუელი.

როგორც თავად გამომიტყდა, როცა იგი წერდა, თავიდან იშორებდა ყველა ავტორიტეტს, მაგრამ იმის თავიდან მოშორება, რაც სულმა და გულმა შეისისხლხორცა, შეუძლებელია.

ლიტერატურა პროზად და პოეზიად არასოდეს გაუყვია. მისთვის ძვირფასი იყო ლორკაც და მარკესიც, ნერუდაც და რასპუტინიც, ბარათაშვილიც და მანდელშტამიც, ამირეჯიბიც და ტვარდოვსკიც... ბევრი ლექსი ზეპირად იცოდა.

„— იცით, რთული რამ არის პროზა, და თითქმის შეუძლებელია მისი ანალიტიკური თაროების მიხედვით ჩამოწყობა, — ამბობდა ნოდარ დუმბაძე, — პოეზიისა კი მით უმეტეს“.

* * *

საბავშვო პოემა „გკოცნი შენი მანანა“ ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი პირველი წიგნთაგანია, თუმცა იგი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ შემდეგ გამოქვეყნდა. მის გვერდით უკვე არსებობდა იუმორისტული მოთხრობების კრებული „გაუმარჯოს გიგილოს“.

ერთხელ ნოდარს ვკითხე, რატომ დაანება თავი საბავშვო ლექსების წერას.

„— იცით, — მითხრა მან, — რთული შეკითხვაა. ადრე მეგონა, რომ ბავშვებისათვის წერა ისეთივე ადვილი საქმეა, როგორც ფელეტონებისა და მარტივი იუმორისტული მოთხრობების შეთხზვა. უფრო გვიან კი მივხვდი, რომ არ შეიძლება ბავშვებისათვის აგდებულად წერო. ბავშვებს რეალურ ცხოვრებასთან შეხებისას უფროსებზე ბევრად უფრო მეტი შეკითხვა ებადებათ. ბავშვის მოტყუება კი უმძიმესი დანაშაულია. მაგრამ როგორ უნდა უთხრა ბავშვს სიმართლე — აი ამოცანა. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ეს ჩემს ძალებს აღემატება. და კიდევ, ადრე ჩემი ქალიშვილები ქეთინო და მანანა მეხმარებოდნენ. ახლა კი გაიზარდნენ და თავად იციან პასუხი ყველა შეკითხვაზე, მე კი არ ვიცი...“

* * *

1984 წელს გაზაფხულზე „დრუჟბა ნაროდოვმა“ ნოდარ დუმბაძეს სთხოვა გამოხმაურებოდა სსრ კავშირის მწერალთა

კავშირის ორმოცდაათი წლისთავის მომაეალ იუბილეს. ნოდარი თავს შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ დაგეპირდა, რაიმეს მოვიფიქრებო და მალე რედაქციაში პატარა სტატია „ჩემი შემოქმედებითი კავშირი“ გამოგზავნა.

რით იყო საინტერესო ეს სტატია?

უპირველეს ყოვლისა სასაუბრო თემისადმი საოცრად პირადული დამოკიდებულებით და ბოლოს უდიდესი პასუხისმგებლობით მწერალთა ორგანიზაციის მუშაობისადმი, კერძოდ კი ახალგაზრდა თაობისადმი მზრუნველობით და კიდეე — თავისი თაობის ადამიანებზე თხრობით (ჯასულ ჩარკვიანი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი, თენგიზ ბუაჩიძე, გურამ გეერდწითელი), გუშინ ახალგაზრდა, დღეს კი სახელოვან მწერლებზე, რომელთაც მხრებზე დააწვათ მშობლიური ლიტერატურის სოციალური და შემოქმედებითი პასუხისმგებლობა.

სტატია „ჩემი შემოქმედებითი კავშირი“ „დრუჟბა ნაროდოვის“ მეცხრე, სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ნოდარ დუმბაძე ვეღარ მოესწრო მის ხილვას. ეს იყო მისი უკანასკნელი ბეჭდვითი გამოსვლა.

სტატია ასე მთავრდებოდა:

„...მოვდივარ ჩვენს სახლში მაჩაბლის ქუჩაზე, 13 ნომერში, მოვდივარ ხალისიან გუნებაზე, სამუშაო განწყობილებით. აქ იყო მწერალთა კავშირი ჯერ კიდევ პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის დროს, ჩვენ დაგვიტოვეს მშობლიური ლიტერატურის მძლავრი ხე და ჩვენზეა დამოკიდებული, რომ იგი კი არ გახმეს, არამედ კიდევ უფრო აყვავდეს“.

„ჩვენზეა დამოკიდებული“... ნოდარ დუმბაძის ბაგეთაგან თქმული ლიტონი სიტყვა როდია, ეს მისი შემოქმედებითი პრინციპია, ეს მისი საზოგადო მოღვაწეობის პრინციპი, მისი ცხოვრების პრინციპია.

## როცა ასეთი სიყვარულია

ჩვენ მაშინ ოცდაორი-ოცდასამი წლისანი ვიყავით. ელგუჯა მაღრაძემ („ნიანგის" მაშინდელმა რედაქტორმა) უნივერსიტეტდამთავრებულებს თავისთან, რედაქციაში მოგვიყარა თავი. ჩვენს გარდა ჟურნალის გარშემო რამდენიმე ახალგაზრდა შემოიკრიბა: ელგუჯა მაღრაძე, ნოდარ დუმბაძე (ჯვებე დუმბავა), მოსე ქარჩავა, გარი მეტრეველი, არლი თაყაიშვილი, ნოდარ მალაზონია, ნოდარ ჩხეიძე, ედიშერ ყიფიანი, გურამ ფანჯიკიძე, ზაურ ბოლქვაძე, გიგლა ფირცხალავა, დიმიტრი ერისთავი, ზურაბ წერეთელი, ჯემალ ლოლუა... აი, ვისი სახელები და ნიჭი გაბრწყინდა პირველად მაშინ ჟურნალის ფურცლებზე.

ვცხოვრობდით ბედნიერ ოჯახად. საწუხი ცოტა გვქონდა.

ბედნიერად გრძნობდა თავს ნოდარ დუმბაძე — დედა შან ჰყავდა და პატარა ბიჭივით მზეს შეპხაროდა...

ათი წელიწადი ოჯახს, შვილის ფერებას, მასზე ზრუნვას მონატრებული ქალბატონი ანიკო მალიმალ რეკავდა რედაქციაში.

— როგორ ხარ, ბიჭო? ბავშვები ხომ კარგად არიან? ნანული როგორ არის? დღეს ქარია, თავზე თუ გახურავს! კომპოტი მოგიხარშე, ისეთია, რომ... ხომ გამოიელი, დედა, სამსახურიდან, ჩემთან?

— კი, დედა, კი, შენი ჭირიმე, კაი, ჩემო დედა. იცოდე, კომპოტი ჩემს მეტს არავის აჭამო! მოვფრინავ, დედა!..

თუ დედა შვილს სამსახურში ვერ დაიგულებდა, მე მიხმობდა ტელეფონთან. ახლაც ჩამესმის მისი ტკბილი, დარბაისლური ქართული:

— შვილო, მაპატიე, რომ გაწუხებთ, ჩემი ნოდარი ხომ კარგად არის? ახალი რა არის თქვენთან?!

ახალი და გასახარელი ამბავი კი იმდენი მქონდა სათქმელი... ნოდარ დუმბაძე იმხანად იყო რომ მწიფდებოდა, ღვინდებოდა, როგორც მწერალი. ჩვენს გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდებოდა მისი იუმორისტული მოთხრობები, ფელეტონები,

საბავშვო ლექსები და ნოდარ დუმბაძე ხალხში თესავდა სითბოს, სიყვარულს... არ იყო ისეთი დღე, რომ მწერალს მკითხველისგან მადლობის წერილი არ მიეღო.

ნოდარ დუმბაძეს უსმობდნენ გაბმულ-ცემლობებში, თხოვდნენ შეეკრიბა მოთხრობები და დასასტამბად მიეტანა. ეძახდნენ კინოსტუდიაში, თხოვდნენ კინოსცენარს, ეძახდნენ კომკავშირის ცეკაში, უწყობდნენ შეხვედრებს სკოლებში, უძღვნეს სასწავლებლებში და მეც ამას სათითაოდ ჩავუმარცელავდი ხოლმე ქალბატონ ანიკოს.

... ერთხელ ნოდარ ჩხეიძემ უნივერსიტეტში ხელფასი აიღო და, როგორც ყოველთვის, მთელი ფული წიგნებში გააბნია. სხვა წიგნებთან ერთად მან იყიდა კოლდუელის შესანიშნავი ნაწარმოები „ბიჭი ჯორჯიიდან". რედაქციაში მოარბენინა, ნოდარ დუმბაძეს მისცა და სთხოვა, წაეკითხა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მას ეს მოთხრობა მოეწონებოდა.

მართლაც, ამ მშვენიერმა მოთხრობამ შთააგონა ნოდარ დუმბაძეს დაეწერა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". მკითხველს ახსოვს, ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნებულმა ამ რომანმა რა სწრაფად მოიხვეჭა პოპულარობა. მალე წიგნადაც დაიბეჭდა.

რომანი მაშინვე დაიტაცეს კინოს, თეატრის რეჟისორებმა. სულ მალე კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შედგა ნოდარ დუმბაძის პიესის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" პრემიერა.

ეს იყო ქართული თეატრის ზეიმი; ეს იყო ნოდარ დუმბაძის, მისი ოჯახის, მისი მეგობრების ზეიმი.

მახსოვს, ედიშერ ყიფიანი მისთვის ჩვეული კეთილი ღიმილით როგორი ბედნიერი მიმოდიოდა თეატრის ვესტიბიულში.

იმ ღამეს ნოდარ დუმბაძის წარმატება ყველა მისმა ახლობელმა გაიზიარა. პრემიერას მხოლოდ დეიდა ანიკო არ დასწრებია.

— ნოდარ, სად არის დედა?

— ლეილასთან! — მითხრა მან.

— ნოდარის და — ექიმი ლეილა დუმბაძე მაშინ ტყვარჩელში მუშაობდა.

— მერე არ შეატყობინე?

— არა.

— რატომ?

— არ ვიცი... რატომ ვაწვალო, ჩემო დაია? წიგნი ხომ წაიკითხა, ჩამოვა და ნახავს, სად გაიქცევა მარჯანიშვილის თეატრი?!

...შთაბეჭდილებით თავბრუდახვეულს დიდხანს არ დამეძინა, თვალწინ შედგა სცენაზე გაცოცხლებული რომანის გმირთა ბრწყინვალე გალერეა — სესილია თაყაიშვილი — ბებია, ალექსანდრე ჟორჟოლიანი — ილიკო, გრიგოლ კოსტავა — ილარიონი, ლეო ანთაძე — ზურიკელა. მესმოდა ტაში, გაუთავებელი ოვაციები, სცენაზე ვხედავდი გაბადრულ ნოდარს მიხაკებით ხელში...

და უცებ მომეჩვენა, რომ ტელეფონმა დარეკა, დეიდა ანიკომ დამიძახა და შემეკითხა:

— რა არის, ჩემო გოგო, ახალი?!

საწოლიდან წამოვვარდი, კალამი მოვიმარჯვე და დაწვრილებით აღვწერე ყველაფერი — ზეიმი სცენაზე, დარბაზში, როგორ გაიხარა მაყურებელმა, არც ის გამომრჩენია, სცენაზე მთავრობის წარმომადგენლები რომ ავიდნენ და მწერალს გამარჯვება მიულოცეს.

წერილი იმღამესვე გავგზავნე ტყვარჩელში. ერთი კვირის შემდეგ ფოსტალიონმა ბარათი გადმომცა, დავხედე კონვერტს: ბარათის ავტორი ანიკო ბახტაძე გახლდათ.

„ჩემო კარგო გულიკო! — მწერდა იგი, — რომ იცოდე, როგორ გაგვახარა შენმა წერილმა მე და ლეილა. მადლობელი ვარ, შვილო, ყურადღებისათვის, მადლობელი ვარ, ასე რომ გიყვარს ჩემი ნოდარი, ასე გახარებს მისი წარმატება... სიხარული და ბედნიერება ნუ მოეშალოს შენს ოჯახს, რაც შეეხება იმას, რომ მან არ შემატყობინა პრემიერის დღე, მე მესმის მისი. შეეშინდა მაგ გლახას! ეშინია ჩემი, ბესო ჟღენტზე მეტად ჩემი ეშინია, მაგრამ სად დამემალება?! მალე ჩამოვალ და ვნახავ, ჩემო გოგო, სპექტაკლს“...

ქალბატონმა ანიკომ თბილისში ჩამოსვლისთანავე თავის ზეგობარ ქალებთან ერთად თეატრს მიაშურა, წარმოდგენას დაესწრო. რამდენიმე დღის შემდეგ იგი უნივერსიტეტში მივიდა,

უნივერსიტეტში იმ დღეს ნოდარ დუმბაძის რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ განხილვა ეწყობოდა.

კლუბში ტევა არ იყო, იქაურობა პროფესორ-მასწავლებლებით, სტუდენტებით გაჭედილიყო. სიტყვაში გამოსულები მწერალს უქებდნენ თხრობას, მახვილგონიერებას, ცოცხალ ენას, იუმორს, სხარტ დიალოგებს.

ქალბატონი ანიკო ჩემს წინ იჯდა. იგი თითოეულ გამომსვლელს მიჩერებოდა და ტიროდა.

— დეიდა ანიკო, ტირით? სატირალი რა გაქვთ? მითხრეს, თეატრშიც გიტირიათ. ნუ, ჩემო დეიდა ანიკო! — დავამშვიდე მე.

იგი ჩემკენ მობრუნდა. დამაკვირდა. თვალებში ჩამხედა და ხმაგამშრალმა მითხრა:

— შენც ტირი.

— მე?! მე ვტირი?! მე სულაც არ ვტირი, — ვიუარე საქციელწამხდარმა.

— კი, შენც ტირი. შენც გეშინია.

— რისი, დეიდა ანიკო, რისი უნდა მეშინოდეს? როცა კაცი ასეთი ბედნიერია...

— სწორედ მაგისი... რამდენი ტანჯვა გადამხდომია თავს, შიმშილი, წყურვილი განმიცდია — ყველაფერს გავუძელი. ამის გაძლება კი ძალზე ძნელია — როგორ უყვარს ხალხს ჩემი შვილი! ვშიშობ, დედა... გაუძლებს კი ხალხის ასეთ სიყვარულს ჩემი ნოდარი?!

მას შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა. წარმატება და ელდა, სიხარული და ტკივილი, აღმაფრენა და თავზარი... ასე მეხნაკრავმა, სიცოცხლეჩამწარებულმა იცხოვრა ეს წლები ნოდარ დუმბაძემ.

ეცემოდა და დგებოდა... ეცემოდა და კვლავ დგებოდა.

— როგორ სძლებს ამდენხანს ასეთი დაფლეთილი გულით? — უკვირდათ თვით განსწავლულ ექიმებს.

ერთი, ერთი მაგიური შეგონება — სჭირდები სამშობლოს, სჭირდები პარტიას, მწერლობას, შენს ხალხს — მკვდრეთით აღადგენდა ნოდარ დუმბაძეს და როცა ასეთი სიყვარულია, სისხლი ჩქეფს ძარღვებში, გულიც თბილია.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘ

ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ცხოვრების ის ხალისი, ის მხნეობა და სიცოცხლის ის წყურვილი აქვს, ნოდარ დუმბაძემ რომ გამოხატა, და ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ცხოვრების ამ ხალისის, ამ მხნეობის და სიცოცხლის ამ წყურვილის ნოდარ დუმბაძისსაირი გამომხატველი დაებადება.

მის სიტყვაში გამჟღავნებულია ჩვენი ეროვნული ხასიათი, მისი სულიერი სიჯანსაღე, ის ეროვნული ენერგია, რამაც ქართველი კაცი გადაარჩინა და აქამდე მოიყვანა; მის ხელში სხარტსა და ცინცხალ ქართულ სიტყვას ჰქონდა ქართული ხალხური ზღაპრის სიბრძნე და კეთილშობილება, კრიმანჭულის სიმკვირცხლე და სიმსუბუქე. ქართველ მეზღაპრეს და კრიმანჭულის შემსრულებელ კაცს იმედი და ხალისი არასოდეს დაუკარგავს, სიკვდილის აზრს არასოდეს შერიგებია, სიკვდილის შიშს მორევია, მწუხარებას გამკლავებია და გათელილი, ისევ ფეხზე წამომდგარა.

ნოდარ დუმბაძე იყო საუკუნეების წყვდიადიდან წამოსული ქართული სიტყვის მახარობელი, პირზე ღიმილგადაფენილი მხედარი, რომელიც სიტყვას მზეზე სატევარივით აცინებდა და აკაშკაშებდა.

სიკვდილი მან დაინახა შვიდფეროვანი კაბით შემოსილ, უზარმაზარი თეთრი ბაფთებით გამოწყობილ, ოქროსთმიან, ლურჯთვალა, ვარდისფერ და გამჭვირვალე, ფეხშიშველა გოგონად, რომელიც ყვავილოვან ველზე, ცაცხვის ძირში მოდის და ისე მღერის, რომ შეიძლება სიკვდილი ინატრო, თუ გეცოდინება, რომ ამ სიკვდილით განცდილი ნეტარება გაგრძელდება. გოგონა ამ რამდენიმე წლის წინ მის გაბზარულ გულს თავის ლამაზ ვარდისფერ ხელს ადებს და მწერალი ეკითხება: „წამიყვანე, ჩემო პატარა, ლამაზო გოგო, შენი მარადიული ფერების ქვეყანაში, წამიყვანე თან, შენ შემოგევლე...“

გოგონას კითხვაზე: „კი მაგრამ დატოვებ შენს სახლს და წამოხვალ ჩემთან, ადამიანო?“, მწერალი პასუხობს: „თუკი

გული არ გამიმრთელდება და მაინც უნდა მოვკვდე, განა სულ ერთი არ არის ჩემთვის?.. წამიყვანე, ვიდრე მომკვდარვარ, გაკურწნილვარ და კვლავ მიწად ვქცეულვარ; მომეცი ფერი შენი, ჰაეროვნება შენი, უკვდავება შენი და წამიყვანე. მე მეშინია სიკვდილის... წამიყვანე!"

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, როცა იგი ოქროსთმიან, ლურჯთვალა, ვარდისფერ და გამჭვირვალე, ფეხშიშველ გოგონას ელოდებოდა, მას სიკვდილის ეს შიში არ გაუმყლავნებია. მის გვერდით თითქოს სიკვდილიც ისე ოოლი იყო, როგორც სიცოცხლე. თავისი ხუმრობით, თავისი ქცევით, ბოლომდე არ გაძლევდა საშუალებას გაგეზიარებინა, რომ ახლო იყო დასასრული. მაგრამ თურმე ოქროსთმიანი გოგონა უკვე ოთახში შემოსვლას აპირებდა.

იგი სდუმდა და დაქანცული თვალებით ჩემს მიღმა კედელს შეჰყურებდა. მე ავდექი და ვუთხარი: ახლა წავალ-მეთქი.

მან შემომხედა, ჩვენი სიჭაბუკისდროინდელი, თბილისური ყარგონით მითხრა: „წადი, იუზგარ!", და ამ გამომშვიდობებაში ისეთი სიყვარული ჩააქსოვა და ისეთი ალერსიანი მზერა გამომაყოლა, რომ თავი ვერასოდეს დამეღწია და სიკვდილამდე მეტარებინა...

## ფეიმურაზ დოიაშვილი

### „ეინდა მზე ვიყო..."

— „დუმბაძე, ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო?" — უკითხავს თურმე ქართულის მასწავლებელს მეოთხე თუ მეხუთეკლასელი ბიჭისთვის, სანამ „სამშობლო ხევსურისას" ახსნიდა.

— „სამშობლო ადგილია, სადაც დავიბადე", — უთქვამს მოულოდნელი კითხვით შეცბუნებულ მოწაფეს და სხვა რომ ვეღარაფერი დაუმატებია, ატირებულა: — „მასწავლებელო, ვიცი და ვერ ვამბობო".

ნოდარ დუმბაძის მთელი ცხოვრება ამ დიდ კითხვაზე პასუ-

ხის ძიება იყო, დაჟინებული ფიქრი იმაზე, თუ რა არის სამ-
შობლო, ყოფიერება, განგება, ბედი, სიცოცხლის მიზანი, სიკვ-
დილი...

ცხადია, არსებობდა მზა პასუხები. მაგრამ მწერალი თავის
სიმართლეს ეძებდა, საკუთარი გზით ვიდოდა ჭეშმარიტებისა-
კენ — შეიცნობდა, ეჭვობდა, ისევ ეძებდა, უხაროდა, იტანჯე-
ბოდა.

მისი მხიარული ნაწერების წამკითხველს მიკვირდა, სევდი-
ანი გამოხედვა რომ ჰქონდა იმ სურათებზეც კი, სადაც იღიმე-
ბოდა. მოგვიანებით დავრწმუნდი — ფოტოები არ ტყუოდნენ:
თვალების სიღრმიდან, მართლაც, რაღაც შეფარული სევდა ანა-
თებდა.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ გატყდა, მხნეობა არ და-
უკარგავს: მნახველებს იღებდა, ხუმრობდა, მეგობრებთან იმღერა
კიდეც... პალატიდან გამოსულს, მის უკანასკნელ ღიმილთან
ერთად ნაღველი და შეძრწუნება გამომყვა — ფარული სევდა გა-
უსაძლის ტკივილად ქცეულიყო, მზერას აღებეჭდა და ერთ
სიტყვაში დანთქმულიყო: „რატომ?“

რა იყო ეს? იქნებ, ვაჟასეული სინანული იყო: „რამ შემქმნა
ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა“. იქნებ, სხვა სამყაროში
შესასვლელად გამზადებულს, გურამიშვილის საფიქრალი აწვა-
ლებდა: „ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“?
იქნებ, „რად, სოფელოს“ მძიმე ნაღველიც იყო?!

ახლა ასე მგონია: განვლილ გზას ზნეობის სამზერიდან გას-
ცქეროდა, ცოდვა-მადლს სწონიდა, უკვირდა წუთისოფლის
უსწორმასწორობა, ებრალებოდა, სტკიოდა, უყვარდა ადამიანი.
მწერალი იყო და ადამიანზე ფიქრობდა!

ნოდარ დუმბაძე პოეტი იყო, მაგრამ მარტო იმიტომ კი არა,
ლექსებსაც რომ წერდა, თავისი სულიერი წყობით, ბუნებით იყო
პოეტი. იაპონელი მწერლის, ტაიროს, ერთ სამსტრიქონიან
ლექსზე — ხოკუზე საუბრისას იგი ისეთი ცხოველმყოფელობით
გადმოგვცემს ნაგრძნობს, მხატვრული ნაწარმოების წვდომის,
წარმოსახვის და თანაგანცდის ისეთ იშვიათ უნარს იჩენს, რომ
უმალ შეიცნობ პოეტსა და მეოცნებეს.

საქართველოში არსებობს დავით კლდიაშვილის განუმეორე-
ბელი იუმორი. ასევე არსებობს ყველასგან გამორჩეული იუმო-
რი ნოდარ დუმბაძისა.

„შემოდგომის აზნაურთა“ მემატიანე თითქმის არ იციწის, არც მისი პერსონაჟები ხუმრობენ ან იცინიან. ცხოვრება იცინის ადამიანებზე და დავითიც სევდიანად შესცქერის მათ ტრაგიკომედიას.

ნოდარ დუმბაძის გმირები ხშირად ხუმრობენ, ქილიკობენ. სიცილის მიზეზი აქ, ერთი შეხედვით, თითქოს ზედაპირზე დევს, თვითმიზნურია. მაგრამ „კარგი გული მაშინვე გრძნობს“, რომ იუმორი მწერლისთვის სინამდვილესთან მიმართების ფორმაა: იგი ანიჭებს ძალას ადამიანს, ამაღლდეს გარემოებებზე. ეს იმ შემოქმედის სიცილია, რომელმაც იცის: „ძნელია კაცად ყოფნა, ძალიან ძნელი, გაცილებით ძნელი, ვიდრე ღმერთობა“.

ადამიანის უპირველეს სიქველედ ნოდარ დუმბაძეს მოყვასის სიყვარული, უანგაროდ გაღებული სიკეთე მიაჩნდა. ამიტომაა, რომ ეს თვისებები უხვად, მოჭარბებულადაც აქვთ მომადლებული მის გმირებს. ერთ დროს კრიტიკამ, სიკეთისადმი ამ თავგამოდებული ერთგულების გამო, რეალიზმის პრინციპებიდან გადახვევა, ცხოვრებისეული სიმართლის შელამაზებაც კი უკიჟინა. დამახასიათებელია ერთი შემთხვევა. ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ თანამშრომელს, „მე ვხედავ მზეს“ რომ წაუკითხავს, მწერლისთვის უთქვამს: „ნოდარ ვლადიმერის ძევ, ვინ დაგიჯერებთ, რომ გლეხმა ასე მუქთად გასცა პურიო“. მხედველობაში ჰქონდა რომანის ეპიზოდი, სადაც ბაბილო უფასოდ აძლევს სოსოიას და ხატიას მთელ ტომარა სიმინდს. მწერალი გვიამბობს:

„მახსოვს, კითხვამ შემაცბუნა: მსგავს პრობლემაზე არ მიფიქრია. მე ვიცოდი, რომ ადამიანური სინდისის კარნახით ბაბილოს უნდა გაეყო ლუკმა ბავშვებისათვის, ბოლოს და ბოლოს, მე მინდოდა, რომ ის ასე მოქცეულიყო და ამიტომ დაეწერე ეს ეპიზოდი. რედაქტორს ვუპასუხე: „არ ვიცი, იქნებ არც დამიჯერებენ, მაგრამ თუ ერთი კაცი მაინც დამიჯერებს, ეს საოცრად კარგი იქნება“.

არის ეს ცხოვრებისეული სიმართლისგან განდგომა? შელამაზება? ცხადია, არა. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში, შეიძლება, ასე არც მომხდარიყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მწერლის მოვალეობა სინამდვილის სურათების გადახატვა არაა, რომ იგი დემიურგია, შემოქმედი საკუთარი მხატვრული სამყაროსი, რო-

მელიც მისი სულის კანონებით ცხოვრობს. ნოდარ დუმბაძე ადამიანური სიკეთის, პატიოსნების, უანგარობის რწმენას იცავდა და ამიტომაც უნდა მოქცეულიყო მისი ბაბილო ასე. მწერალი სასურველს, იდეალურს ზოგჯერ არსებულად წარმოადგენდა, რომ ადამიანებს გული არ გასტეხოდათ ერთმანეთზე, სიყვარულისა და სიკეთის ყოვლისშემძლეობაზე.

გულუბრყვილობაა იმის ფიქრი ან მტკიცება, თითქოს ნოდარ დუმბაძე ვერ ამჩნევდა ან თვალს არიდებდა ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, ადამიანთა ნაკლოვანებებს და სისუსტეებს. ნუ დავივიწყებთ, რომ კრიტიკული პათოსი, რაც ასე გაძლიერდა 60-იან წლებში, მისი შემოქმედებიდან იღებს სათავეს.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს საგურამოში ვეწვიეთ ბატონ ნოდარს. საერთო საუბრის შემდეგ სელი გამომდო, სხვებს გამარიდა. ღობესთან, ძელსკამზე ჩამოვსხედით. საღამოვდებოდა. ერთხანს ვდუმდით, ვუმზერდით, როგორ უკარგავდა ჩამოწოლილი ბინდი საგნებს სიცხადეს. მოულოდნელად, საკუთარ თავზე, წარსულზე, განვლილ ცხოვრებაზე დაიწყო ლაპარაკი. მოულოდნელადო, ვამბობ, რადგან მასთან არამცთუ მეგობრობით, სიახლოვითაც ვერ დავიქადნიდი. მეგონა, ყველაფერი ვიცოდი მასზე, ბავშვობიდან მოყოლებული „მარადისობის კანონამდე". მაგრამ ეს არ იყო ჩემთვის ნაცნობი, სიკეთით სავსე, მხიარული, ლიტერატურად გარდაქმნილი სამყარო. ის ლაპარაკობდა ობლობის დღეებზე, მეგობრის გაუტანლობაზე, ადამიანურ ურთიერთობათა სირთულეზე. სწორედ მაშინ ვიგრძენი: სიკეთის რწმენა ტანჯვით ჰქონდა მოპოვებული და როგორც დღესასწაული, ისე გადაჰქონდა თავის წიგნებში.

არაერთხელ გამხსენებია ეს საუბარი. რის მოწმე ვიყავი: ხმამაღალი ფიქრის? უნებლიე განდობის? გვიან მივხვდი: ნდობის გამოცხადება იყო, დიდი ტაქტით მოწოდებული დარიგება, წინმავალი კაცის ზრუნვა „შემდგომ მოძმეზე". ზრუნვა კი გამორჩეული იცოდა.

მწერალთა ბოლო ყრილობაზე, სადაც ნოდარ დუმბაძე ქართველ მწერალთა თავკაცად აირჩიეს, ახალგაზრდობის სახელით გამოსვლა მომიწია. ის, ცხადია, პრეზიდიუმში იჯდა. ვხედავდი, ხელისგულზე დაყრდნობილი, ყურადღებით მისმენდა. და-

ვაქთავრე თუ არა სიტყვა, შესვენება გამოცხადდა. სულის მოსათქმელად შედარებით მყუდრო ადგილი მოეძებნე. დაჟინებული მზერა ვიგრძენი. ბატონი ნოდარი იყო. ერთხანს ისევ მიცქერა, მერე მოვიდა, ხელი ჩამომართვა და უსიტყვოდ გაბრუნდა. გაცნობის ამ დღიდან თან მდევდა ძისი უჩინარი მხარდაჭერა. და განა მარტო მე?!

ყველასთვის ცნობილია და სამაგალითო ნოდარ დუმბაძის განსაკუთრებული სიყვარული და ზრუნვა ახალგაზრდობაზე, რაც არაერთგზის გამოუხატავს სიტყვით თუ საქმით, რადგან სჯეროდა: „ქვეყანა გონიერ, შემოქმედ, შრომისმოყვარე, ჯანსაღ და ნათელი რწმენისა და მომავლის მქონე ახალგაზრდობას ეკუთვნის". როგორი ყურადღებით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ლიტერატურულ ახალთაობას! საკვირველია, როგორ იცლიდა ეს ჯანგატეხილი, ათასი საზრუნავით დატვირთული სახელმწიფო კაცი და გამოჩენილი მწერალი, ეკითხა ჩვენი ნაწერები, დაგვსწრებოდა ლიტერატურულ განხილვებსა თუ საღამოებზე და ზოგჯერ არც იმ სერობაზე ეთქვა უარი, რასაც მისი მკაცრი რეჟიმი და ცხოვრების წესი გამორიცხავდა. მაგრამ მან უწყოდა, რას ნიშნავდა ეს თანადგომა. ახალგაზრდობაც ამიტომ უპასუხებდა გულწრფელი სიყვარულით.

ნოდარ დუმბაძის სიცოცხლის აზრის განსაზღვრა რომ ეთხოვა ვინმეს ჩემთვის, აუილებლად ბარათაშვილის სიტყვებს გაეიხსენებდი:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.

ეზე ხომ მისთვის სიცოცხლის, სინათლის, სიკეთის ხატი იყო. სითბო, სინათლე და სიკეთე მოჰქონდა თავად მას ადამიანებისათვის.

მთელმა საქართველომ გააცილა უკანასკნელ გზაზე შემოდგომის მზით განათებულ, ცრემლიან დღეს. მწერლის ღაღლილი, ნატანჯი სხეული მისმა ოცნების ქალაქმა მიიბარა. მაგრამ როცა ბატონ ნოდარზე ვფიქრობ, უნებურად წმინდა მთისკენ ვიმზირები, რადგან იქ მეგულება მზის სხივად გარდაქმნილი მისი სული, მშობელ ხალხსა და ქვეყანას რომ ესიტყვება:

„იდიდე, ბუნებავ, რა ბედნიერებაა, ყოველივე ეს რომ რჩება ქვეყნიერებაზე და კაცთან ერთად არ კვდება!"

## მუსიკა მის სახლში

გვიან საღამოს, როცა ზღვის მარილით გაჟღენთილ ბინდში მხოლოდ ციცინათელებიღა დაფარფატებდნენ, გულრიფშის სანაპიროს მივუყვებოდი და მუსიკის ხმა მომესმა.

მუსიკა ჩემი უდროოდ გარდაცვლილი მეგობრის სახლში გრიალებდა და მან შეურაცხმყო ხმამაღალი, მოურიდებელი, მხიარული სიცოცხლით, რადგან იგი მომესმა იმ კედლებიდან, სადაც აღარ იყო აწ საუკუნოდ წასული სახლის პატრონი. ფარული უკმაყოფილებით შევდექი ჭიშკართან. ღია ფანჯრებში თანამედროვე მუსიკის რიტმზე მოცეკვავე ახალგაზრდა გოგონები და ბიჭები დავინახე და უცებ წარმოვიდგინე, რომ ისინი ცეკვავენ მის დაუწერელ სტრიქონებზე, რომლებიც თითქოს ობლად დაცოცავდნენ იატაკზე. მუსიკა მის სახლში მოზეიმე თავდავიწყებად მეჩვენა, უტაქტოდ რომ როკავს სასაფლაოზე. წარმოვიდგინე, რომ ამ ახალგაზრდა ხალხს — ნათესავებს თუ, უბრალოდ, სტუმრებს, დავიწყნოდათ სახლის ყოფილი პატრონი და ყველა პოეტისათვის ჩვეული საკუთარი თავის შეცოდების გრძნობით შეპყრობილმა წარმოვიდგინე, თუ როგორ იცეკვებენ ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემს სახლში, დაუწერელი სტრიქონებისა გამო.

გულდამძიმებული ვბრუნდებოდი უკან, საკუთარი სახლისკენ. ჩემდა საბედნიეროდ, როცა ცუდად ვარ, მარტო დარჩენისა მეშინია, და სინათლის შუქმა ჩემი მეგობრის, ვანო თარბას სახლში მიმიყვანა. ვუამბე ვანოს ყველაფერი, რაც ვნახე და გავიფიქრე. და უეცრად ვანომ შემისწორა: „იცი რა? ნოდარს მოეწონებოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მის სახლში მუსიკაა". და უცებ მიეხვდი, რომ ეს მართლაც ასე იყო.

ო, ღმერთო ჩემო, როგორ უყვარდა მუსიკა! უყვარდა ზღვის მუსიკა, ხეების მუსიკა, პოეზიის მუსიკა, მუსიკა სუფრასთან საუბრისა. ჭეშმარიტი მწერალი მუდამ აყოლილია შინაგან მუსიკას და მას დრო და ძალა აღარ რჩება შურისთვის. შური მოწამლული ჰაერია, რომელიც აავსებს სულიერ სიცარიელეს, რო-

ცა სულში ქრება მუსიკა. დიახ, ნოდარი მუდამ საესე იყო მუსიკით, ბოლმისთვის მას არ ეცალა.

იგი მოქმედებდა ჩემზე არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც სიცოცხლის ყველაზე დიდი გამოხატულება. სიცოცხლე ლიტერატურაზე უფრო დიდია, რადგან მასზე ფართოა. ნოდარი უბის წიგნაკის ტიპის მწერალთა რიცხვს როდი მიეკუთვნებოდა. მისი უბის წიგნაკი მისი კანი იყო, რომლითაც სიცოცხლეს იწოვდა.

ნიჭიერების დაცემის პირველი ნიშანი ცნობისმოყვარეობის დაკარგვაა. ნოდარი საოცრად ცნობისმოყვარე იყო და მან, არაჩვეულებრივმა მოსაუბრემ, სხვისი მოსმენაც იცოდა, იქნებოდა ის კოლეგა — მწერალი თუ ზეინკალი — სანტექნიკოსი.

როცა მისთვის სრულებით არ შეიძლებოდა დალევა, თავისი ჯერ კიდევ ხარბი, მაგრამ ფრთხილი ტუჩებით, ოდნავ მაინც მოსვამდა ღვინოს.

როცა ნოდარი სოხუმის საავადმყოფოში იყვა, მან ყველა მომვლელი ქალი და მედდა მოხიბლა, და მოხიბლა არა თავისი სახელმოხვეჭილობით, არამედ მათდამი ინტერესით, განუმეორებელი ღიმილით, რომელიც ირეკლებოდა იმ სახეებზეც კი, გადაჩვეულნი რომ იყვნენ ღიმილს.

ნოდარი ადამიანებზე მოქმედებდა არა როგორც ლიტერატურის, არამედ როგორც ბუნების წარმომადგენელი. დღევანდელი დღისათვის იგი იშვიათი ადამიანი იყო. ახლა, როცა ბევრი წუწუნის, ჩივილის, ერთმანეთის დაგესლვის, ერთმანეთის ზურგს უკან კიცხვის, ერთმანეთის ჭამისა და ჭორიკნობის მეტს აღარას აკეთებენ, იგი რენესანსული ყაიდის ადამიანი გახლდათ. მაშინაც კი, როცა დარდობდა და უჭირდა, ხუმრობდა ხოლმე და ეს არ იყო თვალთმაქცობა. ყოველგვარი შინაგანი განწყობილების დამოუკიდებლად მასში დაუოკებლად ხტოდა სიკეთის მზის ათინათი. ხასიათის რენესანსულობა მუსიკით სავსე შინაგანი ბუნებაა. მას ერთობ შვენოდა მეზღვაურის ზოლიანი პერანგი და თვალისმომჭრელად ქათქათა კეპი, თავისებურად, დუმბაძისეულად რომ ეხურა. ნოდარი ნაზი და მზრუნველი მეუღლე და მამა გახლდათ, მაგრამ ოჯახი ციხესიმაგრედ არასოდეს უქცევია, რომლის კედლებს მიღმა აღარაფერია ხოლმე მშობლიური.

იგი იყო არაჩვეულებრივი მეგობარი. არასოდეს დამავიწყ-

დება, როგორ ჩამოვედი თბილისში ჩემი ფილმის „საბავშვო ბაღის“ საჩვენებლად. ფილმს აკრძალვის საშიშროება ელოდა, რადგან ვიღაც-ვიღაცეებმა შარი მოსდეს მას.

ნოდარს ვთხოვე, წერილობით გამოხმაურებოდა ფილმს. „უფრო ჭკვიანური რაღაც მოვიფიქრე... — მითხრა მან, ცერი თითი ასწია და ეშმაკურად გამიღიმა, — შენ თუ ჩემი მხოლოდ წერილობითი გამოხმაურება გექნება, იტყვიან — გამოსთხოვაო, მე კი შენს ფილმზე ოფიციალურ გამოხმაურებას მივცემ საქინფორმის საშუალებით“. ასეც მოიქცა და მხოლოდ მისი და მასავით ერთგული მეგობრების წყალობით, რომელთაც არ შეეშინდათ თბილი სიტყვა შეეწიათ ჩემი ფილმისათვის, იგი კკრანზე გამოვიდა.

ნოდარი იმ მცირერიცხოვან პროზაიკოსთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებმაც მოიწონეს პირველი ნაწყვეტები ჩემი რომანიდან „ნეტარი დღეები“. ეს წიგნი ძალიან ღიდხანს და ძნელად იწერებოდა. პირადად ჩემთვის, როცა ძალიან მიჭირდა, მან გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც მხოლოდ ნამდვილ მეგობარს შეუძლია. და განა მარტო ჩემს მიმართ იყო ასეთი?

სიკვდილს საშინლად შურდა მისი, როგორც მუდმივი მეტოქისა — სიცოცხლის უდიდესი ტრფიალისა. გაჭიანურებული, სისხლიანი იყო ნოდარის დუელი სიკვდილთან. იგი თვალსა და ხელს შუა ილეოდა და მხოლოდ სასწაულის იმედიღა რჩებოდა, მაგრამ სასწაული არ მოსდა.

როცა ნოდარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ვფიქრობ, მიმაჩნია, რომ მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ლიტერატურა, ეპიკისა და აღსარებითი ამოოხვრის შენაცვლების გზით პირველმა შეიტანა მასში წმინდა პოეზიის ბადალი ნაკადი თავისუფალი შეგნებისა. მისი ცდების გარეშე, არ იქნებოდა ბევრი რამ, რითაც დღეს ამაყობს ქართული ლიტერატურა.

იგი მოკლებული იყო ნაციონალურ შეზღუდულობას. ამით იყო იგი წმინდა სისხლის ქართველი ინტელიგენტი. მას ჰქონდა უძვირფასესი თვისება — არ გაგულისებულიყო, როცა პირში საწყენს ეტყოდნენ. მახსოვს, ერთხელ, ერთი გაზეთისათვის მიცემული ინტერვიუს ზედმეტად ოფიციოზურობისთვის ვუსაყვედურე. ნოდარს გაეცინა და მითხრა, არავითარი ინტერვიუ მე არ მიმიცია, უბრალოდ, ხელი მოვაწერე მავანი ჟურნალისტის

მიერ წინასწარ დაწერილ სტატიასო. გაკვირვებული: „კი მაგრამ, როგორ შეგეძლო?". ნოდარმა ღაწნაშავედ მხრები აიჩეჩა: „შემეცოდა ბიჭი. იმდენი იშრომა"... მაგრამ ნოდარი ყოველთვის რიდი იყო ასე ლიბერალური, მას მკაცრი სიტყვის თქმაც შეეძლო. ცოცხალი რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, ამასაც უკეთ ვერავინ გასცემდა საკადრის პასუხს ასტაფიევის სამწუხაროდ გახმაურებულ მოთხრობას, რომელმაც, ნებსით თუ უნებლიეთ, შეურაცხყო ქართველი ერის ნაციონალური ღირსება.

ნოდარ დუმბაძის დაკარგვა მწერლის უბრალოდ დაკარგვაზე მეტია, თავად სიცოცხლის რაღაც ნაწილის დაკარგვაა, მაგრამ იმით, რომ ნოდარი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, იგი უკვდავ მონაპოვრად იქცა ყველა ჩვენთაგანისათვისაც და მომავალი თაობებისთვისაც.

ამის შემდეგ, თუ მე ისევ გავუყვები გულრიფშის სანაპიროს და ნოდარ დუმბაძის სახლში კვლავ გავიგონებ მუსიკის ხმას, აღარასდროს ვიფიქრებ, რომ იგი შეურაცხყოფს მის ხსოვნას. ეს მუსიკა მან შეუკვეთა ახალგაზრდობისათვის და მთელი თავისი სიცოცხლით, მრავალი წლით წინასწარ გაისარჯა მისთვის.

## ედუარდ ელიგულაშვილი

## სიყვარული სიყვარულის ფილ...

რა თქმა უნდა, არავის არ დაუთვლია, რამდენი კაცი მოვიდა ნოდარ დუმბაძის დაკრძალვის დღეს, რათა უკანასკნელი პატივი მიეგოთ საყვარელი მწერლისა და ადამიანისათვის, აქ იყვნენ ახლობლები და ნათესავები, მეგობარ-ამხანაგები, მწერლები და მკითხველები — მრავალი ათასი კაცი.

ხალხმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მას თავისი სიყვარული.

...მხოლოდ ყველაზე ახლო ნათესავები და მეგობრები შეიკრიბნენ საავადმყოფოს პროზექტურასთან, სადაც ნოდარი გარდაიცვალა, სულ ათი-თხუთმეტი კაცი. მისი უკანასკნელი გზა

საავადმყოფოდან სახლამდე ძალიან მოკლე იყო — რამდენიმე კვარტალი ერთსა და იმავე ქუჩაზე...

საავადმყოფოს ეზოში შეკრებილი ხალხი ხმას არ იღებდა, ანდა რა უნდა ეთქვათ? ყველამ დიდიხანია იცოდა, რომ ნოდარის გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო, და აი, სასწაული არ მოხდა!

საერთო სიჩუმეს და სამგლოვიარო მოლოდინს მხოლოდ ერთი კაცი არღვევდა, ხანდაზმული, ჭაღარათმიანი, საგანგებოდ გაუთოებულ კოსტუმში და განივრად გამონასკვულ ჰალსტუხში, ის ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას, ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან, რაღაცას ეკითხებოდა... როდესაც ნოდარი საკაცით გამოასვენეს პროზექტურიდან, ის ჩაჯდა მასთან, სანიტარულ მანქანაში.

მგონებ, არავინ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი. მხოლოდ შემდგომ გამოირკვა, რომ ის ყოფილა ჭიჭიკო გოგოლი, დიახ, ის ჭიჭიკო გოგოლი, „თეთრი ბაირაღების" ერთ-ერთი პერსონაჟი.

ლიტერატურული გმირი თავის ავტორს მიაცილებდა!

თუ არ ვცდები, ეს უნიკალური ფაქტია ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ, იმათთაგან, ვინც იცნობდა ნოდარ დუმბაძეს, ეს არავის არ გაკვირვებია. მას რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობები აკავშირებდა თავისი წიგნების გმირებთან. ილიკო და ილარიონი, ვანიჩკა ბიძია და თალიკო... იგი ცხოვრების წიაღში პოულობდა თავისი პერსონაჟების პროტოტიპებს და თავისი მწერლური ნიჭის და ფანტაზიის მეშვეობით ანიჭებდა მათ ახალ სიცოცხლეს, დიდი ხელოვნების მასშტაბში აპყავდა. იგი მამაღმერთივით ცხოველ სულს შთაბერავდა მათ და ისე უბრუნებდა თავის საყვარელ ხალხს წიგნების ფურცლებზე.

„მწერლობა — მახსოვრობაა", — თქვა ნოდარ დუმბაძემ თავის უკანასკნელ მოთხრობაში. მას კარგი, ძალიან კარგი მახსოვრობა ჰქონდა, და გასახსენებელიც ბევრი რამ მისცა ბედმა — კარგიც და ცუდიც, მაგრამ მწერლობა სიცოცხლისადმი სიყვარულიც, ცხოვრების ნიჭიც არის. თვით ნოდარ დუმბაძემ მოგვცა ამის შესანიშნავი დადასტურება.

მეც მქონდა შემთხვევა შევხვედროდი მისი მოთხრობების თუ რომანების გმირებს — არა მარტო წიგნების ფურცელბზე, ცხოვრებაშიც.

ბევრ თბილისელს ეხსომება ერთი ჩია ტანის კაცი, რომელსაც ნოდარი და მისი თანატოლები ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან იცნობდნენ. რამდენჯერ მოსულა იგი „ნიანგის“ რედაქციაში, ნოდარს ერთ-ორ მანეთს გამოართმევდა, თითქოს თავისი კუთვნილი ჰონორარის წილს — ნოდარმა ის ხომ ერთ-ერთ თავის წიგნში „გამოიყვანა“...

ერთხელ ქუთაისის სასტუმროში გავჩერდით ღამის გასათევად. დილით კარზე კაკუნმა გამოაღვიძა ნოდარი — მას ვიღაც უცნობი ქალი კითხულობდა, თურმე იგი ერთ-ერთი მისი პერსონაჟის ნათესავი ყოფილა, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა. აღარ მახსოვს, რაში იყო საქმე კონკრეტულად. ის კი მახსოვს დანამდვილებით, რომ ნოდარი შეპირდა ყოველგვარ დახმარებას — მისი გმირის პროტოტიპი გასაჭირში იყო, მისი მიტოვება უპატრონოდ მას არ შეეძლო!..

ეს ამბავი ბევრმა იცის, ნოდარი ხშირად ჰყვებოდა მას დაუფარავი სიამაყის გრძნობით. ერთ თავის წიგნში მან თავისი ნამდვილი სახელითა და გვარით გამოიყვანა ერთ-ერთი თანასოფლელი, მხოლოდ რეალურ პროტოტიპთან შედარებით საგრძნობლად „გააკეთილშობილა“ იგი. მერე ნაცნობებმა უამბეს, როგორ ცდილობდა ის კაცი „დასწეოდა“ თავის ლიტერატურულ ორეულს.

დაეხმარო ადამიანს — ეს არის ლიტერატურის უპირველესი ამოცანა და მისია, ნოდარ დუმბაძის რწმენით. და ამას ემსახურებოდა თავისი წიგნებით, თავისი ცხოვრებით. არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტული საქმეებით.

რა უფრო იყო ნოდარის ნაწარმოებების სტილი — სევდანარევი იუმორი თუ იუმორით განელებული სევდა? საოცარია, მაგრამ მის დარჩენილ სურათებს შორის, ეგონებ, ძალზე იშვიათად შეხვდებით გაცინებულ ნოდარს. სხვისი გაჭირვების გამზიარებელი, ის თავის ტკივილს ჩუმად, უთქმელად ატარებდა. ისე წავიდა ამ ცხოვრებიდან, რომ ბოლო დღეებშიც ერთი-ორი თავისი მოსწრებული სიტყვა და ხუმრობა დაუტოვა ახლობლებს.

ასე გატარებულ ცხოვრებას, ალბათ, შეიძლება გმირობა ეწოდოს.

სიმართლის თქმა იყო მისი მოქალაქეობრივი და მწერლური

პოზიცია, მაგრამ ისე იცოდა ამ სიმართლის თქმა, რომ არ გწყენოდა. ამას ხომ დიდი ადამიანური ნიჭი უნდა!

მახსოვს, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს უცხოელმა ჟურნალისტმა ჰკითხა: — რატომ არის, რომ ზოგ თქვენს მწერალს მართალი სიტყვისათვის აკრიტიკებენ, თქვენს ნაწარმოებებში კი მძაფრი და პირდაპირი კრიტიკაა ბევრი ნაკლოვანი მხარეების, თქვენ კი არც ჯილდო, არც დაფასება არ დაგაკლეს პარტიამ და მთავრობამ?

— ეს იმიტომ ხდება, — უპასუხა მაშინ ნოდარმა, — რომ თქვენ მიერ ნახსენები მწერლები, რომლებსაც ზოგჯერ სიმართლის გულისათვის დევნილებად მოაქვთ თავი, მხოლოდ უარყოფითის ჩვენებით კმაყოფილდებიან, მხოლოდ „სეირს“ უყურებენ, ხალხის და ქვეყნის გასაჭირი მათთვის არაფერია. მე კი ყოველი პატარა ხარვეზი — ადამიანის სულში იქნება ის თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში — გულს მტკენს, მათი გამოსწორებისათვის ვწერ, ვიბრძვი და ვცოცხლობ. ეს ორი დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციაა, და რატომ გიკვირთ, რომ მათ ორი საპირისპირო შეფასება აქვთ?

სწორედ ასეთი პოზიცია აძლევდა ნოდარ დუმბაძეს უფლებას, თამამად და პირდაპირ ეთქვა სიმართლე ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან, თავის წიგნებში პირდაპირ ეჩვენებინა ის, რაც აწუხებდა და გულს სტკენდა.

მაგრამ ვის მოუვა აზრად, გამოაცხადოს ნოდარ დუმბაძე ეგრეთ წოდებული „კრიტიკული რეალიზმის“ მომხრედ და მიმდევრად? იგი საოცრად ამაღლებული რომანტიკული გულის, საოცრად ლაღი ფანტაზიის პატრონი იყო.

მის სახელთან ბევრი საერო, საშვილიშვილო საქმის განხორციელებაა დაკავშირებული, მათ შორის — საბავშვო ქალაქ „მზიურის“ მშენებლობა. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე ნოდარ დუმბაძემ გამოთქვა თავისი ოცნება, შეიქმნას თბილისში ბავშვებისათვის ისეთი „ქალაქი“, სადაც მათ შრომისა და აღზრდის, თამაშისა და გართობის საუკეთესო პირობები ექნებოდათ. „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“, — ასე დაარქვა ნოდარმა იმ თავის წერილს, ვინ იფიქრებდა, რომ მისი განსორციელებული ოცნება გასდებოდა მისი ნეშტის სამუდამო აღგილსამყოფელი?

ნოდარი უკვე ძალიან ავად იყო, ეს მოსდა იმ დღეებში, როდესაც მოსკოვში მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმი უნდა შემდგარიყო, და ის ეშზადებოდა პლენუმზე გამოსასვლელად. ძალიან განიცდიდა, რომ ვერ მიიღებდა მონაწილეობას მის მუშაობაში. საავადმყოფოდან გადმოიგზავნა თავისი გამოსვლის ტექსტი „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე დასაბეჭდად. ავადმყოფი, დასუსტებული ის მაინც ლიტერატურით ცოცხლობდა. ღღეს ნოდარ დუმბაძე ლიტერატურაში ცოცხლობს. ცოცხლობენ მისი წიგნები, მისი ვეფხვები, ცოცხლობს მისი ღიმილი და სევდა, მისი ოცნება.

ქალაქ „მზიურში“ ნოდარის საფლავზე მიხაკები ცოცხლობენ.

**მერაბ ელიოზიშვილი**

## შენახული ღიმილი

„თეთრი ქარავნის“ მხიარული ახალგაზრდული მატარებელი ცხინვალის ბაქანზე დგას. ჩემი ქალაქის სტუმრები — ფილმის მთავარი რეჟისორები, მთავარი ოპერატორი, მთავარი როლების შემსრულებლები — ღიმილის ცისარტყელად ადგანან ცხინვალის სადგურს. ცისარტყელას შუაგულში სახეგაბადრული ჩვენი ნოდარია. ჩვენი, ჩემი ნოდარ დუმბაძე. კეთილი მახპინძლის მიწა-წყალზე პირველად, ყველა ქალაქზე პირველად შემოდგა ფეხი „თეთრი ქარავნის“ გადამღებმა ჯგუფმა, ამ ფილმის მეგობრებმა, მოყვარეებმა. პირველად იმიტომ, რომ ჩვენებური მეცხვარების ყოფა-ცხოვრება ასახა ამ ფილმმა.

დგანან ბიჭები, ერთიმეორეზე უკეთესი მამულიშვილები და უკეთესთა შუაგულში უკეთესი ვაჟკაცი გეხიბლავს თავისი, მხოლოდ ნოდარ დუმბაძისათვის თანმხლები, სწორუპოვარი ღიმილით.

გაწყდა ჩვენი მეგობრობის რკალი, ძალზე უდროოდ გაწყდა ჯაჭვი ჩვენი სიყვარულისა, ამოვარდა მთავარი რგოლი ქართუ-

ლი იუმორისა, ჩვენი მეგობრობის, ჩვენი ლიტერატურისა, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი ყველაზე თვითმყობადი და ნიჭიერი რგოლი. ჩვენი ძმობის ქარავანში ერთმა საბელადო თეთრმა აქლემმა ჩაიჩოქა და აღარ გასწორდა, აღარ გაიმართა. ვეღარ გასწორდება, ვეღარ გაიმართება!

ოცი წლის წინანდელია ეს ფოტო: მარცხნიდან მეორე, ქუდმოხდილი და ღიმილით გაშუქებული ტიტო კალატოზიშვილია, „თეთრი ქარავნის" მთავარი ოპერატორი, შემდეგში ცნობილი საბჭოთა ოპერატორი და კინორეჟისორი. მისმა აქლემმაც ჩაიჩოქა, ჩაიჩოქა ასევე უდროოდ, ახალი ფილმის გადაღებისას. აღარ არის ტიტო კალატოზიშვილი, რომლის წასვლამ დიდად დასწყვიტა გული ნოდარსაც, ჩვენც.

ჩემგან მარცხნივ, ცნობილი ქართველი პროზაიკოსი ედიშერ ყიფიანია. მისმა აქლემმაც ჩაიჩოქა ამ ათიოდე წლის წინათ და მისმა წასვლამაც ჩასწყვიტა გულის სიმები ჩვენს ნოდარს, ედიშერის შეუქცეველ მეგობარს.

დანარჩენები ფეხზე დგანან, ჩემო ნოდარ, და ცრემლიანი თვალებით გემშვიდობებიან.

გახსოვს, ერთხელ სიტყვა გითხარ და ცას დაეწიე სიხარულით: „ავბედითობის ჟამს სამშობლოდან გადასახლებული იუმორი კვლავ დაუბრუნე შენს ქვეყანას-მეთქი". — გითხარი და გაიბადრე, გაგიბრწყინდა სახე. რისი ღირსიც იყავ — ის გითხარი. გაიღიმე და დარჩი გაღიმებული ჩემს მეხსიერებაში. ღიმილის ბიჭად დარჩი სამუდამოდ...

დაე, დიდხანს ეფრიალოს შენი ღიმილის თეთრ ბაირაღს ქართულ მწერლობაში!

ასეც იქნება...

დაე, არ შეწყვეტილიყოს შენს მიერ გახსნილი ქართული იუმორი ქართულ ლიტერატურაში!

ასეც იქნება.

არ წაშლოდეს შენი უბადლო ღიმილი შენს სამშობლოს, შენი მეგობრების შუბლს!

ასეც იქნება.

„მიუხვევ მამა-პაპათა ამოღებულის კალმითა".

## სიტყვა ნოდარ დუმბაძეზე

ნოდარ დუმბაძე ჩემი საყვარელი მეგობარი იყო. ამიტომ მე ვილაპარაკებ არა მხოლოდ ლენინური პრემიის ლაურეატ მწერალ ნოდარ დუმბაძეზე, არამედ მოქალაქეზეც, ადამიანზეც.

ნოდარ დუმბაძე იმდენად მრავალმხრივი იყო, ბუნებას ისე უხვად დაეჯილდოებინა, ისე საინტერესო იყო თავისი პიროვნული თვისებებით, რომ დაუსრულებლად შეიძლება მასზე ლაპარაკი.

მას ძალიან უყვარდა მზე, მისი ყველა ნაწარმოები მზის სითბოთია გამსჭვალული და, ასე გეგონებოდათ, თვით მისი პიროვნებაც მზის სხივებს გამოსცემდა.

მას არ მოუხდებოდა განსაზღვრება: „ლამაზი მამაკაცი", მაგრამ ეს შავგვრემანი, ტანდაბალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, არცთუ ყოველთვის ლამაზტანსაცმლიანი ადამიანი იმდენად სიმპათიური, იმდენად საყვარელი, იმდენად ლამაზი იყო ადამიანურად და ყველას თვალში ხვდებოდა, — თუმცა საამისოდ თვითონ არავითარ ღონეს არ ხმარობდა, — რომ უცნობი ადამიანიც კი გვერდს ვერ ჩაუვლიდა ისე, რომ არ შეემჩნია.

ნოდარ დუმბაძე სხვადასხვა სიტუაციაში მინახავს, და იგი ყოველთვის შესამჩნევი, ენამახვილი და გულითადი იყო. მან ერთგული და ნაღდი მეგობრობა იცოდა.

ჩვენ ერთად გვიმოგზაურია, ერთად ვყოფილვართ ოფიციალურ შეხვედრებზე, სოფლებში, გაცხარებულ ლიტერატურულ დისკუსიებზე, სტუმრად. ყველგან და ყოველთვის ნოდარს თავისი საგანგებო, ლიდერის ადგილი ეკავა, გამოირჩეოდა თავისი გულწრფელი მეგობრებისა და პატივისმცემელთა წრეში (ვიმეორებ, საამისოდ თვითონ არაფერს აკეთებდა).

აფხაზეთში ამბობენ: მეზობელი, უბრალოდ, ის კი არაა, ვინც შენს გვერდით ცხოვრობს, მეზობელი შენი გულის ნახევარია, რადგან ჭირშიც და ლხინშიც მთელი შენი ცხოვრების თანამონაწილეაო.

გულრიფშში ჩემი მეზობელი ნოდარ დუმბაძე იყო. ჩემს ზვერდით ცხოვრობდა, იმავ ნაპირზე.

(გულრიფში კონსტანტინ სიმონოვის საყვარელი ადგილი იყო. მან აღმოგვიჩინა ჩვენ, მწერლებს, მეგობრებს, ეს ადგილი. მეც და ჩვენ ყველანი მას გამოვყევით აქ).

უნებურად მახსენდება კონსტანტინ სიმონოვი — გამრჯე კაცი, რომელიც მუდამ მუშაობდა. უბრალოდ — ვერ წარმომიდგენია, როდის ისვენებდა. ყოველთვის ფიქრებში წასული, დაძაბული, რაღაცით შეწუხებული იყო. დუმბაძის გამოჩენა და სიმონოვის გარდაქმნა ერთი იყო, ჩვენს წინ იყო სულ სხვა სიმონოვი, როგორიც არასოდეს გვენახა: კაცი, რომელსაც ვერაფრით გააკვირვებდი, ხარხარებდა, როგორც კი ნოდარი რაიმე თითქოსდა სულ უბრალო სიტყვას წარმოთქვამდა. სიმონოვს უყვარდა დუმბაძე, სულ უნდოდა მისი ნახვა. ნოდარი ეხმარებოდა მას მუშაობასა და ცხოვრებაში.

რით უნდა აიხსნას მისი ზეგავლენა ადამიანებზე? ნოდარი მუდამ ყურადღებით ეკიდებოდა ადამიანებსა და მათ საწუხარს, თვალის ერთი შევლებით ესმოდა ადამიანის განწყობილება და ამისდა მიხედვით ირჯებოდა.

ნოდარ დუმბაძესთან ყოფნა ყველგან სასიამოვნო იყო. იგი გაწაფული მონადირე და განსაცვიფრებელი მეთევზე იყო. ბადეს ისე მარჯვედ ისროდა მდინარეში, რომ სადაც არასოდეს არავის არაფერი დაუჭერია, ერთ პაწია თევზს მაინც ამოიყვანდა ხოლმე. ხელბედნიერი კაცი იყო. ჩვენ, მისმა მეგობრებმა, უკვე დაბეჯითებით ვიცოდით, როდესაც დუმბაძესთან ერთად მივდიოდით სანადიროდ თუ სათევზაოდ, მუდამ ბედი გვიმართლებდა.

ერთხელ, მახსოვს, გვითხრა:

— ბიჭებო! დღეს ჩემი ხელით გაკეთებულ უხას გაჭმევთ.

და მდინარე კოდორის ნაპირას უხა მოგვიხარშა! უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქმეში მას ვერავინ შეედრებოდა. ვერც ერთი, თუნდაც საუკეთესო, რესტორანი ისე გემრიელად ვერ დაგაპურებთ, როგორც დაგვაპურა მაშინ ნოდარმა. იგი ზოგჯერ მარტოკა მუშაობდა, ოჯახისგან დაშორებული. მაგრამ ვისაც არ უნდა შეევლო მასთან, მშიერი არ წამოვიდოდა. ყველაფერს საკუთარი ხელით ამზადებდა ძალიან გემრიელად.

როდესაც მწერალი დუმბაძე მუშაობდა, მას ეკარგებოდა დროის შეგრძნება, საკუთარი თავი აღარ ახსოვდა. ამასთან, არავის თავს არ აბეზრებდა მერე, დავიღალეო.

ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა: მე შევიტყვე ნოდარის დაბადების დღის თარიღი. თვითონ აღარ ახსოვდა — სულ ერთიანად ჩაფლული იყო ახალ სამუშაოში, წერდა, იმხანად იქ მარტოკა იყო და ვერავინ შეახსენებდა ამ თარიღს.

მეგობრებმა თიკანი ვიყიდეთ და ჩემსას მივედით. მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთმა არ ვიცოდით მისი აქნა, და იძულებული გავხდით ნოდარისთვის მიგვეკითხა, დახმარება გვეთხოვა. სტუმრებს ველოდები-მეთქი, ვუთხარი. ნოდარი ხომ ის კაცი არ იყო, მეზობლისთვის უარი ეთქვა. მოვიღა და თავიდან ბოლომდე საკუთარი ხელით გაამზადა მთელი საზეიმო სუფრა — ქართული და აფხაზური კერძები.

და რიდესაც სუფრაზე ნოდარ დუმბაძის სადღეგრძელებლად ჭიქა ავწიე, მაშინღა გაახსენდა, რომ მისი დაბადების დღე იყო!

ნეტავ ვენახათ, რარიგ აუჩვილდა გული, რა მადლიერებით უკიაფებდა კეთილი, მშვენიერი თვალები.

ნოდარ დუმბაძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მზისადმი.

მზის ჩასვლა ზღვაზე ბუნების განსაკუთრებით საინტერესო მოვლენაა: დღეგანდელი დაისი არ ჰგავს გუშინდელს, ხვალინდელი არ ემსგავსება ადრინდელს. და მზის ყოველი ჩასვლა მთელი სამყაროა, აღმოჩენაა.

მე და ნოდარს ერთი დიდი საერთო მეგობარი გვყავდა, ნიჭიერი მხატვარი გულდა კალაძე, ცნობილი პოეტის კარლო კალაძის შვილი. გულდა მძიმე ავადმყოფი იყო, და თავისი სიცოცხლის მიწურულს, — თითქოს გრძნობდა, რომ ამ ქვეყანას უნდა გასცლოდა, — ყოველ საღამოს გალავანთან იდგა და მზის ჩასვლას გაჰყურებდა. ნოდარი ყოველ საღამოს მიდიოდა ხოლმე გულდასთან. ვისაც წაუკითხავს, ვერასოღეს ღაიკიწყებს დუმბაძის მოთხრობას „მზე". ეს მოთხრობა გულდა კალაძეს მიეძღვნა.

მაქსიმ ეორკის დაბადების 100 წლისთავის წელიწადს ჩვენ თბომავალ „ეოგოლს" გავყეავით მოსკოვიდან ეორკამდე. მე და ნოდარი ერთ კაიუტაში ვიყავით. ეეზე იყვნენ მწერლები ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, იყვნენ საზღვარგარეთული ლიტერატურის წარმომადგენლები. ყველანი ყოველდღე ჩვენს კაი-

უტაში იყრიდნენ თავს, რათა ნოდარ დუმბაძისათვის მოესმინათ. მისი კაცთმოყვარეობა მაგნიტივით იზიდავდა ადამიანთა გულებს.

მწერლის გული მთრთოლვარე და მადლიერია. ნოდარი ბავშვი იყო, უმშობლებოდ რომ დარჩა, და ნათესაეებთან იზრდებოდა აფხაზეთში, სოხუმში. და თავის შემოქმედებაში მან მრავალი სტრიქონი უძღვნა ჩვენს წარმტაც მხარეს და აფხაზ ხალხს.

ნოდარ დუმბაძის ყურადღებას არ გამოეპარებოდა არც ერთი წერილმანი, არც ერთი სასაცილო თუ ჭკუის სასწავლი შემთხვევა, მოსწრებული სიტყვა. თვითონაც მუდამ მზად იყო გაეკენწლა ადამიანი, მაგრამ ამას კეთილად, გულღია ეშმაკობით სჩადიოდა. ის კი არა, როდესაც გააკრიტიკებდა (ჩემს თავზე გამომიცდია), ამას ისე ფაქიზად, ისე გონებამახვილურად და სიყვარულით სჩადიოდა, რომ ვერ გაგულისდებოდი.

როგორ მინდა, რაც შეიძლება ბევრი გვყავდეს ასეთი ადამიანი, ასეთი მწერალი, რათა ცნება „მწერალი" ყოველთვის განუყოფელი იქნეს ცნებისაგან „შესანიშნავი ადამიანი".

ნოდარ დუმბაძეს ყოვლად თბილი, ყოვლად კეთილშობილური დამოკიდებულება ჰქონდა ახალგაზრდობასთან. ამ დამოკიდებულებითაა გამსჭვალული მისი ყველა ნაწარმოები: იგი მამობრივი, მკაცრი სიყვარულით, უფროსი ძმის მომთხოვნელობითა და სინაზით წერდა ახალგაზრდობაზე.

ბოლო წლებში, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია ლექსები აღარ დაეწერა, ნოდარი კვლავ მიუბრუნდა ბავშვებს. და მისი შესანიშნავი საბავშვო ლექსები ყველას გვახარებდა.

ნოდარ დუმბაძე ჩვენი დეპუტატი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში. და მასთან ერთად როცა ვყოფილვარ სოფლებში საარჩევნო კამპანიის დროს, მინახავს, რა სიყვარული, რა ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ხალხში, რამდენ სიკეთეს, სითბოს და ალერსს აფრქვევდა იგი ხალხს.

მე ბევრჯერ ვყოფილვარ საზღვარგარეთ სსრკ მწერალთა კავშირის საზღვარგარეთული კომისიის ხაზით. მრავალი სხვადასხვა ქვეყანა მინახავს. და ყოველ ქვეყანაში, სადაც კი შევხვედრივარ მწერლებს თუ მკითხველებს, უსათუოდ დუმბაძეზე ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი.

ნოდარ დუმბაძის პროზა ფართოდ მიაბიჯებს პლანეტაზე,

მისი გმირების ზოგადსაკაცობრიო პრობლემები გასაგებია მკითხველისათვის ყველა ენაზე, დროის მოწინავე იდეებისა და ღრმა ინტერნაციონალიზმის გამო მისი წიგნები საყვარელი გახდა არა მხოლოდ ჩვენში, არამედ უცხოეთშიც.

დუმბაძის პატრიოტიზმი არაა ლიტონი: მისი გმირები ყველაზე რთულ სიტუაციაშიც არ ჰკარგავენ პერსპექტივის გრძნობას, თამამად შესცქერიან ხვალინდელ დღეს, ხედავენ მომავლის აზრს.

მე განვიცდი სულიერ მღელვარებას და გულწრფელ მადლიერებას ასეთი ადამიანის და მწერლის მიმართ, რომელმაც გადაგვიშალა თავისი სული.

სწორედ ასეთი ადამიანებით მაგრობს ქვეყნიერება.

**კობა იმედაშვილი**

## სიყვარული უპირველეს ყოვლისა

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე ბევრია ნათქვამი და დაწერილი, მაგრამ მთავარზე უმთავრესი, მე მგონი, მაინც არაა ბოლომდე გამოკვლეული — სიყვარულის იმ კონცეფციის რაობასა და გენეზისს ვგულისხმობ, რომელიც საყრდენი იყო არა მხოლოდ მისი სამწერლო მოღვაწეობისა, არამედ, ვფიქრობ, ცხოვრებისაც.

ისტორიამ და ბედმა ქართველ „სამოციანელებს" არგუნა განეახლებინათ ქართული მწერლობის ის დიდი ტრადიცია, მოყვასის სიყვარულზე, სიყვარულის ყოვლისშემძლებლობისა და ამაღლებულობის ფილოსოფიაზე რომ იყო დაყრდნობილი.

მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ტრადიციასთან მიბრუნებაში ნოდარ დუმბაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის, ალბათ, ყველაზე მეტიც.

ისიც სათქმელია, რომ მას ბუკვალურად არ გაუმეორებია ცნობილი კონცეფციები სიყვარულისა, მან იგი თანამედროვე ადამიანის ხედვით გაიაზრა, თანაც სიყვარულის გააზრება, დიდ

სიყვარულთან მიახლოება, მისთვის მუდმივი ძიების საბაბი იყო. სხვათა შორის, ესეც თვალგასადევნებელია, თუ სიყვარულის კონცეფცია მასთან როგორ იცვლება.

საინტერესოა ისიც, თუ რამ მიიყვანა იგი სიყვარულის, ამაღლებული სიყვარულის რწმენად აღიარებამდე. ალბათ, აღზრდამ, ალბათ, წიგნიერმა ტრადიციამ, ალბათ, ძნელმა, ტკივილებიანმა ცხოვრებამ და მაინც ყველაზე მეტად, ალბათ პიროვნულმა ხასიათმა, იშვიათმა და შესაშურმა.

ნოდარ დუმბაძეს ვერასოდეს შეატყობდით, რომ ცხოვრებამ ბავშვობიდანვე არ დააკლო არარა სატკივარი. დაუკვირდით მის შემოქმედებას, რა ტკივილებია იქ წარმოჩენილი, მაგრამ იმასაც დაუკვირდით, რომ არცერთი გმირი არ ბოროტდება, რადგან სიყვარულითაა სხივმოსილი. სწორედ ამ სიყვარულით ჰქონდა მწერალს მუდამ განათებული მზერა — მას მართლა უშურველად, მთელი არსით და სავსებით გაშინაგნებულად უყვარდა მოყვასი თვისი. მისებრი სიყვარულიანი ღიმილი, სულის შინაგანი რაობის გამოხატულება მე ნაკლებად შემხვედრია ჩემს ცხოვრებაში.

ყოველივე ამასთან ერთად, ნოდარ დუმბაძეს ლიდერის უდავო თვისებებიც ჰქონდა. ლიდერს კი, მოგეხსენებათ, ბევრიც ევალება და ბევრიც მოეთხოვება. იქნებ ამიტომ მისი დაბადების ორმოცდაათი წელი იმ სურვილებით მივულოცე, რომლებიც, ჩემის აზრით, ქართველ მწერალთა ლიდერს უნდა უთხრას კაცმა:

„ამ მოლოცვაში, ნოდარ, — სიტყვა „ძნელი“ ბევრჯერ შეგხვდება, რადგან ძნელია უკან მიხედო ორმოცდაათი წლის მანძილზე გავლილ გზას, მაგრამ უფრო ძნელია გახედო გზას, რომელიც წინაა და ჯერ კიდევ გასავლელია.

ძნელია გაუძლოს გულმა ჭეშმარიტი სიტყვის მონახვით გამოწვეულ სიხარულს, მაგრამ უფრო ძნელია ამ სიტყვის დაკარგვით გამოწვეული ტკივილის გაძლება.

ძნელია იყო კარგი ადამიანი, უფრო ძნელი — კარგი მწერალი, მაგრამ უძნელესი მაინც ჭეშმარიტი მამულიშვილობაა, რამეთუ ცხოვრება მის წინ ყოველდღე და ყოველწამს აყენებს სიძნელეთა დაძლევის აუცილებლობას.

ძნელი იყო, ნოდარ, ჩვენი ლიტერატურის იმ მდორე ატმოს-

ფეროს დარღვევა, ორმოცდაათიანი წლების ბოლოს რომ იგრ-ძნობოდა ჩვენში. შენ და შენმა თაობამ შესძელით ეს.

ძნელი იყო იმ პირუთვნელი სიტყვის თქმა ჩვენს ახლო წარ-სულზე, რომელიც შენ თქვი, მაგრამ ბევრად ძნელია ასეთი სიტყვის თქმა დღევანდელ დღეზე. ხალხი ყოველთვის მოელის ასეთ სიტყვას და ჭეშმარიტ მწერალს არა აქვს უფლება დუმ-ლისა, რადგან ძნელია ეს მოლოდინი.

ძნელია პრინციპების არჩევა, მაგრამ უფრო ძნელია პრინციპების დაცვა. წინმავალს ყველა ხედავს და სწორედ ამ-ტომ მას არა აქვს არც ჩამუხლვის და არც ფეხის შეშლის უფ-ლება — ამიტომაცაა ძნელი პირველკაცობა.

და მაინც, ნოდარ, გისურვებ ყოველთვის ამ ძნელი გზის გველოს, არ შემდრკალიყავ, შეკრთობა თუ შეეჭვება კვლავაც დაგეძლიოს და ორმოცდაათი წლის მერეც მეთქვას შენთვის — ძნელი იყო დაძლეული გზა, მაგრამ უფრო ძნელი წინაა“.

მაშინ არ დავბეჭდე ეს მისალმება და არც გავუგზავნე, შევ-ეყუმანდი, ჭკუის დარიგებად არ ჩამითვალოს-მეთქი.

ისიცაა, მან ეს ყოველივე ისედაც კარგად იცოდა.

ახლა კი ვნანობ:

რატომ უფრო მეტად არ ვეზიარე მის სიყვარულს?

რატომ არ დავწერე მასზე არაფერი მისი თავმჯდომარეობის დროს?

რატომ არ „გავაკეთე“ ჩაფიქრებული საუბარი „მარადისობის კანონზე“?

რადგან მერიდებოდა მესარგებლა მისი კეთილი დამოკიდებულებით.

რადგან მერიდებოდა პირმოთნეობად არ ჩამთვლოდა წერილი.

რადგან ექიმების მტკიცების მიუხედავად, ნოდარ დუმბაძე არა ჰგავდა სასიკვდილოდ გადადებულ ავადმყოფს.

„მე ვხედავ მზეში“ არის ერთი ეპიზოდი, ცოტა გულისამაჩუყებელი და სიამაყის მომგვრელიც („როგორები ვართ ქართველები!“): ბაბილო ბიძია სოსოიასა და ხატიას სანოვაგეს უსასყიდლოდ გაატანს. სინამდვილეში სულ სხვაგვარად ყოფილა საქმე: ბაბილოს პროტოტიპს გაუფცქვნია თურმე ბავშვები.

ნოდარმა პრინციპულად შეცვალა ყველაფერი.

სიყვარულად და სიკეთედ გარდაქმნა სიძულვილი და ბოროტება.

ეს არის, მე მგონი, არსი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისა და ცხოვრებისაც.

**რევაზ ინანიშვილი**

## ხალხის საამაყო შვილი

ნოდარ დუმბაძე გარდაიცვალა. ეს სამწუხარო ცნობა მისწვდება ჩვენი პლანეტის შორეულ კუთხეებს. მილიონობით ადამიანებს აღმოხდებათ შეშფოთების ოხვრა. მილიონების თვალწინ კიდევ ერთხელ გაივლის იგი — ნათელი სახით, თვალების ბრძნული შემოშუქებით, განუმეორებელი ხითხითით. უკან გაიყოლებს მწუხარების მრუმე ღრუბელს.

მილიონებს ერთხელ კიდევ გაუვლის ფიქრად, საიდანა, რა ძალამ მოავლინა იგი ასეთად — გაუტეხელი, ნიავივით ლაღი, კისკასი — ჩვენს შეკვამლულ საუკუნეში. ამოიზრდებიან ჩვენი მთები, ჩვენი მდელოები, ჩვენი პლანტაციები, ჩვენი ზვრები; გადმოდგება მათ თავზე, დიდი, ჩახჩახა მზე, და ერთხელ კიდევ დაილოცება ქართველთა მიწა.

გავა დრო. აღსრულდება მარადისობის კანონი, ნოდარის ნათელ სახეს თანდათან ჩამოსცილდება ამ დღეებში ჩვენს მიერ გადევნებული მწუხარების ღრუბელი და იგი კიდევ უფრო ნათელი, კიდევ უფრო დახვეწილი, სიკეთის მარადშემწე ძალა განუშორებლად ივლის თავისი ხალხის მხარდამხარ, სანამ მწერლობის სიყვარული იარსებებს ქვეყანაზე.

* * *

ინგლისელი პოეტი ტომასი ამბობდა თურმე: მიამბეთ რამე თქვენი ბავშვობიდან, თორემ ველარ ვითმენ და მე გიამბობთ ჩემი პატარაობის ამბებსო. ნოდარ დუმბაძეზე რომ მოგონების დაწერას განიზრახავ, უთუოდ თვალწინ წამოგემართებიან ათასობით სხვები, რომელთაც გაცილებით მეტი უფლება ექნებათ

ამ საქმის გაკეთებისა, და გააკეთებენ უკეთესადაც, მაგრამ ადამიანები ცოდვილები ვართ — ეს ადამიანური სისუსტე მიბიძგებს, ჩემი ხმაც გაერიოს ერის საყვარელი მწერლის სახოტბოდ აღვლენილ ათასების ხმებში.

ერთხელ ესტონელ კომპოზიტორს და მუსიკისმცოდნეს გულტარ სინკს ვახლდი სიონის ტაძარში. კვირაძლის წირვა უნდა დაწყებულიყო და უამრავ მლოცველს მოეყარა თავი. მოიდგა ვიღაც ყმაწვილი კაცი, აშკარა აღტაცებით მიყურებს. ბოლოს გამიბედა, — თქვენ ხომ ნოდარ დუმბაძე ბრძანდებითო. არა-მეთქი. ყმაწვილი კაცი გაწითლდა, აიბნა, — არ გამამასხროთ რა, ბატონო ნოდარ, მე მიხარია, რომ ასე ახლოდან გხედავთო. გავუმეორე ჩემი სათქმელი, ისიც ეუთხარი, რა გვარიც ვიყავი. — ინანიშვილიო?! — და კიდევ უფრო აბნეულმა დაიხია უკან. მე კი, რა თქმა უნდა, კმაყოფილებით ჩამოვუშვი ღაბაბი. შინდაბრუნებულმა რამდენჯერმე ჩავიხედე სარკეში. ნოდარს და მე თმა ერთნაირად გვქონდა ჩამოვარცხნილი შუბლზე, წარბებითაც რაღაცნაირად... ერთი სიტყვით, დღესაც სიამოვნებით ვიგონებ იმ ყმაწვილი კაცის შეცდომას.

1980 წლის მარტის ბოლო დღეებში ხუტა ბერულავა და მე ყირგიზეთში ვიყავით ე. წ. საბავშვო წიგნის კვირეულზე. კვირეული ქ. ფრუნზეში გაიხსნა, იქიდან სხვადასხვა ქალაქებში წაგვიყვანეს. ჩვენი ჯგუფი, მათ შორის, ხუტა და მე, პრჟევალსკში მოვხვდით. მოვიდნენ ჩვენი მესაზღვრეები, ჩინეთის სასაზღვრო ზონაში მიგვიწვიეს. ჩავედით, არა, უფრო — ავედით საგუშაგოზე. ავტობუსის გაჩერებასთან სასიამოვნოდ ნათელი სახის რუსი მაიორი დაგვხვდა. ისე მიგვიღო, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვყოფილიყავით. მივდიოვართ მხიარულად, გვიახლოვდება ჯარისკაცთა ჯგუფი, მაიორი წინ წადგა და ბრძანება გასცა, — გაჩერებულიყვნენ! მეხივით გავარდა მისი ხმა. ჯარისკაცებს რომ გავცდით, მაიორმა ისევ გაგვიღიმა და ისევ მეგობრულად დაგვიწყო საუბარი. გაიგო, ქართველები რომ ვიყავით, მოგვეახლა, — ნოდარ დუმბაძეს თუ იცნობთო. — ჩვენი ძმაა-მეთქი. გადაგვეხვია და გადაგვკოცნა. შემოგვყურებდა, თითქოს ნოდარი ენახოს. აღარ იცოდა, რა ექნა. მე და ბატონი

ნოდარი („ბატონი“ ქართულად თქვა) ერთად ვმსახურობდით თურქეთის საზღვარზე, ხომ არის მართლა დიდი მწერალი და განუმეორებელი ადამიანი? ხომ ბედნიერებაა ასეთი ადამიანის გვერდით ყოფნა? მე ბედნიერი ვარ, პირადად რომ მისაუბრია მასთან, მისი ხუმრობები და სიცილი მომისმენია! ო, ღმერთო, რა სიცილია მისი სიცილი! რატომ უნდა დამართოდა ასეთ კაცს ინფარქტი?! აკოცეთ ჩემს მაგივრად და კეთილ გულზე დაადეთ ხელიო.

რამდენსამე საათს დავრჩით მესაზღვრეებთან. ვნახეთ საათი-ვით ზუსტად მომუშავე ჯარისკაცები და ოფიცრები. დაგვათვა-ლიერებინეს დასათვალიერებელი. მერე სუფრაზე მიგვიწვიეს, ის მაიორიც ჩვენთან იყო. იჯდა და აღტაცებით შემოგვყურებ-და. აშკარად ბედნიერი იყო, ბედნიერი.

თუ მწერალმა რამე ინატროს, ეს ინატროს — ერთ ადამიანს რომ მაინც მიანიჭოს ამგვარი ბედნიერება!

* * *

ეს უკვე ნაამბობია: ნოდარის გარდაცვალების დღეებში ერთი ტურისტული ჯგუფი საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, საბაჟოში რომ დოკუმენტებს ამოწმებდნენ, მესაზღვრე ჯარის-კაცს ქართველებისთვის სევდიანი საყვედურით უთქვამს, — თბი-ლისში ნოდარ დუმბაძეა გარდაცვლილი და თქვენ საზღვარგა-რეთ როგორ მიდიხართო!

* * *

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სხდომას ვესწრებოდით ძერჟინსკის კლუბში. ნოდარი წინა რიგში იჯდა, მე — უკან. სა-უბარი იყო მცირეწლოვანთა დამნაშავეობაზე. ეს საკითხი ხომ ყველასთვის დიდად შემაშფოთებელია! შემოიყვანეს ქურდობა-ზე დაჭერილი ერთი თხუთმეტი წლის გოგონა. იჯდა ის გოგო-ნა და იმდუღრებოდა ცხარე ცრემლით. ვითარება მით უფრო მძიმე იყო, რომ გოგონა მეორედ დაეჭირათ ამხანაგის ოჯახი-დან ტანსაცმლის მოპარვისათვის. არადა ისეთი კარგი გოგონა იყო, პატარა, უმწეო, ყველა გრძნობდა, დაიღუპებოდა ეს მშვე-ნიერება, თუკი ციხეში მოხვდებოდა. ადგა ნოდარი, გამოელაპა-რაკა გოგონას.

როდესაც ნოდარის ხასიათზე ლაპარაკობენ, ისე ჩანს, თითქოს იგი ყოველთვის ინარჩუნებდა იუმორის უნარს. შეიძლება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ იმ დღეს მე ენახე საოცრად მწუხარე, სულის ტკივილით მოლაპარაკე მწერალი, მამა, ძმა, მეგობარი. იგი სასოწარკვეთილ გოგონას განუმარტავდა, რა საშინელებაა ქურდთა, დამნაშავეთა ძალა. გოგონას მართლაც ელოდა საფრთხე, მაგრამ მას ისიც უნდა სცოდნოდა, რომ არსებობს დამნაშავეთა წინააღმდეგ მებრძოლი კიდევ უფრთ დიდი ძალა — სახელმწიფოს კეთილი ძალა, და თუ გოგონა არ გაექცეოდა, თავს შეაფარებდა ამ კეთილ ძალას, იგი გადარჩებოდა, დარჩებოდა ლამაზად და ამაყად, როგორც ყოველი პატიოსანი ადამიანი ქვეყანაზე. მერე ნოდარი მოუბრუნდა დარბაზს და ცრემლიანი თვალით შემოგვთხოვა ყველას, რაღაც გვეღონა, რაღაც მოგვემოქმედა თუნდაც ისეთი, რომელიც გვერდის აევლაც კი იქნებოდა კანონისა, მაგრამ გადაარჩენდა მშვენიერ არსებას. და ეს გაკეთდა, გოგონა გაზრდილი პირობითი სასჯელით გაიგზავნა სასწავლებლად. და მოხდა სასიკეთო გარდატეხა არა მარტო გოგონას პირად ცხოვრებაში, მის ოჯახშიც. ადრე ყველაფერზე გულარძნილი მამამისი, მადლიერი ნოდარ დუმბაძისა, ქვეყნის გულისხმიერებისა, თავდახრილი ჩადგა სახალხო საქმეში.

ო, როგორ მიკვირს, თუნდაც მარტო აი ამ მადლმა როგორ ვერ უშველა ნოდარს, როცა ის ამქვეყნად დარჩენისთვის იბრძოდა თავგანწირვით!

ჩვენი ბოლო, გამორჩეული შეხვედრა, ასეთი იყო:

მწერალთა კავშირის პირველ სართულზე შევხვდით, კიბესთან. გადავკოცნეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი. — ახლა მაგრად ვარო, — მითხრა ნოდარმა. — შენ რა მოჯღონული გამოიყურებიო. — რევმატული თუ რაღაც ოხრული ტკივილი მაწუხებს-მეთქი. — მაგის წამალი რა არის, ხომ იცი? ფეხშიშველი უნდა აუყვე შენი ივრის ნაპირებს, მხარზე უნდა გეკიდოს ათკილოიანი სველი ბადე, შენც სველი უნდა იყო საქამრემდე, თან უნდა გიბერავდეს ცივი ქარიო. — ეკრე ოცდაათი წლის წინათ ვმკურნალობდი, ახლა ნემსებითა და ტაბლეტებით ვმკურნალობ. რა-

ტომ ასე, ხომ იცი? ინტელექტუალთა ფერი რომ დამედოს. შემომხედა, უსუგეშოდ ჩაიქნია ხელი, — მაგ მხრივ არაფერი გამოგივაო! — გაიცინა თავისებური ხითხითით და წავიდა, აუყვა კიბეს.

* * *

ნოდარის გარდაცვალებიდან თითქმის თვე იქნებოდა გასული. არაგვის ხეობაში მოვსვდი. ღამე იყო. სუფრას ვუსხედით. ადგა ფშაველი მასპინძელი, ნოდარის პირადად არმცნობი კაცი, ასწია ჭიქა და გვითხრა, — ნოდარ დუმბაძე ყველა ქართული ოჯახის შვილი იყო, დამილიეთ ჩემი სახლიკაცის ნოდარის შესანდობარიო... ამბურძგლა, ისეთი სახით იდგა ის კაცი. შავი მთის წვერზე მთვარე შემომდგარიყო. ალბათ ის მთვარე იყო ყველაზე ჭეშმარიტი მოწმე, რომ მარტო ჩვენში კი არა, მსოფლიოშიც ბევრი არ გამხდარა ასეთი შესანდობარის ღირსი. არაგვი სევდიანად ხმაურობდა დაბლა...

**ბურამ კაპანაძე**

## სიზმრები

არ დაიჯეროთ, თითქოს სულიერი ტკივილი ყველაზე საშინელი იყოს. ფიზიკურ ტკივილზე სასტიკი ამქვეყნად არაფერია! გულის ტკივილს კი ამ სინდრომის კიბეზე პირველი საფეხური უკავია. ერთხელ ზესტაფონიდან ჩამოსულმა ავადმყოფმა გვითხრა: „გულის ძლიერი ტკივილი ღვთის რისხვაზე მძვინვარეა... დაჭიმული ძარღვების მტკივნეული რხევა და კიჟინა მესმის“.

ნოდარ დუმბაძე ტკივილის დროს გავიცანი, გულის მძაფრი ტკივილის ჟამს, მის ბინაში, მეშვიდე სართულზე. აი, საწოლზე წევს კეთილსახიერი მამაკაცი და ხან კვნესის, ხან კი ღიმილით ღმუის. სიმწრის ოფლით დაფარვია მაღალი შუბლი, ტუჩები ჩალურჯებია, სახის კანი თოვლივით გათეთრებია. აუტანელი, შემზარავია უეცრივ მოვარდნილი ტკივილის უზარმაზარი ტალ-

ღა. და ძალზე ძნელია ტკივილის შემდეგ დარჩე ძლიერი, არ დაჰკარგო სიყვარულის რწმენა.

ვუკეთებთ პრომედოლს, დიმედროლს, მორფიუმს, ვასუნთქებთ აზოტის ქვეჟანგს — მალხენ აირს (მაშინ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნდა დროპერიდოლი და ფენტანილი — ძლიერი სინთეტიკური ანადგეზიური საშუალება). ტკივილი მაინცდამაინც არ ცხრება. ასეთ ვითარებაში, ასეთ ორომტრიალში კი როგორ გინდა ხიდი გასდო იმ უფსკრულზე, ავადმყოფსა და ექიმს რომ აშორებს?.. როგორ დავიმსახურო მოყვასის ნდობა და სიყვარული?

ედგევარ და დავცქერი. ნოდარი თვალს ახელს და მაკვირდება. გადის წუთი. მეკითხება: „ვინ ხარ?" მეყსეულად ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ აშკარად ვავიგონე ჭრიალი — დედამიწის ბრუნვის ხმა თავის დაძველებული ღერძის გარშემო. ისევ არ, თითქოს პერანგის ამხანაგის ამარა ვიდგე. ეფითრდები, შინაგანი ხმა კი ჩამჩურჩულებს: „გურამ, იღუპები". აი, მაშინ ვინანე, თავის დროზე ფილოსოფოსი ან მათემატიკოსი რომ არ გამოვედი. ვიჯდებოდი ახლა ჩემს მყუდრო ოთახში და ვიფილოსოფოსებდი ან ვიმათემატიკოსებდი წყნარად. ხომ მიზიდავს სიმშვიდე და მყუდროება. მაგრამ ეულს ვინ მომაქვავა იღბალი? ცოტა ხნის შემდეგ მეუბნება: „ნუ გეშინია... შენ გეტყვი, ყრმაო, გამაგრდი!" ღრმად შეეისუნთქე და მიეუგე: „გავმაგრდები". ისევ შემომხედა. მეუღლეს — ნანულის კი, იმ წუთას ავი თვალებით რომ მიყურებს, ეუბნება: „ამას ახლავე დაალევინეთ ვალერიანის წვეთები, თორემ მალე მთლად გაფუჭდება... ისედაც ცოტანი ვართ ქართველები, არ დაეცეს, — თვალ-წარბში შემცქერის, — შენთვისაც ხომ არ გამოვუძახოთ სასწრაფოს?". „არა, პატივცემულო"... ხიდი გადებულია, წამიერად ააშენა ნოდარმა. შემდეგ პროფესორი ყიფშიძე მოდის და სინჯავს. მისი მითითებით ნოდარ დუმბაძე საავადმყოფოში გადაგვყავს.

დუმბაძე ნოდარ ვლადიმერის-ძე, ორმოცდასამი წლის, ისტორია №-2193. შემოვიდა თერაპიის ინსტიტუტის კლინიკაში 1971 წლის 19 ოქტომბერს 13 საათზე და 20 წუთზე. დიაგნოზი: მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, მარცხენა პარკუჭის წინა კედლის ტრანსმურალური დაზიანება...

საავადმყოფოში თვეზე მეტი დაპყო. სტაციონარიდან, როგორც თვითონ აღნიშნა, მოფამფალებული გაეწერა. გულდაწყვეტილები ვაცილებდით. სამახსოვრო ფოტოსურათიც გადავიღეთ. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ღიმილი და თვალები. მანამდის კი ყოველდღე ვხვდებოდი... მაშინ ერთ დაკვირვებას ვახდენდი ინფარქტით დაავადებულ ავადმყოფებზე, მათ სიზმრებს ვსწავლობდი და ვიწერდი. უფრო ხშირად სიზმრები უაზრო, აბსურდული გამოდიოდა. მოჩვენებითი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ეპიზოდურად ერთმანეთთან დაუკავშირებული, ზოგჯერ შეთხზულიც, ალბათ. „მაგრამ განა ის, — ვუთხარი ნოდარს, — რაც რეალურად ხდება ცხოვრებაში, ისიც ზოგჯერ უცნაური და აუხსნელი არ არის"? „ერთობი?. — მკითხა, — ცინდალივით საკუთარ კუდს ეთამაშები?". „არა... ვცდილობ". ნოდარ დუმბაძე დაინტერესდა და მთხოვა, როდესაც მასალას შევკრებდი, მისთვისაც მიმეცა წასაკითხად. „იცოდე, თუ არ წამაკითხებ, ტანსაცმელს შემოვიხევ". თავის სიზმრების გაჯიარებასაც შემპირდა. „სიზმარი — ჩვენი სარკეა". — ვთქვი მე. „ბარევ", — მითხრა მან.

სიზმრებს დაავადებამდისაც ხედავდა მწერალი. მაგრამ ახლა უფრო ხშირ-ხშირად აკითხავდა ზმანება, ყოველდღე, ზოგჯერ რამდენჯერმე. „თვალღია ღამე დგას, — ყვება ნოდარი, — გზაზე მივდივარ, ძე-ხორციელი არ ჩანს, არც შოშიაა, არც ბაიყუში. როკაპი და კუდიანი ბერებიც კი გამქრალან. ერთ საათში თვენახევრის სავალი განვვლე. მივდივარ, მივდივარ და ანაზდად კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა და მაშინვე შავ ღობეს მივადექი". თვალებმინაბული ვუსმენ. „ღობეზე გადასვლას ვცდილობ. ვიცი, რა არის იმის იქით, და ძალზე მაინტერესებს, როგორია სინამდვილეში სიკვდილი. ვცდილობ, მაგრამ გადაძრომას მაინც ვერ ვახერხებ". „ეს კეთილი ნიშანია, პატივცემულო".

„ახლა ყურებიდან ბამბა გამოიღე და მისმინე... სიცოცხლე მხოლოდ გოგლიმოგლის მირთმევა როდია... შინიდან გამოვედი. კვიმატი დღე იდგა. უეცრივ ორი კუბოს წინაშე აღმოვჩნდი. ერთში მკვდარი დედა ესვენა, მეორეში — ცოცხალი ბავშვი. ყაჩაღებს ბავშვის დამარხვაც განეზრახათ. კინაღამ ცოდვა დატრიალდა. ტოლი არა მყავს ლახტის მოქნევაში. ვითარც

არწივი გნოლებს, ისე დაეერიე ტარტაროზებს. ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკის. წაეუბასილე, გაეტანჯე და სიკედილისაგან ვიხსენი ყმაწვილი“...

ერთხელ ძილში მონიტორთან შეერთებული მკერდზე დაკრული ელექტროდები მოიგლიჯა, გეელებად მომეჩვენენო.

„ინდის ხურმა თუ გიჭამია ბაეშვობაში“, — მეკითხება ნოდარ ღუმბაძე. „არა“. „არც მე... ჩემი სულიერი მეგობარი ყოფილხარ... წუხელ კი დედა მესიზმრა... თუ დედის პორტრეტი? ეს სახე გარდასულ დღეთა ყველაზე ტკბილ მოგონებებს მიღვიძებს. ღედაო, შენ მიეც სიმტკიცე გულსა ჩემსა. ოთახში კელაპტარი ანთია. ხმას არ მცემს. თვალებად ვიქეცი. რაღაცას ვეკითხები. დედამ გამიღიმა და არ მიპასუხა. ცხრა წელია სიზმარში ვხვდები ძვირფას ადამიანს და ერთხელაც კი არ დაშლაპარაკებია. გუშინაც არ გაუცია ხმა... რატომღაც მეჯერა, როდესაც დამელაპარაკება, ალბათ, მოვკეღები“.

ერთხელ სიზმარში უცნობი ესტუმრა და ჰკითხა: „რას ინატრებდი, ნოდარ?“ უცნობს სანდომიანი, მოცისკროვნე სახე ჰქონდა... „რა არ ხდება სიზმარში და ცხოვრებაში, — მეუბნება ნოდარი, — მაგრამ ასეთი უსამართლობა გაგიგია, თვალკუსიავ?!. გამაღვიძეს, ჰეპარინის გაკეთების ეამი დადგაო... აფსუს“! ვკითხე: „პატივცემულო, ასე წინდაუხედავად რომ არ მოქცეულიყენენ, რას ინატრებდიო“? ჩაფიქრდა. მერე მომიგო, ეაეაზე უკეთ რას ვიტყოდი: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოეელ წვიმადა“... ღმერთო ჩემო, უმალ რა ახლობელი გახდა ჩემთვის. მეც როგორ მიყვარს წვიმა და ჟინჟღლი!.. „წვიმს, წვიმს... წვიმის წვეთების წყნარი სევდა ისმის“...

ჰალატიდან ფეხაკრებით გავდივარ. წასვლის წინ მაინც ვკითხე: „რას მირჩევდით, როგორ ვიმოქმედო ცხოვრებაში“? სქელი წარბები აზიდა და მითხრა: „ნურასოდეს ნუ წაეპოტინები იმას, რაც არ გეკუთვნის. მხოლოდ სახელისა და ღირსების შენარჩუნებაზე იფიქრე. სჯობს, მცირედი მართლისა მრავალსა მას სიმდიდრესა ცოდვილთასა“. „გმადლობთ“.

შემდეგ, ბევრი წლის შემდეგ, მივხვდი, რომ მედიცინამ კი ბრ გადაარჩინა ის, არამედ საკუთარმა თავმა, თვალად უჩინარმა შინაგანმა ძალამ, სიცოცხლის უძლეველმა სიყვარულმა, ხილისმურმა რწმენამ ნათელისა და მზისა, ძალამ, რომელმაც

ზძლავრად აამოქმედა მის ორგანიზმში არსებული წამალი — რკინისებური ნებისყოფა... აჰ, რა ავადმყოფი იყო! მომთმენი, შემსრულებელი, მომაჯადოებელი, მხიარული. რამდენი ვისწავლეთ მისგან, რა დიდი გამოცდილება შევიძინეთ. აკი, შემდეგ, გვეხუმრებოდა, მე რომ არ გამოვჩენილიყავი, რა გეშველებოდათ, სად ისწავლიდით ინფარქტის მკურნალობასო. როგორ დაეუფლებოდით ესკულაპის ხელოვნებასო... სიმართლეს ხომ არ გვაუწყებდა?! შეიძლება მის საწოლთან ვიგრძენი პირველად, რომ მკურნალი ვიყავი.

იუმორმა გადაარჩინა, ნოდარისეულმა, განუმეორებელმა, თბილმა, ფაქიზმმა. ეტყობა, მაინც, ხუმრობა ქართველი კაცის მფარველი ანგელოზია. ნოდარ დუმბაძეს კი, ყველას მოგეხსენებათ, ეს ანგელოზი ძალზე მფარველობდა. სასაცილო თავგადასავლების გამოგონების და მოყოლის დიდოსტატი გახლდათ. სიცილით სიმართლეს გვეუბნებოდა. ფროიდი ამტკიცებდა, რომ ხუმრობა ისეთივე ღრმაა, როგორც სერიოზული გამონათქვამები, შეიძლება უფრო უძიროც. ის იმ ჭეშმარიტ აზრებს გამოხატავს, რომლის გამომჟღავნებაც თვალსაჩინოდ არ გვსურსო. სად ჰქონდა საკვიმატო-საოხუნჯო ამბების ასეთი უშრეტი მარაგი? მთელი იერით ასხივებდა იუმორს. მხოლოდ თვალები ჰქონდა სევდიანი.

1984 წლის 14 სექტემბერს დასრულდა ესე ამბავი, ვითარც სიზმარი ღამისა. სიმღერით წავიდა ამქვეყნიდან. მზეს, სიცოცხლეს მდაბლად დაუკრა თავი, სიკვდილს შეუკურთხა და ისე გაშორდა ამა ქვეყნის ყველა სიტკბოსა და სიმწარეს.

ღიმილით წავიდა. ამ ღიმილმა უფრო მეტი მასწავლა, ვიდრე თავის დროზე სახელმძღვანელოებმა, ლექციებმა თუ სიმპოზიუმებმა. ის სიმღერა და ღიმილი დაუვიწყარია.

## ჩამქრალი ვარსკვლავი

1984 წლის 14 სექტემბერს სოფელში ვიყავი. საღამო იყო, რადიო ჩავრთე და ელდა მეცა: მთავრობის სამგლოვიარო განცხადებას გადმოსცემდა საქართველოს რადიო, ნოდარ დუმბაძე გარდაიცვალაო. გაოგნებული, აზრისაგან დაცლილი დიდხანს ხმას ვერ ვიღებდი. მერე და მერე მოვედი გონს.

ნოდარი აღარ არის...

სოფლიდან თბილისში წამოვედი. პანაშვიდები, დასაფლავება, „მზიურის" შერჩევა სამუდამო განსასვენებლად, გლოვა, ტირილი, მთელი საქართველოს მწუხარება.

ახლა, როცა ნოდარ დუმბაძის საფლავთან მივდივარ და იქ მუდამ ცოცხალი ყვავილები მხვდება, როცა საფლავთან ხშირად დგანან მოზრდილნიც და მოზარდნიც, კმაყოფილებით მევსება გული. ნოდარი სწორედ აქ უნდა დამარხულიყო, მისი ჩანაფიქრით დაარსებულ და დამშვენებულ ბავშვთა ქალაქ „მზიურში".

მახსენდება ნოდარ დუმბაძე სტუდენტი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. ნოდარი პირველი კორპუსისა და უნივერსიტეტის ბაღის განუყრელი ბინადარი იყო. ბინაც ხომ იქვე ჰქონდა, ქუჩის გადაღმა, ამიტომ, სულ აქ ტრიალებდა. როცა 1947 წელს რექტორმა, ბატონმა ნიკო კეცხოველმა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე დააარსა, დამფუძნებელ წევრთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული წევრი ნოდარიც იყო. განსაკუთრებული იმიტომ, რომ ის იმთავითვე გამოირჩეოდა იუმორით, რომელსაც გულუხვად იყენებდა უნივერსიტეტის ბაღში ჯგუფ-ჯგუფად შეყრილ, ლიტერატურით გატაცებულ სტუდენტებთან საუბრებსა და ლაღობაში. სადაც ნოდარი იყო, იქ არავინ მოიწყენდა, მსმენელთა ხარხარი ბაღს ახმიანებდა.

წრე რომ შეიქმნა, ბაღიდან აუდიტორიაში გადავინაცვლეთ. ბესო ჟღენტის ხელმძღვანელობით წარმართულ სხდომებზე ნოდარ დუმბაძეს არაერთხელ გამოუმჟღავნებია იუმორის სა-

ოცარი ნიჭი, არაერთხელ განუმუსტავს დაძაბული სიტუაციაც, კამათის დროს რომ წარმოიშობოდა ხოლმე.

მაშინ ნოდარი ლექსებს წერდა, იუმორს მხოლოდ საუბარში იყენებდა. ახლაც თვალწინ მიდგას სიცილის დროს მისი ყურებამდე გახეული სახე, შავი, მბზინავი, დატალღული ქოჩრის რხევა, მოჭუტული თვალები, სიღრმიდან რომ გიყურებდნენ, რალაცნაირი ტაშის შემოკვრა. მაგრამ ნოდარმა მწუხარებაც განსაკუთრებული იცოდა, მთელი არსებით ეძლეოდა დარდსა და სევდას, რომელიც ცოტა როდი არგუნა ბედმა. მაგალითად, რა დამავიწყებს ნოდარის სასოწარკვეთას, ხუთი წლის ვაჟი რომ დაეღუპა და თავზარდაცემული კინაღამ თვითონაც გადაჰყვა ამ მწუხარებას.

ნოდარი მარტო ვერ ძლებდა, სულ მეგობრებსა და ამხანაგებში ტრიალებდა. ამის მიზეზი, შესაძლოა, ისიც იყო, რომ მშობლების დაკარგვის შემდეგ უდედმამოდ დარჩენილ ბიჭს უჭირდა მარტო ყოფნა. მისი ლაღი ბუნებიდან გამომდინარე, მისი ულევი იუმორის წყალობით, მისკენ ყველა მიიზიდებოდა და ამან ნოდარს ამხანაგები და მეგობრები გაუმრავლა.

როცა მისმა მოთხრობამ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" უეცრად გაითქვა სახელი, ხოლო მალე მარჯანიშვილის თეატრში ამ სპექტაკლმა ტრიუმფალური წარმატება მოიპოვა, ჩვენ ყველანი ვხარობდით. ასეთ ვითარებაში, თავბრუდამხვევი წარმატების ვითარებაში, ბევრი შემოქმედი ვერ ასცდება ხოლმე გაამაყებას, გაყოყოჩებას. ნოდარ დუმბაძეზე წარმატებამ ცუდი გავლენა არ მოუხდენია. ის ისევ ისეთი საყვარელი, უშუალო, უბრალო, და მოსიყვარულე დარჩა, როგორიც ადრე იყო. მერეც, როცა ნოდარი საქვეყნოდ ცნობილი, დიდი პრემიების მფლობელი, მთელ საბჭოთა კავშირში აღიარებული მწერალი გახდა და საქართველოს მწერალთა კავშირსაც ჩაუდგა სათავეში, მაშინაც ნოდარი იმ ძველ ნოდარად დარჩა. მაღალმა მდგომარეობამ მისი ხასიათი და სულიერი კეთილშობილება ვერ შეცვალა. ეს დიდი ადამიანური ღირსება იყო მისი.

მახსენდება 1951—1953 წლები, როცა უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი ვიყავი და ნოდარ დუმბაძე ჩვენი გაზეთისათვის ხალისით წერდა ფელეტონებს. პირველად აქ გამოიყენა ფსევდონიმი „ჯვეხე დუმბავა", რო-

მელიც მერე „ნიანგშიც“ გამოჩნდა. ნოდარს ამხანაგები დიდ-ხანს მივმართავდით ან „ჯვებედ“, ან „დუმბავად“, ერთხანს „ნოდარს“ აღარც კი ვეძახდით. ისიც იცინოდა გემრიელად და მთელი არსებით.

ერთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო ჩვენი ურთიერთობიდან. შვილები პატარები მყავდნენ. ექიმმა მირჩია, ზაფხულობით ბავშვები წყნეთში დაასვენე და გამოკეთდებიანო. მეც გავიჭირვე და ცეცხლის ფასად დავიქირავე ერთი პატარა ოთახი წყნეთში. გავიდა ხანი და ნოდარ დუმბაძე მესტუმრა, სათხოვარი ჰქონდა. ბედზე, ლაგოდეხიდან გამოგზავნილი კარგი საზამთრო გვქონდა ოჯახში. ნოდარს ვუმასპინძლე და საზამთროც გემოზე მიირთვა. წავიდა და თხოვნა დამიტოვა. ისე მოხდა, რომ ის თხოვნა ვერ შევუსრულე. გავიდა ხანი, თბილისში ჩამოვბრუნდით. შემხვდნენ ჩემი და ნოდარის საერთო მეგობრები და მეუბნებიან: როგორ იყო, დახმარების მაგივრად საზამთრო რომ აჭამე ხალხსო? გამეცინა, ისინიც იცინოდნენ. თურმე ნოდარს ყველასთან იუმორით უთქვამს — საზამთროს ჭამა თუ გინდათ, ტარიელ კვანჭილაშვილს მიაკითხეთ, თხოვნით კი ნურაფერს სთხოვთო. გული კი დასწყდა, რომ ვერ დავეხმარე, მაგრამ არ იწყინა, იუმორსა და სიცილში გაატარა. ამაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა ჩვენი ძვირფასი ნოდარ დუმბაძის ხასიათის ერთი დიდებული მხარე — დიდსულოვნება.

ნოდარ დუმბაძესთან ურთიერთობის ერთი ნათელი ფურცელიც მინდა გავიხსენო: „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე წერილი: „ჰელიოტროპიზმი მწერლისა“, რომელშიც შევეცადე წარმომეჩინა ის მზიურობა, რაც მის შემოქმედებას ახასიათებს. წერილში ვაკეთებდი ერთგვარ ექსკურსს, ვასაბუთებდი, რომ ჰელიოტროპიზმი ქართულ ლიტერატურაში რუსთაველიდან იღებს სათავეს, მერე ერთგვარად გრძელდება, ხოლო მზის სიმბოლიკასა და მზიურობას ნოდარ დუმბაძესთან სავსებით გამოკვეთილი, ახალი აზრი ეძლევა. ლიტერატურის ინსტიტუტში კრიტიკის წლიური პროდუქციის შეფასებისას ერთი-ორ კაცს სხდომაზე ჩემი აზრის საწინააღმდეგოდ უთქვამს, რომ ნ. დუმბაძესთან არავითარი ჰელიოტროპიზმი არ არისო. ამ ამბავმა ჩემამდეც მოაღწია და ნოდარსაც გაეგო. იმ სხდომის შემდეგ რაღაც თვენახევარი იყო გასული.

რომ რუსთაველის პროსპექტზე წიგნის მაღაზიასთან მხვდება ბადრი ჭოხონელიძე და მეუბნება: ნახეთ, დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ ნოდარ დუმბაძის მოთხრობაა დაბეჭდილი, მას „მზე“ ეწოდება და ბიჭებმა იგი აღვიქვით თქვენი წელის პასუხად, თქვენი აზრის დასტურადო. მე გაზეთი ჯერ არ მენახა და მოთხრობაც არ წამეკითხა. ბადრის მადლობა ვუთხარი. შინ რომ დავბრუნდი, წავიკითხე და ძალიან გავიხარე. მეც ასე აღვიქვი ეს მოთხრობა. ეს ფაქტი ჩემთვის, როგორც კრიტიკოსისათვის, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მერე, როცა ამაზე ნოდარს ჩამოვუგდე სიტყვა, მან თავისებურად გაიცინა და მითხრა: „აბა, რა ეგონათ მაგენს, ძამა“!

ნოდარ დუმბაძე ჩვენს შორის აღარაა... მოდით და გულწრფელად ვთქვათ, მისი წასვლის შემდეგ დარჩა თუ არა ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში დიდი სიცარიელე? დარჩა და როგორ დარჩა... ჩვენ გვყავს კარგი და ზოგიც შესანიშნავი მწერლები, ეს ჩვენი სიმდიდრე და ბედნიერებაა, მაგრამ ნოდარ დუმბაძეს იმდენად გამოკვეთილი და საკუთარი ადგილი ეკავა ამ თანავარსკვლავედში, რომ მის ადგილს ვერავინ დაიკავებს. ჩაქრა ვარსკვლავი და თან წაიღო საკუთარი სიკაშკაშე. აწ და მომავალში ნოდარ დუმბაძის ნაწერები გამოსცემენ ციალს, შუქს.

**ემზარ კვიტაიშვილი**

## ლამაზი გამოთხოვება

ვერაზე ვარ გაზრდილი და გასაკვირიც არ არის, ნოდარ დუმბაძის სახე მეხსიერებაში სიყრმიდანვე ჩამრჩენოდა. მუდამ ამ უბანში უხდებოდა ტოლ-ამხანაგებთან ტრიალი და როცა მოგვიანებით უნივერსიტეტის ეზოში ვხედავდი, მასთან დაახლოება ყოველგვარი გაცნობის გარეშე, ბუნებრივად მოხდა.

ნოდარი სადაც დადგებოდა, სიხალისეც და მხიარულებაც იქ იყო. სიჭაბუკე არ ჰქონია დალხინებული, მერეც არაერთი

უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ მის განსაცვიფრებელ და ამოუწურავ იუმორს, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულს ამდენმა განსაცდელმა მაინც ვერაფერი დააკლო. ზოგი მხოლოდ მოყოლის დროს იჩენს სიმარჯვეს და რაწამს კალამს მოკიდებს ხელს, მისი უნარიდან მკრთალი აჩრდილიღა რჩება. ნოდარის პიროვნებაში თანაბრად მომხიბლავი იყო მთხრობელისა და მწერლის ნიჭი. მახსოვს, მის ფელეტონებსა და პატარ-პატარა იუმორისტულ მოთხრობებს ბიჭები ხმამაღლა კითხულობდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ სიცილისაგან ღაოსებულები.

უნივერსიტეტში, ლაბორანტად მუშაობისას, ნოდარს ხელმძღვანელობამ სთხოვა, სატირული კედლის გაზეთ „ჭინჭარისთვის“ მიეხედნა. ნოდარმა რეზო ესაძესა და ედუარდ სიხარულიძესთან ერთად მეც მითხრა, მონაწილეობა უნდა მიიღო გაზეთის გამოშვებაშიო და დაეალებებს, სხვადასხვა თემებს მაძლევდა. რეზო ნომრებს აფორმებდა (მშვენივრად, ძალზე თავისებურად) და მოხდენილ იუმორესკებსაც წერდა, ედუარდს უფრო გამკენწლავი, პილპილიანი ფელეტონები ემარჯვებოდა. მახსენდება, ნოდარს ჯაზური მუსიკის წრეგადასულ მიმდევრებზე პატარა, ძალზე სასაცილო ლექსი დაეწერა. მე გადმომცა, ზოგი რაღაცა დაამატეო. მეორე დღესვე მივუტანე და მომიწონა, შემაქო (თუ რამე არ მოუვიდოდა თვალში, მორიდება არ იცოდა, არ ვარგა, ძამაო, გეტყოდა). ის ერთობლივი პაროდია გაზეთის ახალ ნომერში გამოაქვეყნა, მაშინვე გავრცელდა ახალგაზრდობაში.

ერთხელ ნოდარმა ვეფხისტყაოსანი ბუკვალურად, კალამბურების ფეიერვერკული გამოყენებით თარგმნა რუსულად. რა თქმა უნდა, ამით, როგორც სხვა დროსაც გაუკეთებია, ვაიმთარგმნელებს დასცინოდა. ამ განზრახ აბსურდულად აგებულ ფრაზებში ჩანდა მისი გასაოცარი გონებამახვილობა.

იმ ხანებში ნოდარის გამოშვებული „ჭინჭარი“ აშკარად ჯაბნიდა სატირისა და იუმორისათვის მოწოდებულ ჟურნალ „ნიანგს“. ნოდარმა ისეთი ავტორიტეტი შეუქმნა უნივერსიტეტის კედლის გაზეთს, რომ ჩვენს თაობას დღემდე ახსოვს მის ერთ ნომერში „ნიანგის“ გასაკენწლად გამოთქმული ორსტრიქონიანი ლექსი:

ახ, ნიანგო, ნიანგო,
როდის უნდა იანგლო?..

გაზაფხულის საუცხოო დღე იდგა. უნივერსიტეტის ბაღში ველაპარაკებოდი ნოდარს. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ერსკინ კოლდუელის „ჯორჯიელ ბიჭს". კარგად მახსოვს, მითხრა: მომბეზრდა ამ პატარ-პატარა ფელეტონების წერა, ტყუილად ვიხარჯები და ვიფანტები, ერთი მოზრდილი რაღაცის გაკეთებას ვაპირებდი და კოლდუელმა ბიძგი მომცა, უკვე ვხედავ ჩემს გმირს და ისიც ვიცი, ჩემი ნამდვილი წიგნი როგორ დავწერო. ამის მერე ბევრ ხანს აღარ გაუელია და „ცისკარში" მზის სინათლე იხილა ადრე დავაჟკაცებული ზურიკელა ვაშალომიძის მხიარულმა, განუმეორებელმა თავგადასავალმა.

აქ რაიმე პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი არ იქნებოდა სწორი. ნოდარი უთუოდ მოხიბლა ადამიანის სიყვარულმა და სევდიანმა იუმორმა, რითაც აღსავსეა „ჯორჯიელი ბიჭი".

საერთოდ, ძალიან მოსწონდა ამერიკული პროზა. მახსოვს, „ინოსტრანნაია ლიტერატურაში" დაბეჭდილი რომელიღაც მოთხრობის რამდენიმე წინადადება წამიკითხა. ნახე, რა ლაკონიურად წერენ ამერიკელები, ამას სხვები ათ გვერდს მაინც მოანდომებდნენო.

ქუჩაში მოვდიოდით. ცივი ღამე იყო. ვლაპარაკობდი იმაზე, რომ საბოლოოდ ნაწარმოები დრომ უნდა გამოსცადოს, რის მოწმეც ავტორი ვერა და ვერ იქნება.

„— უკვდავება და მარადისობა საოცარი რამეა. აუჰ! — წამოიძახა და ბნელი, ჩალუსკუმებული ცისაკენ აიხედა. — პოეტის ერთმა ლექსმაც რომ გაუძლოს დროს, მისი არსებობა გამართლებულია. მეც ბედნიერად ჩავთვლი თავს, ჩემი ერთი რომანი თუ შერჩა მარადისობას"... მერე, ეტყობა, ეცოტავა და ღიმილით დაუმატა: კაცმა არ იცის, შეიძლება სხვა რამეებიც გადარჩეს...

ყოფილა წუთები, უკიდურესად დაღონებული მინახავს ნოდარი. ეს დიდი ხნის ამბავია. მისი პირმშო, მისი სალოცავი ანგელოზი ზაზა ერთი წლის დაღუპული იყო. მელიქიშვილის ქუჩის თავში მოწყენილსა და წვერმოშვებულს მარტოკას შევხვდი და გამოვწიეთ. უნივერსიტეტს რომ გავუსწორდით,

მთხოვა, მეორე მხარეს გადავსულიყავით, სადაც მისი ყოფილი სახლი იდგა (იმ დროს უკვე მისი ოჯახი ანაგის ქუჩაზე ცხოვრობდა). იმ სახლის შესასვლელთან გაჩერდა, გამწარებულმა ახედა უშნო აივნებით დალასტულ, მდოგვისფერ ოთხსართულიან შენობას და... ნეტა ამ სახლმა ხომ არ დამთარსა, მძულსო, ჩაილაპარაკა. კარგა ხანს იდგა მდუმარედ.

რამდენიმე წელმა კიდევ გაიარა ამ დღიდან. ისეთი შეწუხებული და შეშფოთებული ნოდარი იშვიათად მინახავს. ახალი წელი ახლოვდებოდა. ქალაქს თოვლის თხელი ფენა ფარავდა. შვილის საფლავი მოენახულებინა და მისი ხელით დარგული ვერცხლისფერი ნაძვი, რომელსაც სწორედ მის ბიჭსავით ხუთი წელი შესრულებოდა და რაღაც განგებით ხუთი ლამაზი გირჩა გამოეღო, ვიღაც უწმინდურს, არაკაცს ძირში მოეჭრა (საახალწლო ნაძვის ხედ რომ გაეყიდა, რა თქმა უნდა). ვინც ნოდარის შემოქმედებას იცნობს, იცის, რომ იგი ხეს ცოცხალ და ადამიანებზე არანაკლებ მგრძნობიარე სულიერ არსებად თვლიდა და ამ საშინელების მხილველს რა თავზარიც დაეცემოდა, ადვილი წარმოსადგენია. ასეთი შემაძრწუნებელი ბოროტების ჩამდენი აშკარა მკვლელად მიაჩნდა. მის თვალებში ცრემლი კიაფობდა, ნერწყვის გადაყლაპვა უჭირდა. მარტო ეს შემოხვევა საკმარისი იყო, რომ ყველაფერზე, ადამიანთა მოდგმაზე სამუდამოდ გაგტეხოდა გული, ამის გამკეთებელი ადამიანად აღარ ჩაგეთვალა, მაგრამ ნოდარი სხვა იყო. ეს კი თქვა, ასეთ ცოდვილიანებს ძველად საქართველოში ხატზე გადასცემდნენო.

ნოდარი კარგად იცნობდა დამნაშავეების სამყაროს, მათს ყოფასა და ფსიქოლოგიას. ეს ცოდნა საუცხოოდ გამოაელინა რომანში „თეთრი ბაირაღები". სხვა ქართველ მწერლებთან ერთად არაერთხელ მოუნახულებია შრომაგასწორების კოლონიები, გასაუბრებია პატიმრებს, ბევრი გზასაცდენილი დაუყენებია გზაზე, კაცად უქცევია. მის სამუშაო ოთახში მინახავს რამდენიმე ნივთი, განსაკუთრებით მომწონებია კედელზე სურათებთან ერთად ჩამოკიდებული დაირის მოყვანილობის ხის ჩარჩო, რომელზედაც ნატიფად გამოთლილი მინიატურული ხალხური საკრავები გემოვნებით არის დაკრული. ჭეში აღტაცება რომ შენიშნა, ეს თავის დროზე ერთმა პატიმარმა ბიჭმა

მაჩუქაო, კმაყოფილებით მითხრა. ადვილი მისახვედრი იყო, იმ პატიმარ ბიჭს იგი უყურადღებოდ არ დატოვებდა და ცხოვრებაში ადგილს აპოვნინებდა.

ნოდარს ჩემთვის არაერთი წიგნი უჩუქნია. წარწერებსაც მუდამ ორიგინალურს აკეთებდა, არ იმეორებდა. ვნანობ, რომ იმ წიგნებს არ მოვუარე, საგანგებოდ არ შევინახე; ვიღაც-ვიღაცეებმა ხელს გააყოლეს და აღარ შემომრჩა.

ერთხელ გურამ ასათიანსა და მე ერთად გამოცემული თავისი ოთხი რომანი გვაჩუქა — ერთტომეული, ბადისებურ წითელ სუპერზე მისი ამჯერად ცნობილი ფოტო იყო აღბეჭდილი (ეს გამოცემა, როგორც მისი თითქმის ყველა წიგნი, მშვენივრად ჰქონდა გაფორმებული ნოდარ მალაზონიას).

ორივეს გულწრფელად, გამეტებულად, სიყვარულით წაგვიწერა. გურამის წიგნზე მთელი გვერდი იყო ჩაწიკწიკებული, თავიდან მისებური ხუმრობით საყვედურობდა ძველ მეგობარს, ესა და ეს კრიტიკოსი (გვარიც ეწერა) დაუნდობლად რომ მესხმოდა თავს და შენ ხმას არ იღებდი იმ დროს, კარგი იყოო, ნიშნის მოგებით კითხულობდა ნოდარი და ამაზე თვითონვე ეცინებოდა. წიგნს რომ აძლევდა გურამს, თვალმოჭუტულმა ისევ ღიმილით დაატანა: ვიცი, ახლა ამის წამკითხველი არა ხარ, მაგრამ მაინც გქონდესო... გურამსაც სიცილი წასკდა, ამნაირი რა შემატყვე, ტყუილად ბგონია, შენს შემოქმედებას არ ვიცნობო. ვინც მაშინ იმათ სახეებს შეხედავდა, არავინ დაეჭვდებოდა, რომ ამ ორ ადამიანს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

მუდამ სიამოვნებით ვიგონებ 1970 წლის გაზაფხულს. ახალგაზრდა მწერლების ერთი ჯგუფი კახეთში მიგვავლინეს ლიტერატურული შეხვედრების ჩასატარებლად. „რაფით" გავემგზავრეთ. აქ იყვნენ — ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ზაურ ბოლქვაძე... იშვიათად მახსოვს, ამდენი გვემხიარულოს. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით გზაში, ვინ რა უცნაურობას იტყოდა. ვაი იმისი ბრალი, ვინც ჩვენს ყბაში ჩავარდებოდა. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, კარგი და ნიჭიერი მწერალი ჩვენი საკბილო არასოდეს გამხდარა, მეტწილად ბოროტსა და უნიჭო კალმოსნებს გადავწვდებოდით. შიგადაშიგ ნოდარი თავისი

დინჯი ტონით ჩაურთავდა რაიმე კეიმატ რეპლიკას და ისევ ატყდებოდა დროებით მიჩუმებული ხარხარი. ყველაფერი ჩასაწერი და ჩასანიშნი იყო, მაგრამ მაშინ ამისთვის ვის ეცალა; მერე და მერე კი გადამავიწყდა.

უჩვეულოდ თბილი, დასამახსოვრებელი შეხვედრები ჩატარდა საგარეჯოში, თელავში, ახმეტაში... ტრიბუნაზე ნოდარის ყოველ გამოჩენას უზომოდ აღფრთოვანებული ეგებებოდა ხალხი. მესამე თუ მეოთხე დღეს გულუხვი კახური მასპინძლობით დაქანცულები თბილისისკენ გამოვბრუნდით. შუამთაში კიდევ შეგვაჩერეს გამოსაცილებლად გამოყოლილმა მასპინძლებმა (წინასწარ მიეღოთ ზომები და აქაც ლამაზი, პატარა სუფრა გაეწყოთ) და გზა დაგვილოცეს. მაშინ საამისოდ ძალ-ღონეც მოგვდევდა, ახალგაზრდები ვიყავით, როგორც პოეტი იტყოდა, „ფესქვეშ მიწა გრიალებდა“.

არასოდეს დამავიწყდება ბაკურიანში ჩატარებული ახალგაზრდა შემოქმედთა ზამთრის შეკრება, რომელსაც მაშინდელ „ცისკრის“ რედაქციასთან ერთად ნოდარიც ესწრებოდა. ერთი სურათიც დამრჩა, დამწყებ მწერლებთან ერთად ფიჭვის მორზე ვართ ჩამომსხდარნი.

არც გაგვიგია, საქმიან მსჯელობებსა და საერთო მხიარულებაში ისე სწრაფად გაიარა იმ ერთმა კვირამ თუ ათმა დღემ. მაშინ „ცისკარს“ ზოგიერთები აშკარად თუ მალულად მტრობდნენ, კბილს უსინჯავდნენ, იმის ლოდინში იყვნენ ჩასაფრებულნი, რაიმე შეგვშლოდა და ამით ესარგებლათ, მაგრამ საბოლოოდ ბევრს ვერაფერს გვაკლებდნენ. ნოდარი მუდამ მხარში გვედგა, ყოველთვის ჩვენთან იყო. ერთ საღამოს, როცა რესტორანში ვიყავით თავმოყრილი, ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი ბიჭებმა ერთად ადღეგრძელეს. ჩემი ჯერი როცა მოვიდა, ისინი ახალგაზრდა ცხენებს შევადარე, რომლებიც ნადირის თავდასხმისას ზურგებით ეკვრიან ერთმანეთს და მომხდურს — მგელი იქნება თუ აფთარი — ფლოქვებით იგერიებენ, თავ-ყბას ულეწავენ. სადღეგრძელოებში განსაკუთრებულ უნარს არასოდეს ვიჩენ, მაგრამ ეს ნათქვამი ნოდარს ძალიან მოეწონა და ჯანსუღს გადაულაპარაკა — ხომ ხედავ, რა გვითხრა, მართლაც სულ ასე უნდა ვიდგეთო.

ერთ დღეს ჯანსუღ ჩარკვიანი აჩქარებული ნაბიჯით შემო-

ვიდა რედაქციაში, გაზეთში შეხვეული, დაგორგლილი თაბახის ფურცლები გადმომცა და კარგი მასალა გიშოვნეო, მითხრა. გავშალე ხელნაწერი, ნოდარ დუმბაძის ახალი მოთხრობა აღმოჩნდა — „დიდრო". უმალ შევუდექი კითხვას. საოცარი გრძნობა დამეუფლა. ჭკუანაკლული, კეთილი და ტრაგიკული ადამიანი სხვაგანაც ჰყოლია გამოყვანილი ნოდარ დუმბაძეს, მაგრამ ეს სულ სხვა იყო. სულით ხორცამდე შემძრა ლაზღანდარებისგან გამეტებული დიდროს უკანასკნელმა წუთებმა, ფრაზამ, რომელსაც იგი სიკვდილის მოახლოებისას წარმოთქვამს: „ბიჭო, ნოდარა, განათდა!.."

სულმოუთქმელად ჩავთავე მოთხრობის ბოლო გვერდები. მერე იქვე მდგომ გივი გეგეჭკორს გავუწოდე ფურცლები. გივიც თავაუღებლივ კითხულობდა. მალე სახეგაბრწყინებული ნოდარს ურეკავდა, ყველას სახელით ულოცავდა: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" შემდეგ (ამ წიგნის ნათლია გივი იყო, ნოდარს „სოფლელი ბიჭი" ჰქონდა თავდაპირველ სათაურად) „ცისკრის" რედაქცია ასე არ გაგიხარებია, გიმრავლოს ასეთი მოთხრობები". ჩანდა, ნოდარიც დიდად გაახალისა ასეთმა გამოხმაურებამ, მადლობას იხდიდა ტელეფონში.

ბევრი ჭირის გადამტან ნოდარს, თუკი ფიზიკურად შეეძლო, არასოდეს ავიწყდებოდა, ადამიანისთვის უკანასკნელი პატივი მიეგო. მინახავს, თვითონ ავადმყოფი, რომელიმე ახლობლის ჭირის დღეს საათობით იდგა ხოლმე ეზოში, რათა იგი უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა, ჭირისუფალისთვის ნუგეში ეთქვა.

მახსოვს, გოგებაშვილის ქუჩაზე ვიყავით ასული, ერთი მწერლის პანაშვიდზე. მიცვალებული მეხუთე სართულზე ესვენა (სადარბაზოს ლიფტი არ ჰქონდა) და ნოდარმა ჭირისუფალს მაღლა აუსვლელად შეუთვალა ბოდიში და თავისი თანაგრძნობა (რამდენიმე თვის არჩეული იყო მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ). ამ დროს ოტია პაჭკორია მოვიდა და ნოდარს მკლავში წაეტანა, ერთად ავიდეთო. ნოდარმა მისებური ხუმრობით უთხრა, ოტია, თუ შენით მეუბნები ამას, შემეშვი, ჩემი იქ ასვლა და დაცემა ერთი იქნება, თუ საგანგებოდ მოგაგზავნა ვინმემ, შენ რომ არ იცი, ისე, რაღას ვიზამ, ვერ გაგაწბილებ, წამოიყვები და გემსხვერპლებიო. ამაზე გულიანად იცინეს. სა-

ბედნიერად, მაშინ ორივეს შეეძლო გაცინება. ეინ იფიქრებდა, რამდენიმე წელიწადში თანატოლები ერთად წაიდოდნენ ამ-ქვეყნიდან.

ბოლო ხანებში ნოდარი მეტისმეტად გახდა (ამახე თვითონ ამბობდა, არა უშავს, ზედმეტი წონა დაკიგდეო), მაგრამ გახ-დომა იმდენი არაფერი, ძალზე არაჯანსაღი, ძომწვანი-მოყვი-თალო ფერი დაჰკრავდა მთელ სახეზე, თანდათან ეშრიტებოდა ძალ-ღონე. დროდადრო თავისი თავის რწმენაც ეკარგებოდა, ხუთი წელი რომ მაცოცხლა კიდევ, მეტი არ მინდაო. თურმე, მართლაც სანატრელი ჰქონდა ეს ხუთი წელი. გასული წლის გაზაფხულიდან ხშირად იწვა, უჭირდა სამსახურში მისვლა. მახსოვს, ცუდად მყოფმა თქვა, გუშინ საქმეზე ვიყავი ერთგან, რამდენიმე სართული ზედმეტად ავიარე ფეხით და იმის გამო ვარ ასეო. ეს მართლაც არ იყო კარგის ნიშანი...

ივლისში საგურამოში ვინახულეთ. კითხვაში საკარძელზე ჩასძინებოდა. არ გვინდოდა მისი შეწუხება, მაგრამ სიდედრმა ძალით შეგვიყვანა ოთახში, მინდოდა გამეღვიძებინა და ვერ ვბედავდი, ახლა მიზეზი მექნებაო. მოფხიზლებულს სიხარული გამოეხატა სახეზე, მოგვეფერა, როგორა ხართ, ახალი რა ხდებაო. ნელა, ჩვეულებრივზე ხმამაღლა ლაპარაკობდა, მოთენთილობა ეტყობოდა. კისერზე სისხლის ძარღვები მოხუცებულივით დაბერვოდა, აშკარად ავადმყოფური იერი ჰქონდა.

სახლის გვერდზე გადახურულში გაგვიყვანა, ბუხარი უნდა გაჩვენოთო.. კერიაზე ფინხი და ყუთის ნამტვრევები დაალაგა, ნავთი გადაასხა, ასანთს გაჰკრა და ალი ავარდა. თქვენდა სასიამოვნოდ გავაკეთე, თორემ ახლა რა დროს ცეცხლის დანთებაო, გაიღიმა. მერე მაცივრიდან „ქინძმარაული“ გამოიღო, ხილი გამოალაგა, ტაბლასთან — დაგვსვა, ჩვენ ღვინის ჭიქები შეგვივსო, თვითონ საგანგებოდ შერჩეული პაწია სასმისი დაიდგა, თქვენს მოსვლას გაუმარჯოსო. ჩვენც დავილოცეთ, ვადღეგრძელეთ. ამ დროს ქალბატონი ნანულიც დაბრუნდა. ჩვენი დანახვა კი ესიამოვნა, მაგრამ გაღიმებულმა მაინც შეშფოთებით გვითხრა, მღუპავთ, მაგას ღვინოს ასმევთო.

— რა დალევაა ეს, სათითე მიჭირავს, ქალო, ხელში, — არ შეეპუა ცოლს ნოდარი.

დიასახლისმა სუფრის გადახალისება მოიწადინა, ვავახშმო-

თო ეს ხალხი, საჭმელს მოვიტანო, მაგრამ აღარ დავრჩით, ვა-ტყობდით — ნოდარი ჯანზე რომ არ იყო. მალე კიდევაც საავად-მყოფოში მოუხდა დაწოლა და ეს უკვე საბედისწერო გახდა.

შუა აგვისტო იყო. ავედით საავადმყოფოში მეორე სარ-თულზე და მეთექვსმეტე პალატის წინ გავჩერდით. ექიმებმა შემოვლა დაამთავრეს, მალე კარი გაიღო და შეგვიპატიჟეს. მეუღლემ გვითხრა, „ნოდარი ვერანდაზეა, ძალიან არის და-სუსტებული და გთხოვთ, მას ნუ ალაპარაკებთო“.

ადრინდელზე ბევრად გამხდარი მეჩვენა. მეტყველება უჭირდა, თვალებში დაღლილობა ჩასახლებოდა. ნელა ასწია ხელი და სვენებ-სვენებით თქვა:

— ამ „ტრუბიდანაც“ თუ გამოეძვერი, ბიჭებო, ხომ კარგი... თუ არადა... რაც იქნება, იყოს...

ცოტა ხნის შემდეგ, როგორც იცოდა, გვერდზე გადახარა თავი, არ გაუცინია, მისებურად გაგვეხუმრა: თქვენ ნუ გეში-ნიათ, თუ რამე გაგიჭირდათ, იქიდანაც გაგიწევთ მფარველო-ბას, ყურადღებას არ დაგაკლებთო.

ჩვენც ხუმრობაში ჩამოვართვით ნათქვამი. ვცდილობდით, მდგომარეობა შეგვემსუბუქებინა. მერე უფრო გამოცოცხლდა: ოღონდ ჩვენ მოვინდომოთ, ნამდვილი მამულიშვილური საქმე წამოვიწყოთ, ქართულ მწერლობას რომ ეკადრება და ჩვენი ხელმძღვანელობისგან ყოველგვარი მხარდაჭერა და ხელშეწყო-ბა გვექნებაო.

ვიცოდით, ნოდარი სხვა დროსაც ყოფილა მძიმე, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში და ვიმედოვნებდით, ეგებ კიდევ მოხდეს სასწაული და მოიხედოსო. ჩემდა თავად ეს ვუთხარი:

— ნოდარ, თუ შეგიძლია, საკუთარი ჯანმრთელობის გარდა ყველა საზრუნავი დაივიწყე, სამი-ოთხი თვე ისე იცხოვრე, ვი-თომც მწერალთა კავშირი არც არსებობს...

ამაზე ნაღვლიანად გაეღიმა, ლოყაზე ხელი ალერსით ჩა-მომისვა:

— განა არ ვეცადე, იუზგარ... არაფრით არ გამომივიდა, საქმეს და საფიქრალს ვერ ვეშვები...

ვერაფრით ვერ ვიფიქრე მაშინ, რომ ერთი თვის სიცოცხ-ლეც არ ჰქონდა დარჩენილი.

ზაფხულის მიწურულს მდგომარეობა კიდევ უფრო დამ-

ძიმდა. ყველაფრიდან ჩანდა, საბედისწერო დღე შორს რომ არ იყო, მაგრამ არავის არ უნდოდა, ამ აზრს შერიგებოდა. ეტყობოდა, უკიდურესობამდე დაიქანცა, იმედი გადაიწურა. ერთხელ გამწარებულს მუშტი დაერტყა მკერდზე, თავის ნაწამებ, დალეულ გულს გაწყრომოდა: ნამუსი აღარა გაქვს, გაჩერდიო, რამდენად უნდა ყოფილიყო ნოდარი გატანჯული, რომ სიცოცხლეზე, ბუნების ამ ყველაზე დიდ ჯილდოსა და სასწაულზე უარი ეთქვა.

ქალბატონი ნანული გულდაწყვეტილი ამბობდა, როგორ უყვარდა ნოდარს საგურამოს კარმიდამო. უკვირდა, რომ იქაურობისკენ არც მიუხედავს, როცა საავადმყოფოში მოყავდათ. ახლახან ტრისტანს (მის მძღოლს) შინდის ოთხი, კარგად შეწითლებული ნაყოფი მოეტანა პალატაში — ნოდარ დუმბაძის დარგული ხის პირველი მოსავალი. შინდის მარცვლები თურმე ხელისგულზე დაიწყო, მიეალერსა და მის შუქმილეულ, დანისლულ თვალებში ცხელი ცრემლები აღვარღვალდა.

მე გვიან მივხვდი, რომ ეს ატირება მისი ლამაზი გამოთხოვება იყო ამ გასაოცარ სამზეოსთან, უჩინარი და უკვდავი შემოქმედის ხელით დახატულ ქვეყნიერებასთან, რომლის სიყვარულშიც მას ბადალს ძნელად თუ მოუძებნიდით.

**ნაზი კილასონია**

## ის წლები გავიხსენოთ

ნოდარ დუმბაძე...

ის წლები მინდა გავიხსენო, როცა... მელიქიშვილის მაშინდელი ვიწრო ქუჩა სტუდენტი ახალგაზრდობით სავსე იყო, როცა... უნივერსიტეტისაკენ ვეშურებოდით, და მისი თეთრი გუმბათი გზას გვიშუქებდა.

ხანა ბედნიერი სიჭაბუკისა...

ქვეყანა ომისგან მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, ჩვენ კი, იმ ნაიარევზე წამოზრდილი ტოტები მართლაც ბედნიერები

ვიყავით. არას დაგიდევდით გაჭირვებას. მიშვებული საგუბარი-ვით ვაწყდებოდით უნივერსიტეტის კარიბჭეს, ვიფანტებოდით მის ხეივნებში და არც ის გვაკვირვებდა, თავად რექტორი ნიკო კეცხოველი რომ არწყულებდა ხშირად ყვავილნარსა თუ მწვანე ნარგავს.

საყვარელი უმაღლესი სასწავლებელი, რა თქმა უნდა, ჩვენც გვარწყულებდა. იმ წლებში განსაკუთრებულად იჩინა თავი შემოქმედი ახალგაზრდობით დაინტერესებამ (მარტო ჩვენი „პირველი სხივის“ გახსენება რადა ღირს!)...

არა მარტო ვწერდით, ვკითხულობდით ბევრს, ძალიან ბევრს.

„მით მომიგონე, რითაც კარგი გეჩვენებოდი“. — ამბობდა დიკენსის ერთი გმირი.

მან თითქოს მაშინდელი სიჭაბუკე დამიტოვა მოსაგონრად. სიჭაბუკე გვაკავშირებს, ცხოვრება გვფანტავს, გვაშორებს.

სიჭაბუკეში იგი ყველას მომხიბვლელად გვიჩნდა.

გვიყვარდა მისი ლექსები, განსაკუთრებით „გენაცვალე“, რომელსაც ყოველ ლიტერატურულ საღამოზე ვამეორებინებდით დაჟინებით. დღესაც ყურში ყღერს მაშინდელი „ძამა“, მაშინდელი ხალასი, კრიალა იუმორი.

გამხდარი იყო, შავთვალწარბა, პირღიმილიანი. იცოდა, ყველას რომ უყვარდა. თავადაც ყველასათვის იყო მეგობარი, გულშემატკივარი, განურჩევლად ყველასათვის.

იმ წლებში მეტად პოპულარული გახდა მის ლექსზე შექმნილი სიმღერა „შენ ჩემთან ტიტინი გიყვარდა, პატარა გოგონას დარად“.

იმ წლებში, მისი მეზობლების, ილიკოსა და ილარიონის ზეპირ იუმორსაც გვაზიარა: — ილიკომ თქვა, ილარიონმა უთხრა...

საკვირველია, ყოველი მწერალი ბავშვობაზე გზის დასასრულსა წერს, მან კი გზის დასაწყისი აირჩია.

მახსოვს, გამომცემლობა „ნაკადულის“ დერეფანში გახარებული, გაბრწყინებული ნოდარ დუმბაძე — „ილიკოსა და ილარიონს“ წიგნად გამოსცემენო...

ასე დაიწყო ის გზა, რომელსაც დღემდე მწერალი ნოდარ

დუმბაძე ჰქვია... გზა ტკივილიანი სიხარულისა, სიხარულიანი ტკივილისა.

გულმა უღალატა — სულიერისა და მიწიერის შუაკაცს.

ერთხელ მძიმე ავადმყოფობაგადატანილმა სიზმარი მიამბო: ქვეყნიდან წასული დედა ენახე, ჩემთვის შეჭირვებულიო. მერე, ვიღაცამ მკითხა, რას ინატრებო? მე კი პასუხად მივუგე, იმაზე მეტი რა უნდა ვინატრო, რაც დიდმა ვაჟამ უკვე ბრძანაო: „რად გავჩნდი ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა"...

## მურმან ლებანიძე

### მეგობრის გახსენება

ხვალ ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე ყოფილა. სტამბაში ვარ დღეს და ჩვენი გაზეთები ივსება მოგონებებით, წერილებით, მწერლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ათასგვარი მასალით. ცხოვრების საზრუნავსა და ორომტრიალში მე ჩემი დაბადების დღე არ მახსოვს, არათუ სხვისი. სამაგიეროდ, დაუვიწყარია ჩემთვის სახე ძვირფასი მწერლისა და საყვარელი მეგობრის. ნოდარ დუმბაძის მწერლობა და ნოდარის პიროვნება ერთმანეთს ავსებს, ჯამდება გონებაში რაღაც მნიშვნელოვან სიდიდედ და გულდაწყვეტით ვგრძნობ დანაკლისს...

ალექსეი კონსტანტინეს ძე ტოლსტოის აქვს ძვირფასი ლექსი, რომელშიც გარდაცვლილ მეგობარს იგონებს და სწუხს იმის გამო, რომ სიცოცხლეში ვერ უთხრა სიყვარულისა და აღიარების სიტყვები, თუმცა რამდენჯერმე აპირებდა თქმას. ამ მხრივ მე, წუხილის საპირისპიროდ, შესაძლოა, კმაყოფილების გრძნობაც კი მეუფლებოდეს დღეს. მე სიცოცხლეშივე მივუძღვენი ლექსი ნოდარ დუმბაძეს. მოწმე მყავს და არ მეუხერხულება ვთქვა: მისდამი მიძღვნილი ჩემი ლექსი მოსწონდა ნოდარს...

ათი წლის ბიჭი უცქერს მთვრალივით
და არ აცილებს თვალებს
„ღელეებიდან ურმის თვალივით"
ამოგორებულ მთვარეს.

თხუთმეტი წლისა, იმ მთვარის ნაცვლად
ხედავს, — ნაჯახით ხელში
მამა ტყესა სჭრის, ქარი ქრის მკაცრად
დიდი რუსეთის ტყეში...

გახსოვდეს შენი წლები ჯვარცმული,
იზარდე მჯობნის მჯობნად!
არ დაგავიწყდეს შენი წარსული,
ბიჭო, გაზრდილო ობლად!

## ნოდარ მალაზონია

### ინტერვიუ, რომელიც არ შედგა!..

კარგი დღე იყო. მე ჩემთვის უჩვეულო, ენერგიული ნაბიჯებით მივიჩქაროდი.

— გამარჯობა, ნოდარ! — მომესმა ნაცნობი ხმა.

მოვიხედე. ჩემს გვერდით სახემომღიმარი ედიშერ ყიფიანი იდგა.

— საით, ასე საქმიანად? — ჩვეული სიდინჯით მკითხა. მე ღიმილითვე მივესალმე და მხრები ავიჩეჩე:

— აქეთ.

— შენი ნახვა მინდოდა, საქმე მაქვს.

— აგერ არა ვარ?

— არა, ასე ქუჩაში სალაპარაკოდ არა. ერთხელ მოვალ, გნახავ, და მერე...

— შენი მერე ვიცი მე. საინტერესოა რამე?

— მგონი.

— ჰოდა, მითხარი, რა გინდა, მაგ ნომერს დუმბაძეს ვუკეთებ ხოლმე, რაღაც საიდუმლო ამბავი ვიცი-მეთქი, ვეტყვი და მერე მთელი დღე ვახვეწინებ: „მითხარი, ნუ დამტანჯე, სამარე ვარო“.

— ნოდარი?

— ჰო!

— ჰოდა, სწორედ ნოდარის თაობაზე მინდა შენთან ლაპა-

რაკი. — შუა ტროტუარიდან ჭადრების ჩრდილში გადავინაცვლეთ, — ინტერვიუ მინდა შენგან ავიღო.

— მრგვალ მაგიდასთან? — უშნოდ ვიხუმრე მე.

— არა, „ინტერვიუ მწერლის მეგობართან". — გამომწვევი ღიმილით მიპასუხა ედიშერმა.

— ეს არ გამოვა!

— რატომ?!

— იმიტომ, რომ ერთი პროფესიის ხელოვანის აზრი მეორე პროფესიის ხელოვანზე უმრავლეს შემთხვევაში იმდენად ზერელე და, რაც მთავარია, არაპროფესიულია, რომ...

— მე არა გთხოვ, დუმბაძის ლიტერატურულ ღირსებებზე მელაპარაკო! — შემაწყვეტინა სიტყვა ედიშერმა. — მინდა თქვენი ამდენი ხნის ახლო ურთიერთობის შესახებ მომიყვე... რაიმე საინტერესო!

— გასაგებია!

— მადლობა ღმერთს!

— მაგრამ...

— რა მაგრამ?

— მაინც არაფერი გამოვა.

— რატომ? შენ მომიყვები, მე ჩავიწერ, შემდეგ გავასწორებთ, შევთანხმდებით და დავბეჭდავთ — „ინტერვიუ მწერლის მეგობართან", როგორია?

— გენიალური. — ვთქვი და შემდეგ ღიმილი ველარ შევიკავე.

— რა მოხდა?!

— არა, ერთხელ უკვე მივეცი ინტერვიუ.

— მერე?

— მაშინაც ძლივს...

— შენ რა, ალერგია გაქვს ინტერვიუზე?

— გახსოვს იტალიური ფილმი „რომი 11 საათზე?"

— მახსოვს.

— ჰოდა, ისიც გემახსოვრება, დილაადრიან ლუკმაპურისთვის მისულ სამუშაოს მომლოდინე ქალებს კიბე ჩაენგრევათ, რომელზედაც ერთბაშად შეცვივდებიან.

— მერე?!

— ცოტა ხანში: სასწრაფო მანქანები, პოლიცია, პრესა, რადიო... ამ აურზაურში ერთ-ერთი ჟურნალისტი ერთ-ერთ თა-

ნამონაწილეს, თუ მნახველს ამ ამბისა, ინტერვიუს სთხოვს. დავარქვათ ამ ტიპს ჯუზეპე. ნამდვილი გვარი და სახელი არ მახსოვს — სინიორ! — მიმართავს ჟურნალისტი ჯუზეპეს და ცხვირზე მიადებს მიკროფონს. — სინიორ! როგორც ჩანს, თქვენი თვალით ნახეთ, რაც მოხდა აქ. — დიახ, ენახე! მე ჯუზეპე მარჩელინი ვარ, ხუთი შვილის მამა... — გარეკავს ჯუზეპე. იგი იქ მომხდარი ამბით და ბურჟუაზიული წყობის სოციალური უკულმართობით აღშფოთებული საკადრის პასუხს მიუზღავს ძლიერთ ამა ქვეყნისა, ჟურნალისტი მადლობას უხდის ჯუზეპეს და აფრთხილებს, რომ მას შეუძლია ხვალ დილით მოუსმინოს, რაც თქვა. საკუთარი პასუხითა და გამბედაობით აღტაცებული ჯუზეპე, როგორც იტალიელებს სჩვევიათ, ნახევარ რომს შეჰყრის. მეორე დილით ყველანი რადიოს მისხდომიან. ისმის ჯუზეპეს რიხიანი ხმა. — მე ჩემი თვალით ვნახე, რაც აქ ამ დილით მოხდა. — მსმენელთა მღელვარება მატულობს, ჯუზეპე აწყნარებს ამათ... მთავარი აწი იწყებაო. მაგრამ... დიქტორის ხმა!.. — სინიორებო, თქვენ მოუსმინეთ ჯუზეპე მარჩელინის. მან საკუთარი თვალით ნახა, რაც მოხდა აქ ამ დილით... — ამით ინტერვიუ მთავრდება. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდია ფილმში. რატომღაც გამახსენდა იმ დილითაც და კორესპონდენტსაც მოვაგონე. მეორე დღისათვის, ჯუზეპესი არ იყოს, ნახევარი თბილისი შეეყარე, და გავაფრთხილე, გაზეთი ეყიდათ და წაეკითხათ ჩემი ინტერვიუ ნოდარზე. დილით ჯიხურის წინ გაზეთით ხელში კარგა ხანს პირღია ვიდექი. სახლში მისელისთანავე ნოდარმა დამირეკა (მან არ იცოდა არაფერი ამ ინტერვიუს შესახებ).

— ბიჭო, ნოდარა, ეს რა გენიალური ინტერვიუ მიგიცია! — მისთვის ჩვეული სიცილ-ხარხარით მითხრა მან. მე გულისტკივილით ავუხსენი, თუ როგორ მთავრდებოდა სინამდვილეში დიალოგი. მას ეწყინა რედაქციის ასეთი უადგილო ჩარევა.

— მაინც რა მოხდა ასეთი?

— ინტერვიუ რამდენიმე კითხვისაგან შედგებოდა: ჩემი აზრი იუმორზე, ყველაზე უფრო სასაცილო ჩემს ცხოვრებაში, კიდევ რადაცები და, ბოლოს, თუ რაზე, ან რით ვარ დაკავებული ამჟამად. მე ვუპასუხე, რომ ბოლო დროს იუმორისტული მოთხრობების წერამ გამიტაცა, რომ პირველად, როგორც

ზურიკელამ ილიკოსა და ილარიონს, მე ჩემი ნაწარმოები ნოდარს წავუკითხე-მეთქი.

— კაია, ძამა, — მითხრა მან, — მარა აწი მწერლობას პროფესიად ნუ გაიხდიო.

— ამას წინათ დუმბაძემ სახლში დამპატიჟა და თავისი საიუბილო გამანდო-მეთქი, — მოვუყევი კორესპონდენტს, — ამ ბოლო დროს დუმბაძე ფერწერამ გაიტაცა და სახლში პერსონალური გამოფენა მოუწყვია-მეთქი. — როგორია, ძამა? — მკითხა დუმბაძემ. — კაია, ძამა, — ვუთხარი მე, — მარა, იცოდე, მსატვრობას აწი პროფესიად ნუ გაიხდი-მეთქი. ისე, მართალი თუ გინდათ იცოდეთ, როცა ამას დუმბაძეს ვეუბნებოდი, გუნებაში სხვას ვფიქრობდი — დუმბაძე რომ ხატავს, იმაზე უკეთესად ხომ მაინც ვწერ-მეთქი. მე ამას (აქ რედაქციამ ჯუზეპესაეთ გადამიჭრა ინტერვიუ) ასე გაბედულად იმიტომ ვამბობ, რომ დარწმუნებული ვარ, დუმბაძე ამ გაზეთს არ წაიკითხავს, იგი მარტო იმ გაზეთებს კითხულობს, სადაც მას აქებენ-მეთქი.

— არა, გაზეთის მაგიერ გარანტიას ვერ მოგცემ. — სიცილით მითხრა ედიშერმა.

— მაშინ, არც მე ვიძლევი ინტერვიუს. — სიცილითვე ეუპასუხე მე.

— არა, მართლა, დავჯდეთ, მოვიფიქროთ, ალბათ ბევრ სასაცილო რამეს მოვიგონებთ.

— კარგი. — დავპირდი მე.

ჩვენ იმედიანი ღიმილით დავცილდით ერთმანეთს.

## რა უნდა მოვიგონო?

რა უნდა მოვიგონო?

მე 1948 წელს ჯერ გრიგოლ აბაშიძისა და შემდეგ კარლო კალაძის რედაქტორობის პერიოდში ავიდგი ფეხი „ნიანგის“ რედაქციაში. „ნიანგის“ „რენესანსი“ ორმოცდაათიანი წლების მიჯნაზე დაიწყო, როცა ერთბაშად მოაწყდა რედაქციის ფართოდ გაღებულ კარებს ნიჭიერ პრიზაიკოსთა მთელი პლეადა: ე. ყიფიანი, ა. თაყაიშვილი, ნ. ჩხეიძე, შ. ჩანტლაძე, გ. ფან-

ჯიკიძე, რ. თვარაძე, ნ. დუმბაძე, მხატვრები: გ. ფირცხალავა, ჯ. ლილუა, მ. აბაშიძე, დ. ერისთავი, ზ. ნიჟარაძე, თ. მირზაშვილი, ზ ლეჟავა, ო. ჯიშკარიანი და სხვები, რასაც რედაქციის იმჟამინდელ მთავარ რედაქტორს ვახტანგ ჭელიძეს უნდა ვუმადლოდეთ, საშტატო პერსონალის რევოლუციას კი — ელგუჯა მაღრაძეს.

ერთხელ, „ნიანგში" გამოქვეყნებულმა ფელეტონმა, რომელიც უხეიროდ გადაღებულ ფილმს ეძღვნებოდა, თავისი ახლებური ფორმითა და მანერით ჩემი გაკვირვება გამოიწვია. ფელეტონს ბოლოში ჯვებე დუმბავა აწერდა ხელს. ნათელი იყო, რომ ეს მოგონილი სახელი და გვარი იყო. ავტორის ნამდვილი ვინაობა არ ვიცოდი, არც არასდროს მენახა იგი.

ბოლო ხანებში რედაქციაში (მე ჟურნალ „ნიანგის" მთავარ მხატვრად შტატში 1957 წლის აპრილში ამიყვანეს. ნოდარი დაახლოებით ოთხი-ხუთი თვის შემდეგ მოვიდა ჩვენთან) ელგუჯა თითქმის ყოველდღე დაბეჯითებით ამბობდა, რომ იგი დუმბაძეს თავის მოადგილედ მოიყვანდა.

ერთ დღეს, როცა მე და ელგუჯა სტადიონიდან ფეხით ვბრუნდებოდით, რესტორან „გემოსთან" შევჩერდით, მან ჯვებე მოიგონა. ამ დროს ტრამვაი გამოჩნდა (მაშინ იქ ტრამვაის გაჩერებაც იყო), გაჩერებასთან ჯერ კიდევ არ იყო მოსული, რომ ვიღაც ბლლარტუნით გადმოეშვა საფეხურიდან და ჩვენსკენ ყურებამდე გაღიმებული წამოვიდა. ელგუჯა ზურგით იდგა და იმ კაცს ვერ ხედავდა. მე კი ვხედავდი, თუ როგორ გვიახლოვდებოდა თმაგაჩეჩილი, წვერგაუპარსავი ახალგაზრდა კაცი, ზომაზე მეტად სრული, სახელოებჩამოქექილი პალტო რომ ეცვა. იგი ხმამაღალი სიცილით მოგვიახლოვდა და ელგუჯას უკანიდან მოეხვია. ელგუჯამ დაინახა თუ არა ახალმოსული, თავისებურად აროხროხდა.

— ა, აგერ არ არის ეს რჯულძაღლი?! — მე ვერ გავიგე, რაში იყო საქმე, ან ვინ იყო ეს უცნობი კაცი.

— ნახე, რა დავანგრიეთ? — თქვა წვერგაუპარსავმა, უსაშველოდ დიდ წარბებიანმა და ულვაშიანმა, მაგრამ მაინც სიმპათიურმა „ბალელშჩიკმა". — დვა ადინ!

— დვა ადინ, თუ ტრი დვა?! — სიცილით უთხრა ელგუჯამ.

— კი მარა, სულ ერთი არაა? — ცოტა დარცხვენით თქვა

მან, — ერთით მეტი ხომ გვეიტანეთ და... რა ბურთი გლიეჯა ხასაიამ?!.

— ხასაიამ?! — ისევ გაიკვირვა ელგუჯამ. მერე გაიცინა და ხელით მანიშნა — ერთი ამას შეხედეო. — ხასაიას, ბიჭო, ღღეს, საერთოდ, არ უთამაშია!

— ეხ... რა ვიცი, მაგის დედა ვატირე, მე ქე გავსკდი ყვირილით, მიდი, მიდი, ხასაია-მეთქი და!

სამივეს გაგვეცინა. შევამჩნიე, რომ ამ კაცს გრიპიეით გადამდები სიცილი ჰქონდა. მერე კიდევ რაღაცა ვთქვით და ის დაგვცილდა.

— ვინ არის ეს კაცი? — ვკითხე ელგუჯას.

— ბიჭო, ახლა შენც გინდა გამაგიჟო? არ იცნობ? ეს არის, კაცო, ჯვებე, ნოდარ დუმბაძე!

— ეს არის დუმბაძე?! — გავიკვირვე მე.

— რა, არ მოგეწონა?

— კი, ძალიან მომეწონა, მარა მგონი, ცოტა დარტყმული უნდა იყოს.

ელგუჯას სახე შეეცვალა.

— არა, ნოდარ, მაგი დიდი კაცია, აგერ, ნახავ შენ. — მითხრა მან ძალიან სერიოზულად. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. მე და ნოდარი მალე დავმეგობრდით (მე ჯვებე მისთვის არასდროს დამიძახია და, მართალი გითხრათ, არც მომწონდა ეს ფსევდონიმი).

— მეტი აღარ შემიძლია, გენაცვალე. — მითხრა ერთხელ ნოდარის მეუღლემ, — სულ შენი მანერები გადაედო, ბიჭო, ჩემს ქმარს, ველარც ხმაში გარჩევთ და ველარც ქცევაში. — რა უნდა მეთქვა, როცა მეც იგივე მჭირდა.

## ჩანჩურები

ამას წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთხუთმეტე, ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტზე წიგნს ვკითხულობდი. თეთრ სახლში, ჯერ კიდევ თავის გემოზე მოუწყობელ, ოვალურ კაბინეტში მეორე ღღესვე პრეზიდენტმა თავის უმცროს ძმას ედუარდს და მის უახლოეს მეგობარს პოლ ფეის

უხმო. — აბა, რას იტყვით, ადგილი გვეყოფა?! — ჰკითხა პრეზიდენტმა პოლ ფეის. — იცი, მე ისეთი შთაბეჭდილება მიპყრობს, რომ ყოველ წუთს შეუძლია ვიღაცას შემოვიდეს და გვიბრძანოს: „აბა, თქვენ, ტიპებო, სამთავემ მოუსვით აქედან!“ — უპასუხა მეგობარმა.

ამ ამბავმა მე 1958 წელი გამახსენა. საჯდომზე შარვალგამობდღვნილები: მოსე ქარჩავა, ნოდარ დუმბაძე და მე „ნიანგის“ რედაქტორმა ელგუჯა მაღრაძემ ცენტრალურ კომიტეტში წარგვადგინა, როგორც რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი და მთავარი მხატვარი — განახლებული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრებად. დუმბაძის მღელვარებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოსე ზედმეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მე ამაოდ ვცდილობდი უშნო ხუმრობებით დუმბაძის გამხნევებას. ჩვენ დაგვამტკიცეს. გარეთ გამოსულებმა შვებით ამოვისუნთქეთ.

— კი მაგრამ, რა მოგივიდა მაინც ასეთი? — ცოტა ხნის შემდეგ ვკითხე ნოდარს.

— იცი რა? — ხელკავი გამიყარა მან, გვერდზე გამიხმო და მითხრა: — სულ იმას ვფიქრობდი, რომ დაგვიძახებენ, ამოდენა კარი რომ გაიღება და ჩვენ შიგ შევალთ, ვინმე რომ წამოდგეს და დაიყვიროს „აბა! თქვე ჩასჩურებო, ახლავე მოუსვით სამთავემ აქედანო!“ — რა უნდა გვექნა?

## ასე უნდა სამაგიეროს გადახდა

ერთხელ რედაქციაში მე და ნოდარი ჭადრაკს ვთამაშობდით. თამაში მუდამ პრინციპული იყო. უეცრად მე ხელი წამცდა ეტლზე. საკმარისი იყო ნებისმიერი მიმართულებით მისი გადანაცვლება, რომ მე ლაზიერს ვკარგავდი. ეს კი უეჭველი წაგება იყო. ეტლს ხელი გავუშვი და, ვითომ აქ არაფერიაო, ფიქრი გავაგრძელე.

— ეტლს ვთამაშობთ. — ჩუმად გამაგონა მოწინააღმდეგემ.

მე ვდუმდი.

— ეტლი, ჯიგარო!

— ხელი არ მიმიკარებია. — ვიცრუე მე.

— მიაკარე!

— არა!

— კი! — მე პაიკი გავწიე წინ ლაზიერის გადასარჩენად.

— ეტლი! — ხმას აუწია ნოდარმა.

— ბიჭო! — გაბრაზებულ-გაწყალებული ხმით დავიწყე მე, — იმ შენ ილიკო და ილარიონებში რომ წერ, იმან ამას ის გაუკეთა და მერე ამან იმას ისაო, მერე ილიკომ ტარანე ჩამოუტანაო. მამაშენის ჩექმები და შარვალ-კოსტუმი ეირზე აკიდებული რომ ეიტანეთ ორ ბათმან სიმინდზე გასაცვლელად, ბაბილო ვაშაყმაძემ ჩექმა და კოსტუმი რომ გამოგართვა და სიმინდი მოგცა, მეორე დილას სიმინდი რომ გამოგატანა და ყველაფერი ისევ უკან დაგიბრუნა, ის ხომ იყო კარგი! ახლა შენ ამ გაჭირვებული ლედოფლის დაბრუნება რომ გენანება ჩემთვის, ესაა შენი ჰუმანიზმი?

— მტყუანს! არ აუდგა გვერდები ბაბილო ვაშაყმაძეს, რამდენი იმას ჩემთვის ის შარვალ-კოსტუმი და ჩექმა უკან არ დაებრუნებინოს, — მიპასუხა ნოდარმა.

## ეს თუ დაღუბვაა...

ნოდარი ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. მოსკოვში ჯილდოს მისაღებად რომ ჩავედით, ზამთარი იყო და დუმბაძემ ნაუცბათევად თბილი „ბატინკები" იყიდა. იგი მისთვის ზომაზე დიდი იყო და სიარულის დროს ბრაგა-ბრუგიც გაუდიოდა.

პიონერთა სასახლეში, სადაც რამდენიმე ათასი კაცი ეტევა, მეოთხე რიგში ვისხედით და გულისფანცქალით ველოდით საზეიმო ცერემონიალის დაწყებას.

ჟიურიმ დუმბაძის გვარი ამოიკითხა. უნდა გენახათ, რა ცოდვილივით აითრია წელი სკამიდან, ჩემსკენ გადმოიწია და ტაშის გრიალში გასაგონად მითხრა: „მე მგონი, დავილუპე, ბიჭო, ნოდარა". სცენაზე ასული ძალიან სასაცილო მეჩვენა იგი: მანეჟზე გამოსულ საბრალო კეთილ ჯამბაზს ჰგავდა, უსაშველოდ დიდი „ბატინკები" და სრული შარვალი რომ აცვია. დარბაზი გარინდული იყო. ნოდარი ცდილობდა საბიჯი მოკლედ

და უსმაუროდ გადაედგა, ისე მძიმედ და მორიდებულად უახლოვდებოდა სცენის შუაგულში მდგომ, რუსული მომხიბვლელობის, ოქროსფერთმებიან გოგონას, თითქოს ეშაფოტზე ადისო.

ქალიშვილმა დიდი მღელვარებით წაიკითხა მწერლისადმი მიმართული მისალოცი სიტყვა და ჯილდო გადასცა. დარბაზში ისევ იგრიალა ტაშმა, მერე თანდათან დაცხრა და მიჩუმდა. მოულოდნელმა, რაღაც უხერხულმა და გაუგებარმა პაუზამ დარბაზი გააცივა. ახლა ჯერი ნოდარზე იყო, მას სამადლობელი სიტყვა უნდა ეთქვა. იგი დუმდა. მე ჯერ ჩარლი მომაგონდა, თავისი ბრმა გოგონას წინაშე მდგომი, გოგონასი, რომელსაც მილიონერი „ძმაკაცის" წყალობით თვალები აუხილა, მერე კი თვალებახელილ ყვავილების გამყიდველ გოგონასაკენ მიპყრობილი მისი უხერხული და უსაშველოდ მადლიერი მზერა.

წამები უსასრულოდ გრძელდებოდა. ნოდარი ისევ დუმდა. უეცრად ქალიშვილი მთელი ახალგაზრდული მგზნებარებით მოეხვია ნოდარს და უზომოდ თბილად გულში ჩაიკრა. ტაში ისევ ზვავივით მოსწყდა დარბაზს. ცოტა ხანში დუმბაძემ ენა ამოიდგა...

— რა მოგივიდა? — ვკითხე მეორე დღეს.

— აა?!. — დაბნეულად მკითხა მან.

— რა მოგივიდა? უკოცნელად ხმა ვერ უნდა ამოიღო?

## თანაავტორები

დაბნეულობა, საუბარში მოულოდნელად გამოთიშვა, სადღაც გონებითა და სხეულითაც კი, შენს თვალწინ წამიერი გაუჩინარება იცის.

— ეეხ... — დაბრუნდა მიწაზე დუმბაძე (ეს ამოოხვრაც კი განუმეორებელი და თავისებურია).

— რა იყო?

— რა იყო, ბიჭო, და, აი „ილიკო და ილარიონი", თურმე, მათივე დაწერილი ყოფილა, „მე ვხედავ მზეს" — გუგუნავებისა (მეუღლის გვარია), „მზიანი ღამე" — დედაჩემს დაუწერია, „ნუგეშინია დედა" — პაგრანიჩნიკებმა დამიწერეს. ახლა იმაზე

გ. ფირცხალავა და ნ. დუმბაძე.

ედ. ყიფიანი, ნ. დუმბაძე არჩ. სულაკაური.

ევგ. ევტუშენკო, ნ. დუმბაძე

ნ. დუმბაძეს გადასცემენ ლენინური პრემიის ლაურეატის ნიშანს.

ა. შინკუბა, კ. სიმონოვი, ნ. დუმბაძე.



ნ. დუმბაძე, მ. შაგინიანი, ვ. ოზეროვი, გრ. აბაშიძე.

ნ. დუმბაძე, ჯ. ჭილიევი, მ. დუდინი, ირ. აბაშიძე.

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ნ. დუმბაძე და მისი ქალიშვილი ქეთინო.

ნ. დუმბაძე და მისი მეუღლე ნანული დუმბაძე.

ნ. დუმბაძე ოჯახთან ერთად.

ვფიქრობ, ეს ტიგრანა გულოიანი რომ ცოცხალი იყოს და ერთ დღეს მომადგეს — „თეთრი ბაირაღების“ ჰონორარი გამიყავიო, სად წავიდე მერე?

## „პოლეზნი ბლეფი“

ერთხელ მოსკოვში ერთმა რუსმა მკითხა: მივიღე თუ არა მე მონაწილეობა დიდ სამამულო ომში?

— არა. — ვუთხარი მე.

— როგორ?! — გაუკვირდა მას.

— როგორ და, როცა ომი დაიწყო, მე 11 წლისა ვიყავი, როცა დამთავრდა — 16-ისა, ასე რომ...

— პარტიზანად ხომ შეიძლებოდა? — მე გამეცინა და ვუთხარი, რომ შენ, ალბათ, ისე იყავი გართული, არც გაგიგია, რომ გერმანელები საქართველოში არ მოთრეულან. ასე რომ, არც პარტიზანობა მერგო წილად-მეთქი. მაშინ მან ისევ მკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, რამეთი ხომ უნდა მიგეღო მონაწილეობა?

— კი. — ვუთხარი მე.

— მაინც, რას აკეთებდი?

— ჭორს ვავრცელებდი! — მოჭრით ეუპასუხე თავგასულ ცნობისმოყვარეს.

— ჭორს?! — გაუკვირდა მას.

— დიახ, ჭორს! — დავუდასტურე მე. — „ია ზანიმალსია ბლეფომ, ნო პოლეზნიმ!“ — გავუსვი ხაზი ბოლო ნათქვამს.

ეს ამბავი შემდეგ ნოდარს მოვუყევი და ბევრი ეიცინეთ. მართლა ვიგონებდი ტყუილებს მეზობლებსა და ნათესავ-ამხანაგებში. საფუძვლიანი ინფორმაციის წყაროდ კი ჩვენს ყოფილ სკოლაში მოთავსებულ სამხედრო ჰოსპიტალს ვიშველიებდი, სადაც დედაჩემი მსახურობდა. მე მთელ დღეებს დაჭრილ მებრძოლებში ვატარებდი, მერე კი ხალხს ვუამბობდი, რომ ჩვენებმა ისეთი თვითმფრინავები მოიგონეს, ერთმანეთზეა სამი შემჯდარი, თუ ერთს ჩამოაგდებენ, ორი რჩება, თუ მეორეს — მესამე, რომ ყოველ დღე ძაღლის ხორცით მოწამლულ, მშიერ გერმანელთა ბატალიონები გენებდება და, რა ეიცი, უამრავ რაღაც-

რაღაცებს. მახსოვს, ბოლოს, ისე შევტოპე, რომ ორი წლით ადრე კინაღამ დავამთავრე. როცა ნოდარმა „მე ვხედავ მზეს“ წერა დაიწყო, ხშირად ზეპირად მიყვებოდა ზოგიერთ ეპიზოდს. სწორედ მაშინ გავიხსენეთ ისევ „პოლეზნი ბლეფის“ ისტორია.

„ასეთია ცხოვრება“, ასეა დასათაურებული რომანის „მე ვხედავ მზეს“, ერთ-ერთი ქვეთავი.

ომისგან შიმშილით შეწუხებული ხატიე და სოსოიე მამალაძე მამის ქურქითა და ჩექმებით, სიმინდზე გასაცვლელად ვირზე შემჯდარი, ნაბეღლავისაკენ სოფლის შარას გაუყვებიან. გზაზე შემოღამებულ ბავშვებს ბაბილო ვაშაყმაძე შეიკედლებს.

„...ოთახში კედელზე ერთი ვაჟკაცის ორი სურათი ჰკიდია ერთ ჩარჩოში“.

„...კაკანო ბიცოლა, მასე იყო ჩვენს სოფელში მეზობელი სამი წელი დაკარგული და გამოჩნდა, გუშინწინ სწორედ... ჩვენ რომ წამოვედით, იმის წინადღეს...“. — თქვა უცებ ხატიამ.

„...მერე?“ — თქვა ჩურჩულით კაკანომ.

„...მერე, კარგად იყვნენო, ორდენები ჰქონდათ ბევრიო, ყველას უყვარდაო!“

„...რა იყო, გოგო, იმხელა ტყუილი რომ თქვი, სად წავსულიყავი არ ვიცოდი!“

„...ეგონოთ ბაბილოს და კაკანოს, რომ მათი შვილები ცოცხლები არიან, რაა ცუდი ამაში? არაფერი. მერე რა, რომ ტყუილია. იქნებ მართალია? თუ მართალია, მაშინ ხომ არის კარგი? კარგია, ამაშია საქმე. ყველა მართალია კარგი? ყველა მართალი როგორ იქნება კარგი? ყველა ტყუილია ცუდი? ყველა ტყუილი რატომაა ცუდი? აბა, ხომ ჯობია ცუდ მართალს კარგი ტყუილი? ჯობია, ამაშია საქმე“.

ღმერთმანი, ვერაფერს იტყვით. „პოლეზნი ბლეფის“ დუმბაძისეული ინტერპრეტაცია შეუდარებელია.

ისე, გულოიანისა და გუგუნავებისა რა მოგახსენოთ, მარა ამ თავის დაწერაში ნახევარი ჰონორარი კი უნდა გაეყო ჩემთვის დუმბაძეს.

## მისი ლოგიკა

კაბინეტში შევდივარ. მარტოდ მიჯდომია მაგიდას, რაღაცას კითხულობს და თავისთვის ხმამაღლა ხარხარებს.

— რა გაცინებს? — ვეკითხები მე.

— აგერ ჩემი ძველი ფელეტონი ვნახე შემთხვევით და...

## სპორტი სპორტია!

ერთი პერიოდი ღამით ტელეფონებით ჭადრაკის თამაშმა გაგვიტაცა. არ მახსოვს, ვისი იდეა იყო ეს, მაგრამ ორთავეს საკმაოდ დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა.

— გინდა? — ღამის ათ-თერთმეტ საათზე გადავურეკავდით ერთმანეთს.

— დააწყე! — ჩვენ ეფ დვა; კონ ტრი და ლადია ჩეტირე არ ვიცოდით, ასე ვთამაშობდით:

— ცხენი რომაა ტურის გვერდზე, აქეთ მეფე რომაა, იქინე, იმის წინ ხომაა შენი აფიცერი?

— თეთრი?

— ჰო, ეშას ვიყვან პაიკით! — თამაში საათობით გრძელდებოდა და ხშირად ჩხუბში და გინებაშიც გადაიზრდებოდა ხოლმე. ანგარიშით უპირატესობა თითქმის მუდამ მინიმალური იყო, ან მე, ან ის თითო-ოროლა პარტიით თუ გავუსწრებდით ერთმანეთს, მაგრამ ესეც იმდენად მტკივნეული იყო, რომ მეორე დღეს ვცდილობდით ერთმანეთს რედაქციაში არ შევხვედროდით.

ერთ საღამოს ჩემი ბავშვობის მეგობარი, ჭადრაკის მწვრთნელი, შოთა ინწკირველი მესტუმრა. როგორც იტყვიან, ჩემს სახლში ანგელოსი საკუთარი ფრთებით შემოფრინდა. ანგარიში თანაბარი იყო და ახლა წაგებას სიკვდილი მერჩია. მე იშვიათი შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვი. ჩვენ მოვილაპარაკეთ, მოგება ასი პროცენტით გარანტირებული იყო, მაგრამ მე ლამაზი, სენსაციური მოგება მჭირდებოდა.

— იქნება, — წყნარად ჩაიბურტყუნა შოთამ. ყურმილს ვეცი.

— გინდა?

— კი.

— დააწყვე! — თეთრები სათვალავით მე მერგებოდა და პარტიაც მე დავიწყე.

— რას შობი, ბიჭო! — გაუკვირდა დებიუტი დუმბაძეს. რას ეშვრებოდი, თვითონ არ ვიცოდი. დასაწყისი მართლაც იმდენად უჩვეულო იყო, რომ ნოდარს ეს მხედველობიდან არ გამოპარვია.

— იტრენიროვკე?

— მიდი, მიდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

დაფაზე მართლაც რაღაც უჩვეულო პოზიცია შეიქმნა. ვერაფერს ველარ ვხედავდი და ვერ ვხედებოდი, თუ რა ხდებოდა. ჩანდა, შოთას მართლაც რაღაც საშინელი გადაწყვეტილება მიეღო (როგორც შემდეგ გამოირკვა, ზედმეტმა მონდომებამ და ბლიც-კრიგმა დუმბაძე სამუდამოდ დამიფრთხო).

— ჩემი ცხენი რომაა პაიკის წინ, — დაბნეული ხმით ლაპარაკობს დუმბაძე, — იმას ვიყვან!.. არა, მოიცა!

— არავითარი! — ვყვირი მე.

— ბიჭო, ხელი არ მომიკიდია! — ყვირის ისიც.

— ხომ თქვი, ვიყვანო!

— წამომცდა! — დაუბრუნე! დაუბრუნე! — მამშვიდებს შოთა. — რატომ? — ვჩურჩულებ მე. — ვერ ხედავ, ტურას ვიყვანთ? — მიეცი! — მეხვეწება შოთა, — მიეცი, მით უარესი მისთვის!

— კარგი, კარგი! — „ვუთმობ“ მე.

— არა! გავწიე პაიკი, მოიცა, მოიცა! — აირია დუმბაძე.

— რეპეტიცია გაქვს? — ვაბრაზებ მე.

— მოიცა! გადავირევი ახლა!

შოთამ დამარწმუნა, რომ მეოცე სვლაზე დუმბაძის მეფეს სამარცხვინო და გამოუვალი შამათი ელოდება.

— ავიყვანე ცხენი... — წვალობს დუმბაძე.

— გინდა აიყვანე და გინდა გადმოდი, მატია, მატი, გამოუვალი მატი! — ვყვირი ყურმილში მე. დუმბაძე ყურმილს მიხეთქებს. მე ვრეკავ. ყურმილთან ნანული მოდის, ნოდარს არ სურს ჩემთან ლაპარაკი. მე ისევ ვრეკავ, ისევ უარი. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც რეკავს, მე ყურმილს ვიღებ.

— შენ, ბიძია, იცი, რას გეტყვი? უნიჭო სურათებს რომ

ხატავ, ფული დახატე, ის გირჩევნია, და ჩემი ვალი გადამიხადე. — ვითომ კაი ხასიათზე ხუმრობს დუმბაძე და ყურმილს ისევ მიკიდებს.

რას იზამთ, სპორტი სპორტია!

## პროფესიული შეურაცხყოფისათვის

სულ მალე პროფესიული შეურაცხყოფისათვის შური ვიძიე.

— მოი, მამა, აგერ! — ეძახის თავის ხუთი წლის ქეთინოს ნოდარი. — უთხარი ერთი ბიძიას ლექსი! — ქეთინომ „ნიკორწმინდა" თავიდან ბოლომდე უშეცდომოდ ჩაარაკრაკა.

— რა არის, ბიჭო, ეს? — გაკვირვებული ვამბობ მე. — შენ შენს ბავშვებს გალაკტიონს ასწავლი და მე შენი უნიჭო ლექსებით გამაზრდევინე ბაღნები?!

დუმბაძე გულიანად იცინის.

## ჩოხატაურელი ლონდონში

ერთ ზაფხულს, ცოლ-შვილი მანგლისში მყავდა, შაბათ-კვირას ავდიოდი ჩემი მანქანით და ორშაბათობით თბილისში ვბრუნდებოდი. წყნეთში აუცილებლად დუმბაძის აგარაკისათვის უნდა ჩამეელო გვერდით, ხანდახან შევუვლიდი ხოლმე. იმ ზაფხულს ავადმყოფობდა. დილაადრიან მანქანაში რადიო ჩავრთე, შემთხვევით „მაიაკზე" ინგლისიდან დაბრუნებულ ლენინგრადის თეატრის საგასტროლო შთაბეჭდილებათა შესახებ საუბარს შევესწარი, ლაპარაკობდა მსახიობი იურსკი. იგი ყვებოდა, თუ როგორ მიიღო თეატრი მაყურებელმა და გაოცებული იყო „ილიკო და ილარიონის" წარმატებით. „სპექტაკლმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კულისებში უამრავი მაყურებელი შემოიჭრა, რომლებიც წარმატებას გვილოცავდნენ. ერთ-ერთი ჩემთან მოვარდა და დიდი აღტაცებით დამიწყო დარწმუნება, რომ ის ილიკო და ილარიონის მეზობელია, უფრო მეტიც, მგონი ახლობელიც კი". მე მანქანის სიჩქარეს ვუმატე. დუმბაძის აგარაკამდე რამდენიმე ასეული მეტრიღა რჩებოდა. მინდოდა ნოდარს თავისი ყურით

მოესმინა ყოველივე. ეზოში შევიჭერი და ხმამაღლა ვიყვირე: — ნოდარ! გამოდი მალე! — დუმბაძე მოგვიანებით ჩამოვიდა. როგორც ჩანდა, გავაღვიძე და ამის გამო, ცოტა არ იყოს, უხასიათოდ იყო.

— რა გაღრიალებს, ბიჭო!

— დაგაგვიანდა, — ვთქვი მე, და მერე თავიდან ბოლომდე სიტყვასიტყვით მოვუყევი, რაც მოვისმინე. იგი ჩუეული სიმშვიდით მისმენდა. მერე გვერდით გაიხედა და წყნარად იკითხა:

— ვინ იყო, ნეტავ!

— ვინ ვინ იყო?!

— დარბაზიდან რომ ავარდნილა, ილიკო და ილარიონის მეზობელი ვარო?!

— ბიჭო! — შემოვირტყი თავში ხელი მე. — ვინ იყო და ტარიელა ჩავლეიშვილი! რა ვიცი, ვინ იყო, ვიღაც ინგლისელი მაყურებელი. ეს ყველაფერი, რაც აქ ვნახე და მოვისმინე, ისეთი ახლობელი და ნაცნობია ჩემთვის, რომ ყველა ესენი ჩემი მეზობლები მ გ ო ნ ი ა ო! გაიგე?!

— ჰოო.., მე ვიფიქრე, იქნება. ჩოხატაურიდან ესწრებოდა ვინმე-მეთქი, — მთელი სერიოზულობით მითხრა მან.

— მიდი და ელაპარაკე ახლა ამას! — გაბრაზებულმა ვთქვი, მანქანა დავქოქე და „დინამოს“ ჩანჩურა პიჟამოში (ზომაზე მეტად სრული ტანსაცმლის ტარება, როგორც ახლა ვასკვნი, დუმბაძის ჰობი უნდა იყოს) გამოწყობილი დუმბაძე, წყნეთში, საკუთარ აგარაკზე, ანკესით ხელში, შუა ეზოში გაკვირვებული დავტოვე.

## ძნელია მწერლობა?

ჯარისკაცი შერბინა ცნობისმოყვარეობას ვერ მალავს და მწერალს, ლეიტენანტ მდინარაძეს, რომელსაც „ჯერ არაფერი არ ეტყობა დარტყმულობისა, გარდა იმისა, რომ საკუთარი ნებითაა წასული ჯარში“, მესაზღვრეებზე წიგნის დასაწერად, ეკითხება:

„...როგორ არის, თუ შეიძლება მითხარით, ძნელია მწერლობა თუ არა?“.

„...როგორ აგიხსნა! მწერლობა, ჩემო შერბინა, ისეთი რამ

არის... — მდინარაძე ისევ დადუმდა, მერე მარცხენა ხელისგული გაშალა და მარჯვენათი ნეკი ჩაღუნა, — პუშკინი მოკლეს, ლერმონტოვი მოკლეს, გოგოლი გაგიჟდა, ყაზბეგი გაგიჟდა, — მდინარაძე მეორე ხელისგულზე გადავიდა, — ილია ჭავჭავაძე მოკლეს, ჩეხოვი ჭლექით მოკვდა, ვაჟა-ფშაველა ჭლექით მოკვდა, ჰემინგუეიმ თავი მოიკლა, ესენინმა ვენები გადაიჭრა და მერე თავი ჩამოიხრჩო, სტენდალი ქუჩაში წაიქცა, მაიაკოვსკიმ თავი მოიკლა... ცვეტაევამ, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, თავი ბაწარში გაუყარა. მარტო კრილოვი, ერთადერთი მწერალი მსოფლიოში, მოკვდა ბლინების ჭამით".

ვინც ნოდარ დუმბაძეს ახლოს იცნობთ, დამეთანხმებით, რომ იგი უსაშველოდ ტრაგიკული პიროვნებაა. — „არ არის ტკივილი, რომელიც დამაკლო ღმერთმა", — მითხრა ერთხელ ნოდარმა.

— რაშია საქმე?

## ნაკლი

ერთხელ სუფრასთან ნოდარს გადავულაპარაკე:

— ახლა შენი სადღეგრძელო უნდა დავლიო, მომწყინდა ამდენი შენა ქება და ლოცვა, ახლა ორიოდე სიტყვით, მოკლედ გეტყვი-მეთქი.

— რატომ მოკლედ? — ყურშივე ჩამჩურჩულა მან, — შენ ბევრი მითხარი, ბიჭო, გამიხარდება!

მე უსაშველოდ დიდი და სიყვარულით სავსე სადღეგრძელო ვუთხარი.

— ნაკლი, ნაკლი არა აქვს დუმბაძეს? — ჩაიქილიკა ვილაცამ სუფრის ბოლოს.

— ნაკლი? — ხმამაღლა ვიკითხე მე. — უზარმაზარი ნაკლი აქვს, არის უსაშველოდ და გამაღიზიანებლად... ნიჭიერი და საყვარელი კაცი! — ვთქვი და ნოდარს მოვუბრუნდი:

— აი, ჩემო ნოდარ! ცოტაც ეს არის და ბევრიც, რაც ღღეს გამახსენდა!

## ᲡᲣᲚᲘᲡ ᲦᲠᲛᲐ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრებაში არსებობენ ისეთი მეგობრები, რომლებზეც, სამწუხაროდ, იძულებული ხდები გული გაიტეხო. ნოდარ დუმბაძე იყო და უკანასკნელ წუთამდე დარჩა იმათ შორის, რომლის ერთგული და გულითადი მეგობრობა მუდამ შთამაგონებდა. ჩვენ იშვიათად ვხედებოდით, ტელეფონითაც კი იშვიათად ვსაუბრობდით, მაგრამ ყოველთვის სულ უფრო ვრწმუნდებოდი ამ შესანიშნავი ადამიანის ერთგულებაში. იგი ვერც თანამდებობებმა, ვერც პრემიებმა ვერ შეცვალა. რატომ? მეტად სერიოზული კითხვაა. მასთან მეგობრობის წლების მანძილზე მივხვდი მთავარს: ეს კაცი დიდი ხანია რაც სამუდამოდ ჩამოყალიბდა. მის სულს იმდენად ღრმა ფესვები ჰქონდა, რომ ამინდის ცვალებადობა მასზე გავლენას ვერ ახდენდა. მისი სულის სიმტკიცე აიხსნებოდა იმ მაღალი ზნეობრივი ღირებულებების ერთგულებით, რომლებსაც ტყუილად როდი ვუწოდებთ მარადიულს. როცა ნოდარ დუმბაძეს რომელინე მწერლის შექება სურდა, ამბობდა, რომ ამ მწერლის წიგნს საფუძვლად ამაღლებული საგნის ღირსი ამაღლებული კრიტერიუმები უდევსო.

ნოდარ დუმბაძისთვის ამაღლებული საგანი მუდამ ადამიანის სული იყო, ხოლო მისი შეცნობის ღირსეული კრიტერიუმი კი იმის სიყვარული, რაც კი რამ საუკეთესო გააჩნია ადამიანს. ამ სიყვარულის ნათელში კი, ყველაზე უარესიც არც ისე უიმედოდ გამოუსწორებელი ჩანდა. სიყვარულის, მეგობრობის, სიწმინდის სამყარო ის სამყაროა, რომლისთვისაც დედა ტანჯვით შობს ყრმას. ადამიანი ამ ქვეყნად სიხარულისთვის იბადება, სიხარულის წყარო კი შეიძლება და კიდეც უნდა იყოს ყველა და ყველაფერი: ადამიანები, ბუნება, შრომა...

ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ყოველდღიურ ცხოვრებაში ნოდარ დუმბაძეს პირიდან მუდამ თაფლი სდიოდა. არა, იგი ჭკვიანურად და ფხიზლად აკვირდებოდა თანამოსაუბრეს, ჩაფიქრებული უსმენდა, ხუმრობდა, უბოროტოდ, ხანდახან კი გესლიანადაც დასცინოდა.

მეგობრების წრეში მუდამ ხალისიანი იყო, ცოტაოდენი ღვინის დალევის უფლებასაც აძლევდა თავის თავს, ბოლო წლებშიც კი ვერ ღალატობდა ქართულ სუფრას. ბევრს და ხალისიანად, ტემპერამენტით ლაპარაკობდა, ისე, რომ მისი მეუღლე, ნანული, ეტყოდა ხოლმე, „გეყოფა, ნოდარ, სხვასაც აცალე ლაპარაკიო!“

დუმბაძის ოჯახში მის მეგობრებს ვხვდებოდი — მწერლებსაც და სხვადასხვა პროფესიის კარგ ადამიანებსაც, რაც განსაკუთრებით მსიამოვნებდა. რა დასამალია, რომ მწერალთა ოჯახებში უფრო ხშირად მწერალ მეგობრებს ვხვდები ხოლმე, არადა ასეთი ამქრული კარჩაკეტილობა სწორედ მწერალს არ შეშვენის.

მაგონდება მისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თვისება. ერთ დღეს ჩემს მეუღლე ელენასთან ერთად მაჩაბლის ქუჩაზე მის კაბინეტში შევედი. რამდენადაც მახსოვს, დიდი, ცარიელი, ოდნავ ბნელი, მოუხერხებელი ოთახი იყო. ნოდარს არ შეეძლო მეგობრებს როგორც „მწერალთა კავშირის მდივანი“ ისე შეხვედროდა, ოთახი მისმა დაუვიწყარმა ღიმილმა გაანათა, ათასნაირ ამბებს გვიამბობდა და ყველანი გავმხიარულდით, თავისუფლად ვგრძნობდით თავს. ეს ამბავი სხვების ჭკუის სასწავლებლად როდი გავიხსენე, არა, ნოდარი უნიკალური კაცი იყო და მის მიბაძვას აზრი არ აქვს. პასუხისმგებლობის გრძნობას ხელი არ შეუშლია მისთვის „არაოფიციალური“ ყოფილიყო კაბინეტშიც, სასაზღვრო საგუშაგოზეც, და ოსტანკინოშიც — მკითხველებთან შეხვედრისას. სხვათა შორის მხოლოდ მას შეძლო სატელევიზიო კამერების წინ, მთელი ქვეყნის გასაგონად აბალგაზრდობის სერიოზულ კითხვაზე „რომელი პროფესიაა დღეს მნიშვნელოვანი“ ასე ბრძნულად ეხუმრა: „დღეს? ზუსტად დღეს, პიჯაკი გამერღვა და რომ არ ყოფილიყო ქალი, რომელმაც გამიკერა იგი, თქვენთან შეხვედრაზე ვერ მოვიდოდი. ყველა პროფესია ერთნაირად მნიშვნელოვანია, თუ კაცი თავის საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებს თავისი ერისა და სახელმწიფოს წინაშე,“ ასე იცოდა ყოველთვის: კონკრეტული სასაცილო დეტალი, წერილმანი, უბრალო რამ, მაგრამ მასში ღრმა აზრი იყო ჩაქსოვილი.

ნოდარი შემთხვევით გავიცანი, როგორც იტყვიან ხოლმე,

საკუთარი ინიციატივით. ერთხელ, თბილისში მივლინებით ყოფნისას, სასტუმრო „ივერიაში“ ვბრუნდებოდი. შესასვლელთან გაუპარსავი ქართველი კაცი შევნიშნე. მიუხედავად იმისა, რომ გაუპარსავი იყო, მომეჩვენა, თითქოს ნაცნობი სახე ჰქონდა და უეცრად გამახსენდა: დუმბაძე! იგი სადღაც სხვაგან იხედებოდა, ახლოს მივედი და გამომწვევად ვუთხარი:

— მწერლები კრიტიკოსებს ვერ ცნობენ, არა?

— უკაცრავად, მაგრამ არ ვიცი... ვინ ბრძანდებით?

როცა ჩემი პასუხი გაიგონა, გადამეხვია. ამ შეხვედრამდე, უკვე მოვასწარი ორჯერ დამეწერა „თეთრ ბაიარაღებზე“ (რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე და თვით რომანზე) „ლიტერატურნაია გაზეტაში“. ეს იყო „ზოგადი“ სტატიები, მათ შორის ერთს „წყნარი დრამები“ ეწოდებოდა. ჩვენი იმ პირველი შეხვედრის დროს ნოდარი ღიმილით გამომიტყდა, რომ სტატიის სათაურის წაკითხვისას, ცოტა არ იყოს „გულში გამკრაო“, სამაგიეროდ ანალიზი შემიქო. ეს სატრაბახოდ როდი გავიხსენე, არამედ აი რატომ.

ვფიქრობ, ნოდარს რთული ურთიერთობა ჰქონდა ლიტერატურის კრიტიკოსებთან. 1978 წელს თბილისში გამოქვეყნებული ჩემი წიგნის მოკლე წინასიტყვაობაში მას არ მორიდებია იმის აღნიშვნა, რომ ზოგ რამეში არ მეთანხმებოდა, ასეც იყო. ცხარე და ხანგრძლივი კამათი ჩვენ არ გვქონია, ეს მას არ სჩვეოდა, მაგრამ ხშირად, ჩემი ფიცხი სიტყვების მერე, იგი მტკიცე უთანხმოებას გამოხატავდა. გამოგიტყდებით, ერთბაშად ვერ ვუგებდი მას, მით უმეტეს, რომ დაწვრილებით განმარტება არ უყვარდა.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო მისთის დამახასიათებელი ერთი შენიშვნა, რომელიც ლიტერატურულ იუმორზე ჩვენი საუბრის დროს გამოთქვა: „ისტორიას არ ახსოვს ეპოქა, რომლის გამასხარავებაც შეუძლებელი ყოფილიყო, არც ჩვენი ეპოქაა გამონაკლისი, კაცს ყველაფრის გამასხარავება შეუძლია, მაგრამ საჭიროა? — იუმორისტი კი სწორედ ის კაცია, რომელიც ამ საქმეში ერკვევა“,

ვასილ შუკშინი თავის მასწავლებელს მიხაილ რომს იხსენებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა კაცის ძალას, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობდა გონებრივად. ასეთი იყო ნოდარ დუმ-

ბაძეც. სწორედ ეს განუწყვეტელი გონებრივი მუშაობა იყო მისი განუწყვეტელი შემოქმედებითი ძალის წყარო.

რატომღაც ისე მოსდა, რომ სწორედ მწერლის საკავშირო აღიარების პერიოდში შევწყვიტე მის წიგნებზე წერა. ერთხელ ამ საკითხზე წამოვიწყეთ საუბარი და მის ხმაში გაკვირვება ვიგრძენი. როცა ერთმანეთს დავშორდით, ჩავფიქრდი, მართლაც, რატომ „დავივიწყე" მეგობარი? სამწუხაროდ, ჩემთვის ყველაზე არასასიამოვნო პასუხს წავაწყდი. საქმე იმაშია, რომ ნოდარი უჩვეულოდ მოკრძალებული კაცი იყო. რამდენადაც ვიცი, მას არასდროს არ „გაუქაჩავს" თავისი ნაწარმოებები. თითიც არასდროს გაუსძრევია, რათა მის მოსკოველ მთარგმნელებს ცენტრალურ პრესაში დაებეჭდათ მისი მოთხრობები. დაბეჭდავენ, ხომ კარგი, არა და ჯანდაბასო!

სწორედ ეს „ჯანდაბას" მაძლევდა უფლებას, რაღაც სხვა გადაუდებელი საქმეების გამო აღარაფერი დამეწერა არც მის მოთხრობებზე და არც ჩემი თავმდაბალი მეგობრის „მარადისობის კანონზე". ამიტომ იყო, რომ მისმა ოდნავ განაწყენებამ ასე იმოქმედა ჩემზე. იმდენად დამნაშავეც ვიგრძენი თავი, რომ გადავწყვიტე დამეწერა წიგნი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებითი გზის შესახებ. და მე დავწერე ეს წიგნი.

ნოდარ დუმბაძის ცხოვრების კიდევ ერთ დეტალზე მინდა გიამბოთ. არსებობს ჟანრი — „დეტექტიური რომანი". ჩემთან სახლში კედელზე ჩამოკიდე ნამდვილი „დეტექტიური" ფოტოსურათი. უფრო სწორედ ფოტოეტიუდი. ჩამწვარ სანთლის შუქზე, ბინდში მოსჩანს ღარნაკში გაშლილი ვარდები, მათ ქვეშ — ბარათია, გასაღებების აცმა და ნაგანის სისტემის რევოლვერი. 1981 წელს, როცა ჟურნალ „დრუჟბმა ნაროდოვში" დუმბაძის „კუკარაჩას" ვკითხულობდი, უეცრად გაოცებულმა შევნიშნე ამ მოთხრობის აშკარა ნათესაობა სურათთან. ვერ გეტყვით, რომ ეს სურათი ფოტოილუსტრაციას ჰგავდეს, იგი უფრო მოთხრობის ფოტოსიმბოლოა.

ფოტოსურათი თბილისში მაჩუქეს, როცა „კუკარაჩას" რუსული თარგმანი ჯერ არ არსებობდა. ავტორმა, ქართველმა მხატვარმა ნოდარ მალაზონიამ მაჩუქა, ჩემი თხოვნით. მაშინვე მაჩუქა ნოდარ დუმბაძის ფოტოპორტრეტიც. ჩემი აზრით, მის ფოტოპორტრეტებს შორის საუკეთესო. მალაზონია და დუმბა-

ძე მეგობრები იყვნენ და, ვფიქრობ, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მალაზონიას ასე კარგად გამოუვიდა მწერლისა და „კუკარაჩას“ „პორტრეტები“. ასეა თუ ისე, მოთხრობაში არის ყველა ის „საბედისწერო“ დეტალი, რაც ფოტოსურათშია, ბარათიც (ინგას გამოძახება მილიციაში), ინგასათვის მიტანილი ვარდებიც, გასაღებიც (ინგას ოთახის კარის) და ნაგანიც მასზე შეყვარებული კუკარაჩასა და მურტალოსათვის. მოთხრობაში არ არის მხოლოდ სანთელი... მაგრამ, ვფიქრობ, ინგა დაანთებდა სანთელს დაღუპულის ხსოვნისათვის.

ახლა ნოდარ დუმბაძის ფოტოპორტრეტს შევცქერი. მაგონდება, რომ სწორედ ეს გადიდებული ფოტოპორტრეტი მიჰქონდა ხალხს თბილისის ქუჩებში მწერლის დაკრძალვის დღეს — და მზერა მეორე ფოტოსურათზე გადამაქვს, რომელზეც იწვის და არ ქრება სანთელი.

**სილოვან ნარიმანიძე**

## წარსული ზაფხული

— ვინ მეტყვის, სიხარულს მოჰყავს ადამიანები ზღვასთან, თუ მწუხარებას?

— ალბათ, ორივეს, იქ ერთდება, თითქოს, ეს ორი მდინარე, რომლებიც, ვინ იცის, სად იღებენ სათავეს.

თვითონ რას ჰბადებს ზღვა?..

ჩემის აზრით, სევდას... მონატრების სევდას, უსასრულობის, შეუძლებლობის, მონანიების სევდას, ფიქრებს შორს მიყავხარ, ყველა დავიწყებული თითქოს იქ გახსენდება, ზოგჯერ ტირილიც კი მოგინდება, ვინმე ძალიან ძვირფასი მოგენატრება და მისი სიშორე გულს გტკენს, იქნებ სხვა რამეც არის ეს, დღემდე ვერ გამიგია.

ახლაც აქა ვარ, მახსენდება ის და ვიცი, რომ ველარასოდეს ველარ შევხვდები.

ზღვა კი ლიელივებს, მიმოდენის ტალღებს, კვლავ ისევე შეუცნობელია.

მიჰყვები სანაპიროს და თვალებს ხუჭავ, სივრცესთან პირისპირ შერჩენილი სიმარტოვეს გრძნობ, თითქოს ეძახი, უხმობ, თუმცა ამაოდ, მაგრამ მაინც შენსას არ იშლი.

ახლაც ასე ვარ...

ზღვის სანაპირო ყოველთვის ადრე იღვიძებდა. დილა უთენია ორი ლანდი მიჰყვებოდა ზღვისპირის ხეივანს, აჩქარებული, ჯარისკაცური ნაბიჯებით მიემართებოდნენ, მიდიოდნენ შორს, ძალიან შორს, სანამდე თვალს არ მიეფარებოდნენ. მერე კი ისევ გამოჩნდებოდნენ და ოდნავ შენელებული ნაბიჯებით გვიახლოვდებოდნენ ჩვენ, რომელნიც გვიან ვიღვიძებდით.

— ეგენი სულ ასე დილით ადრე დგებიან და ჩქარი მოძრაობებით ტვირთავენ სხეულს. — ამბობდნენ დამსვენებლები.

ზღვა ეძახდათ იქვე ახლოდან. მერე ისინიც ზღვაში ჩადიოდნენ და კარგახანს ახმაურებდნენ მის ტალღებს.

ერთი ნოდარ დუმბაძე იყო, მეორე მხატვარი გიგლა ფირცხალავა.

მუდამ ფაფახიანი ქუდები ეხურათ, ცხელი ზაფხულის დღეებში სამხედროებზე რომ მინახავს, ფართე, მომწვანო, ეს ქუდები მესაზღვრეებს ეჩუქებიათ ნოდარისათვის.

ისინი დილა-საღამოს ყოველთვის ერთად გამოდიოდნენ სახლიდან. სიარულით რომ დაიღლებოდნენ, ჩვენთან შემოივლიდნენ. ძია კარლო (კალაძე) პირგაბადრული ხვდებოდა მუდამ. მათაც უყვარდათ მასთან ყოფნა, მასლაათი, სულისა და გულის გაზიარება, წუთისოფელი კი მიდიოდა, გზას იმოკლებდა.

ერთ დილითაც, შორს, ზღვაში, წერტილივით მოტორიანი ნავი დავლანდე, უფრო შორს მიიწევდა, ზღვის სიღრმისკენ მიუყვებოდა. წუთით თითქოს თვალთაგან დაიკარგა. მერე კი, ისევ გამოჩნდა, როგორც დროშა აღიმართა ზღვაზე და სიხარულივით მოაშურა სანაპიროს, ისე, თითქოს შორეული ნაოსნობიდან ბრუნდებოდა მეზღვაური.

ნოდარი იყო. ამჯერად მარტო. გიგლა ფირცხალავა აღარ ჰყავდა გვერდით. გადმოვიდა ნავიდან და ერთი ასხმა სტავრიდები მოიყოლა თან.

— ზვიგენებმა ვერ წამართვეს, — გაკენწლა ჰემინგუეი და თევზები ხელში შემაჩერა, — სადილად ჩემი სტუმარი ხარ, ხომ ხედავ, შენი მასპინძლობა რა ძვირად მიღირს.

ნავი ზღვიდან ამოვაცურეთ და თვითონ კი ქვიშაზე ჩამოჯდა. ჩამოჯდა და ამაყად გახედა ზღვას.

— ძალიან შორს ვიყავი, დაბრუნებაზე აღარ ვფიქრობ ხოლმე. შემიტყუებს, შემიტყუებს და ვინ იცის... გეზს არ ვკარგავ ხოლმე, თვალწინ მუდამ ბინდისფერში ჩაფლული კავკასიონის მწვერვალები ილანდებიან, აი, ის მწვერვალი რომ ჩანს, იალნოს რომ ჰგავს, იმას ვუყურებ ხოლმე, — და ხელს იშვერს მწვერვალისაკენ, — კარგია ნავზე რომ გაწვები და გაირინდები. სამარისებური მდუმარეაა ირგვლივ, ზღვა კი თითქოს გელოდება, რაიმე შეგცდეს, მცირე შეცდომასაც კი არ გაპატიებს.

მცირე პაუზის შემდეგ აგრძელებს.

— მაგრამ მაინც მიყვარს ის ცხონებული, ზღვასთან დავემშვიდობე ჩემს ახალგაზრდობას, გურიის მთა-გორებიდან ხშირად მიმზერია ზღვისთვის, იქ ვუთვალთვალებდი ხოლმე მის უკიდეგანო სივრცეებს, ახლაც მოვდივარ ხოლმე მასთან ძველი ოცნებებით, მაგრამ სულ სხვა სურვილებით, სად გამექცნენ ნეტა ის თვალთმაქცები, ვფიქრობ ჩემთვის, მუდამ ვეძებ, თითქოს რაღაც დავკარგე და ველარ ვპოულობ.

რომ ეკითხებით, რატომ არის ფეხშიშველი, — ვეჩვევიო, — გიპასუხებთ, — ქალაქში იმდენი ელექტრობა გროვდება სხეულში, რომ მის გამოდენას დიდი დრო უნდა, მიწის სიახლოვემ უნდა შთანთქოს ოგი. სინამდვილეში კი, სიჭაბუკეში დაუდევრად გაფლანგულის დაბრუნება უნდა, წინათგრძნობა რაღაცას ანიშნებს და ისიც თავისებური ალღოთი ცდილობს გაუძალიანდეს, დაავადებული გულის გამრთელება უნდა.

* * *

ის სახლი მწერლებისა და მხატვრების მექაა. ამ სახლის ერთ დიდ კედელს გიგლა ფირცხალავას პანო ამშვენებს, რომელსაც პოეტების სერობა ეწოდება. ვის არ ნახავთ ამ სურათში: ტიხონოვს, სიმონოვს, ლეონიძეს, ჩიქოვანს, ირაკლი აბაშიძეს, კარლო კალაძეს, მურმან ლებანიძეს.

ნოდარმა იცის, კარლო მარტოა. კარლომ დაკარგა გულდა, მანამდე კი, მან უძვირფასესი მეუღლე თამარ აბაკელია დაკარგა. კარლომ ახლახან მიაბარა მიწას თავისი საუკეთესო მეგობარი ქალი გულნარა ჯაფარიძე. კარლო მარტოა და ისიც ვაუკაცურად ებრძვის სიმარტოვეს. გულდა ხომ ნოდარის განუყრელი მეგობარი იყო. კარლო და ნოდარი დიდ ტკივილს ხშირად ერთმანეთს უზიარებენ ხოლმე, ტკივილს შვილისა და მეგობრის უდროოდ წასვლის გამო.

— გულდას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, — ხშირად იტყოდა ხოლმე ნოდარი, — ძლიერი სიცოცხლე იყო ამ კაცში, რამდენი ნათელი აზრი, სწრაფვა, დაუოკებელი ნებისყოფა და სიკეთე.

* * *

ზღვისპირას ჩამწკრივებულა ეს სახლები. როცა ზღვა ღელავს, ზღვის ხმაური შემოდის აქ. სახლის სარკმლებიდან კარგად მოჩანს აქოჩრილი ტალღები, მობიბინე ყანასავით რომ ირწევიან. კარლო კალაძის სახლი თითქმის შუაგულშია. ამ სერობაში კარლო ასაკით ყველაზე უფროსია და ყველაზე უფრო დაფასებული. სიხარულით მოდიან აქ არქიტექტორი ვახტანგ დავითაია თუ მხატვარი მერაბ ბერძენიშვილი, აქვე ახლოს ცხოვრობს ზურაბ წერეთელი, სამეზობლო ჭიშკარს თითქმის ყოველ საღამოს შემოაღებს კარლოსთან ძმადნაფიცი აფხაზი პოეტი ივანე თარბა...

გულრიფშიდან მიდის გზა კოდორის ხეობით სვანეთის მთებში სოფელ ჩხალთამდე, ხოლო მეორე გზა, სოფელ მერხეულზე გავლით, სანჭარომდე, ეს ის სანჭაროა, სადაც 1942 წლის გვიან შემოდგომაზე ჩვენმა ჯარებმა უკუაქციეს მტერი.

— შენ, ალბათ, ნახე, ნატყვიარი, ყუმბარით დაჭრილი ფიჭვი, — მეუბნებოდა მაშინ ნოდარი და ჰყვებოდა სანჭაროს მთებიდან ჩამოტანილ გრძელ მორზე, რომელიც კარლოს ეზოში შუაზე გახერხილი დევს და მაგიდის მოვალეობას ასრულებს, ის ახლახანს ჩამოიტანეს მთებიდან. თურმე მაშინ, 1942-ში მტრის ყუმბარა მოხვედრია, დაჭრილა.

— ისტორიული ხეა, — ამბობს ნოდარი და ნაზად აუსვამს ხელს ფიჭვის მორს, რომელზაც ერთ ადგილას შავად ანია სხეულში ჩარჩენილი ყუმბარის ნამსხვრევი.

* * *

საღამოა. გასეირნებიდან ვბრუნდებით მე და ნოდარი. კარ-ლოს სახლის წინ დაყრილ დიდ ლოდებზე ჩამოვჯექით. კარლო თავისი სახლის მყუდრო აივანზე ზის და ზღვას გაჰყურებს. თითქმის რვა ათეულმა წელმა დაკეცა ფრთები მის ცხოვრებაში, ბევრი ნახა სიხარულიცა და ტკივილიც, ამაზე ვსაუბრობთ...

— კარლოს რჩევით ავაგე ეს ზღვისპირის სახლი, — მეუბნება ნოდარი. — მაინც რამდენი მოვიდა და წავიდა, განაგრძობს იგი, — თითქოს გუშინ იყო, კონსტანტინე სიმონოვი რომ მოადგებოდა ხოლმე კარლოს ჭიშკარს. წავიდა და აღარ დაბრუნებულა მოსკოვიდან.

* * *

— კოდორის ხეობა უნდა გაჩვენო, — მეუბნება ნოდარი. — ეპოქამ ყველა მდინარეს თავისი დაღი დააჩნია. მაგრამ შემორჩნენ ჯერ კიდევ მდინარეები, რომელთაც ძველი ეშხი და სიდარბაისლე შეინარჩუნეს, ერთ-ერთი ასეთი მდინარეა კოდორი, იგი სათავეს სვანეთის მთებში იღებს. აქედან ოციოდე კილომეტრზე რომ ასცდები სვანეთისაკენ, იქ უნდა ნახო იგი, ღრმა, კამკამა მორევებზე ჩრდილები რომ წევება, სიცხისაგან შელახული ორაგულები რომ მიმოჰქრიან ამ მორევებში და ზოგჯერ სულგატრუნულები კიდეც მიიძინებენ ხოლმე. უფრო კარგი კი ეს ხეობა მაშინ არის, ნაავდრი წყლები რომ ჩამოივლიან, მის სანაპიროებს რომ ჩამორეცხენ და აბობოქრებული როცა წყნარდება და ისევ თავის ძველ კალაპოტში მოექცევა ხოლმე.

ნოდარს მასპინძლის შესაშური სიამაყე გააჩნია.

წინ კარლო კალაძის მანქანა მიდის, მერე ჩვენი, უკან სხვები მოგვყვებიან.

ის დღე განსაკუთრებით დამამახსოვრდა. — ერთ-ერთი ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. ის ისევ ისეთი იყო, ბავშვური, ლაღი, ოხუნჯობდა, მხიარულობდა. ქალაქი რაღაცნაირად ნიღბავს ადამიანებს, აქ კი, ჩემს წინ, ისევ ის ნოდარი იყო, უნივერსიტეტის წლებიდან რომ მახსოვდა, იუმორით

სავსე, გულგახსნილი, თავისუფალი, ბრძნულად მოუბარი თბილი მეგობარი.

ერთ-ერთი სოფლის ცენტრში მანქანები გაჩერდა და ყველანი გადმოვედით.

ბავშვები დარბიან, თამაშობენ, მხიარულობენ, დასდევენ ერთმანეთს, მათ შორის ერთი ბიჭი ღობის კუთხეში დგას, ძალზე მოწყენილია, არ მონაწილეობს საერთო თამაშში, სევდიანი მზერა აქვს. იმისკენ გავეშურეთ.

— ძამა, რა გვარი ხარ? — ეკითხება ნოდარი. ბიჭი შეიშმუშნა, გამოერკვა, უხალისოდ მოგვიბრუნდა.

ბიჭი ობოლი გამოდგა. მამამისი ექვსი თვის წინ ჩამოუსვენებიათ მთიდან, სადაც ავტომობილის მძღოლად მუშაობდა, იქ ის მორებს ამზადებდა და ბარში ეზიდებოდა თურმე, ერთ-ერთი მორი დაგორებულა, ზედ დასცემია იმ კაცს და მოუკლავს. ბიჭზე ძალიან უმოქმედია ამაგდარი მამის ტრაგიკულ სიკვდილს. მიუკარებელი გახდაო მას შემდეგ, ამბობდნენ სოფლელები, სიხარული ჩაუქრაო ბიჭს.

ჩავიწერეთ ბიჭის გვარი, სახელი, მისამართი, დავპირდით, რომ ამ დღეებში კიდევ ვნახავდით.

— ძნელია ობლობა, — მეუბნება ნოდარი, — რამდენჯერ ჩაარტყამს ცხოვრება თავში, სანამ გაიზრდება. მაინც როგორ გამხდარა, ავადმყოფური სახე აქვს, აუცილებლად ამოვიდეთ ამ დღეებში და ვნახოთ.

გზა განვაგრძეთ.

ერთ დაცემულ ტყიანზე ვჩერდებით. ყველანი გადმოვდივართ მანქანებიდან. აქ კოდორი თითქოს დინებას ანელებს. წინა დღეებში ავდარი იყო, ახლა ნელ-ნელა დგება კალაპოტში, ოდნავ ამღვრეული მოედინება.

მე ბადე მოვიკიდე მხარზე და მდინარის ნაპირის ტყიანში გავუჩინარდი, ბადის სროლით შევუყეევ კოდორს ზევით და ზევით. ბადეს თითო-ოროლა მურწა და ფიჩხული მოჰყვება. არ გასულა ნახევარი საათი და ხმა ისმის, ეს ნოდარის ხმაა:

— დაგვნებდი, ნარიმანიძე, ალყაში ხარ, — თან სროლის ხმაც ისმის, ნოდარი ჰაერში სცლის თოფს, — გამოდი, დაგვნებდი.

თურმე ბადის პირველივე გადაგდებით ორაგული დაუჭე-

რიათ. მომიკითხეს, დამიწყეს ძებნა და ამ ძებნაში, ნოდარს გაახსენდა თავისი ბავშვობა, გურია, ფირალობა... მე დაბნეული გამოვდივარ ტყიდან, ხელებაწეული, გნებდებით-მეთქი, ვიძახი და რამდენიმე მურწას ჰაერში ვიქნევ, ვაჩვენებ, რომ უმიზნოდ არ ვიყავი დაკარგული.

ორ კაცს მხარზე ხარიხა გადაუდევს, სადაც ერთმეტრიანი ორაგული ჰკიდია, თვალსა გვჭრის მისი ელვარება. ვნებდები. ჩემი ნანადირევი მათ ნანადირევთან შედარებით არაფერია. სიცილით ვსხდებით მანქანებში და მერხეულასაკენ მივქრით.

* * *

გულდას დაბადების დღეა.

ნოდარი თამადობს. მეგობრებო, მიხარია ჩემს ძმებში რომ ვარო, ამბობს... ყველა გვეფერება, გელოცავს. გვიან ავიშალეთ, გარეთ გამოვდივართ, ხელკავს მიკეთებს და გვერდით გავყევარ.

— ხვალ დილით მე და შენ იმ ბიჭის სანახავად უნდა წავიდეთ, არსად დამეკარგო, საჩუქრები უნდა წავუღო. მისი ცოდვა არ მასვენებს, — ამბობს და თვალზე ცრემლი უბრწყინავს.

სოხუმში გავიარეთ, მაღაზიებში შევედით და საჩუქრები ვიყიდეთ; ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტკბილეული, ბურთიც... ჩვენთან ერთად ალექსანდრე ჯიქიაა, მწერალი და გულითადი ადამიანი, სოხუმში ცხოვრობს, მისი მანქანით მივდივართ. სოფლის ცენტრში მივედით, სადაც გუშინ ვიყავით. ვკითხულობთ ჩვენი ნაცნობი ბიჭის სახლს.

ჯერ შავებში ჩაცმულმა ქალმა გამოიხედა, მერე კი ის ბიჭი გამოჩნდა, დაგვინახა და მორცხვი, მორიდებული ნაბიჯებით მოგვიახლოვდა. გვთხოვს, მობრძანდითო სახლში. ჩვენ უარს ვაცხადებთ და საჩუქრებს ვაჩეჩებთ ხელში.

გაკვირვებულია, ვინა ვართ, არ იცის. ჯერ უარობს, მერე მადლობას გვეიხდის და სახლისაკენ გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს, მერე ისევ მოიხედავს უკან, მოირბენს ჩვენთან და გვეუბნება.

— ძალიან გთხოვთ, ცოტა ხანს დაიცადოთ, ბიძიებო, ხომ დამიცდით? ხუთ წუთში გამოვალ...

— დაგიცდით, დაგიცდით, — ვაიმედებთ.

ჩვენ იქვე გზისპირას სკამზე ჩამოვსხედით და ვმუსაიფობთ. ბიჭი ისევ გამოჩნდა, ხელში ცელოფანის პარკი უჭირავს, ხილით არის სავსე.

— მიირთვით, ჩვენი ბაღის ხილია, — გვეუბნება და პარკს გვაწვდის, მერე ამატებს, — რა ვუთხრა დედას, ვინ იყვენ-მეთქი.

— უთხარი, ნათლიები იყვნენ-თქო, — ვეუბნებით ჩვენ და ბიჭს ვემშვიდობებით, თან ვარიგებთ, როგორი მოქალაქე უნდა დადგეს, როგორ უნდა იცხოვროს.

— არ ვიცი, მან როგორ მიიღო ჩვენი სტუმრობა, — გვეუბნება მერე გზაში ნოდარი, — მაგრამ ჩემთვის რომ ბავშვობაში ასეთი ყურადღება ვინმეს გამოეჩინა, ალბათ, სიკვდილამდე არც დამავიწყდებოდა და ყოველთვის მეხსომებოდა, კარგი ბიჭი გამოვსულიყავი, მათი იმედი გამემართლებინა.

გზაში ჰყვება თავისი ბავშვობის სევდიან დღეებზე, ობლობაზე, ვინ შეხვდა, ვინ გაუწია ყურადღება, ვინ მიატოვა გზაში... თვალებში სევდა უბრწყინავს. — „სცდების და სცდების სიკვდილსა, ვინც არ მოელის წამისად", — ამატებს დიდი ბრძენის ამ სტრიქონებს ბოლოს.

აფხაზეთში ერთ ოჯახს ვეწვიეთ, ვხედავთ, ჩინმენდლებიანი კაცი დგას სახლის აივნის შუაგულში, სტუმრებს გვეგებება. წინ ნოდარი მიდის. ის პირდაპირ გაემართა მასპინძლისკენ, — ამ ჩინმენდლებიანი კაცისკენ, ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, მან კი თავისი არ შემოაგება. უცებ მიხვდა ნოდარი, რომ კაცს ხელები არა ჰქონდა. მოეხვია მასპინძელს და უთხრა:

— მე მინდა გემთხვიოთ, — თან გულში იხუტებდა. ეს იყო მისალმებაც და მადლობაც, ეს იყო ჯილდოც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ კაცის მიერ გაღებული მსხვერპლის სამაგიეროდ.

მერე, გვიან საღამოს, ჩვენი მასპინძელი ჰყვებოდა თავის მეუღლეზე, დარბაისელ ქართველ მანდილოსანზე.

— ჯარიდან უხელო რომ ჩამოვედი და ჩემმა მეუღლემ ასე მნახა, მითხრა, კარგი იყო ხელები გქონოდა, მაგრამ რას იზამ, ესეც კარგია, რომ ცოცხალსა გხედავო. აი, ჩემი ორი ხელიო, მაღლა ასწია ჩემმა მეუღლემ ხელები. ესენი გასწევენ შენი ხელის მაგივრობასო, ორივეს გვეყოფაო...

— ასეთი დიდებული ქალები გვყავს, — თქვა ნოდარმა, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა.

* * *

სიკეთე — აი, რა ამოძრავებდა ნოდარ დუმბაძის მთელ ცხოვრებას. ამიტომ არის მისი შემოქმედებაც ახლობელი ხალხისათვის. მის შემოქმედებაზე ბევრი დაიწერა, ბევრიც დაიწერება.

მე კრიტიკოსი არ გახლავართ და არც ვაპირებ მისი შესანიშნავი ნაწარმოებები განვიხილო, მაგრამ მაინც ვიტყვი იმას, რომ იშვიათია შემოქმედი, რომელსაც მასავით ძნელი გზა გაევლოს ცხოვრებაში და მასავით განეცადოს ცხოვრება.

ნოდარ დუმბაძის, როგრც მწერლის ყველაზე დიდი დამსახურება მაინც ის არის, რომ ძალიან მძიმე დროს გააცინა ადამიანები, გააცინა უბრალოდ, გულიანად. და თან მისი ნაწარმოებების წაკითხვისას ყოველთვის გვრჩება სევდა და დიდხანს მიგვყვება თან, როგორც მსაჯული.

სწორედ ასეთი სევდა დასტოვა ჩვენს გულებში ნოდარ დუმბაძემ თავისი ამქვეყნიდან წასვლით. ზოგს ცრემლი გვადინა, ზოგი შეგვაკრთო და სინანულით გაგვახედა იმ გზისაკენ, სადაც მას უვლია. მან დატოვა დიდი სიცარიელე, რომელსაც ის ავსებდა თავისი ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრებით, თავისი შემოქმედებით, ბიოგრაფიით, ბუნების შვილობით, ასე რომ უხდებოდა მას.

**ენვერ ნიჟარაძე**

## ფზიური კაცი

თითქმის წელიწადი გადის ნოდარ დუმბაძის გარდაცვალებიდან, მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი კი უფრო მძაფრდება. როდესაც ძვირფასი ადამიანი კვდება, ჩვენ მაშინვე როდი შევიგრძნობთ მთელი სიღრმით მის დაკარგვას. გაივლის ხანი, მიყურადება უეცარი ელდით გამოწვეული გულწრფელ ემოციათა ქარიშხალი და მერეღა ცხადდება ჩვენთვის

მისი სიცოცხლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ხოლო, როცა ამ ქვეყნიდან მიდის ისეთი პიროვნება, როგორიც იყო ნოდარ დუმბაძე, ასჯერ უფრო მძაფრია ეს შეგრძნება.

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დავუმეგობრდი ნოდარ დუმბაძეს. ეს მოხდა, როცა ჟურნალ „ცისკარში" მისი, დღეს უკვე საქვეყნოდ აღიარებული „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" გამოქვეყნდა. მაშინ „ცისკარი" მცირე ტირაჟით გამოდიოდა და ყველას როდი მიუწვდებოდა ხელი მის შესაძენად. აღარ მახსოვს, ვის ჰქონდა ჟურნალი ჩვენს მრავალბინიან სახლში გამოწერილი, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ვიკრიბებოდით ეზოში მეზობლები და ერთი რომელიმე, ხმამაღლა, ყველას გასაგონად კითხულობდა ნაწარმოებს. და იყო ერთი სიცილ-ხარხარი და მსჯელობა ზურიკელა ვაშალომიძისა და მისი საყვარელი მოხუცების ბედზე. ერთი გურული მეზობელი იძახდა, ასეთი ხალხი მარტო გურიაში ცხოვრობს, ენამახვილი და მოსწრებულიო, ასეთი ამბავიც მხოლოდ გურიაში თუ მოხდებაო, რატომო, ესიტყვებოდა იმერელი, ჩვენთან რა, ნაკლებიაო. ეზოში ყველას თავისი საქმე ჰქონდა, მაგრამ არავის ავიწყდებოდა, რომ ნაწარმოების ბეჭდვა უნდა გაგრძელებულიყო და იყო ერთი მოკითხვა, „ცისკრის" შემდეგი ნომერი ხომ არ გამოსულაო.

ახლა ყველამ კარგად ვიცით, რომ ნოდარ დუმბაძის რომანებსა და მოთხრობებში ბევრი რამაა ავტობიოგრაფიული, ბევრია გამონაგონიც, მაგრამ ისე ბუნებრივად ერწყმიან ისინი ერთმანეთს, რომ ძნელად თუ გაარჩევ, სად მთავრდება რეალურად ნანახი და განცდილი და სად იწყება გამონაგონი. იმდენად ოსტატურად ფლობდა ნოდარ დუმბაძე სიტყვისა და თხრობის ხელოვნებას, მე, პირადად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მას შეეძლო ნებისმიერ მოცემულ თემაზე მძაფრი და ამაღელვებელი ნოველის დაწერა, ისეთი ნოველისა, კაცს რომ აგაცრემლებს, მაგრამ არასოდეს არ აკეთებდა ამას, რადგანაც ნამდვილი მწერლის უტყუარი ალღოთი გრძნობდა, რომ სიტყვებთან კოკეტური თამაში და სენტიმენტალური მგრძნობელობით თავის მოწონება მწერალს კარგს არაფერს უქადის. იგი ხშირად იმეორებდა ლევ ტოლსტოის სიტყვებს: „აზრები, რომელთაც უზარმაზარი შედეგები მოსდევთ, მუდამ უბრალოაო".

ამიტომაც იყო მისთვის მიუღებელი უცხოური რომანებისა და ნოველების თარგზე მოჭრილი ბუნდოვანი განსჯანი და პასაჟები. ამიტომაც იყო იგი ასე თვითმყოფადი და ასე ქართული.

ნოდარ დუმბაძეს აქვს შესანიშნავი მოთხრობა „მზე", მოთხრობის სათაური სიმბოლურია და მე მგონია, რომ მთელი მისი შემოქმედება და სიცოცხლე სწორედ ამ მზითაა გაბრწყინებული — სიყვარულის მზით.

ჟურნალ „დილაში", სადაც მისი ბევრი შესანიშნავი საბავშვო ლექსი დაბეჭდილა, გამოქვეყნებულ გამოსათხოვარ წერილს „მზიური კაცის მოსაგონარი" დავარქვი და მინდა აქაც გავიმეორო: ის იყო ჭეშმარიტად მზიური კაცი. მიუხედავად გადატანილი დიდი გაჭირვებისა და ტკივილებისა, ცხოვრებამ რომ უსამართლოდ არგუნა წილად, მან შეძლო ბოლომდე შეენარჩუნებინა ღვთით დანათლული უმშვენიერესი ადამიანური თვისებები: კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი, სხვისი გაჭირვების გაგებისა და შეგრძნების უნარი, თბილი, მახვილი იუმორი და რაც მთავარია, დიდი მხატვრული ნიჭი, რომლის წყალობითაც იგი ადვილად აღწევდა მკითხველის სულში და იქ სამუდამოდ მკვიდრდებოდა.

ზემოთ ვთქვი, სკოლის მერხიდან დავუმეგობრდი-მეთქი, ნოდარ დუმბაძეს. ბედმა შემდგომში მართლაც მარგუნა მისი მეგობრობა. ბატონი ნოდარი ჩემთვის უფროსი მეგობარიც იყო და დამრიგებელიც. მსუბუქ იუმორში შერეული სიმართლით გეტყოდა ხოლმე საყვედურს და ასევე შეგაქებდა. ქება გიხაროდა, საყვედური კი არ გწყინდა კაცს. საათობით გვისაუბრია ლიტერატურაზე, ყოველთვის რაღაც თავისებურს, განუმეორებელს იტყოდა ხოლმე ამა თუ იმ მწერალზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე. ახლა ვნანობ, რომ დღიურებს არ ვწერ და ბატონი ნოდარის მიერ გამოთქმული ბევრი საინტერესო და მახვილი აზრი ქაღალდზე არ გადავიტანე.

მახსოვს, შვედი მწერლის პერ ლაგერკვისტის წიგნი მოიკითხა. შინ მქონდა და მივუტანე. რამდენიმე დღე კითხულობდა. მერე დამირეკა და ამოდიო, მოხოვა. შეც, რა თქმა უნდა, მაშინვე ვესტუმრე შინ. გვიან ღამემდე ვილაპარაკეთ ლაგერკვისტის „ბარაბაზე", ქრისტიანობაზე და ისლამზე, ბიბლიასა და სახარებაზე, ათონელ და შატბერდელ ბერებსაც გადავწვდით,

ანტონ კათალიკოსი და გაბრიელ ქიქოძეც გავიხსენეთ. საითკენ აღარ წაგვიყვანა მასლაათმა, მაგრამ ჩვენს საუბარს ერთი აზრი წარმართაედა. ეს იყო ადამიანის მიერ სამყაროში მორალური საყრდენის ძიების, რწმენის, ზნეობრივი იდეალების არსებობის აუცილებლობა. ბოლოს, სხვათა მრავალთა მსგავსად, ჩვენც მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჭეშმარიტებაცა და ბედნიერებაც მხოლოდ და მხოლოდ ტანჯვის წილ შეიცნობა (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, რომ ნოდარ დუმბაძემ სწორედ ასე შეიცნო ორივე). გვიანობამდე გაგვიგრძელდა საუბარი. მის ოჯახში სტუმარი მუდამ გამოულეველი იყო, მაგრამ ვატყობდი, რომ სახლის პატრონს იმ დღეს მაინც და მაინც არავის მოსვლა არ უნდოდა. მე ხომ არ მინდოდა და არ მინდოდა. ბოლოს ქალბატონი ნანული შემოვიდა, მისი მეუღლე, და ღიმილით მითხრა: ნუ დამიღალე ეს კაცი, მაგისი ძილის დროა უკვეო. მერე მეუღლეს მიმართა: გაუშვი ახლა ბავშვი სახლშიო, რაღა დროის ჩემი ბავშვობა იყო, მაგრამ იმ წამს მართლაც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საკუთარ სახლში ვიყავი, ჩემს ძეირფას ადამიანებთან.

მოსკოვში, 1981 წელს, ჩაიკოვსკის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში ქართული პოეზიის საღამო გაიმართა. ჩვენი სახელოვანი პოეტების გვერდით მეც ვმონაწილეობდი ამ საღამოში და ეს ბატონი ნოდარის დამსახურება იყო, თორემ სხვას, ალბათ, არავის გავახსენდებოდი. საღამო ევგენი ევტუშენკომ გახსნა. მერე ნოდარ დუმბაძემ წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა. მერე ლექსს ლექსი მოჰყვა და დარბაზში ქართული პოეზიის კოცონი აგიზგიზდა. საღამოს დამთავრების შემდეგ მაყურებლები სცენაზე ამოვიდნენ და რამდენიმე მონაწილეს გამორჩევით ყვავილები მიართვეს. ჩემთვის, რა თქმა უნდა, არავის მოურთმევია ყვავილები. ცოტა ხანს სცენაზე შევყოვნდი, მერე კი კულისებში შევედი და თაიგულში თავჩარგული ბატონი ნოდარი დავინახე. მოშორებით ქერათმიანი მშვენიერი რუსი გოგონა იდგა და მასაც, ჩემი არ იყოს, არც ერთი ყვავილი არ ჰქონდა.

მე ნოდართან მივედი და ჩვენს შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

— შენი ჭირიმე, ერთი ყვავილი მასესხე, თუ შეიძლება.

— გასესხებ, მაგრამ ვალს როდის დამიბრუნებ?

— ახლა ხელმოკლედ ვარ, მარა სულ ასე ხომ არ ვიქნები, მეც გამომიგზავნიან ოდესმე ყვავილებს დარბაზიდან და უკან ჩაგასესხებ.

— ყვავილს როგორ დაგიკავებ, ოღონდ მითხარი, მაინც რაში დაგჭირდა.

— აგერ რომ ანგელოზი დგას, იმას მინდა ვაჩუქო.

— ძამა, ჩემი ყვავილით გინდა მოხიბლო ეს მარწყვივით გოგო?

ორივემ გავიცინეთ. მერე ბატონმა ნოდარმა იმ გოგონას გასაგონად რუსულად დაუმატა:

— ყვავილს როგორ არ მოგცემ, მაგრამ თაიგული თვითონ ამ ქალიშვილმა მომართვა და ახლა უკან ხომ არ დავუბრუნებ?

საღამოს შემდეგ ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში ევგენი ევტუშენკომ გამოსათხოვარი ბანკეტი გაგვიმართა. ბატონი ნოდარი საოცრად ხალისიანად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა ბანკეტზე, ვერავინ იფიქრებდა, თუ ამ მხიარულ კაცს რაიმე აწუხებდა, არა და მისი ავადმყოფობის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცოდა.

რამდენიმე წლის უკან სტავროპოლის მხარეში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დღეები ჩატარდა. და აი, ზელინოკუმსკის რაიონის მივარდნილ სოფლის კლუბში, სადაც ჩვენი დელეგაცია მშრომელებს ხვდებოდა, ერთი შუახნის ქალი ფეხზე წამოდგა და დარბაზიდან შემეკითხა: მართალია, რომ ნოდარ დუმბაძეს ინფარქტი აქვს გადატანილიო. მართალია-მეთქი, — მივუგე, მაგრამ არ გამკვირვებია, რადგან ცოტა ხნით ადრე, იგივე მკითხეს ნურეკის ჰესის მშენებლებმა, რომლებმაც მათ მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემია ნოდარ დუმბაძეს ერთ-ერთ პირველთაგანს მიანიჭეს. მწერალი ამაყობდა უბრალო, მშრომელი ადამიანების ამ არჩევანით და მათი ყურადღება ბავშვივით უხაროდა.

„მარადისობის კანონის“ მთავარი გმირი ბაჩანა რამიშვილი მკითხველებმა იმთავითვე მწერალთან გააიგივეს, რადგან მათ სწორედ ასეთ მართალ, მებრძოლ, უკომპრომისო, ლამაზ კაცად ჰყავდათ წარმოდგენილი ამ წიგნის ავტორი. ამიტომაც მეკი-

თხებოდნენ მისი ინფარქტის შესახებ სტავროპოლსა თუ ნურეკში.

დიახ, ასეთი კაცი იყო ნოდარ დუმბაძე. იგი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში იყო ნამყოფი თავისი წიგნებით. ბევრ სახლში შესულა როგორც მეგობარი და მკითხველის სასთუმალთან ღამე გაუთევია, ბევრ ადამიანს ამოსდგომია გვერდში გაჭირვების ჟამს. ნუგეში უცია, გაუმხნევებია.

ეს ჩვენ, გვერდით მყოფთ, გვიჭირდა, სიახლოვის გამო ზოგჯერ მისი სიდიდის დანახვა, თორემ ისინი, ვინც მას შორიდან უცქერდნენ, ნოდარ დუმბაძეს დიდ მწერლად და მოქალაქედ თვლიდნენ.

დაკრძალვის დღეს, როცა თვალებდასიებული და განადგურებული „მზიურის" — მისი ოცნების ქალაქის პატარა ბორცვზე ვიდექი, ფრანგი პოეტის სენ პოლ რუს ლექსი გამახსენდა. „ნუ ჩქარობთ, ბატონო მესაფლავენო", ასე ჰქვია ამ ლექსს და მასში ლაპარაკია იმაზე, რომ მესაფლავენი, რომელთათვისაც მიცვალებულის დამარხვა ხელობად ქცეულა, არ უნდა აჩქარდნენ პოეტის დაკრძალვისას, რადგან პოეტთან ერთად მიწაში იმარხება მთელი სამყარო, ყველაფერი, რასაც კი მისი ჯადოსნური სუნთქვა შეჰხებია.

დიახ, ნოდარ დუმბაძემ თან წაიღო იმქვეყნად თავისი განუმეორებელი ღიმილი სითბო, თავისი ტკივილი და საწუხარი, ცრემლი და სიხარული, სიყვარული, სიმღერა, იუმორი, სევდა და ნაღველი.

მაგრამ დაგვიტოვა იმედი, ხალისი, აღმაფრენა, სიკეთე, ერთგულება, სათნოება და მეგობრობა. და კიდევ დიდი, ჩახჩახა მზე, რომელიც შარავანდედად ადგას მთელს მის უკვდავ შემოქმედებას.

## თეთრი თხა აქვარელის მდელოზე

მოხდა ისე, რომ ჩემი ნაცნობობა ნოდარ დუმბაძესთან საქმიანი იყო. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ჩვენი შეხვედრებისას მხოლოდ საქმეზე ვსაუბრობდით და ჩვენი შეხვედრების შედეგად უზარმაზარი მასშტაბის პრობლემები წყდებოდა. არა, უბრალოდ, მეგობრულადაც გვილაქლაქია, სუფრასთანაც ვმსხდარვართ (სანამ ჯანმრთელობა აძლევდა ნოდარს ამის უფლებას). მთავარი კი მაინც რჩებოდა ის, რაც ნოდარის საქმიანობას, სიცოცხლის არსს წარმოადგენდა, ის, რაც ასე თუ ისე ისევ მიმდინარე და კლასიკურ ლიტერატურასთან იყო დაკავშირებული, ლიტერატურასთან, როგორც ადამიანის მოღვაწეობის სახეობასთან.

ახლა უკვე ვხვდები, რომ გამიმართლა. იშვიათად მინახავს ეს ადამიანი უსაქმოდ, თავისი ძირითად ინტერესების სფეროსგან დამოუკიდებლად და მგონი სწორედ ამიტომაც შევიტყვე მასზე ამდენი რამ.

როცა იგი ჟურნალ „ნიანგს" რედაქტორობდა — მაშინ მხოლოდ „სალმით" ვიცნობდი მას, დავიწყებ იქიდან, რომ ჩვენი ნაცნობობა კინაღამ თავიდანვე ჩიხში მოემწყვდა.

თბილისში ყოფნისას ნოდარს ვთხოვე ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის" რედაქციისათვის, სადაც ვმუშაობდი და ახლაც ვმუშაობ, გადმოეცა თავისი რომანის „თეთრი ბაირაღების" ხელნაწერი. რომანზე ბევრს ლაპარაკობდნენ — იგი ახალი გამოქვეყნებული იყო, სიახლის ხელიდან გაშვება კი არ მინდოდა. იმას, რაც შემდეგ მოხდა, დალაგებულად ვერც ახლა აგიხსნით. მოხდა ისე, რომ რომანი ჟურნალში არ დაიბეჭდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ რატომღაც რაღაც ნაწარმოები ამა თუ იმ ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდება. არსებობს საწინააღმდეგო შემთხვევებიც — რედაქციაში ყველა თანახმაა, მაგრამ ნაწარმოები თავის ადგილს მაინც ვერ პოულობს. ის რაც მოხდა, სწორედ ასეთი საიდუმლოებით მოცული შემთხვევა იყო. რედაქციის თანამშრომლებისათვის ამგვარი სი-

ტუაციები ნაცნობია. თუმცა რა იოლადაც არ უნდა გამოიყურებოდეს მთელი ეს ფილოსოფია, დაზარალებულს მაინც ვერ დაამშვიდებს. ამას რომანთან დაკავშირებით მომხდარი კახუსიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ნოდართან შეხვედრისას მივხვდი: ნოდარი მწერალთა კავშირის შესასვლელთან, მაჩაბლის ქუჩაზე იდგა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, თვალებზე დიდი კეპკა ჰქონდა ჩამოფხატული და ჩემსკენ განსაკუთრებული სითბოს გარეშე იხედებოდა. კეთილი ადამიანები ჩვენს გაცნობას შეუდგნენ.

თავს ვიკატუნებდი, თითქოს არაფერი არ მომხდარა. მერე მორიდებულად ვთხოვე ნოდარს, გამომცემლობა „მერანის" მიერ ახლახან გამოქვეყნებული მისი მოთხრობების ახალი კრეული ეჩუქნა ჩემთვის. თავაზიანად შემიპატიჟა ოთახში, ხადაც მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები ისხდნენ, მაგიდიდან თხელი წიგნი გამოიღო და დააწერა: „საშას!" დაფიქრდა, დაღვრემილმა გამომხედა სტუმარს და დაუმატა: „პატივისცემით!"

წიგნი თვითმფრინავში წავიკითხე, უკანა გზაზე მოსკოვში. ორ საათზე ცოტა მეტი დრო სრულიად საკმარისი იყო. საკუთბით გარკვეული შთაბეჭდილება შემექმნა: ამ მწერალს მე უბრალოდ არ ვიცნობდი. როცა კრებულზე რეცენზიას ვწერდი, ერთ უცნაურ რამეს წავაწყდი: ეს მოხდენილი, უბრალო პროზა კრიტიკულ მსჯელობას არ ემორჩილება, თითქოს სულ რაღაც გისხლტება ხელიდან. სიტყვათა ამ ჰარმონიაში იყო რაღაც ამოუცნობი, რომელიც შეძლებისდაგვარად ავხსენი, მაგრამ დაურწმუნებლობისა და მერყეობის გრძნობა მაინც დამრჩა. პირველი შემთხვევისთანავე გავაკეთე ის, რაც არასდროს არ გამიკეთებია — შთაბეჭდილება თავად ავტორს ვკითხე.

— მე მგონი, ჩემთვის არავის არ გაუგია ისე სწორად, როგორც შენ, — ასეთი იყო დაუყოვნებელი პასუხი. თქმაც არ უნდა, რომ კარგი გაკვეთილი მივიღე: ნუ იკითხავ იმას, რაზე კითხვაც არ შეიძლება.

საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ჩვენს ჟურნალში „მარადისობის კანონი" უნდა გამოქვეყნებულიყო. თარგმნილ ტექსტში რაღაც-რაღაცების დაზუსტება და გადახედვა იყო საჭირო. ნოდარმა უბრალოდ გადალახა გაუგებრობა „თეთრი ბანრაღების" გამო. უფრო სწორედ, ჩათვალა, რომ შას ამის გახსენება და

ამაზე ლაპარაკი არც ეკადრება. როგორც იტყვიან ხოლმე, ცხოვრება გრძელდებოდა და სტუმრები ვთხოვდით მას ხელსაწერში რაღაც-რაღაცების ჩასწორებას. ყურადღებით გვისმენდა, თავს გვიქნევდა და სტუმრებს (ჩვენ ორნი ვიყავით, მე და ჩემი კოლეგა) გამგებიანი მზერითა და თანაგრძნობით გვიყურებდა.

იგი გულწრფელობისა და გულკეთილობის განსახიერება იყო. ამასთანავე, როცა საქმე პროფესიასა და მის დანიშნულებას ეხებოდა, მტკიცე, მკაცრიც კი იყო. მას არ უყვარდა მიახლოებით საუბარი, არც თავისი, არც სხვისი.

როგორ იცოდა მან სხვისი საქმით აღფრთოვანება, როგორ საუბრობდა ვასილი შუკშინზე, ჩინგიზ აითმატოვზე, ვალენტინ რასპუტინზე, თავის ქართველ კოლეგებზე!

...როცა ნოდარის შემოქმედებაზე მონოგრაფია მოვათავე, ისევ ის შეგრძნება დამეუფლა, რომ ცოტა ვთქვი, რომ ნათქვამი ძლივს იკვლევდა გზას ძირითადისაკენ. დამებადა ბუნებრივი აზრი — სიტყვა თავად მწერლისათვის მიმეცა, მეთხოვა, თავად გაეკეთებინა კომენტარი წიგნებისათვის, რომლებიც ასეთი ნათელი სიცოცხლით ცოცხლობდნენ. პატარა მაგნიტოფონს მივუსხედით და დავიწყეთ საუბარი.

დრო, რომელიც ამ საუბრებში გავატარეთ, როგორც მერე გაირკვა, ჩვენი ნაცნობობის ძირითადი დრო იყო.

არაერთხელ ვმჯდარვართ ზედიზედ რამდენიმე საათი ნოდარის სახლში, მის სამუშაო ოთახში. საკმაოდ სწრაფად იღლებოდა და თავს შეუძლოთ გრძნობდა, მაგრამ ჩაწერას იშვიათად წყვეტდა. მან სხვისი შრომის დაფასება იცოდა. დროდადრო მისი მეუღლე, ნანული გამოჩნდებოდა ხოლმე სამუშაო ოთახის კარებში და აბეზარ სტუმარს „გამგმირავი“ მზერით მომაჩერდებოდა. ნოდარი მიუბრუნდებოდა და ეჯუჯღუნებოდა. ნანული ქართველი ქალის საუკუნო მორჩილებასა და სევდას გამოხატავდა და გატრიალდებოდა.

ნოდარს საკმაოდ ხშირად ურეკავდნენ ტელეფონით, თხოვდნენ ტელევიზორით ან რადიოთი გამოსვლას, ის კი, განსაკუთრებით ჩვენი ბოლო შეხვედრების დროს, უმეტესად უარს ეუბნებოდა. ჩვენ ვაგრძელებდით საუბარს. ამ საუბრებისათვის ნოდარი დროს არ იშურებდა.

მასში გაიღვიძა სურვილმა, მოეთხრო თავისი ცხოვრების შესახებ, აეხსნა სხვისთვისაც და იქნებ საკუთარი თავისთვისაც, თუ რაზე ფიქრობდა მეოთხედი საუკუნე, როცა ქათქათა ფურცელს იდებდა წინ? ხომ არ არსებობს შემოქმედი, რომელსაც არ ჰქონდეს სურვილი, ბოლომდე ესმოდეს მისი. როცა ნოდარი ტელეფონს პასუხობდა, საწერ მაგიდასთან ჯდებოდა, იქვე კი ნახატი ეკიდა: თეთრი თხა უსასრულოდ მწვანე მდელოზე. მხიარული აქვარელი, სავსე მარადიული ბავშვური უშუალობით. გვერდით სხვა მსგავსი ნახატებიც მრავლად იყო, მაგრამ ეს ნახატი ფერთა განსაკუთრებული სიწმინდით გამოირჩეოდა. იგი ჟღერდა! სატელეფონო საუბარი მთავრდებოდა, ნოდარი სავარძელს უბრუნდებოდა, ისევ შიშინებდა მაგნიტოფონი, ნახატის შთაბეჭდილების გაზიარების დრო არ იყო.

ისევ დაირეკა ზარი, ნოდარი ისევ მწვანე მდელოზე თვალისმომჭრელად თეთრი თხის ქვეშ იჯდა და როცა ტელეფონის წითელი ყურმილი უკვე დადებული იყო, ნოდარი ადგომას არ ჩქარობდა, ხმას არ იღებდა. მერე თვალები დახუჭა, სახე გაუფერმკრთალდა. ნათლად მახსოვს მწარე წინათგრძნობა, მაშინ რომ მომხვდა გულზე: ასეთი სიმძიმე დიდხანს არ ტოვებს ადამიანს. იქნებ სწორედ იმ დღეს მკითხა ნოდარმა, როდის გამოვიდოდა ჩემი წიგნი. მე გამომცემლობის გეგმებს ვუხსნიდი, მან კი გაიღიმა და მითხრა:

— ალბათ, მაგ წიგნს მე ვერ მოვესწრები...

ეს ფრაზა გამომცემლობისათვის ჩვეული დაუდევრობის მისამართით თქმულ ხუმრობასაც ჰგავდა.

საუბრის ჩაწერა გრძელდებოდა.

ეს ჩანაწერები შემდეგ მრავალჯერ მოვისმინე. მაოცებდა მათი ინტონაცია — აბსოლუტურად თავისუფალი, ლაღი, ადვილად საცნობი, ღიმილიდან სერიოზულზე, სერიოზულიდან ხარხარზე გადასვლები. ამ გადასვლებს ქაღალდის ფურცელზე ვერ გადმოიტან.

არ ვიცი, როგორი გამოვიდა ნოდართან საუბრები მონოგრაფიაში, ერთი სურვილი კი მქონდა, რომ მასში მწერლის ხმას ეარსება.

კიდევ რამდენი რამ შეიძლებოდა ჩაწერილიყო პატარა მაგნიტოფონზე!

რა ბედნიერებაა, რომ თუნდაც მცირეოდენი რამის ჩაწერა მოვახერხე.

...ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას, როგორც იქნა ვკითხე თეთრ თხაზე აკვარელის მდელოზე.

— ავად რომ ვიყავი, ჩემმა ძველმა მეგობარმა ნოდარ მალაზონიამ აქვარელის საღებავები მომიტანა. ნიჭი აღმომაჩნდა! მერე, როცა უკვე კარგად გავხდი, ნოდარს ვთხოვე, კიდევ მოეტანა საღებავები, მაგრამ არაფერი აღარ გამომივიდა.

იგი ისე იცინოდა, რომ მგონი თხაც კი გაკვირვებული უყურებდა მას.

ეს სიცილი დღემდე არ მშორდება!..

## ვიკოლას სლუცკისი

## ხანმოკლე, დაუვიწყარი...

სამწუხაროდ დიდი ხანი არ ვიცნობდი ნოდარ დუმბაძეს. მისი გარდაცვალების ამბავმა თავზარი დამცა და ჩემი მწუხარება ლიტონი სიტყვა არ არის.

ჩვენ ერთმანეთი 1978 წელს გავიცანით. მაშინ, როცა მოსკოვში გაზაფხულს ბოლომდეს ვერ შემოებედა, როცა საქართველო უკვე ცისა და მიწის მძაფრ ფერებს მოეხატათ, ამერიკაში კი, სადაც ჩვენ უნდა გავმგზავრებულიყავით, ალბათ უკვე ნამდვილი ზაფხული, სიცხეც კი იდგა. ჩვენ ერთმანეთი შერემეტიევოში, ჩემოდნებსა და უკანასკნელი მზადების აურზაურში გავიცანით. მივემგზავრებოდით იმ დროისათვის უჩვეულო შეხვედრაზე — ისეთ გამოჩენილ მწერლებთან, რომელთა ჩამოთვლაც კი საკმარისია: ჯონ აბდაიკი, კურტ ვონეგუტი, არტურ მილერი, ედვარდ ელბი, ჯოის კეროლ ოუტსი, უილიამ სტაირონი და სხვები, რომლებთანაც დისკუსიის გამართვა გველოდა.

მანამდე, რა თქმა უნდა, წაკითხული მქონდა ნოდარის წიგნები, დაახლოებით თხუთმეტი წელია რაც მათ თვალყურს ვა-

ღევნებდი. ხანდახან მოსკოვში სხვა მწერალთა შორის მისი სახეც გაიელვებდა ხოლმე, საოცრად მეტყველი, ცოცხალი და ნაცნობიც, თუმცა ადრე ნოდარის გაცნობის საშუალება არ მომცემია. და აი გზაში, უფრო სწორედ თვითმფრინავში, მერე კი უფრო მჭიდრო ურთიერთობისას ამერიკაში, მე ძიეხვდი, რომ ნოდარი ყოველთვის მზად არის გულღიად მიეგებოს „გულღია“ მზერას, რომ უცნობ ადამიანსაც კი იგი მეგობრულად ხვდება. ეს გვხიბლავდა მასში, ამით გამოირჩეოდა ყველასაგან, და ამით გვიზიდავდა.

ყოველგვარი ცდისა და ძალდატანების გარეშე იგი ჩვენი პატარა სათვისტომოს სული და გული გახდა. ხმაურიან, გაბრდღვიალებულ, ჩვენდამი დაძაბულ და მტრულად განწყობილ ამერიკაში ჩვენს შორის სხვა — გულღია, ძალიან საინტერესო მწერლები და ადამიანებიც იყვნენ: სერგეი ზალიგინი, გრიგორი ბაკლანოვი, აღარაფერს ვამბობ ვალენტინ კატაევზე, არა მარტო დიდ მწერალზე, არამედ პარადოქსებისა და განსაკუთრებით კი გამონათქვამების დიდ მოყვარულზე, რაც დასაფასებელია ყველგან, განსაკუთრებით კი მგზავრობაში.

— ნოდარ! მოდი აქ, ნოდარ! შეხედე, ნოდარ! — წამდაუწუმ ისმოდა ჩვენი საძმოს ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფში, ამერიკის კაშკაშსა და ხმაურში, რომელიც ასეთ პირობებს მიუჩვეველი ადამიანისაგან შინაგან მობილიზაციასა და ყურადღებას მოითხოვს. მე მანამდეც ვყოფილვარ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლაი ფედორენკო კი იქ ცხოვრობდა და მუშაობდა, სხვებიც იყვნენ ნამყოფი ამერიკაში, ზოგი დიდი ხნით, ზოგიც მცირეთი, ნოდარი კი ამ კონტრასტების ქვეყანას პირველად ხედავდა, თუმცა არ იბნეოდა და თითქმის „მკვიდრად“ გამოიყურებოდა.

როგორც იტყვიან ხოლმე, თავს ყველგან როგორც სახლში ისე გრძნობდა, ადამიანისთვის ჩვეული ადამიანური დამოკიდებულების იმედი ჰქონდა, რომელსაც ვერანაირი ბოროტი პროპაგანდით ვერ აღმოფხვრი. ასეც მოხდა. საკმარისი იყო ადამიანურად დაელაპარაკებოდით ვინმეს, გაგვეღიმა მისთვის და მიუხედავად იმისა, რომ მათი ტელევიზია ზღაპრებსა და საშინელებებს ყვებოდა და აჩვენებდა ჩვენს ქვეყანაზე, პასუხად იგივეს ვლებულობდით. მაგალითს ამაში ნოდარი გვაძ-

ლევდა. ელაპარაკებოდა უცნობებს, ადგილობრივებს და მოგზაურებს და ყველაფერი „ო, კეი“ გამოსდიოდა. მას არ „შეშინებია“ მისულიყო პოსტზე მყოფ პოლიციელთან, ჩვენთვის უჩვეულო „საბრძოლო“ მოწყობილობით — იარაღით დაინტერესებულიყო. უშუალოდ დალაპარაკებოდა თეთრი სახლის მკაცრ თანამშრომელ ქალს, სადაც ჩვენ, როგორც საპატიო სტუმრები, ცალკე შესასვლელიდან შეგვიყვანეს. ამერიკელები საოცრად აფასებენ კონტაქტიან, სპონტანური საუბრისათვის მზადმყოფ ადამიანებს. ბუნებით ისინი ყველანი გულღია ხალხია, თუმცა მათი „გულის გადაშლა“ არასდროს არ მიდის იმ ზომამდე, როგორც ჩვენი. კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია თავის კვალს ტოვებს მათ გრძნობებზე.

ამერიკაში მრავალი სანახაობაა და ნოდარიც მხიარულად, თავისუფლად ამჟღავნებდა ცნობისმოყვარეობას, ყურადღებას მათი წყობის, ყოფისა და კულტურის ყოველი წვრილმანისადმი.

როგორც კი საინტერესო რამ შეემთხვეოდა, ამბობდა:

— აი ავიღებ და როგორც კი დავბრუნდები, ყველაფერს დავწერ, რა, არ გჯერათ?

გვჯეროდა და არც გვჯეროდა, დაწერდა თუ არა, როგორ სინჯავდა პოლისმენის კოლტს.

დაბრუნებულმა მან მართლაც დაწერა სითბოთი და იუმორით გაცისკროვნებული ნარკვევი ამერიკის შთაბეჭდილებებზე, პოლისმენის ეპიზოდიც შევიდა მასში. მას მოეწონა ამერიკელები და უნდა ითქვას, რომ ამერიკელებსაც მოეწონათ იგი.

ჩვენი ძირითადი საქმე—მწერლებთან, გამომცემლებთან ჟურნალისტებთან საუბარი—ადვილი როდი იყო. განსაკუთრებით—გამომცემლებთან, რომლებიც თავიანთ მტრულ განწყობილებას მოჩვენებითი გულგრილობის ნიღბის ქვეშ მალავდნენ. ხანდახან ჩვენი ლიტერატურის ღირსებების შელახვის საწინააღმდეგოდ უხეშობაც გვიხდებოდა, ხანდახან კი მწარე იუმორსაც მივმართავდით. ასეთ დროს ჩვენს საშველად იქვე ჩნდებოდა ნოდარი. მისი ნათელი, მოსწრებული იუმორი, მხოლოდ სიტყვიერ „ჭიდილში“ როდი გვჭირდებოდა. მაშინაც, როცა უჩვეულო ღილაკებიან სასტუმროს ნომერში გათენებული ღამის შემდეგ დაღლილობა და ნერვიული დაძაბულობა გვიღებდა

ბოლოს, ნოდარის იუმორი წამალივით მოქმედებდა ჩვენზე და გვამხნევებდა. ორ სამ სიტყვას გეტყოდა, გაგეხუმრებოდა და კარგ ხასიათზე დგებოდი.

დისკუსიებისა და შესვედრებისაგან თავისუფალ დროს ბევრს დავდიოდით, უცხო ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს ვაკვირდებოდით. განსაკუთრებით სასიამოვნოა ხეტიალი გედიევით თეთრ სან-ფრანცისკოში, თავისი ციცაბო ბორაკებითა და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, ოკეანის სილურჯეში რომ იჭრებიან. ნიუ-ორლეანიც განგაწყობს სასეირნოდ: ძველი ფრანგული უბნები, ხილისა და ყვავილების ბაზარი და, რა თქმა უნდა, რომანტიული მისისიპი თავისი რომანტიული, ვეკ ფინის დროინდელი გემებით. არანაკლებ გვიტაცებდა ამ ქალაქების სიახლეები: საამშენებლო საქმის სასწაულები, ავტოსტრადები, ეროვნებების აღრევა. ხან ჯგუფ-ჯგუფად, ხან კი ცალ-ცალკე დავდიოდით, და თითქმის ყველა ჩვენთაგანს კომპანიონად ნოდარი გვინდოდა, არადა მან ხომ, როგორც თავად გამოტყდა „ოდისევსის დაბრუნებაში", ინგლისური არ იცოდა.

ნება მომეცით გამოგიტყდეთ, რომ არც მე ვიცი ინგლისური, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ის გარემოება როდი გვაახლოებდა, რომ ყველაზე ხშირად ჩვენ გვჭირდებოდა მშვენიერი ფრიდა ლურიეს დახმარება, არამედ გვაახლოებდა სულიერი განწყობილება, ერთმანეთისადმი ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებასაც სამუშაოსა და საქმეებში ჩაფლულები სახლში ვერ ვახერხებთ. ყოველივე ამის გარდა, ჩემსავით, ისიც მარტო საბჭოთა ლიტერატურის კი არა, არამედ თავისი ნაციონალობის წარმომადგენელიც იყო.

ცოცხლად მახსოვს მისი სანდო მხარი ნიუ-იორკშიც, სან-ფრანცისკოშიც და ნიუ-ორლეანშიც. მოხდა ისე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ორივემ ერთნაირი დანაკლისი განვიცალეთ. ორივეს სათვალე გაგვიტყდა. ეს მოხდა ნიუ-იორკში, ხელოვნებათა აკადემიაში, სადაც ჩვენ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საუბრისათვის შევიკრიბეთ. დღესაც ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ მე სწრაფად შემიკეთეს სათვალე, ნოდარს კი დაპირებებით ავსებდნენ, „მოითმინეთ, შემდეგ ქალაქში ვაგიკეთებთ, წინასწარ შეავტყობინებთ სტუმრების მიმღებ ბიუროსო" და სხვა მრავალი.

— ჰა, რას შვრება შენი ამერიკული სათვალე, ალბათ კარგად ხედავ არა ამერიკას? — მკითხა ერთხელ ნოდარმა.

— არა უშავს, — ვუპასუხე.

— მე კი ჯერ კიდევ საქართველოს ვხედავ, — ხუმრობს ნოდარი, თუმცა ბრაზობს უსულგულო მომსახურე პერსონალზე. — მაგათ რომ იცოდნენ, მე რომ ისევ საქართველოს ვხედავ, ცოტას მოუჩქარებდნენ.

მაგრამ ისინი არ ჩქარობდნენ და ერთ დღეს ჩვენს მთარგმელსა და გამცილებელ მაიკლს, საშუალოარითმეტიკულ ამერიკელს, რომელიც სხვათაშორის არაფრის გამო არ აღელდებოდა, ყველასათვის მოსაწონი სიტყვები უთხრა:

„— ასეთი რამ ვინმე თქვენიანს საქართველოში რომ მოსვლოდა, სათვალეს კი არა, ტელესკოპს უყიდდნენ“.

კონფერენციის შემდეგ, რომელზეც ნოდარმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა, ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროსკენ დავიძარით. იქიდან მთელი ჯგუფი სენტ-ლუისში წავიდა, მე კი, წინასწარი შეთანხმების თანახმად, ჩიკაგოში გავემგზავრე, ჩემი მეგობრის, გამოჩენილი ლიტველი გრაფიკოსის სტასის კრასაუსკასის გარდაცვალების შემდგომი გამოფენის მოწყობის საქმეზე.

ჩიკაგო კიდევ იმით დამამახსოვრდა, რომ იქ ადვილად ვიშოვე ნოდარისათვის აუცილებელი წამლები. სამწუხაროდ, ნოდარს წამლებზეც იგივე შეემთხვა, რაც სათვალეზე. ამერიკელები სულ პირდებოდნენ, მაგრამ არ შოულობდნენ.

— ჩემს მეგობარს, არაჩვეულებრივ ქართველ მწერალს დუმბაძეს, წამლები სჭირდება, — ვუთხარი მე ლიტველებს, რომლებიც ჩიკაგოს აეროპორტში დამხვდნენ.

მეორე დილას ძვირფასი ყუთი მომიტანეს — რეცეპტი ლიტვური წარმოშობის ექიმს გამოეწერა. ფული არც მე, მაშასადამე, არც ნოდარს არ გამოგვართვეს.

— როგორ გეკადრებათ? ის ხომ თქვენი მეგობარია!

თითქმის ისე მოხდა, როგორც საქართველოში მოხდებოდა, და მე ჩემი თანამემამულეებით კმაყოფილი დავრჩი.

გაზვიადება არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ყველას შეგვიყვარდა ნოდარი. მგონი, მასთან ურთიერთობისას, იგივეს განიცდიდნენ ამერიკელებიც: ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც

ქუჩაში ხედებოდნენ, ბავშვები, სტუდენტები. მასთან ურთიერთობისას ინგრეოდა გულგრილობისა და მიუდგომლობის კედელი, ურთიერთობაში არც ენობრივი ბარიერი უშლიდა ხელს. მთარგმნელების დახმარებით და მათი დახმარების გარეშეც ნოდარი ხუმრობდა, უღიმოდა და ქართულ სუვენირებს ჩუქნიდა მათ. ერთადერთმა მან დაიმსახურა სტენფორდის უნივერსიტეტის სიმპათიური სტუდენტი გოგონას წინასწარ გაუმიზნავი კოცნა.

მეორედ ნოდართან ისევ საბჭოთა და ამერიკელ მწერალთა დისკუსიამ შემახვედრა. აქეერად უკვე ბათუმში, სადაც ნოდარი ყურადღებიან, გულღია მასპინძლად მოგვეელინა.

ზღვის სანაპიროზე ეცხოვრობდით, ადრე ედგებოდით და საბანაოდ დაედიოდით. იგი ჩვენთან ერთად ცურავდა, მზრუნველად გვაფრთხილებდა, ნისლიან ამინდში ძალიან ღრმად ნუ შეცურავთო. მახსოვს ნოდარის დინჯი საუბრები ბავშვობაზე, საზღვარზე სამსახურზე, ცხოვრების პრობლემებზე საქართველოში და საზოგადოდ. მახსოვს მისი მხიარული განწყობილება, რომელიც ასე უყვარდა და სევდა-ნარევი დაღლილობაც მახსოვს, როგორიც ისეთ ადამიანებს შეეპარებათ ხოლმე, რომლებიც ბევრს მუშაობენ, საკუთარ თავს არ ინდობენ, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდებს, უკვე უზომოდ დიდი ენერგია აქვთ დახარჯული.

ასეთი დამამახსოვრდა სამუდამოდ ნოდარ დუმბაძე: სევდიან-მხიარული ადამიანი, უსაზღვროდ შეყვარებული თავის ერში და არა ნაკლებად შეყვარებული კაცთა მოდგმაზე, ყველა თავისი ნაკლით, განურჩეველად უყვარდა ყველა ადამიანი, მარტო იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან...

## ვინ რა იცის...

სტუმრები უკვე სუფრას უსხდნენ, როცა ჩემს კაბინეტში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. მე მოვიბოდიშე და გავედი, საელჩოდან რეკავდნენ.

— პოეტი ნოდარ დუმბაძე თქვენთან არის?

— დიახ, მწერალი ნოდარ დუმბაძე ჩემთანაა, — ვუპასუხე ოდნავ გაღიზიანებულმა. ამის მიზეზი იმდენად საელჩოს მორიგის უმეცრება არ გახლდათ, რამდენადაც მისი უადგილო შემოჭრა ჩვენს თავყრილობაზე.

— ტელეფონთან ხომ არ დავუძახო? — შეეკითხე.

— არა, არა, არ არის საჭირო, — სწრაფად მომიგო მორიგემ.

— მაშ რაშია საქმე?

— საქმე ის არის, — მორიგეს ხმა აუკანკალდა, — რომ სულ ახლახანს დარეკეს მოსკოვიდან. პოეტ ნოდარ დუმბაძის სიძე ტრაგიკულად დაიღუპა.

ელდა მეცა. სასადილო ოთახიდან სიცილი გაისმა. ნოდარმა ისევ იხუმრა, — გავიფიქრე უნებურად.

— ახლავე დავუძახებ.

— იცით რა, — მორიგე წამით შეყოვნდა, — აქ თვლიან, რომ ეს თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ.

— რა „ეს"? — ხელი ამიკანკალდა.

— შეატყობინებთ თუ არ შეატყობინებთ...

ყურმილი დავაგდე და შევუკურთხე. რა ჭკვიანები არიან, თვითონ ამ საქმეზე ხელი დაიბანეს და ამსიმძიმე ტვირთი მე ამკიდეს. მაინც რა ვქნა? ვუთხრა თუ დავუმალო? გაუნძრევლად ვიჯექი ტყავის სავარძელში და უაზროდ სარკმელს მივშტერებოდი. ყურს ფოთლების თითქოს და შეშფოთებული შრიალი მისწვდა. შორს ვაშინგტონის გარეუბნების სინათლეები ციმციმებდნენ. სასადილოდან გამოვარდნილმა ხმამაღალმა სიცილმა გამომარკვია. მათთან უნდა გავიდე, მასპინძლისა და თამადის ადგილი დავიკავო.

ვიდრე სტუმრებს შევუერთდებოდი, საბაზანოში შევუხვიე, სინათლე ავანთე და სარკეში ჩავიხედე. მოჟამული სახე. არა, ასე არ ივარგებს. ორი-სამი ღიმილი მოვირგე, უდარდელ და გულუხვ მასპინძელს რომ შენის და მძიმე გამოცდის ჩასაბარებლად მოვემზადე. უცბად მივიღე გადაწყვეტილება: ნოდარი ხვალ მიფრინავს მოსკოვში. რა საჭიროა, საზარელმა ცნობამ მასთან ერთად იფრინოს ოკეანის თავზე? ანდა ამერიკაში მიღებული სიამოვნება ამ ბოლო დღეს როგორ ჩავაშხამო-მეოქი. მერე, მე შენ გეტყვი და რკინის გული აქვს.

— მელორ, აი ამ წუთას მე შენს ცოლს მადლობა გადავუხადე, ქართული სადილი რომ არ მოგვიმზადა. სადაც არ უნდა გაემგზავრო, ყველგან ლობიოთი და ჭადით გიმასპინძლდებიან. ეს ვითომ ჰუმანისტები, ჩემს ნოსტალგიაზე რომ ზრუნავენ! თითქოს არ იციან, ლობიო და ჭადი ყელში რომ ამომივიდა. მაინც და მაინც უკან უნდა დამადევნონ?

— გამოგიტყდები და ერთი გაფიქრება მეც გავიფიქრე ლობიოზე, — ძალის ძალად გამოვცარი კბილებიდან, თანაც საბაზანოში შერჩეულ ღიმილს ვირგებდი სახეზე.

— ვინ ჭამს მაგას, საზღვარგარეთელო ქართველო ბატონებო, რა შუაშია აქ ჰუმანურობა, საქმე სიხარბეშია. ლობიო არტიშოკებზე ბევრად იაფია, ჭადი — კრევეტებზე. კაპიკის დახარჯვა არ გინდათ, ვალიუტას ძონძებისათვის ინახავთ.

მე დუნედ ვეწინააღმდეგებოდი.

ვალენტინ კატაევმაც ნოდარს აუბა მხარი.

— მართალი ხარ. ჩვენებიც იგივე „რუსეთის მინატრების" ფირფიტას ატრიალებენ, — შავი პურით, ქაშაყითა და არყით გვიმასპინძლდებიან.

საუბარი გახურდა. ყველა იცინოდა, ხუმრობდა. არტიშოკებსა და კრევეტებს ისე ეტანებოდნენ, გეგონებოდათ, ყველა გულდამწვარზე შური უნდა იძიონო. მე შევცქეროდი სიგარეტის ბოლისა და ტრაგიკული სინამდვილის მიღმა ჩემს მოქეიფე სტუმრებს და ჩვეულებრივი პურმარილი გოგოლისა და კაფკას ფერებით შეზავებულ, რაღაც ირაციონალურ კოლორიტს იძენდა.

სიტყვა ნოდარმა დაიწყო. პიჯაკი გაიხადა, სკამის ზურგს მიაკიდა, ჰალსტუხის მარყუჟიც ქვევით დასწია:

— აი, რა, მეგობრებო! რადგან ჩვენმა მასპინძლებმა გულუხ-ეობის გამოცდა ჩინებულად ჩააბარეს, ნება დავრთოთ, ჭადისა და ლობიოს უქონლობა ქართული სადღეგრძელოებით აგვინაზ-ღაურონ, მით უმეტეს, რომ ბუტერბროდებით და კოქტეილებით ხელში ფეხზე არ დაგვაყუდეს და ადამიანურად ვუსხედვართ მაგიდას.

— დავრთოთ ნება! დავრთოთ! — დაეთანხმა ყველა.

ხმა ღვთისაო და ხმა ერისაო. რა გაეწყობოდა, დავთან-ხმდი, თუმცა კარგად მესმოდა, მოელენათა დრამატიული ხლარ-თების ქსელში რომ გავები. ქართული სუფრის კანონების მი-ხედვით ჩემი სტუმრების ნათესავები და ახლობლები უნდა მედღეგრძელებინა, მათთვის ჯანმრთელობა და დიდი ხნის სი-ცოცხლე მესურვა. ასე მეგონა, მწყობრში გამატარეს, თითო-ეული სადღეგრძელო შოლტივით მიწიოდა ყურში. ნოდარმა უცებ „მრავალჟამიერი“ წამოიწყო, თვალებზე ცრემლი აუციმ-ციმდა. შევკრთი, ნუთუ შემატყო-მეთქი რამე?

— რა მოგდის? — შეეკითხე.

— ჩემიანებთან მალე შეხვედრის სიხარულმა გული ამიჩუ-ყა. როცა სხვაგან ვარ, ვერ ვისვენებ, ვაითუ ვერ მოვესწრო მათ ნახვას. სამშობლოს გარეთ სიკვდილზე უარესი ალბათ არაფერია.

— სიკვდილი არსად არ ვარგა, — გამოეხმაურა ერთ-ერთი სტუმართაგანი.

საუბარმა ადრინდელ მხიარულ განწყობილებას გეზი შე-უბრუნა და ნოდარმა ეს მყისვე იგრძნო, ისევ ძველ ტონალო-ბაში განაგრძო.

— ედა, ჯინსები აქ ისევ მოდაშია? — შეეკითხა ჩემს ცოლს.

ჩემმა მეუღლემ, ისევე როგორც სხვებმა, არაფერი იცოდა მოსკოვიდან მოსულ ტრაგიკული ცნობის შესახებ. მე გადავ-წყვიტე, მისთვისაც დამემალა სიმართლე, გამოგიტყდებით, მის ნებისყოფას ვერ ვენდე.

— მათ ნაირსახეობას გააჩნია, ახლა მოდაში ჯინსი „დი-ზაინია“, — საქმიანად გაანათლა ჩემმა მეუღლემ ნოდარი.

— ეს უფრო ძვირი რომაა, ის?

— სწორედ ის.

/— სამწუხაროდ, მაგ „დიზაინისთვის“ ფული არ მეყო. სხვა ჯინსები მაინც ვიყიდე, სიძეს უნდა ვაჩუქო.

ლუკმა ყელზე დამადგა. ნოდარმა გაკვირვებით გადმომხედა და თქვა:

— ხომ აჯობეს ბოლოს და ბოლოს ჯინსებმა იმ ბრიყვ მორალისტებს, ჯინსები ახალგაზრდობის სოციალურ მტრად რომ გამოაცხადეს. ვერც კი ხედებოდნენ, რომ ჯინსები არავითარ იდეოლოგიურ დატვირთვას არ შეიცავდნენ, თუ მხედველობაში ჩვენი გავის სიმძიმეს არ მივიღებთ!

ყველას გაეცინა, ნოდარმა კი განაგრძო:

— ქართველ ახალგაზრდობას ჯინსებმა დიდი სიკეთე მოუტანა, — ბიჭებმა სმას უკლეს, გოგონებმა — ჭამას. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ხომ არ შეიძლება ზურაბ ანჯაფარიძის წოსი კატეგორიას ეკუთვნოდე და ჯინსებს ატარებდე? ანჯაფარიძე — ჩვენი სახელგანთქმული ტენორია. — განმარტა ნოდარმა მცირე პაუზის შემდეგ.

სიცილ-ხარხარმა იმატა, მე კი კამერა-ობსკურში გამომწყვდეული მეგონა ჩემი თავი. ჩემს თვალწინ ხან ზურაბი დამიდგებოდა ჯინსებში, ხანაც ჩემთვის უცნობი ამ ქვეყნიდან წასული ჭაბუკი. მე ვიცინოდი და ვტიროდი ერთდროულად. ვიმედოვნებდი, სტუმრები ჩემს ცრემლებს სიხარულის ცრემლებად აღიქვამდნენ. ნოდარმა კი აიწყვიტა, თავისი სწორუპოვარი იუმორის იორლას დეზი ჰკრა.

— ჩემი ნება რომ იყოს, თბილისში, ჩვენი ერი რომ იხსნა და გააკეთილშობილა, იმ სამებას ავუგებდი ძეგლს, ესაა: ჯვარი, ჯინსები და წოპე. ჯვარმა გამაჰმადიანებისაგან გვიხსნა, ჯინსებმა — სიმსუქნისაგან, ხოლო წოპემ — სირანო დე ბერჟერაკის სენისაგან.

— ეს წოპე ვიღაა? — ჩუმად შემეკითხა ვალენტინ კატაევი.

— ქირურგია, პლასტიკური ოპერაციების უბადლო ოსტატატი. ძირითადი პროფილი — ცხვირები. — ვცადე გახუმრება.

ნოდარმა გააჭენა და გააჭენა.

— აფსუს, რომ შთამომავლობით არ გადაიცემა ჯინსების წყალობით დაყენებული ტანი და წოპეს სკალპელით გამოკვეთილი რომაული ცხვირი!

ნოდარმა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩაიმომართვა

სუფრის გაძღოლის სადავე, ღმერთმანი, მეც ხალისით დავუთმე. ამერიკის შეერთებულ შტატებში მომქანცველი ტურნეს შემდეგ, რომელიც ფიზიკური და სულიერი ძალების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვდა, ნოდარმა თავის თავს უფლება მისცა გულით მოელხინა. სამშობლოში დაბრუნებას ბოლო ნახტომიღა აკლდა. ცალი ფეხით უკვე შინ იყო, ახლობლებისა და მეგობრების გარემოცვაში.

— ჩემიანები მოსკოვში დამხვდებიან, და ალბათ, ჯინსებს შერემეტიევოს აეროპორტში მოიზომავენ...

ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. ასეთი დარჩა ის ჩემს მეხსიერებაში — მხიარული და, ამაეე დროს, სიკვდილის უხილავი ლანდით დაღდასმული...

ახლა, როცა იმ შორეულ ვაშინგტონურ საღამოს ვიხსენებ, ვრწმუნდები, რომ ულმობელმა ბედისწერამ მოულოდნელად და სიმბოლურად ახადა ფარდა ნოდარის — მწერლისა და ადამიანის სახეს. მისი საარაკო იუმორი, ასე ვთქვათ, ორმაგ ფსკერიანი ჩემოდანი იყო, მისი ხილული ნაწილი, სიცილითა და ხუმრობით იყო სავსე, ხოლო იქ, სადღაც უხილავ კუნჭულში სუფევდა ღრმა, ხელშეუხები სევდა. ნოდარის იუმორი ყოველთვის როდი იყო უწყინარი, სიცილი — სიცილისათვის. ზოგჯერ მისი ხუმრობა ულმობელიც გახლდათ (მე მხედველობაში მაქვს არა მარტო ნოდარის საზოგადოებრივ-სოციალური სატირა, როცა ის აშკარად ილაშქრებდა მანკიერებისა და სიმახინჯის წინააღმდეგ). მაგრამ რაც უფრო ცხარდებოდა, მით უფრო უმძიმდებოდა ფაქიზი, მგრძნობიარე სული. იუმორი მისთვის ის ყვითელი მაისური იყო, რომლითაც, მაიაკოვსკის არ იყოს, ნოდარი თავის არსს ნიღბავდა.

...არა ვარ დარწმუნებული, რომ თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობა მართლაც ჯინსებს უნდა უმადლოდეს ტანის დახვეწილობას, მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ ქართველი ხალხი ყოველთვის მადლიერი იქნება ნოდარ დუმბაძის იმისათვის, რომ მან ზნეობრივი დახვეწილობა დაუმკვიდრა თავის თანამედროვეებს.

სათაური „ვინ რა იცის“ ამას არ ეხება. უბრალოდ, როცა ამ ესკიზს ვწერდი, ჩემდაუნებურად გონებაში ფალიაშვილის ჰანგზე აჟღერებული გრძნეული ლექსი მიტრიალებდა:

არ მშორდება მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი.
ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია,
რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზედ მწარეა.

## არჩილ სულაკაური

### სიხარულის მომნიჭებელი

პირველი შეხვედრისთანავე ნოდარ დუმბაძე ადამიანთან ამყარებს ისეთ კონტაქტს, რაც დიდი ხნის ნაცნობობისა თუ მეგობრობის სრულ ილუზიას გიქმნის. ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულების ასეთი უნარი მისი თანდაყოლილი თვისებაა, მისი შრავალმხრივი და დიდი ნიჭის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ, თავის მხრივ, ამ ურთიერთობასაც მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათი აქვს: ყოველთვის სიხარულს განიჭებს, სიხარულის კმაყოფილებით გავსებს.

ნოდარი უნივერსიტეტში, სტუდენტობისას გავიცანი. ეკონომიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობდა. ჩვენ პატრიოტულ ლექსებს ერთად ვკითხულობდით კლუბის სცენიდან. მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა და ვერ ვიტყვი, რომ ამ ოცდაათი წლის მანძილზე ცხოვრება მიღებული სიხარულის წილ სულ მუდამ სიხარულს უბრუნებდა და სიკეთით ანებიერებდა თავის რჩეულ შვილს. ცხოვრების უმძიმეს წუთებში მოწამებრივი სიმტკიცით იტანდა უმძაფრეს ტკივილებს და არავინ იცის, რის ფასად ინარჩუნებდა სულიერ წონასწორობას. არასოდეს მიუღია ტანჯულის პოზა და არც მძაფრი ტკივილების სანაცვლო მოუთხოვია ცხოვრებისათვის.

დიდი ტალანტი დროის მანძილზე დიდ სიბრძნედ გარდაიქმნა.

ბედით, ხასიათით, ცხოვრებით ნოდარის მხატვრული ქმნილებები ძალზე ჰგვანან ნოდარს, მათ შემოქმედს, ისინი ადვილად იკვლევენ გზას მკითხველის გულისაკენ, ხიბლავენ, აჯადოებენ და ნუსხავენ ადამიანებს, ირგვლივ ფეიერვერკივით

აფრქვევენ სიხარულსა და სიკეთეს. ამავე დროს, მის რომანებში და მოთხრობებში ბევრი ტკივილია, ჩუმი, უთქმელი, თითქოსდა შეუმჩნეველი ტკივილი, რომელიც, მეტიჩრულად არ გეჩხირება თვალში და წინა რიგებში არ იკავებს ადგილს.

ისევე, როგორც ნოდარს, მის ნაწარმოებებსაც ახასიათებთ ექსპანსიური, დამპყრობლური თვისებები, ადვილად იპყრობენ ქვეყნებს და ხალხებს, ოღონდ ეს ექსპანსია ადამიანის სულიერ სფეროს მოიცავს და ამდენად ყველა ჩვენთაგანისათვის ძალზე სასიამოვნო, სასიხარულო და საამაყო პროცესია, რადგან შენი მეგობარი, შენი თანამოკალმე, შენი თანამემამულე, თვალნათლივ ხედავ, სიცოცხლეშივე როგორ იპყრობს სივრცეებს. იგი სიკეთით დაპყრობილ სივრცეებზე სიხარულს თესავს.

ეს დიდი ბედნიერებაა.

ბედნიერებაა არა მარტო მწერლისათვის, არამედ მისი ხალხისათვის, მისი ქვეყნისათვის, მისი სამშობლოსათვის.

## გიორგი ტოვსტონოგოვი

## ეშობლიური მიწის სურნელი

არსებობს ისეთი რამ, რასაც არაფერი აღარ ეშველება... როცა ამ ქვეყნიდან მიდის შენთვის ძვირფასი ადამიანი, უნებურად დაფიქრდები ხოლმე — რატომ მქონდა ასეთი ხანმოკლე ურთიერთობა ამ ადამიანთან, რატომ ვხვდებოდი ასე იშვიათად? ამ შეკითხვაზე პასუხი არ არსებობს. მაგრამ როცა ნოდარ დუმბაძეზე ვფიქრობ, ვერ წარმომიდგენია, რომ იგი აღარ არის. ძალიან ადრე წავიდა, ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ნათელი შემოქმედებითი გზა. კიდევ რამდენის თქმა შეეძლო ადამიანებისთვის. მისი შემოქმედებითი სამყარო, ჩემთვის ზღაპრული სამყაროა. გამოკვეთილი ხასიათები, განუმეორებელი იუმორი, ლირიულობა, პოეტურობა, ვფიქრობ, ამოუწურავია მწერლის მრავალფეროვან შემოქმედებაში. მისი შთაგონების წყარო მშობლიური ხალხის ცხოვრება იყო. ნოდარ დუმ-

ბაძე — ქართველია და იგი საქართველოზე წერდა, წერდა მხოლოდ იმაზე, რაც კარგად იცოდა, მაგრამ მას კითხულობდნენ, კითხულობენ და კიდევ დიდხანს წაიკითხავენ ჩვენს უზარმაზარ პლანეტაზე, ყველა ქვეყანაში, ყველა ქალაქში, ყველა ეროვნების ადამიანები.

ნოდარ დუმბაძე ჩვენთან თავისი პიესის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" პრემიერაზე ჩამოვიდა, რომელიც გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად დაწერა. ამ სპექტაკლს ჩვენი თეატრის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჩვენი მსახიობები პირველად შეხვდნენ ქართველი ხალხის ცხოვრებას და გაოცებულნი დარჩნენ მათ თვალწინ გადაშლილი პოეზიითა და ამაღლებული ცოცხალებისეული სიმართლით.

ამ ნაწარმოებს ქართული ფიწის სურნელი ჰქონდა. საოცარი სიყვარულით იყო გაჟღენთილი და — აღსავსე მოწოდებით: იგრძნო ერთგული მეგობრობის, სიყვარულის, სამშობლოს ფასი.

მართალია, ნოდარ დუმბაძეს პიესა არასდროს არ დაუწერია, მაგრამ თეატრის თანდაყოლილი გრძნობა ჰქონდა. უფრო სწორედ, მას ჰქონდა მოთხოვნილება ეწერა პროზა. მთელი მისი პროზა კი სცენაზე გადავიდა თვით მწერლის უშუალო მონაწილეობით. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებით თეატრის არნახული გატაცება მდგომარეობს არა შარტო მძაფრ სიუჟეტში, ჩვეულებრივი ადამიანების უჩვეულო ხასიათებში, განუმეორებელ აზრებსა და გრძნობებში, არამედ ყველაზე ძვირფას თვისებაში — უნარში. აატირო და გააცინო მაყურებელი. ნოდარ დუმბაძის იუმორი შეუცდომელია და იგი ზუდამ ორგანულად და უხვად მოედინება ცხოვრებიზ მარადიული კანონების იდეებიდან, ადამიანური სითბოდან და კაცთა მოდგმის ნათესაობიდან. სიტყვა „სენტიმენტალობას" ჩვენ ხშირად ვხმარობთ უარყოფითი მნიშვნელობით. ნოდარ დუმბაძეს არ შეშინებია, რომ მას სენტიმენტალურად მიიჩნევენ და იგი არც არასდროს ყოფილა სენტიმენტალური სწორედ იმიტომ, რომ მისი მუდამ მოულოდნელი არასტერეოტიპული იუმორი ჩნდებოდა ყველაზე ტრაგიკულ სიტუაციებში. მწერალი — ნოდარ დუმბაძე მუდამ სიკეთის მფრქეველია. ყოველი ჩვენი იშვიათი

შეხვედრის დროს ვრწმუნდებოდი, რომ ასეთივე სიკეთეს აფრქვევდა ნოდარ დუმბაძე — ადამიანი.

„ბებიაში“ — არის ასეთი სცენა, როცა ოპერაციის შემდეგ ქალაქიდან დაბრუნებულ ილარიონს სურს თავის მეზობელსა და მეგობარ ილიკოს დაუმალოს, რომ ცალი თვალი აღარა აქვს. იგი ყოველთვის „ბრუციანს“ ეძახდა ილიკოს, ახლა კი თვითონ გახდა „ბრუციანი“. მწერალი დეტალურად ამუშავებს ამ ტრაგიკომიკურ სიტუაციას. ილიკო დიდხანს იკატუნებს თავს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ როგორც კი ილარიონი დამშვიდდება, ილიკო „ანადგურებს“ მას. ატყდება ჩხუბი, მაგრამ, რამ თქმა უნდა, ჩხუბი შერიგებით მთავრდება და ილიკო ამბობს: „ცალი კი არა, ორივე თვალიც რომ დავკარგოთ, არ დავიკარგებით, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი და ვიაროთ ამ დუნიაზე, თუ ვერ შევძლებთ, ეს ბიჭი გაგვიძღვება“. და ისინი ხელგადახვეულნი, ტარანით ხელში, რომელიც ქალაქიდან ჩამოუტანა ილარიონმა, გადიან სცენიდან. ყოველთვის ვუყურებდი ამ სცენას და ყოველთვის ვაკვირდებოდი მაყურებელს, ტიროდა ყველა. განა ამ წუთას არ იცინოდნენ! და მაყურებლები კი არა, ვტიროდით ჩვენც, ვინც კულისებში ვიდექით. ეს ძალიან იშვიათად ხდება... რა არის ეს? სენტიმენტი? თუ ეს ასეა, მაშ ჩინებული რამ ყოფილა სენტიმენტალობა. მაგრამ რა საჭიროა ნიჭიერი მწერლის შემოქმედებაში ყველაზე ადამიანურისათვის, რაც მას შეუქმნია, სიტყვიერი იარლიყის მიკვრა?

ადამიანურობასა და სიკეთეს ასხივებს ყველაფერი ის, რაც ნოდარ დუმბაძეს ხალხისთვის გაუკეთებია და მე მწამს, რომ ეს სხივი მარად იარსებებს, გზას გაუნათებს და ცხოვრებაში მოეხმარება ადამიანებს.

## ნოდარის სათნო ღიმილი

ახლა, როცა ნოდარ დუმბაძე აღარ არის, ყველა ჩვენგანი, ვინც იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ნოდარის ხასიათის მისთვის ყველაზე ძვირფას თვისებას გამოჰყოფს და ნოდარის თავისებურ სასეს შექმნის. მეც ვიხსენებ ჩვენს შეხვედრებს, ვხედავ ჩემს ნოდარს ისეთს, როგორიც დამამახსოვრდა და შემიყვარდა.

ის იყო საოცრად სიცოცხლისმოყვარე კაცი. მახსოვს, ერთ მოღრუბლულ კვირა დღეს ირლანდიაში, დუბლინში რომ ჩავფრინდით, არავინ არ დაგვხვდა. საელჩოს ჩვენი დეპეშა დაგვიანებით მიეღო, ადგილობრივი მოღვაწეები კი რაღაც მიზეზის გამო ვერ დაგვხვდნენ. არ არსებობს უფრო მძიმე რამ, როგორც საზღვარგარეთ, უცხო ქალაქში მარტოობა. აეროვაგზლიდან გამოვედით, მინის კედლის შვერილზე ჩამოვსხედით. ირლანდიელი კაცისათვის ნოდარი კოლორიტულად გამოიყურებოდა: გრძელ შავ ელეეტის პალტოსა და თბილისურ ყავისფერ კეპში. უხმოდ ვისხედით. ცრიდა. ცაზე შავი ღრუბლები მოცურავდნენ. „საელჩოში უნდა დავრეკოთ" — უხალისოდ თქვა მთარგმნელმა, და უცებ ნოდარი სრულიად გარდაიქმნა, წამოდგა, თვალები გაუნათდა. „ხომ არ გეჩვენებათ, რომ არა კაცურად ვიქცევით?" — გვკითხა მან. — „ფული არა გვაქვს თუ სასტუმრო არ არის შეკვეთილი"? „ფულიც გვაქვს და სასტუმროც შეკვეთილია" — გაუბედავად დაუდასტურა მთარგმნელმა. „აბა ტაქსი და პირდაპირ ოტელში".

ძველებურ სასტუმროში ჩვენ-ჩვენ ნომრებში დავბინავდით, მერე კი ნოდართან შევიკრიბეთ. „ცოცხლები ვართ და კარგად ვართ, სანერვიულოც არაფერია, ყველაფერი კარგად იქნება", — გაგვიღიმა ნოდარმა. ნახევარ საათში ოფიციანტმა სადილი მოგვიტანა, ჭიქებში ქაფიანი ირლანდიული ლუდი ესხა, კომბოსტოებითა და მრგვლად დაჭრილი კარტოფილებით შემოწყობილ ხორცს კვამლის სურნელი ასდიოდა, ჩვენ სუფრას ამშვენებდა არომატული ქართული პური, რომელსაც გახმობა ვერ

მოესწრო... და ეს არ იყო უბრალო სუფრა, ეს იყო ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელმაც სულიერი წონასწორობა დაგვიბრუნა. ნოდარს კი თავისი მოგრძო, ჭკვიანი სახე უბრწყინავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ინგლისში, სამხრეთ უელსში, ქვანახშირის მაღაროს ვათვალიერებდით, მაღაროელების ტანსაცმლით შემოსილები, ოსტატის თანხლებით ლიფტით სიღრმეში ჩავეშვით. შტრეკს დავუყევით. უეცრად ოსტატმა გვერდითი ჭაურისაკენ შეუხვია, ოდნავ დაიხარა და წინ გასწია. ჩვენც მივყევით. ყოველი ნაბიჯის გადადგმასთან ერთად სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა. ფეხქვეშ სველ ნიადაგს ტყაპატყუპი გაჰქონდა. გზას კასკებზე დამაგრებული ნათურები გვინათებდა, მაგრამ ყველაზე არასასიამოვნო ის იყო, რომ ქვანახშირის ფენა სულ უფრო დაბლდებოდა და ჩვენც იძულებულნი ვიყავით უფრო მოვხრილიყავით. რა მექნა? ეფიცოდი, ნოდარს ინფარქტი ჰქონდა გადატანილი, მეშინოდა — „იქნებ დავბრუნდეთ?" — ვკითხე მე. „არა — მომიბრუნდა ნოდარი, — ალბათ გვცდიან როდემდე გავუძლებთ, არ უნდა დავბრუნდეთ". და ჩვენ ისევ მივბობლავდით, ნოდარი ჩემს წინ იყო, მისი რეზინის ჩექმების ძირებს ვხედავდი — „ნოდარ, მოდი შევისვენოთ..." — ისევ ვთხოვე მე. — „არა, — მიპასუხა მან, — რაც შეიძლება ჩქარა უნდა მივბობლდეთ, ჩქარა..." მალე სინათლე გამოჩნდა, ხვრელი გაფართოვდა და ჩვენ გავიმართეთ, გამურულები პირით ვყლაპავდით ჰაერს, ნესტოები ნახშირის მტვერით ეკქონდა გამოტენილი. ოსტატმა საფნოსი თუოუნი გამოგვიწოდა. შევისუნთქეთ და ნესტოები გავინთავისუფლეთ. „აბა, ბატონებო, ახლა ზემოთ ამობრძანდით".

დღემდე ვფიქრობ, რაში დასჭირდათ ჩამოქცეულ გვერდითა ჭაურში ჩვენი ჩათრევა. როცა სული მოვითქვით, ნოდარმა თქვა: „გავუძელით... დავიცავით ჩვენი ღირსება", — და იმ სათნოებითა და მოკრძალებით გაიღიმა, რომელიც მას საოცარ მომხიბვლელობას ანიჭებდა.

ჩემთვის ნოდარი საქართველოს ნაწილად დარჩა: ისევე მარადიულად, როგორც მთა, ველი, მდინარე... მაგრამ კიდევ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: მის მკერდში ჭუშმარიტად

მღელვარე გული ფეთქავდა, რომელიც ადამიანის ყველანაირ ტკივილს, სიხარულს და რწმენას იგებდა და ითავისებდა. ერთხელ გულახდილი საუბრისას ნოდარმა მითხრა: „იცი, ყოველ ღამე მესიზმრება დედა". „როგორ თუ ყოველ ღამე", „ჰო, ყოველ ღამე, იმ დღიდან, როცა იგი გარდაიცვალა..."

და ამ სიტყვებში იყო მთელი ნოდარი.

**ბაგრატ შინკუბა**

## სახლი ზღვის ნაპირას

რამდენიმე თვე გავიდა, რაც აღარ არის ნოდარ დუმბაძე. მე ხშირად ვფიქრობ მასზე, ვფიქრობ დარდით და გულისტკივილით. ფასდაუდებლია მისი მემკვიდრეობა. მაგრამ კიდევ რამდენის შექმნა შეეძლო მას! ნოდარ დუმბაძის წმინდა სახელთანაა დაკავშირებული ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი.

ნოდარ დუმბაძე ისე მოვიდა ლიტერატურაში, როგორც ცის კაბადონზე გაჩნდება ხოლმე მანათობელი ვარსკვლავი. იგი მოულოდნელად გაიშალა მკითხველთა წინაშე, თავისი ჭეშმარიტად ეროვნული, თვითმყოფადი, განუმეორებელი ნიჭიერებით. მისი უსაზღვრო პოპულარობა უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ მკითხველები ნოდარ დუმბაძის თხზულებებში ხვდებიან ადამიანების სილამაზესა და კეთილშობილებას, მათ მაღალ ჰუმანიზმსა და პატრიოტიზმს.

ნოდარ დუმბაძემ ბავშვობიდანვე პევრი განიცადა, სხვა ალბათ ვერც კი გაუძლებდა ამდენს, ის კი ღირსეულად უმკლავდებოდა ბედის უკულმართობას.

განსაცდელმა ასწავლა მას ყოფილიყო კეთილი და გულუხვი, შეუპოვარი და ვაჟკაცი. ალბათ, აქედან აღმოცენდა მისი სიცოცხლისმოყვარეობა და მოქალაქეობრიობა, ალბათ, შემთხვევითი არც ის არის, რომ ნოდარ დუმბაძის ბოლო ათეული წლების შემოქმედება მაღალი ზნეობრივი საწყისების ძი-

ებისა და მათი განმტკიცების საკითხებთანაა დაკავშირებული.

აფხაზეთი ნოდარ დუმბაძისთვის ის კუთხე იყო, რომელიც განსაკუთრებულად უყვარდა, სადაც ხშირად ჩამოდიოდა და სადაც ყველაზე ნაყოფიერად მუშაობდა.

ჩვენთან, სოფელ გულრიფშში, ზღვის ნაპირას დგას პატარა სახლი, რომლის კარიც არაერთხელ შეგვიღია, სადაც მუდამ, როგორც ძმა და მეგობარი, გვხვდებოდა ნოდარ დუმბაძე. აქ, ვსაუბრობდით ლიტერატურის პრობლემებზე, ადამიანის მოვალეობაზე, ჩვენს საზოგადოებრივ საქმეებზე. აქ მხოლოდ ლიტერატორები, სტუმართმოყვარე მასპინძლის მეგობრები და ნათესავები როდი მოდიოდნენ, მოდიოდნენ ჩვენი კუთხის მკვიდრნი, აწუხებდნენ მას სხვადასხვა საკითხებზე, რადგან იცოდნენ, რომ აქ ყოველთვის დახვდებოდათ მხარდაჭერა, დახმარება, რაღგან ნოდარ დუმბაძე იყო დიდი მოქალაქე, რომელიც თავისი ერის, ქვეყნის, ეპოქის სიცოცხლით ცოცხლობდა.

ახლა სახლის კარი და ფანჯრები გამოკეტილია, ჭიშკართან იშვიათად ამუხრუჭებს მანქანა...

ნოდარ დუმბაძის უახლოესი მეზობელი კონსტანტინე სიმონოვი იყო.

ეს არ იყო მხოლოდ კეთილი მეზობლობა, არამედ ორი მწერლის საოცარი სულიერი სიახლოვე, რომლებიც ერთად ქმნიდნენ ამ დალოცვილ მიწაზე, რომლებსაც ძმებივით უყვარდათ ერთმანეთი. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, შემოქმედებით ჩანაფიქრებს. მე არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, თუ როგორი სითბოთი ლაპარაკობდა კონსტანტინე სიმონოვი ნოდარ დუმბაძეზე, რაოდენ აფასებდა მის შემოქმედებას. ეს თავად ნოდარმაც კარგად იცოდა, აი რას წერს იგი კონსტანტინე სიმონოვზე: „მან ბევრი რამ მასწავლა, რაც მთავარია საკუთარი თავის ღა შემოქმედებისადმი კრიტიკულად მიდგომა და შრომის დისციპლინა...“.

ალბათ, მართლაც რაღაც საოცარი მიზიდულობის ძალა აქვს ამ მიწას, სადაც ზღვის ნაპირას დგას პატარა სახლი. აქ ჩამოდიოდა ბევრი გამოჩენილი მწერალი, მათ შორის ალექსანდრ ტვარდოვსკიც.

ნოდარ დუმბაძე იხსენებს: „...ბატონი კონსტანტინე და

ტვარდოვსკი გვიანობამდე სეირნობდნენ ზღვის ნაპირზე. საუბრობდნენ ლიტერატურაზე. მე, რა თქმა უნდა, ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ვყლაპავდი ყოველ მათ სიტყვას"... როცა ჩავდივარ იმ კურთხეულ ადგილას, სადაც ზღვის პირას დგას პატარა სახლი, თვალწინ მიდგება ჩემთვის ძვირფასი ადამიანების სახეები... არც ერთი მათგანი, არც ნოდარ დუმბაძე, არც სიმონოვი და არც ტვარდოვსკი აღარ ჩამოვლენ აქ, ცხელ ქვიშაზე აღარ დატოვებენ თავიანთ კვალს. ზღვა კი, როგორც ყოველოვის ხან მშვიდი, ხან კი მშფოთვარე, ხმაურობს და ხმაურობს...

ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება. ერთხელ რაიონიდან სოხუმში ვბრუნდებოდი. გულრიფშის ცენტრში ნოდარ დუმბაძეს მოვკარი თვალი. მისი თხოვნით მასთან სახლში წავედით. იგი მაშინ მარტო ცხოვრობდა. ვახშმის მომზადება არ გაგვჭირვებია და სუფრასაც შიეუსხედით. ბატონი ნოდარი ყოველთვის საინტერესო მოსაუბრე იყო. იმ დღეს კი განსაკუთრებით ბევრს ხუმრობდა, მთელი სულითა და გულით იცინოდა. მისი მხიარული განწყობილება მალე გადმომედო, გაიარა დაღლილობამ, ვმხიარულობდით, თითქოს სახლი სავსე იყო სტუმრებით, ჩვენი მეგობრებით. გვიანობამდე ვისხედით. რა თქმა უნდა, არც ლიტერატურული პრობლემებისთვის აგვიელია გვერდი, ესაუბრობდით გასული საუკუნის ქართველ კლასიკოსებზე, ნოდარ დუმბაძემ თქვა: „მე ვიცი, თქვენ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის დიდი მოტრფიალე ბრძანდებით, აფხაზურ ენაზე თარგმნით მის ლექსებს, და ალბათ შეუმჩნეველი არ დაგრჩებოდათ ამ პოეტის საოცარი თვისება. მას არა აქვს სუსტი და საშუალო ლექსი, ყველაფერი, რაც მან შექმნა, სრულყოფილია, თუმცა მან მხოლოდ ოცდაშვიდი წელი იცოცხლა".

— დიახ, ეს საოცარი მოვლენაა ლიტერატურაში, თუ მხედველობაში მივიღებთ ადამიანის სულის სიღრმის და ფილოსოფიური ხედვის ფართო დიაპაზონს, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში გვხვდება.

შეკითხვებზე ვპასუხობდი ჩემს მოსაუბრეს, ვუხსნიდი იმ პრინციპებს, რაზეც ავაგე ჩემი მთარგმნელობითი მუშაობა, მივუთითებდი იმ სირთულეებზე, რაც მიზნის მიღწევისათვის გამოვიარე.

ჭიშკართან ვემშვიდობებოდით ერთმანეთს. გვიან იყო. სიჩუმე იდგა, მთვარიანი წყნარი ღამე იყო, ზღვაც წყნარი იყო, მხოლოდ მთვარის თეთრი ბილიკი კრთოდა მის გაშლილ მკერდზე. მოსახვევს რომ გავცდი, მივიხედე და დავინახე ნოდარ დუმბაძე, იგი ჭიშკართან იდგა და ზღვას გაჰყურებდა.

მახსენდება 1982 წლის ნოემბერი, მოსკოვი, კრემლი. სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. შესვენების დროს მე და ნოდარ დუმბაძე არ დავბრუნდით სასტუმროში, კრემლში დავრჩით. სადილის შემდეგ სასეირნოდ პარკში გავედით, რათა ლიტერატურის საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრა. ნოდარ დუმბაძე მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირისა და აფხაზური ლიტერატურის კომისიის თავმჯდომარე იყო. იგი ძალიან დიდ ყურადღებას იჩენდა აფხაზ მწერალთა ორგანიზაციისადმი. ყველა იმ საკითხს, რაც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებას ეხებოდა, საოცარი ყურადღებით ეკიდებოდა, ყველა წამოჭრილ საკითხს საგულდაგულოდ, თანამიმდევრობით წყვეტდა.

და იმ დღეს, როცა ჩვენ კრემლის პარკში ვსეირნობდით, ნოდარ დუმბაძე ბევრს ლაპარაკობდა აფხაზური ლიტერატურის კომისიის მუშაობის გეგმებზე. უახლოეს დღეებში, კომისიის გასვლითი სესიის აფხაზეთში ჩატარებას აპირებდა, სადაც უნდა განხილულიყო აფხაზ მწერალთა თარგმნილი წიგნების, მათი მდგომარეობის, გამოცემის საკითხები. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ახალგაზრდობის მიმართ.

ბევრ რამეს, რაზეც ფიქრობდა და რის განხორციელებასაც ოცნებობდა მწერალი, ახდენა არ ეწერა. შეწყდა სიცოცხლე... ხამგლოვიარო მიტინგი... მე გულითადი მეგობრის კუბოსთან ვიდექი, ვემშვიდობებოდი აფხაზი მწერლების სახელით. ძნელი იყო გრძნობების მოთოკვა, რათა ღირსეული სიტყვა მეთქვა, ძალიან ახალი იყო ჭრილობა, რომელიც მისმა გარდაცვალებამ მოგვაყენა...

არასდროს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან მრავალრიცხოვანი მეგობრული შეხვედრები, მას ყველგან როგორც შინაურს, ყველაზე ახლო ადამიანს ისე იღებდნენ. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მას აფხაზეთთან ნათესაური ან საზოგადოებრივი კავშირი ჰქონდა, იმიტომ, რომ მისი ხასიათის უბრალოებითა და უშუალობით სრულიად უცხო ადამიანებს თავისადმი განაწყობდა.

მრავალეროვანი აფხაზეთის მშრომელები დიდ სიყვარულს გამოხატავდნენ მოძმე საქართველოს სახელოვანი შვილის მიმართ, არაერთხელ აურჩევიათ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ნოდარ დუმბაძე დიდი სულის ადამიანი იყო, სწორედ ამან დაატოვებინა მას ჭეშმარიტი შემოქმედება და კეთილი საქმეები. მისი საუკეთესო თხზულებები მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში შეევლენ.

ჩვენთან, ხალხში ამბობენ: „ვის სიტყვებსაც იხსენებენ, ისინი მუდამ ჩვენს შორის არიან". ნოდარ დუმბაძის წიგნების გადაკითხვისას, ყოველთვის, ყველა ჩვენგანი მათში რაღაც ახალს იპოვნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ დიდი ხნის სიცოცხლე უწერიათ.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

## ყველანი სიკვდილის შვილები ვართ

დრომ უნდა განვლოს, დღე უნდა დავიწყებას მიეცეს, რომ მოიგონო, მე რა მოვიგონო? ნოდარ დუმბაძე გუშინ წავიდა ჩვენგან, აგერ, ახლახანს. ასე მგონია, რასაც ვიტყვი, მოწმედ დამიდგება და იტყვის: „კი, ძამა, მასე იყო". ასე, რომ მიჭირს, მიჭირს ცოცხალ კაცზე მოგონებების წერა, მაგრამ ისევ ჩვენს თავს ვაბრალებ: — ჭირისუფალი ასე ფიქრობს, ვაითუ ყველაფერი გადაავიწყდეთ, დრო აღარ დარჩეთ, თავი ველარ მოაბან, წიგნიც ვერ გამოსცენ. ადამიანები ხომ მალე ივიწყებენ გარდაცვლილებს. ადამიანებს ხომ თავი უკვდავი ჰგონიათ, ის კი არ იციან, ყველანი რომ იმ დალოცვილი დედის, სიკვდილის შვილები ვართ...

* * *

ამ თოთხმეტი წლის წინათ, დამიძახეს და მითხრეს, საბუთები გაამზადე იუგოსლავიაში წასასვლელადო, დიდად გავიხარე, თოთხმეტი წლის წინათ იუგოსლავიაში წასვლა რამეს

ნიშნავდა ახალგაზრდა კაცისთვის. ახალგაზრდებს უფრო უნგრეთსა და პოლონეთში უშვებდნენ. მეც ავდექი და გავამზადე საბუთები. დაინიშნა წასვლის დღე...

ხუთი დღის შემდეგ რომ მოსკოვს უნდა გავფრინდე იუგოსლავიაში წასასვლელად, დღეს გავიგე, ნოდარს ინფარქტი დამართნია. გულს შემომეყარა, გავქანდი ბატონ ნოდარ ყიფშიძესთან, კონსტიტუციის ქუჩაზე (მაშინ იქ იყო საავადმყოფო), ველაპარაკე ბატონ ექიმს, რა იქნება, როგორ იქნება-მეთქი და იმანაც ჯიუტად მიპასუხა: ჯერ ვერაფერს გეტყვით, საქმე სერიოზულია, ინფარქტი ბოლომდე კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ვერც გადარჩენაზე ასე უცებ ვერაფერს გეტყვით, ამას სულ ცოტა 7—8 დღე მაინც უნდა, რომ გამოძვრეს და მოგვცეს ორგანიზმმა ბრძოლის საშუალებაო.

წამოვედი დაღონებული, ვიფიქრე გზაზე და გზაზევე გადავწყვიტე, ჩემი იუგოსლავიაში წასვლა არ იქნებოდა ძმობა და კაიკაცობა. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ნოდარს რომ რამე დაემართოს და მე დროსსატარებლად ვიყო, მთელი სიცოცხლე უნდა გამიმწარდეს, უნდა დავრჩე, ვთქვი და რაღა თქმა უნდა, დავრჩი.

მივდიოდით ყოველდღე, ხანდახან, დღეში სამჯერ, უკეთესობა არ ემჩნეოდა.

მეშვიდე დღეს, მართლაც, მოიკეთა. მე თავთან ვეჯექი, უცებ გამოერკვა, გონს მოვიდა და გაოცებულმა და თვალებმინაბულმა მითხრა: ჯანსულა, ბიჭო, მე შენ წასული მეგონე და აქანა ხარ?!

მე, გახარებულმა და ამავე დროს გაბრაზებულმა, ვუპასუხე: ნოდარა, მეც წასული მეგონე, მარა აქანა ხარ-თქვა. გაიღიმა, ისე გაიღიმა, მივხვდი, რომ გადარჩა.

* * *

ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით, ყოველდღე, ყველგან, თქვენ წარმოიდგინეთ, შეხვედრებსაც, ხშირად, ორთავეს ერთად გვიწყობდნენ, წვეულებაზეც ერთად გვეპატიჟებოდნენ. ერთ სუფრაზე ერთად გვადღეგრძელეს და უცებ ნოდარმა გამდმომილაპარაკა: ამვენს ჩვენ ლომონოსოვი და ლავუაზიე ვგონივართო. .

ნოდარ დუმბაძე მაშინ „ნიანგის“ რედაქტორი იყო, საკუთარი მანქანა ჰყავდა და საჭესთანაც თვითონ იჯდა. მანქანაში ვისხედით ნოდარი, მე და ზაურ ბოლქვაძე. ერთმა ინსპექტორმა გაგვაჩერა, ნოდარი არ გადმოსულა მანქანიდან, არადა, ინსპექტორი ნოდართან არ მოვიდა, ასე ვიდექით კარგა ხანს, მერე ნოდარმა გასძახა, ძამა, ან შენ მოდი და ფული წეიღე, ან მე მოვალ და ფული მომეციო.

* * *

ნოდარ დუმბაძე დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის რაიონიდან, ორბელიდან წამოაყენეს. მთხოვა, ე, ბიჭო, კაცს არ ვიცნობ ლეჩხუმში, შენი მხარეა, წამომყევი და სიტყვა მითხარი, მხარი დამიჭირეო. წავედით, გაიხარეს ლეჩხუმლებმა, გადაყვნენ სტუმარს. სიტყვა მომცეს, შევდექი კათედრაზე და ასე დავიწყე: ლეჩხუმლებო, ჩემებურებო, სადმე რომ სამართალი იყოს, თქვენი დეპუტატი მე უნდა ვიყო, მაგრამ ცეკაში ლეჩხუმი და ლანჩხუთი აერიათ ერთმანეთში-მეთქი. ატყდა სიცილი, ხარხარი, ბოლოს, მოგეხსენებათ, პწკალზე შემწვარმა კალმახებმა დაგვასერიოზულეს.

* * *

ლეჩხუმიდან ხონში წავედით, თავისმოწონება უნდოდა ნოდარს დედულეთში, იქ დეიდა ეგულებოდა, უფრო სწორედ დედის ბიძაშვილი. მიგვიყვანა ერთ მშვენიერ ოდა-სახლში, ბახტაძეებთან. ჯერ ნოდარი გადავიდა, შევიდა კოინდარით აბიბინებულ ეზოში, ქალი გამოეგება კდემამოსილებითა და იმერული თავაზით, შორიდან ისე გამოჩნდა, რომ კარგად ვერ შეიცვნეს ნოდარი, ერთი შეხედვით ასე ჩანდა, მაგრამ უცებ გადაეხვია ქალბატონი ნოდარს და ახლა ჩვენს გასაგონად შეჰკივლა: ვა ბეჩა, ნოდარ, მეიყვანე სტუმრები, ჩქარა მეიყვანეო. შეევედით ეზოში მე და ნოდარის მძღოლი, გაჩაღდა ნარდი, ახლა ხაჭაპური, ახლა არაყი, ახლა ჩაი და ცოტა ხანში, კიდევ სამი მეზობელი გაჩნდა ეზოში. შემოვუსხედით გაწყობილ სუფრას, ერთი კი სთქვა ნოდარმა, ეს წიწილები რაცხა ამორალურად მეჩვენებიან, ისე აქვთ აშვერილი ფეხებიო და უკვე თამადად იყო მაგიდის თავში. ქეიფი ეშხში იყო შესული, რო-

ცა ღობეს ქოთქოთით მოადგა მჯობნის მჯობნი იმერელი ქალ-ბატონი, ერთი ვაიეიშითა და გაკვირვებით, ნოდარია, შვილო, დედა, მომკალით ვიღაცამ, ეს უცხო ოჯახი რომ შეგიწუხებია, შენი სახლი ველარ გიცვნია, აპა, საქმეა ეეს?! ეზოში ნოდ-არის ნამდვილი დეიდა შემოვიდა, ის ქალბატონი, ვისთანაც თურმე უნდა მიესულიყავით. მე სიცილით ვიფხრიწებოდი, ნო-დარი დეიდამისს კოცნიდა და ეუბნებოდა: ახლა გვიანია, დე-იდა, ამ პურმარილს ვერ მივატოვებ, დეიდა კი არა, დედა რომ ადგესო.

ის ღამე იქ გავატარეთ, მეორე დღეს ნამდვილ დეიდასთან გაღავედით.

* * *

მოსკოვში ვართ მე და ნოდარი, მწერალთა კავშირის ერთ-ერთ პლენუმზე ჩასულები. სასტუმრო „როსიადან" მიწისქვეშა გასასვლელში არ გავედით და ზევიდან მოვსინჯეთ ჩვენი ძა-ლები, ზევიდან კი მილიციის კაპიტანმა გაგვაერა, „თქვენი საბუთებიო", მკაცრად გვითხრა, ნოდარმა მწერალთა კავშირის წიგნაკი გაუწოდა. მილიციელმა აათვალიერა, ჩაათვალიერა და უთხრა: „ჩიტალ ვაშ „ზაკონ ვეჩნოსტი", რად პაზნაკომიტსა", წიგნაკი დაუბრუნა, ხელით სალამი აუღო და ქუსლი ქუსლს მიარტყა.

* * *

მწერალთა კავშირიდან, პირდაპირ საგურამოში წავედით მე, ნოდარი და ტრისტანი, — ნოდარის მძღოლი. ავიკელით მანქა-ნა, ამდენი ერთად არასოდეს გვიხუმრია, ლექსებს ვთხზავდით, უფრო სწორად, „ფუნაგორიებს" — გაგრძელებებით, მე ვიტყო-დი ორ სტრიქონს და ის გააგრძელებდა, შემდეგ ის დაიწყებ-და და მე ვაგრძელებდი. ეს იყო მახვილსიტყვაობის ფეიერ-ვერკი. ტრისტანი წყნარი კაცია, მაგრამ ისიც კი გამოვიყვანეთ მდგომარეობიდან, იგუდებოდა სიცილით. მივუახლოვდით წიწა-მურს, სწორედ იმ ობელისკს, სადაც ქართველმა ხალხმა სირ-ცხვილი ჭამა, მივუახლოვდით თუ არა, მე მივსწვდი ნოდარს და თავი ჩავაღუნიე, არიქა, დაიმალე, თორემ გესვრიან-მეთქი... მეხვეწა მერე, ჯანსუღია შავო, არ მოყვე ამ ამბავს და ხვალ ათკაციან პურ-მარილს ვკისრულობ საგურამოშიო.

* * *

ქუთაისიდან ჩოხატაურისაკენ მივდივართ, კარგ ხასიათზე ვართ ბიჭები, მარა ხასიათი რას შველის საქმეს, მშივრები ვართ, ნოდარი ჩოხატაურში, მის სოფელში დუმბაძეებთან ილიკოს ნახვას გვპირდება და მაგარ სუფრას, ორი კილომეტრი იყო სოფლამდე დარჩენილი, რომ გაგვანდო ის, რაც ჩვენ არ ვიცოდით: ე, ბიჭო, თუ ძმები ხართ, ჩემი ბიძაშვილი აბელიე რომ საჯდომში დაჭრეს დანით, მაგი არ თქვათ, თვარა მის სახლში ვიქნებით და დედამისი და მამამისი გედეირევიანო. მე ჩემთვის გავიფიქრე, ვინ ექაჩებოდა, ეინ სთხოვდა ახლა ამის თქმას, კაცმა არ იცოდა, რომ აბელიე საჯდომში ოფო დაჭრილი. აპაპაპა, რავა ვიტყვით-თქვა, ვთქვი მე და სხვა თემაზე გადავედი. ნახევარი კილომეტრილა იყო დარჩენილი იმ ნანატრ სუფრამდე და კუჭის ჩაწყნარებამდე, რომ სიმღერა წამოვიწყე: „არ მშორდება მწუხარება და ჭირი, აბელიე, კოზლაშია დაჭრილი"... ნოდარმა მანქანის მძღოლს უთხრა, მოაბრუნე, ძამა, მანქანა, აბა, ჩქარა, ჩქარა. არ გდომებიათ, ბიძია, თქვენ პურის ჭამაო და მანქანას პირი დალმართისაკენ უყო, ასე დაგელუპა ერთმა პატარა სიმღერამ.

* * *

ვილაცამ სცადა ნოდარის გაკრიტიკება, სცადა, ვერ კი შეასრულა. ნოდარმა მაინც მოიწყინა, მოიწყინა და მე გამანდო, ჯანსულა, ძამა, რა უნდა იმ კაცს ჩემგან, ხომ არ იციო. ჩვენში დარჩეს და, ნოდარი ბოლო წლებში, როცა ავადმყოფობა მოეძალა, ყველაფერს განიცდიდა და ყველაფერზე ეჭვს გამოთქვამდა. მე შევატყვე, რომ ძალიან ნაწყენი იყო და უმალ ვუპასუხე: ნოდარა, ახლა შენ შენით თუ მეიჭამ ფეხებს, თვარა ვერავინ ვერ მოგჭამს-მეთქი. ჰო, რა გაუხარდა.

## მონატრება, ანუ სიცოცხლე, რომელიც არ დამთავრდება

ცრემლით გაჟღენთილ უამრავ ხმათა შორის, რომელიც ნოდარ დუმბაძის სამგლოვიარო-დღეებში გაისმა, ჩემი ხმა არ ერია. მაშინ ვერ შევძელი სიტყვის თქმა, ვერ მოვერიე საკუთარ თავს. მერე მუდამ თან მდევდა უკმარისობის გრძნობა, თითქოს მესმოდა კიდეც ნოდარის საყვედური: „შენ, ჩემო სიყმრის მეგობარო, — რატომ არაფერი . მითხარ უკანასკნელად?" თქმა არც ახლაა გვიან. შენზე სათქმელ-საამბობელს რა გამომილევს.

იდგა 1943 წელი. მერვე კლასში ვიყავით მაშინ, ჯგუფში 65 მოზარდი ვისხედით. სოფლელ ბავშვებს ომის ქარიშხლით სხვადასხვა ქალაქიდან გადმოტყორცნილებიც გვერიენენ. მათ შორის ადრე წასული „კაი ყმები", ორი სახელოვანი მაჩულიშვილის პირმშონი — პროფესორ მოსე გოგიბერიძის ვაჟი — ტექნიკის მეცნირებათა კანდიდატი იულონ გოგიბერიძე და კომპოზიტორ გრიგოლ კილაძის ვაჟი — საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლილე კილაძე.

ვაგლახ, ნოდარიც მათ მიემატა.

ზამთარი დიდი იცის მთიან გურიაში. ის წელი კი განსაკუთრებით სუსხიანი, დიდთოვლიანი იყო. სკოლის ფარღალალა საკლასო ოთახში, შუბლშებოლილ ბუხარში ნედლი ხის ერთი კუნძი ძლივსღა ხრჩოლავდა... არც ტანთ გვეცვა თბილად არც ფეხთ. გათოშილ ბელურებივით მხრებჩამოყრილებს საკუთარი საფიქრ-სადარდებელი გაგვჩენოდა. მერე უცბად დაიბადა აზრი — გაკვეთილები მიგვეტოვებინა, სახლებში წავსულიყავით. ვერაფრით შევაცვლევინე ვერც ერთს მიღებული გადაწყვეტილება და როცა კლასი დაცარიელდა, თოვლში საცალ-

ფეხრ ·ბილიკად გაკვალულ გზაზე თოკივით გაჭიმულ თანა-ტოლთა მწკრივს მეც ავედევნე.

სკოლის ადმინისტრაციამ თითოეულ ჩვენგანს სასტიკ დანაშაულად ჩაგვითვალა ეს საქციელი, განსაკუთრებით მე, როგორც მოსწავლეთა სასკოლო კომიტეტის თავმჯდომარეს. და აი, აქ, ამ დროს, პირველად საჯაროდ გამოვლინდა ის ხასიათი და ნიჭი, რაც შემდგომ უშურველად ამომზევდა ნოდარის შემოქმედებაში.

გამომესარჩლა მერხის მეგობარი. 1905 წლის სისხლიანი კვირა მოიგონა ნოდარმა: „ბოლშევიკებმაც კი ურჩიეს მუშებს, არ წასულიყვნენ მეფესთან წყალობის სათხოვნელად, მაგრამ როცა ვერაფერს გახდნენ, ისინიც გაჰყვნენ. ასე მოიქცა ჩვენი ამხანაგიც, რომ ბრძანეთ, გაირეკა ბავშვები და თვითონ ამიტომ მიდიოდა ყველაზე ბოლოსო, მაგი არაა მართალი! რომ არ დავუჯერეთ და წავედით, თვითონაც წამოგვყვა, მარტო ხომ არ დარჩებოდა, აბა?!“.

ერთბაშად ამტყდარმა სიცილმა განმუხტა დაძაბული სიტუაცია.

მეორე დღეს უკლებლივ ყველა კლასში ენთო ბუხარი...

ახლა, როცა გარდასულ დღეებს ვიგონებ, ვუკვირდები და ვაანალიზებ, თვალნათლივ ვხედავ: ნოდარი თავისი ქცევით, ხასიათით — უაღრესად კეთილშობილი, გულისხმიერი, გამგები — მაშინაც ყველასაგან გამოირჩეოდა. უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახში საყვარელი ბებიისა და, მართლაც, „ღვთისშობელივით დახატულ“ მამიდა დარეჯანისათვის ნოდარი იყო ერთადერთი ჰატარა კაცი, რომელიც მოვალეობის შეგნებით ეწეოდა მძიმე უღელს: ზამთრისათვის ტყიდან გამოქონდა გამხმარი ხის ტოტები და კუნძები, ცამდე აწვდილ იზაბელას ლერწებს მოხერხებულად აცლიდა მტევნებს, „შარვალაკაპიწებული“ ვაჟკაცივით ჩადიოდა მამაპაპისეულ ხის დიდ საწნახელში, ოფლგადახვითქული მუშაობდა ყანაში, სიხარულით გარბიდა წისქვილში და, საფქვავის მოლოდინში გარინდული, გულისყურით უსმენდა მეზობელი გლეხების საუბარს, უღვარძლო, გამკენწლავ დიალოგებს, რასაც მეორე დღეს თავისებური იმპროვიზაციით გვიამბობდა თანატოლებს და გულიანად გვაცინებდა. წიგნებს ჭალაში, ძროხას რომ მწყემსავდა, მაშინ კითხულობ-

და, გამორჩეულად უყვარდა დიკენსი. ობოლი ბიჭუნების ამ უბადლო მხატვართან განსაკუთრებულ სულიერ ნათესაობას და სიახლოვეს გრძნობდა ნოდარი, ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მისი სამაგიდო წიგნი იყო.

ერთხელ, სკოლაში სწავლის პერიოდში, სკოლის დირექტორმა, დიდად ერუდირებულმა და პოეტური ბუნების ქალმა, აწ განსვენებულმა ანიკო კალანდაძემ, რომელიც ისტორიას გვასწავლიდა, ბავშვებს ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულის“ წაკითხვა დაგვავალა. გაგვაოცა ნოდარის ანალიტიკურმა მსჯელობამ, ტექსტის ღრმა ცოდნამ. სიყვარულით გაბრწყინებული თვალებით უცქეროდა ქალბატონი ანიკო თავის ცელქ მოსწავლეს, რომელშიაც მან უცაბედად უნარიანი და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე მეოცნებე ჭაბუკი აღმოაჩინა.

ბავშვობა ხომ მძიმე ჰქონდა, მაინც იმ დღეებს ეტრფოდა.

მახსოვს, მამაჩემის დაკარგვით თავზარდაცემული ყველაფერს მუქ ფერებში აღვიქვამდი, გარდასულ ბავშვობას მივსტიროდი, კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარის სიტყვებით გამოვთქვამდი მწუხარე განცდებს ნოდარისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში, რომელზედაც მან მისთვის ჩვეული ოპტიმიზმით ასე მიპასუხა: „ჩვენი ბავშვობა... მეც შენსავით სათაყვანებლად მაქვს გახდილი. არაფერი სათაყვანო არ არის იმ პატარა და დარდით ვეება წარსულში, გარდა მეგობრებისა... ჩემი ბავშვობა ჩემი შემდგომი ცხოვრების საკმაოდ დიდი და მკაცრი უვერტიურა იყო. მე ამჟამად ბედის უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ გახსოვს?: „მე ერთ დროს გრიგალს ვებრძოდი, აფრაახსნილი ხომალდი“... მერე გადავწყვიტე, რომ ცხოვრება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ბედს რომ არ გაექცევი უბედური, ეს ყოველგვარ ძლიერებაზე ძლიერია, ეს რომ სცოდნოდა თარაშ ემხვარს?!. სინანულის ნიშნის დასმა, არ ვიცი, შენ ფილოლოგი ხარ და გამოიგონე, იმიტომ, რომ წერტილზე, მძიმეზე, ძახილის ნიშანზე უფრო ხშირად მე სინანულის ნიშანი მჭირდებოდა ხოლმე. გრიმასებით ამას კარგად ვახერხებ, საკმარისია თვალები მოხუჭო ოდნავ და რამდენჯერმე თავი დაიქნიო დაბლა, ძალიან წყნარად, ქალალდზე ამას ვერ გახერხებ“...

პატივი, აღიარება არ მოჰკლებია მას. მაღალი რანგის ტიტულებითაა შემკული მისი სახელი, მაგრამ ჩემთვის ნოდარი ყოველთვის ისევ ის ხუჭუჭა ბიჭი იყო, ბუხართან მიფიცხებული, თანატოლებზე ხელებგადახვეული, ყელგადაგდებული, მთელი ხმით, ძონდღომებით რომ მღერიდა ერთხელ ამოჩემებულ თავის საყვარელ სიმღერას!

სამი ძმები, გურულები,
მუშაობდნენ ყანასა...

ხალასი გულით ეტრფოდა იგი ცხოვრებას, ყველაფერში მხოლოდ სილამაზეს ეძიებდა და ჰოულობდა კიდეც. პოეტურად აღიქვამდა ირგვლივ ყველაფერს, მაგრამ ამ მჩიარული, ჩანჩქერივით მჩქეფარე ბუნების ბიჭისათვის, ყველას რომ უდარდელი ეგონა, არც სერიოზულ საკითხებზე ღრმად ჩაფიქრება იყო უცხო. დამწყები, სოფლის მასწავლებელი ვიყავი მაშინ, როცა ნოდარი თბილისიდან მწერდა:

„შენ უკვე თითქმის მასწავლებელი ხარ, უფრთხილდი, ბავშვებმა „მაწვალებელი" არ შეგარქვან. ეს ყველა სასჯელზე დიდია.

კარგია, შენი საქმე რომ ასე გიყვარს. ინდოელების გაგებით, სამყაროში ყველაფერს სიყვარული უდევს საფუძვლად, ბოროტებასაც კი, რის გამოც ისინი სიყვარულს ღმერთად აღიარებენ. ეს ყველაზე დიდი ჭეშმარიტებაა ყველა ჭეშმარიტებას შორის.

...რომ მწერ, შენი წერილი ჩემს ამხანაგებს წავაკითხე და თქვეს, ჭკვიანი ყოფილაო, იმათ, ალბათ, მართლა, ჭკვიანი ვგონივარ. დინჯი და ჭკვიანი მხოლოდ მაშინ ვარ, როდესაც ლექსსა და წერილს ვწერ, თორემ ხომ გახსოვარ ხიდისთაველი ეშმაკი ბიჭი... ისევ ისეთი მოუსვენარი ვარ. ბევრს ვცდილობ, დინჯი და ჭკვიანი ვიყო და არ გამომდის..."

იყო შემთხვევები, როცა თითო-ოროლა პედანტი პედაგოგი საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, თითქოს მასწავლებელთა გაშარჟებული პორტრეტების დახატვით ნოდარი დასცინოდა მათ. ნოდარის უკეთილშობილეს გულში მასწავლებლისადმი განსაკუთრებული სიყვარული ესთო, „მე ვხედავ მზეში" გამოქანდაკებული სამხედროს მასწავლებლის ტიპიური სახე ამის დასტურია.

ერთხელ ხიდისთავში, ჩემი მასწავლებლობის პერიოდში, კოლმეურნეებთან ჩატარებული რიგითი აგიტაციიდან ფეხით მივყვებოდი შინისაკენ. გვერდით მახარაძიდან მომავალმა ხალხით გაჭედილმა ავტობუსმა ჩამიქროლა, ღია სარკმლიდან ჩეჩა სახელი მომესმა, მერე მანქანა დამუხრუჭდა და იქიდან ვიღაც მგზავრი გადმოვიდა, პირდაპირ ჩემსკენ გამოექანა. ვიცანი, ნოდარი იყო, უკვე დაოჯახებული, თბილისიდან თავისიანების მოსანახულებლად ჩამოსულიყო რამდენიმე დღით. იმ კვირას კონცერტის გამართვას ვაპირებდით. უცბად მოვიფიქრე, ნოდარისათვის შემეთავაზებინა მონაწილეობა. უარი არ უთქვამს, პირიქით, ხალისით დაგვეთანხმა. გავაფორმეთ აფიშა და სოფლის ცენტრში გავაკარით, კონცერტში მისმა მონაწილეობამ დიდძალი ხალხი მოიზიდა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა ნოდარის მიერ სახელდახელოდ შეთხზულ შაირებს, რომელთაგან მხოლოდ ერთი დამამახსოვრდა:

ხიდისთავის კოპერატივს
რაღათ უნდა მაღაზია?!
საწყობიდან ბარებენ,
რაც კარგი და ლამაზია...

მხიარული შეძახილებით და ტაშით შეხვდნენ ამ კაფიასაც მსმენელები, განსაკუთრებული თავგამოდებით თვითონ საწყობის გამგე უკრავდა ტაშს. სიცილისაგან თვალებზე ცრემლმომდგარი ხმამაღლა გაიძახოდა: „ჩამაგდე, ჯვეებეია, ამ ციგნების ყბაში, ხომ?!."

უნებურად მაგონდება 1897 წელს თელავში ილია ჭავჭავაძის მიერ ადამიანის დანიშნულებაზე წარმოთქმული სიტყვა: „ბავშვო, შენ სტირი, როს იბადები, შენს გარშემო კი ყველანი იცინიან და ხარობენ. იცხოვრე ისე, რომ შენ იღიმოდე, როს აღსრულდები, ყველანი შენს გარშემო სტიროდნენ".

ჭეშმარიტად ასეთი ცხოვრებით იცხოვრა ნოდარმა; თვითონ ღიმილითა და სიმღერით წავიდა, ჩვენ კი ცხარედ აგვატირა.

## ვარდები მწერალთა მტილში

ნოდარ დუმბაძის პირველ მეგობრებში მე არ ვეწერე, მაგრამ ჩვენს შორის სხვაგვარი ურთიერთობა სუფევდა.

ორივე ვგრძნობდით, რომ ერთმანეთს პატივს ვცემდით, ერთმანეთი გვიყვარდა... ამას არ ვამხელდით.

ერთხელ, მწერალთა კავშირში, მის სამუშაო ოთახში, გულითადი საუბარი გვქონდა. შემოვიდა თანამშრომელი, მოვიტანეთო, — ერთი სიტყვა თქვა და გავიდა.

უცებ ნოდარმა საუბარი შეწყვიტა, შეეცვალა გუნება-განწყობილება, კარგ ხასიათზე დადგა. თითქოს სხვა ადამიანად იქცაო, წამოდგა და მითხრა, ვარდები უნდა დაგარგვევინოო.

ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა, ვერ მივხვდი. ჩემთვის მეტად მძაფრ საკითხებზე ვსაუბრობდით, იმ საუბარს არ ებმებოდა, არ უთავსდებოდა ვარდების დარგვა. ალბათ, იხუმრა-მეთქი, ხუმრობასაც არ ჰგავდა, წამოდგა და სადღაც მიეყავარ...

თურმე, წელამ, თანამშრომელი რომ შემოვიდა, იმას იმ ერთი სიტყვით უთქვამს: ვარდები მოვიტანეთ, ჩამობრძანდით, მწერლებო, და დარგეთო.

ნოდარ დუმბაძე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელად ახალდანიშნული იყო. მოუწადინებია მწერალთა კავშირის მტილის განახლება, კოინდრის დათესვა, ვარდების დარგვა და სხვ...

„მტილი!“ მაპატიოს ნოდარ დუმბაძის სულმა, — ბაღის ნაცვლად მტილი ვიხმარე და არაბუნებრივად აჟღერდა, არაბუნებრივობა არ უყვარდა. სხვათა სიტყვების ნაცვლად ძველი ქართული სიტყვა ვიხმარე და უცხოდ გვეყურება. სხვათა სიტყვები „ბაღი“ და „ბოსტანი“ დღეს უფრო მშობლიურია, ვიდრე საკუთარი — „მტილი“.

ამის წინააღმდეგ ბრძოლა ჩემი ცხოვრების დედააზრია. იცის ეს ნოდარმა, ამიტომ მექცევა სხვაგვარად, თვითონაც აუღია ფარ-ხმალი ამ საქმისათვის... თვალწინ მიდგას მისი ტიგრანა, კაცისმკვლელი, ციხეში რომ ქართულ ენას ასწავლის ქართველებს.

ჩვენ მივდივართ მწერალთა პატარა ბაღისაკენ, ანუ მტილისაკენ.

— წამოდი, ძამა, ვარდი დარგე, გულზე მოგეშვება, — მითხრა წრფელი, კეთილი გულით და კიბეზე ჩამიყვანა. წინ მიმიძღვის, ეზოში ვავედით. გამოჩნდა მწერალთა ლამაზი, პატარა კუთხე-ადგილი, „სევდიანი ფიქრთ გასართველად".

ნოდარმა ჯერ ვარდებს დახედა, მერე თანამშრომლებს, რაღაც არ მოეწონა.

— ასფალტზე ხომ არ დავრგავთ ამ ვარდებსო, — ჩაიდუდუნა და წავიდა.

მე თანამშრომლებთან დავრჩი. ნოდარი სხვა ადამიანი იყო, მას გაჯავრების უფლებაც ჰქონდა და აღფრთოვანებაც ჰშვენოდა.

ავიღეთ ხელში ბარ-თოხი, სათლები და შევუდექით მიწის მოზიდვას. იქვე, ბაღის კუთხეში უნდა მოგვეთხარა მიწა და შესასვლელთან, ასფალტზე დაგვეყარა, პაწია ვარდნარი შეგვექმნა.

ნოდარი აივანზე გადმოდგა და დამიძახა, ამოდი, ეგენი დახმარების ღირსნი არ არიანო. მე არ ავედი. რახან დარგვაა, დარგვა იყოს-მეთქი და გულით მივეხმარე თანამშრომლებს. ნოდარი თავის სამუშაო ოთახში შეიმალა, ცოტა ხანში, გულმა არ მოუთმინა და კვლავ გადმოდგა აივანზე. მე ვუთხარი:— ხომ ხედავ, რა კარგად ვმუშაობ, მიმიღე მებაღედ და მწერლობას საერთოდ თავს მივანებებ, მეც დავისვენებ და თქვენც დაისვენებთ-მეთქი. — მარტო ჩვენო? — გააგრძელა ჩემი წამოწყებული საუბარი, — დაისვენებს შენი ცოლ-შვილი, გამომცემლობები, რედაქციები, სხვა დაწესებულებებიც, მაგრამ შენი მიღება მებაღედაც არ შეიძლებაო.

რატომ-მეთქი, ავძახე ქვემოდან.

ეკალს დარგავო, — ჩამომძახა.

ყველას გაეცინა. ნოდარის ხმას ყური რომ მოჰკრეს, ფანჯრები გამოაღეს ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ქალებმა, აციმციმებული თვალებით იმზირებოდნენ მტილში.

ვითომ ტოლი არ დავუდე, შევეცადე გავჯიბრებოდი და ავძახე.

— შენი თვალით ხომ ხედავ, ვარდებს რომ ვრგავ, ეკლად რად გეჩვენება-მეთქი.

— იმას მე გარგვევინებ, თორემ შენ, მე ვიცი, რა ვარდების დამრგველი ხარო!..

თვითონაც ვარდებს რგავდა და სხვასაც არგვევინებდა. მოწადინე იყო, ვარდები არა მარტო მწერალთა მტილში დაგვერგა. მთელი თავისი სიცოცხლეც სწორედ ამას მიუძღვნა.

**რეზო ჭეიშვილი**

## მოგონებასავით

მოხდა ისე, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო განყოფილებაში 1962—65 წლებში სტუდიის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, აწ განსვენებულმა მიხეილ კვესელავამ, ქართველ მწერალთა მოზრდილ ჯგუფს მოუყარა თავი, რაც თავისთავად, სასცენარო კოლეგიის ჩამოყალიბებით იყო გამოწვეული. ეს იყო, ალბათ, ერთადერთი და განსაკუთრებული შემთვევა კინოსტუდიის არსებობის ისტორიაში. მთავრობის დადგენილებით სასცენარო განყოფილება გადაკეთდა, სინამდვილეში გაფართოვდა, სასცენარო კოლეგიად და რედაქტორებმა, კოლეგიის ნამდვილმა და მოწვეულმა წევრებმა ორ ათეულს გადააჭარბა. ჩამოვთვლი მაშინდელი სასცენარო განყოფილების მწერალ თანამშრომლებს: ვახტანგ ჭელიძე (თავმჯდომარე), სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ნოდარ დუმბაძე, გურამ ასათიანი, ედიშერ ყიფიანი, ოთარ კუპრავა, მუხრან მაჭავარიანი, მიხეილ ქელიეიძე, აკაკი ბაქრაძე, გიორგი ხუხაშვილი (მეშინია, არავინ გამომრჩეს), რეზო ჭეიშვილი.

ნოდარ დუმბაძე, მაშინ უკვე აღიარებული მწერალი, ქართველი მკითხველის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა, თუმცა, წინა პერიოდის მცირე ზომის ნაწარმოებების ჩაუთვლელად, მხოლოდ ორი რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და „მე ვხედავ მზეს" ჰქონდა გამოქვეყნებული.

ერთის ეკრანიზაცია დამთავრებული იყო, მეორესი სწორედ მაშინ მთავრდებოდა ჩვენს თვალწინ. ნაჭერ-ნაჭერ, ნაწილ-ნაწილ ვუყურებდით მაშინ მხატვრულ სურათებს, ვუყურებდით მასალებს, სინჯებს, მულტფილმებს, დიაფილმებსაც კი. ვიხილავდით და ვამტკიცებდით ყველაფერს, რისი განხილვაც და დამტკიცებაც შეიძლებოდა. მონაწილეობას ვიღებდით სამხატვრო საბჭოს (სახელმწიფო სათათბიროს რომ გავდა) მუშაობაში, გვიან ღამემდე ვისხედით საპროექციო დარბაზებში, ვდავობდით, ვკამათობდით, ვცხარობდით. ჩიტი ბღღვნად არ ღირდაო, ისე იყო ჩვენი საქმე, მაგრამ ასეთი იყო მაშინდელი მუშაობის სტილი და ჩვენც, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, იმდროინდელი მუშაობა და იმდაგვარი სამსახური მოგვწონდა. ღამის ტუსვა, დავა-კამათი (იყო თუ არა საჭირო, ძნელი სათქმელია) არ ეველიდა, არ გვწყინდებოდა. დრო კი მიდიოდა და ჩვენს ნამდვილ გასაკეთებელს ვინ გააკეთებდა, არ ვანგარიშობდით, იმ დაკარგულ შემოქმედებითი წლების ანაზღაურებაზეც არ ვფიქრობდით, რადგან ეს ცხოვრებაც გრძელი, უსასრულო და უთავბოლო გვეგონა. ნოდარი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული მაშინდელ კინოსტუდიასთან. იშვიათად ნახავდით სტუდიის ტერიტორიის გარეთ. იქ აღამებდა და იქ ათენებდაო, რომ იტყვიან, ისე იყო. ზოგიერთი მწერალი მოწვეული იყო, როგორც ვთქვი, და მხოლოდ განხილვებზე მოდიოდა, ზოგიერთი სხვა საქმიანობას, სხვა სამსახურსაც უხამებდა იქაურობას, ზოგს გაქცევაზე ჰქონდა თვალი, მაგრამ ნოდარი მუდამ ჩვენთან (ძირითად ბირთვთან) რჩებოდა და ვიმეორებ, სტუდიის ცხოვრებით ცხოვრობდა. შემდეგ მივხვდი, ეს თვისება მარტო კინოს სიყვარულით არ ყოფილა გამოწვეული, ჩვევა იყო თურმე. როცა ჩვენგან კულტურის სამინისტროს რომელიღაც სამმართველოში გადავიდა, უფრო სწორად, ბატონ ვახტანგს გადაყვა, მაშინ უფრო გამიმტკიცდა ეს აზრი. რამდენიმე დღის შემდეგ მივაკითხეთ და ნახევრადბნელ ოთახში დაგვიხვდა, ძველთაძველ მაგიდასთან მოკალათებული. მოწყენილი და შეწუხებული მომეჩვენა. აქაც შეიძლება დიდი საქმეების გაკეთებაო, აგვიხსნა და ვერ დაგვარწმუნა, რადგან თავადვე არ ჯეროდა თავისი ნათქვამი. არ შვენოდა კანცელარია, მაგრამ სანამ იქნებოდა (ცოტა ხანი დარჩა), იქაურობას არ მოშორდებოდა, იქაურ კო-

ლექტივში გაითქვიფებოდა. მიეხვდი, სხვანაირად არ შეეძლო. „ნიანგს“ რომ ხელმძღვანელობდა, „ნიანგით“ არსებობდა, მწერალთა კავშირში რიცა იყო, მწერალთა კავშირით ცხოვრობდა და ასე შემდეგ. ჩვენთან ყოფნისას დიდი ტრაკმის, დიდი შინაგანი ტკივილის დაღი ანნდა; იმ გაუნელებელ ტკივილს და დარდს თან ატარებდა, სხვას არ უზიარებდა და შეიძლება ამიტომაც ბევრს უდარდელი და ბედნიერი ეგონა. რაღა შორს წავიდე, მე თავად გარეგნულად მხიარული, მომღიმარი, მზემოკიდებული და ძალიან ჯანმრთელი იმდროინდელი ნოდარი მახსოვს. ერთი დღის გაუპარსავსაც ჯაგარიკით შავი წვერა დააყრიდა და შვენოდა. ხუმრობდა, ჩემი ბავშვები, შინ რომ არა ვარ, ჩემს მაგივრად ლამპის საწმენდ ჯაგრისს ეფერებიანო. მოყვითალო ველვეტის პიჯაკს იცვამდა, ცოლის ნაყიდიაო, ამბობდა და მოწონდა. მაშინ შეუმჩნეველად სუქდებოდა, ის პიჯაკიც ამსხვილებდა, მაგრამ რაღაცნაირ სპორტულ იერსახესაც ანიჭებდა. ერთხელ „უსკუპიათი“ ადგილიდან (რითაც ძალიან გამაოცა) მაგიდაზე შეხტა. მივბაძე და ვერ ვქენი. ჩემზე უფროსმა რომ მაჯობა, გავბრაზდი, მონდომებით და მოთმინებით შევუდექი საწადელის ასრულებას. ნოდარი მიყურებდა და გაბმულად იცინოდა. ჩაბჟირებული სიცილი იცოდა. ამ გადამდები სიცილისათვის სხვებსაც მიუქცევიათ, ცხადია, ყურადღება, მაგრამ სხვანაირი სიცილიც იცოდა. როცა სასაცილოს ყვებოდა, ერთ-ერთ მსმენელთაგანს ამოიჩემებდა, სახეს სახესთან მიუტანდა, მიაჩერდებოდა, მონუსხავდა და კარგი ლოტბარივით თავის ხმაზე აცინებდა იმასაც. ჰიპნოზის დონეზე აკეთებდა ამას. მანქანის გამოყვანას აპირებდა იმ ხანებში, ტარებას კერძო მასწავლებელთან სწავლობდა და დავყეებოდი ხანდახან. ერთგულად, მუყაითად ეუფლებოდა მართვას, დამჯერე და გამგონი, შესაშური მოთმინებით იტანდა ბევრად უმცროსი მძღოლის საკმაოდ მკაცრ შენიშვნებსა და საყვედურებს.

ჯ დიდი და ძვირფასი შეხვედრა მოუწყვეს ერთხელ გორშიკ თან ვახლდით: მე, ვიგლა ხუხაშვილი და ოთარ იოსელიანი. საჩუქრებითა და გზაში ყელის გასასველებლით გამოისტუმრეს ვორელებმა. გვიანი ღამე იყო, მაგრამ გზაში გავჩერდით მაინც და მთვარიანში (თითქოს სმა-ჭამა გვაკლდა) სტუდიის მანქა-

ნის კაპიტზე გავშალეთ გამოტანებული პურ-მარილი. ნოდარ-მა, რატომ, არ ვიცი, ნაჩუქარი ვაზებიც გამოფინა, ამით დავ-ლიოთო. იმით რა დალევდა, ვედრო ჩადიოდა თითოში. ოთარ იოსელიანმა უთხრა, ნივთომანიისა და ბროლომანიის წინააღ-მდეგ მე კინოებს ვიღებ და შენ სად მოგაქეს ეს სიმდიდრეო. თუ ასეაო, აიღო ნოდარმა და უზარმაზარი სასალათე დააფშვნა ასფალტს სადღაც ოკამის მისადგომებთან. პირველს მეორე მი-აყოლა, მეორეს მესამე და ვეცით მე და გიგლა. ერთი ან ორი ვაზა გადავურჩინეთ, როგორც იქნა. მთვარის შუქზე ბრჭყვია-ლებდა ღამეში ბროლის ნამსხვრევებით მოფენილი ასფალტი. მახსოვს ოთარ იოსელიანის საზეიმო ხმა: „რაზბეი, ნოდარ, რაზბეი!“ მეორე დღეს ყასიდად მისაყვედურა, რატომ არ გამა-ჩერე, კინაღამ მომკლა შინ ნანულიმო. მე ვუთხარი, სულხან-საბას ბუნაგში შესული კაცის და დათვის არაკის არ იყოს, ის ერთიც არ მიგყვებოდა, მე და გიგლა რომ არ ვყოფილიყავით-მეთქი. იცინოდა, წინაღამინდელ ისტორიას იხსენებდა სხვების თანდასწრებით. აღტაცებულიც კი იყო თავისი საქციელით, ვხვდებოდი. კიდევ ბევრჯერ ვიყავით ერთად სტუდიის, სხვისი, თუ ნოდარის მანქანით ჭირში, ლხინში, შეხვედრებზე, კახეთ-ში, ქუთაისში, ქვემო ქართლში თუ სხვაგან. ბოლო ერთობლი-ვი მოქუთაისება დამამახსოვრდა განსაკუთრებით. სიმონ ჩი-ქოვანის იუბილეზე გავემგზავრეთ მატარებლით: ნოდარი, ედი-შერ ყიფიანი, გურამ ასათიანი, მიშა ქვლივიძე, მერაბ სალა-რიძე და მე. რამდენიმე დღე დავრჩით ქუთაისში, დავესწარით მშვენიერ საიუბილეო საღამოებს და ჩვენ კიდევ ჩვენი გავა-კეთეთ. საშუალებაც იყო და ჯანიც მოგვდევდა საამისოდ. სი-ცილ-ხარხარში, სიმღერაში, ერთმანეთის ქება-დიდებაში და სიყვარულში თენდებოდა და ღამდებოდა. დღემდე სათუთად ვი-ნახავ და ახლა სინანულით დავყურებ პედინსტიტუტის ეზოში გადაღებულ ფოტოსურათს: ნოდარი, არჩილ სულაკაური, ედი-შერ ყიფიანი, მე, მერაბ სალარიძე, ლევან სანიკიძე (მაშინ მასპინძელი), მიშა ქვლივიძე და სხვები ვჩანვართ ამ ფოტოზე. რატომ არ არის გურამ ასათიანი, ახლა ვერ ვიხსენებ. წინა პლანზე შავულვაშა და შავთმიანი ნოდარი დგას, ცალ ხელში ქუდი და მოუშორებელი სიგარეტი უჭირავს, ცალი ფეხის

ქუსლზეა დაყრდნობილი, თითქოს, სათამაშოდ, სალაღობოდ გამზადებული.

უამრავი მეგობარი და ნაცნობი ჰყავდა მაშინაც, მაგრამ არც ეს, არც ხუთი წლით უფროსობა ჩვენთან მეგობრობაში არ უშლიდა ხელს. ჩვენი ფიქრი, საუბარი, დავა თუ კამათი ლიტერატურის, ხელოვნების, კერძოდ, კინოს და თეატრის გარშემო ტრიალებდა მუდამ. თანამედროვე ქართული მწერლობის მომავალი, იმდროინდელი მდგომარეობა, მიმართულება, მწერლების (ახალგაზრდებისა და უფროსების) ურთიერთდამოკიდებულება და რატომღაც საორგანიზაციო საკითხები იყო მისი უპირველესი საფიქრალი მაშინაც კი. სტუდიიდან იგი, როგორც აღვნიშნე, ცოტა ხნით კულტურის სამინისტროში, შემდეგ ისევ „ნიანგში" გადავიდა და ბოლოს მწერალთა კავშირს ჩაუდგა სათავეში, როგორც ვიცით. მე, პირადად, ძალაუნებურად ჩამოვშორდი, თუმცა ურთიერთობა არ გამიწყვეტია, სიყვარული და პატივისცემა არ დამიკარგია. სათქმელად არ ღირდეს შეიძლება, მაგრამ ფაქტიურად მასთან ერთად შემოვედი მწერლობაში. შინ მიდევს 1959 წლის მეოთხე ნომერი „ცისკარი", სადაც ნოდარის, სატირისა და იუმორის განყოფილებაში, პეტიტით (ამ კურიოზის ახსნის დრო და ადგილი არაა) აწყობილი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და „ჭაშნიკში" მოთავსებული ჩემი პირველი მოთხრობებია დაბეჭდილი. ამის შემდეგ დრო გავიდა, მეჩვენებოდა, რომ მინდობილი იყო დროს და ბედს, რომელიც მას არცთუ ისე წყალობდა.

ცხოვრება აგორებული ქვაა და იგი ადრე თუ მალე გაჩერდება, ცხადია, მაგრამ ჩვენც ხომ გაძლებაზე ვართ ამქვეყნად, ვალდებული ვართ გავძლოთ და ისე შევხვდეთ განსაცდელს, როგორც ნოდარი შეხვდა, როგორც ნოდარმა შეძლო; მანამდე კი ის ვაკეთოთ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, რაც განგების მიერა გვაქვს დაკისრებული. ბევრი გააკეთა, ბევრი გასაკეთებელი დარჩა მაინც. დამსახურებულმა, მაგრამ ნაადრევმა დიდებამ, ანდამატივით ხასიათმა პატივისმცემელთა ჯარი მოუმრავლა. უამრავი, რომელთაც ლიტერატურასთან საერთო არ ჰქონია, დაეზვია ფარვანასავით და ამან კი, ჩემი მცდარი აზრით, საბოლოოდ შეარყია მისი რკინის ჯანმრთელობა. ასე

რომ არა, იგი კიდევ მრავალი ნაწარმოებით გაგვახარებდა და დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

ის დღეები, წუთისოფლისათვის ხანმოკლე, კაცის ეფიმერიდისათვის ხანგრძლივი დღეები კი ჩემი ცხოვრების ერთი ბედნიერი ხანა მგონია.

**ვახტანგ ჯელიძე**

## ნოდარ დუმბაძის ორი გახსენება

საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში გავიცანი. პაემანი მქონდა დანიშნული კაცთან, ვისთვისაც არათუ თვალი არ მომეკრა, ვისი არსებობაც კი არ ვიცოდი. არც მას ვენახე, თუმცა ჩემი სახელი და გვარი იქნებ გაგონილი ჰქონდა. ეს მოხდა 1955 წლის მაისის დასაწყისში, ვერის დაღმართზე, ყოფილ სახწრაფო დახმარების პატარა სკვერში. მე იქვე ვცხოვრობდი, იმ პატარა ბაღის პირდაპირ, მაგრამ ამჟამად გაღმიდან მოვდიოდი და შორიდანვე დავინახე, უკვე მოსულიყვნენ, ბაღის მერხზე ისხდნენ. და თუმცა ეს კაცი აქამდე არ მენახა, ეტყობა, ქვეცნობიერად მქონდა წარმოდგენილი მისი გარეგნობა, — როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, — და ახლოს რომ მივედი, ერთბაშად გავიფიქრე, რომ ეს სხვა იყო ვიღაც — არა ის, ვისაც მე უნდა შევხვედროდი...

წინა დღეებში „ნიანგის“ რედაქტორად დამნიშნეს. სანამ ახალ რედაქციაში მივიდოდი, მივიკითხ-მოვიკითხე — ვეძებდი შესაფერ ხალხს, უმთავრესად ახალგაზრდობას, რომლებიც სათანამშრომლოდ უნდა მიმეწვია. ჩემი გეგმა მქონდა — გამეჩოიერებინა ის ხაზი, რითაც მუდამ გამოირჩეოდა ქართული იუმორისტული ჟურნალები, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ორგანო ყოფილიყო იგი — მძაფრი, მწვავე, მახვილი, მაგრამ უსათუოდ ხალისიანი, და, რაც მთავარია, რამდენადმე მაინც მიახლოვებოდა ჩვენი მწერლობის მხატვრულ დონეს, ყოველგვარი ცხოვრებისეული მანკიერება, ყოველივე ადამი-

ანური სისუსტე მკაცრად დაეემო, მაგრამ ხალისიანი, კეთილი სიცილით, თანაც ეს დაცინვა შეურაცხმყოფელი და დამთრგუნველი არ ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, თვით მკითხველისათვის. მკითხველის გაცინების მიზნით საქართველოს სხვადასხვა კუთხის დიალექტებისა და ქალაქური ჟარგონის ჭარბი გამოყენება, რაც ძალიან დიდი ხნის წინათ დაიწყო და რამაც იმ ბოლო წლებში ახალი ძალით იფეთქა, ჯერ მკაცრად შეგვეზღუდა, და თანდათანობით სულაც უარგვეყო; კელეა აღორძინებულიყო ტრადიცია ქართული იუმორისტული ნოველისა...

ამ გეგმების შესრულებას უსათუოდ სჭირდებოდა ახალი ძალები, ახალგაზრდა მწერლები და მხატვრები, რომელთაც მოყირჭებული არ ექნებოდათ ამ ჟანრში მუშაობა. იუმორი, რამდენადაც ხალისიანია, იმდენად ძნელია და იშვიათი, და ეს უბედურება სჭირს, რომ მალე შტამპად იქცევა ხოლმე; ზოგჯერ ვერც კი გრძნობს იუმორისტი, — მწერალი იქნება თუ მხატვარი — როგორ გამოუმუშავდება ტრაფარეტი და მერე როგორ იმეორებს ამას სხვადასხვა ვარიაციებით. კარგი იუმორისტული ნაწარმოები რამდენჯერმე შეიძლება წაიკითხო, და მაინც არ მოგბეზრდება; პირვანდელი ხიბლი და ხალისი არ აკლდება; მაგრამ როცა ერთხელ უკვე გამოყენებულ ხერხებს და სიტუაციებს სხვა ნაწარმოებში შეხვდები, როცა ეს ხერხები სტერეოტიპულად მეორდება, ძალას ჰკარგავს და უხალისოა, მქისე და უემოციო.

ერთი სიტყვით, ასეთი გეგმებით მივდიოდი ახალ რედაქციაში, და ალბათ საინტერესოც იქნებოდა ეს გეგმები, შესრულებას თუ მოვახერხებდით, ეს კი ადვილი არ იყო, თუ ნიჭიერ ხალხს, უმთავრესად ახალგაზრდებს ვერ მივაგნებდით და საათანამშრომლოდ არ მივიწვევდით.

ჩემი გეგმები გავაცანი ედიშერ ყიფიანსაც — შესანიშნავ ადამიანსა და მწერალს; მას უკვე კარგა ხანია ვიცნობდი, ერთად ვმუშაობდით „დროშის“ რედაქციაში, და თავიდანვე შემიყვარდა იშვიათი გულწრფელობისა და უშუალობის გამო. მას თავად ჰქონდა იუმორი — იქნებ არა ისეთი ხალასი და ცინცხალი, მაგრამ თავისებური და საინტერესო; და მე მომწონდა მისი იუმორი. ედიშერ ყიფიანს ერთი მომხიბლავი თვისება

ჰქონდა — ყოველთვის გულწრფელად ახარებდა სხვისი წარმატება და არავის მიმართ ოდნავადაც კი არ გრძნობდა შურს — თუნდაც იმდენს, რაც ადამიანის ბუნებისათვის იქნებ ჩვეულებრივი და მოსათმენი იყოს. ედიშერი ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა იყო და, ბუნებრივია, უფრო იცნობდა ახალგაზრდობას, ყველაზე უკეთ მას შეეძლო ერჩია, ვისი მოწვევა შეიძლებოდა ჟურნალში სათანამშრომლოდ. მან მართლაც გაიხსენა რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაგან ზოგიერთის გვარი გამეგონა კიდეც, და დამისახელა ერთი ახალგაზრდა კაციც, რომელსაც ეკონომიური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, და წერა შეეძლო; რაც ჩემთვის ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, იუმორის გრძნობა ჰქონდა. თუკი ვინმეს შეეძლო ამ საქმეში დამხმარებოდა, ყველაზე შესაფერი და საიმედო, ის უნდა ყოფილიყო. ასე დამიხასიათა იგი ედიშერმა, და მეც მოუთმენლად ველოდი მის ნახვას. ეს კაცი გახლდათ ნოდარ დუმბაძე და სწორედ მას უნდა შევხვედროდი იმ დღეს იმ პატარა ბაღში.

როგორც უკვე ვთქვი, შევხვედე თუ არა, მაშინვე ის გავიფიქრე, რომ ეს სხვა იყო ვიღაც, ამ კაცს იუმორისტობისა არაფერი ეტყობოდა; ალბათ ჯერ არ მოსულა-მეთქი, და ცოტა მეწყინა კიდეც, რადგან არ მინდოდა ჩვენს საუბარს სხვა დასწრებოდა. ისინი ჯერ ვერა მხედავდნენ, თავისთვის საუბრობდნენ — მე ქვემოდან მოვდიოდი და იმ მხრიდან არ მელოდნენ. თითქმის თავზე წავადექი და მაშინღა დამინახეს. ედიშერი სწრაფად წამოდგა, ის კაცი ზლაზვნით წამოიმართა. და გაოცებული დავრჩი, როცა ედიშერმა გამაცნო — ეს არის ნოდარ დუმბაძეო.

ეს იყო საშუალო ტანის, შესამჩნევად გამხდარი, შავგვრემანი კაცი. ეცვა შავი ბლუზა, წვერიც თითქოს საგანგებოდ მოეშვა, რომ ერთბაშად იმედი გამცრუებოდა და მისი იუმორისტობა არ მერწმუნა: ნაღვლიანი, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და შავი წვერი უფრო გატანჯულს აჩენდა მის სახეს. ყველაფერი შეიძლებოდა გეფიქრა და იმას კი ვერაფრით ირწმუნებდი, ამ კაცს არათუ იუმორისტული თხზულების დაწერა, საერთოდ ხუმრობა თუ შეეძლო. ხელი უხალისოდ ჩამომართვა და დავსხედით. მეც წამერთვა ხალისი, რომ გეგმები გამეზიარებინა და მისი აზრიც მომესმინა. მაგრამ რაკი ამისთვის

მყავდა ეს კაცი დაბარებული, რა უნდა მექნა. წარბებს ქვეშიდან აეხედე, ჩემი პირველი შთაბეჭდილება შევამოწმე; ხომ ხდება ხოლმე — თვალი მოგატყუებს; ძალიან მინდოდა, ახლაც ასე ყოფილიყო... მაგრამ არა, აშკარად არ იყო ის კაცი, ვინც მე მჭირდებოდა და ვისთან შეხვედრასაც ვეშურებოდი. საოცარი ის იყო, რომ ამ ახალგაზრდას უბრალო ინტერესიც კი არ გამოუჩენია. მისი თვალები უნდობლობას გამოხატავდა. აშკარად ეტყობოდა, არა სჯეროდა — არც შენი გეგმებისა, არც იმისა, რომ მას ნამდვილად იწვევდი სათანამშრომლოდ. ზოგჯერ ცერად გამომხედავდა ხოლმე, ჩუმად მისმენდა; ჩემს გეგმებზე არც ავი უთქვამს და არც კარგი. მგონი, საერთოდ არ ამოუღია ხმა იმ დღეს. რაკი ჩვენი საუბარი ვერ აეწყო, დიდხანს აღარ გავჩერებულვართ. დავთქვით, რომ ზეგ ამა და ამ საათზე იგი პირდაპირ რედაქციაში მოვიდოდა და მე იქ დავხვდებოდი. ზანტად წამოდგა, ისევე უსალისოდ დამიკრა თავი და წავიდა. ასე დამთავრდა ჩვენი პირველი შეხვედრა. მე ის არ მომეწონა და მას ალბათ მე არ მოვეწონე. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ჩემს ცხოვრებაში ძალზე დიდ ადგილს დაიკავებდა. მით უფრო ვერ წარმოვიდგენდი — ვერც მე და ალბათ ვერც ის, — რომ იგი ჩვენს მწერლობას ასეთ დიდ ძალად მოეელინებოდა, რომ ჩვენი ლიტერატურა ელოდა მას, რომ სწორედ ასეთი მწერალი აკლდა ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას.

გავიდა ის ორი დღეც. მე აბსობაში ვამზადებდი ჟურნალის ნომერს, რომელზედაც პირველად უნდა მომეწერა ხელი. რაღაც მასალები მოგროვდა, მაგრამ კმაყოფილი არ ვიყავი. ბაღში გაცსობილ ნაღვლიან ახალგაზრდა კაცზე მერე აღარ მიფიქრია, რაკიღა იმედი არ მქონდა, თითქმის გადამავიწყდა. და მგონი გამიკვირდა კიდეც, როცა მესამე დღეს, ზუსტად დანიშნულ დროს — ისე რომ ერთი წუთიც არ დაუგვიანია — კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა იმგვარადვე ჩაცმული, იმგვარივე ნაღვლიანი; ოღონდ წვერი გაეპარსა და სახე თითქოს განათებოდა; თუმცა თვალებში კვლავ ის სევდა და უნდობლობა ჰქონდა აღბეჭდილი. ჩემთან რედაქციის ძველი თანამშრომლები ისხდნენ. წამოვდექი, ახალმოსულს ხელი ჩამოვართვი და ვთხოვე, ცოტათი დაეცადა, კუთხეში დივანზე მივუთითე. კა-

ბინეტს ცალ მხარეს მთლიანი მინის კედელი ერტყა და რუსთაველის პროსპექტს გადაჰყურებდა. სწორედ ამ კუთხეში იდგა დივანი. მან თავი მიაბრუნა და ქუჩისკენ დაიწყო ცქერა — ალბათ ამით გვაგრძნობინა, რომ ჩვენი საუბარი არ აინტერესებდა, ხელს არ შეგვიშლიდა.

თანამშრომლებმა დაეჭვებით და დაუფარავი ირონიით გახედეს ახალმოსულს. მათ ადრევე იგრძნეს, რომ მე ახალი ძალების შემოკრებას, რედაქციის „გაახალგაზრდავებას" ვაპირებდი, და, ბუნებრივია, ყოველ ახალმოსულს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ, ცდილობდნენ გაეგოთ, ესეც ერთ-ერთი იმ მოწვეულთაგანი თუ იყო, და მერე უკვე აღარც ფარავდნენ თავიანთ — მტრულს არ ვიტყვი, მაგრამ — არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. ახლაც, რაკი ამ კაცს საგანგებოდ დაცდა ვთხოვე, უკვე იაზრეს და ის ირონიული ღიმილიც ამან გამოიწვია. ეს დაუფარავი ირონია იმის გამოხატულება იყო, რომ მე აშკარად მცდარ გზაზე ვიდექი და უსათუოდ დავმარცხდებოდი — თუ ასეთი გაუცინარი და აშკარად არაიუმორისტი ხალხის იმედით ვიყავი. მალევე წამოიშალნენ და გავიდნენ, მარტო დაგვტოვეს; საბას არაკისა არ იყოს, გულში ალბათ ფიქრობდნენ — იმასაც მალე ვნახავთ, რა სოფელს ააშენებთო.

მაგიდასთან ახლოს მოვიწვიე. იგი მძიმედ მომიახლოვდა და დაჯდა. ერთი წუთით დუმილი ჩამოვარდა. ეს არის ყველაზე მძიმე წუთი რედაქტორისთვისაც და ავტორისთვისაც. რედაქტორი მუშტრის თვალით აკვირდება ავტორს, შიშით ელის — ვაი თუ ავტორმა ჟურნალისათვის შეუფერებელი მასალა წარუდგინოს (მცდარია ის აზრი, თითქოს რედაქტორს უარის თქმა არ ეძნელებოდეს), და ავტორიც ერთგვარი დაეჭვებით და უნდობლობით შეჰყურებს რედაქტორს — ვაი თუ მან ვერ გაიგოს და ჯეროვნად ვერ შეაფასოს მისი თხზულების ღირსება. ეს უხერხული წუთი, ჩვეულებრივ, ძალიან გაჭიანურებული ჩანს და საკმაოდ უსიამოვნოა. თუმცა ასეთი გრძნობის საფუძველი ახლა თითქოს არ უნდა გვქონოდა; მე უბრალოდ იმას ველოდი, რას მეტყოდა ეს კაცი, რადგან დაწერით, ეტყობა, არაფერი დაეწერა — ხელში არაფერი სჭერია. ამრიგად, მე იმას ველოდები, რას მეტყვის და ის კი თურმე მე მელოდება. ბოლოს უხალისოდ წაიღო ჯიბისკენ ხელი და რვეულის ორმა-

გი ფურცელი ამოიღო — ოთხად დაკეცილი და საკმაოდ დაჭ-მუჭნული. გამომიწოდა. ოღონდ არა შიშით და გაუბედაობ, არამედ უხალისოდ და უნდობლად. ალბათ მოეჩვენა, რომ მე რაღაც არ მესიამოვნა, და არც შემცდარა — მართლაც გამი-კვირდა: ახალგაზრდა კაცს რედაქციაში სათანამშრომლოდ გიწვევენ, ხეირიანად არ გიცნობენ, და ეს მაიწც ქენი, რომ თუ გადაბეჭდვა არ შეგიძლია — წესიერ სტანდარტულ ქაღალ-დზე სუფთად გადაწერე და ნუ დაჭმუჭნი, ისე მოიტანე, ეს რა დაუდევრობაა, რა უპასუხისმგებლობა. ამიტომაც არ მესიამოვ-ნა, და როგორც ითქვა, ეს მაშინვე მანაც იგრძნო, მაგრამ თქმით არაფერი მითქვამს. რატომ უნდა გამემჟღავნებინა ჩემი შთა-ბეჭდილება თუ განწყობილება კაცისათვის, რომელსაც შემ-თხვევით შევხვდი და ისევ მალე უნდა გავშორებოდი. ვინ იცის, კვლავ შევხვდებოდი თუ არა.

გამოვართვი ქაღალდი და, როგორც იქნა, გაგშალე. ხელს ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ საოცრად მკაფიო და წათელი იყო. გაშლილი გვერდები რვეულის ფურცლებისა, და მესამე გვერ-დიც, ნაწერი იყო, მეოთხე — თავისუფალი.

დავიწყე კითხვა. თავი არ ამიღია. ვერ ვიტყვი, ამ დროს მიყურებდა თუ არა, აკვირდებოდა თუ არა ჩემს განწყობილე-ბას... თავი რომ აეწია და შევხედე, — არ ვიცი გაოცებას უფრო გამოხატავდა ჩემი სახე თუ აღფრთოვანებას — თვალები გაბრ-წყინებოდა და ღიმილით შემომცქეროდა. ეს იყო ნოდარ დუმ-ბაძის ღიმილი — კეთილი, ალერსიანი, სევდაგარეული ღიმი-ლი, რომელიც მას შემდეგ აღარ მომშორებია და ალბათ სამა-რის კარამდე გამყვება.

პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის მართალია, ამბობენ. იქნებ ზოგჯერ ასეც იყოს, მაგრამ მე პირადად, რამდენიმე საინ-ტერესო და ჩემთვის საყვარელ ადამიანს შევხვედრივარ ცხოვ-რებაში, და პირველ შთაბეჭდილებას თითქმის ყოველთვის მო-ეუტყუებივარ.

მაგრამ დაწყებული ამბავი უნდა დავამთავრო.

რვეულის იმ სამ ფურცელზე წარმოდგენილი იყო ნახატი-სუმრობების თემები და რამდენიმე ორიგინალური იუმორის-ტული მასალა. ძნელია, სიტყვებით გადმოსცე მაშინდელი ჩემი განწყობილება. ამას არც შეეცდები. თქმა იმისა, რომ ეს იყო

ხალასი, უკიდურესად იშვიათი იუმორისტული ნიჭი, სრული არ იქნება. ეს იყო ის, რასაც მე ვეძებდი, რაც იქნებ სრულად არცა მქონდა წარმოდგენილი და ქვეცნობიერად ვესწრაფვოდი. ეს იყო სიკეთით გამთბარი, თბილი, ალერსიანი იუმორი, ხალისიანი სიცილის მომგვრელი, სუფთა, ალალი, გულში რომ ოდნავ ხინჯსაც არ დაგიტოვებს, არავის მიმართ არ გაგაბოროტებს. იგი ნიშნის მოგებითა და გესლიანად კი არ დასცინის ადამიანის სისუსტეს, არამედ მისი თანამდგომია, მისი ერთგული კეთილი სული, და მასვე აცინებს, თავად ვერც კი იგრძნობს, ისე დააფიქრებს. აქ უკვე გამოსჭვიოდა დიდებული ქართული იუმორის ფოლკლორულისა და ლიტერატურულის— საოცარი შეზავება.

თავს ძლივს ვიკავებ, აქვე არ გადმოვცე იმ პირველ ღღეს მოტანილი იუმორისტული მასალა, როშელიც რაღა თქმა უნდა, ერთ ნომერში ვერ მოთავსდა. ეს ბევრ დროს წაიღებს. ამის შემდეგ „ნიანგში" განუწყვეტლივ იბეჭდებოდა მისი ხუმრობები — ზოგი ფსევდონიმით, ზოგი სულაც ხელმოუწერლად; მხოლოდ მხატვრის გვარია აღნიშნული, თემა კი მისია. ჟურნალმა ერთბაშად დაინტერესა მკითხველი და პოპულარული გახდა. ამის თქმას მე არ ვერიდები, რადგან ეს სულ მისი იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენიმე ნომრის შემდეგ გამოჩნდა მისი პირველი იუმორისტული ნოველა. და მერე მკითხველი ხშირად ხვდებოდა ჟურნალში ასეთ ნოველებს. ეს არ იყო ისეთი უბრალო იუმორი, ერთს რომ წაიკითხავ და მერე ფასი აღარა აქვს. ეს ეხებოდა იმ ცხოვრებისეულ მტკივნეულ პრობლემებს, რაც საერთოდ, დიდი მწერლობის თემა უნდა იყოს — აღზრდის მანკიერებას, საზოგადოებაში ღრმად ფესვებგადგმულ მეშჩანობას, პროვინციალიზმს... და იწერებოდა ეს ნოველები დიდი განზოგადებით, ტაქტით, გულისტკივილით... მაგრამ ისევ და ისევ ლაღად, ხალისიანად, ავტორისათვის ჩვეული სიკეთით და თანაგრძნობით. შემდეგ ეს ნოველები აღარავის მოჰგონებია, აღარც მათ ავტორს. მე კი ვფიქრობ, რომ მათ ადგილი უნდა დაეთმოს მწერლის თხზულებათა ტომეულებში. ისინი უსათუოდ იმსახურებენ ამას.

გავიდა არც თუ ისე დიდი ხანი და რედაქციას ახალი ნიჭიერი ძალები შემოემატა — გურამ ფანჯიკიძე, ჯემალ ლო-

ლუა, დიმიტრი ერისთავი... ედიშერ ყიფიანი ხომ სისტემატურად თანამშრომლობდა. ჟურნალი ნამდვილად გაახალგაზრდავდა და საგულისხმო ის არის, რომ ეს გახდა ერთგვარი ბირთვი იმ ახალგაზრდული ლიტერატურული ჟურნალისათვის — „ცისკრისათვის" — რომელიც თურმე მალევე უნდა დაარსებულიყო...

ოცდაათი წელი გავიდა იმ პირველი შეხვედრის შემდეგ. ზუსტად ოცდაათი წელი. რამდენი რამე მოხდა მას შემდეგ. ღმერთმა თითქოს საგანგებოდ ეს ერთი კაცი აირჩია და მასზე გამოსცადა — როგორ შეუძლია ადამიანის ბუნებას აიტანოს ამდენი სიხარულისა და მწუხარების განუწყვეტელი მონაცვლეობა. და ამ კაცმა გაუძლო ამ მკაცრ გამოცდას: იგი მწუხარებაში არასოდეს სულით არ დაცემულა, და არც ბედნიერებას უცთუნებია ისე, რომ ადამიანური ბუნების მკაცრად შეზღუდული საზღვრები დაევიწყებინოს...

ამ წლების განმავლობაში — ერთად ვმუშაობდით თუ არა, სულერთია — ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა. ჩვეულებაღ გადაექცა: რასაც დაწერდა, პირველად უსათუოდ მე წამაკითხებდა, ხელნაწერშიევ, და მერე დაბეჭდავდა. მას, ეტყობა, სიამოვნებდა ეს, უნდოდა პირველად კეთილგანწყობილი თვალი მოხვედროდა მის სტრიქონებს; და მეც, რაღა თქმა უნდა, მუდამ მახარებდა ეს, მახარებდა ყოველი მისი ახალი გამარჯვება... ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი, იმ დაუვიწყარი წლების, და როდესმე იქნებ ესეც დავწერო.

ახლა ყველაზე სევდიანი შეხვედრა უნდა გავიხსენო. ეს იყო 1984 წლის ივლისსა თუ აგვისტოში. წავკისში ვიჯავი. ერთ დილას ბავშვებს ხათრი ვერ გავუტეხე და კოჯორში წავიყვანე. მალე მოვბრუნდით. ეზოში რომ შემოვედი, მანქანა დავინახე. ვიცანი, ვისიც იყო; ვიფიქრე, რაღაც საქმეზე კაცი გამოუგზავნია-მეთქი. რას ვიფიქრებდი, თვითონ თუ იქნებოდა — იმ დროს უკვე ვერ იყო კარგად, ამ სიმაღლეზე ამოსვლა არ შეიძლებოდა მისთვის. ჩემდა გასაკვირად, ვხედავ, აივანზე ზის ჩვენებთან და საუბრობს. იგი ჩემს ოჯახში ყველასათვის ძალიან ახლობელი და საყვარელი იყო. ამსიმაღლეზე რამ ამოგიყვანა-მეთქი, უნდა მეთქვა. მგონი ეუთხარი კიდეც, მაგრამ მან დამასწრო. „რამოდენები დაზრდილან, ბატონო ვახტანგ..." ბაღში ხეებზე

მიმითითა. უკვე კარგა ხანია, აქ აღარ ყოფილა... „და ესენიც რამოდენები დაზრდილან“, — ახლა ჩემს შვილიშვილებს მოხვია ხელი. სახლში საუზმე უკვე მოემზადებინათ, დავსხედით. აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან ცუდად იყო. სახეზე ფერი აღარ ედო, სუნთქვა უჭირდა... მაგრამ თვალები, მისი ლამაზი თვალები კელავ იმ კეთილ ღიმილს ასხივებდა. თავად უჭირდა, და შენ გამშვიდებდა ამ ღიმილით, შენ გიადვილებდა სუნთქვას და ცხოვრებას. ხუმრობით მეტყოდა ხოლმე — ალერგიამ რომ შეგაწუხოს, ბატონო ვახტანგ, ან მოდი ჩემთან, ან დამირეკე, ხომ ხედავ, ხელად კარგად ხდები. თვითონ კი ხუმრობდა, მაგრამ, საოცარია, ეს მართლა ასე იყო.

იმ დღეს, წავკისში რომ ამოვიდა, რაღაცა ჰქონდა სათქმელი. ისეთი რამ, რაც შეიძლება ხვალაც ეთქვა, სამსახურში. სულაც, ტელეფონით დაერეკა... მინდა ვიფიქრო, რომ მას ჩემთან ამოსვლა მოუნდა. იგი, რაღა თქმა უნდა, გრძნობდა მოახლოებულ დასასრულს და დილით რომ გაიღვიძა, იქნებ რაღაც გაახსენდა ჩვენი ურთიერთობიდან, ისეთი რამ, რომ თავისი კეთილი მეგობრის ნახვა მოუნდა... მე მინდა, ასე ვიფიქრო, ასე დავიჯერო...

ძალიან დიდხანს არ დარჩენილა. ყველა გულში ჩაგვიკრა — მისებურად, ძველებურად და წავიდა. სუფრასთან, როცა მარტო მომიხელთა, მითხრა — არა გულის ასაჩუყებლად, არა სენტიმენტალურად, არა წუწუნით ან სინანულით — უბრალოდ თქვა, ჩვეულებრივ რამეს რომ ეტყვიან კაცს: მე მალე მოვკვდები... ასეთი რამ პირველად გავიგონე მისგან. საუბედუროდ, ამას ყველა ვგრძნობდით, მაგრამ მანვე რომ მითხრა, დავიბენი, რაღაცის თქმა მოვინდომე, თავად არ ვიცი, რისი... გამიცინა და გამაჩუმა, ხელზე ხელი დამადო.

ამის შემდეგ მალე საავადმყოფოში დაწვა. არ მიყვარს საავადმყოფო. არ ვიცი, ქვეცნობიერად საკუთარ თავს ვიბრალებთ თუ ავადმყოფს, მაგრამ რატომღაც ასე მგონია, ადამიანს არასოდეს არ სიამოვნებს, იქ რომ ნახულობ. იმ დღეს მაინც მივედი. დავკაკუნე, შევაღე კარი და ერთბაშად შევცბი, რაღაც მოვიბოდიშე და გამობრუნება ვცადე. კონსილიუმი ჰქონდათ — რამდენიმე გამოჩენილი ექიმი იყო და ვიღაცას კიდევ ელოდნენ, მგონი მოსკოვიდან ჩამოსულ ექიმს. ამიტომ შევწუხდი, უდროო

დროს მოვედი-მეთქი. ნოდარს ჩვეულებრივად ეცვა და ლოგინზე იჯდა, რომ დამინახა, ერთბაშად თვალები გაუბრწყინდა და აღარ გამომიშვა, მოდიო, დამიძახა, ლოგინიდან წამოდგა და ჩემკენ წამოვიდა, ხელი ჩამავლო. მე დავიბენი. რაღაცას ელულლულებდი — თან ბოდიშს ვიხდიდი და თან ექიმებს, რომელთაგან უმეტესობა ჩემი ნაცნობი იყო, აღვუთქვამდი, მალევე წავალ-მეთქი. ერთმა საკმაოდ მკვახედ მითხრა — თქვენა გგონიათ, პატივს სცემთ ამით, და აწუხებთ კი. ყველა რომ ასე ცოტა ხნით შემოვიდეს...

მაგრამ ნოდარმა აღარ აცალა, ხელი მომკიდა და თავისი მეტისმეტად შესუსტებული ღონით ძალათი წამათრია აივნის კარისაკენ. პალატას, ეზოს მხარეს, გრძელი აივანი ერტყა, იქ სკამები იდგა, უკვე ჩრდილიც იყო და იქ დამსვა.

ახლა კიდევ უფრო ცუდად იყო — სკამზე ძლივს იჯდა, სუნთქვაც უჭირდა, ლაპარაკიც... და მაინც მელაპარაკებოდა — ბძიმედ, სვენებ-სვენებით, მაგრამ იმ დაუვიწყარი კეთილი და ალერსიანი ღიმილით. რაღა თქმა უნდა, მსიამოვნებდა, ასე რომ გაეხარდა ჩემი ნახვა, რომ თავიდან აღარ მიშორებდა. მაგრამ ექიმები პალატაში დარჩნენ და ცალი თვალით იქითკენ ვიყურებოდი, ვწუხდი, ველარ მომესვენა. ნოდარი ამას გრძნობდა და აქეთ მამშვიდებდა — ყურადღებას ნუ მიაქცევო, არა უშავს, დაიცდიანო, თითქოს გამოჯიბრებით თქვა ეს, რაღაცნაირი პროტესტით. მერე გავიგე ამის მიზეზი. კარგა ხანი გავიდა ასე, თითქმის ნახევარი საათი, ბოლოს, პალატის ექიმი გამოვიდა და მკაცრად მაგრძნობინა, რომ ჩემი წასვლის დრო დიდი ხანია დადგა. ძლივს დავაღწიე თავი ნოდარის ხელებს. ნაღვლიანად გამომაყოლა თვალი. მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს უკანასკნელი ნახვა იყო მისი.

პალატიდან რომ გამოვედი, ნაცნობი ექიმი წამომეწია და მან ამიხსნა ყველაფერი. თურმე გულის სტიმულიზატორი შესთავაზეს და ნოდარმა კატეგორიული უარი უთხრა. ეს ნახევარი სიცოცხლე იქნებოდა, ნახევარი სიცოცხლე კი მისთვის არ არსებობდა, სიკვდილი ერჩივნა.

ეს იყო მისი უკანასკნელი მკაცრი გამოცდა, და ამ გამოცდასაც გაუძლო, აქაც გაიმარჯვა.

## ეზიო გასხივოსნებული გზა

შემოლგომის მზიანი, მაგრამ მაინც რაღაცნაირად მოთენთილი და ნაღვლიანი ხუთშაბათია... ხალხმრავალი პროცესია მიაცილებს თავის საყვარელ მწერალს უკანასკნელ გზაზე...

პროცესიას მისი დიდი პორტრეტი მიუძღვის წინ. კეთილი, ჭკვიანი თვალებით, მიმტევებელი ღიმილით მიდის წინ და ზღვა ხალხი მოსდევს უკან. ეს მისგან გაკვალული გზაა, მისი სინდის-ნამუსით, კაცთმოყვარეობით, სიმართლით და სიყვარულით გასხივოსნებული გზაა.

ვეება, მცხუნვარე მზე ადგას თავზე ამ გზას, ის მზე, აგრეთვე, რიგად რომ უყვარდა მას. მზე — საწყისი სიცოცხლისა, სიკეთისა, მზე — ჩვენი სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა და ენერგია, ერთად შეერთებული შუქის წყაროდ რომ მოსჩქეფს ციდან და უკანვე გვიბრუნებს ჩვენგან გაცემულ სითბოს.

მისთვის სატკივარი და საწუხარი არ დაუკლია წუთისოფელს. ბედისწერა თითქოს განგებ უმზადებდა ყოველ ნაბიჯზე განსაცდელს, რომ გამოეწრთო, გამოეცადა მისი სული და ისიც შეუპოვრად, უსაყვედურო შებმოდა ამ გოლგოთას. ტანჯვის გზით მიდიოდა იგი სიბრძნისაკენ, თითქოს საკუთარ გულზე ატარებდა ცდებს თავგანწირული დასტაქარივით, რომ მერე სხვათათვის გაეზიარებინა ეს მწარე გამოცდილება, სხვათათვის გაეადვილებინა სატკივარი.

მიდის პროცესია... მძლავრი რეპროდუქტორებიდან ისმის მისი ხმა. ის სიკეთეზე და სიყვარულზე ლაპარაკობს, ვერაფერმა გაუტეხა გული. უფრო განწმენდილი, ამაღლებული გამოდიოდა იგი ყოველგვარი განსაცდელისგან. კარგად იცნობდა სიძულვილის დამანგრეველ ძალას და ამიტომაც ღაღადებდა სიყვარულზე. სიყვარული, დანტემ რომ მზის უკვდავ შუქს შეადარა, მისთვისაც ქვეყნიერების, სამყაროს მარადისობის კანონი იყო. და ახლა სიყვარულით შეკავშირებული ქვეყანა მისდევს მის კუბოს. ქაშვეთთან ზარები გაეხმიანებიან პროცესიას. ჯერ ერთი აწკრიალდება, მერე მეორე აიტაცებს მის სევდიან ხმას,

შემდეგ ყველა ზარი ერთად აქვითინდება და იღერება ირგვლივ ურუანტლისმომგვრელი მუსიკა.

ახალგაზრდობის უსაყვარლესი მწერალი იყო იგი. თითქოს მათთვის წერდა საკუთარი სულის მწარე თავგადასავალს, აღსარებას გვანდობდა, თავის ცხოვრების წესით გვასწავლიდა, როგორ გვეცხოვრა, რისთვის გვეცხოვრა. მისი ნაწარმოებების გმირთა უმრავლესობა ხომ ახალგაზრდა ადამიანები არიან, ჩვენი ტოლები, ჩვენივე მსგავსნი. მწერლობის უპირველეს დანიშნულებად ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ქვეყნის მომავლისათვის ზრუნვა, მის ხვალინდელ დღეზე განუწყვეტელი ფიქრი მიაჩნდა, ამიტომაც ცდილობდა თავისი პირადი ცხოვრებითაც ნათელი, დიადი გაკეთილები მიეცა ახალგაზრდობისათვის.

მიდის პროცესია. ვიღაცას შვიდიოდე წლის ბიჭი შეუსვამს მხარზე. მე ვხედავ ამ ბიჭის გაფაციცებულ თვალებს, ყველაფერს რომ აკვირდება ირგვლივ. საქართველოს მომავალია. ეს ბიჭი და მან უნდა სამუდამოდ აღიბეჭდოს ხსოვნაში დღევანდელი დღე, ეს ზღვა ხალხი, ეს მოთენთილი ხუთშაბათი, ზარების გაბმული გოდება და ქვითინი. უნდა დაიმახსოვროს, თუ რა ძალა აქვს უანგაროდ გაცემულ სიყვარულს, რომ მერე, როცა გაიზრდება და ჭკუაში ჩავარდება, დაფიქრდეს და მიხვდეს, რა ატირებდა ამ ხალხს, რამ შეჰყარა ისინი ერთად, რა საერთო უბედურებამ შეაკავშირა ასე.

მიდის პროცესია. ორ საათს მოუნდება იგი ამ გზას. გრძელია ეს ორი საათი და ამ ხნის განმავლობაში, როცა უამრავი ხალხის უწყვეტ ჯაჭვში ხარ ჩაბმული, შეიძლება იმდენი იფიქრო, იმდენი რამ გაგახსენდეს, რასაც სხვა დროს მთელი სიცოცხლე მოუნდებოდა.

...მე, პირადად, მის კუბოს ადევნებულს, ის აზრი ამეკვიატა, რომ უკვდავია ერი, რომელსაც ასეთი დიდი გული აქვს, რომ უკვდავია ერი, რომელსაც ძალუძს ასე ერთგულად უყვარდეს თავისი ენის, მწერლობის მსახური. თუნდაც ამის გასაფიქრებლად საჭირო იყო ეს ორი საათი, მან რომ გვაჩუქა და გვიანდერძა თავისი ამ ქვეყნად ყოფნის საფასურად.

მიდის პროცესია მზით გასხივოსნებული გზით...

## ნაჩუქარი ლექსი

ვინც ნოდარ დუმბაძეს თუნდაც ერთხელ შეხვედრია, ძნელი დასაჯერებელია, ცოტაოდენი სითბო მაინც არ დარჩენოდა მისგან. ამიტომაც ასე უხვად იწერება მასზე, ანკი რა გამოლევს თბილ მოგონებებს უკვე თავად მოგონებაში გარდასულ ნოდარზე.

ბავშვობიდან ვიცნობდი, უფრო სწორად, ვიცოდი, რომ ის კეთილთვალებიანი, სანდომიანი ჭაბუკი ნოდარ დუმბაძე იყო. თითქმის ყოველდღე ვხედავდი — სკოლისკენ მიმავალს მისი სახლის წინ უნდა გამეევლო.

არასოდეს დამავიწყდება იმ გაზაფხულის მიწურული. სკოლას ვამთავრებდი. ჩვენი, ქალთა №-5 სკოლის მეთერთმეტე კლასი, ტრადიციული გამოსაშვები საღამოსთვის ემზადებოდა. სულ სხვა სიხარული იყო, ასე მგონია, სკოლაც განსაკუთრებული ზეიმით აციალებდა და ეთხოვებოდა მოსწავლეებს. მხატვრული განყოფილების რეჟისორად ბიჭიკო ანდრონიკაშვილი მოვიწვიეთ, მუსიკალურ ხელმძღვანელად კი — თემო ნაცვლიშვილი. ბატონმა ნიკო კეცხოველმა დიდი პატივი დაგვდო და ზეიმის ჩასატარებლად უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი დაგვითმო.

ჩვენს კლასში მხოლოდ მე ვწერდი ლექსებს და, ვინაიდან სხვა არჩევანი არ იყო, მე დამავალეს სასიმღერო ლექსების დაწერა. ძალიან შეეეცადე და დავალება პირნათლად შევასრულე. ხელმძღვანელებმა წაიკითხეს და მოიწონეს. ბოლო სიტყვა, როგორც ჯერარს, ქართულის მასწავლებელს — ფოცია კალანდაძეს უბოძეს. მან ცოტაოდენი უკმაყოფილებით განაცხადა: ეს ხუმრობა და შაირები ურიგო არაა, მაგრამ ზეიმს, სულ ბოლოს, სერიოზული ლექსი უფრო დაამშვენებდაო. აზრი ყველამ მოიწონა და მე გადმომხედეს. უცებ საგონებელში აღმოვჩნდი, დრო უკვე შეზღუდული იყო, ჩემი პოეტური მუზა — ამოწურული. უარის თქმა მაინც არ ვიკადრე, ჩემს მოხერხებულობაც მიეენდე...

მეზობლად ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ქალი-

შვილი ცხოვრობდა. უმალ ის გამახსენდა და მივაშურე თსოვნით, რამენაირად დამხმარებოდა. მას ბევრი არც უფიქრია, წამში მოისაზრა რაღაც და ხალისიანად შემომთავაზა, წამომყეიო. გზაში გამიმხილა, რომ ჩემი მეშვეობით სასიამოვნო შეხვედრის საბაბი იპოვა.

კარი ნოდარმა გაგვიღო. საკმაოდ გვიანი იყო. გაოცებისგან წარბები შუბლზე აუვიდა. ჩემმა თანამგზავრმა რომ წარმადგინა, ნოდარს ეშმაკურად ჩაეცინა: ვიცნობ, ამ ქუჩაზე, ფორმიანი გოგოები ყველა აღრიცხვაზე მყავს აყვანილიო. ჩვენი გადაუდებელი ვიზიტის მიზეზი რომ გაიგო, დამაწყნარა: კი, ბატონო, დაწერით დაგიწერ ლექსს, ოღონდ იმას ვერ შეგპირდები, შენი ქართულის მასწავლებელს თუ მოეწონებაო, გულზე მომეშვა, განა ისეთი რა უნდა დაეწერა ნოდარს, რომ ჩემს ფონზე, პატივცემულ ფოციას არ მოსწონებოდა.

ორი დღის შემდეგ, როგორც შევთანხმდით, უნივერსიტეტის ბაღში ვეახლე ნოდარს. დამინახა თუ არა, გამოეყო ამხანაგებს და ჩემკენ გამოემართა. უკვე შინაურულად შემხვდა. ჯიბიდან ამოიღო ოთხად გაკეცილი რვეულის ფურცელი და ღიმილით გამომიწოდა: არც ისე იოლი ყოფილა შეკვეთით წერა, წუხელ მთელი ღამე გავათენეო. ვიდექი და სამადლობელი სიტყვა ვერ მოძებნა. მაშინ, როცა ნოდარი ის-ის იყო პირველ ნაბიჯებს დგამდა ქართულ მწერლობაში და თითოეული სტრიქონი მისთვისაც ძვირფასი იყო, დაუნანებლად მაჩუქა საკმაოდ მოზრდილი ლექსი. გამომშვიდობებისას გამეხუმრა: ისე, თავს ნუ მოიკლავ, ნამეტანი კარგად ნუ წაიკითხავ, თორემ ეს ჩვენი უნივერსიტეტის დარბაზი ქე ჩამოინგრევა ტაშით და მერე სად მიხვალო?!

არავისთვის გამიმხელია ლექსის საიდუმლო. ჩვენმა ზეიმმა მოლოდინს გადააჭარბა. და ბოლოს, ამაყად გამოვედი ფარდის წინ და ვჭექე ჩემი მონაპოვარი ლექსი. რა თქმა უნდა, ტაში არ დაუშურებიათ. დარბაზს მადლობა გადავუხადე, მაგრამ სინდისმა შემაწუხა, ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვალე. ტაში რომ შეწყდა, გამოვაცხადე: ამ ლექსის ავტორი მე კი არა, ნოდარ დუმბაძე გახლავთ-მეთქი. აი, მაშინ მართლა ისეთი ტაშის გრიალი გაისმა, კინაღამ გამართლდა ნოდარის ხუმრობა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ერთხელ დაწვრილებით ვუ-

ამბავ ნოდარს ეს ჩემი წარუშლელი მოგონება. იცინა. მერე ჩვეულ ხუმრობით მითხრა: ალბათ, ლექსი არ მოგეწონა და იმიტომ არ მიითვისე, თორემ, ნაწუქარს კი არა, პოეტები კარგ სტრიქონებს დაბეჭდილი წიგნებიდან იპარავენო. ბოლოს, ცნობისმოყვარეობამ წასძლია და მთხოვა: წამაკითხე ერთი, მაინტერესებს, რა დავწერეო. მეც ხუმრობით მივუგე, ის უკვე ჩემი კუთვნილებაა და როცა გამოვაქვეყნებ, მაშინ იხილავ-მეთქი. მასე თუ გინდა, უკეთესს გირჩევ, ცოტა ხანიც შეინახე ის ჩემი-შენი ლექსი და მერე ნამდვილად ავაშენებსო.

და ახლა, როცა თვალს ვავლებ დიდიხნის ნაცნობ სტროფებს, აზრი შეუფლება — ვინ იცის, იქნებ, პირველად სულაც აქ დაიბუდა მზის იმ პაწია სხივმა, რომელმაც შემდგომ ასე გაათბო და შუქი მოჰფინა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას...

დღეს კი უფრო ძვირფასი და ტკბილმოსაგონარი შეიქნა ჩემთვის იმ ოთხადგაკეცილ, ფერგადასულ ფურცელზე ნოდარ დუმბაძის ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი სტრიქონები:

ამ პატარა მიწაზე წლებმა როგორ გვატარა,
ან ეს ფული პატარა რა სიხარულს იტევდა,
სიხარულის ცრემლები სიყვარულმა დაღვარა
და დაგვადნა ლოყებზე ობოლ მარგალიტებად.
თუ ყოველი იმედი ღიმით დაიკოცნება,
მზის ნათელი ღიმილიც საკუთარი გგონია,
ამ ვეება სიყვარულს, ამ უსაზღვრო ოცნებას
რა პატარა, ლამაზი საბუდარი ჰქონია.
საქართველოს მიწაზე სუნთქვაც სანატრელია,
ცეცხლი გადმოგვდებია ჩვენთა მამა-პაპათა,
სიბრძნის ძუძუს გვაწოვებ მეთერთმეტე წელია,
ჩვენც ამ მკერდის ბარაქის მადლმა აგვაღაღადა.
მზესთან ერთად ვიმღერეთ სიყვარულზე ბილწდი
და ეს წლებიც მიჰქრიან დაუდეგარ ქარივით,
ღამეს ჩვენთან რა უნდა, და თუ შემოგვალამდა,
შენი სახე გვენთება მუდამ, კელაპტარივით.
ამ პატარა მიწაზე ასე დიდი ცხოვრება,
ამ პატარა ოთახში ასე დიდი ხაწძარი,
ფულო, უფრო ლამაზი სხვა რა ფემახსოვრება,
ტკბილი, როგორც ოთაში თქმული ზამთრის ზღაპარი.
ამ პატარა მიწაზე ყველა კარი გვეღება,
გულში ყველა ოცნება მზის თვალივით ინთება,
ფეფიცებით სიყვარულს, ჩვენი სკოლის თაღებო,
რომ სამზეოდ გავიტანთ ქართველ ქალის დიდებას.

რევაზ ჯაფარიძე

# პირველი ალმოჩენის სხივით გაბრწყინებული

„ლიტერატურული საქართველოს" ძველ კომპლექტებში მიეიწყებულ სტატიას ვეძებდი. 1960 წლის ერთ-ერთ ნომერში უცაბედად წავაწყდი კორესპონდენციას: „გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი" № 3. ჟურნალში დაბეჭდილია..."

ლექსების, მოთხრობების, კრიტიკული წერილების ავტორების გვერდით იხსენიება ნოდარ დუმბაძე და მისი გახმაურებული ავტობიოგრაფიული მოთხრობა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი".

თვალწინ ცხადლივ გაცოცხლდნენ ის შორეული დღეები, ასე თვალის დახამხამებაში რომ გაირბინეს, როგორც „ნაბდით დაჭედილმა ბედაურებმა" და უკვე ისტორიას მიეთვალნენ.

მოთხრობა წვრილი შრიფტით, ე. წ. პეტიტით იბეჭდებოდა ახალდაარსებული ჟურნალის „უმორის განყოფილებაში. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ავტორის პირველი პროზაული ნაწარმოები თანამედროვე სოფლის ბევრ სახასიათო პრობლემას შეიცავდა, რაზე ხმამაღლა ლაპარაკიც, მით უფრო, პრესაში და ისიც მოთხრობის ფურცლებზე, შაინცდამაინც მიღებული არ იყო.

გარდა ამისა, არცთუ ადვილი გასარკვევი გახდა, რა ჟანრს განეკუთვნებოდა იგი — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" — მოთხრობას, რომანს თუ რაღაც ხხვას, რასაც ჯერ სახელი არ ერქვა და მომავალში უნდა დარქმეოდა.

რა დასამალია, ახალბედა რედაქტორიც, ცოტა არ იყოს, ორჭოფობას იჩენდა. თუ ვინიცობაა, მისი ახალი პუბლიკაცია ვინმე უფლებამოსილ პირს გაანაწყენებდა და განგაშის ატეხის გუნებაზე დააყენებდა, რედაქციას ისღა რჩებოდა ნუგეშად, ეთქვა, წვრილი შრიფტით, პეტიტით აწყობილი ნაწარმოებიᲲ საჭაშნიკოდ დავბეჭდეთ, ჩვენ რომ ეს რაიმე მნიშვნელოვნად მიგვაჩნდეს, ჩვეულებრივი შრიფტით თვალსაჩინო ადგილას განა ვერ დაგბეჭდავდითო.

მოხდა ჯაუთვალისწინებელი რამ: მკითხველმა მიაგნო კუ-

თხეში მიკუნჭულ მოთხრობას და არა მარტო მიაგნო, სარბა-
დაც დაეწაფა. არ გაუვლია ორ კვირას ჟურნალის ნომრის ვა-
მოსვლიდან, რომ „ციხკარი", სადაც ნოდარ დუმბაძის ზემო-
ხსენებული მოთხრობა იყო დაბეჭდილი, ბიბლიოგრაფიულ იშ-
ვიათობად გადაიქცა. ეძებდნენ ყველგან, სოფლად და ქალაქად,
როგორღაც პოულობდნენ, ნომერს ნომერზე აწყობდნენ და ხე-
ლიდან ხელს გადასცემდნენ. დიდსა და პატარას პირზე ახალი
პოპულარული მწერლის ნოდარ დუმბაძის სახელი ეკერა.

მახსოვს, იმ ზაფხულს რაჭაში ვისვენებდი. ხალხი გულდად
დამედო. ყველა ნოდარ დუმბაძის ამბავს მეკითხებოდა. უნდო-
დათ გაეგოთ, როგორი იყო, ახალს რას წერდა, მკითხველებ-
თან შესახვედრად რაჭაში ხომ არ ჩამოვიდოდა. მოვუყევი
ნოდარს. ბევრი იცინა. მითხრა, დედას ვფიცავარ, თუ ვიცო-
დე, რა მოხდაო, ამისთანა რა დავწერე, რომ ხალხმა ლამის
მესიად გამომაცხადოსო.

მკითხველი, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა, მიიზიდა
მწერლის თხრობის უშუალობამ, გულითადობამ, მკითხველი-
სადმი სრული ნდობის გამოცხადებამ და, რაც მთავარია, იუმო-
რის ცინცხალმა ნიჭმა, ყოველ ფრაზაში, ყოველი ბასაჟის ქვე-
ტექსტში რომ გამოსჭვიოდა და მოთხრობილ ამბებს სხვა ელ-
ფერსა და ელვარებას ანიჭებდა. როგორ შეიძლებოდა, სულის
შემგუბებელი სიცილი არ მოეგვარა ბეხრეკი ფაქიზოს ოდისე-
ას, ანდა კოლმეურნეობის კანტორის ისტორიას, კანტორისა,
რომელიც ყოველ ახალ თავმჯდომარეს თავისი სახლის მახ-
ლობლად გადაჰქონდა და ბევრ სხვა რამეს, რამაც მკითხველის
გულში სამუდამოდ დაიდო ბინა და ნოდარ დუმბაძე მკითხვე-
ლის ერთ უსაყვარლეს მწერლად აქცია.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", როგორც საზოგადოდ
ყოველი პირველი ეპიური ნაწარმოები ყოველი ნიჭიერი მწერ-
ლისა, ერთობ მდიდარი, შეიძლება მეტისმეტად და გადამეტე-
ბით მდიდარიც გახლდათ ამბებით, სიტუაციებით, მოვლენებით.
ისე გავდა, რომ მწერალმა თავისი განუმეორებელი ბავშვობის,
შემოქმედების ამ სასწაულებრივი წყაროს, შთაბეჭდილებათა
მთელი მარაგი დახარჯა და მომავალში, შესაძლოა, საწერი მა-
სალა კიდევაც შემოჰკლებოდა, მაგრამ ზოგიერთის ეს ვარაუ-
დი და შიში არ გამართლდა. ნოდარი კვალდაკვალ მიჰყვა თა-

ვის ცხოვრებას და მისი ყოველი ცალკეული მონაკვეთი პოეტური წარმოსახვის საგნად გადააქცია. ნოდარი ყველგან ნოდარად რჩებოდა. ის არსად არ კარგავდა მკითხველთან უშუალო კონტაქტს, მისდამი განუსაზღვრელ ნდობას, ცინცხალ იუმორს. იქაც კი შეეძლო მკითხველი გაეცინებინა და გულში სინათლის სხივი შეეშვა, როდესაც ყველაზე უფრო სამწუხარო ამბავს მოუთხრობდა.

ნოდარ დუმბაძე, როგორც პიროვნება, ბედნიერი კაცი იყო, ბედნიერი კაცი იყო იმით, რომ ადამიანებისათვის სიხარული მოჰქონდა. ქუდბედიან კაცს ეს უზენაესი ძალა თუ უნარი დედის მუცლიდან დაჰყვა. იუმორის არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებულს, სიტყვა არასოდეს შემოელეოდა. მის გვერდით ვერ მოიწყენდი, შავ-ბნელ ფიქრებს ვერ მიეცემოდი. ნოდარ დუმბაძესთან შეხვედრა გამხნევებდა, სიცოცხლის აზრითა და სიხარულით გავსებდა. ამიტომაც დაგვაკლდა ყველას, ამიტომაც ეცდილობთ, გულში ფერშეუცვლელად შევინახოთ მისი სახე, მისი ყოველი ნათქვამი, ყოველთვის ასე სიღრმისეული, გონებამახვილური და პირველი აღმოჩენის სხივით გაბრწყინებული.

# ლექსები

## რეზო ამაშუკელი

### ნოდარ დუმბაძეს

ვერ მივეგებე გაზაფხულს წყეულს —
— ფხაჭნიდა კარებს სიკვდილის შიში.
და ცოდვით მაძღარ სულსა და
სხეულს
ვარჩევედი გვემას, დარდსა და
შიმშილს.

მოახლოებულ სიბერის განცდამ
მეც მასვა რახი შხამგარეული.
და გულის კოვზი თანდათან გაცვდა
ხან შინაურით, გან გარეულით...

მე ვერ გიგლოვე,
ვერ ვიმარხულე,
ვერ გადმოვფინე ნოხები ბანებს,
და, აჰა, უკვე დადგა ზაფხული
და გაურია ზაფრანი მწვანეს.

ასეა, როცა მოკვდება კაცი
ყველა თავთავის გასაჭირს უელის,
დაწეულ საფლავს დროდადრო
აწვიმს,
რომ ყვავილებმა მოითქვან სული!

და მაინც მინდა
გჯეროდეს იმის,
აწ უკვე სევდით ნაჯერი ფიცის,
რომ ვიზოგავდი შენს სათნო ღიმილს,
მე ვენდობოდი შენს ბავშვურ
სიცილს.

მერე წახვედი,
მერე გათავდა
რაღაც და სიტყვა გახდა უძლური,
ანთებულ სანთლით დგახარ საყდართან,
და ანგელოსის გესმის ჩურჩული.

ეს ვერეს წყალი მარადის ივლის
დამშრალ ხევების ცრემლით
მლტობელი.
— გილოცავ, ძმაო, ამ თოთხმეტ
ივლისს!
ეს იყოს ჩემი სამადლობელი.

1985 წ.

## ზაურ ბოლქვაძე

### ჩემს ნოდარს

მენახე, — დიდი სურვილით ვენთე,
მაგრამ სურვილი მანდვე მომისპეს!..
არ შემოუშვა სიკვდილი შენთან
ისე, მე როგორც არ შემომიშვეს!
იმწამსვე, ნოდარ, წამლის დოზებით
სიცოცხლეს ჩემსას შემოგიგზავნი!..
თუმცა რად გინდა? შენ არ მოკვდები
მარადისობის კანონის ძალით!

13. 9. 1984 წ.

•

რეკავენ ერის გლოვის ზარები,
გემშვიდობებით გამშრალი ცრემლით
და შენი დიდი გულის ბზარებით

გაბზარულია გულები ჩვენი!..
მიდიხარ თეთრი ბაირაღებით,
მიწით — მწვანეთი და ზეცით — ლურჯით!..
მკვდარიც გვამხნევებ და იმარხები...
დედასამშობლოს უთბილეს გულში!

1984 წ.

## სუტა გაგუა

### ნოდარ დუმბაძის ხსოვნას

არ შეჰხებია ერთხელაც ხელით
მესაფლავეთა მძიმე ძალაყინს...
მკერდში უცემდა გულივით ცხელი
მამა-პაპათა ძვალშესალაგი.

ცამდე აწვდილი მძლავრი ტოტები —
ხალასი სიტყვის მადლი და ძალა
მუხის ფესვების თავგამოდებით
ძირს უმაგრებდა საყვარელ ქალაქს.

როგორც იმედი დღეის და ხვალის,
მზე უცინოდა ყველა წყაროდან;
მწყურვალეთათვის მზეცა და წყალიც
მიჰქონდა პეშვით და უხაროდა.

დანარჩენს სჯობდა ერთი სახლი და
ათას დანარჩენს — მაგიდა ერთი:
იმ მაგიდიდან, იმ სიმაღლიდან
სამყაროც ახლოს იყო და ღმერთიც.

არავინ უწყის, რა მწვერვალები
ელანდებოდა, როდესაც უკან

ჩაბრუნებული მისი თვალები
ენთო, დროდადრო, დაისის შუქად.

ხმებს მოუხმობდა, იქნებ, ზეციდან,
ღვთისმშობელივით, ნეტარი აკვნის
დამრწევი გულთან რომ მიეზიდა,
როგორც მაგნიტი იზიდავს მაგნიტს...

ძილში ესმოდა სიმღერა გედის,
შრიალი უკვე გამდნარი თოვლის,
და ულიმოდა როდესაც კეთილს,
ღმერთს ულიმოდა, პირველად ყოვლის.

და ხედავს ღმერთი: გადიან წლები
და თბილის-ქალაქს გულივით უცემს
მძლავრი ფესვებით და შვილთა ძვლებით
გამაგრებული ძირი და ფუძე.

1984 წ.

## ᲚᲔᲥᲡᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲖᲔ

ნოდარ დუმბაძეს

ქრისტეს დაბადებამდე
და თვით ქრისტეს ბეთლემში
დაბადების მერეც
ყველგან ჩემი სიცილის
ოქროს ზანზალაკები
მხიარულად ჟღერენ.

სანამ მე მაქვს სიცილის
თავი, ვერ მომერევი,
დახვეულო მუმლო,
უძლეველი სიცილი
სემი უკვდავებაა,
ჩემი საიდუმლო.

ჩემი დარდიმანდობით,
ჩემი ხელგაშლილობით
მუდამ ვივლი მზეზე
და სიკვდილის ფრინველი
გულზე მე ვერ დამაბჯენს
გალურჯებულ დეზებს.

მჭმუნვარების ტყვეობა
ღიმილს შეულეწია,
ბალზამი და სპირტი
არის ჩემი სიცილი,
სიკვდილს მუდამ სიცილით
დავუპირისპირდი.

უძლეველი ღიმილით
იყავ განათებული,
წუთისოფლის წიგნო,
მხნევდებოდა ღიმილით

დილეგი და ქსენონი,
ბერის საოსტიგნო.

გზებზე გაძვალტყავებულ
ცხენებით და ჯორებით
მაჭანკლების ჩაქჩაქს
ხარხარი და სიცილი
უკან დასდევნებია...
მე იმედად დამრჩა
უძლეველი სიცილი —
მხოლოდ ჩემი ნუგეში
და ცხოვრების წესი,
სანამ მტკვარში ვისროდი,
მე ყეენი უკულმა
სახედარზე შევსვი.

სიჭაბუკის მდგმურებმა —
ღიმილმა და სიცილმა —
თუკი გაიხურეს
კარი, გული დარჩება
მხოლოდ ცხვირჩამოშვებულ
მწუხარების მდგმურებს.

ბოლოს მაინც ღიმილი
უნდა გამოაჩინოს
მგლოვიარე სულმა,
როგორც გაშიშვლებულმა
და უფოთლო ხეებმა —
შერჩეული ხურმა.

უნდა ჩემი სიცილი
მხიარულმა დარბაზმა
მაღლა აიტაცოს
და იქ ჭერი დაუხვდეს,
როგორც შამპანიურის
ამოვარდნილ საცობს.

უნდა ტუჩზე აფეთქდეს
კვლავ სიცილის ურანი,
ქუდის უნაგირი
უნდა მზემ გაანათოს
ყურებამდე სიცილით
გახეული პირით.

ზოგჯერ უსიამოვნო
ჟრუანტელი დამივლის
ზოგიერთის ღიმზე,
თითქოს აუთქვეფავი
კვერცხის გული ტაფიდან
დამცინავად მიმზერს.

მაგრამ არაფერია,
ჩემზეც წაიოხუნჯონ,
გული მოიოხონ,
ოღონდ დარდი ცოტათი
მაინც შეიმსუბუქონ,
გაიცინონ ოღონდ.

მეც ნუ შემიბრალებენ,
დაე, სიტყვაც იკადრონ
ჩემი გამქირდავი...
ვერვინ ვერ მომერევა,
სანამ კიდევ მექნება
გაღიმების თავი!..

1985 წ.

## მარადისობის კანონი

ნოდარ დუმბაძეს

კმარა ღიმილი პატარა,
კმარა ნაღველიც ცოტა,
მარადისობის კანონით
გულს გაუფრთხილდი, ნოდარ!

თუგინდ საქვეყნოდ აძაგე,
თუგინდ საქვეყნოდ აქე,
მარადისობის კანონით
ვერ იტყვის სხვა შენს სათქმელს.

გზას ვერ მოუჭრის ვერც დელგმა,
ვერც ქარტეხილი კრული,
მარადისობის კანონით
ცოცხლობს კეთილი გული.

სიყვარულია სათავე,
მართალი სიტყვის ბოლოც,
მარადისობის კანონით
მხოლოდ, მხოლოდ და მხოლოდ.

მარადისობის კანონით
მზე ბრწყინავს, თოვლი დნება,
არ მოუარო კეთილ გულს,
ნოდარ, არა გაქვს ნება!

1981 წ.

## ნოდარ დუმბაძის საფლავთან

შენ თავად ბავშვი იყავი, ნოდარ,
შექმენი კიდეც ბავშვთა ქალაქი,
თოვდა თუ წვიმდა,
წვიმდა თუ თოვდა —
სულში სიკეთის გენთო მარაგი.

სიკეთეს ქარი რომ არ წაიღებს,
შენ ეს ყველაზე კარგად იცოდი,
რადგან სამშობლო ცაში მარიხობს,
გულის გაცემას არა შიშობდი.

მზიურო! მართლაც ქალაქი მზისა
ზღაპრის წიგნი რომ ზღაპრად ასახავს,
სად მადლი ბრწყინავს მიწის და ცისა,
სად ყველა ბავშვი ენძელასა ჰგავს.

მოდიან, რადგან გულს ენატრება
შენი ღიმილი, შენი სიტყვები,
მოდიან შენთან, ვით მასპინძელთან,
წასვლისას შენი სითბო მიჰყვებათ.

ზღაპრული სულით დააბიჯებდი,
თავიც მიანდე ზღაპრულ რაშს ფრთიანს...
და დღეს ეს ციცქნა გოგო-ბიჭები
ამ შენს საფლავსაც ზღაპრადა თვლიან.

ქვას მტვერს აცლიან, სხდებიან იქვე,
დაგყურებენ და იმედოვნებენ,
რომ ზღაპრის ბოლოს გაცოცხლდე, იქნებ,
და ამ იმედით ქალაქს ტოვებენ.

მათი იმედი კრთის ალმასივით,
მათ თვალში ხარობს ფესვი ვაზისა,
მიდიან,
ხედებათ დიდი გამზირი
შენი ილია ჭავჭავაძისა.

შროშანის სხივებს გიგზავნის ციდან
მზე, —
ვით სიცოცხლის უკვდავ ბარათებს.
წავალ და ჩემი ბალყარეთიდან
მთის ნაზ ყვავილებს შემოგამატებ.

## ანდრეი ვოზნესენსკი

### ნოდარს!

მე შენი „ჩოლკა"
მაგონებდა გლადიატორულს...
ისე წახვედი, არ დნებე
სტიმულიატორი.
დიდო ობოლო,
საქართველო დედაშენია —
სხეულს უძირო სამარეში
არ ეშინია.
მარად ბიჭუნა,
ბურთს რომ ურტყა და უბახუნა,
წიგნს შეელეკა, წიგნს შემორჩა
კვლავ დუმბაძურად,
და მეჩვენება,
როს ბალღების რბოლას ვუყურებ,
ნოდარის „ჩოლკა" დუმბაძური და ანტიკური.

1984 წ.

## ბარათი ნოდარ დუმბაძეს

ხილს მე ხის ყველა ტოტი დამპირდა,
ბაღს რომ ვუცქერი — გული მიცინის:
ნეტავ ამდენი ხილი რად მინდა,
ამდენი გრილი ჩერო ხისძირის!
გამვლელ-გამომვლელს აღარ ვუძახი,
მძულს კიდევ მაცდურ კრინს გავუგონო.
მოლზე მაშ ნესვი და ხაბურძაკი
ღიმილ-ღიმილით ვის გავუგორო?!
სად მარტოობა, ნოდარ, და სად მე!
დღე დამიბრუნეს ხეთა რტოებმა,
თუ ერთი წუთით ხელთ იგდო — დათმე,
და ერთად დავწვათ ეს მარტოობა...
ჩემს ბაღ-ვენახში ახლა რთველია
და ცად აღვსდგები, აქ რომ გიხილო,
ხმაც გულში ბაღის ჩამხატველია —
ოღონდ დრო იყოს, დრო საღიღინო!
ნოდარ, ამ დილით შენი ჩიტების
თავგადასავალს მეც ვიხსენებდი!
აღფრთოვანების და გარინდების
წუთი ერთია, ერთი სვე-ბედი!
განა ტოროლა, განა მზეწვია
ეცდება, ავი ხმა გამივრცელდეს —
მაგრამ, ვგრძნობ, ბედი გადაეჩვია,
უკვე მოკითხვის ბარათებს წერდეს,
მკითხაობაა, მარჩიელობა!
თორემ ბარათებს, ამ ზღვის თოლიებს
აქვთ მიმოვლილი მთელი ევროპა —
შინ საოცნებოდ ვინ იყოლიებს?!
ჩამოდი, ბაღს რომ შეხვედრის წამმა
თვით შეაფრქვიოს ელვა თვალების.
დაწყნარდეს იქნებ კარდიოგრამა

ჩვენი კი არა ზღვის მღელვარების...
ჩავუჯდეთ ზღვას და ერთი ჩავლილი
ტალღაც რომ კიდევ გადავიწეროთ —
მზე თან ჩაყვება სტრიქონს ჯავრივით,
რომ უმზეობა არ დავიჯეროთ.
დავხედოთ ჩაფებს პირმაჭრიანებს,
თუ არა — რთველი რაღა რთველია, —
ახლა ჩემს ჭიშკარს ვინც აჭრიალებს,
ბეჭებში ჩემი გამმართველია!
ყურძენი ცად ვის გადავუნახო,
გიდელი ცაში განა ცისაა...
აქა-იქ ლექსის პწკარიც თუ ნახო —
დაჰკიდე — კარლო კალაძისაა!

1982 წ.

ოთარ ჯაფარიძე

## ნოდარს

მწერალთა ბალში სტვენენ ჩიტები
და მწუხარება გულს ეჭიდება.
შენ თუ გგონია, ადარ გვჭირდები,
მანდ მოუალთ, ოდეს გაგვიჭირდება.

და საუკუნოდ დაბინდულ კარავს
როს მოასკდება კუბოს ფიცრები,
კარებს გაგვიღებ, ნოდარი, ძმა,
სიკვდილშიც ჩვენი ხარ მასპინძელი.

1984 წ.

## ნოდარ დუმბაძეს

როდესაც იცი ბუნების ძალით
სიცილის ყადრი და ცრემლის ფასი,
როცა მზის ჩასვლას ფერი აქვს მთვარის
და ოთხივე მხრის ქარები თმაში,
შენ თვითონ აღებ დაგმანულ კარებს
გულზე მიმდნარი მარცხენა ხელით,
მას კი ხელებში უჭირავს ცელი,
რომელსაც ახლავს სინათლის რკალი...
მას უნდა შეხვდე სველი თვალებით
და მტკივნეული ჯირკვლებით იგრძნო —
ჭკვიანი ღმერთი ფერისცვალების,
შენი ფხვიერი და შავი მიწა...
ფოთლებში უნდა ჩაწვე ყელამდე
და როგორც თბილი ხელები წვიმის,
უკანასკნელი ფიქრი გელათზე
შეგეხოს შუბლზე და დაგამძიმოს
და დაგაძინოს და დაგასიზმროს
ლაზური მზე და კერპების ლეში
და მოგაყაროს ფოთლები ვაზის
და ჩაგასვენოს წარმართულ ლექსში...
გაბმული ზარით მოგტირის ქორე,
ცა წუხს, მზე ცხრება და გეჩვენება,
რომ სიმწრისაგან მიწას ტორავენ
გასაოცარი სილამაზის შავი ცხენები...

## ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲐᲛᲣᲚᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲛᲚᲘᲐ...

*ძმაო, ნოდარ, შენ გიძღვნი ამ ლექსს.*

ესეც ქვეყანა, ჭრელი და ვრცელი,
ზედ გავლებული მზის ცხელი ხნული.
აქეთ ჰკიდია სიკვდილის ცელი,
იქით დიდება და ერის გული.

ნუ გეშინია, შეუხვევ მარჯვნივ,
მერე ტყე არის, ბნელი და რუხი,
იმ ტყეს თუ გახვალ, მორჩები ტანჯვას
და ტყის შრიალში დასტოვებ წუხილს.

ასეა, მერე გადახვალ ხიდზე,
ცისარტყელების კიბეს აჰყვები,
უთუოდ ეტყვი საყვედურს დიდ მზეს,
მიტოვებული თეთრი საყდრების.

ასეა, აბა, როგორ გგონია,
შენა ხარ კაცი და ერი გისმენს,
შენი ჯვარი და შენი გონიო
კბილებით უნდა წაიღო მზისკენ.

ასეა, აბა, როგორ გგონია,
თუ ერი გისმენს და გქვია კაცი,
სანამ მამულში ერთი კომლია,
თვალის მოხუჭვას არავინ გაცლის.

ესეც ქვეყანა, ჭრელი და ვრცელი,
აბა, შენ იცი, როგორ მოუვლი...
აქეთ ჰკიდია სიკვდილის ცელი,
იქით — დიდება და ერის გული.

1966 წ.

## მეოთხედ ეოსვლის ბალადა

1

ნოდარ დუმბაძის ხსოვნას

უთქვამს სულეთიდან მომდგარ,
კარზე აყუდებულ აქლემს:
— უნდა წამომყვეო, ნოდარ,
ვიდრე მორჩებიო საქმეს:
თვალი შეგივლია კუზზე,
მასთან გიხუმრია კიდეც:
— როგორ შეგაჯდები ზურგზე,
თუ არ მიშოვიო კიბეს?
შენზე დასაწერი წიგნი
საწერ მაგიდაზე მიდევს,
წადი, დაიჩოქე იქით,
სადმე წუთისოფლის კიდეს.
მიქელ-გაბრიელსაც აღარ
დაუხანებია უქმად,
უკან გაუქუსლავს, რახან
შენ არ დაიხევდი უკან.
ერთი დედაბრისთვის გითქვამს:
— როგორ გაკადრებთო ლოდინს,
თუ ჩემს ბებიებსა ჰკითხავთ —
რომელს ვესტუმროო როდის?
რადგან გამგზავრების დღიდან
უკან აღარც ერთი მოდის,
თქვენთვის მომინდაო ყიდვა
მათი კაბისფერი ლოდის.
ცივად გაუკურცხლავს შემკრთალ
იმედგაწბილებულ როკაპს,
ხომ არ დაიწყებდა შენთან,
ცეტი გოგოსავით როკვას.
მერე ცელიანი კაცი

ღამით მოგდგომია სტუმრად, —
მიგიწოდებია ყანწი,
სუფრაც გაგიშლია, პურადს.
აღარ მოგშვებია დიდხანს,
როგორც მეგობარი ძველი;
კვლავ თუ მეწვევიო, — გითქვამს, —
სახლში დატოვეო ცელი.
პასუხს მოველიო აწი,
როცა გამომივლი კიდევ:
კაცო, კაცობაა — კაცი.
კაცებს ყანასავით მკიდეს
სამჯერ ხელმოცარულ სიკვდილს,
შენი შემართების გარდა,
სხარტი, მოსწრებული სიტყვის
ხიბლით გადაუდევს ვადა,
სიმწრის ღამეების ტეხვის,
ჯვარცმის რუდუნების შემდეგ,
ოდეს აუყევი მწვერვალს,
ბოლოს ბედისმწერალს ენდე
და მას საგალობლით შეხვდი,
როგორც უპირველეს მწერალს.

1984 წ.

## ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ


ედუარდ შევარდნაძე — ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე 5

წერილები

გურამ ასათიანი — მზიური ნიკი 9
ხუტა ბერულავა — „ობა დელია-დელია" 13
გიორგი გაჩეჩილაძე — ნოდარ დუმბაძის ფენომენი 15
ალაკა გაწერელია — დაუვიწყარი 23
გურამ გვერდწითელი — მზიანი გული 30
ჰრანტ თამრაზიანი — ნატკენი გულისა და მზენათელი სიზმრების წიგნი (თარგმნა არჩილ დავითიანმა) 67
გიორგი მარგველაშვილი — ბილიკი, გზა და მზე 81
სოსო სიგუა — დაბრუნება ბავშვობის სახლთან 90
ედიშერ ყიფიანი — დაუწერელი რეცენზია 108
გიორგი ციცაშვილი — მადლი ხალასი ნიკისა 111
ტარიელ ჭანტურია — სინათლე—ტკივილის ფასად 127
სერგი ჭილაია — კაცთმოყვარეობის მხატვარი 129
თამაზ ჭილაძე — ნოდარ დუმბაძე 131

გამოსათხოვარი სიტყვები

ირაკლი აბაშიძე 137
ჩინგიზ აითმატოვი (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 138
ელგუჯა ამაშუკელი 140
ირაკლი ანდრონიკოვი (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 141
ვერიკო ანჯაფარიძე 141
რევაზ ინაანიშვილი (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 141
ზურაბ ახვლედიანი 143
ვახტანგ ბერიძე 145
მერაბ ბერძენიშვილი 146
თედო ბექიშვილი 148
ზაურ ბოლქვაძე 149
თენგიზ ბუაჩიძე 151
გურამ გვერდწითელი 153
ევგენი ევტუშენკო (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 155
ვ. ზორინა (თარგმანი მისიჭვე) 155
ჯუმბერ თითმერია 156
მირზა იბრაგიმოვი (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 157
ეგორ ისაევი (თარგმანი მისიჭვე) 158
დავით კვიცარიძე 159
ვიტალი კოროტიჩი (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 160

მუშნი ლასურია (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ 162
გიგა ლორთქიფანიძე 163
კოსტა მარღიევი (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 165
ელგუჯა მაღრაძე 165
შოთა ნიშნიანიძე 169
ჭარდგეს პეტროსიანი (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 170
გუნარ პრეიდი (თარგმანი მისივე) 173
ოლექსა სინიჩენკო (თარგმანი მისივე) 174
ჯანსუღ ღვინჯილია 175
ა. შევჩენკო (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 176
ჯანსუღ ჩარკვიანი 178
ოთარ ჩხეიძე 179
რევაზ ჩხეიძე 180
სარგის ცაიშვილი 182
ტარიელ ჭანტურია 184
ზურაბ ჭუმბურიძე 185
ფრიდონ ხალვაში 187
ნინო ჯავახიშვილი 187
მურმან ჯგუბურია 188

**მოგონებები**

რუბენ აგამირზიანი — ჩემი ნოდარ დუმბაძე (თარგმნა ქეთევან დუმ-
ბაძემ) 193
ავთანდილ ადეიშვილი — მარადიული სიცილის ბატონ-პატრონი 205
ჩინგიზ აიტმატოვი 208
ელგუჯა ამაშუკელი — „ბაჯაღლო მზისგან" დამწიფებული 209
რეზო ამაშუკელი — სიკეთის სამსახურის მაგალითი 212
გურამ ბათიაშვილი — სიკეთით საგსე კალთა 215
გრიგორი ბაკლანოვი — კი არ იყო, არამედ არის! (თარგმნა ქეთევან
დუმბაძემ) 223
სერგეი ბარუზდინი — „ჩვენზეა დამოკიდებული"... (თარგმანი მისივე) 225
გულნარა ბახტაძე — როცა ასეთი სიყვარულია 230
გივი გეგეჭკორი — ქართული სიტყვის მახარობელი 234
თეიმურაზ დოიაშვილი — „მინდა მზე ვიყო"... 235
ევგენი ევტუშენკო — მუსიკა მის სახლში 240
ედუარდ ელიგულაშვილი — სიყვარული სიყვარულის წილ... 243
მერაბ ელიოზიშვილი — შენახული ღიმილი 247
ივანე თარბა — სიტყვა ნოდარ დუმბაძეზე 249
ყობა იმედაშვილი — სიყვარული უპირველეს ყოვლისა 253
რევაზ ინანიშვილი — ხალხის საამაყო შვილი 256
გურამ კაპანაძე — სიზმრები 260
ტარიელ კვანტილაშვილი — ჩამქრალი ვარსკვლავი 265

ემზარ კვიტაიშვილი — ლამაზი გამოთხოვება 268
ნაზი კილასონია — ის წლები გავიხსენოთ 277
მურმან ლებანიძე — მეგობრის გახსენება 279
ნოდარ მალაზონია — ინტერვიუ, რომელიც არ შედგა!.. 280
გენრიხ მიტინი — სულის ღრმა ფესვები (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 296
სილოვან ნარიმანიძე — წარსული ზაფხული 300
ენვერ ნიჟარაძე — მზიური კაცი 308
ალექსანდრე რუდენკო-დესნიაკი — თეთრი თხა აკვარელის მდელოზე (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 314
მიკოლას სლუცკისი — ხვნმოკლე, დაუვიწყარი... (თარგმანი მისივე) 318
მელორ სტურუა — ვინ რა იცის... 324
არჩილ სულაკაური — სიხარულის მომნიჭებელი 329
გიორგი ტოვსტონოგოვი — მშობლიური მიწის სურნელი (თარგმნა ქეთევან დუმბაძემ) 330
ალეგ შესტინსკი — ნოდარის სათნო ღიმილი (თარგმანი მისივე) 333
ბაგრატ შინკუბა — სახლი ზღვის პირას 335
ჯანსუღ ჩარკვიანი — ყველანი სიკვდილის შვილები ვართ 339
მერი ცხოიძე — მონატრება, ანუ სიცოცხლე, რომელიც არ დამთავრდება 344
ნოდარ წულეისკირი — ვარდები მწერალთა მტილში 349
რეზო ჭეიშვილი — მოგონებასავით 351
ვახტანგ ჭელიძე — ნოდარ დუმბაძის ორი გახსენება 356
ვახტანგ ხარჩილავა — მზით გასხივოსნებული გზა 366
მილიცა ჯაფარიძე — ნაჩუქარი ლექსი 368
რევაზ ჯაფარიძე — პირველი ალმოჩენის სხივით 371

ლექსები

რეზო ამაშუკელი — ნოდარ დუმბაძეს 377
ზაურ ბოლქვაძე — ჩემს ნოდარს 378
*** (რეკენ ერის გლოვის ზარები) 378
ხუტა გაგუა — ნოდარ დუმბაძის ხსოვნას 379
გივი გეგეჭკორი — ლექსი სიცილზე 381
ვახტანგ გორგანელი — მარადისობის კანონი 384
სალიხ გურტუევი — ნოდარ დუმბაძის საფლავთან (თარგმნა მზია ხეთაგურმა) 385
ანდრეი ვოზნესენსკი — ნოდარს (თარგმნა ანზორ სალუქვაძემ) 387
კარლო კალაძე — ბარათი ნოდარ დუმბაძეს 388
ოთარ მამფორია — ნოდარს 390
ლია სტურუა — ნოდარ დუმბაძეს 391
ჯანსუღ ჩარკვიანი — სანამ მამულში ერთი კომლია 392
ოთარ ჭელიძე — მეოთხედ მოსვლის ბალადა 393

გამომცემლობის რედაქტორი მ. სანადირაძე
მხატვარი ა. ხარჩიმელიძე
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი ლ. დეკანოიძე
გამომშვები ნ. ხავთახი

ნ. ბ. — 3907

ჩაბარდა წარმოებას 17.04.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.86 წ. უე 08966. ფორმატი 84×108 1/32. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ლიტერატურული. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 21. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 20,3. პირობითი საღებავგამტარება 21. ტირაჟი 20.000 შეკვ. № 1061.
ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42
თბილისი, 1986

**СОЛНЕЧНОЕ СЕРДЦЕ ПИСАТЕЛЯ**

**СТАТЬИ, СЛОВА ПРОЩАНИЯ, ВОСПОМИНАНИЯ, СТИХИ О НОДАРЕ ДУМВАДЗЕ**

**(На грузинском языке)**

**Издательство «Мерани»**

**Руставели, 42**

**Тбилиси, 1986**

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.